ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა

მე-6 სემესტრის დოქტორანტი

ელენა დარჯანია

სადოქტორო სემინარი

პანორამა თბილისი: გლობალიზაციის ეგზემპლარი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფ. იოსებ სალუქვაძე

თბილისი
2018

რეზიუმე

მეგაპროექტი პანორამა-თბილისი ყოფილი პრემიერ მინისტრის, ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილის მიერ ინიცირებული მრავალფინქციური საცხოვრებელი/ბიზნეს/გასართობი ცენტრია. მისი მშენებლობა ბოლო რამდენიმე წელია ქ. თბილისის ისტორიულ ლანდშაფტში, ძველი ქალაქის საზღვარზე მიმდინარეობს. ეს მრავალმხრივ სადაო პროექტი საქართველოს დედაქალაქში სამოქალაქო პროტესტების სერიის მიზეზია. საკითხი ასევე ხშირად არის მედია საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების განხილვის საგანიც, თუმცა, ამ შენობა-მოვლენის ახსნა აკადემიურ წრეებში ჯერ არ დაწყებულა. ეს ნაშრომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. კერძოდ, ის სწავლობს თუ რას გვეუბნება პანორამა-თბილისის მშენებლობა ჩვენს დღევანდელ ურბანულ მდგომარეობაზე ქ. თბილისში და, უფრო ფართოდ - რატომ არის ის გლობალური მნიშვნელობის კომპლექსური პოლიტიკური პროექტის განუყოფელი ნაწილი.

წინამდებარე ტექსტი გვერდს უვლის პროქტის იურიდიულ საკითხებსა და ტურბულენტური პოლიტიკური ინტერესების შესახებ მონოტონურ დისკუსიას. სამაგიეროდ, ის ყურადღებას ამახვილებს პროექტის კულტურულ-არქიტექტურულ მხარეზე. კონცეფტუალური ჩარჩოსთვის გამოყენებულია გერმანელი ფოლოსოფოსის, პიტერ სლოტერდაიკის "მსოფლიო ინტერიერის" (Sloterdjik, 2013) თეორია და ასევე "პანორამა-თბილისის" პროტოტიპის - მე-19 საუკუნის პანორამების ანალიზი. ამ მიდგომებით, ნაშრომი აღწერს "კონტროლირებადი მსოფლიოს" (Halkes, 1999, p.87) გამოსახვის და რეპროდუქციის იდეის განვითარებას და იმ მგრძნობელობებს, რომლებიც ამ პროცესების გავლენით გაჩნდა ქალაქგეგმარებასა და არქიტექტურაში. შედეგად, პანორამა-თბილისი წარმოდგენილია როგორც მსოფლიოს (და გლობალიზაციის) ახალი წესრიგის - "კრისტალიზაციის" (Sloterdijk, 2013 p.157) - სამაგალითო ეგზემპლარი: ეს არის "ინტერკავშირებით, [არსებული გარემოს] ოპტიმიზაციით და ესთეტიზაციით" (ibid.) შექმნილი ინტერიერი, რომელშიც მოქცეულია უსასრულოდ განმეორებადი 'სამყარო ყუთში' (world-in-a-box'). ამდენად, პანორამა-თბილისის მშენებლობა უნდა

იყოს განხილული ნეოლიბერალური გლობალიზაციისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დეპოლიტიზაციის ფართო კონტექსტში.

Abstract

Construction of Panorama Tbilisi in the capital of Georgia initiated and financed by a billionaire oligarch-turned-into-politician and ex-prime minister Bidzina Ivanishvili is an important watershed for creating a 'new image' of the country. It is widely advertised to be a multi-functional residential, business, and entertainment center overlooking the historical core of the city. Heavily criticized by non-governmental organizations and urban activists to be a major thread for the cultural heritage, the project is praised by governmental officials as a silver bullet to the high level of unemployment and low quality of life in the city. As it is announced, Panorama Tbilisi is to be "the largest ever real estate development in Georgia's history" (Anderson, 2014). Centered around an aquarium full of exotic specimen and covered with gardens grown on the artificially terraced mountain slopes, with an extensive network of cable cars crisscrossing the city's tourist and business centres and a landing platform for helicopters, Panorama Tbilisi is an exemplar of the new order of "crystallization" (Sloterdijk, 2013 p.157), which re-creates interiors that encompass self-same 'world-in-a-box' through the "interconnection, optimization and aestheticization" (ibid.). Thereby construction of Panorama Tbilisi should be understood in the wider context of globalization.

The paper intends to avoid the turbulent monotony of the current juridical and political debates on the project, and focus on architectural aspects of it. By using Peter Sloterdijk's theory on "the world interior" as a conceptual framework and the panoramas of the nineteenth century this paper traces the development of the ideas on capturing and reproducing the whole "surveyable world" (Halkes, 1999, p.87) and sensibilities that it brought to urban design and architecture.

პანორამა თბილისი: გლობალიზაციის ეგზემპლარი

“Das Wahre hat keine Fenster. Das Wahre sieht nirgends zum Universum hinaus. Und das Interesse an Panoramen ist, die wahre Stadt zu sehen....—Die Stadt im Hause. Was im fen- sterlosen Hause steht, ist das Wahre. [The interesting thing about the panorama is to see the true city—a city inside a building. What stands in the windowless building is the truth . . . (the truth has no windows; nowhere does it look out upon the universe.)]”

—Walter Benjamin, Das Passagenwerk. Gesammelte Schriften, vol. 5, 2, p. 1008. Rolf Tiedemann (ed.). Frankfurt/Main: Suhrkamp (in: Grau, 2003, p.2)

შესავალი

მასშტაბური მშენებლობები - მეგაპროექტები - მსოფლიო მოვლენაა. თუმცა, მისი უნივერსალური განმარტება არ არსებობს. როგორც წესი, ეს რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიციაა, მაგრამ, ამ ტერმინის გამოყენებისას, უფრო მეტად ყურადღება ექცევა პროექტის როლსა და ადგილობრივი გარემოებებზე ზეგავლენის მასშტაბს.

მეგაპროექტები შეიძლება იყოს როგორც მონო, ისე მრავალფუნქციური. კენედიმ და სხვებმა (Kennedy et al., 2014) დაყვეს მეგაპროექტები სამ კატეგორიად:

- ინფრასტრუქტურა საბაზისო სერვისებისთვის;
- ეკონომიკური განვითარება (უძრავი ქონების განვითარება, მათ შორის კომერციული ფუნქციით;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და
- ურბანული განახლება.

ურბანული მეგაპროექტები შეიძლება იყოს როგორც საზოგადოებრივი შენობები, (მაგ., სასპორტო ღონისძიებებთან დაკავშირებული გრანდიოზული სტადიონები და კომპლექსები) ასევე ლანდშაფტური პროექტები (მაგ., კოლექტორებსა და ჯებირებში მოქცეული მდინარეების გახსნა-გასუფთავება და პარკების მშენებლობა).

ამ მიმართულებით კვლევები (del Cerro Santamaria, 2013; Douglass, 2002; Fainstein, 2008; Flyvbjerg et al. 2003, Flyvbjerg, 2014; Kennedy, 2013) მსოფლიო მასშტაბით ადასტურებს რომ თვისობრივი განსხვავება რეგიონებს შორის - ე.ი. დასავლეთსა და გლობალურ სამხრეთს შორის არც ისე მნიშვნელოვანია. მათ განხორიელებასთან დაკავშირებულია ისეთი პრობლემები, როგორიცაა, მაგალითად, დარღვეული საკუთრებების უფლებები, გამჭვირვალობის და საზოგადოებრივი ჩართულობის ნაკლებობა, წინასწარი განჭვრეტის დაბალი დონე (uncertainty), ბუნებრივ, კულტურულ და სოციალურ გარემოზე მაღალი ზემოქმედების რისკები - და ამ სიის გაგრძელება უსასრულოდაა შესაძლებელი. ისინი ერთნაირად დამახასიათებელია განსხვავებული ეკონომიკური განვითარების დონეებისა და პოლიტიკური რეჟიმების მქონე ქვეყნებისათვის.

ასეთი პროექტები ხშირად პოპულისტური პოლიტიკის ნაწილია, რომლებიც, ერთის მხრივ, არასაიმედო სამუშაო ადგილების და, მეორეს მხრივ, მკვეთრი, 'თანამედროვე' ვიზუალური იმიჯის შექმნით მოასწავებენ 'განვითარებას' - ეკონომიკურ კეთილდღეობას, მაშინ როდესაც სოციალური მდგრადობა პროექტის ფოკუსის მიღმა რჩება.

განსაკუთრებით საინტერესოა მოსაზრება, რომელიც მეგაპროექტების სიმრავლეს უკავშირებს ნეოლიბერალურ გლობალიზაციას. ფლივბერგის (Flyvbjerg, 2013) მიხედვით, ასეთი წამოწყებების რაოდენობის ზრდა განპირობებულია ეროვნული და ინტერანაციონალური მმართველობის, კერძო კაპიტალისა და დეველოპერი ბანკების ერთიანი, ურთიერთშეკავშირებული სტრატეგიებითა და ტაქტიკებით. ზოგი მკვლევარი იმაზედაც თანხმდება, რომ მეგა-პროექტებზე დაფუძნებული ურბანული პოლიტიკა იმის ნიშანია, რომ სახელმწიფო საყოველთაო კეთილდღეობის შექმნის მოდელიდან (welfarism) ანტრეპრენიორულ მოდელზე (entrepreneurialism)

გადადის (Vento, 2016; Flyvbjerg, 2014). უფრო მეტიც, მათი ამ ბუნებიდან გამომდინარე, ისინი თამაშობენ მნიშვნელოვან როლს დემოკრატიული მმართველობის შესუსტებაში. პოპულისტური პოლიტიკით სუსტდება ან აღმოიფხვრევა კრიზისული სიტუაციები და დგება 'კონსესუსი', რაც იდეოლოგიური ბრძოლის შეწყვეტას გულისხმობს.

გამონაკლისს არც პოსტ-საბჭოთა ქვეყნები[1] წარმოადგენს. სახელმწიფო სოციალიზმის დაცემის შემდეგ ეს არეალი საინტერესო გახდა გლობალური კაპიტალისთვის, რასაც აჩვენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მუდმივი ზრდა ამ ქვეყნებში ბოლო 25 წლის განმავლობაში (Kolatay, 2011).

საქართველოში მეგაპროექტების რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ახალი ჰიდროელექტროსადგურები, თბილისი-ბათუმის ავტობანი, კოპიტნარის ახალი აეროპორტი, რამდენიმე ათეული ათას მოსახლეზე გათვლილი საცხოვრებელი უბანი, ისტორიული ქალაქების რეკონსტრუქცია (თბილისი, ბათუმი, სიღნაღი, თელავი, ახალციხე).

თუმცა, ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მეგაპროექტი არის ყოფილი პრემიერ მინისტრის, ოლიგარხი ბიძინა ივანიშვილის მიერ ინიცირებული მრავალფინქციური საცხოვრებელი/ბიზნეს/გასართობი ცენტრის - პანორამა-თბილისის მშენებლობა, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია ქ. თბილისის ისტორიულ ლანდშაფტში, ძველი ქალაქის საზღვარზე მიმდინარეობს.

ეს მრავალმხრივ სადაო პროექტი საქართველოს დედაქალაქში სამოქალაქო პროტესტების სერიის მიზეზია. საკითხი ასევე ხშირად არის მედია საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების განხილვის საგანიც, თუმცა, ამ შენობა-მოვლენის ახსნა აკადემიურ წრეებში ჯერ არ დაწყებულა. ეს ნაშრომი

[1] რა თქმა უნდა, ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებულ და კომპრომეტირებული დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში (რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი) მეგაპროექტების რიცხვიც და მასშტაბიც გაცილებით დიდია, ვიდრე სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნები. გამოირჩევა ასევე ის ქვეყნებიც, რომლებმაც ე.წ. მეგა-ივენთებს უმასპინძლეს (მაგ., ფეხბურთის ჩემპიონატი უკრაინაში).

სწორედ ამ მიზანს ემსახურება. კერძოდ, ის სწავლობს თუ რას გვეუბნება პანორამა-თბილისის მშენებლობა ჩვენს დღევანდელ ურბანულ მდგომარეობაზე ქ. თბილისში და, უფრო ფართოდ - რატომ არის ის გლობალური მნიშვნელობის კომპლექსური პოლიტიკური პროექტის განუყოფელი ნაწილი.

რეგიონში განხორციელებული მეგაპროექტებისაგან (მაგ., ბაქოს რეაბილიტაცია, სოჭის ოლიმპიადის სასპორტო ნაგებობები და ა.შ.) მორიდებული მასშტაბის მიუხედავად, პანორამა-თბილისი არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი, რომლითაც შესაძლებელია ვიმსჯელოთ გლობალიზაციის ახალი წესრიგის - "კრისტალიზაციის" (Sloterdijk, 2013 p.157) - შესახებ.

წინამდებარე ტექსტი პროქტის იურიდიულ საკითხებსა და ტურბულენტური ადგილობრივი პოლიტიკური ინტერესების შესახებ მონოტონურ დისკუსიას მხოლოდ ნაწილობრივ ეხება. სამაგიეროდ, ის ყურადღებას ამახვილებს პროექტის კულტურულ-არქიტექტურულ მხარეზე.

მეთოდოლოგიად გამოყენებულია მეორადი მონაცემების კაბინეტური კვლევა. დამუშავებულია 17-მდე სტატია და 8 სატელევიზიო სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა პანორამა-თბილისისს პროექტს და სამოქალაქო პროტესტს ამ საკითხის გარშემო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროექტის მასალების მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა, ისევე როგორც შემსრულებელი არქიტექტურული კომპანიის წარმომადგენლებთან დაკავშირება. ამდენად, პროექტის შესახებ ინფორმაციაც და "მხარედ" წარმოდგენილია მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს - თბილისის მერიის - განცხადებები.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები:

- პანორამა-თბილისის პროექტის აღწერა და სამოქალაქო პროტესტების მოკლე შეჯამება;
- გლობალიზაციის, როგორც პანორამა-თბილისის და მისი მსგავსი პროექტების აღმოცენებისათვის აუცილებელი პირობის მიმოხილვა;

- პროექტის პროტოტიპის, როგორც გლობალიზაციის პოლიტიკური პროექტის აპარატის - dispositif - (Foucault & Senellart, 2011) ანალიზი;

კონცეფტუალური ჩარჩოსთვის გამოყენებულია გერმანელი ფოლოსოფოსის, პიტერ სლოტერდაიკის "მსოფლიო ინტერიერის" (Sloterdjik, 2013) თეორია და ასევე "პანორამა-თბილისის" პროტოტიპის - მე-19 საუკუნის პანორამების ანალიზი. ამ მიდგომებით, ნაშრომი აღწერს "კონტროლირებადი მსოფლიოს" (Halkes, 1999, p.87) გამოსახვის და რეპროდუქციის იდეის განვითარებას და იმ მგრძნობელობებს, რომლებიც ამ პროცესების გავლენით გაჩნდა ქალაქგეგმარებასა და არქიტექტურაში.

პროექტი და პაNOრამა

2014 წელს ქართულ მედიაში გაჟღერდა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიერ დაფუძნებული თანაინვესტირების ფონდის ახალი პროექტი პირობითი სხელით "პანორამა-თბილისი" (ტაბულა, 2014). ინვესტორის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის მიხედვით, აღნიშნული პროექტი ოთხი განსხვავებული მდებარეობის, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილისაგან შემგდარი მრავალფუნქციური კომპლექსია. ქ. თბილისისათვის უჩვეულოდ მსხვილი მასშტაბის ურბანული ინტერვენციისათვის შერჩეული ტერიტორიებია:

- სოლოლაკის მაღლობი;
- სოლოლაკის ბაღები;
- თავისუფლების მოედანი;
- ერეკლე მეორის მოედანი;



პანორამა თბილისის კომპლექსის სივრცითი სქემა.
წყარო: საქართველოს თანაინვესტირების ფონდი. https://goo.gl/7J68zM

“პროექტის უნიკალურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქის ახალ, ოთხ მსხვილ ტურისტულ და ბიზნეს ცენტრს შორის დღის ყველაზე დატვირთულ პერიოდშიც კი გადაადგილება შესაძლებელი იქნება ავტოტრანსპორტის გარეშე, სწრაფად და მოხერხებულად, საბაგირო გზებისა და დახრილი ლიფტების საშუალებით. ამასთან, პანორამული შუშის კაბინებით მგზავრობისას, დამთვალიერებლებს დედაქალაქის ულამაზესი ისტორიული ხედებით დატკბობის საშუალება მიეცემათ. აღნიშნულ პროექტს მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს” (ტაბულა, 2014).

პროექტი წარმოდგენილია როგორც ქ.თბილისის ახალი სავიზიტო ბარათი. მისი უპირველესი მიზანია გაზარდოს ქალაქის კონკურენტუნარიანობა რეგიონში, რომ მოიზიდოს ტურისტები და მსხვილი საერთაშორისო კონფერენციები. ასევე, ის გადაჭრის ისეთ პრობლემებს, როგორიცაა:

- უმუშევრობა - პროექტი დაასაქმებს 6 000 ადამიანს;
- სატრანსპორტო გადატვირთულობა და პარკინგი - პროექტის ფარგლებში აშენდება არაკომერციული ავტოსადგომები, რომლებიც შეამსუბუქებს ქალაქის ცენტრში გადაადგილებას და პარკირების ადგილის პოვნას არა მხოლოდ კომპლექსის ვიზიტორებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის;
- ეკოლოგიური პრობლემები - დაირგვება 30 000 ახალი ხე, "რაც საგრძნობლად გააჯანსაღებს ქალაქის ეკოსისტემას" (ტაბულა, 2014).



პანორამა თბილისის კომპლექსის სივრცითი სქემა.
წყარო: საქართველოს თანაინვესტირების ფონდი. https://goo.gl/7J68zM

ამ რიტორიკას აგრძელებს ქ.თბილისის არჩეული მერიც კახა კალაძე (2017):

"რაც შეიძლება მეტი „პანორამა თბილისი" გვჭირდება. მეტი ასეთი მნიშვნელობის პროექტის განხორციელებაა ქალაქში საჭირო, რადგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, ყველამ ვიცით, რომ ახალი სამუშაო ადგილებია. ასეთი მსხვილი

პროექტების განხორციელება ქმნის სამუშაო ადგილებს, როგორც მშენებლობის პროცესში, ისე მშენებლობის დასრულების შემდეგ. ზუსტად ამას ეწინააღმდეგებოდნენ ოპონენტები, სხვას არაფერს. იციან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელება ქალაქისთვის, ქვეყნის ეკონომიკისთვის, ქვეყნის წინსვლისთვის და ამიტომ იყო ეს წინააღმდეგობა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ხელი შევუწყოთ ბიზნესს და ყველა ადამიანს, ვინც თითო აგურს დადებს ქალაქის განვითარებაში და ქვეყნის კეთილდღეობაში."

გასაკვირი არ არის, რომ ეს პროექტი, რომლებიც არ არის გამყარებული გასაჯაროებული შესაბამისი სამართლებრივი, არქიტექტურული და ფინანსური დოკუმენტაციისთ, მმართველი გუნდისა და მასთან დაკაშირებული ოლიგარქის პოპულისტური პოლიტიკის ნაწილად შეფასდა.

თუმცა, სამოქალაქო პროტესტის მასშტაბურობა მეტწილად ერთმა ასპექტმა განსაზღვრა: კულტურული მემკვიდრეობის (მათ შორის კულტურული ლანდშაფტის) ხელყოფა და ზიანის მიყენება.

პროექტის დაანონსებისთანავე ცალკეული ურბანული აქტივისტები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გაერთიანდნენ პროექტის შეჩერების მოთხოვნით.

სამოქალაქო პროტესტების ერთ-ერთი მონაწილე, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი ცირა ელისაშვილი 2015 წლის ინტერვიუში აცხადებს:

"თბილისი ვითარდებოდა ყოველთვის, მათ შორის მეცხრამეტე საუკუნეშიც, თბილისს ჰყოლია იმაზე დიდი მეცენატებიც, ვიდრე ახლა არის ვიღაც, ვინც სოლოლაკის ქედზე ცხოვრობს. მაგრამ იმ მეცენატებმა ზუსტად იცოდნენ, სად უნდა აეშენებინათ. მათ არ ააშენეს თავის დროზე კალაში იმიტომ, რომ კალა ძველი თბილისის ცენტრი იყო და მათ ააშენეს უბნები დღევანდელი თავისუფლების მოედანზე, სოლოლაკის, მთაწმინდის და ვერის სახით. მაშინ ამას ერქვა პერიფერია და „გარეთუბანი" იმდენად გარეთ იყო ქალაქის ცენტრიდან. მათ მტკვრის საწინააღმდეგო მიმართულებით წაიყვანეს ქალაქი და შექმნეს ახალი

მიზიდულობის ცენტრები, რასაც მერე დიდი განაშენიანება მოჰყვა. იგივე გააკეთეს კომუნისტებმა ვაკისა და საბურთალოს სახით. იმიტომ, რომ მათ ზუსტად იცოდნენ ინტუიციით ან ცოდნით, ინტელექტით, სად უნდა ჩაედოთ ინვესტიცია."

დღევანდელი მდგომარეობით, პროექტის საწინააღმდეგო მოძრაობის "პანოNOრამა" ათამდე აქცია-მიტინგი ჩატარდა. მონაწილეთა ზუსტი რაოდენობა დადგენილი არ არის, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ურბანული პროტესტების სერიიდან ეს მოძრაობა ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია.

ცალკე ყურადღების საგანია პროექტის დაფინანსება, რომელიც როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ინვესტიციებით ხორციელდება. სწორედ ეს გარემოება ანსაზღვრავს პანორამა-თბილისის ადგილს მსოფლიო რუკაზე როგორც გლობალური, არა სახელმწიფო, არამედ ტრანსნაციონალური პროექტი.

გლობალიზაცია და მსოფლიო ინტერიერი

გლობალიზაცია პოლიტიკურ ეკონომიკაში განიხილება როგორც პროცესი, რომლის შედეგადაც შექმნილია ფინანსური და საინვესტიციო ღია, საერთაშორისო ბაზარი. ეს ის ვითარებაა, როდესაც ქვეყნებს შორის საზღვრები, ძირითადად ბიზნესის ინტერესებისათვის, 'იშლება' და, შესაბამისად, საზოგადოებრივი პროცესები ცდება ადგილობრივ გარემოებებს და გლობალური მასშტაბის ხდება.

"გლობალიზაცია წარმოადგენს დიდი პოლიტიკური მუხტის მატარებელ პროცესსაც" (საბედაშვილი, 2006). მეცნიერთა დიდი ჯგუფი გლობალიზაციას განიხილავს კრიტიკულ თეორიასა და კოლონიალიზმის ნაწილად. ისინი მიიჩნევენ, რომ ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებს ექსპლოატიას უწევს ძლიერი, დასავლეთის კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემები, რასაც მოაქვს უთანასწორობა.

თუმცა, არიან ისეთი მკვლევრებიც, რომლებიც გლობალიზაციას არ განიხილავენ როგორც მხოლოდ თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელ, უნიკალურ

მოვლენას. “მათი მტკიცებით საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის გაცვლა და სხვადასხვა სახის ურთიერთობები განსაკუთრებით კი, ვაჭრობა ოდითგანვე არსებობდა, შესაბამისად, თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაციაზე კი არა, ტექნოლოგიის დახვეწაზე უნდა ვისაუბროთ მხოლოდ, რომელმაც ამგვარი

პროცესები ბევრისთვის ხელმისაწვდომი და მასშტაბური გახადა” (საბედაშვილი, 2006).

მარტინ ელბროუს (Albrow, 2012) განმარტებით, გლობალიზაცია ასახავს იმ ვითარებას, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო ერებს ერთ გლობალურ საზოგადოებაში გაერთიანდნენ.

ამდენად, გლობალიზაცია არ არის მხოლოდ ეკონომიკური მოვლენა, არამედ სოციო-კულტურულიც. ის დიდწილად უკავშირდება ცოდნას მსოფლიოს შესახებ და მსოფლმხედველობის კულტურულ ასპექტებს. სწორედ ამიტომ შეუძლებელია ამ პროცესის დაწყების პერიოდის განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია გლობალიზაციის ეპისტემიოლოგიური მნიშვნელობის დადგენა იტორიულ-კულტურული ანალიზის მეშვეობით. ამისათვის გამოყენებულია პიტერ სლოტერდაიკის (Sloterdijk, 2013) “მსოფლიო ინტერიერის” თეორია.

სლოტერდაიკი (ibid) გლობალიზაციის ისტორიას ყოფს სამ ძირითად ფაზად. პირველი - ‘კოსმოსური’ გამომდინარეობს ძველი ბერძენი ფილოსოფოსების

ნააზრევებიდან. ისინი, მარტივად რომ ვთქვათ, მოიაზრებდნენ მთელს მსოფლიოს აბსოლიტურ სფეროდ, რომელსაც არ გააჩნდა "გარე" განზომილება.



მეორე ფაზა არის "მიწიერი" (Sloterdijk, 2013 p.9), რომელიც დაიწყო ძველი სამყაროს - ევროპის - გაფართოებით. ამ პერიოდში, ზღვაოსნობის განვითარებამ აქამდე უცნობი და 'მიუწვდომელი' ტერიტორიების კოლონიზაციას შეუწყო ხელი. ამას, თავის მხრივ, მაშინდელი დომინანტი იმპერიების ქრისტიანულ-კაპიტალისტური იდეოლოგიის გავრცელება მოყვა. მსოფლიო გაიღო მოგზაურობისთვის, მათ შორის დედამიწის გარშემო; ის ახალი ჰორიზონტების დასაპყრობ ადგილად იქცა. ამ დროს პოპულარობას იკრებს მსოფლიოს გამოსახვის მეთოდი - რუკები, რომლითაც ამ ახლადაღმოჩენილი ტერიტორიების და ნამდვილი, ჭეშმარიტი მსოფლიო 'ზუსტი' აღწერაა შესაძლებელი. "თანამედროვენი სამყაროს აღიქვამდნენ როგორც ექსენტრიულ, უცნაურ სფეროს, რომლის სიმრგვალეც ჩვენ თვითონვე შეგვიძლია დავამტკიცოთ მასზე გარედან შეხედვით." (Sloterdijk, 2013, p.16)

Cantino planisphere, 1502, ბიბლიოთეკა ესტენს, მოდენა

გლობალიზაციის მესამე ფაზა იწყება "კაპიტალისტური 'მსოფლიო ინტერიერის" (Sloterdijk, 2013 p.12) ჩამოყალიბებით, რომელიც დაფუძნებულია კაპიტალის ძალაუფლებაზე, მობილობასა და ჰედონიზმზე. გასაკვირი არაა, რომ სლოტერდაიკისთვის ამ პერიოდის სიმბოლოს ჯოსეფ პაქსტონის ბროლის სასახლე წარმოადგენს.

ჯოზეფ პაქსტონის ბროლის სასახლე 1851 წელს ლონდონში, ჰაიდ პარკში აშენდა "ყველა ერის ინდუსტრიის ნიმუშების დიდი გამოფენისთვის" (Lieberman, 1986). გამოფენას რამდენიმე ათასი მონაწილე ყავდა და მასზე წარმოდგენილი იყო იმდროინდელი უახლესი ტექნოლოგიები და ინდუსტრიული ნაწარმი. თვითონ შენობა დროებით საგამოფენო პავილიონს წარმოადგენდა. მას ლითონის კარკასი ქონდა, ხოლო ფასადი - ინდუსტრიულად დამზადებული მინის პანელები. მშენებლობის ეს მეთოდი, ისევე როგორც გამოყენებული მასალები, სრულიად ინოვაციური იყო იმ პერიოდისთვის (Lieberman, 1986; Schoenefeldt, 2008). პავილიონის ფართობი 92 000 კვ.მ. იყო და სიმაღლე 39 მ., რაც იმდროინდელი ეპოქისთვის უპრეცენდენტო მასშტაბია.

ბროლის სასახლე, მე-19 საუკუნის ფოტო.
წყარო: http://www.thelatestnews.com/will-the-crystal-palace-be-rebuilt/

პავილიონი გახდა ახალი სივრცითი არქეტიპი: თითქმის 'არარსებული კანის' - მინის კედლების მიღმა შექმნილი ხელოვნურად კონდიცირებადი ინტერიერი, რომელიც ქმნიდა სიზმარივით საოცარ, ეგზოტიკურ გარემოს. ის განასახიერებდა თავშესაფარს, სადაც შესაძლებელია დამალვა არა მხოლოდ მძიმე ინდუსტრიული სამყაროდან, არამედ უფრო ზოგადად - მოწყენილობისაგან. ძირითადად კულტურული და გასართობი აქტივობებისათვის განკუთვნილი ბროლის სასახლე, როგორც პარადიგმა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ 'შოპინგ მოლი' ან სავაჭრო პასაჟები[2]; ის წარმოადგენს ინტერიერს, რომელიც იმდენად დიდია, რომ მთელი მსოფლიოს ჩანაცვლება შეუძლია.

[2] მაგ., იხილეთ ვოლტერ ბენიამინის პარიზის პასაჟები.

ბროლის სასახლის ინტერიერი
წყარო: Barzin Group https://goo.gl/LHqQ2v

ამდენად, ბროლის სასახლის მშენებლობა იყო კრიტიკული მომენტი, რომლის შემდეგ მსოფლიო გახდა ერთიანად "ინტერიერიზებული". მისი ეს თვისება გახდა "ფუფუნებით და კოსმოპოლიტანიზმით სახეცვლილი მაგიური იმანენტურობა" (Sloterdijk, 2013, p. 170). მას შემდეგ ღია ცის ქვეშ მოწყობილი აგორა ან ბაზარი - რომელიც კაპიტალიზმის განუყოფელი სიმბოლო იყო - შეცვალა სათბურმა. მან 'შეიწოვა' საკუთარ ინტერიერში ყველაფერი, რაც კი ოდესღაც გარეთ იყო" (ibid. p.12). უფრო მეტიც, კაპიტალიზმი და მისი ინტერიერები "აღმოჩნდა პროექტი, რომელმაც, შთანთქა ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო: მუშაობა, ოცნებები და თვითგამოხატვა ხარჯვითუნარიანობის იმანენტურობით (ibid. p.176).

ამის გათვალისწინებით, სლოტერდაიკს (Sloterdijk, 2013) შემოაქვს კრისტალიზაციის კონცეფცია. ტერმინი "კრისტალიზაცია" - მომდინარეობს ბროლის

სასახლის -crystal palace - სახელწოდებიდან. ის განსაზღვრავს მდგომარეობას, როდესაც საყოველთაო მოწყენილობა ნორმალური მდგომარეობაა და კაცობრიობა ეძებს ხელოვნურად შექმნილ სივრცეებს არასასურველი "გარე" მდგომარეობიდან გასაქცევად. ამ მდგომარეობას ის "ურბანული კულტურების გაჯერებას" უწოდებს. (Sloterdijk, 2013, 156).

კრისტალიზაციის ფაზა საკუთარ თავს გამოხატავს ინტენსიფიკაციის არქიტექტურით და არსებული გარემოს ადაპტაციით. ეს ნიშნავს სუპერსტრუქტურების მშენებლობას, რომლებიც, როგორც წესი, ემსახურებიან ქალაქის ამბიციას მოიზიდოს კიდევ უფრო მეტი ბიზნესის, კულტურის, გართობისა და საგანმანათლებლო ჰაბები. მისთვის ყოველი სივრცე პოტენციურად გაფართოების საშუალებაა. ამიტომ არის რომ აქტიურად მიმდინარეობს ოკეანის ურბანიზაცია - ხელოვნურად აშენებული კუნძლებს საშუალებით, გამოუყენებელი ან/და მიტოვებული ტერიტორიების ხელახალი და უფრო ინტენსიური დატვირთვა; მიწისქვეშა სივრცეების ადაპტირება პროდუქტიული პროცესების მხარდასაჭერად.

აღნიშული ჰაბები წარმოადგენენ ადგილებს 'საკუთარი ხატის გარეშე' (Sloterdijk, 2013 p.151) - ანუ ადგილები, რომლებიც არ გააჩნიათ რაიმე სახის თვითმყოფადობა - სახე. ისინი ჩაფიქრებულია იყონ მხოლოდ 'სატრანზიტო სივრცეები' (ibid.). ასეთ სივრცეებთან ადამიანებს არ შეუძლიათ (და არც უნდათ) შექმნან რაიმე სახის კავშირი ან დაიწყონ თვითიდენდიფიკაცია.

ფაქტია, რომ ეს ტრანსფორმაცია, რომელიც ამ გლობალურმა ეპოქამ მოიტანა, ასუსტებს სოციალური ერთეულების და პოლიტიკური სუბიექტების ტრადიციულ რწმენას. "სქელკედლიანი გალავნიანით შემოვლებული, კონკრეტულ ტერიტორიაზე მიბმული, სიმბოლოებით გამყარებული და, როგორც წესი, მონოლინგვური საზოგადოების 'კონტეინერი' (Sloterdijk, 2013 p.152)" - სახელმწიფო ნელ-ნელა ქრება ტრანსნაციონალური კაპიტალის შემოდინების წნეხის ქვეშ. გასაკვირი არაა, რომ ეს ეჭვქვეშ აყენებს ეროვნული-სახელმწიფოს (nation state) სტატუსს.

მიუხედავად ამისა, ზოგი ჯგუფისთვის ასეთი გახსნა 'ღიაობისკენ' და კოსმოპოლიტანიზმი მიუღებელია. თუმცა, ეს კონტრ-რეაქცია, რომელიც გამოწვეულია გლობალიზაციით, ასევე გლობალიზაციის ერთ-ერთი წახნაგია.

"დიდი ანალიტიკური ძალისხმევა არ არის საჭირო იმისთვის, რომ მივხვდეთ რომ ასეთ 'საზოგადოებებში' გლობალიზებული ტენდენციები მუშაობს ნორმალურობის საწინააღმდეგოდ - ცხოვრება მასიურ, ეთინიკურ ან ნაციონალურ კონტაინერებში დარღვეულია გლობალიზაციით. ერთის მხრივ, ამ საზოგადოებმა დაკარგეს თავისი რეგიონული ბმები მოსახლეობის დიდი ნაკადების უპრეცედენტო მობილობის გამო. მეორეს მხრივ, იზრდება 'ტრანზიტული ადგილების' რიცხვი, სადაც მუდმივად ცხოვრება შეუძლებელია. " (Sloterdijk, 2013 p.152)

ამ 'არავისი, ტრანზიტული ადგილების' ყველაზე აშკარა ასპექტი ალბათ ისაა, რომ რადგანაც მათ არ გააჩნიათ უნარი შექმნან რაიმე თვითმყოფადი იდენტობა, სამაგიეროდ, აქვთ საკუთარი კლონირება-რეპროდუქციის უსასრულო პოტენციალი. ისინი სპორადულად ჩნდებიან ყველგან, სადაც არსებობს 'ნოყიერი საინვესტიციო გარემო'.

პანორამა: პროტოტიპის ანალიზი

რა თქმა უნდა, იდეა, რომ პანორამა-თბილისი გაგვეაზრებინა მეცხრამეტე საუკუნის პანორამების ჭრილში, მისი დასახელების გამო გაჩნდა. როგორც აღნიშნულია მოცემულ თავში, პროექტის სახელის მნიშვნელობის დაკნინება ნამდვილად არ შეიძლებოდა.

ეჭვგარეშეა, რომ პროექტის ინიციატორებმა და ავტორებმა (რომელთა სახელებიც საზოგადოებისათვის უცნობია) დასახელება შეარჩიეს ინტუიტიურად. თუმცა, შერჩევითი პროცესის მსგავსი "უმწიკლობა" შესაძლებლობას იძლევა "პანორამა თბილისი" განვიხილოთ ფართო არქიტექტურულ დისკურსში.



რობერტ ბეიკერის პანორმა - როტონდა ლიჩესტერ სკვერში, ლონდონი. ჭრილი შესრულებულია რობერტ მიტჩელის მიერ, 28.5x44.5 სმ. მან ვერლაგი, ბერლინი წყარო: Grau, 2003, p. 58

პირველი პანორამები მე-18 საუკუნის მიწურულს გაჩნდა. მაკალერის 2014 წლის ნამუშევრის თანახმად, იდეა ერთი ობიექტის ფარგლებში შეჯერდეს სამყაროს კომპლექსური სტრუქტურა 1788 წელს ჩაისახა (Halkes, 1999, გვ.87). ეს მოხდა როდესაც "ენციკლოპედიური განმანათლებითი ხედვევით" შთაგონებულმა ირლანდიელმა მხატვარმა - რობერტ ბეიკერმა შექმნა მისი პირველი როტონდა - "პანორამა". მოცემული ნამუშევრის მიზანი იყო შეექმნა "ედინბურგის ერთანი ხედის" (ibid) რეპროდუქცია. ნაშრომი წარმოადგენდა დროებით ინსტალაციას. მას ცილინდრის ფორმა ჰქონდა, რომელიც შიგნიდან მოხატურლი იყო ქალაქის თვალწარმტაცი პეიზაჟებით (McAleer, 2014). მოცემულმა მცდელობამ წარმატებულად წარმოაჩნა თვი და დამკვიდრდა როგორც გართობის ახალი

სახეობა. ამან თავის მხრივ სათავე დაუდო მსგავსი როტონდების უკვე მუდმივი ნაგებობების სახით მშენებლობას გამოფენათა სამასპინძლოდ ევროპის სხვადასხვა ქალაქში (Grau, 2003; McAleer, 2014).

როგორც ნაგებობა, როტონდა წარმოადგენდა უსარკმლო ნაგებობას ერთი შესასვლელით. პავილიონი შიგნიდან მუშავდებოდა (აქცენტი კეთდებოდა არა ზოგად არქიტექტურულ სახეზე, არამედ შენობის ინტერიერზე და შიდა სივრცის აღქმადობაზე). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - კედლები წარმოადგენდა უბრალო ნაჭუჭს, რომელიც გარე სივრცეს ყოფდა ნაგებობის შიგნით ჩასახული "ალტერნატიული რეალობისაგან". ინტერიერში წარმოდგენილი პანორამული ნახატები სკურპულოზურად ასახავდა ქალაქებსა და ლანდშაფტებს და წარმოადგენდა შენობის ერთადერთ "სარკმელს" ახალ, სხვაგვარად რთულად ხელმისაწვდომ სამყაროში. თუმცა, აღსანიშნავია რომ ის, რაც პროექტს განსაკუთრებულ ფასეულობასა და წარმატებულობას სძენდა, იყო არა ნახატის სილამაზე, არამედ ალტერნატიულ სამყარში მოხვედრის შეგრძნებითი სისრულე, რომელსაც ის სთავაზობდა დამთვალიერებელს (Della Dora, 2007; Halkes, 1999).

მოცემული განაცხადი ასევე მყარდება და ასახულია 1805 წლის ცნობილი კრიტიკოსის ჩანაწერებში (Handbuch der Aesthetik (in Grau, 2003, p.155).

"ასლის მსგავსება რეალურ გარემოსთან შეუძლებელია იყოს უფრო სრული <…> მე ვმოგზაურობდი რეალურ და არარეალურ სამყაროებს შორის, ბუნებიდან არაბუნებამდე, ჭეშმარიტებიდან მოჩვენებაში. ჩემი აზრები და ჩემი მისწრაფებები გავლენის ქვეშ ექცეოდა, ისინი ორ უკიდურესობაში მერყეობდა, ყველაფერი თითქოს წრეზე რბოდა ან გემის გენბანზე ქანაობდა. მხოლოდ ასე შემიძლია აღვწერო ის თავბრუსხვევა და დაბნეულობა, რომელიც პანორამის მოუმზადებელ დამთვალიერებელს იპყრობს <…> ჩემს თავს წინააღმდეგობრივი სიზმარ-სამყაროს ბადეში გაბმულ თევზად წარმოვიდგენდი… ჩემს გარშემო მოძრავი სხეულებიც კი ვერ მაფხიზლებდნენ იმ კოშმარისაგან, რომელიც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ მესიზმრებოდა."

ამდენად, როტონდა-პანორამები იყო სიზმარ-სამყაროს ინტერიერი, რომელიც თავს უყრიდა ლანდშაფტის ერთობას აქამდე მიუღწევადი ფორმით. “მიწიერი

გლობალიზაციის” (Sloterdjik, 2013) პერიოდში ჩასახული პანორამა წარმოადგენდა ერთგვარ ხელსაწყოს “ჭეშმარიტი სამყაროს” ასახვისა და შემეცნებისათვის. ის იყო ბუნების ერთგვარი კოლეიდოსკოპი, რომელსაც დამთვალიერებელი შიგნიდან შეისწავლიდა.

მოცემული ნამუშევრის მიზანს არ წარმოადგენს განიხილოს ვიზუალობის კონცეფცია, როგორც “ფუნდამენტური ექსტერიერის სივრცე” (Lilly, 2002, p.64). თუმცა, საინტერესო იქნებოდა სპეკულაცია იმაზე, რომ პანორამა-როტონდა - რომელიც, თავისი არსით არის ინტერიერი - განსაზღვრავდა ექსტერიერის უკიდურესობას.

თუ დავუბრუნდებით პანორამის, როგორც ვიზუალური ობიექტის საკითხს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს - რომ პანორამის პირდაპირ ფუნქციას საზოგადოების გართობა წარმოადგენდა (Della Dora, 2007; Grau, 2003). მისი გავლენა პუბლიკაზე მნიშვნელოვანდ აღემატებოდა უბრალო წარმოსახვის გადახალისებას. არსებობს

მოსაზრება, რომ პანორამები ხელს უწყობდა წარმოდგენილი ლანდშაფტებისადმი კავშირის გაძლიერებას (Halkes, 1999). პანორამათა ეს უნიკალური თვისება გამოიყენებოდა როგორც იმპერიული პროპაგანდის ხელსაწყო - წარმოადგენდნენ რა კოლონიებისა და ბრძოლების გრანდიოზულ ვიზუალურ ფიქსაციას, ისინი აყალიბებდნენ ნაციონალურ იდენობას და თავს უყრიდნენ ბუნმბერაზ იდეებს (Della Dora, 2007; Grau 2003; McAleer, 2014).

ამდენად, პანორამები გზას უსხნიდნენ ადამიანის ცნობისმოყვარეობას და სამყაროს შეცნობის სურვილს. ამავდროულად, ისინი პუბლიკას სთავაზობდნენ ამ მსოფლიოს საკმაოდ "სტრუქტურიზებულ" და "ნორმირებულ" ვერსიას (Latour in Della Dora, 2007, p.298). ეს გულისხმობს, რომ მოცემული ილუსტრაციები არა უბრალოდ ასახავდა არსებულ რეალისტურ სამყაროს "სრული ხედის" სახით, როგორც ამას ნეოლოგიზმი გვთავაზობს (ბერზ. pan - სრული; horama - ხედი), არამედ ხორცს ასხამდა კონკრეტულ ხედვებსა და იდეოლოგიებს. როგორც დელა დორა წერს (2007, გვ.299):

მე-19 საუკუნის პანორამა მესდაგი, ქ.ჰაგა, ნიდერლანდები.
წყარო: Atlas Obscura https://goo.gl/N1Eh3s

"პანორამის შემქმნელი ხელოვანები თავს მოისაზრებდნენ პასუხისმგებლებად სივრცეში გადმოეტანათ ლოკალური "რეალობები". ეს იყო გამბედაობის მომთხოვნი თავგადასავალი ახალი, მოუთვინიერებელი ლანდშაფტების "დაჭერის", "მოშინაურების", "თავმოყრის", გადმოტანის და საზოგადოებისათვის მიყიდვის მიზნით."

იდეა, რომ ლანდშაფტი შეიძლება გადანერგული იყოს მისი ბუნებრივი გარემოდან ხელოვნურად აგებულ სივრცეში - განვრცობილია ვოლტერ ბენიამინის დაკვირვებებში, რომელიც პანორამას უყურებდა როგორც მოდერნულობის განსახიერებას:

“ხელოვნებასა და ტექნოლოგიას შორის ურთიერთობის ცხადყოფის განმახორციელებელი პანორამა ამავდროულად წარმოადგენს ცხოვრებისადმი ახლებური მიდგომის ექსპრესიას. ქალაქის მოსახლე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე პოლიტიკურად აღმატებულია პროვინციის მკვიდრზე მრავალი ხვადსხვა ნიშნით, ცდილობს ქალაქში შემოიყვანოს რურალური პეიზაჟები. პანორამებში, ქალაქი იხსნება ლანდშაფტური ხედებისათვის - რაც შემდგომ განსაკუთრებულ ასახვას პოვებს ფლანიორებში”. (Huhtamo, 2013, გვ.28).

ბარკერის პანორამა. ფრაგმენტი, მე-19 საუკუნე.
წყარო: https://goo.gl/SrHF11

ამდენად, შეილება ითქვას, რომ პანორამები წარმოადგენს “მოგზაურ ლანდშაფტებს” (Della Dora, 2007, გვ.288) და თანამედოვე მასობრივი ტურისტული ინდუსტრიის წინამორბედ ვერსიებს (Della Dora, 2007; Grau 2003), რადგან სწორედ მათ შექმნეს შესაძლებლობა ნებისმიერი უბრალო ადამიანმა - რა თქმა უნდა, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ - იმოგზაუროს მისთვის საოცნებო, ეგზოტიკურ სამყაროში.

“კრისტალიზაციის ეპოქის” ასეთი “მოგზაური ლანდშაფტები” წარმოშობს კითხვას თუ რას წარმოადგენს კონკრეტულად პანორამა თბილისი.

პანორამა თბილისი: ინტერიერი საკუთარი ხატის გარეშე

პანორამა თბილისი, როგორც არქიტექტურული ობიექტი მიუყვება მეგაპროექტების ჩვეულ გენეოლოგიურ სქემას. ეს რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელების ადგილად ირჩევს მიმზიდველ, მაგრამ 'არავის', და, ეკონომიკური თალსაზრისით - 'ფუჭად გამოუყენებად' ტერიტორიას - სოლოლაკის ქედს.

მისი სტრუქტურა დანაწევრებულია და შემდეგ 'შეკრული' ტექნოლოგიური მიღწევების საშუალებით - ესკალატორები, ლიფტები და საბაგიროები რვაფეხას კიდურებივით სერავენ ქალაქის ლანდშაფტს.

ამ ლოგიკით, პანორამა თბილისი არის კრისტალიზაციის ფაზის კარგი ეგზემპლარი: ის ინტენსიფიკაციისა და შეკავშირებულობის გზით საკუთარი გავლენის სფეროში აქცევს მიმდებარე ტერიტორიებს.

თუმცა, მეორეს მხრივ, არქიტექტორის ჩანაფიქრია შენობა 'დამალოს' ხელოვნურად მოწყობილი, გამწვანებული ტერასების მიღმა. შედეგად, ხაზგასმულია, რომ პროექტისთვის გარე სამყაროს არსებობა, უმნიშვნელოა. ზუსტად ისევე, როგორც ამას მე-19 საუკუნის პანორამების შემთხვევაში ვამტკიცებდით, შენობის მთელი ყურადღება გადატანილია მის ინტერიერზე და ინტერიერში მიმდინარე პროცესებზე.

ამას ასევე მოწმობს ის ვიზუალური მასალა, რომელიც პროექტის ავტორებმა მოამზადეს: მთელი ქალაქი 'გამქრალია' კომპიუტერული ვიზუალიზაციდან, თითქოს პროექტი ცარიელ, ვაკანტურ მდელოზე იგეგმებოდეს.

ამასთან, ისევე როგორც მე-19 საუკუნის პანორამა-როტონდებში, თბილისი-პანორამა ვიზიტორებს სთავაზობს ეგზოტიკურ სამყაროს. თუმცა, ერთი განხსვავებით: თუ კი მე-19 საუკუნეში, გლობალიზაციის მეორე - "მიწიერი ფაზის "დროს - მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო ჭეშმარიტად ზუსტად აღგვეწერა, 21-ე საუკუნეში ეს საკმარისი არ არის. დღეს, კრისტალიზაციის ეპოქაში, ადამიანის ამბიციაა შექმნას სამყაროს კლონირებული, საკუთარი ვერსია.

სწორედ ამის სიმბოლოა პანორამა - თბილისი. ცენტრში მოწყობილი აკვარიუმი, რომელშიც წარმოდგენილია ეგზოტიკური არსებები, არის არაფერი სხვა თუ არა 'ნამდვილი ოკეანის' "ამოჭრილი", "დაფასოებული", "ტრანსპორტირებული" და "აღდგენილი" ვერსია.

ამ გზით მსჯელობას თუ გავუყვებით, დავასკვნით იმასაც, რომ თუ კი მე-19 საუკუნის პანორამა იყო კოლონიური წყობის პროპაგანდა და ეროვნული იდენტობის გამყარებას ემსახურებოდა, დღეს, თბილისი-პანორამა არის "იმპერიის" (Hardt & Negri, 2000) ლოგიკის 'მოციქული'. ის ასუსტებს სახელმწიფოს იდეას და, პანორამა-თბილისის შემთხვევაში პირდაპირ საფრთხეს უქმნის "საზოაგდოებრივი კონტეინერის" (Sloterdjik, 2013) სიმბოლოს - ძველ თბილისს. ეს, რა თქმა უნდა, იწვევს რიგ ჯგუფებში წინააღმდეგობას.

თუმცა, თუკი მე-19 საუკუნის პანორამა მოგზაურობდა ქალაქებს შორის ან/და ქალაქის შიგნით, რათაც სხვადასხვა უბნების მოსახლეობას ქონოდა შესაძლებლობა სანახაობით გაერთოთ თავი, დღეს თვითონ პანორამამ, როგორც იდეამ, განიცადა კრისტალიზაცია. ის არის ერთი და იგივე ინტერიერის და მასში მიმდინარე გამოცდილებების/პროცესების უსასრულოდ განმეორებადი ცალკეული ეგზემპლარი.





პანორამა-თბილისის ინტერიერები. ფრაგმენტები სარეკლამო ვიდეორგილიდან

წყარო:https://goo.gl/oaNRyd

თუმცა, ეს არის პროექტი, სადაც ლანდშაფტის “ფიქსაციის”, “დაფასოებისა” და “დისტრიბუციის” პროცესები ინტენსიურად მიმდინარეობს და, რაც პარადოქსულია, პროექტის სახელით განსაზღვრულ იდეას სავსებით ეხმიანება.

პანორამა თბილისი არის გლობალიზაციის მესამე, თანამედროვე სტადიის ეგზემპლარი, რომლის მიზანია შექმნას ისეთი ინტერიერი, რომელიც ‘მთელ მსოფლიოს’ დაიტევს. მე-19 საუკუნის პანორამის მემკვიდრეობითობის გაგრძელებით, ამ პროექტმა ინტერკავშირებით, არსებული გარემოს ოპტიმიზაციითა და ესთეტიზაციით შექმნა კიდევ ერთი “სამყარო ყუთში” - ‘the world-in-a-box’. ეს ის ადგილია, სადაც შესაძლებელია მოწყენილობისაგან თავის დასაღწევად და არასასურველი “გარე” კლიმატისაგან გაქცევა. ასეთი პროექტების სიმრავლე მიანიშნებს კრისტალიზაციისათვის დამახასიათებელ მდგომარეობაზე - რომელსაც სლოტერდაიკი “ურბანული კულტურების გაჯერებას” უწოდებს.

ამდენად, პანორამა-თბილისი არ არის უნიკალური შემთხვევა, რადგანაც გლობალიზაციის კრისტალიზაციის სტადია თავისთავად გამორიცხავს უნიკალური გამოცდილების შექმნის შესაძლებლობას. ეს არის ‘სატრანზიტო’ სივრცე, რომელშიც ქ. თბილისის მკვიდრი და უცხოელი ვიზიტორი ერთნაირი დროებითი სტუმრები იქნებიან.

გამოყენებული ლიტერატურა

[marshal press]. (May 3, 2015). *How will Panorama Tbilisi look (Video in Georgian). Retrieved from https://www.youtube.com/watch?v=YMead0H5GhE*

Grau, O. (2003). *Virtual art: From illusion to immersion*. Cambridge, MA: MIT Press.

Della Dora, V. (2007). Putting the world into a box: a geography of nineteenth century 'travelling landscapes'. *Geografiska Annaler: Series B, Human Geography*, *89*(4), 287-306.

Foucault, M., & Senellart, M. (2011). *The birth of biopolitics lectures at the college de France,* 1978-1979. New York: Palgrave Macmillan.

Halkes, P. (1999). The Mesdag Panorama: Sheltering the all-embracing view. *Art History*, *22*(1), 83-98.

Huhtamo, E. (n.d.). *Illusions in motion: Media archaeology of the moving panorama and related spectacles*.

Kolatay, K. Influence of Foreign Direct Investment (FDI) on the ... (n.d.). Retrieved January 31, 2018, from https://www.bing.com

Lieberman, R. (1986). The crystal palace: a late twentieth century view of its changing place in architectural history and criticism. *AA Files,* 12, 46-58.

McAleer, J. (2014). Panoramic Visions: Denise Blake Oleksijczuk, The First Panoramas;

Erkki Huhtamo, Illusions in Motion. *Technology and culture*, *55*(1), 237-240.

Meparishvili, M. (2014). Tbilisi City Hall refutes the documentation of Panorama Tbilisi (In Georgian). *Netgazeti. Retrieved from http://netgazeti.ge/culture/30781/*

Lilly, R. Foucault and the disappearance of the visible subject. In Wurzer, Wilhelm S. (ed.), *Panorama: Philosophies of the Visible* (55-68). New York: Continuum, 2002. Print.

Schoenefeldt, H. (2008, 12). The Crystal Palace, environmentally considered. *Arq Architectural Research Quarterly, 12*(3-4), 283. doi:10.1017/s1359135508001218

Sloterdijk, P., & Hoban, W. (n.d.). *In the world interior of capital: For a philosophical theory of globalization*.

Vento, A. T. (2016). Mega-project meltdown: Post-politics, neoliberal urban regeneration and Valencia's fiscal crisis. *Urban Studies, 54(1),* 68-84. doi: 10.1177/0042098015625025

Albrow, M. (2012). Global Age. The Wiley-Blackwell Encyclopedia of Globalization. doi: 10.1002/9780470670590.wbeog240

Dean, J (2015) After post-politics: Occupation and the return of communism . In: Wilson, J, Swyngedouw, E (eds) The Post-Political and Its Discontents: Spaces of Depoliticization, Specters of Radical Politics.Edinburgh : Edinburgh University Press , pp. 261 - 278 .

Harvey, D (1989) From managerialism to entrepreneurialism: The transformation in urban governance in late capitalism . Geograska Annaler: Series B, Human Geography 71 (1): 3 - 17

Jessop, B (2002) Liberalism, neoliberalism and urban governance: A state-theoretical perspective . In: Brenner, N, Theodore, N (eds) Spaces of Neoliberalism: Urban Restructuring in North America and Western Europe. Oxford : Blackwell , pp. 105 - 125

თანაინვესტირების ფონდი პროექტს "პანორამა-თბილისი" განახორციელებს. (n.d.). Retrieved January 31, 2018, from https://goo.gl/6inV59

B. (n.d.). "პანორამა თბილისი". Retrieved January 31, 2018, from https://goo.gl/X465ts

B. (n.d.). "პროექტი "პანორამა თბილისი" 6 000 მოქალაქეს დაასაქმებს". Retrieved January 31, 2018, from https://goo.gl/yXj8GF

(n.d.). "პანორამა თბილისი" - ინვესტიცია, რომელიც კლავს. Retrieved January 31, 2018, from http://liberali.ge/articles/view/3851/panorama-tbilisi--investitsia-romelits-klavs

Chaganava, M. (2017, October 24). კახა კალაძე - რაც შეიძლება მეტი "პანორამა თბილისი" გვჭირდება. Retrieved January 31, 2018, from https://goo.gl/qDvSWF

ინიციატივა საჯარო სივრცისთვის, როგორ გახდა შესაძლებელი პროექტ პანორამა თბილისის მშენებლობის ნებრათვების გაცემა კულრურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში. სამართლებრივი კვლევა, 2016. https://goo.gl/QR4ZsB

საბედაშვილი, თ. (2006) ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის [მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურისა და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა

III სემესტრის დოქტორანტი

დიანა ლეჟავა

(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი

„უნივერსიტეტის ავტონომია და ხარისხის უზრუნველყოფა“

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ლია წულაძე

თბილისი

2018

შინაარსი

შესავალი 3

უნივერსიტეტის ავტონომია - თეორიული მიმოხილვა 4

საქართველოს შემთხვევა 9

ხარისხის უზრუნველყოფა - თეორიული მიმოხილვა 12

საქართველოს შემთხვევა 13

დასკვნა 27

გამოყენებული ლიტერატურა: 29

შესავალი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს საკითხი ხაზგასმულია 1999 წლის ბოლონიის დეკლარაციაში, რომელიც ამბობს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებლობა და ავტონომია ხელს შეუწყობს განათლებისა და კვლევის ხარისხის განვითარებას (ბოლონიის დეკლარაცია, 1999). დეკლარაციის თანამდევ კომუნიკეებში კი აღნიშნულია, რომ ინსტიტუციური ავტონომია აუცილებელია ერთიანი უმღლესი განათლების ევროპული სივრცის ფუნქციონირებისთვის (ბერლინის კომუნიკე, 2003; ბერგენის კომუნიკე, 2005; ლუვენის კომუნიკე, 2009; ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაცია, 2010; ერევნის კომუნიკე, 2015). უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხი მრავალი კუთხიდან განიხილება; არსებობს რიგი ინდიკატორებისა, რომლებიც ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA) მიერ იქნა შემუშავებული და ევროპის მასშტაბით უნივერსიტეტთა ინსტიტუციური თავისუფლების გაზომვას ემსახურება (Pruvot & Estermann, 2017).

პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, უნივერსიტეტის ავტონომია ევროპეიზაციის ერთ-ერთი განზომილებაა, რომელიც ბოლონიის პროცესთან დაკავშირებულმა რეფორმებმა დააყენა დღის წესრიგში. თუმცა, თავად ევროკავშირის შიგნით არსებობს მოსაზრება, რომ ბოლონიის პროცესმა უნივერსიტეტის ავტონომიურობის დე-ევროპეიზაცია გამოიწვია (Moutsios, 2013). კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, უნივერსიტეტის მმართველობა და ავტონომიურობის საკითხი ინსტიტუციურ იზომორფიზმისა და ისტორიული ინსტიტუციონალიზმის ერთობლიობაზეა დამოკიდებული (Dobbins, 2017). უნივერსიტეტის ავტონომია რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობით განიხაზღვრება, როგორიცაა ორგანიზაციული, ფინანსური, პერსონალის შერჩევისა და აკადემიური ავტონომია (Estermann & Nokalla, 2009). თითოეულ ამ ფაქტორს თავისი ადგილი აქვს ავტონომიის საკითხში, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელიც ზოგიერთი ავტორის თანახმად, უნივერსიტეტის

ავტონომიურობის პრერეკვიზიტად მოიაზრება, არის უნივერსიტეტის უნარი მართოს და უზრუნველყოს განათლების ხარისხი (Berg, 2006).

წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებებსა და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მდგომაროებას უნივერსიტეტის ავტონომისა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის ავტონომია - თეორიული მიმოხილვა

უნივერსიტეტის ავტონომიის ცნებამ წლების მანძილზე მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილება განიცადა: 1960-80-იან წლებში უნივერსიტეტის ავტონომია აკადემიური თავისუფლების გარანტიად მოიაზრებოდა და იგულისხმობოდა, რომ უნივერსიტეტი ავტონომიურია, თუ სახელმწიფო არ ერევა მის აკადემიურ საქმიანობაში (Zgaga, 2010, p. 12). მოგვიანებით ავტონომიის მნიშვნელობა გაფართოვდა და აკადემიურ თავისუფლებას დაემატა ისეთი ცნებები, როგორიცაა ადმინისტრაციული, მენეჯერული და ფინანსური თავისუფლება. ეს ნიშნავს, რომ თუ მანამდე სახელმწიფო ახორციელებდა ფინანსებსა და ადმინისტრატირებაზე კონტროლს, 90-იანი წლებიდან ევროპული საგანმანათლებლო სისტემა სახელმწიფოსგან უფრო მეტად დამოუკიდებელი გახდა და უნივერსიტეტები თავადვე გახდნენ პასუხისმგებელნი ამ სფეროებზე (იქვე, გვ. 13). აღნიშნულმა ცვლილებამ და ფინანსურმა ავტონომიამ დღის წესრიგში შემოიტანა ახალი ცნება - ანგარიშვალდებულება; უნივერსიტეტები გაფართოებული ავტონომიის ფარგლებში ანგარიშვალდებულნი გახდნენ იმ საზოგადოების (და სახელმწიფოს) წინაშე, რომელიც მათ აფინანსებს (Nokkala & Bacevic, 2014).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლონიის პროცესი უნივერსიტეტის ავტონომიის იდეას ხაზგასმით უწევს პროპაგანდას, მან სხვადასხვაგვარი გავლენა იქონია პროცესის მონაწილე ქვეყნების უნივერსიტეტების ავტონომიაზე, რაც დამოკიდებულია თავად ქვეყნების ინსტიტუციურ კონტექსტზე (Dobbins, 2017). დობინსი უნივერსიტეტის ავტონომიის განვითარების პროცესს ინსტიტუციური

იზომორფიზმითა და ისტორიული ინსტიტუციონალიზმის ერთობლიობით ხსნის. ინსტიტუციურ იზომორფიზმში ავტორი გულისხმობს ბოლონიის პროცესის შედეგად გატარებულ ინტერნაციონალურ რეფორმებს, ხოლო ისტორიულ ინსტიტუციონალიზმში იგულისხმება ის ისტორიული მემკვიდრეობა და კონტექსტი, რომელშიც ბოლონიის პროცესამდე ვითარდებოდა უნივერსიტეტები და საგანმანათლებლო სისტემები (იქვე, გვ. 178). განიხილავს რა საფრანგეთისა და იტალიის მაგალითებს, დობინსი ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იზომორფიზმი სახელმწიფოსა და ეროვნული საკანონმდებლო სისტემის საშუალებით თავის როლს თამაშობს, უნივერსიტეტის მმართველობასა და ავტონომიაზე, ისევე როგორც სისტემის ევროპეიზაციაზე, განსაკუთრებული გავლენა აქვს ისტორიულ მემკვიდრეობასა და ინსტიტუტების მდგრადობას (როგორიცაა აკადემიური საზოგადოების ფრაგმენტაცია, პერსონალის ძალაუფლება და გავლენა უნივერსიტეტის მმართველობაზე, ა.შ). თუ საფრანგეთის შემთხვევაში საგანმანათლებლო სისტემა ხასიათდებოდა ცენტრისტული მმართველობით, ევროპეიზაციამ ქვეყანა უფრო ბაზარზე-ორიენტირებულ სისტემამდე მიიყვანა, რომელსაც სახელმწიფო (განათლების სამინისტრო) უწევდა ადვოკატირებას; იტალიის შემთხვევაში კი, რომელიც ისტორიულად ძლიერი და გავლენიანი აკადემიური პერსონალით ხასიათდებოდა, ევროპეიზაციის პროცესმა და სახელმწიფოს მიერ ბაზარზე-ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის ადვოკატირებამ პერსონალის კონსოლიდაცია გამოიწვია უნივერსიტეტის ავტონომიის იდეის გარშემო, და უნივერსიტეტი კიდევ უფრო მეტად დაუქვემდებარა აკადემიური პერსონალის მმართველობას (იქვე, გვ. 195).

მუტსიოსი უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხს ფართო ისტორიულ კონტექსტში განიხილავს და ამტკიცებს, რომ ბოლონიის პროცესმა უნივერსიტეტის დე-ევროპეიზაცია გამოიწვია, შეზღუდა რა უნივერსიტეტის ავტონომია, რომელიც სწორედაც რომ ევროპულ ფენომენს წარმოადგენდა. ავტორი ამტკიცებს, რომ უნივერსიტეტის ავტონომია, რომელიც ძველ რომანულ საზოგადოებაში ჩაისახა პლატონის აკადემიის სახით, მე-19 საუკუნის ბოლოს კი

ჰუმბოლდტის თავისუფალი უნივერსიტეტის ფარგლებში ჩამოყალიბდა, გულისხმობდა უნივერსიტეტის სრულ დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან სამი კრიტერიუმის გათვალისწინებით: პოლიტიკური (მმართველობა), კოგნიტური (ცოდნის შექმნა, ანუ მეცნიერება), და პედაგოგიური (ცოდნის გადაცემა) (Moutsios, 2013, გვ. 27). ავტორის თანახმად, ბოლონიის პროცესმა სამივე ზემოთაღნიშნული კრიტერიუმით შეზღუდა უნივერსიტეტის ავტონომია. პოლიტიკური მმართველობის თვალსაზრისით, მუტსიოსის მტკიცებით, ბოლონიის პროცესმა უმაღლესი განათლება ევროკავშირის, და კონკრეტული აქტორების ინტერესების გამტარებად აქცია, როგორიცაა ერთი მხრივ ევროკავშირის ინსტიტუტები (EUA, ENQA, EURASHE, ა.შ.), მეორე მხრივ კი - ბიზნეს ასოციაციები (როგორიცაა BUSINESSEUROPE, რომელსაც ავტორი „ინდუსტრიულ კონფედერაციას“ უწოდებს (იქვე, 31-32)). ბოლონიის პროცესში ევროკავშირის როლი ცალსახადა გამოკვეთილია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბოლონიის რეფორმების უმეტესობა (კურიკულუმების განვითარება, ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დანერგვა, სტრქუტურული ცვლილებები უნივერსიტეტებში, კვლევითი აქტივობები, სტუდენტებისა და პროფესორების მობილობა, ა.შ.) ევროკავშირის მიერ ფინანსდება სხვადასხვა ჩარჩო პროგრამების სახით, როგორიცაა Erasmus+, Marie Sklodovska Curie, FP6, FP7, Horizon2020, ა.შ. (European Commission). მეორე მხრივ, ასევე თვალსაჩინოა ბიზნეს-ასოციაციებისა და ინდუსტრიის გავლენა, ვინაიდან მთელი რიგი რეკომენდაციები და ანგარიშები, რომლის საფუძველზეც ბოლონიის მონაწილე ქვეყნები რეფორმებს გეგმავენ, ხაზს უსვამს კვლევისა და ინოვაციის მჭიდრო კავშირის მნიშვნელობას ინდუსტრიასთან, დამსაქმებელთა უფრო მეტი ჩართულობის აუცილებლობას განათლების სფეროში, კურიკულუმების შემუშავებასა, ხარისხის უზრუნველყოფაში, უნივერსიტეტის მმართველობასა და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში (Moutsios, 2013, გვ. 33-35). გერმანისა და ავსტრიაში ბოლონიის პროცესის რეფორმების მოწინააღმდეგენი განსაკუთრებულ აქცენტს სწორედ ბიზნეს კორპორაციების ინტერესების დაკმაყოფილებაზე აკეთებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ბოლონიის პროცესი ზღუდავს

უნივერსიტეტის თავისუფლებას და განათლებას ბაზრის მოთხოვნებს უქვემდებარებს (Pechar, 2012).

მუტსიოსის აზრით, „მომგებიან“ (ტექნიკური მიმართულებები) და „არა-მომგებიან“ (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები) მეცნიერებას შორის განსხვავების არსებობა, განსაკუთრებული აქცენტი მეცნიერების ტექნინკურ მიმართულებებზე და კვლევის შედეგების გაყიდვაზე, ბიზნეს-ორგანიზაციებისთვის ინოვაციებისა და ბაზრის მოთხოვნების მიხედვით სამეცნიერო პროდუქტის შექმნაზე, სწორედაც რომ უნივერსიტეტის ავტონომიის შეზღუდვაა. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებების შემთხვევაშიც ავტორი ანალოგიურ წნეხზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ გარე დაფინანსების მოძიების აუცილებლობა მათ დამოკიდებულს ხდის დონორის/დამფინანსებლის ინტერესები გაატარონ (გვ. 36-37). მუტსიოსი ასევე ხაზს უსვამს ბოლონიის პროცესისა და ევროკავშირის როლს ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემების სტანდარტიზაციის პროცესში, რომელიც ე.წ. „ტუნინგის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, ასევე სამივე საგანმანათლებლო საფეხურისთვის სპეციალური მექანიზმების შექმნაში, ერთიანი კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემუშავებასა და ერთმანეთთან „შედარებადი“ კურიკულუმების განვითარებაში (გვ. 38-39).

მიუხედავად არსებული კრიტიკისა და მეცნიერების ნაწილის შეხედულებისა, რომ ბოლონიის პროცესმა უნივერსიტეტის ავტონომია შეზღუდა და მისი ევროპეიზაციის ნაცვლად, მისი სრული დეევროპეიზაცია გამოიწვია, როგორც უკვე აღინიშნა, თავად ბოლონიის პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში არაერთგზის არის ხაზგასმული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის მნიშვნელობა ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის საერთაშორისო არენაზე (ბერლინის კომუნიკე, 2003; ბერგენის კომუნიკე, 2005; ლუვენის კომუნიკე, 2009; ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაცია, 2010; ერევნის კომუნიკე, 2015).

უფრო მეტიც, ბოლონიის პროცესის Follow-up Group (BFUG) ახორციელებს უნივერსიტეტების ავტონომიის მონიტორიგნს ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. EUA უნივერსიტეტის ავტონომიის შესაფასებლად ოთხ განზომილებას გამოჰყოფს: ორგანიზაციული ავტონომია, ფინანსური ავტონომია, პერსონალის დაქირავების ავტონომია და აკადემიური ავტონომია. თითოეულ განზომილებას აქვს რიგი ინდიკატორებისა, რომლებიც გამოიყენება შეფასებისთვის (Estermann & Nokalla, 2009; Estermann, et al 2011; Pruvot & Estermann, 2017). *ორგანიზაციულ ავტონომიაში* იგულისხმება „უნივერსიტეტის უნარი დამოუკიდებლად განსაზღვროს შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა, როგორიცაა აღმასრულებელი ხელმძღვანელობა, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები... შიდა აკადემიური სტრუქტურები“ (European University Association). *ფინანსური ავტონომია* მოიაზრებს უნივერსიტეტის შესაძლებლობას მართოს ფინანსური და არაფინანსური აქტივები, დააწესოს სწავლის გადასახადი და მოიძიოს ფონდები (Jibladze, 2013); ფინანსური ავტონომია უნივერსიტეტის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ასპექტია, რაც პირდაპირ უკავშირდება უნივერსიტეტი შესაძლებლობას განახორციელოს მისი სტრატეგიული მიზნები. *პერსონალის დაქირავების ავტონომია* მოიცავს უნივერსიტეტის უნარს თავისუფლად განსაზღვროს პერსონალის დაქირავების, დაწინაურებისა და სამსახურიდან განთავისუფლები პროცედურები, ანაზღაურების ოდენობა და განაწილების საკითხი (EUA, 2017); ხოლო აკადემიური ავტონომია გულისხმობს როგორც აკადემიურ თავისუფლებას, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უნარს თავად განსაზღვროს საკუთარი სამეცნიერო პროფილი, დანერგოს და განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამები, განსაზღვროს მათი სტრუქტურა, უზრუნველყოს ხარისხი, ა.შ. (Jibladze, 2013; EUA, 2017). ევროპის უნვიერსიტეტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ეს მექანიზმი ბოლონიის პროცესის ავტორთა და მონაწილეთა მიერ შექმნილი მნიშვნელოვანი ინსტუმენტია, რომელიც აღწერს, თუ როგორია დამოკიდებულება უნივერსიტეტსა და სახელმწიფოს შორის და რა დონის ძალაუფლებას ფლობს

სახელმწიფო უნივერსიტეტზე (Jibladze, 2017). ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის 2017 წლის კვლევის ანგარიშში, რომელიც ევროპის 29 ქვეყნის მონაცემებს მოიცავს, განსაკუთრებით ხაზგასმულია უნივერსიტეტების ფინანსური ავტონომიის საკთხი. ანგარიშის თანახმად, ფინანსური კრიზისის გავლენამ ზოგი ქვეყნის შემთხვევაში უნივერსიტეტების ავტონომიის მკვეთრი შემცირება გამოიწვია, რაც მნიშვნელოვან პრობლემადაა აღქმული (Pruvot & Estermann, 2017).

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებს ავტონომიის საკითხს შევხედოთ ბოლონიის მონაწილე არაევროპული უნივერსიტეტების თვალსაზრისითაც. მომდევნო თავი ამ კონტექსტში საქართველოს მდგომარეობას განიხილავს.

საქართველოს შემთხვევა

საქართველოში საგანმანათლებლო სისტემა ეროვნულ დონეზე რეგულირდება, რაც გულისხმობს, რომ მის ფორმას, სტანდარტებსა და წესებს სახელმწიფო, კერძოდ კი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები არეგულირებს. თუმცა აღნიშნული რეგულაციები ეფუძნება ბოლონიის პროცესის მონაწილე ევროპული ქვეყნების გამოცდილებას და ინიციატივებს; შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ისევე გადის ევროპეიზაციის პროცესს, როგორც სხვა სისტემები. თუ ბოლონიის პროცესის კრიტიკოსთან აზრით, ამ პროცესმა უნივერსიტეტების ავტონომიის დე-ევროპეიზაცია გამოიწვია და „ევროპული ფენომენი“ (Moutsios, 2013) ჩარჩოსა და სტანდარტებში მოაქცია, ერთი შეხედვით, საქართველოსნაირი ქვეყნის (ისევე როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების) შემთხვევაში, ბოლონიის პროცესი ცალსახად ქვეყნის ევროპეიზაციის ნაწილად შეიძლება აღვიქვათ, რომელმაც ევროპული სისტემის დანერგვა გამოიწვია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ავტონომიის ევროპეიზაციის საკითხი უფრო კომპლექსური ფენომენია და ევროპული სისტემის ფორმალური დანერგვით არ შემოიფარგლება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ფართო ავტონომიის მინიჭების საკითხი, რაზეც საქართველომ პასუხისმგებლობა აიღო 2005 წელს ბოლონიის პროცესში გაწევრიანებით, რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, სადაც აღნიშნულია, რომ ავტონომია არის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა“ (თავი 1, მუხლი 2ბ). თუმცა, საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი ცხადყოფს, რომ თავადვე კანონში ჩადებული კონკრეტული რეგულაციები, რომლებიც ერთი შეხედვით არ უკავშირდება ავტონომიურობის საკითხს, მთლიანობაში ზღუდავს უნივერსიტეტების ორგანიზაციული ავტონომიას. მათ შორისაა რექტორის არჩევის პროცედურა, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში კონკრეტული კვოტირებების არსებობა და სხვა (Jibladze, 2017).

2012-13 წლებში განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტის (EPPM) მიერ შემუშავდა ე.წ. ჰიპოტეტური მოდელი, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნებოდა უნივერსიტეტის მაღალი ავტონომია ორგანიზაციული, ფინანსური, აკადემიური საქმიანობისა და პერსონალის შერჩევის სფეროებში (ზაალიშვილი, 2013). „ჰიპოტეტური მოდელი“ თავის მხრივ ეფუძნებოდა ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ შექმნილ უნივერსიტეტის ავტონომიის განმსაზღვრელ ინდიკატორებს. EPPM-ის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ორგანიზაციული ავტონომიის თვალსაზრისით, მიუხედავად კანონის მიერ მინიჭებული ფართო ავტონომიისა, უნივერსიტეტების ავტონომია უფრო მეტად ფასადურია და ისინი კვლავაც „ავტორიტარული მართვის პირობებში ფუნქციონირებენ“ (იქვე, გვ. 34). პრობლემები გამოვლინდა ფინანსური ავტონომიის თვალსაზრისითაც. კვლევის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ უნივერსიტეტების სახელმწიფო დაფინანსების მოდელი (ვაუჩერული სისტემა) არამხოლოდ ზღუდავს ავტონომიას, არამედ აფერხებს უნივერსიტეტებს შორის თავისუფალ კონკურენციას. ასევე, ანგარიშის თანახმად, შეზღუდულია

აკადემიური თავისუფლება, რაც გულისხმობს, რომ უნივერსიტეტებს არ აქვთ შესაძლებლობა თავად განსაზღვრონ სწავლების ენა, აბიტურიენტთა შეფასებისა და შერჩევის შესაძლეხლობა (რაც ერთიანი ეროვნული გამოცდებით რეგულირდება), სტუდენტთა რაოდენობები (რასაც ავტორიზაციის სტანდარტები არეგულირებდა), და სხვ., რაც არსებითად ზღუდავს მათ აკადემიური ავტონომიას (იქვე, გვ. 22, 35). აქვე აღსანიშნავია, რომ 2012 წლის EPPM-ის ანგარიშის თანახმად, მაღალი ავტონომიურობა გამოიკვეთა პერსონალის შერჩევისა და დაქირავების მიმართულებით (გვ. 17-22); სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში გარკვეული შეზღუდვები ფიქსირდება სახელფასო განაწილებასთან დაკავშირებით, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ეს შეზღუდვები ფორმალურ ხასიათს ატარებს და არსებით გავლენას ვერ ახდენს უნვიერსიტეტების ფინანსური ავტონომიურობის საკითხზე (გვ. 20).

აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტების ავტონომია საქართველოში საკმაოდ შეზღუდულია, რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება ბოლონიის პროცესის პრინციპებს ამ საკითხთან დაკავშირებით. ამასვე ადასტურებს 2017 წელს გამოქვეყნებული სტატია, სადაც ვკითხულობთ, რომ უნივერსიტეტის მმართველობის დეცენტრალიზაციის მექანიზმები სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზაციული ავტონომიის ზრდად იქნა აღქმული და სინამდვილეში ავტონომია, როგორც ორგანიზაციული, ისევე ფინანსური და აკადემიური, საკმაოდ შეზღუდულია (Jibladze, 2017).

როგორც ნაშრომის დასაწყისშია აღნიშნული, ავტონომიის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ხარისხის უზრუნევლყოფასთან, რაც საქართველოს შემთხვევაში მიბმულია სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტების დაფინანსების მექანიზმებთან და პირდაპირ აისახება უნივერსიტეტების ფინანსურ ავტონომიაზე. ამ ფაქტის გათვალისწინებით, წინამდებარე თავები საქართველოს საგანამანათლებლო სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს მიმოიხილავს.

ხარისხის უზრუნველყოფა - თეორიული მიმოხილვა

ხარისხის უზრუნველყოფა ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განზომილებაა, რომელიც ხაზგასმულია არა მხოლოდ სხვადასხვა კომუნიკესა და ბოლონიის ნორმატიულ დოკუმენტებში, არამედ თავად ბოლონიის დეკლარაციაშიც (Bologna Declaration, 1999). ბერლინის კომუნიკეს (2009) თანახმად, პროცესში მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, „ხელი შეუწყონ ხარისხის განვითარებას ინსტიტუციურ, ეროვნულ და ევროპულ დონეებზე“ (გვ. 2). თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ ხარისხზე პასუხისმგებელი თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია. ამაში იგულისხმება ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით რეფორმების განხორციელება რამდენიმე მიმართულებით: ა) უნივერსიტეტების მიერ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის აღება, რაც მოიცავს უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შექმნას (Berlin Communique, 2003); ბ) ევროპული თანამშრომლობის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის მაღალი სტანდარტების დანერგვა კვალიფიკაციების შედარების მიზნით, რაც მოიცავს უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია-სერტიფიცირებას (Prague Communique, 2001, Berlin Communique, 2003); გ) აკადემიური პროგრამების შიდა (უნივერსიტეტის მიერ დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსებით, სტუდენტებისა და პროფესორების საშუალებით ჩატარებული შეფასება) და გარე შეფასების (დამოუკიდებელი გარე შეფასება, რომელშიც მონაწილეობენ უცხოელი ან/და ადგილობრივი მოწვეული ექსპერტები, ე.წ. peer-review) მექანიზმების დანერგვა-განვითარება (Berlin Communique, 2003).

ევროპულ დონეზე ხარისხის განვითარების ხელშეწყობა კონკრეტული სტანდარტებისა და მექანიზმების შემუშავებას გულისხმობს, რაც რამდენიმე ევროპულ ორგანიზაციას დაევალა: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციას (ENQA), ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციას (EUA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულ ასოციაციას (EURASHE), ევროპის სტუდენტების ეროვნულ კავშირებს (ESIB).

ეროვნულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოების ჩამოყალიბებას (იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას მსგავსი სტრუქტურა არ გააჩნდა) ან მოდერნიზებას (არსებული სააგენტოს ჰარმონიზებას ახალი სტანდარტების მიხედვით) (Aelterman, 2007). საუნივერსიტეტო დონეზე კი იგულისხმება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით სტრუქტურული ერთეულის შექმნა/მოდერნიზება, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა უნივერსიტეტს შიგნით ხარისხის მონიტორინგსა და პერფორმანსზე, ან ამ ფუნქციის „აუთსორსინგი" მოწვეული სააგენტოების/ექსპერტების ხარჯზე (Schmidt,2007).

საქართველოს შემთხვევა

საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანოა ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი, რომელიც იურიდიულად დამოუკიდებელი ერთეულია, თუმცა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ) წარმოადგენს. ცენტრის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს განათლების მინისტრი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 89/ნ, 14/09/2010), რაც მიგვანიშნებს, რომ ცენტრს შეზღუდული აქვს ავტონომიურობა და არა მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით არის ანგარიშვალდებული განათლების სამინისტროს მიმართ, არამედ უშუალოდ განათლების მინისტრს ექვემდებარება. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების დამოუკიდებლობა ხაზგასმულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სტანდარტებში, რომლის თანახმადაც, მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის ცენტრს ფორმალურად, საკანონმდებლო დონეზე აღიარებული სტატუსი უნდა ჰქონდეს, მის გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებზე გავლენას არ უნდა ახდენდეს რომელიმე აქტორი: უმაღლესი განათლების დაწესებულება, სამინისტრო ან სხვა დაინტერესებული ორგანო/პირი (Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), 2009, 3.6).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ცენტრალური ადგილი უჭირავს ქვეყანაში ხარისხის განვითარების თვალსაზრისით. მისი უმთავრესი მიზანია „საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, გარე მექანიზმების განხორციელება და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა“ (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი). შესაბამისად, მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა სახელმწიფო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განხორციელება. ამისთვის ცენტრს შემუშავებული აქვს კონკრეტული მექანიზმები, რომელთა შესრულება-არშესრულების მიხედვით ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის, ხოლო მათი პროგრამებისთვის - აკრედიტაციის მინიჭება. აკადემიური პროგრამების აკრედიტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღება სწორედ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზეა დამოკიდებული (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თავი 10, მუხლი 63, პუნქტი 3). ეს ურთიერთკავშირი სახელმწიფო სასწავლო გრანტების გაცემასა (რაც სახელმწიფოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების ერთადერთ მექანიზმს წარმოადგენს) და აკრედიტაციას შორის უარყოფითად ფასდება განათლების ექსპერტების მიერ, რადგან, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელს უწყობს აკრედიტაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის ფორმალური ხასიათის ჩამოყალიბებასა და სწავლების ხარისხის დაწევას (დარჩია, 2013; ბაქრაძე, 2013). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უნივერსიტეტებისთვის ეროვნული ცენტრის საკვანძო მნიშვნელობისა და სამინისტროსთვის მისი დაქვემდებარების გათვალისწინებით, ეს ცენტრი, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის შესაზღუდად, რაც ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია (ENQA, 2009).

რაც შეეხება თავად უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების არსებობას, ეს საქართველოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ამავე კანონში მოხსენიებულია, როგორც უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი ორგანო (მუხლი15, პუნქტი2). ხოლო 25-ე მუხლში დეტალურად არის გაწერილი უმაღლესი განათლების დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს დებულება მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ანუ სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ეხება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პირველ რიგში, პასუხს აგებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სახელმწიფო სტანდარტების დაკმაყოფილებაზე და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ანგარიშგებაზე; თუმცა მათ ფუნქციებში ასევე შედის აკადემიური პერსონალის შეფასება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, სტუდენტების მობილობა და კრედიტების აღიარება და ა.შ. (ჯავახიშვილი და სხვ., 2010).

ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბერლინის კომუნიკეზე (2003) დაყრდნობით ENQA-მ შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისთვის (2009). დოკუმენტი განმარტავს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების სტანდარტებსა და მექანიზმებს, ასევე მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრების სახელმძღვანელო პრინციპებსაც. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, შიდა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ სტანდარტებს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების სამუშაო წესებისა და პრინციპების არსებობა, რაც ასევე მოიცავს ხარისხის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას; აკადემიური პროგრამების სისტემატური შეფასება და მონიტორინგი - ამისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კონკრეტული

ფორმალური მექანიზმები უნდა ჰქონდეთ შემუშავებული, როგორიცაა სტუდენტების ყოველწლიური რაოდენობრივი და თვისებრივი გამოკითხვები სწავლით, საგანმანათლებლო რესურსებით, სასწავლო გარემოთი და მომსახურებით კმაყოფილების შესახებ, სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები, პოტენციური დამსაქმებლების შეხედულებები კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესახებ, პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის კურსდამთავრებულთა რაოდენობასთან შეფარდების ყოველწლიური მაჩვენებლები და ა.შ; სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასება, რისთვისაც ასევე უნდა არსებობდეს კონკრეტული, ცხადად გაწერილი კრიტერიუმები და რეგულაციები: სტუდენტები ინფორმირებულები უნდა იყვნენ იმის შესახებ, თუ რა კომპონენტებისგან შედგება მათი შეფასება, რა მექანიზმებით ფასდებიან ისინი, რამდენად ადეკვატურად ხდება მათი შეფასება, რა კონკრეტული პროცედურები არსებობს უნივერსიტეტში ტესტის/გამოცდის გაცდენის შემთხვევაში და ა.შ.; აკადემიური პერსონალის შეფასება, მათი კვალიფიკაციისა და აკადემიური საქმიანობის პერმანენტული მონიტორინგი; სასწავლო რესურსები და სტუდენტების დახმარება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ბიბლიოთეკებისა და კომპიუტერული კლასების არსებობას, არამედ ტუტორების, კონსულტანტებისა და მრჩევლების დახმარებას; საინფორმაციო სისტემები, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტებს, შეაგროვონ და გააანალიზონ საკუთარი მონაცემები სწავლების, კვლევისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით; ინფორმაციის გასაჯაროება, რაც გულისხმობს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის.

რაც შეეხება შეფასების გარე მექანიზმებს, EQNA-ს სახელმძღვანელოს თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი განსხვავდება საგანმანათლებლო სისტემების მიხედვით და შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის ინსტიტუციურ შეფასებას, პროგრამულ შეფასებას, აკრედიტაციას ან ყველა ამ მექანიზმის ერთობლიობას. აქვე აღნიშნულია, რომ გარე შეფასების ინტენსიურობა და ხასიათი უნდა ეფუძნებოდეს შიდა მექანიზმების

ეფექტიანობას (Part 2, Standard 2.1, ESG, 2009). აქვე აღსანიშნავია ამ დოკუმენტის 2.4 სტანდარტი, რომლის თანახმად, წინასწარ უნდა განისაზღვროს, თუ რას ემსახურება გარე შეფასება. შეფასების მიზნის განსაზღვრაზეა დამოკიდებული კონკრეტული მექანიზმებისა და ინდიკატორების შემუშავება. თუმცა აქვე ხაზგასმულია, რომ გარე შეფასების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი პრინციპები: კომპეტენტური და კვალიფიციური შემფასებელი ექსპერტები, ექსპერტების შერჩევის ნათელი კრიტერიუმები, ექსპერტების ინფორმირება/ტრენინგი შეფასების მიზნებისა და სხვადასხვა პროცედურების შესახებ, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა, სტუდენტების მონაწილეობა, შეფასების პროცედურების ეფექტურობა ადეკვატური დასკვნების გასაკეთებლად, თვითშეფასება და ადგილზე განხორციელებული ვიზიტები, აგრეთვე ინსტიტუციური განვითარების, როგორც ხარისხის განვითარების ფუნდამენტური ელემენტის, მნიშვნელობის აღიარება.

აკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრმა 2016 წლის ივნის-ივლისში ჩაატარა კვლევა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისში მდებარე ექვსი უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. ინტერვიუებში გამოიკვეთა ორი ძირითადი ტენდენცია: ერთი მხრივ, პროგრამული აკრედიტაცია ფასდება სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ ერთადერთ ქმედით მექანიზმად იმისთვის, რომ უნივერსიტეტებმა საქართველოში თავიანთი სასწავლო პროგრამების ხარისხზე იზრუნონ; მეორე მხრივ, აკრედიტაცია აღიქმება, როგორც ერთგვარი „სადამსჯელო ოპერაცია“ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისთვის.

> *„თვითონ ეს ეროვნული სააკრედიტაციო ცენტრი, ჩვენი ზოგადი წარმოდგენით, არის სადამსჯელო ორგანიზაცია, რომელიც იწუნებს და ჩეხავს პროგრამებს“. (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)*

> *„უნივერსიტეტი მხოლოდ შემსრულებლის როლშია და შეშინებულია, რომ პრობლემა არ შეექმნას აკრედიტაციასთან და ავტორიზაციასთან დაკავშირებით“. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)*

„ძალიან ბევრი უნივერსიტეტი გაჩნდა საქართველოში და განათლების სამინისტრო ცდილობს, დატოვოს მაღალი ხარისხის უნივერსიტეტები. ამიტომ ხდება პროგრამების შემოწმება და მე ამას ვეთანხმები. რა თქმა უნდა, არის ბიუროკრატიული მომენტებიც“. (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევის მონაწილეების გარკვეული ნაწილი ლაპარაკობს პროგრამული აკრედიტაციის იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც დაკავშირებულია აკრედიტაციის პროცესში მხოლოდ ფორმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილებასთან. პროგრამული აკრედიტაციის ეროვნული სტანდარტები საკმაოდ ზოგადი და შაბლონურია, ძირითადად ორიენტირებულიადოკუმენტების სტრუქტურულ ორგანიზაციაზე (სილაბუსის ინსტრუქციის მიხედვით გაწერა, აკადემიური საათებისა და კრედიტების სწორად განაწილება) და ნაკლები ყურადღება ექცევა პროგრამის შინაარსობრივ მხარეს, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების შეფასებას, რაც პირდაპირ კავშირშია აკადემიური პროგრამის ხარისხთან.

„აკადემიური პროგრამის ხარისხის შემოწმება ხშირად დაყვანილია ფორმალურ შემოწმებამდე - სილაბუსების შემოწმება, Check list-ის შევსება, გიწერია თუ არა მიზნები და ა.შ.“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„ჩვენ სხვადასხვანაირად გვესმის ხარისხი: აკრედიტაციის ცენტრს ეს ესმის, თუ როგორ მოდის შესაბამისობაში ჩვენ მიერ შევსებული ფორმები ფურცელზე დაწერილ წესებთან და არანაირი კავშირი ამას არ აქვს ნამდვილ ხარისხთან. ჩემი აზრით, ხარისხი იზომება სტუდენტის წარმატებით, რომელიც ამ უნივერსიტეტს ამთავრებს, რასთანაც არანაირი კავშირი არ აქვს ხოლმე აკრედიტაციის პროცედურას. აკრედიტაცია არის ბიუროკრატიული, წერტილ-მძიმეზე ორიენტირებული და თურმე ამას ვეძახით ხარისხს“. (თავისუფალი უნივერსიტეტი)

„ჩემი აზრით, საკმაოდ ზერელეა ეროვნული პროგრამული აკრედიტაცია. არის ხოლმე სიტუაციები, რომ ძალიან ხანმოკლე დროით მოდიან ექსპერტები, რაც, ჩემი აზრით, არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ პროგრამა რეალურად შეისწავლო და, შესაბამისად, მერე ინფორმირებული დასკვნა გააკეთო; არ არის საკმარისი, ორი-სამი სილაბუსის გადახედვის საფუძველზე რაღაც დასკვნა დაწერო პროგრამასთან დაკავშირებით“. (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

გარდა ამისა, მხოლოდ საქართველოში, ადგილობრივად განხორციელებული და არა საერთაშორისო სააგენტოს მიერ გაცემული პროგრამული აკრედიტაცია საეჭვოს ხდის ამ პროცედურების ეფექტიანობას. ეროვნული აკრედიტაციის პრობლემა დაკავშირებულია ადამიანური რესურსის (აკრედიტაციაში ჩართული სპეციალისტების) სიმწირესთან და მათ კვალიფიკაციასთან. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში დარგობრივი სამეცნიერო წრეები საკმაოდ ვიწროა, პროგრამული აკრედიტაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტისა და მიკერძოებული შეფასების რეალური საფრხე წარმოიშობა. ეს გარემოება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია იმისთვის, რომ საერთაშორისო სააგენტოების მიერ გაცემული აკრედიტაციის აუცილებლობა ეროვნული განათლების პოლიტიკის დღის წესრიგში დადგეს.

„ჩემი აზრით, საქართველოში გაცილებით მეტი უნივერსიტეტია, ვიდრე ამას ქართული რესურსი ფარავს. ამიტომ ერთი და იგივე ლექტორი შეიძლება ნახოთ ბევრ უნივერსიტეტში. ასევე, აკადემიური პროგრამების შემმოწმებელი იგივე ხალხია, ვინც ამ პროგრამას წერს“. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„[დასახელებულია დისციპლინა] რამდენი ადამიანია, ვინც აქტიურად არის ამ პროცესში ჩართული და ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. ამიტომ ძალიან რთულია, რომ გამორიცხო სუბიექტური ფაქტორები აკრედიტაციის პროცესისგან“. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„პირველ წლებში, 2011 წელს იყო სიტუაციები, როცა ექსპერტები, რომლებიც პროგრამას აფასებდნენ, არ იყვნენ დარგის სპეციალისტები. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კომპეტენცია, რამდენად სწორი დასკვნები დადეს“. (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

აკრედიტაციის ნაკლოვანებებს შორის სახელდება თავად აკრედიტაციის პრინციპებიც, როგორიცაა, მაგალითად, პროგრამის აკადემიური პერსონალის შეფასების წესები. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობის და არა ხარისხის მიხედვით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის სტანდარტებში არაფერია ნათქვამი, თუ კონკრეტულად რა რაოდენობის ან როგორი ნაშრომის (საერთაშორისო რეფერირებადი ან იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალები, ადგილობრივი რეფერირებადი თუ არარეფერირებადი ჟურნალები და ა.შ.) გამოქვეყნება მოეთხოვება აკადემიურ პერსონალს. სტანდარტში აღნიშნულია, რომ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დგინდება მისი აქტიური სამეცნიერო საქმიანობით ბოლო ათი წლის განმავლობაში (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, 4.2,), თუმცა დაკონკრეტებული არ არის, როგორი სამეცნიერო აქტიურობა მიიჩნევა დამაკმაყოფილებლად. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის შეფასება კონკრეტული ექსპერტის სუბიექტურ აზრზეა დამოკიდებული, ან პერსონალის კომპეტენტურობის შეფასება მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურად ხორციელდება, შინაარსისა და ხარისხის შეფასების გარეშე.

„ერთია, რომ პუბლიკაციები აქვს „ჭ“ ჟურნალში, რაც საქართველოში გამოიცემა, ასი სტატია და მეორე, როცა რეფერირებად, აღირებულ საერთაშორისო ჟურნალში -ერთი სტატია, ეს ერთი მე უფრო წონიანად მიმაჩნია, ვიდრე სადღაც გამოქვეყნებული ასი სტატია“. (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ეროვნულ აკრედიტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება 2011 წელს ჩატარებული კვლევა „ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა“, სადაც კონკრეტული რეკომენდაციებია გაწერილი ამ ფორმალობის აღმოსაფხვრელად. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს დაიწყო ეროვნული აკრედიტაციის ცენტრის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, ახალი პრინციპების ჩამოყალიბება, რაც რეფორმის „ქვემოდან ზემოთ“ განხორციელების ერთგვარი მცდელობა იყო. ამ პროცესის ფარგლებში შეიქმნა დამოუკიდებელი დარგობრივი ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და განათლების ექსპერტებისგან. ჯგუფებს დაევალათ სტანდარტების განახლება და აკრედიტაციის ახალი პროცედურების გაწერა. ახალი სტანდარტის ფუნდამენტურ ცვლილებას წარმოადგენს პირობითი პროგრამული აკრედიტაციის დანერგვა, რომელიც კონკრეტულ ვადას, 2 წელს აძლევს პროგრამას ხარვეზის აღმოსაფხვრელად (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 22, პუნტი 2, 3).

ეროვნული პროგრამული აკრედიტაციის პროცესის ნაკლოვანებებზე მიუთითებს 2016 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ეფექტიანობის ანგარიშიც. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აკრედიტაციის პროცესის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ აკრედიტაციის სტანდარტებს არ აქვს შეფასების ცხადი და გაზომვადი ინდიკატორები, რაც, ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფს სტანდარტის დაკმაყოფილების შეფასებას აკრედიტაციის ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს წევრების მიერ (ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2016). ანგარიშში პირდაპირ არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქართული უსდ-ების 80% სტანდარტთან შესაბამისობის დასამტკიცებლად სრულიად არარელევანტურ მტკიცებულებებს წარადგენს, რომელსაც, თავის მხრივ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს, როგორც ოფიციალურ დოკუმენტს

(იქვე, გვ. 29). სახელმწიფო აუდიტის ანგარიში აკრედიტაციის პროცესის სხვა ისეთ დარღვევებსაც ასაჯაროებს, როგორიცაა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის სიმცირე და შესაფასებელ დარგთან მათი პროფესიული შეუსაბამობა (აკადემიური პროგრამების აკრედიტაციის ვიზიტების 29%-ის შემთხვევაში), დროის სიმცირე ექსპერტების უსდ-ში ვიზიტისას (მინიმალურ 5 დღეზე ნაკლები), რაც, ფაქტობრივად, პროგრამის ადეკვატური შეფასების შესაძლებლობას გამორიცხავს (იქვე, გვ. 5).

აკრედიტაციასთან დაკავშირებული დარღვევებისა და პრობლემების აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია პროგრამული აკრედიტაციის ინტერნაციონალიზაცია, უფრო ზუსტად კი საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა აღნიშნულ პროცესში, რაც სახელმწიფოს განათლების განვითარების სტრატეგიის ნაწილსაც წარმოადგენს (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020). ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში, რომელიც ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის ფუნქციონირებას აფასებს პროგრამული აკრედიტაციის თვალსაზრისით, მოხსენიებულია წარმატებული შემთხვევა, როდესაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში „ადიქციის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას საერთაშორისო თანამშრომლობამ (USAID, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს - CDA, წამლებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ევროპულ ცენტრსა - EMCDDA და ჩარლზის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით) დადებითი გავლენა მოახდინა აკრედიტაციის პროცესზე: უნივერსიტეტმა სრულად და ეფექტიანად წარმოადგინა აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც ზოგადად აკრედიტაციის პროცესის სერიოზული პრობლემაა საქართველოში (ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2016). აკრედიტაციის პროცესის ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთი თვალსაჩინოებაა 2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამის - „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ - აკრედიტაცია, რომელიც საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების

აკრედიტაციის ფონდის (Foundation for International Business Administration Accreditation – FIBAA) მიერ გაიცა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015).

თუმცა ზემოხსენებულ ორ შემთხვევას შორის ფუნდამენტური განსხვავებაა: მართალია, პირველ შემთხვევაში აკრედიტაციის პროცესში საერთაშორისო კომპონენტი ჩართული იყო (საერთაშორისო სტანდარტებისა და ინდიკატორების გამოყენება, უცხოელი ექსპერტების ჩართვა და ა.შ.), თავად აკრედიტაციის დასტური ეროვნული ცენტრის მიერ გაიცა. მეორე შემთხვევაში კი აკრედიტაცია არა ეროვნული ცენტრის, არამედ აკრედიტაციის საერთაშორისო სააგენტოს მიერ განხორციელდა. ეს უკანასკნელი საკმაოდ რთული პროცესია, ვინაიდან მოითხოვს დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს: პროგრამის, მისი სილაბუსების, სხვა თანმდევი დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე თარგმნა-წარდგენას, საერთაშორისო აკრედიტაციის საფასურის გადახდას, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ეროვნული ცენტრის საფასურს და ა.შ. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სააგენტოს მიერ გაცემული აკრედიტაცია ან თუნდაც აკრედიტაციის პროცესში ინტერნაციონალიზიის კომპონენტის ჩართვა მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული პრობლემების თავიდან ასაცილებლად და განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხარისხის უზრუნველყოფის ერთადერთი გარე მექანიზმი საქართველოს უსდ-ებში აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცესია, რომელსაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კურირებს. შიდა შეფასების კომპონენტს კი მხოლოდ ყოველწლიური პროგრამული თვითშეფასების ანგარიშები წარმოადგენს, რომლებიც ასევე ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესთანაა დაკავშირებული: აკრედიტაცია, როგორც შეფასების გარე მექანიზმი, უსდ-ს მიერ მოწოდებული პროგრამული თვითშეფასების ანგარიშების ნამდვილობას და სტანდარტებთან შესაბამისობას ადასტურებს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი).

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევის სამიზნე უნივერსიტეტებიდან მიღებული რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, შიდა შეფასებას პროგრამული

თვითშეფასების ანგარიშების მომზადების გზით ყველა სამიზნე უნივერსიტეტი ახორციელებს. შიდა თვითშეფასების წელიწადში ერთხელ განხორციელება აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ უსდ-ებისთვის დაკისრებული პირდაპირი ვალდებულებაა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/ნ, 04/05/2011) და აკრედიტებულ პროგრამაში ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების ფორმალურ აღწერას წარმოადგენს (ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, 2016). გარდა სავალდებულო ყოველწლიური შიდა თვითშეფასებისა, საქართველოში მოქმედ უსდ-ებს ხარისხის უზრუნველყოფა ევალებათ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის სისტემატური შეფასების გზით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტში დასაქმებული პირები და თავად სტუდენტები და რომლის შედეგებიც საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 25, პუნქტი 1). ჩვენი კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა) შიდა შეფასების პროცედურას 1995 წლიდან ახორციელებს, თავისუფალი უნივერსიტეტი - 2005 წლიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტი - 2007 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - 2011 წლიდან.შიდა შეფასებაში მონაწილეობენ როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ისე სტუდენტები. სავალდებულო პროგრამული თვითშეფასების გარდა, თითქმის ყველა უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ისეთ შიდა მექანიზმებს, როგორებიცაა: სტუდენტების საუნივერსიტეტო გარემოთი და სწავლების ხარისხით კმაყოფილების კვლევა, კონკრეტული სასწავლო კურსითა და აკადემიური პერსონალით კმაყოფილების კვლევა, დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა და სხვ. თუმცა აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილე უსდ-ების ოფიციალურ ვებგვერდებზე ინფორმაცია ჩატარებულ კვლევებსა და კვლევის შედეგებზე საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. ასევე, სადავოა, რამდენად სისტემატურად ტარდება ზემოხსენებული ტიპის შიდასაუნივერსიტეტო კვლევები და რამდენად სწორად არის განსაზღვრული

ხარისხის შესაფასებელი კრიტერიუმები. ცალკე განხილვის თემაა, თუ რამდენად/როგორ ხდება მიღებულ შედეგებზე რეაგირება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და, ზოგადად, რა გავლენა აქვს მსგავსი ტიპის შეფასებებს განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ სახელმწიფო აუდიტის (2016) ანგარიშის თანახმად, კვლევის სამიზნე სახელმწიფო უნივერსიტეტებში წლების განმავლობაში სტუდენტების მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემებზე რეაგირება არ ხდება და შესაბამისად, „საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას არ აქვს ქმედითი და სისტემური ხასიათი“ (გვ. 47).

რაც შეეხება ხარისხის გარე შეფასებას, კვლევაში მონაწილე უსდ-ების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შემთხვევაში გარე შეფასება მხოლოდ სავალდებულო აკრედიტაცია-ავტორიზაციის პროცედურებით შემოიფარგლება. დანარჩენი უნივერსიტეტების შემთხვევაში (თსუ, თავისუფალი უნივერსიტეტი და ილიაუნი), რომლებიც აცხადებენ, რომ გარე შეფასებას საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით ახორციელებენ, ვერ აკონკრეტებენ იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება ზემოხსენებული შეფასება. ასევე ბუნდოვანია, რა სიხშირით (რამდენ ხანში ერთხელ) აკეთებენ ეს უნივერსიტეტები ხარისხის გარე საერთაშორისო შეფასებას. მაგალითად, თსუ აცხადებს, რომ დამოუკიდებელ გარე შეფასებას 2010 წლიდან ახორციელებს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით; თავისუფალი უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ გარე შეფასება 2005-2011 წლებში განახორციელა საერთაშორისო დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის, კერძოდ კი, „დინამიკურ საზოგადოებებში მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის“ (International Association for Management Development in Dynamic Societies (CEEMAN IQA)) ჩართულობით. გარდა სტუდენტებისა და პერსონალისა, აღნიშნულ შეფასებაში მონაწილეობა მიიღო დამსაქმებელთა ჯგუფმაც, თუმცა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები ჩვენთვის უცნობია; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გარე შეფასება

ხორციელდება 2014 წლიდან და ფასდება მხოლოდ აკადემიური პროგრამები, მათი კურიკულუმები და არა მთლიანად უნივერსიტეტი. რაც შეეხება საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (ჯიპა), გარე შეფასება ხორციელდება 2005 წლიდან, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, თუმცა ადგილობრივ დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შეფასებაში მონაწილეობენ სტუდენტები, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. თავად შეფასების კრიტერიუმებად მითითებულია შეფასების ისეთი ზოგადი კრიტერიუმები, როგორებიცაა შეფასებაში მონაწილე სუბიექტების განწყობები, დამოკიდებულებები, უნივერსიტეტის არჩევის კრიტერიუმები, მოტივატორები და ბარიერები.

ცხადად ჩანს, რომ, თუ არ ჩავთვლით სახელმწიფოს მიერ დაწესებული აკრედიტაციის (და ავტორიზაციის) პროცედურას, კვლევის სამიზნე უნივერსიტეტებში ხარისხის შიდა და გარე შეფასება არასისტემატურად და არასტრუქტურირებულად ხორციელდება. აღნიშნული სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვინაიდან, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სტანდარტებისა და კრიტერიუმების მიხედვით, ხარისხის შეფასება დინამიკურ პროცესს უნდა წარმოადგენდეს და არა ერთჯერადად განხორციელებულ აქტივობას, ხოლო შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ანგარიშები ღიად ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისთვის (ENQA, 2009).

დასკვნა

როგორც ზემოთ მოცემული მიმოხილვიდან ვხედავთ, მიუხედავად არსებული კრიტიკისა, ბოლონიის პროცესი საქართველოსნაირი ქვეყნებისთვის ცალსახად შეგვიძლია განიხილება უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ევროპეიზაციად: პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში, რომლის საგანმანათლებლო სისტემა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2005 წლამდე (ბოლონიის პროცესთან მიერთებამდე) ქაოტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ევროპული საგანმანათლებლო სისტემა დაინერგა, შემუშვდა ახალი კურიკულუმები, ამუშავდა კრედიტების გაცვლის მექანიზმები, რამაც ხელი შეუწყო ევროპულ ქვეყნებში სტუდენტებისა, პროფესურისა და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას, შეიქმნა ხარისხის მართვის სახელმწიფო ორგანო, უნივერსიტეტებში შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, როგორც უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი სტრუქტურული ორგანო, შემოვიდა აკრედიტაცია-ავტორიზაციის პრინციპები და შემუშავდა შესაბამისი მექანიზმები, შეიცვალა უნივერსიტეტის მმართველობის სტრუქტურები, და სახელმწიფომ პასუხისმგებლობა აიღო უნივერსიტეტებისთვის ფართო ავტონომიის მინიჭების შესახებ.

მიუხედავად ამისა, დღემდე სერიოზული პრობლემები იკვეთება ბოლონიის პროცესის რეფორმების დანერგვის თვალსაზრისით. არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ რეფორმები მეტწილად ფორმალურად დაინერგა, ხოლო შინაარსზე მან გავლენა ვერ მოახდინა, ანუ განათლების ევროპეიზაცია მხოლოდ ნორმატიულ დონეზე განხორციელდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების ავტონომიის თვალსაზრისით. როგორც წინა თავებში განვიხილეთ, საქართველოში უნივერსიტეტებს რეალური ავტონომია არ აქვთ ოთხიდან სამ პარამეტრში (ორგანიზაციული, ფინანსური, აკადემიური), ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კი, რომლებიც პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტის აკადემიურ და ფინანსურ ავტონომიასთან, საუნივერსიტეტო სივრცის მიერ აღქმულია, როგორც სახლემწიფოს მხრიდან თავს მოხვეული რეგულაციები. შესაბამისად, ეს პროცესი ფორმალურ დონეზე მიმდინარეობს და

არსებით გავლენას ვერ ახდენს აკადემიური ხარისხის განვითარებაზე. შესაბამისად, ნაცვლად ავტონომიის უზრუნველყოფისა, ეს მექანიზმები მისი შეზღუდვისკენ უფროა მიმართული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის ავტონომიის ევროპეიზაციის ნაცვლად, რაც უსდ-სთვის მაღალი ავტონომიის მინიჭებაში გამოიხატებოდა, საქართველოში საქმე გვაქვს მხოლოდ ფასადურ ევროპეიზაციასთან. უნივერსიტეტების მმართველობა და ფინანსები დამოკიდებულია სახელმწიფოზე, რაც უნივერსიტეტის ავტონომიი დე-ევროპეიზაციას იწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაქრაძე, ლ. (2013). სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია. *უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით.* განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი. ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/0B9RC0lzxlY4ZMDZtLTl6QVhlcVU/view

დარჩია, ი. (2009). *მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.* გზამკვლევი. თბილისი. ხელმისაწვდომია: http://erasmusplus.org.ge/files/publications/Guide%20ULLL%20-%20ge.pdf

ზაალიშვილი, თ. (2013). უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება. *უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით.* თბილისი: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტი.

ლეჟავა, დ., ამაშუკელი, მ. (2016). *ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 89/ნ, 14/09/2010. ხელმისაწვდომია: http://eqe.gov.ge/res/docs/89n_17.03.pdf

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. (2016). სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ხელმისაწვდომია: http://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2016/Umaglesi-ganatlebis-xarisxi.pdf

ჯავახიშვილი, ნ., ჭაბუკიანი, ნ., ჯავახიშვილი, მ., გოგსაძე, ს., მაკარაძე, მ. (2010). *ხარისხის გაუმჯობესების მდგომარეობა საქართველოში - მიღწევები და პრობლემები.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხელმისაწვდომია: http://erasmusplus.org.ge/files/publications/Quality%20Enhancement%20-%20Case%20of%20Georgia%20-%20ge.pdf

Aelterman, G., (2007, February). The Role of the National Levels referring to Quality Assurance Institutions. *The Quality Assurance System for Higher Education at European and National Level.* Bologna Seminar. Berlin. Retrieved from https://www.hrk.de/fileadmin/redaktion/hrk/02-Dokumente/02-10-Publikationsdatenbank/Beitr-2007-13_Quality_Assurance_System_for_HE.pdf

Berg, C., (1993). University Autonomy and Quality Assurance. *Higher Education in Europe (18)*3, 18-26.

Dobbins, M. (2017). Convergent or Divergent Europeanization? An Analysis of Higher Education Governance Reforms in France and Italy. *International Review of Administrative Sciences*, *83*(1), 177–199. DOI: 10.1177/0020852315580498

Estermann, T., Nokalla, T. (2009). *University Autonomy in Europe I. Exploratory Study.* Brussels: European University Association. Retrieved from: http://www.rkrs.si/gradiva/dokumenti/EUA_Autonomy_Report_Final.pdf

Estermann, T., Nokalla, T., Steinel, M. (2011). *Unviersity Autonomy in Europe II. The Scorecard*. European University Association. Retreieved from: http://www.eua.be/Libraries/publications/University_Autonomy_in_Europe_II_-_The_Scorecard.pdf?sfvrsn=2

Jibladze, E. (2013). University Autonomy – Yet Another State Requirement. Analysis of Decentralization Efforts in Higher Education of Georgia. *Caucasus Social Science*

Review, 1(1). Retrieved from http://openjournals.gela.org.ge/index.php/CSSR/article/view/212

Jibladze, E. (2017). Reforms for the external legitimacy in the post Rose Revolution Georgia. Case of university autonomy. *Hungarian Educational Research Journal, 7*(1), 7-27, DOI: 10.14413/herj.2017.01.02.

Moutsios, S. (2013). The De-Europeanization of the University under the Bologna Process. *Thesis Eleven, 119*(1), 22–46. DOI: 10.1177/0725513613512198

Nokkala, T., Bacevic, J. (2014). University Autonomy, Agenda Setting and the Construction of Agency: the case of the European University Association in the European Higher Education Area. *European Educational Research Journal, 13*(6), 699-714.

Pechar, H. (2012). The Decline of an Academic Oligarchy. The Bologna Process and 'Humboldt's Last Warriors' in Curaj, A., Scott, P., Vlasceanu, L., Wilson, L. (2012). *European Higher Education at the Crossroads. Between the Bologna Process and National Reforms.* Dordrecht: Springer.

Pruvot, E. B., Estermann, T. (2017). *University Autonomy in European III. The Scorecard.* Brussels: European University Association. Retrieved from: http://www.eua.be/Libraries/publications/University-Autonomy-in-Europe-2017

Realising the European Higher Education Area. (2003). Communiqué of the Conference of Ministers Responsible for Higher Education, Berlin

Schmidt, U., (2007, February). *Requirements for a System of internal Quality Assurance in Higher Education Institutions.* The Quality Assurance System for Higher Education at European and National Level Bologna Seminar. Berlin. Retrieved from https://www.hrk.de/fileadmin/redaktion/hrk/02-Dokumente/02-10-Publikationsdatenbank/Beitr-2007-13_Quality_Assurance_System_for_HE.pdf

Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area. (2009). European Association for Quality Assurance in Higher Education. Retrieved from: http://www.enqa.eu/wp-content/uploads/2013/06/ESG_3edition-2.pdf

The Bologna Declaration. (1999). Joint Declaration of the European Ministers of Education.

The Bologna Process 2020 - The European Higher Education Area in the new decade. (2009). Communiqué of the Conference of European Ministers Responsible for Higher Education, Leuven and Louvain-la-Neuve.

The European Higher Education Area - Achieving the Goals. (2005). Communiqué of the Conference of European Ministers Responsible for Higher Education, Bergen.

Yerevan Communiqué. (2015). EHEA Ministerial Conference Yerevan.

Zgaga, P. (2010). *The Development of a Standard-Setting Instrument on Academic Freedom and Institutional Autonomy: The Role of Public Authorities.* Paper present at the 9th plenary session of the Steering Committee for Higher Education and Research (CDESR), Strasbourg.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაცია

I სემესტრის დოქტორანტი

მანონ ბოკუჩავა

სადოქტორო სემინარი

მასობრივი კომუნიკაცია და კიბერსაფრთხეები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ტორაძე

თბილისი

2018

მასობრივი კომუნიკაცია და კიბერსაფრთხეები

საფრთხე, რომელიც არ სცნობს გეოგრაფიულ საზღვრებს - ყველაზე ხშირად, სწორედ, ასე მოიხსენიებენ კიბერთავდასხმებს. დღეს, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები და სახელმწიფოების, თითქმის ყველა, სტარტეგიული ობიექტი იმართება კიბერსამყაროს ახალი ტექნოლოგიებით. ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი კი, მიღწევასთან ერთად, ქმნის უზომოდ დიდ დამოკიდებულებას მათზე - საფრთხეც აქვეა. კონფლიქტური ქვეყნები და რეგიონები, ხშირად, ნაღმებზე ეფექტურად კიბერთავდასხმებს იყენებენ. აზიანებენ ერთმანეთის ელექტროკომუნიკაციებს, ტეხავენ მედიაორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების ოფიციალურ ვებგვერდებს - აფერხებენ საზოგადოებისთვის უწყვეტად ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას. ხელში ჩაგდებული ვებგვერდებით აუდიტორია შეცდომაში შეჰყავთ, იყენებენ რა მიტაცებული დომენების რეპუტაციას, ავრცელებენ მცდარ, ძალადობისკენ მიმართულ გზავნილებს.

კიბერსაფრთხეების მიმართ ყურადღებას ამახვილებენ ევროკავშირსა და ნატოში. ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნები შეთანხმებულები არიან, რომ კიბერთავდასხმებზე, საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივი რეაგირება მოახდინონ. კიბერდანაშაულთან საბრძოლველად სპეციალური ბიუროები არის შექმნილი საქართველოსა და უკრაინაში.

ერთერთი ყველაზე ეფექტური რესურსი, რომელიც კიბერდანაშაულს ებრძვის Network and Information Security (ENISA - ქსელური და ინფორმაციული უსაფრთხოების სააგენტო) არის. იგი წარმოადგენს ევროკავშირის კიბერნდანაშულთან ბრძოლის სააგენტოს. ENISA ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 2004 წლიდან მუშაობს საერთო კიბერპოლიტიკის შექმნაზე, გასცემს რეკომენდაციებს და მყისიერი საფრთხის არსებობისას წევრი ქვეყნებისთვის ცდილობს არსებული ზიანის შემცირებას. თუმცა ENISA-ს მუშაობით უკმაყოფილო საზოგადოებაც არსებობს. 2014 წელს, სამეცნიერო სტატიაში „ევროპული უსაფრთხოება“ რაფაელენ ბოსსონგო წერს, რომ „ქსელური და ინფორმაციული

უსაფრთხოების“ ევროპული სააგენტო ვერ უზრუნველყოფს სიტუაციურ გაფრთხილებებს, რადგან ვერ ავალდებულებს თავის წევრ ქვეყნებს საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ მას. ამისი მიზეზი კი ისაა, რომ ქვეყნებს, პარტნიორობის მიუხედავად, აწუხებთ კონფიდენციალობის საკითხი.

კრიტიკასთან ერთად ENISA-ს გულშემატკივრებიც ჰყავს. თავის წიგნში, „Cybersecurity: Public Sector Threats and Responses”, ნილ რობინსონი ამტკიცებს, რომ „ქსელური და ინფორმაციული უსაფრთხოების“ გაერთიანება ევროკომისიას და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სთავაზობს ექსპერტულ ცოდნას და რეკომენდაციებს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

ENISA არაა პირველი, ვინც ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო. მასზე ოთხი წლით ადრე, 2000 წელს, პირველი სტრატეგია კიბერდანაშაულთან საბრძოლველად ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნეს. ამერიკა იყო პირველი, რომელმაც გააცნობიერა არსებული საფრთხე და მისი მზარდი ხასიათი. 2003 წელს კი მათ გამოაქვეყნეს კიბერსივრცის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია National Strategy to Secure Cyberspace , რომელსაც წინ უძღოდა 11 სექტემბრის ტერაქტი.

დოკუმენტი მიზნად ისახავდა, როგორც მასობრივი კომუნიკაციების დაცვას, ასევე კერძო სექტორში არსებული რისკფაქტორების შემცირებას. სტრატეგია მიმართულია ქვეყნისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სფეროების და ობიექტების დაცვისკენ. ჩამონათვალი ასეთია: კერძო და საჯარო ობიექტები, სოფლის მეურნების სექტორი, საკვები, წყალი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, გადაუდებელი დახმარების სერვისები, თავდაცვის ობიექტები, სახელმწიფო უწყებები, ტელეკომუნიკაციები და ინფორმაცია, ელექტროენერგია, ტრანსპორტი, ბანკები და ფინანსები, ქიმიური და საფრთხის შემცველი ნივთიერებები, ფოსტა და საზღვაო გადაზიდვები. დოკუმენტში ნათქვამია, რომ კიბერ სფერო მოიცავს ქვეყნის ეკომიკური და ეროვნული უსაფრთხოების ათასობით მიმართულებას და ამიტომ მოსალოდნელი საფრთხეების გამკლავებაზე მუშაობა აუცილებელია.

სწორედ, ამის შემდეგ დაიწყეს კიბერსაფრთხეებზე ფიქრი ევროპაშიც. 2005 წელს ევროპაში მიიღეს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დაცვის სახელმწიფო სტრატეგია.

National Cyber Security Strategies – წარმოადგეს ევროკავშირის მიერ შექმნილ სტრატეგიას. დოკუმენტი იძლევა შესაძლებლობას ევროკავშირმა წევრი ქვეყნებისთვის კიბერუსაფრთხოების სფეროში გასცეს რეკომენდაციები და რეაგირების საერთო მექანიზმი შეიმუშაოს. მომდევნო წლებში კი თავად წევრმა, და ასევე არაწევრმა, სახელმწიფოებმა, ადგილობრივ დონეზე დაიწყეს კიბერდანაშაულთან გამკლავებისთვის მექანიზმების მომზადება.

უცხოელების გამოცდილებით ქართველი მკვლევრებიც ინტერესდებიან. კიბერ სფეროს იკვლევს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“-ს დოქტორანტი ვლამდინერ სვანაძე. მან 2015 წელს მოამზადა კრებული „კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები“. მკვლევარმა მიმოიხილა ცალკეული ქვეყნების კიბერდანაშაულთან საბრძოლველად წარმოებული პოლიტიკა. სვანაძე კრებულში წერს, რომ ესტონეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავისი კიბერსივრცის დაცვას და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებაზე ამახვილებს ყურადღებას. ქვეყნის სარეკომენდაციო ღონისძიებები ატარებს სამოქალაქო ხასიათს და ეფუძნება სამართლებრივ რეგულაციებს, სწავლებასა და თანამშრომლობას. მკვლევარი მიმოიხილავს ფინეთში არსებულ რეალობასაც და წერს, რომ ფინეთის მიერ, ისევე, როგორც ესტონეთის შემთხვევაში, კიბერუსაფრთხოების სტრატეგია მიღებულია 2008 წელს. სტარტეგიას საფუძვლად უდევს კიბერუსაფრთხოების გაგება, როგორც ეკონომიკური ხასიათის პრობლემა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ინფორმაციული სისტემებისა და საზოგადოების განვითარებასთან.

კიბერ სივრცის შესახებ მომზადებულ კრებულში სლოვაკეთის მიდგომებზეც ვკითხულობთ. სლოვაკეთში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა განიხილება, როგორც საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების აუცილებელი პირობა. ამიტომ სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის დაცვის

მჭიდრო ფუნდამენტი. სტრატეგია მიმართულია როგორც საფრთხის გაუვნებელყოფაზე, ისე ამისთვის საჭირო საშუალებების მზადყოფნასა და გაძლიერებაზე.

სტარტეგია სლოვაკეთმაც შეიმუშავა 2008 წელს. რაც შეეხება ჩეხეთს, აქ, მკვლევრის (ვლადიმერ სვანაძე) მიმოხილვით, კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის ძირითადი მიმართულება მოიცავს ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების მოწყვლადი ადგილების დაცვას, ასევე რისკებისა და მოსალოდნელი საფრთხეების მაქსიმალურ შემცირებას. სტრატეგია ძირითადად ფოკუსირდება ინფორმაციულ სისტემებზე თავისუფალი დაშვების პრობლემებზე, ასევე ქვეყნის კიბერსივრცის მთლიანობასა და მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვაზე. სტრატეგია შემუშავდა 2011 წელს და ის კარგად არის ჰარმონიზირებული ჩეხეთის რესპუბლიკის სხვა სამართლებრივ - ნორმატიულ აქტებთან.

ამ ქვეყნებს სამი წლით ჩამორჩა საფრანგეთი, რომელმაც სტრატეგია 2011 წელს მიიღო. საფრანგეთის კიბერუსაფრთხოების სტრატეგია ორიენტირებულია ინფორმაციული სისტემების შესაძლებლობებზე და ის წინ უნდა აღუდგეს კიბერსივრცეში არსებულ ისეთ მოვლენებს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ინფორმაციის დაშვებაზე, მთლიანობასა და კონფიდენციალობის დაცვაზე. საფრანგეთი თავის სტრატეგიაში ძირითად აქცენტს აკეთებს ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის დაცვაზე, კიბერდანაშაულებებთან ბრძოლასა და კიბერდაცვის გაძლიერებაზე. მკვლევარი გერმანიის, ლიტვის, ლუქსენბურგის, ჰოლანდიის და დიდი ბრიტანეთის პრაქტიკასაც აკვირდება. გერმანიის შემთხვევაში - ქვეყნის კიბერუსაფრთხოების სტრატეგია შექმნილია 2011 წელს და მას საფუძვლად უდევს კრიტიკული ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქვეყანა ძირითადად კონცენტრირებულია კიბერშეტევის დროულ გამოვლენაზე, გაუვნებელყოფასა და სამართლებრივ დევნაზე, ასევე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლის გაუვნებელყოფაზე, რომელიც გამოწვეულია შემთხვევითი ფაქტორებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეხება კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციულ

სისტემებს. სტრატეგიაში ასევე მოცემულია ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს დამატებითი ღონისძიებები მიმართული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სისტემების დაცვაზე. სტარტეგიაში ასევე განსაზღვრულია მცირე და საშუალო ბიზნესის კიბერსივრცეში დაცვის უზრუნველყოფითი ღონისძიებები. რაც შეეხება ლიტვას, ქვეყანა ორიენტირებულია იმ მიზნებისა და ღონისძიებების განსაზღვრაზე, რომელიც მიმართულია ელექტრონული ინფორმაციის განვითარებაზე, ასევე კიბერსივრცეში კონფიდენციალობის დაცვაზე, დაშვებასა და მთლიანობაზე. გარდა ამისა, ლიტვის სტრატეგია უზრუნველყოფს კიბერსივრცეში პერსონალური მონაცემების, სატელეკომუნიკაციო ქსელის, ინფორმაციული სისტემისა და კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის დაცვას კიბერშეტევებისა და უსაფრთხოების დარღვევისგან. სტრატეგიაში, რომელიც მიღებული იყო 2011 წელს, განსაზღვრულია ღონისძიებები, რომელთა რეალიზაცია იძლევა კიბერსივრცეში მუშაობის სრულყოფილი უსაფრთხოების გარანტიებს.

2011 წელს მიიღო კიბერუსაფრთხოების სტრატეგია ლუქსემბურგმაც. მოცემული სტრატეგია აცნობიერებს იმ საფრთხეებს, რომლებიც არსებობს კიბერსივრცეში და ამის გათვალისწინებით, გამოყოფილია საზოგადოებრივი და ეკონომიკური უსაფრთხოება. სტრატეგიაში ასევე აღნიშნულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდისთვის, ცალკეული მოქალაქეებისა და, ზოგადად, მთელი საზოგადოებისთვის. სტრატეგია მუშაობს შემდეგი ხუთი მიმართულებით - ძირითადი ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დაცვა და დროული რეაგირება ინციდენტებზე; სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის მოდერნიზაცია; საერთაშორისო თანამშრომლობა; სწავლება და ინფორმირება; სტანდარტების დახვეწა.

მკვლევარი ვლადიმერ სვანაძე საზოგადოებას დიდი ბრიტანეთის მაგალითსაც აცნობს. მკვლევარის დაკვირვებით, გაერთიანებული სამეფოს მიდგომა ასევე მიმართულია კიბერუსაფრთხოების განვითარებაზე. სტრატეგიის მთავარი მიზანია, გაიყვანოს დიდი

ბრიტანეთი მოწინავე პოზიციებზე ინფორმაციული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციების, ინვესტიციებისა და ხარისხიანი მომსახურების მიხედვით. ასევე მთლიანად ისარგებლოს კიბერსივრცის ყველა უპირატესობებითა და მიღწევებით. 2011 წელს შემოღებული სტრატეგია ასახავს მაქსიმალური რისკების შემცირებას დამნაშავეთა (მათ შორის ტერორისტების) და სხვა სახელმწიფოთა მხრიდან კიბერშეტევების მიმართ, რაც მიმართულია კიბერსივრცეში თითოეული მოქალაქის, საზოგადოებისა და ეკონომიკის უსაფრთხოებისკენ.

ზემოთ ხსენებულ ქვეყებზე მომიხლვას მკვლევარი ვლადიმერ სვანაძე საზოგადოებას თავისი კრებულით „კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები“ აცნობს.

მსოფლიო დღეისთვის ათასობით კიბერთავდასხმას იცნობს. მათ რიგებშია როგორც ტექნიკური ხასიათის თავდასხმები, რომელიც სისტემების მწყობრიდან გამოსვლას ახდენს, ასევე კიბერთავდასხმა, რომელიც ჰიბრიდული ომის ნაწილია და რომელიც პროპაგანდით, მცდარი ინფორმაციით ცდილობს საზოგადობაში უკმაყოფლობის დონის ზრდას. ასევე კიბერსფეროს აქტიურად იყენებენ ტერორისტული ორგანიზაციები და ცალკეული ჰაკერები, რომელთა კვალის მიგნება ხშირად ურთულესია.

მკვლევარი ნიკოლოზ ჩერქეზია იმ ძირითად კრიტერიუმებზე წერს, რომელიც კიბერდანაშაულს ახასიათებს. მისი დაკვირვებით, ეს კრიტერიუმები გამომდინარეობს, უშუალოდ, კიბერდანადაშაულის მიზნებიდან:

- სამთავრობო ან ეროვნული კომპანიების მონაცემთა ბაზაში შეღწევასა და ამ ინფორმაციის გამოყენებას სახელმწიფოს წინააღმდეგ;
- ინფორმაციული ქსელების დახმარებით სახელმწიფოში დესტაბილიზაციის გამოწვევას;
- საინფორმაციო ქსელებში დეზინფორმაციის გავრცელებას, საზოგადოებაში პანიკის დათესვის მიზნით;
- სახელმწიფო ელექტრონული ფინანსების მოპარვა;

- საბანკო და სხვა სახის ელექტრონული ანგარიშების გატეხვა და გამოყენება ტერორისტული ქმედებებისთვის (იარაღის შეძენა, ტერაქტები და სხვა. ეს ფაქტი უშუალოდ ტერორისტული ორგანიზაციის მიერ უნდა განხორციელდეს, რათა კიბერ ტერორიზმად დავასახელოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება უბრალოდ ჰაკერული თავდასხმა ფულის მოპარვის მიზნით);
- სახელმწიფოში ელექტორნულ ქსელებში (ინტერნეტში) საინფორმაციო ვაკუუმის შექმნა (ინტერნეტ სერვერების დაბლოკვა და სხვა);
- სახელმწიფო ან ეროვნული მნიშვნელობის ელექტრონული ბაზების განზრახ დაზიანება ან განადგურება (ქსელში ვირუსის გაშვებით).

მსოფლიო დღეს მრავალ კონკრეტულ მაგალითს იცნობს კიბერნადანაშულისა. მათი მცირე ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

- მასშტაბური კიბერ შეტევის მსხვერპლი დიდი ბრიტანეთის პარლამენტი გახდა. საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალურ ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ ჰაკერებმა პარლამენტის სერვერების გატეხვა და ინფორმაციის მიტაცება სცადეს. კონკრეტულად რა ზიანი მიადგა პარლამენტის კომპიუტერულ სისტემას, ეროვნულ უსაფრთხოების სამსახური არ აკონკრეტებს. ოფიციალური პირების განცხადებით, კიბერ-უსაფრთხოების სააგენტომ უკვე მიმართა საჭირო ზომებს და დეპუტატებს საკუთარ იმეილებთან წვდომა შეუზღუდა. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ეს უკვე მეორე კიბერ შეტევაა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში. times-ის ცნობით, ჰაკერებმა სამთავრობო მაღალჩინოსნების ელექტრონული ფოსტის პაროლები მიიტაცეს და მონაცემების გაყიდვა ჯერ ჰაკერების რუსულენოვან ფორუმზე სცადეს, მოგვიანებით კი ინტერნეტ სივრცეში განათავსეს.

- უკრაინის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები მორიგი კიბერთავდასხმის ობიექტები გახდნენ. ინფრასტრუქტურულ ობიექტებს და მედია საშუალებებს ახალმა ვირუსმა შეუტია, რომელსაც ციფრული რესურსების ბლოკირება შეუძლია. ჰაკერების შეტევის პირველი მსხვერპლი უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ოდესის აეროპორტი და კიევის მეტრო გახდა.

- 2017 წლის 27 ივნისს ჰაკერებმა, ვირუს "პეტიას" გამოყენებით, მსოფლიოს მასშტაბით ასობით კომპანიის სერვერებში შეაღწიეს და კომპიუტერული სისტემები დააზიანეს, მათ შორის თავდასხმა რუსულ კომპანიებზეც განხორციელდა.

  კიევში მიაჩნიათ, რომ უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო კომპანიებზე მომხდარი კიბერშეტევის მიზანი ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია იყო. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა მასშტაბურ კიბერთავდასხმაში რუსეთის სპეცსამსახურები დაადანაშაულა.

  უწყების ინფორმაციით, საერთაშორისო ანტივირუსულ კომპანიებთან თანამშრომლობის შედეგად გამოძიებამ დაადგინა, რომ ვირუსი "პეტია" იმავე ჰაკერულმა დაჯგუფებებმა გაავრცელეს, რომლებმაც 2016 წლის დეკემბერში უკრაინის ფინანსურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკის სისტემებზე მოაწყვეს თავდასხმა.

- მიმდინარე წელს, ISIS-ის მხარდამჭერი განცხადებები ოჰაიოს შტატის სამთავრობო საიტები ჰაკერების სამიზნე გახდა. კიბერთავდამსხმელებმა შტატის გუბერნატორისა და რამდენიმე უწყების ვებგვერდი გატეხეს და ტერორისტული დაჯგუფება "ისლამური სახელმწიფოს" მხარდამჭერი განცხადებები გამოაქვეყნეს. გზავნილებში ნათქვამი იყო, რომ მუსლიმურ ქვეყნებში დაღვრილი სისხლის თითოეულ წვეთზე დონალდ ტრამპს

პასუხისგება მოუწევს. გზავნილები არაბულ სიმბოლიკას მოიცავდა, წარწერა კი ISIS-ის დროშის ფერების მიხედვით, შავ-თეთრი ასოებით იყო გაკეთებული. კიბერთავდასხმაზე პასუხისმგებლობა აიღო ჯგუფმა, რომელიც საკუთარ თავს "ტიმსისტემ დი-ზედს" უწოდებს.

- 2016 წელს გაიშიფრა ორი ჰაკერული დაჯგუფების ვონაქრაისა და ლაზარუსის კოდები. აღმოჩნდა, რომ მათ ერთმანეთის მსგავსი კოდები აქვთ. ლაზარუსმა 2014 წელს კომპანია სონი დააზარალა. ვონაქრაი კიბერთავდასხმის შემდეგ კი კომპანიებსა და დაწესებულებებს გამოსასყიდის სახით თანხას სთხოვდა. იგივე შეემთხვა Walt Disney-ის კინოსტუდიასაც. უცნობი ჰაკერები სტუდიას საკმაოდ სოლიდურ თანხას სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლესი ფილმების ვიდეო რგოლების ინტერნეტში გავრცელებით ემუქრებიან. შესაძლოა, საუბარი იყოს „კარიბის ზღვის მეკობრეების“ ბოლო სერიაზე, რომელიც კინოეკრანებზე 26 მაისს გამოდის, ან მულტიპლიკაციურ ფილმზე - „მანქანები სამი“. პიქსარის ახალი პროდუქციის პრემიერა ივნისშია დაგეგმილი.

- 2017 წელს ევროპოლმა მასშტაბური კიბერ თავდასხმის შედეგები შეაჯამა. უწყების ინფორმაციით, კიბერ-შეტევა 150 ქვეყნის, 100 ათასამდე ორგანიზაციაზე განხორციელდა, დაზარალებული ადამიანების რიცხვმა კი 200 ათასს გადააჭარბა. დაუდგენელმა ჰაკერებმა სპეციალური ვირუსული პროგრამა შეიმუშავეს და ორგანიზაციების ანგარიშები დაბლოკეს, ბლოკის მოხსნის სანაცვლოდ კი მომხმარებლებს თანხას სძალავდნენ. ფულად გამოსასყიდს ისინი ბიტ-კოინებში ითხოვდნენ. ჰაკერებმა სახელმწიფო ინსტიტუტები და უმსხვილესი კორპორაციები დააზარალა. ვირუსის გავრცელება ბრიტანელმა IT სპეციალისტმა შეაჩერა და კიბერ უსაფრთხოების სამსახურები მორიგი თავდასხმის შესახებ გააფრთხილა.

- 2017 წელს დაზვერვის სამსახურებმა შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევაზე პასუხისმგებლობა რუსეთის პრეზიდენტს ოფიციალურად დააკისრეს. ამის შესახებ საუბარია 25 გვერდიან ანგარიშში, რომელიც სპეცსამსახურებმა გამოაქვეყნეს.

  სამი უწყების შეფასებით, ვლადიმერ პუტინმა გასცა შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებზე გავლენის მოხდენის კამპანიის დაწყების ბრძანება, რომლის მიზანიც იყო, დემოკრატიული პროცესების მიმართ ნდობის დაკარგვა, ჰილარი კლინტონის ცილისწამება და მისი პრეზიდენტად არჩევის შანსისთვის ზიანის მიყენება. ანგარიში უკვე გააცნეს არჩეულ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომელმაც შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ კიბერთავდასხმებს არჩევნების შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. დასკვნას გამოეხმაურა მოქმედი პრეზიდენტიც. ABC-სთან ინტერვიუში ბარაკ ობამამ სინანული გამოთქვა, რომ რესპუბლიკელთა ნაწილს ვლადიმერ პუტინის უფრო სჯერა, ვიდრე თანამოქალეების, რადგან ისინი დემოკრატები არიან.

- 2016 წელი - კიბერ თავდასხმებში რუსეთს უკრაინაც ადანაშაულებს. ქვეყნის პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს, განცხადებით, ბოლო ორი თვის განმავლობაში უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურები რუსი ჰაკერების სამიზნე 6 500-ჯერ გახდა, რაც ადასტურებს, რომ რუსეთის სპეცსამსახური უკრაინის წინააღმდეგ კიბერ ომს აწარმოებს.

  ჰაკერებმა შეტევა განახორციელეს ფინანსთა და თავდაცვის სამინისტროებზე, ასევე გატეხეს სახელმწიფო ხაზინის სერვერი და კიევის ჰიდროელექტროსადგურის სერვერი, რის გამოც დედაქალაქს გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია.

[ყველა აღნიშნული კიბერთავდასხმა გაშუქდა, როგორც საერთაშორისო მედიის ასევე საქართველოს მედიის მიერ. მათ ჩამონათვალშია საქართველოს ტელოეკომპანია „რუსთავი 2“-ის მომზადებული სიუჟეტები].

საინტრესო ფაქტია ის, რომ კიბერდანაშაულებზე ბრალდებების ერთერთ მთავარი ადრესატი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, 2017 წელს აცხადებდა, რომ ჰაკერები მხატვრებს გვანან, თავისუფალი სული აქვთ და აკეთებენ იმას, რაც უნდათ.

მსოფლიოში არსებული კიბერსაფრთხეები შეეხო საქართველოსაც. ალბათ, ყველაზე დამაზიანებელი საქართველოს ციფრული რესურსებისთვის იყო 2008 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული კიბერთავდასხმები. „ინფორმაციული უსაფრთხოების კვლევებისა და ანალიზის ცენტრის“ წარმომადგენელმა ლაშა პატარაიამ, მოამზადა ანგარიში სახელწოდებით: „კიბერ რეპორტი 2008-2010 - აგვისტოს მოვლენებიდან დღემდე.

ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2008 წლის აგვისტოში, როდესაც მსოფლიო შოკირებული იყო რუსეთის აგრესიით საქართველოს წინააღმდეგ, ბრძოლის ასპარეზზე გამოჩნდა 21- საუკუნის ახალი იარაღი. ეს იყო იარაღი, რომელმაც კიბერ ომი გააჩაღა. კიბერშეტევა განხორციელდა შემდეგ ინტერნეტ რესურსებზე: [შენიშნვა: სია არაა სრული]

- საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი president.gov.ge
- მთავრობის ვებგვერდი government.gov.ge
- პარლამანტის ვებგვერდი parliament.ge
- უშიშროების ეროვნული საბჭოს ვებგვერდი nsc.gov.ge
- საკონსტიტიციო სასამართლოს ვებგვერდი constcourt.ge
- უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი supremecourt.ge

- ცენტრალური საარჩევნო კომისია cec.gov.ge
- საქართველოს ეროვნული ბანკი nhg.gov.ge
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა nplg.gov.ge
- შინადან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი police.ge
- თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდი mod.gov.ge
- განათლების სამინისტროს ვებგვერდი mes.gov.ge
- საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი mfa.gov.ge
- დაცული ელექტრონული ფოსტის სერვისის ვებგვერდი iberiapac.ge
- ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი mof.gov.ge
- ახალი ამბები საქართვლოს შესახებ ვებგვერდი newsgeorgia.ru
- საინფრომაციო ანალიტიკური პორტალი ვებგვერდი apsny.ge
- ვებგვერდი აფხაზეთის შესახებ nukri.org
- ქართული პრესის ელექტრონული არქივი ვებგვერდი opentext.org.ge
- ინგლისურენოვანი პოპულარული ჟურნალი ვებგვერდი messenger.com.ge
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ვებგვერდი Abkhazia.gov.ge
- გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი naec.gov.ge
- ერთერთი უმსხვილესი ქართული ფორუმი forum.ge
- საინფრომაციო სერვისი civil.ge
- ახალი ამბები ქართული პრესიდან presa.ge
- ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის ვებგვერდი rustavi2.com

- საინფორმაციო პორტალი news.ge/interpress.ge
- თიბისი ბანკის ვებგვერდი tbc.ge
- საინფორმაციო პორტალი tbilisiweb.info
- საინფორმაციო სააგენტო os-inform.com
- ცნობილი რუსული ოპოზიციური პარტიის ვებგვერდი kasparov.ru

სწორედ ეს მოვლენები უძღოდა წინ საქართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიის შექმნას. „საქართველოს ხელისუფლება პირველად აქვეყნებს საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიას. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა კიბერშეტევებმა ნათლად აჩვენა, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება ვერ შედგება კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსეთის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევების პარალელურად, განახორციელა მიზანმიმართული და მასირებული კიბერშეტევები. აღნიშნულმა კიბერშეტევებმა აჩვენა, რომ კიბერსივრცის დაცვა ეროვნული უსაფრთხოებისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეების დაცვა,“- წერია საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიაში.

საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია წარმოადგენს ,,ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის'' პროცესის ფარგლებში შექმნილი კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტების პაკეტის ნაწილს. შესაბამისად, აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება ,,საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წ.წ. დოკუმენტს'' და ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას.''

სტრატეგია შემუშავდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების

მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი საუწყებათაშორისო კომისიის მიერ. მაშინ საქართველოს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებად განისაზღვრა: კვლევა და ანალიზი; ახალი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა; კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტიტუციური კოორდინაცია; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო ბაზის ჩამოყალიბება; საერთაშორისო თანამშრომლობა.

კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილად განისაზღვრა ამ სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების და შესაბამისი სპეციალისტების პროფესიული დონის ამაღლება. „ამ მიზნით მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებების გატარება: კიბერუსაფრთხოების სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისადა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა; კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის სუბიექტების და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების კადრებისა და ტექნიკური პერსონალის გადამზადება ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესწავლისათვის;

კიბერდანაშაულის ექსპერტების სპეციალიზებული ტრენინგები ელექტრონული მტკიცებულებების (კიბერკრიმინალისტიკის) დარგში; კიბერუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა; კვლევითი ლაბორატორიის შექმნა“ წერია საქართველოს კიბერუსაფრთხოების პირველ სტრატეგიაში.

კიბერუსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი კვლევა და ანალიზის მიმართულებებად განისაზღვრა:

- სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და გამოცდილების გაზიარება;
- კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ობიექტების იდენტიფიცირების კრიტერიუმებისა და სტანდარტების კვლევა;
- კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მდგრადობის ანალიზი;
- კიბერუსაფრთხოების სფეროში რეგიონში არსებული პრობლემატიკის შესწავლა;

- კიბერუსაფრთხოების განმსაზღვრელი სტანდარტების შემუშავება მათი შემდგომი დანერგვის მიზნით;
- საქართველოს კიბერსივრცის წინაშე მდგარი საფრთხეების და რისკების გამოვლენაზე წინადადებების პერიოდულად მომზადება.

სტრატეგიებს კი მოჰყვა 2014 წლის 6 თებერვალს სსიპ "კიბერუსაფრთხოების ბიუროს" შექმნა. სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს მიზანია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სტაბილური, ეფექტური და უსაფრთხო სისტემების შექმნა და გაძლიერება.

სსიპ კიბერუსფრთხოების ბიურო აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და ამოცანების შესრულებას შეუდგა 2014 წლის 28 თებერვლიდან.

კიბერუსაფრთხოების ბიუროს ძირითადი ამოცანებია:

- კიბერუსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის განხორციელება;
- თავდაცვის სფეროში ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფების 24/7 (CSIRT, CSIRT/CC, Call Center 24/7) მექანიზმების დანერგვა, ამოქმედება და განვითარება;
- საქართველოს თავდაცვის სფეროში ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დაცვა კიბერსაფრთხეებისა და კიბერრისკებისგან;
- თავდაცვის სფეროში არსებული ინფრასტრუქტურის შესწავლა, მისი უსაფრთხოების განვითარება და გაძლიერება;

- კონცეპტუალური ბაზის შექმნა ("კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი", "კიბერუსაფრთხოების განვითარების სამოქმედო გეგმა" და ა.შ.);
- საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაცია;
- ცნობიერების ამაღლება კიბერუსაფრთხოების სფეროში;
- საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტრეინინგებში მონაწილეობა;
- მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- სამხედრო პერსონალის გადამზადებაში ხელშეწყობა კიბერუსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში კიბერდანაშაულს ებრძვის, როგორც ევროკავშირი, ასევე ნატო და წევრი (ასევე პარტნიორი) ორგანიზაციები თავიანთი რესურსებით, უახლესი ჯიბერდაიჯესტი მაინც დამაფიქრებელია. ინფორმაციას, უახლოეს წარსულში, მსოფლიოში განხორციელებულ კიბერ თავდასხმებზე, საქართველოს კიბერუსაფრთხოების ბიურო ავრცელებს.

2017 წლის 17 სექტემბერი - შვეიცარიის თავდაცვის სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტროს პარტნიორი ორგანიზაცია კიბერშეტევის მსხვერპლი გახდნენ. 2017 წლის ივლისში განხორციელებული შეტევის დროს გამოყენებული იქნა მავნე პროგრამულ უზრუნველყოფა Turla, რომელიც კიბერჯაშუშობისთვისაა განკუთვნილი. შვეიცარიის მთავრობამ უარი განაცხადა კიბერშეტევის წარმომავლობისა და მიყენებული ზიანის შესახებ ინფორმაციის განსაჯაროებაზე. ამჟამად მიმდინარეობს ინციდენტის გამოძიება.

2017 წლის 22 სექტემბერი - ჰაკერებმა ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის (Securities and Exchange Commission, SEC) კორპორატიული მონაცემთა ბაზა გატეხეს და კომპრომეტირებული ინფორმაციით მატერიალური მოგება ნახეს. გავრცელებული ცნობით შეტევა გასულ წელს განხორციელდა, თუმცა მითვისებული მონაცემების

გამოყენებით უკანონო გ არიგებების შესახებ ცნობილი მხოლოდ ახლახან გახდა. ჰაკერებმა პროგრამულ უზრუნველყოფაში არსებული სისუსტის გამოიყენებით მოიპოვეს წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციასთან. კომისია ინახავს დიდი რაოდენობით კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ინსაიდერული სავაჭრო ოპერაციებისთვის ან აშშ-ს საფონდო ბაზარზე სხვადასხვა მანიპულაციებისთვის. SEC-ი ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების და სამეთვალყურეო ფუნქციების განმახორციელებელ მთავარ ორგანოს წარმოადგენს.

2017 წლის 20 სექტემბერი - ინფორმაციული უსაფრთხოების კომპანია UpGuard-ის თანამშრომლებმა მედიაკონგლომერატი Viacom-ის კონფიდენციალური მონაცემები ამაზონის დაუცველ ღრუბლოვან სერვერზე აღმოაჩინეს. კომპრომეტირებული მონაცემების გამოყენებით ჰაკერებს 3 პოტენციურად შეეძლოთ Paramount Pictures, MTV, Nickelodeon-ის ბაზებზე უნებართვო წვდომის მოპოვება და დამანგრეველი შედეგების მქონე კიბერშეტევის ორგანიზება. ინფრომაციული უსაფრთხოების კომპანია UpGuard-მა ფაქტის შესახებ მალევე აცნობა კომპანია Viacom-ს. ოპერატიული მოქმედებების შედეგად საფრთხე სრულად იქნა განეიტრალებული.

2017 წლის 14 სექტემბერი - ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიკროსქემების მწარმოებელი კომპანიის ჩინელი ინვესტორისთვის მიყიდვის შეთანხმება დაბლოკა. ბოლო 25 წლის მანძილზე მსგავსი აკრძალვა მხოლოდ სამჯერ იქნა გამოყენებული. ამჟამად შესწავლის პროცესშია კიდევ სამი გარიგება, მათ შორის ამერიკული კომპანია MoneyGram International-ის ფინანსური კომპანია Ant Financial-ის(ჩინელი მილიარდერი ჯეკ მა-ს საკუთრება) მიერ შეძენის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ აშშ ცდილობს მოიპოვოს ჩინეთის მხარდაჭერა ჩრდილოეთ კორეის კრიზისთან მიმართებაში, მას საკმაოდ მკაცრი პოზიცია გააჩნია ჩინური კომპანიების მიერ ამერიკული მწარმოებელი ორგანიზაციების შეძენის საკითხთან დაკავშირებით. პეკინში გამართულ ბრიფინგზე, ჩინეთის ვაჭრობის მინისტრმა ზემოხსენებულთან დაკავშირებით გამოხატა შეშფოთება და განაცხადა, რომ

უსაფრთხოების მოტივი არ უნდა იქნას გამოყენებული როგორც პროტექციონიზმის ინსტრუმენტი.

2017 წლის 19 სექტემბერი - აშშ-ს სენატმა მხარი დაუჭირა ქვეყნის სამოქალაქო და სამხედრო უწყებებში კომპანია Kaspersky Lab-ის პროდუქტების გამოყენების აკრძალვას. აღნიშნული გადაწყვეტილების მოტივს, კომპანიის კრემლთან კავშირები წარმოადგენს, რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ზემოთხსენებული გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზია გასული წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ქვეყნის დემოკრატიული პარტიის კომპიუტერულ ქსელზე 4 განხორციელებული მასშტაბური კიბერშეტევა, რომლის უკან გავრცელებული ცნობით რუსეთი დგას.

2017 წლის 13 სექტემბერი - ევროკომისია კიბერთავდაცვის სააგენტოს შექმნის ინიციატივით გამოდის სტრასბურგში ევროპარლამენტის პლენარულ სესიაზე, ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერი (Jean-Claude Juncker) ევროპის კიბერთავდაცვის სააგენტოს შექმნის ინიციატივით გამოვიდა. მისი განცხადებით სააგენტო წევრ ქვეყნებს და ევროპულ კომპანიებს ინფორმაციული საფრთხეებისგან დაიცავს. გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ კიბერშეტევები დემოკრატიისა და სტაბილურობისთვის უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს ვიდრე ტრადიციული შეიარაღება, რადგანაც ქსელში არ არსებობს სახელმწიფო საზღვრის ცნება. ჟან-კლოდ იუნკერის განცხადებით, გასულ წელს ევროკავშირის ქვეყნებში 4000-ზე მეტი კიბერშეტევა დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ევროკომისია ამჟამად კიბერუსაფრთხოების გაძლიერების საკითხებზე აქტიურად მუშაობს.

2017 წლის 21 სექტემბერი - ჩინეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით კრიპტო ვალუტის ბირჟების ხელმძღვანელობას ქვეყნის დატოვება აეკრძალათ, ასევე ისინი ვალდებული არიან ნებისმიერ დროს ითანამშრომლონ გამოძიებასთან. აღნიშნული ზომები მიღებული იქნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილების შემდეგ, რომლის თანახმადაც უნდა დაიხუროს ქვეყანაში მოქმედი ყველა კრიპტოსავალუტო ბირჟა და აიკრძალა ელექტრონული ვალუტის ადგილობრივ ბირჟებზე განთავსება.

აღნიშნულის გამო კრიპტოვალუტით ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამჟამად ჩინეთის ბირჟებზე Bitcoin-ით და Ethereumით ვაჭრობის მსოფლიო მოცულობის მხოლოდ 5-10% მოდის. კრიპტოვალუტის ბაზრის საერთაშორისო ექსპერტები იმედოვნებენ, რომ აღნიშნული შეზღუდვები დროებით ხასიათს ატარებს და ჩინეთის მთავრობა ვერ შეძლებს ბაზრით მანიპულირებას.

2017 წლის 20 სექტემბერი – კომპანია FireEye-ს ინფორმაციული უსაფრთხოების ექსპერტებმა ირანული ჰაკერული ჯგუფი APT33-ის საქმიანობის დეტალები გაამჟღავნეს. აღნიშნული ჯგუფი 2013 წლიდან აქტიურობს და ორიენტირებულია კიბერჯაშუშობაზე. ჰაკერების ძირითად სამიზნეს აეროკოსმოსური მრეწველობის საწარმოები, სამხედრო ობიექტები და ენერგეტიკული სექტორი წარმოადგენს. ჯგუფმა, რომელიც ძირითადად ფიშინგის მეთოდს იყენებს, შეტევები განახორციელა აშშ-სა და საუდის არაბეთის ავიაკომპანიებზე და ერთ-ერთ სამხრეთ კორეულ კონგლომერატზე. ექსპერტები დამნაშავეთა მაღალპროფესიონალიზმზე ამახვილებენ ყურადღებას და აღნიშნავენ, რომ ბოლოდროინდელი აქტივობებიდან გამომდინარე, ისინი, შესაძლოა, გაცილებით დამანგრეველ შეტევებს ამზადებდნენ. 6 კომპანია Dragos კიბერსაფრთხეების ანალიტიკოსი Joe Slowik-ის განაცხადებით, დაჯგუფება თავისი საქმიანობის გეოგრაფიას აფართოებს და ახორციელებს შეტევებს დიდი ბრიტანეთის, ისრაელის, პაკისტანის და სამხრეთ კორეის ორგანიზაციებზე. ბოლო ოთხი თვის განმავლობაში გაიზარდა ჰაკერების ინტერესი სხვადსხვა სამთავრობო სტრუქტურის მიმართაც.

2017 წლის 21 სექტემბერი – კიბერკიმინალები ოპერაციული სისტემა iOS-ის აპლიკაცია Find My iPhone-ის გამოყენებით Apple-ის მოწყობილობებს ბლოკავენ და გამოსასყიდს ითხოვენ. ჰაკერები კომპანიის სისუსტეს იყენებენ, რომლის მიხედვით დაკარგული ტელეფონის პოვნა ორმაგი აუთენთიფიკაციის გარეშეც არის შესაძლებელი. კიბერშეტევას Apple-ის სერვისების კომპრომეტირება არ მოჰყოლია. კომპანიის განცხადებით, ჰაკერებისგან თავის დასაცავად აუცილებელია Apple ID ის შეცვლა და სხვადასხვა პაროლების გამოყენება.

2017 წლის 30 ივნისი - მიმდინარე წლის 29 ივნისს უკრაინის ენერგოკომპანია Укрэнерго კიდევ ერთხელ გახდა კიბერშეტევის მსხვერპლი. ბოროტმოქმედებმა გამოიყენეს WannaCry-ს მსგავსი მავნე პროგრამული უზრუნველყოფა. კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, შეტევის შედეგად არ მომხდარა ელექტრონული ქსელის მუშაობის შეფერხება, რადგან ბევრი კომპიუტერი ავტონომურ რეჟიმში მუშაობდა. ასევე ცნობილია, რომ შეტევა განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფის განახლების დროს. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების ექსპერტებმა ბოლო თვენახევრის განმავლობაში უკრაინის წინააღმდეგ მიმართული ოთხი მავნე პროგრამული კამპანია დააფიქსირეს.

2017 წლის 30 ივლისი - ბრიტანეთის მთავრობამ საკუთარი მოქალაქეების მონაცემების გაჟონვის ფაქტი დააფიქსირა. გავრცელებული ინფორმაციით, ფაილი, რომელიც პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, ელ-ფოსტის მისამართებს და პაროლებს შეიცავდა, ერთ-ერთ უცხო სერვერზე გახდა ხელმისაწვდომი. ინფორმაციის გაჟონვა დიდი ბრიტანეთის სამეფოს სამთავრობო ციფრული სამსახურის ექსპერტებმა (Government Digital Service, GDS-მა) უსაფრთხოების რეგულარული გეგმიური შემოწმების პროცესში დააფიქსირეს. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ საიტი data.gov.uk ყველა მომხმარებელს პაროლების შეცვლის რეკომენდაციით მიმართა. თავის მხრივ GDS-მაც მომხმარებლებს, რომელსაც შეეხოთ ინციდენტი, უსაფრთხოების მიზნით პაროლის შეცვლის რეკომენდაცია დაუგზავნა. შეტყობინების თანახმად ინციდენტი 2015 წლის 20 ივნისამდე დარეგისტრირებულ მომხმარებლებს შეეხოთ. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემების უკანონოდ გამოყენების ფაქტი არ დაფიქსირებულა, პაროლის შეცვლა აუცილებელია რადგან მომხმარებლები ხშირად ერთი და იგივე პაროლს სხვადასხვა ონლაინ პლატფორმებზე იყენებენ. გაჟონვის შედეგად დაზარალებული მომხმარებლების ზუსტი რაოდენობა არ სახელდება, თუმცა საიტზე Data.gov.uk 200 ათასამდე მომხმარებელია დარეგისტრირებული.

2017 წლის 3 ივლისი - უკრაინის ეროვნული ბანკის (НБУ) მონაცემების მიხედვით მიმდინარე წლის 27 ივნისს მომხდარი კიბერშეტევის შედეგად 30-მდე უკრაინული ბანკი დაზარალდა. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის მოადგილის ე. რიჟკოვას განცხადებით ფინანსური ორგანიზაციების კომპიუტერების დაზიანების ხარისხი ერთმანეთისგან განსხვავდება. მისი თქმით სასურველია ბანკების ხელმძღვანელობამ არ დაზოგოს თანხები ხარისხიანი ტექნიკური უზრუნველყოფის შეძენაზე, რაც მსგავს ვირუსებთან ბრძოლის ეფექტურობას გაზრდის და ბანკების დანაკარგებს მნიშვნელოვნად შეამცირებს. აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის გაწევისას ხაზი გაესვა კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომელთა ცნობიერების დონის ამაღლების მნიშვნელობას, რათა მათ დროულად დააფიქსირონ უცნობი ფაილების გამოჩენა და არ გახსნან ისინი.

2017 წლის 5 ივლისი - დიდ ბრიტანეთში სამართალდამცავებმა, კიბერკრიმინალური ქმედებებისთვის, 18 წლის ბრიტანეთის მოქალქე ჯეკ ჩეპელი დააკავეს. ახალგაზრდას ბრალად ედება მავნე პროგრამის შექმნა, გავრცელება და გამოყენებაში. მის მიერ შექმნილმა პროგრამულმა უზრუნველყოფამ დააზარალა, ისეთი მსხვილი კომპანიები როგორიცა; T-Mobile, Amazon, Vodafone, BBC, BT და NatWest. ჯეკ ჩეპელს სამართალდამცავები კიბერკირმინალური აქტივობისა გარდა სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებენ. დეტალური 6 ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეძლეს მისი ადგილმდებარეობის დადგენა ჯერჯერობით არ ვრცელდება.

2017 წლის 2 ივლისი - უცნობმა ჰაკერებმა Classic Ether Wallet-ის საფულე გატეხეს, რომელიც განკუთვნილია კრიპტოვალუტა Ethereum Classic (ETC)-ისთვის და 300 ათასი დოლარის ღირებულების კრიპტოვალუტა მოიპარეს. ბოროტმოქმედებმა პროვაიდერი ჰოსტინგი 1on1 მხარდაჭერის სამსახურის მოტყუებით შეძლეს მოეპოვებინათ დომეინზე კონტროლი, რის შესახებაც მომხდარიდან რამდენიმე საათის შემდეგ გახდა ცნობილი. ETC-ის შემქმნელებმა, საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, დომეინი Cloudflareზე შავ სიაში შეიტანეს და გაავრცელეს რეკომენდაცია საფულის გამოყენებისგან თავის შეკავების მიზანშეწონილობის შესახებ.

2017 წლის 20 ივნისი - ინფორმაციული უსაფრთხოების მკვლევარებმა Amazon S3-ის სერვერზე 198 მილიონი ამერიკელი ამომრჩეველის მონაცემთა ბაზა აღმოაჩინეს. ინფორმაცია ეკუთნოდა სამ ანალიტიკურ კომპანიას (Deep Root Analytics, TargetPoint Consulting და Data Trust), რომელიც თანამშრომლობდა ამერიკის რესპუბლიკურ პარტიასთან. ზემოთხსენებულ ბაზას ანალიტიკოსები 2008, 2012 და 2016 წლებში, რესპუბლიკელების წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ამომრჩევლების ქცევის პროგნოზირებისთვის იყენებდნენ. ბაზა შეიცავდა ინფორმაციას 50-ვე შტატის და კოლუმბიის ოლქის მაცხოვრებლების შესახებ (სახელებს, დაბადების თარიღებს, სახლის მისამართებს, ტელეფონის ნომრებს, რელიგიურ და ეროვნულ კუთვნილების შესახებ მოწმობებს და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის მოცულობის მიხედვით ზემოთხსენებული ინციდენტი ამერიკელი ამომრჩევლის მონაცემთა ბაზის რეკორდულ გაჟონვას წარმოადგენს.

2017 წლის 20 ივნისი - მესენჯერი Skype-ის ზოგიერთი ამერიკელი და ევროპელი მომხმარებელი ვერ ახერხებდა შეტყობინების მიღება-გაგზავნას, ასევე არ ხდებოდა მიმოწერების განახლება. კომპანია Microsoft-მა განაცხადა, რომ ისინი პრობლემის მოგვარებაზე მუშაობენ. Skype-თან დაკავშირებული პრობლემები გასულ კვირას დაიწყო, როდესაც ევროპისა და აშშ-ს მომხმარებელთა ნაწილმა საერთოდ ვერ შეძლო Skype-ით სარგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ Microsoft-მა გამოაქვეყნა შეტყობინება პრობლემის მოგვარების შესახებ ზოგიერთი მომხმარებელი დღემდე ვერ ახერხებს მესენჯერთან დაკავშირებას. აღსანიშნავია, რომ მესენჯერის ბოლო შეფერხებით ძირითადად ევროპის მომხმარებლები დაზარალდნენ (კერძოდ, რუსეთი, ბელორუსია, ესპანეთის ზოგიერთი ნაწილი, გერმანია და პოლონეთი).

2017 წლის 19 ივნისი - ევროკავშირი გეგმავს შეიმუშავოს ჩარჩო დოკუმენტი, სადაც განისაზღვრება კიბერშეტევებზე საპასუხო დიპლომატიური რეაქციის ნორმები. ეს უკანასკნელი გახდება ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივი კიბერდიპლომატიის ნაწილი. დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს აღნიშნულ სფეროში კონფლიქტების

პრევენციას, კიბერსაფრთხეების შემცირებას და საერთაშორისო ურთიერთობაში სტაბილურობას.

2017 წლის 19 ივნისი - უკრაინაში მთელი ციფრული სახელმწიფო ინფორმაციის Blockchain-ის პლატფორმაში გადაყვანა იგეგმება. ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს წამომადგენლებმა განაცხადეს, რომ საქმე ეხება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას სახელმწიფო რეესტრებში, სახელმწიფო მიწის კადასტრსა და სხვა სფეროებში.

2017 წლის 20 ივნისი - მექსიკელმა ჟურნალისტებმა და აქტივისტებმა ქვეყნის მთავრობა ჯაშუშური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით თვალთვალში დაადანაშაულეს. ინფორმაციული უსაფრთხოების ექსპერტების განცხადებით მექსიკის ხელისუფლება ისრაელის კომპანიის მიერ შემუშავებულ პროგრამას იყენებს. საქმე ეხება NSO Group-ის მიერ შექმნილ პროგრამა Pegasus-ს, რომელიც მხოლოდ ხელისუფლებისა და სამართალდამცავ ორგანოებზე იყიდება. ინფორმაციული უსაფრთხოების მკვლევარებმა ზემოხსენებულთან დაკავშირებით გამოაქვეყნეს ანგარიში, რომლის თანახმად მსხვერპლს ეგზავნებოდა SMS-შეტყობინება მავნე ბმულებით, იმ შემთხვევაში თუ იგი მახეს არ წამოეგებოდა აღნიშნული შეტყობინებები ეგზავნებოდათ მისი ოჯახის წევრებს.

2017 წლის 22 ივნისი - ინფორმაციული უსაფრთხოების მკვლევარებმა ფიშინგის ახალი კამპანიის შესახებ განაცხადეს, რომლის ფარგლებშიც კიბერკრიმინალები სახელმწიფო სერვისების პორტალის სახელით საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ჯარიმების(ГИБДД) უწყებებს აგზავნიან. აღსანიშნავია, რომ წერილი შეიცავს ნიშანს, რომ შემოწმებულია მავნე პროგრამულ უზრუნველყოფაზე და მომხმარებელს 50%-იან ფასდაკლებას თავაზობს ჯარიმის მოკლე დროში გადახდის შემთხვევაში. მკვლევარების განცხადებით წერილში მიმაგრებულ ბმულებს მომხმარებელი გადაყავს ვებ-გვერდზე, რომლის მეშვეობით დამნაშავეები ითვისებენ მნიშვნელოვან პირად ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ეს არ არის პირველი ინციდენტი, როდესაც ჰაკერები სამთავრობო უწყებების სახელით მავნე ბმულებს აგზავნიან.

2017 წლის 20 ივნისი - სამხრეთ კორეულმა ჰოსტინგ კომპანიამ 1 მილიონი დოლარი გადაიხადა თავისი ფაილების აღდგენისათვის, რომლებიც დაშიფრული იყო Linux-ისთვის განკუთვნილი გამოსასყიდი პროგრამული უზრუნველყოფით (RANSOMWARE). გამომძალველი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ბოროტმოქმედებმა დააინფიცირეს კომპანია NAYANA-ს სერვერები და დეშიფრაციის სანაცვლოდ მოითხოვეს 550 ბიტკოინი (1.6 მილიონზე მეტი). კომპანიის წარმომადგენლები გავიდნენ ჰაკერებთან კავშირზე და 397,6 ბიტკოინის(დაახლოებით$1,01 მილიონი) სამ ნაწილად გადახდაზე შეუთანხმდნენ. კომპანიამ თანხის პირველი ორი ნაწილი უკვე გადარიცხა დამნასავეთა ანგარიშზე, ხოლო მესამე ნაწილს კიბერკრიმინალები მიიღებენ მას შემდეგ რაც ინფიცირებული სერვერების ორ მესამედზე აღადგენენ მონაცემებს.

2017 წლის 21 ივნისი – იაპონიის პრეფექტურა საიტამაში მდებარე კომპანია Honda Motor-ის ქარხნის მუშაობის შეფერხება კიბერშეტევამ გამოიწვია. მავნე პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით მოხდა კომპიუტერული სისტემების (რომლებიც საწარმოო ხაზს მართავენ) ბლოკირება. ბლოკის მოსახსნელად ბოროტმოქმედებმა გამოსასყიდის გადახდა მოითხოვეს. კომპანია Honda-ს ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტებმა შეძლეს აღნიშნული პრობლემის მოგვარება და ქარხანამ მუშაობა ჩვეულ რეჟიმში განაგრძო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ბოროტმოქმედებმა გამოიყენეს WannaCry-ს მსგავსი ვირუსი, რომლითაც გასულ თვეში 150 ქვეყნის 500 000-ზე მეტი კომპიუტერი დაინფიცირდა.

2017 წლის 19 ივნისი - ინდოეთში ბანკომატებიდან, რომლებიც იმართება ოპერაციული სისტემა Windows XP-ის მიერ, კიბერკრიმინალები ჩინური მავნე პროგრამული უზრუნველყოფა Rufus სახსრების მისათვისებელად იყენებენ. შეტევები ღამის საათებში ხორციელდებოდა. მავნე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ბოროტმოქმედები რამდენიმე წუთში ახდენდნენ ბანკომატში არსებული თანხის მთლიანად მითვისებას. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

2017 წლის 24 აპრილი – დანიის თავდაცვის მინისტრის (Claus Hjort Frederiksen) განცხადებით, 2015-2016 წლებში რუსული ჰაკერული დაჯგუფება APT 28 სამინისტროს თანამშრომლების ელ. ფოსტის გატეხვით იყო დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრს არ დაუკონკრეტებია თუ რა ინფორმაციის კომპრომეტირება მოხდა შეტევების შედეგად, აღნიშნული დანიის უსაფრთხოებისთვის სერიოზულ რისკად განიხილება. Frederiksen-ის განცხადებით საიდუმლო ინფორმაციის მითვისება არ მომხდარა რადგან მას ღია ქსელში არ ათავსებენ. მისი თქმით შეტევის წარმატების მიზეზია არასაიდუმლო ინფორმაციის შემცველი ელექტრონული კორესპონდენციის არასაკმარისი დაცვა.

2017 წლის 25 აპრილი – ინფორმაციული უსაფრთხოების კომპანია Trend Micro-ს მკვლევარებმა განაცხადეს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატ ემანუელ მაკრონის საარჩევნო შტაბზე კიბერშეტევები ხორციელდება, რომლის უკან რუსული ჰაკერული ჯგუფი Fancy Bear დგას. მაკრონის საარჩევნო კამპანიის ტექნიკურმა დირექტორმა (Mounir Mahjoubi) დაადასტურა აღნიშნული ინფორმაცია და განაცხადა, რომ მცდელობების მიუხედავად არაფერი არ იქნა კომპრომეტირებული. მან ასევე აღნიშნა, რომ ჰაკერებმა მთელი რიგი ფიშინგური ვებ-გვერდები შექმნეს, რათა გაეტეხათ საარჩევნო შტაბის თანამშრომელთა პირადი ანგარიშები და მიეთვისებინათ მონაცემები.

2017 წლის 22 აპრილი – ინფორმაციული უსაფრთხოების კომპანია FireEye-ს მკვლევარების ბოლოდროინდელი გამოძიების თანახმად, ჩინელი ჰაკერები ცდილობენ სამხრეთ კორეის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების გატეხვას. შეტევები სამხრეთ კორეის საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტების ატმოსფეროს გარეთა გადაჭერის კომპლექსზე განხორციელდა (Terminal High Altitude Area Defens, THAAD). ეს უკანასკნელი წარმოადგენს თავდაცვითი სისტემა Star Wars ნაწილს და სამხრეთ კორეის მიერ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისგან დაცვისთვის გამოიყენება. კომპანიის მონაცემებით სამხრეთ კორეის თავდაცვით სისტემებზე შეტევებს სულ მცირე ორი ჩინური ჰაკერული ჯგუფი (Tonto და APT 10) ახორციელებდა. 3 აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგება THAADის კომპლექსის

გამოყენებას, რადგან მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელის რადარებს ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში შეღწევა შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კორეის განცხადებით კომპლექსს მხოლოდ თავდაცვითი დანიშნულება აქვს, ჩინეთი მას საფრთხედ მიიჩნევს.

2017 წლის 24 აპრილი – ინტერპოლის თანამშრომლებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რვა ქვეყანაში 8,8 ათასი სერვერი აღმოაჩინეს, რომლითაც სხვადასხვა კიბერკრიმინალური აქტივობები ხორციელდებოდა. გავრცელებული ცნობით აღნიშნული სერვერები მავნე და გამოსასყიდი პროგრამული უზრუნველყოფების გასავრცელებლად, სპამ-კამპანიებისთვის და DDoS შეტევებისთვის გამოიყენებოდა. ინტერპოლის მიერ შეგროვებული ყველა მონაცემი თითოეული ამ ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცათ (ჩინეთი, ინდონეზია, მალაიზია, ფილიპინები, სინგაპური, ტაილანდი და ვიეტნამი). აღსანიშნავია, რომ ინტერპოლმა მავნე პროგრამული უზრუნველყოფით დაინფიცირებული 270 ვებ-რესურსი, ასობით კომპრომეტირებული სამთავრობო პორტალი და მთელი რიგი ფიშინგური რესურსი გამოავლინა, რომელებიც ნიგერიაში მოქმედ კიბერკრიმინალურ ჯგუფთან არიან დაკავშირებული.

2017 წლის 27 აპრილი – რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილის იგორ დილევსკის (Игорь Дылевский) განცხადებით, კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე სამხედრო ჰაკერების მიერ განხორციელებული კიბერშეტევები და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მოქმედი ხელისუფლების დამხობის მოწოდებები აგრესიას უნდა გათანაბრდეს. მისი აზრით საჭიროა 1974 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას ("აგრესიის განსაზღვრება") დაემატოს შესაბამისი პუნქტები. იგორ დილევსკის განცხადებით, ამჟამად 120-ზე მეტი ქვეყანა მუშაობს ინფორმაციული იარაღის შექმნაზე, რომელიც ამ ტიპის შეტევების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. გენერალ-მაიორმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ტერმინს „შეიარაღებული თავდასხმა ინფორმაციული იარაღის გამოყენებით“, სწორი საერთაშორისო სამართლებრივი განსაზღვრება მიეცეს.

2017 წლის 28 აპრილი - კომპანია Facebook-მა გამჭირვალობის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 2016 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. ანგარიშის თანახმად, ამ პერიოდში სოციალურმა ქსელმა მომხმარებლის შესახებ მონაცემების მიწოდების 64 279-მდე მოთხოვნა მიიღო, რაც 2016 წლის პირველ ნახევართან შედარებით 9%-ით მეტია. მოთხოვნების დაახლოებით ნახევარი (26 104) აშშ-ს ხელისუფლებისგან მომდინარეობდა და მათი 83% დაკმაყოფილდა. ანგარიშის მიხედვით რუსეთის ხელისუფლების მიერ ოთხჯერ იქნა მოთხოვნილი მომხმარებლის პირადი მონაცემები, რომელთაგან არცერთი არ იქნა დაკმაყოფილებული. ანგარიშში არ არის მითითებული რა ინფორმაცია აინტერესებდა რუსეთის ხელისუფლებას ან რა გახდა მოთხოვნებზე უარის თქმის მიზეზი. Facebook-ის წარმომადგენლების განცხადებით მოთხოვნების უმრავლესობა სისხლის სამართლის დანაშაულებს ეხება (მაგ. გატაცება, ძარცვა და სხვა).

2017 წლის 24 აპრილი - დაახლოებით ორმა მილიონმა მომხმარებელმა Google Play-ს ოფიციალური აპლიკაციიდან საკუთარ ანდროიდ მოწყობილობაზე მავნე პროგრამული უზრუნველყოფა (FalseGuide) დააყენა. ინფორმაციული უსაფრთხოების მკვლევარების განცხადებით, მავნე პროგრამული უზრუნველყოფა 40-ზე მეტი პოპულარული თამაშის ყალბ სახელმძღვანელოში ინახებოდა (მაგ. Pokemon GO და FIFA Mobile). დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მავნე აპლიკაცია გასული წლის ნოემბრიდან ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ მოწყობილობაზე დაყენებული მავნე პროგრამა მას, რეკლამის გავრცელების მიზნით შექმნილი ბოტნეტის ნაწილად აქცევს. აპლიკაციის დაყენებისას ეს უკანასკნელი ადმინისტრატორის უფლებებს ითხოვს, რომლის მიღების შემდეგ მომხმარებელი მოწყობილობიდან მის წაშლას ვეღარ ახერხებს.

2017 წლის 12 მარტი - ინფორმაციული უსაფრთხოების ცენტრი MacKeeper-ის მკვლევარმა ბობ დიაჩენკომ ღია ქსელში ათასობით სარეზერვო ფაილი აღმოაჩინა, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო საჰაერო ძალები მოსამსახურეთა კონფიდენციალურ (მაგრამ არა საიდუმლო) მონაცემებს შეიცავდა. რამდენიმე გიგაბაიტი

ინფორმაცია ინტერნეტთან მიერთებულ დაუცველ სარეზერვო დისკზე ინახებოდა. ექსპერტმა შეძლო მოწყობილობის მფლობელის (საჰაერო ძალების ლეიტენანტი) იდენტიფიცირება და გააფრთხილა იგი შესაძლო რისკების თაობაზე. ყველასთვის ხელმისაწვდომ, დაუცველ სარეზერვო დისკზე საშუალო რანგისა და უფროსი ოფიცრების პერსონალური ინფორმაცია ინახებოდა. კერძოდ, პასპორტების სკანირებული ასლები, სახელები, მისამართები, სოციალური დაზღვევის ნომრები და წოდებები, ასევე მათი მეუღლეების საკონტაქტო მონაცემები. აღნიშნულის გარდა ფაილები ასობით სამხედრო მოსამსახურის საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების დონის მონაცემებსაც შეიცავდა. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტებში მოხვდა აშშ-ს საჰაერო ძალების ორი გენერლის განაცხადის სრული ფორმა, რომელიც შეეხებოდა წვდომის დონის (ეგრეთ წოდებული ფორმა SF86) განახლების მოთხოვნას. უსაფრთხოების ექსპერტების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ფორმა SF86 გასაიდუმლოებული არ არის მსგავსი დოკუმენტები ჯაშუშებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

2017 წლის 15 მარტი – ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ Yahoo!-ს მინიმუმ 500 მილიონი ანგარიშის გატეხვისთვის ბრალი რუსეთის ოთხ მოქალაქეს წაუყენა. არსებული ინფორმაციით ბრალდებულებმა კომპანიის კომპიუტერულ სისტემებში შეაღწიეს და ანგარიშების გატეხვის შემდგომ მითვისებული ინფორმაცია მათთვის საინტერესო ანგარიშებზე არასანქცირებული წვდომისთვის გამოიყენეს. აღსანიშნავია, რომ ოთხი ეჭვმიტანილიდან ორი (Dmitry Dokuchaev და Igor Sushchin) რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომელია. ერთ-ერთი ეჭვმიტანილი Alexsey Belan (მეტსახელად Magg) 2013 წლიდან ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ყველაზე ძებნადი კიბერკრიმინალია. კომპანია Yahoo!-ზე შეტევების ტალღა 2013 წელს დაიწყო, როდესაც ჰაკერების ხელში ერთ მილიარდზე მეტი მომხმარებლის ანგარიში აღმოჩნდა (პერსონალური მონაცემების გაჟონვის ყველაზე ფართომასშტაბიანი შემთხვევა). ხოლო უკანასკნელი გასული წლის 22 მარტი 2017 3 სექტემბერში განხორციელდა. განხორციელებული კიბერშეტევების შედეგად საბოლოო ჯამში ოთხი მილიარდი მომხმარებლის ანგარიშის კომპრომეტირება მოხდა.

ამ დროითვის, საქართველოს კიბერუსაფრთხოების ბიურო, სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებეს. მასთან ერთად ქვეყანაში კიბერდანაშაულს ებრძვის შინაგან საქმეთა სამინისტროც. 2012 წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნა კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო. აღნიშნულ ორგანოს ევალება კიბერ სივრცეში ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენა, აღკვეთა და პრევენცია. გარდა ამისა, შსს საექსპერტო–კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა კომპიუტერულ–ციფრული ექსპერტიზის ქვეგანყოფილება, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ციფრული მტკიცებულებების პირველად მოპოვებას და მათ შემდგომ ექსპერტიზას. პოლიციის აკადემიაში შემუშავდა სპეციალური ტრეინინგ მოდულები, რომელიც ფარავს კიბერ დანაშაულთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებს: ელექტრონული მტკიცებულებების ჩხრეკა და ამოღება, კიბერ დანაშაულის საგამოძიებო ტექნიკა, კიბერ დანაშაულის სამართლებრივი ასპექტები და ა.შ.

საქართველოში არსებული კიდევ ერთი რგოლი, რომელიც კიბერსაფრთხეებს, მოსახლეობის ინფორმირების გზით, უპირისპირდება არის „მონაცემთა დაცვის სააგენტო.“ იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით 2010 წლის 4 იანვრიდან ფუნქციონირებს.

სააგენტოს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების კოორდინირება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნა, ერთიანი სამთავრობო ქსელის ჩამოყალიბება და მონიტორინგი, საჯარო სექტორში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო სფეროსთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი გატარება.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ფუნქციები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

· ელექტრონული მმართველობა;

· მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა;

· ინფორმაციული უსაფრთხოება.

დასკვნა

ყველა აღნიშნული უწყება მიმართულია კიბერდანაშაულთან საბრძოლველად, თუმცა მათი გამოცდილება და ხელთ არსებული ტექნიკური რესურსები (ასევე ადამიანური რესურსი) - იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რაც იქმნება მსოფლიოში - არ გვაძლევს სიმშვიდის მიზეზს. ჩვენი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები საჭიროებენ კიბერდაცვისთვის მეტი შესაძლებლობების შეძენას. გვაქვს არა ერთი მაგალითი, როდესაც კიბერსაფრთხის წინაშე დგება, როგორც სახელწიფო უწყების კიბერრესურსი ასევე, ამა თუ იმ რეიტინგული მედიის ვებსივრცე. რთულად აქვს მედიას, რომელსაც ხშირ შემთხვევაში არ ყოფნის ფინანსური რესურესები იმისთვის, რომ მისი ციფრული ქონება მეტად დაიცვას. თუ უფრო ფართო მასშტაბით შევხედავთ არსებულ ვითარებას ვნახავთ, რომ პრობლემა კიბერდანაშაულთან ბრძოლისას, არა თანხის ნაკლებობა, არამედ პრიორიტეტების არასწორი არჩევაა. ეს საუკუნე აჩვენებს, რომ არ შეიძლება ქვეყანას კიბერსაფრთხე, როგორც პრობლემა, ჩამონათვალის პირველ ხუთეულში არ გვქონდეს. საჭიროა, როგორც უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა, მუდმივი დახვეწა თავდაცვის და პრევენციის ტაქტიკის, ასევე ზრუნვა იმაზე, რომ მოსახლეობა იყოს კიბერსაფრთხეებზე ინფორმირებული. რაც ყველაზე მთავარია, ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს პროფესიონალი კადრების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ როგორც კიბერდანაშაულის პრევენციას, ასევე კიბერთავდასხმის დროს დროულ და ადეკვატურ რეაგირებას.

ბიბლიოგრაფია

Network and Information Security - (ENISA) https://www.enisa.europa.eu/

რაფაელენ ბოსსონგო „ევროპული უსაფრთხოება“, 2014 წელი.

ნილ რობინსონი „Cybersecurity:Public Sector Threats and Responses”

National Strategy to Secure Cyberspace https://www.dhs.gov/national-strategy-secure-cyberspace

http://www.bmi.bund.de/cae/servlet/contentblob/560098/publicationFile/27811/kritis_3_eng.pdf

ვლამდინერ სვანაძე, კრებული „კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები“, 2015 წელი.

ნიკოლოზ ჩერქეზია „კიბერ ტერორიზმი“ http://studinfo.edu.aris.ge/2015/03/10/kiber-terorizmi/

ლაშა პატარაია „კიბერ რეპორტი 2008-2010 აგვისტოს მოვლენებიდან დღემდე“ https://www.globalcase.org/PDFs/Reports/Cyber_Report_2008_-_2010.pdf

საქართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სტრატეგია https://matsne.gov.ge/ka/document/view/1923932

სსიპ კიბერუსფრთხოების ბიურო http://csbd.gov.ge/news.php?year=2017&news_number=110&news_type=digest&lang=ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ და
პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამა
1 სემესტრის დოქტორანტი

გვანცა ბარაბაძე
(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი

“ქოუჩინგი სტუდენტების კარიერული წარმატებისთვის”

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ნოდარ ბელქანია

თბილისი 2018

აბსტრაქტი

ჩვენი სტატიის მიზანია მკითხველს გააცნოს ქოუჩგის თეორიული მოდელები და როგორ შეიძლება მათი გამოყენება სტუნდენტის მიერ კარიერული წარმატების მისაღწევად.

კვლევის მეთოდოლოგია ემყარება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას, კეროდ, გაანალიზდა ამ მიმართულებით არსებული ლიტერატურა და ჩატარებული კვლევები, შედეგად ჩამოვაყალიბეთ კვლევის ჰიპოთეზა: სტუდენტის მიერ ცხოვრებისეული ხედვის შექმნა, პირდაპირ კავშირშია სტუდენტის კარიერულ წარმატებასთან.

კვლევის მონაცემები შეგროვდა სტუდენტებთან არასტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით, ასევე ქოუჩინგის სესიებიდან. შედეგად ჩვენ ჩამოვაყალიბეთ კარიერული ქოუჩინგის პროგრამა. პროგრამაზე დაყრდნობით ჩავატარეთ ჯგუფური სემინარი, ინდივიდუალური შეხვედრები და შევიტანეთ შესაბამისი ცვლილებები პროგრმაში.

ჩამოყალიბებული კარიერული ქოუჩინგის პროგრამა, იქნება გზამკვლევი სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის განახორციელონ ქოუჩინგი, ხოლო შემუშავებული რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ცენტრის მიერ.

ქოუჩინგის შემუშავებული ჩარჩო შეიცვლება პრაქტიკაში შემდგომი განხორციელების შედეგად და მივიღებთ უფრო ეფექტურ პროგრამას, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს კარიერის დაგეგმვასა და ცხოვრებისეული წარმატების მიღწევაში.

ქოუჩინგის გამოყენება კარიერული დაგეგმისთვის აპრობირებული პრაქტიკაა სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებში, მიუხედავად ამისა საქართველოში მსგავსი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. ჩვენი აზრით განათლების ქართულ სისტემაში მისი დანერგვა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება სტუდენტებისთვის ცხოვრებისეული წარმატების მისაღწევად.

სარჩევი

აბსტრაქტი ... 2

შესავალი ... 4

1. ლიტერატურის მიმოხილვა ... 6

1.1. კარიერის დაგეგმვა ... 6

1.2. ქოუჩინგი კარიერული დაგეგმისთვის ... 8

1.3. ქოუჩინგის მოდელები ... 11

1.3.1. კლინიკური მოდელი ... 11

1.3.2. ბიჰევიორისტული მოდელი ... 12

1.3.3. სოციალური კონსტრუქციული მოდელი ... 13

1.3.4. სისტემური მოდელი ... 15

2. კვლევა ... 16

2.1. კვლევის ინსტრუმენტი ... 16

2.2. ჩატარებული სესიის განხილვა ... 17

2.3. მონაცემთა ანალიზი ... 20

2.4. კვლევის შედეგები ... 21

3. კარიერული ქოუჩინგი სისტემური მოდელის გამოყენებით ... 22

3.1. წინამოსამზადებელი ეტაპი ... 23

3.2. დიაგნოსტიკა ... 25

3.3. ხედვის ჩამოყალიბება ... 25

3.4. შეფასება და გაუმჯობესება ... 27

4. საბოლოო დასკვნა და რეკომენდაციები ... 29

4.1. კვლევის შეზღუდები ... 30

4.2. მომავალი კვლევა ... 30

ბიბლიოგრაფია ... 31

შესავალი

საქართველოს უმაღლესი განათლების კანონში წერია, რომ უმაღლესი განათლების მთავარი მიზანია: ,, პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; პიროვნული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება; თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება; და სხვ.“ (პარლამენტი, 2005) თუმცა პიროვნული პოტენციალის რეალიზებისთვის მხოლოდ არსებული საგანმანათლებლო სისტემა ხშირად საკმარისი არ არის ხოლმე. პიროვნული პოტენციალის რეალიზება დაკავაშირებულია პირველ რიგში გადაწყვეტილების მიღებასთან კარიერასთან დაკავშირებით და შემდგომ შესაბამისი გარემოს არსებობასთან კარიერული წარმატების მისაღწევად.

კარიერის დაგეგმვა მეცნიერების რამდენიმე მიმართულებისთვის არის საინტერესო. მაგალითად სოციალოგია, განათლება, ფსიქოლოგია, ეკონომიკა და აშ.

ფსიქოლოგიური კუთხით თუ განვიხილავთ სამუშაო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყოველი ადამიანის ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენს მის მდგომარეობასა და ემოციებზე. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ წარმატებით არჩეული პროფესია, პოზიტიური მიმართულებით, ზრდის თვითპატივისცემასა და თავის შესახებ წარმოდგენას (Dore R., Meachum M., 1983 ; Erickson E H., 1968; Kalanidi M.S., Deivasenapathy P., 1980), ამცირებს ფიზიკურ და ფსიქიკური პრობლემების სიხშირეს (Portigal A.H., 1976) და ზრდის ცხოვრებით კმაყოფილებას (Portigal A.H., 1976). რა თქმა უნდა პროფესიის ადეკვატური შერჩევა და მისი დაუფლების დონე თავის მხრივ მოქმედებს ცხოვრების ყველა ასპექტებზე. ამიტომაც მნიშვნელოვანია გააზრებული გადაწყვეტილების მიღება.

წინამდებარე სტატია ემყარება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას და შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

1. კვლევის პირველ ეტაპზე, ჩვენს შევისწავლეთ ამ მიმართულებით არსებული ლიტერატურა და ჩატარებული კვლევები;

2. გამოვთქვით ვარაუდი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია საქართველოში მსგავსი საკითხი აქტუალური იყოს;
3. შევადგინეთ კითხვარი რომლის მიზანს წარმოადგენდა გადაემოწმებინა ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა: სტუდენტის მიერ ცხოვრებისეული ხედვის შექმნა, პირდაპირ კავშირშია სტუდენტის კარიერულ წარმატებასთან.

კვლევის შედეგები ისევე როგორც შემუშავებული ქოუჩინგ პროგრამა ქვემოთ იქნება წარმოდგენილი დეტალურად. აქედან გამომდინარე სტატია მოიცავს ორ ნაწილს: თეორიულს, სადაც მიმოვიხილავთ ქოუჩინგის არსებულ მოდელებს და პრაქტიკულს სადაც წარმოვადგენთ კვლევის შედეგებსა და შემუშავებულ ქოუჩიგ პროგრამას.

ქოუჩინგი საქართველოს ბაზრისთვის ახალი მიმართულებაა, თუმცა მსოფლიოში მისი გამოყენება კარიერული დაგეგმისთვის აპრობირებული პრაქტიკაა, სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებში. ჩვენი აზრით, განათლების ქართულ სისტემაში მისი დანერგვა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება, სტუდენტებისთვის ცხოვრებისეული წარმატების მისაღწევად.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. კარიერის დაგეგმვა

პროფესიის არჩევა და კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება დინამიური და რთული პროცესია. (Super, 1963) მომავალთან დაკავშირებით კითხვების დასმას ადამიანი ადრეული ბავშვობიდან იწყებს. თუმცა როდესაც ბავშვობაში ადამიანი ოცნობებს გარკვეულ პროფესიაზე, ნაკლებად თუ ფიქრობს იმ რუტინაზე რისი შესრულებაც მოუწევს ყოველდღიურად. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ წარმატებით არჩეული პროფესია ზრდის თვითპატივისცემასა და თავის შესახებ წარმოდგენას პოზიტიური მიმართულებით (Dore R., Meachum M., 1983 ; Erickson E H., 1968; Kalanidi M.S., Deivasenapathy P., 1980). კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ სიუპერმა ერთ-ერთმა პირველმა დაახასიათა პროფესიული არჩევანი და კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები როგორც დინამიური, განვითარებადი პროცესი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება.

სოციოლოგების მილერის და ფორმის (1964) აზრით ნაციონალობა, კლასი, ოჯახი და საცხოვრებელი ადგილი მნიშვნელოვან როლს თამაშობს არჩევანის დროს. ისინი პროფესიულ "მომწიფებას" განიხილავენ მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე გარემოს პირობებზე დამოკიდებული პროცესის სახით. რამდენადაც ადამიანის ყოფის მთავარი მოდუსი შრომაა, მისი ცხოვრებაც მათ მუშაობის ცნებებში გამოხატეს. Macrae-მ 30-იანი წლების დასაწყისში შექმნა გარკვეული ჩარჩო პროფესიული ორიენტაციისათვის, გრძნობდა რა მის საჭიროებას მაშინ როცა ადამიანები ნაკლებად აწყდებოდნენ შესაფერისი სამუშაოს არჩევის პრობლემას (1932,1934). ამ საკითხის გარჩევისას თუ ძირითადად გათვალისწინებული იქნა მხოლოდ სოციოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორები, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის პროფესიის არჩევის პრობლემა თითქმის არც არსებობს. როდესაც ფსიქოლოგების მიერ ხდება ამ პრობლემის განხილვა, ისინი არჩევანს განიხილავენ, არა როგორც პერიფერიულ გადაწყვეტილებას, არამედ როგორც პროცესს, რომელიც მოიცავს მთელ პიროვნებას და იაზრებენ იმის

საჭიროებას, რომ გამოყენებული იქნეს ზოგად ფსიქოლოგიური თეორიები და მიდგომები პრობლემის გადასაჭრელად. მრავალი ავტორის მიერ პროფესიული არჩევანის კვლევა დანახულია, როგორც პიროვნების კვლევა, თუმცა აქვე ერთვება გადაწყვეტილების მიღება. შტრონგ-ის (1964) აზრით პროფესიული ქცევა შეიძლება განხილული იქნეს როგორც პიროვნული დინამიკის და ასევე ქცევის სხვა პატერნების ძირითადი ინდიკატორი.

ფსიქოლოგიური და სოციალური თეორიებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წარმატებული შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, როგორც პიროვნული შიდა მდგომარეობა ისე სოციალური გარემო, რომელშიც ადამიანი მოღვაწეობს. (Glasl, 1999)

ისინი მუდმივად ურთიერთქმედებაში არიან და საბოლოო ჯამში იწვევენ ცვლილებას პოზიტიურს ან ნეგატიურს. პოზიტიური ცვლილების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან სტუდენტის თვითცნობიერების ამაღლება.



ფიგურა N 1: შიდა და გარე მდგომარეობა

შიდა მდგომარეობა ძირითადად შედგება ფსიქოლოგიური ელემენტებისაგან და მოიცავს:

1. ადამიანის დანიშნულებასა და ღირებულებებს

2. ინტერესები
3. რეფლექციას გავლილ გამოცდილებაზე

გარე მდგომარეობა მოიცავს:

1. გარემო
2. მედია
3. დაინტერესებულ პირებს (ოჯახი, სამეგობრო წრე)

ამასთან გასათვალისწინებელია რომ შიდა მდგომარეობაზე ადამიანს პირდაპირი გავლენა აქვს, მაშინ როდესაც გარე მდგომარეობს შეცვლა მნიშვნელოვნად არ შეუძლია.

პროფესიასთან და კარიერასთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანია შიდა მდგომარეობის გაცნობიერება და მასში ჩაღრმავება, ასევე გარე მდგომარეობის შეფასება. ამასთან შიდა მდგომარეობიდან ენერგიის სწორი მიმართულებით მიმართვა რათა მოახდინოს გარე ფაქტორების ცვლილება. (Glasl, 1999)

აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს ქოუჩინგის ტექნკების გამოყენებით.

1.2. ქოუჩინგი კარიერული დაგეგმისთვის

ქოუჩი უნგრული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ეტლს, ეკიპაჟს - Kocz szeker (აქედან მივიღეთ coach). გერმანიაში ეს ტერმინი სამი მნიშვნელობით გამოიყენება:

- საუკეთესო სპორტსმენების ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტაცია მაქსიმალური შედეგის მისაღწევად;
- პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის სტილი;
- საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერების ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება (Максимов, 2004).

ამდენად, ტერმინი „ქოუჩი“ სხვადასხვა კონტექსტში და სრულიად სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით გამოიყენება.

პირველად ქოუჩინგის კონცეფცია ჩამოაყალიბა ტიმოთი გოლვიმ (Timothy Gallwey) თავის წიგნში - „ტენისის შინაგანი თამაში“1 (Gallwey, 1974). ავტორმა სიტყვა შინაგანში (Inner) იგულისხმა მოთამაშის/სპორტსმენის შინაგანი მდგომარეობა: „ჩვენს თავში არსებული მოწინააღმდეგე უფრო საშიშია, ვიდრე ნამდვილი, გარეგანი მოწინააღმდეგე“. გოლვის თანახმად, თუკი ქოუჩი დაეხმარება სპორტსმენს დაძლიოს შინაგანი წინააღმდეგობა, მაშინ ის შეიმუშავებს სტრატეგიას, რომელიც გამარჯვებაში დაეხმარება. მოგვიანებით, ჯონ ვიტმორმა (John Whitmore) განავითარა ქოუჩინგის იდეები ბიზნესსა და მენეჯმენტის სფეროში გამოსაყენებლად (ეკონომიკური ფსიქოლოგია, 2010).

ქოუჩინგის გამოყენება კარიერული დაგეგმისათვის აპრობირებული და მზარდი პრაქტიკაა მსოფლიოს უნივერსიტეტებში. გამოკითხული სტუდენტების (Benson, M., Tech, V. 2013) 92 % მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად მიღებული კარიერული ქოუჩინგის პროგრამა ღირებულია, ხოლო 73 %-თვის უაღრესად ღირებული. გამოკითული სტუდენტების 91%-მა ასევე აღნიშნა კარიერული ქოუჩინგის სამომავლო ღირებულება. კითხვაზე როგორ დაეხმარა მათ კარიერული ქოუჩი სტუდენტებმა უმეტესწილად შემდეგი პასუსები გასცეს:

- მომვალის ადრე დაგეგმვა
- განათლების მიმართულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება
- სამომავლო მიზნების დასახვა
- ინფორმაციის მიღება სასწავლო პროგრამის შესახებ
- ალტერნატიული ვარიანტების განხილვის შესაძლებლობა

ცხრილი N1: ქოუჩინგის შედარება სხვა მონათესავე მიმართულებებთან

ტრენერი	**ფსიქოლოგი**	**მენტორი**	**ქოუჩი**
იძლევა ახალ ცოდნას	მუშაობს კლინტის პრობლემურ მხარეზე	იძლევა რჩებას თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე	კლინტს ეხმარება თავად აღმოაჩინოს პრობლემა
აქვს ზოგადი მიდგომა და არა ინდივიდუალური	ინდივიდუალური მიდგომა	-	ინდივიდუალური მიდგომა
ორიენტირებული ა მომავალზე	წარსულში ეძებს პრობლემას	წარსული გამოცდილებიდან საუბრობს	ორიენტირებულია მომავალზე

თუმცა აღსანიშნავია რომ არსებობს პრობლემები, რომელიც ქოუჩინგით მოგვარებადი არაა და საჭიროა ფსიქოლოგის დახმარება. შესაბამისად მნიშვნელოვანია ქოუჩმა მოახერხოს პრობლემის დონის გამიჯვნა. პრობლემის შეფასება შესაძლებელია მოხდეს ოთხდონიანი მეთოდის გამოყენებით. (Vogelauer, 2011)

1. სტრუქტურის/ ორგანიზაციის დონე
2. სამუშაო-მეთოდური დონე
3. ინტერ-ფსიქიკური ანუ ურთიერთობის დონე
4. ინტრაფსიქიკური ანუ პიროვნული დონე

იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის შეგროვების შედეგად გაირკვა რომ პრობლემა მეოთხე საფეხურზეა, მისი მოგვარება უმჯობესია ფსიქოთერაპიის შედეგად.

1.3. ქოუჩინგის მოდელები

მიუხედავად იმისა რომ ქოუჩინგი მეცნიერების შედარებით ახალი ნაკლებად ნაკვლევი მიმართულებაა, ლიტერატურაში გამოკვეთილია ოთხი ძირითადი ქოუჩინგ მოდელი: კლინიკური მოდელი, ბიჰევიორისტული მოდელი, სოციალური კონსტრუქციული და სისტემური მოდელი (Barner, 2007)

მიუხედავად განსხვავებისა მიდგომებში, თითოეულ მოდელს აქვს საერთო მიზანი, გაზარდოს კლიენტის ეფექტურობა და იყოს ცვლილების კატალიზატორი, ასევე ნებისმიერ შემთხვევაში შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს. ქოუჩნგის პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ქოუჩმა იცოდეს კონრეტულად, რომელი თეორიულ მოდელს ემყარება მისი სტილი რათა მოახდინოს პროცესის უკეთესი შეფასება.

1.3.1. კლინიკური მოდელი

მრავალი ქოუჩი, რომელიც ამ მიდგომით მუშაობას ამჯობინებს ფიქრობს, რომ წარმატებისთვის მნიშვნელვანია ქოუჩმა გამოიკვლიოს კლიენტის პიროვნული ისტორიის და მისი ინტერპერსონალური ურთიერთობებს შესახებ, და მათი გავლენა მნიშვნელოვან პიროვნულ თვისებებზე (Berglas, 2002; Williams et al., 2002).

კლინიკური მიდგომაში ქოუჩი გვევლინება როგორც მრჩველი ან თერაპევტი. ამ შემთხვევაში თუ ქოუჩს არ გააჩნია საკმარისი ფსიქოლოგიური კომპეტენცია შესაძლებელი დაბრკოლება იყოს ქოჩუნგის პროცესში (Hodgetts, 2002).

ცხრილი N2: ქოუჩინგის მიდგომების შედარება

	კლინიკური	ბიჰევიორისტული	სისტემური	სოციალური კონსტრუქციული
როლი	მრჩველი ან თერაპევტი	ტრენერი	სისტემის მოდელიერი	ეთნოგრაფიული და ნარატიული ანალიტიკოსი
საკვლევი მიმართულება	კლინტის პიროვნება	არაეფექტური ქცევა	პრობლემის კონტექსტი	კლინეტის ისტორია

1.3.2. ბიჰევიორისტული მოდელი

ბიჰევიორისუტული მოდელის თანახმად კლიენტის დასახმარებლად და პიროვნული ცვლილებების განსახორციელებლად ქოუჩს შეუძლია კლიენტს გაანალიზებინოს საკუთარი ქცევის გავლენა საკუთარ თავზე და გარშემომყოფებზე. ასევე დაეხმაროს გზების ძიებაში თუ როგორ მოახდინოს თავისი ქცევის ადაპტაცია ორგანიზაციის მოლოდინებიდან გამომდინარე. (Skiffington and Zeus, 2003). შესაბამისად ქოუჩები რომელებიც ამ მიდგომას იყენებე პროცესში ცდილობენ კლინეტს დაეხმარონ კონკრეტული ქცევის შეცვლაში და ახალი სამუშაო კომპეტენციის განვითარებაში. შედეგად ბიჰევიორისტული ქოუჩები ინსტუმენტად იყენებენ შეფასების სხვადასხვა ტექნიკებს როგორიცაა, შესრულების შეფასება, 360 გრადუსიანი უკუკავშირი, სტრუქტურირებული კითხვარი ან ინტერვიუ რათა მოხდეს სამიზნე აუდიტორიის შესახებ დეტალური ინფორმაციის შეგროვება. (barner 2007)

შეფასების პროცესი

ბიჰევიორისტული მიდგომისთვის მნიშვნელოვანია გამოარკვიოს ქცევა რომლის შეცვლაც უნდა მოხდეს ქოუჩინგის პროცესში . აქედან გამომდინარე ქოუჩინგის მიზნების განსაზღვრა ხდება შეზღუდული პერსპექტივიდან გამომდინარე.

გზამკვლევი კითხვა პროცესში არის რომელი ქცევის ცვლილება მოუტანს წარმატებას კლიენტს ეფექტურობის გაზრდაში?

შეზღუდვები

ბიჰევიორისტული მოდელი გარკვეულწილად შესაძლებელია იყოს მანიპულაციური იმ კუთხით რომ პრობლემური ქცევის განსაზღვრა მოხდეს ქოუჩის მიერ ამასთან ბიჰევიორისტული ქოუჩი შესაძლოა ფოკუსირდეს მხოლოდ ქცევაზე და ვერ მოაგროვოს ისეთი მნიშცნელოვანი ინფორმაცია როგორიცაა კლინეტის წარსული გამოცდილება თუ ფართოთ ორგანიზაციული საკითხები რაც ასევე გავლენას ახდეს ქცევაზე. (O'Neill, 2000).

1.3.3. სოციალური კონსტრუქციული მოდელი

სოციალურ კონსტრუქციული მოდელი ახალი მიდგომაა ქოუჩინგში. ეს მიდგომა ეყრდნობა რამდენიმე პრინციპს

1. ენა რომელსაც ჩვენ ვიყენებთ არა მხოლოდ არსებულ რეალობას ასახავს, არამედ აქტიურ როლს თამაშობს რეალობის ფორმირებასა და სტრუქტურირებაში (Ford, 1999).
2. ნარატივი როგორც ორგანიზაციული კულტურის ნაწილი

როდესაც კლინტი ან სთეიქჰოლდერი ყვება ერთი და იგივე ისტორიას, ორივე მხარე სელექციურად გამოყოფს საკუთარ ნარატივს მაშინ როდესაც ინფორმციის სხვა ნაწილის მინიმიზაციას ან იგნორირებას ახდენს. (Freedman and Combs, 1996).

ქოუჩის მიზანია კლიენტს დაეხმაროს მათი გამოცდილების სელექციური „ჩარჩოს" გაგებაში (Fairhurst and Sarr, 1996).

შეფასების პროცესი

ენა რომელსაც ქოუჩი იყენებს შეფასებისა და ინტერვენციის დროს ძლიერი კატალიზატორია ცვლილების პროცესში. შეფასების პროცესის მთავარი ამოცანაა შეაგროვოს კლინტისა და სთეიქჰოლდერების შესახებ არსებული ნარატიული მასალა. შეფასების პროცეში ქოუჩი ფრთხილად უსმენს თუ როგორ ყვება კლიენტი თავის ისტორიას რათა უკეთ გაიგოს ინტერპრეტაციული ჩარჩო რაც იწვევს კლინტის რწმენას და მოქმედებას. (Freedman and Combs, 1996). შემდეგ ქოუჩი ახდენს კლინტის ძირითადი სთეიქჰლდერების გამოკითხვას რათა მიიღოს მათი ისტორიები კლინტთან დაკავშირებით. ამ დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კითხვები, რომელიც ნათელს მოფენს კლინტის ინტერპრეტაციას წარსულ და მიმდინარე შემთხვევებს და შემდგომ შესაძლებლობებს, მაგალითად: (Barner and Higgins, 2005)

- მომიყევი ისტორია თუ როგორ მოხვედი გუნდში პირველად.
- რა იყო თქვენი პირველი მოლოდინები და გრძნობები?
- მომიყევი რა მოხდა რამაც გამოიწვია დღევანდელი სიტუაცია?
- მომიყევი რა ხდება ახლა
- როგორ ფიქრობ თქვენი (მენეჯერი, გუნდის წევრი და აშ) როგორ მოახდენდა ამ ისტორიის ინტერპრეტირებას რაც ახლა მომიყევით?
- როგორ სრულდება ისტორია?
- როგორ ფიქრობ რა ხდება მომავალში თქვენთვის და თქვენი გუნდისთვის?

ამ კითხვების დასმით სხვა სთეიქჰოლდერების მიმართ ქოუჩ იგებს სად არის ეს ისტორიები დაკავშირებული და სად განსხვავდება, რაც იძლევა დიაგნოზის საშუალებას.

შეზღუდვები

ამ მოდელის გამოყენებისას შესაძლოა მაღალი იყოს ქოუჩის ინტერპრეტაცია ისტორიასთან დაკავშირებით. ამის თავიდან ასარიდებლად ქოუჩმა მუდმივად უნდა გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია უკუკავშირის დახმარებით.

1.3.4. სისტემური მოდელი

შეიძლება ვთქვათ რომ, სისტემური მოდელი მოიცავს ყველა ზემოთ ხსენებულ მოდელს, ამასთან სისტემური ქოუჩინგისთვის მნიშვნელოვანია გაარკვიოს პასუხი კითხვაზე როგორ გავიგოთ კლიენტის პრობლემა ორგანიზაციულ კონტექსტთან მიმართებაში?

ეს მოდელი პრობლემას განიხილავს კონტექსტიდან გამომდინარე, შესაბამისად შეუძლებელია ქცევაში ცვლილების განხორციელდეს პარალელუარდ გარემო სისტემის ცვლილების გარეშე. (Tobias, 1996). სისტემური ქოუჩები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მხარდაჭერას კლინეტის ხელმძღვანელობის ან სხვა ძირითადი ორგანიზაციული სთეიქტოლდერების მიერ ცვლილების პროცესის განხორციელებისთვის. (O'Neill, 2000).

შეფასების პროცესი

შეფასების პროცესში სისტემური ქოუჩები იყენებენ ფართო უფრო მეტად ორგანიზაციაზე ორიენტირებულ მიდგომას.

შეზღუდვები

სისტემური ქოუჩისთვის შესაძლოა გამოწვევა იყოს დაარწმუნოს კლიენტის მენეჯერი მისი როლის მნიშვნელოვაში ცვლილების პროცესში.

2. კვლევა

2.1. კვლევის ინსტრუმენტი

სტატია ემყარება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას და შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

1. კვლევის პირველ ეტაპზე, ჩვენს შევისწავლეთ ამ მიმართულებით არსებული ლიტერატურა და ჩატარებული კვლევები;
2. გამოვთქვით ვარაუდი იმის შესახებ, რომ შესაძლებელია საქართველოში მსგავსი საკითხი აქტუალური იყოს;
3. ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა: სტუდენტის მიერ ცხოვრებისეული ხედვის შექმნა, პირდაპირ კავშირშია სტუდენტის კარიერულ წარმატებასთან.
4. შევადგინეთ კითხვარი რომლის მიზანს წარმოადგენდა გადაემოწმებინა ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა
5. მიღებული შედეგებისა და ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შევქმენის სტუდენტური ქოუჩინგის პროგრამა
6. შემუშავებული ქოუჩინგ პროგრამის ჩატარება მოხდა პრო ბონო ქოუჩინგ სესიაზე
7. მიღებული უკუკავშირის შედეგად შესაბამისი ცვლილებები შევიტანეთ ქოუჩინგის პროგრამაში

ჩვენი მიზანია გავიგოთ როგორი გავლენა აქვს ცხოვრებისეული ხედვის არსებობას სტუდენტის კარიერულ წარმატებაზე, ასევე გავარკვიოთ ის ძირითადი ფაქტორები რაც გავლენას ახდენს სტუდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე.

თემის დამუშავებასა და კითხვარის შედგენას წინ უძღოდა ინდივიდუალური ქოუჩინგ შეხვედრა უნივერსიტეტის 5 სტუდენტთან. საუბრების შინაარსის გააზრების შემდეგ კვლევისთვის შემდეგი მიდგომა განვსაზღვრეთ:

პირველ ეტაპზე ჩამოვაყალიბეთ დახურული და ღია ტიპის შეკითხვები რათა გაგვეგო:

1. აქვთ თუ არა სტუდენტებს მომავლის შესახებ ნათელი ხედვა
2. სად ფიქრობს მუშაობის დაწყებას სწავლის დამთავრების შემდგომ
3. ემხრობოდნენ თუ არა ქოუჩინგ პროგრამის დანერგვას კარიერული წარმატებისთვის

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია სტუდენტის ნარატივი უნივერსიტეტში ჩაბარებასთან დაკავშირებით, ამიტომ ვთხოვეთ მოეყოლათ ისტორია, როგორ მოხვდნენ უნივერსიტეტში და გამართლდა თუ არა მათი მოლოდინები.

მეორე ეტაპზე მიღებული შედგების ანალიზის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ კარიერული ქოუჩინგის პროგრამა, რომელიც ჩავატარეთ 10 კაციან ჯგუფებში. ქოუჩინგის დაწყებამდე მონაწილეებს ვუტარებდით გამოკითვას, პირველ ეტაპზე შემუშავებული კითხვარის მიხედვით, ხოლო სესიის დამთავრების შემდეგ შევაგროვეთ უკუკავშირი. უკუკავშირის მიზანი იყო გაგვერკვია დამსწრეთა კმაყოფილება ჩატარებულ სესიასთან დაკავშირებით, ასევე ვთხოვდით დაეფიქსირებინათ შეხვედრის რომელი ნაწილი დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად და რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ პროგრამაში.

2.2. ჩატარებული სესიის განხილვა

ჩატარებული სესია გრძელდებოდა 3 საათის განმავლობაში, შეხვედრას ესწრებოდნენ პირველი კურსის სტუდენტები. სესია მოიცავდა რამდენიმე ეტაპს:

თვითანალიზი

1. პროფესიული მიდრეკილების კვლევა განვახორციელეთ ჰოლანდერის თვითსაკვლევი კითვარის საშუალებით

2. ღირებულებების კვლევა ცნობიერ და არაცნობიერ დონეზე.

მონაწილეებს მიეცათ დრო ჩამოეწერათ ღირებულებები და მნიშვნელობის მიხედვით დაენომრათ (ცნობიერი), ხოლო შემდგომ მივეცით წარმოსახვითი დავალება გადაადგილებულიყვნენ „ა“ წერტილიდან „ბ“ წერტილში, ამასთან გზაში შეხვედრილი წინააღმდეგობები შეეძლოთ გადაელახათ მათი ღირებულებებით. პირველ დაბრკოლებაზე უნდა დაეთმოთ პირველი ღირებულება, შემდეგ მეორე და ასე ბოლომდე სანამ დანიშნულების ადგილს მიაღწევდნენ. ამ დავალებით შევეცადეთ სტუდენტებისთვის დაგვენახვებინა მათ ღირებულებები არაცნობირ დონეზე, რომელიც 95 % შემთხვევაში განსხვავებული აღმოჩნდა ცნობიერი ღირებულებებიდან. იყო ერთი შემთხვევა, როდესაც მონაწილის ცნობიერ დონეზე დავალების შესრულებისას პირველ ადგილას დაყენებული ღირებულება არაცნობიერ დონეზე ბოლო ადგილას აღმოჩნდა.

3. რეფლექცია და გაზიარება

გაკეთდა დავალების განხილვა და რეფლექცია. სწორი გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა ფაქტორები ახდენს ჩვენზე გავლენას. არაცნობიერი ღირებულებები სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. გაზიარების შედეგად მონაწილეთა უმრავლესობამ გამოხატა გაოცება.

4. სვოტ ანალიზი

ღირებულებების გაანალიზების შემდგომ გადავწყვიტეთ კიდევ უფრო გაგვეზარდა ცნობიერება და დამსწრეებს შევთავაზეთ სვოტ ანალიზის გაკეთება.

თვითანალიზის შემდგომ დავიწყეთ სამომავლო ხედვაზე მუშაობა

ვიზია

1. მომავლის ხედვა, როგორ წარმომიდგენია სასურველი მომავალი

შევეცადეთ მაქსიმალურად მშვიდი და თავისუფალი გარემოს შექმნას მონაწილეებისთვის. ისინი დამოუკიდებლად ფიქრობდნენ დასმულ კითხვაზე, მათი დავალება იყო მოეხდინათ სასურველი მომავლის ვიზუალიზაცია.

2. ხედვის მაქსიმალურად ვიზუალიზაცია და კონკრეტიზაცია

შემდეგ ნაწილში შევეცადეთ ხედვა უფრო კონრეტული და დეტალური გაგვეხადა და მონაწილეებს ვთხოვდით ეფიქრათ ისეთ ელემენტებზე, როგორიცაა გარემო, ფერები, ხმა, ემოცია და აშ.

3. წერილი მომავლიდან

ამ ნაწილში მონაწილეებს ვთხოვეთ სასურველი მომავლის მდგომარეობიდან, მოეწერათ წერილი საკუთარი თავისთვის აწმყოში. საორიენტაციო კითხვები წერილისთვის შევარჩეთ ვიზიის მოდელიდან (Vogelauer, 2011) და გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

1. როგორ გამოიყურება შენი კარიერა?
2. როგორ გრძნობ თავს?
3. რამდენი დრო დაგჭირდა მიზნის მისაღწევად?
4. რა უნარები დაგეხმარა მიზნის მიღწევაში?
5. რა რესურსები გამოიყენე პროდესიოული წარმატების მისაღწევად
6. ვის მიმართავდი დასახმარებლად და რჩევის მისაღებად?
7. შენი ღირებულებების გათვალისიწნებით როგორ ტიპი ხარ, რა ღირებულებებს ატარებ?
8. როგორ იგებდი ხოლმე რომ შემდეგი ნაბიჯის გადასადგმელად იყავი მზად?
9. რა იყო შენი მოტივაციის წყარო?

მონაწილეებს ვთხოვეთ შეენახათ წერილები, როგორც მათი სამოქმედო გეგმა.

2.3. მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა ანალიზისთვის ჩვენ სტატისტიკური პროგრამა IMB SPSS Statistics 20 გამოვიყენეთ. თავდაპირველად დემოგრაფიული ცვლადები გავაანალიზეთ. შედეგების მისაღებად წრფივი რეგრესია გამოვითვალეთ.

კვლევის ობიექტები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტია. პირველ ეტაპზე გამოკითხვაში მონაწილეობა ჯამში 60-მა ადამიანმა მიიღო.

გამოკითვა ასევე ჩავატარეთ მეორე ეტაპზე ქოუჩინგ სესიის დაწყებამდე, სადაც გამოვკითხეთ 10 ადამიანი, ჯამში გამოკითხვაში მონაწილეობა 70 სტუდენტმა მიიღო. აქედან 60 პირველკურსებილი 10 კი მეორე კურსელი იყო. კვლევაში გამოკითხულთა 88%- ქალია, ხოლო 12 % მამაკაცი.

გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 10 %-მა იცის სად არის 5-10 წლის შემდეგ. ამასთან მხოლოდ 1 %-ს აქვს ნათელი და ზუსტი სამომავლო ხედვა. მაგალითად ასეთი სტუდენტები ხედვის ფორმულირებას ახდენენ კონკრეტული მახასიათებლებით როგორიცაა: “მაქვს ჩემი კომპანია რომელიც მუშაობს ტექნიკური ინოვაციების მიმართულებით”. ასეთი სტუდენტები შემდგომ კითხვაზე თუ რა არის საჭრო რომ აღნიშულ ხედვას მიაღწიო მომავალში მარტივად პასუხობენ.

ქოუჩინგ პროგრამის უკუკავშირის მიხედვით ყველაზე მეტად შეხვედრის განმავლობაში დაამახსოვრდათ ღირებულებების და ვიზიის სავარჯიშო. მონაწილეებს ასევე ვთხოვეთ მოეცათ გაუმჯობესების რეკომენდაციები. მონაწილეთა უმრავლესობამ (80 %) ისურვა მსგავსი შეხვედრის განმეორება, რადგან როგორ აღნიშნეს ერთი შეხვედრა საკმარისი არ არის.

კვლევის შედეგემბა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია აჩვენა, კერძოდ საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტების 72 % ახერხებს უნივერსიტეტის დამთავრებას (იხ. ცხრილი N1, ცხრილი N2) მიუხედავად ამისა გამოკითხულ სტუდენტთან უმრავლესობა 82 %-სთვის ბუნდოვანია ან აქამდე არ უფიქრია

სად იმუშავებდა უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ. ასევე კითხვაზე თუ რამდენად გაამართლა უნივერსიტეტმა მათი მოლოდინები 85 % უარყოფითად პასუხობს.

ცხრილი N3: მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საქსტატი, სტატისტიკური ინფორმაცია, 2017)

წლები	**მიღება საჯარო სასწავლებლებში**	**მიღება კერძო სასწავლებლებში**
2011-2012	22839	9608
2012-2013	22921	11302

ცხრილი N4: კურსდამთავრებულთა რაოდენობა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საქსტატი, სტატისტიკური ინფორმაცია, 2017)

წლები	**დამთავრება საჯარო სასწავლებელში**	**კერძო სასწავლებელში**	**დამთავრების % საჯარო სასწავლებლებში**	**დამთავრების % კერძო სასწავლებლებში**
2015	16382	5960	72	62
2016	16731	6625	73	59

2.4. კვლევის შედეგები

კვლევის მნიშვნელოვანი ცვლადი, ხედვის არსებობა დადებით კავშირშია კარიერულ წარმატებასთან n=70, r=-0.135, p=.001,

თუმცა არ შეგვიძლია ამ მონაცემის განზოგადება ვინაიდან არ მომხდარა კურსდამთავრებულების გამოკითხვა.

რაც შეეხება ქოუჩინგის მნიშვნელობას სტუდენტის კარიერულ წარმატებასთან გამოკითხულთა უმრავლესობა (95%) მიიჩნევს რომ მნიშვნელოვანია და უნდა დაინერგოს უნივერსიტეტის სასწავლო სისტემაში. ამასთან რესპოდენტებს გამოკითხვის დროს საშუალება ქონდათ გამოეთქვათ მოსაზრება ქოუჩინგის დანერგვის შესახებ სასწავლო პროცესში. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ქოუჩინგის გამოყენება სწავლების პროცესში გაზრდის სტუდენტების მოტივაციას. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ლექტორებმა შეითავსონ ქოუჩის პროფესია.

ქოუჩიგის ტექნიკები კერძოდ კი სისტემური ქოუჩინგი იძლევა მრავალ ინსტრუმენტს სტუდენტებისთვის კარიერული წარმატების მისაღწევად. ეფექტური ქოუჩნგ პროგრამისა და გარემოს კომბინაციით შესაძლებელია სასურველი შედეგის მიღება და სტუდენტების როგორც კარიერული წარმატების ისე აკადემიური მოსწრების გაზრდა. ქვემოთ შევეცდებით აღვწეროთ კვლევის შედეგად შემუშავებული ქოუჩინგ პროგრამა.

3. კარიერული ქოუჩინგი სისტემური მოდელის გამოყენებით

კარიერული ქოუჩინგის პროგრამას ჩამოვაყალიბებთ სისტემური მოდელის გამოყენებით. შემუშავებული პროგრამა შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

წინა მოსამადებელი ეტაპი, დიაგნოსტიკა, ვიზია, შეფასება და გაუმჯობესება. თითოეულ ეტაპს ქვემოთ განვიხილავთ დეტალურად.



ფიგურა N2: კარიერული ქოუჩნგის პროცესი

3.1. წინამოსამზადებელი ეტაპი

კლიენტთან ურთიერთობის დაწყებამდე მნიშვნელოვანია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევა და ქოუჩინგის ჩარჩოს შექმნა. ეს პირველ რიგში გვეხმარება განვსაზღვროთ ჩვენი აუდიტორია და შემდეგ უკვე ჩამოვაყალიბოთ ქოუჩიგის ჩარჩო. ამ ეტაპის საბოლოო მიზანია კლიენტის პირველადი მიზნის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლოა მოგვიანებით შეიცვალოს სამუშაო ფაზაში. ფოგელაუერის (2011) მიხედვით პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია შემდეგი ელემენტებზე ყურადღების გამახვილება:

1. მიზნები და სამომავლო ხედვა

ასახელებს თუ არა პრობლემას კლინეტი თუ მხოლოდ აღწერს და ქოუჩისგან ელის მზა რეცეპტს? რამდენად არის პრობლემა გაცნობიერებული? როგორ ისტორიას ყვება კლინტი პრობლემასთან დაკავშირებით?

2. მზაობა

აუცილებელია გავარკვიოთ კლიენტის შინაგანი მზაობა ცვლილებებისთვის. კლიენტთან მუშაობის დაწყებამდე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად მზადაა იგი

შინაგანად, შეცვალოს საკუთარი ქცევა, აზროვნების სტილი წარმოდგენები და აქტივობები. რამდენად მზადაა სწავლებისა და ცვლილებებისთვის, ანუ აჩვენებს თუ არა დამაჯერებლად, რომ მას ცვლილება უნდა თუ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია? ნამდვილად სჯერა, რომ რაღაცის შეცვლა შეუძლია; მისი რწმენა და ცვლილების სურვილი მხოლოდ ცარიელი სიტყვებით ხომ არ ამოიწურება?

4. პასუხისმგებლობა

მორიგი ქვაკუთხედი ქოუჩინგის წარმატებისთვის კლიენტის პასუხისმგებლობაა. მზადაა თუ არა, ყველა აქტივობაზე გადაწყვეტილება თავად მიიღოს, პრობლემის გადაჭრის გზები თავად მოიფიქროს, განახორციელოს, და შედეგებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს? ქოუჩისგან ხომ არ ელის გამზადებულ მითითებებს, მეთოდებსა და პრინციპებს, ხოლო თვითონ მხოლოდ მიბაძვის სურვილს გამოთქვამს? იქნებ ქოუჩისგან ელის გადაწყვეტილებას ანდა რჩევას, თუ როგორ განახორციელოს იდეები, რომლებიც ქოუჩინგის პროცესში დაებადა? ეს უკანასკნელი შემთხვევები ნაკლებად სახარბიელოა ქოუჩინგის საწყის ეტაპზე.

5. თვითრეფლექციის უნარი

რამდენად აყენებს ეჭვქვეშ საკუთარ ქცევას და აქტივობას, რამდენად შეუძლია მათი გაანალიზება? რამდენად თავისუფლად ასახელებს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებს? შეუძლია მარცხე საუბარი?

6. ცოდნის ტრანსფერი

ქოუჩინგის დროს გადამწყვეტია საბოლოო ჯამში კლიენტის მიერ მიღებული ცოდნის, გადაწყევტილებების ტრანსფერი. ქოუჩინგი არის უწყვეტი გაცნობიერების, მომზადების , განხორციელების და უკვე რეალობაში განხორციელებული შედეგის რეფლექციის პროცესი;

3.2. დიაგნოსტიკა

სიუპერის მიერ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით ადამიანის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია თუ რამდენად კარგად იცნობს ის საკუთარ თავს, რამდენად შეუძლია საკუთარი "მე კონცეფციის" იდენტიფიცირება და მისი აქტიური გამოყენება. დიაგნოსტიკის ეტაპზე მნიშვნელოვანია ადგილი უჭრავს თვითცობიერებას. შესაბამისად ამ ეტაპის მთავარი მიზანია დაეხმაროს სტუდენტს ცნობიერების გაზრდაში.

ქოუჩინგის დროს დიდ როლს თამაშობს ატმოსფერო ან გარემო სადაც სტუდენტს უწევს მოღვაწეობა. თუ სტუდენტის გარემო მხარს უჭერს ცვლილებაში და მზად არის საჭროების შემთხვევაში დაეხმაროს მას ქოუჩინგი უფრო წარმატებული იქნება, შესაბამისად დიაგნოსტიკის ეტაპზე მნიშვნელოვანია მოვიძიოთ იფორმაცია გარემოს შესახებ.

ინფორმაცია შესაძლებელია შევაგროვოთ სოციალური კონსტრუქციული მოდელის გამოყენებით კერძოდ მოვისმინოთ სტუდენტის ნარატივი მის გარემოსთან დაკავშირებით:

- მომიყევი ისტორია თუ როგორ მოხვედი უნივერსიტეტში
- რა იყო თქვენი პირველი მოლოდინები და გრძნობები?
- მომიყევი რა ხდება ახლა
- მომიყევი რა მოხდა რამაც გამოიწვია დღევანდელი სიტუაცია?

3.3. ხედვის ჩამოყალიბება

მნიშვნელოვანია სტუდენტმა ნათლად დაინახოს მომავალი რათა წარმატებულად გააგრძოს მიზნისკენ სწრაფვა. როგორც აღმოჩნდა ძალიან მცირე რაოდენობის (გამოკითულთა 1%) აქვს ზუსტად წარმოდგენილი გრძელვადიანი მომავალი 5-10 წლის შემდეგ. სასურველია ხედვის ჩამოყალიბება მოხდეს შემოქმედებითი ინსტრუმენტების გამოყენებით ვინდაიდან თავისთავად პროცესი ძალიან კრეატიულია. მაგალითისათვის

შესაძლებელია მოხდეს დროში მოგზაურობის ინიცირება და სასურველი მომავლიდან წერილის მოწერა აწმყოში, რომელიც რეალურად სამოქმედო გეგმას წარმოადგენს სტუდენტისთვის. ან ნახატის შესრულება და შემდგომ მისი განხილვა. შერჩეული მეთოდი დამოკიდებულია აუდიტორიაზე და ქოუჩის გადაწყვეტილება. პროცესის გზამკვლევად შესაძლებელია ტრიგონის მიერ შემუშავებული ვიზიის მეთოდის გამოყენება. (იხ. ცხრილი N3)



ფიგურა N3: ჩემი პირადი ხედვა (Vogelauer, 2011)

3.4. შეფასება და გაუმჯობესება

ქოუჩნგი ახალი სფეროა საქართველოში, ამიტომ მნიშვნელოვანია შეუშავდეს შეფასების სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაგროვოთ უკუკავშირი მონაწილეებისგან და მივიღოთ გაუმჯობესების რეკომენდაციები. კერძოდ, ქოუჩნგის სესიების შემდგომ, მისი ეფექტურობის დასადგენად, ქოუჩსა და კლინეტს უნდა მიეწოდოს პროცესის შეფასების ფორმა. უკუკავშირის მეშვეობით კლიენტები დააფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს, შეაფასებენ ქოუჩს და ქოუჩინგის გავლის შემდგომ მიღებულ სარგებელს. ასევე სასურველია მოხდეს სტუდენტების გამოკითხვა უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ, რათა გავიგოთ რამდენად იმოქმედა გრძელვანიან პერიოდში პროგრამამ. თავის მხრივ, სასურველია ქოუჩმაც გააკეთოს რეფლექცია ჩატარებულ სესიაზე და მიღებულ შედეგზე. აღნიშნული შეფასების გათვალისწინებით შესაძლებელია პროგრამის მუდმივი ცვლილება და გაუმჯობესება.

კარიერული ქოუჩინგის ძირითადი ელემენტების შეჯამება

ფიგურა N4 :კარიერული ქოუჩნგის ძირითადი ელემენტები

მოსალოდნელი შედეგები

აღნიშნული პროგრამის განხორციელების შედეგად ვფიქრობთ შესაძლებელია გაუმჯობესდეს შემდეგი ელემენტები:

სტუდენტების მოტივაციის გაზრდა

ღირებულებებისა და მიზნების გაცნობიერების შემდეგ სტუდენტს ექნება მეტი მოტივაცია მიაღწიოს სასურველ შედეგს.

დროის მართვა

გრძელვადიანი ხედვის არსებობა, უზრუნველყოფს პრიორიტეტების დალაგებას, შესაბამისად სტუდენტი მოახერხებს დროის ეფექტურ მართვას;

სწორი ფოკუსი

გრძელვადიანი ხედვის არსებობის შემთხვევაში სტუდენტი მოახერხებს ფოკუსირებას რელევანტურ საგნებზე და შეძლებს საჭირო უნარების გაუმჯობესებას;

4. საბოლოო დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ ქოუჩინგის თეორიული მოდელები მათი ძირითადი მახასიათებლები და განსხვავებები.

ჩატარებული გამოკითვა ცხადყოფს, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი ემხრობა უნივერსიტეტში ქოუჩინგ პროგრამის დანერგვას და აღნიშნავს ქოუჩინგის გამოყენების მნიშვნელობას სტუნდენტის მიერ კარიერული წარმატების მისაღწევად.

პრობლემები რომლებიც შეიძლება მოყვეს ქოუჩინგის დანერგვას უნივერსიტეტში:

- ნდობის დაბალი მაჩვენებელი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან
- პროფესიონალი ქოუჩების ნაკლებობა
- ფინანსური დანახარჯები

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, პირველ რიგში მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში მომუშავე ადამიანთა ცნობიერების ამაღლება ქოუჩინგთან დაკავშირებით. ქოუჩინგის დანერგვამდე, უპირველეს ყოვლისა, უნდა გატარდეს ცნობიერების ამაღლების ხელმშემწყობი ღონისძიებები.

უნივერსიტეტის კარიერული ცენტრის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტების დახმარება პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში და საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში; მიგვაჩნია რომ ქოუჩინგის დანერგვით კარიერული განვითარების ცენტრი წარმატებით მიაღწევს აღნიშნულ მიზანს. ასევე უნდა მოხდეს პროფესორ მასწავლებლების დაინტერესება და გათვითცნობიერება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ქოუჩინგი სწავლების პროცესში. ცნობიერების ამაღლების პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს უნივერსიტეტის სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინარული პროგრამის, ორგანიზაციის და პერსონალური განვითარების კურსდამთავერებულები, რომლებიც უტარებენ ქოუჩინგ სესიებს სტუდენტების კარიერული ორიენტაციისთვის.

4.1. კვლევის შეზღუდები

კვლევა განხორციელდა ერთ უნივერსიტეტში და მიღებული შედეგები წარმოადგენს ერთი უნივერსიტეტის სურათს, ამასთან არ მომხდარა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა , შესაბამისად მიღებულ შედეგს ფართო რაოდენობაზე ვერ გავავრცელებთ. მიუხედავად ამისა კვლევამ აჩვენა ნათელი ტენდენცია და ვფიქრობთ საინტერესო იქნება მომავალში მოხდეს მეტი ადამიანის გამოკითხვა, მათ შორის კურსდამთავრებულების, რათა შედეგების განზოგადების საშუალება გვქონდეს.

კვლევის კიდევ ერთ შეზღუდვად შესაძლოა ჩაითვალოს ის რომ რთულია კარიერული ქოუჩინგის დანახვა მოკლედ პერიოდში, შესაბამისად საჭიროა პროცესზე გრძელვადიანი დაკვირვება.

4.2. მომავალი კვლევა

ეს კვლევა შესაძლებელია ჩატარდეს უნივერსიტეტებში და მოხდეს განზოგადებული პრაქტიკის ჩამოყალიბება საქართველოში.

ქოუჩნგი ახალი სფეროა, ამიტომ სასურველია შეუშავდეს შეფასების სისტემა, რომელიც მოერგება უნივერსიტეტის სტრუქტურას. კერძოდ, ქოუჩნგის სესიების შემდგომ, მისი ეფექტურობის დასადგენად, ქოუჩსა და კლინეტს უნდა მიეწოდოს პროცესის შეფასების ფორმა. უკუკავშირის მეშვეობით კლიენტები დააფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს, შეაფასებენ ქოუჩს და ქოუჩინგის გავლის შემდგომ მიღებულ სარგებელს. ასევე სასურველია მოხდეს სტდენტების გამოკითვა უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ, რათა გავიგოთ რამდენად იმოქმედა გრძელვანნიან პერიოდში პროგრამამ. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ქოუჩმა გააკეთოს რეფლექცია ჩატარებულ სესიაზე და მიღებულ შედეგებს. აღნიშნული შეფასების გათვალისწინებით შესაძლებელია პროგრამის მუდმივი ცვლილება და გაუმჯობესება.

ბიბლიოგრაფია

პარლამენტი, ს. (2005, ოქტომბერი 1). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*. From სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე": https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32830

საქსტატი. (2017, დეკემბერი 1). *სტატისტიკური ინფორმაცია*. From საქსტატის ოფიციალური ვებგვერდი: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo

საქსტატი. (2017, დეკემბერი 1). *სტატისტიკური ინფორმაცია, უმაღლესი განათლება*. From საქსტატის ოფიციალური ვებგვერდი: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2104&lang=geo

Farr, M. (2006). *Overnight Career Choice – Discover Your Ideal Job in a few hours.* თბილისი: JIST Publishing, inc.

Glasl, F. (1999). *Confronting Conflict: First-aid Kit for Handling Conflict, A: A First-aid Kit for Handling Conflict .* Hawthorn Press Ltd.

Paul Tieger, P. B.-T. (2011). *Do What You are 3rd eddition .* Brown Us.

Super, D. (1963). *Career Development: Self-Concept Theory.* College Board.

Vogelauer, W. (2011). *Methoden-ABC im Coaching.* Hermann Luchterhand Verlag.

Darrel Anthony Luzzo, (Paul Tieger, 2011)Lisa Ellen Severy ; Making Career Decisions That Count – A Practical Guide, 3rd Edition; Pearson prentice Hall, 2009.

Barner, R. and Higgins, J. , (2007),"Understanding implicit models that guide the coaching process", Journal of Management Development, Vol. 26 Iss 2 pp. 148 – 158

Berglas, S. (2002), "The very real dangers of executive coaching", Harvard Business Review, Vol. 80 No. 6, pp. 86-92.

Blumer, H. (1986), Symbolic Interactionism: Perspective and Method, University of California Press, Berkeley, CA.

Bushe, G.R. (1995), "Appreciative inquiry as an organization development intervention", Organization Development Journal, Vol. 13 No. 3, pp. 14-22

Eden, D. (1992), "Leadership and expectations: Pygmalion effects and other self-fulfilling prophecies in organizations", Leadership Quarterly, No. 3, pp. 271-305

Ford, J.D. (1999), "Organizational change and shifting conversations", Journal of Organizational Change Management, Vol. 12 No. 6, pp. 480-500.

Ford, J.J. and Ford, J.W. (2002), “Conversations and the authorship of change”, in Holman, D. and Thorpe, R. (Eds), Management and Language: The Manager as a Practical Author, Sage, Thousand Oaks, CA.

Hermann Luchterhand Verlag; Auflage: 6 (1. Mai 2011) „Methoden-ABC im coaching”

O’Neill, M.B. (2000), Executive Coaching with Backbone and Heart, John Wiley & Sons, San Francisco, CA.

Tobias, L.L. (1996), “Coaching executives”, Consulting Psychology Journal: Practice and Research, Vol. 48 No. 2, pp. 87-95.

Whitmore, J. (June 2002). Coaching for Performance. Nicholas Brealey.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა

I სემესტრის დოქტორანტი

ანა ჯანჯღავა

სადოქტორო სემინარი

ბუნებრივი რესურსების გავლენა ქვეყნების ეკონომიკებზე. რუსეთისა და ნორვეგიის შედარებითი ანალიზი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვალერიან მელიქიძე

თბილისი, 2018

სარჩევი

შესავალი....4

თემის აქტუალობა....4

ნაშრომის მიზანი და ამოცანები....4

ნაშრომის ობიექტს წარმოადგენს....4

რა არის ბუნებრივი რესურსები....6

ბუნებრივი რესურსების გავლენა ეკონომიკაზე....7

რესურსული წყევლა....9

„ჰოლანდიური დაავადება"....12

ნორვეგია....14

ზოგადი ცნობები ქვეყნის შესახებ....14

ნორვეგიის ნავთობისა და გაზის ისტორია აღმოჩენიდან დღემდე....15

ნორვეგიის ნავთობის მოპოვების ფილოსოფია....19

ნავთობისა და გაზის ექსპორტი....20

ნავთობის მოპოვების სისტემა და გადამუშავება....20

რუსეთი....21

ზოგადი ცნობები ქვეყნის შესახებ....21

რუსეთის ნავთობისა და გაზის ისტორია აღმოჩენიდან დღემდე....22

1917 წლამდე....22

საბჭოთა კავშირის პერიოდი....23

თანამედროვე სიტუაცია....25

წარმოების მოცულობა....27

წილი მსოფლიო მოპოვებაში....27

მარაგი....27

ძირითადი მომპოვებელი კომპანიები....28

ნავთობის გადამუშავება....28

ნავთობისა და გაზის ექსპორტი....28

ნორვეგიისა და რუსეთის სარეზერვო ფონდების შედარება....29

ნორვეგიის გლობალური სუვერენული საპენსიო ფონდი....29

რუსეთის სტაბილიზაციის ფონდი....30

რუსეთის და ნორვეგიის სტატისტიკური მონაცემების შედარება....32

დასკვნა....35

დანართი 38

დოკუმენტი 1. „ნავთობის 10 მცნება“ 38

რუკა 1. რუსეთის ნავთობის მარაგი რეგიონების მიხედვით 39

რუკა 2. რუსეთის ბუნებრივი აირის მარაგი რეგიონების მიხედვით 40

რუკა 3. ევროპის ქვეყნების მიერ რუსეთის ბუნებრივი აირის მოხმარების პროცენტული მაჩვენებელი 41

ცხრილი 1. რუსული ნავთობის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების ტოპ-10: 42

ცხრილი 2. რუსული ნავთობის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების ტოპ-10: 42

ცხრილი 3. ნორვეგიისა და რუსეთის ფონდების რიცხობრივი შედარება 43

გრაფიკი 1. ნორვეგიაში ნავთობისა და ბუნებრივი აირის ისტორიული და დაგეგმილი მოპოვება (მლნ ტ) 45

გრაფიკი 2. ნორვეგიაში ნავთობის მოპოვება და მოხმარება წლების მიხედვით (მლნ ტ) 45

გრაფიკი 3. ნორვეგიაში ბუნებრივი აირის მოპოვება და მოხმარება წლების მიხედვით (მლნ ტ) (ნავთობის ექვივალენტში) 46

გრაფიკი 4. ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების წილი რუსეთის ბიუჯეტში (მლრდ აშშ დოლარი) 46

გრაფიკი 5. რუსეთის ფედერაციაში ნავთობის მოპოვება და ექსპორტი (მლნ ტონა) 47

გრაფიკი 6. რუსეთის ფედერაციაში ბუნებრივი აირის მოპოვება და ექსპორტი (მლრდ $მ^3$) 47

გრაფიკი 7. ნავთობის მოპოვება ქვეყნების მიხედვით 2016 წლის მონაცემებით 48

გრაფიკი 8. ბუნებრივი აირის მოპოვება ქვეყნების მიხედვით 2016 წლის მონაცემებით 48

გრაფიკი 9. მსოფლიო ნავთობის დადასტურებული მარაგი 2016 წლის მონაცემებით 49

გრაფიკი 10. ბუნებრივი აირის დადასტურებული მარაგი 2016 წლის მონაცემებით 49

გრაფიკი 11. რუსეთისა და ნორვეგიის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა წლების მიხედვით (მლრდ დოლარი) 50

გრაფიკი 12. მშპ ერთ მოსახლეზე რუსეთში და ნორვეგიაში წლების მიხედვით (ათასი დოლარი) 50

გრაფიკი 13. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი რუსეთში და ნორვეგიაში წლების მიხედვით 51

გრაფიკი 14. ყოველთვიური ხელფასების საშუალო ოდენობა ნორვეგიასა და რუსეთში 2014-2016 წლებში (აშშ დოლარი) 52

გრაფიკი 15. ნორვეგიისა და რუსეთის ჰუმანური განვითარების ინდექსები წლების მიხედვით . 53

გრაფიკი 16. ნორვეგიისა და რუსეთის დემოკრატიის ინდექსები (2016 წლის მდომარეობით) 54

გრაფიკი 17. ნორვეგიისა და რუსეთის კორუფციის აღქმის ინდექსი წლების მიხედვით 55

გრაფიკი 18. ნორვეგიაში და რუსეთში ეკონომიკის ზრდის ტემპები 2000-2016 წლებში 56

გამოყენებული ლიტერატურა 57

შესავალი

თემის აქტუალობა

არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ბუნებრივი რესურსების ფლობა, განსაკუთრებით ნავთობისა და ბუნებრივი აირის სახით, სახელმწიფოსთვის ძალაუფლებისა და მატერიალური დოვლათის გარანტია. „შავი ოქროს“ აღმოჩენამ და მისი მოპოვების გააქტიურებამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან რადიკალურად შეცვალა მსოფლიო წესრიგი. დღესდღეობით ძალაუფლების ბერკეტები მათ ხელშია, ვინც ბუნებრივი რესურსების ბაზარს აკონტროლებს და ფასების პოლიტიკის კანონმდებელს წარმოადგენს.

მეორეს მხრივ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ რესურსების უხვად ფლობა აუცილებლად წარმატებულ ეკონომიკასა და განვითარებულ ინსტიტუტებს არ გულისხმობს. მსოფლიოში უამრავი მაგალითი არსებობს, როდესაც ქვეყნისთვის ბუნებრივი რესურსების ფლობა არათუ სარგებლის მომტანი, პირიქით საზიანოც ყოფილა. ამას გარდა, არსებობს მაგალითები, როდესაც ნაკლები რესურსების მქონე ქვეყნებში ცხოვრების დონე და ერთ მოსახლეზე შემოსავლები ბევრად აჭარბებს იმ ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს, სადაც ბუნებრივი რესურსები უხვად არის. ეს ყველაფერი ბადებს კითხვებს, რა იწვევს რესურსული უზრუნველყოფის პირობებში ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, რატომ ვერ ახერხებენ „შავი ოქროს“ ექსპორტიორი ქვეყნები განვითარებას და რატომ არსებობს ასეთ ქვეყნებში ავტორიტარული მმართველობის დამკვიდრების საშიშროება.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები

ნაშრომის ობიექტს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსები, ხოლო სუბიექტს - ქვეყნები, რომელთა მაგალითზეც განვიხილავთ რესურსულ უზრუნველყოფას. ეს ქვეყნები არის რუსეთი და ნორვეგია. კონკრეტულად ამ ქვეყნების განხილვაზე არჩევანი შეჩერდა იმ მიზეზით, რომ მიუხედავად მათი საერთო მახასიათებლებისა: ორივე ახორციელებს ნავთობისა და გაზის ექსპორტს, ორივე სახელმწიფო ასე თუ ისე მიეკუთვნება ევროპულ ცივილიზაციათა სივრცეს - ბუნებრივი რესურსების გავლენა მათ განვითარებაზე

რადიკალურად განსხვავებულია. შესაბამისად, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს - გამოვიკვლიოთ ის ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინა რუსეთისა და ნორვეგიის განვითარების სხვადასხვა ტიპის ჩამოყალიბებაზე რესურსული უზრუნველყოფის გათვალისწინებით. ნაშრომის ამოცანაა განსახილველი სახელმწიფოების ნავთობისა და გაზის მოპოვების ისტორიის შესწავლა, არსებული ვითარების განხილვა და ორივე ქვეყნის სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით ვიზუალური სქემებისა და გრაფიკების შექმნა, რაც მოგვცემს საშუალებას თვალსაჩინოდ დავინახოთ განსხვავებები განხილულ ქვეყნებს შორის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბუნებრივი რესურსებიდან ჩვენ შევჩერდით მხოლოდ და მხოლოდ ნავთობისა და ბუნებრივი რესურსების განხილვაზე.

რა არის ბუნებრივი რესურსები

ბუნებრივი რესურსები — ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ბუნებრივი ელემენტები, რომლებსაც იყენებენ საწარმოო ძალთა განვითარების მოცემულ ეტაპზე ადამიანთა საზოგადოების მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 572, თბ., 1977 წელი.) ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეობებია: წიაღისეული, კლიმატური, წყლის, ნიადაგის, მცენარეული, ფაუნისტური რესურსები. XX საუკუნის 2 ნახევრიდან მათ მიემატა ატომური პლანეტურ-კოსმოსური რესურსებიც: როგორც ბირთვული, გეოთერმული, ზღვის მიმოქცევისა და სხვა ენერგიის წყაროები. (Flawn P. T., Mineral resources, N. Y., 1966.)

ბუნებრივი რესურსები დედამიწაზე გადანაწილებულია არათანაბრად, რის შედეგადაც სხვადასხვა ქვეყნებს, რეგიონებს, და კონტინენტებსაც კი გააჩნიათ განსხვავებული რესურსული უზრუნველყოფა, ანუ თანაფარდობა ბუნებრივ რესურსების სიდიდესა და მათი გამოყენების მასშტაბებს შორის. თითოეული ტიპის რესურსის ეს მაჩვენებელი შეიძლება გამოითვალოს იმ წლების რაოდენობის მიხედვით, რამდენისთვისაც უნდა იყოს საკმარისი ეს კონკრეტული სახეობის რესურსი, ან მისი მარაგის მოცულობით ერთ მოსახლეზე.

ამასთან, აღმოცენდება ორი მნიშვნელოვანი საკითხი: პირველ რიგში, არის თუ არა კონკრეტული სახეობის ბუნებრივი რესურსი საკმარისი და რამდენი ხნით. და ასევე, როგორ უნდა იქნას გამოყენებული ეს ბუნებრივი რესურსი (კომპლექსურობა, ეფექტურობა, ნარჩენების არარსებობა და ა.შ.).

ბუნებრივი რესურსების საწარმოო პროცესში ჩართვაზე დიდი გავლენა იქონია სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა. ერთის მხრივ, ის ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების გამოყენების რაციონალიზაციას: მოპოვების მხრივ უფრო ნაკლებხარჯიანი და მარტივად ტრანსპორტირებადი საწვავი რესურსების გამოვლენა (ბუნებრივი აირის მიწოდება მილსადენებით); ნავთობის უფრო სრულყოფილი მოპოვებისა და გადამუშავების დანერგვა; უკვე მოპოვებული საწვავისა და ნედლეულის გამოყენების კოეფიციენტის გაზრდა; უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა (რეციკლირებული წყალი და ა.შ.). მთლიანობაში

სოფლის მეურნეობაში ინერგება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მართვის უფრო ინტენსიური საშუალებები, წარმოებაში- ენერგოდამზოგველ და მასალადამზოგველ ტექნოლოგიებზე გადასვლა, ხდება რესურსების ეკონომიის პოლიტიკის გატარება.

მეორეს მხრივ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენის ქვეშ ფართოვდებიან ძველი საწარმოები და „მეორე სიცოცხლეს“ იძენენ ძველი სამრეწველო რაიონები, იქმნება ახალი საწარმოები, ხდება ახალი ტერიტორიების ათვისება, წარმოებაში გამოყენებული სასარგებლო წიაღისეულების რაოდენობის ზრდა.

რთულია იმის პროგნოზი, თუ რომელი ტენდეცია გაიმარჯვებს მომავალში: დამზოგველი თუ მომხმარებლური. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ათვისებული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მათი მოპოვება. (https://studfiles.net/preview/3187872/ Природные ресурсы Земли. Ресурсообеспеченность.)

ბუნებრივი რესურსების გავლენა ეკონომიკაზე

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობაში ბუნებრივი რესურსები (განსაკუთრებით სასარგებლო წიაღისეული) გამოიყენება უფრო მეტი რაოდენობით იმ მარაგთან შედარებით, რომელიც მათ გააჩნიათ. არასაკმარისი რესურსების იმპორტი ხდება ძირითადად განვითარებადი ქვეყნებიდან. ამგვარად, ნედლეულის უზარმაზარი ნაკადები მიედინება მათი შემდგომი გადამუშავების სამი ძირითადი ცენტრის მიმართულებით: ჩრდილოეთ ამერიკაში, დასავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მოვლენების ამგვარი განვითარება ბადებს ორ ძირითად პრობლემას: განვითარებული ქვეყნების დამოკიდებულებას ნედლეულის მომწოდებლებზე და ბევრი განვითარებადი ქვეყნის ექსპორტის სანედლეულო ორიენტაციას.

სახელმწიფოების ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფისა და მოხმარების უთანაბრობა ბადებს რიგ კანონზომიერებებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში. პირველი მათგანი უკავშირდება ბუნებრივი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების

გზების ძიების აუცილებლობას მათი ნაკლებობის პირობებში. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა განვითარებული ქვეყნებისთვის.

როგორც ცნობილია, ბუნებრივი რესურსები იყოფიან ორ ჯგუფად: განახლებადი და არაგანახლებადი. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოვეპყროთ არაგანახლებად რესურსებს. ამას გარდა, აუცილებელია მიღებული იქნას ეფექტიანი ზომები განახლებადი რესურსების მიმართ (მტკნარი წყალი, ტყე, ნიადაგი), მათი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აქტიურად გამოიყენება მეორადი ნედლეული და საწარმოო ნარჩენები, რითაც ხდება ბუნების „საცავების“ დაზოგვა. და ბოლოს, მთელი მსოფლიო უნდა ისწრაფოდეს მცირენარჩენიან და უნარჩენო საწარმოებისა და ტექნოლოგიების მაქსიმალური რაოდენობის შექმნისკენ.

რენტა, როგორც ეკონომიკური კატეგორია წარმოადგენს შემოსავალს ბუნებრივი რესურსებიდან. თუმცა, ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება ნებისმიერი საკუთრებიდან შემოსავლების აღსანიშნავად, თანაც არამხოლოდ ბუნებრივი რესურსების სახით.

ეკონომიკაში უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია მიწის და მთის რენტას, ანუ ეს უკანასკნელი აღნიშნავს მიწის და სასარგებლო წიაღისეულის საბადოების იჯარით გაცემიდან მიღებულ შემოსავალს. (http://www.nuru.ru/ek/general/016_1.htm Природные ресурсы как экономический фактор. Рента)

მიწის რენტა წარმოადგენს გადასახადს, რომელსაც უხდიან მიწის მფლობელს კონკრეტული ნაკვეთით სარგებლობის უფლების მინიჭებისთვის. მიწის რენტა არის ორი სახის- აბსოლუტური და დიფერენციალური. ამგვარი დაყოფა გამოწვეულია ორი ტიპის მონოპოლიის არსებობით. უპირველეს ყოვლისა არსებობს მონოპოლია მიწაზე, როგორც საკუთრების ობიექტზე; ამ მონოპოლიას ფლობს მიწის მფლობელი და სწორედ ის ქმნის აბსოლუტურ რენტას, რომელსაც ითვისებს მიწის მფლობელი. რენტას იხდის არენდატორი, რომელმაც იჯარით აიღო მიწა.[1]

[1] (http://toptodoc.ru/ponyatie-zemelnaya-renta-renta-v-dobivayushej-promishlennosti-vidi-renti.html)

რენტა მოპოვებით მრეწველობაში წარმოიქმნება ზუსტად ისევე, როგორც მიწის რენტა. მაღაროები, ნავთობის საბადოები განსხვავდებიან მარაგების სიმდიდრით, განლაგების სიღრმით, გასაღების პუნქტამდე მანძილით; მათში განსხვავებული კაპიტალის დაბანდება ხდება. ამიტომ, მადნის, ნახშირის, ნავთობის ყოველი ტონის წარმოების ინდივიდუალური ფასი განსხვავდება წარმოების საერთო ფასისგან. მაგრამ ბაზარზე ყოველი ეს საქონელი იყიდება წარმოების საერთო ფასის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება წარმოების ყველაზე უარესი პირობების მიხედვით. ამის შედეგად საუკეთესო და საშუალო მაღაროებსა და ნავთობის საბადოებზე მიღებული დამატებითი მოგება წარმოქმნის დიფერენციალურ რენტას, რომლიდან მოგებასაც მიწის მფლობელი ნახულობს. (ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭКОНОМИЯ - ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ, МОСКВА. 1955)

რესურსული წყევლა

ეჭვგარეშეა, რომ უმეტესი ქვეყნების ეკონომიკაში ბუნებრივი რესურსები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თუმცა სადაო საკითხია როგორი წვლილი შეაქვთ მათ ამ ქვეყნების განვითარებაში- დადებითი თუ უარყოფითი.

სასარგებლოა თუ არა ქვეყნისთვის ბუნებრივი რესურსების სიუხვე? ერთი შეხედვით პასუხი ნათელია: რა თქმა უნდა. რა შეიძლება იყოს ცუდი, შრომის და კაპიტალის რესურსების მიღმა დამატებითი რესურსების ქონაში? რატომ უნდა იყოს ნეგატიური შედეგების მომტანი ის ფაქტი, რომ რაღაც ძალიან ძვირფასი „მუქთად“ გეკუთვნოდეს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, პასუხი ამ კითხვებზე საერთოდაც არ არის ასეთი მარტივი და ბევრი კონტრაგუმენტის მოყვანა შეიძლება საპასუხოდ: „ბუნებრივი რესურსების არსებობა ძირშივე სპობს ეკონომიკის სხვა სფეროების განვითარების სტიმულს, რომლებიც პოტენციურად ბევრად უფრო მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ზრდისა და განვითარებისთვის“, „ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლები შეიძლება გახდეს კორუფციისა ან შეიარაღებული კონფლიქტების წყარო“ და ა.შ.

რამდენიმე „უკიდურესი“ მაგალითის განხილვისას, მართლაც რომ ეჭვქვეშ დგება ბუნებრივი რესურსების ფლობის „უპირატესობები“. მაგალითისთვის ავიღოთ კონგოს

დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც კობალტისა (2009 წელს მის წილზე მოვიდა მსოფლიო წარმოების 49%) და სამრეწველო ალმასების (30%) უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში. ამას გარდა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს საიუველირო ალმასების (6%) უმსხვილეს მწარმოებელს; აქ მდებარეობს კოლტანის მსოფლიო მარაგის 2/3 და სპილენძისა და კალის უდიდესი საბადოები. ამასთან, კონგოს ეკონომიკის ზრდის ყველაზე დაბალი ტემპები გააჩნია მსოფლიოში და ბოლოდან მესამე ადგილი უჭირავს ერთ მოსახლეზე მშპ-ის რაოდენობით (800$) (Central Intelligence Agency, GDP – Per Capita, 2017) და ამ ტენდენციას ინარჩუნებს წლების განმავლობაში. მსგავსი ვითარებაა სიერა-ლეონესა და ლიბერიაში. ამ ქვეყნებს გააჩნიათ ბუნებრივი რესურსების უდიდესი მარაგი, თუმცა ეკონომიკური ზრდის და მშპ-ის ერთ მოსახლეზე მოცულობის ძალიან დაბალი მაჩვენებლები. ვენესუელის და ბოლივიის რესურსულმა სიმდიდრემ ნავთობისა და გაზის სახით წარმოშვა ისეთი სერიოზული პრობლემები, როგორებიცაა განვითარების დაბალი ტემპები და კორუფციისა და უთანასწორობის ზრდა. სხვა მხრივ, თუ განვიხილავთ ქვეყნების რიგს, რომელთაც ბოლო ათწლეულებია მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკები გააჩნიათ, ჰონგკონგი, სამხრეთ კორეა და სინგაპური, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ ბუნებრივი რესურსები, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ბუნებრივი რესურსები საზიანოც კი შეიძლება იყოს განვითარებისთვის.

ამავდროულად, არსებობენ საპირისპირო მაგალითების ამსახველი ქვეყნები. ნორვეგია, რომელსაც მსოფლიოში მე-3 ადგილი უჭირავს ბუნებრივი აირის ექსპორტში (Central Intelligence Agency, Natural gas - exports, 2015), ხოლო ნავთობის ექსპორტში - მე-11 (Central Intelligence Agency, Crude oil - exports, 2016)- არის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ეკონომიკის მქონე ქვეყანა. ბოტსვანა აწარმოებს საიუველირო ალმასის 29%-ს და ბოლო 40 წლის განმავლობაში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად ქვეყანას. ავსტრალიას, ჩილეს, მალაიზიას გააჩნიათ კარგი ეკონომიკური მაჩვენებლები თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრეების წყალობით.

რესურსული წყევლა (*resource curse*, *paradox of plenty)* ეს არის ცნება ეკონომიკის სფეროში რომელიც ეფუძნება მოსაზრებას, რომ ზოგიერთი ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი მარაგი ნაკლებად განვითარებულია, ვიდრე ის ქვეყნები,

რომლებსაც ნაკლები რესურსები გააჩნიათ ან ისინი საერთოდ არ გააჩნიათ. (Sachs, Jeffrey and Warner, Andrew. Natural Resource Abundance and Economic Growth, Cambridge (Ma.): NBER Working Paper 5398, Dec. 1995)

ტერმინი „რესურსული წყევლა“ პირველად გამოიყენა რიჩარდ აუტიმ 1993 წელს ისეთი სიტუაციის აღსაწერად, რომლის დროსაც ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებს არ შესწევდათ ამ სიმდიდრეების ისეთნაირი გამოყენების უნარი, რაც მათი ეკონომიკების განვითარებას გამოიწვევდა. ასეთ ქვეყნებს, როგორც წელი, გააჩნიათ უფრო დაბალი ეკონომიკური ზრდა ვიდრე ბევრად ნაკლები რესურსების მქონე ქვეყნებს. (Auty Richard M. Sustaining Development in Mineral Economies: The Resource Curse Thesis. — London: Routledge, 1993.)

თუმცა აზრმა იმის შესახებ, რომ ბუნებრივი რესურსები შეიძლება იყოს ქვეყნისთვის უფრო წყევლა, ვიდრე უპირატესობა, ჩასახვა დაიწყო ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. სხვადასხვა კვლევებში, ჯ. საქსის და ა. უორნერის ცნობილი ნაშრომის ჩათვლით, შეინიშნებოდა ურთიერთკავშირი ბუნებრივი რესურსების სიჭარბესა და ქვეყნის სუსტ ეკონომიკურ განვითარებას შორის. (Sachs, J.D., Warner, A.M. Natural resource abundance and economic growth. //NBER Working Paper 5398, 1995.)

ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი რესურსული სიუხვის მოწყვეტილობისა ეკონომიკური ზრდისგან არიან ნავთობმომპოვებელი ქვეყნები. ასე, 1965-1998 წლების პერიოდში ერთ მოსახლეზე მეპ-ის მატება ოპეკის ქვეყნებში შემცირდა საშუალოდ 1,3%-მდე, მაშინ, როცა დანარჩენ განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შეადგენდა საშუალოდ 2,2%. (Gylfason, T. Natural resources, education and economic development // CEPR Discussion Paper 2594, 2000.)

რესურსული წყევლის უარყოფითი მხარეები:

1. კონფლიქტები
2. საგადასახადო სისტემა

3. შემოსავლების რყევები
4. ჭარბი რაოდენობის სესხები
5. კორუფცია
6. არასაკმარისი დივერსიფიკაცია
7. ადამიანური კაპიტალი
8. „ჰოლანდიური დაავადება“

განვიხილოთ რესურსული წყევლის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უარყოფითი ფაქტორი, რომელსაც „ჰოლანდიური დაავადება“ ეწოდება.

„ჰოლანდიური დაავადება" (გრონინგენის ეფექტი) - ეს არის დაავადება, რომელიც გამოწვეულია ამა თუ იმ მიზეზის გამო დიდი ოდენობით ვალუტის შემოდინებით, რომელიც საბოლოო ჯამში იწვევს ექსპორტის შეზღუდვას, იმპორტის ხელშეწყობას. ეს კი ეროვნულ ეკონომიკასთან მიმართებაში საკმაოდ უარყოფითი მოვლენაა.

ტერმინი მომდინარეობს ჰოლანდიის გამოცდილებიდან, რომელიც 60-იან წლებში მოჰყვა ამ ქვეყანაში, კერძოდ ჩრდილოეთის ზღვაში, ბუნებრივი აირის აღმოჩენას. (AN EMPIRICAL TEST OF THE DUTCH DISEASE HYPOTHESIS USING A GRAVITY MODEL OF TRADE, p.5, 2002) შედეგად, ჰოლანდია ბუნებრივი აირის მფლობელი გახდა და მისი ექსპორტი დაიწყო, რამაც გამოიწვია ის, რომ ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა შემოდიოდა და ეს უკანასკნელი ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურდა, ადგილობრივი ვალუტა კი გამყარდა.

ბუნებრივი აირის ექსპორტის მეშვეობით ჰოლანდია უცებ კიდევ უფრო გამდიდრდა. მაგრამ ამავე დროს დრამატულად შესუსტდა მისი სამრეწველო სექტორი, რომელიც მანამდე ყვაოდა. გაზის მრეწველობამ კაპიტალი და კვალიფიცირებული მუშახელი მიიზიდა მრეწველობიდან და სოფლის მეურნეობიდან.

უცხოური ინვესტიციების გაზრდამ ხელი შეუწყო ჰოლანდიის ვალუტის გამყარებას. ახალმა კურსმა ჰოლანდიური საქონელი ერთობ გააძვირა უცხოელი მყიდველებისთვის, რამაც საწარმოების დახურვა გამოიწვია. იმპორტი იმდენად გაიაფდა, რომ უცხოურმა საქონელმა ჰოლანდიური შეცვალა შიდა ბაზარზეც.

ბოლოს და ბოლოს ჰოლანდია გაუმკლავდა პრობლემებს გაზით მიღებულ მოგებაზე გადასახადების დაწესებით. მაგრამ ჰოლანდიური დაავადება დღემდე ყვავის მთელ რიგ ქვეყნებში. ერთ-ერთი მათგანია - აზერბაიჯანი.

თავდაპირველად აღმოჩნდა, რომ "ჰოლანდიური დაავადება" ჩამოყალიბდა ძირითადად იმ ქვეყნებში, რომლებიც გაზისა და ნავთობის ექსპორტს ახორციელებენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ თურმე მნიშვნელობა არა აქვს, გაზისა და ნავთობის ექსპორტს ახორციელებ, თუ, ვთქვათ, ყავის ექსპორტს. "ჰოლანდიური დაავადება", მაგალითად, ბრაზილიაში გამოიწვია ყავის ექსპორტმა, ხოლო ეგვიპტეში - ტურიზმმა, რადგან ტურისტებს ქვეყანაში დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა შეჰქონდათ.

იმისათვის, რომ თეორიული ნაწილი უფრო თვალსაჩინო გახდეს მინდა ორი ქვეყნის მაგალითზე განვიხილო რესურსული უზრუნველყოფა და საბოლოოდ ორივე ქვეყნის მონაცემები შევადარო ერთმანეთს.

ნორვეგია

ზოგადი ცნობები ქვეყნის შესახებ

ნორვეგია მაღალგანვითარებული, პოსტინდუსტრიული ქვეყანაა, რომელიც ხასიათდება ექსპორტზე ორიენტირებული ღია ეკონომიკით. არის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანა მსოფლიოში. ეკონომიკის ძირითადი დარგებია: ნავთობისა და გაზის მოპოვება-წარმოება, გემთმშენებლობა, მეტალურგია, ქიმიკატები, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა, სამთო მრეწველობა, თევზაობა.

ნორვეგიის ეკონომიკას ჩვეულებრივ უწოდებენ შერეულ ეკონომიკას - ის წარმოადგენს კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკას სახელმწიფოს როლის ნათლად გამოხატული მონაწილეობით. ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, ნორვეგიის ინდუსტრიის განვითარება ძირითადად განხორციელდა კერძო საკუთრების შესახებ კანონით და კერძო სექტორის მეშვეობით.

მმართველობის ფორმის მიხედვით ნორვეგია კონსტიტუციური მონარქიაა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნორვეგია არ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, თუმცა მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობაშია ევროპის ბევრ ქვეყანასთან.

ფართობი	385 186 კმ^2 (67-ე მსოფლიოში) [2]
მოსახლეობა	5 258 317 (114-ე)[3]
სიმჭიდროვე	13,6/კმ^2
მშპ	370,6 მლრდ დოლარი (31-ე)[4]
მშპ ერთ მოსახლეზე	70,813 დოლარი (მე-6) [5]
ადამიანის განვითარების ინდექსი	0.949 (პირველი ადგილი მსოფლიოში)

[2] (Statistics Norway, 2013 http://www.ssb.no/a/english/aarbok/tab/tab-019.html)
[3] (Statistics Norway, 2017 https://www.ssb.no/befolkning/nokkeltall/befolkning)
[4] (World Bank, 2016, თ. გ.)
[5] (World Economic Outlook Database, April 2017, International Monetary Fund. Database updated on 12 April 2017. Accessed on 21 April 2017., თ. გ.)

ნორვეგიის ნავთობისა და გაზის ისტორია აღმოჩენიდან დღემდე

რთული წარმოსადგენია, რომ სულ რაღაც 40 წლის წინ ნორვეგია იყო ღარიბი თევზმჭერი ქვეყანა, რომლის მოსახლეობა აქტიურად მიემგზავრებოდა ამერიკაში ემიგრაციაში მცირეოდენი შემოსავლის მისაღებად. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა ნავთობის აღმოჩენისთანავე ჩრდილოეთის ზღვაში, სადაც დღეისათვის კონცენტრირებულია ნორვეგიის ძირითადი ნავთობის პლატფორმები.

მე-19 საუკუნის ბოლოსთვის ნორვეგია იყო პერიფერიული ქვეყანა, რომელიც ორიენტირებული იყო დიდ ბრიტანეთზე, როგორც სავაჭრო პარტნიორზე. ქვეყანა სპეციალიზირდებოდა თევზის ექსპორტში და საზღვაო გადაზიდვებში - მე-20 საუკუნის დასაწყისში ნორვეგიას გააჩნდა მსოფლიოში სიდიდით მესამე საზღვაო სატვირთო ფლოტი. პარალელურად შიდა მოთხოვნებისთვის ვითარდებოდა მრეწველობა - გემთმშენებლობიდან დაწყებული ხის გადამამუშავებელი მოწყობილობებით დამთავრებული. მიუხედავად ამისა, ნორვეგია საკმაოდ ღარიბი ქვეყანა იყო: მე-20 საუკუნის დასაწყისში მშპ ერთ მოსახლეზე სამჯერ ნაკლები იყო, ვიდრე საშუალოდ სხვა ევროპის ქვეყნებში. ისევე როგორც ბევრი ევროპული ქვეყანა, ნორვეგია კარგავდა მოსახლეობას, რომელიც ემიგრაციაში მიემგზავრებოდა აშშ-ში, ძირითადი ბიზნესები თანდათან უცხოური კომპანიების მფლობელობაში გადადიოდა, იზრდებოდა უმუშევრობა. თუმცა ელექტროენერგიის აღმოჩენას და შემდგომ ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიების ბუმმა შეაჩერა ქვეყნის ღარიბ პროვინციად გადაქცევის შეუქცევადი პროცესი. თუმცა, მთავარი რადიკალური ცვლილება ქვეყნის ეკონომიკაში გახდა ნავთობის აღმოჩენა ჩრდილოეთის ზღვაში, სადაც დღეისათვის კონცენტრირებულია ნორვეგიის ძირითადი ნავთობის პლატფორმები. (Мовчан, А., Сравнительная история нефтезависимых экономик конца XX — начала XXI века. (2017))

ზოგადად, თანამედროვე ნავთობის მრეწველობას საფუძველო დაუდო 1859 წელს ამერიკელი ბიზნესმენის, ედვინ დრეიკის მიერ გაყვანილმა 21 მ სიღრმის ნავთობის პირველმა ჭაბურღილმა ტიტუსვილში, შტატ პენსილვანიაში.

1958 წელს ნორვეგიული გეოლოგიური სამსახური თავის წერილში საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა: „ნუ გექნებათ იმედი ქვანახშირის, ნავთობის და გოგირდის არსებობისა ნორვეგიის სანაპიროსთან კონტინენტალურ შელფზე“. მოგვიანებით, მათ განმარტეს ეს წერილი და აღნიშნეს, რომ უბრალოდ ყურად იღეს სანაპიროსთან არსებული პირობები, თუმცა დამტკიცებულია, რომ გეოლოგებს იმ დროს არ სჯეროდათ ნავთობისა და გაზის არსებობის ნორვეგიის შელფზე. (Petroleum Exploration and Exploitation in Norway, Norwegian Petroleum Society (NPF), Special Publication No. 4, pp.1-4, 1995)

1962 ამერიკულმა ნავთობის კომპანიამ “Phillips Petroleum” პირველმა განაცხადა ნებართვის მისაღებად ნორვეგიის წყლებში გეოლოგიური სამძებრო სამუშაოების ჩასატარებლად. მოგვიანებით სხვა ნავთობის კომპანიებმაც მიბაძეს მას. ნორვეგიის ხელისუფლებამ კი საკმაოდ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო - არ ეწარმოებინა არანაირი მოლაპარაკებები ცალკეულ კომპანიებთან ნორვეგიის კონტინენტალურ შელფზე უფლებების მოპოვების საკითხთან დაკავშირებით.

1963 წელს ნორვეგიამ გამოაცხადა ნაციონალური სუვერენიტეტი ნორვეგიის კონტინენტალურ შელფზე ბუნებრივი რესურსების ძიებისა და ექსპლუატაციისთვის. ორი წლის შემდეგ კი, ხელი მოაწერა შეთანხმებას დიდ ბრიტანეთთან და დანიასთან საზღვაო საზღვრების შესახებ. ამავე წელს გაიცა ნავთობის მოპოვებაზე პირველი ლიცენზიები.

1969 წელს საბადოების ძიების რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ფილიპს პეტროლიუმმა ჩრდილოეთ ზღვაში ბოლო ჭაბურღილი ამოთხარა საბურღი გემის „ოკეანის ვიკინგი“-ს (Ocean Viking) დახმარებით. შობის დამდეგს კომპანია „Phillips Petroleum”-მა აცნობა ნორვეგიის ხელისუფლებას „ეკოფიქსის“ საბადოს აღმოჩენის შესახებ - მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობის საბადო, რომელიც ოდესმე ზღვაში აღმოუჩენიათ.

ამ დროს ნორვეგიის ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც პრაქტიკაში მოახდინეს თავისი ხედვების რეალიზება ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ. მალევე შეიქმნა სპეციალური სამთავრობო კომიტეტი, რომელმაც გამოიმუშავა რეკომენდაციები ნავთობის დარგის მართვის კუთხით.

1971 დაიწყო ნავთობის პირველი მოპოვება „ეკოფიქსის“ საბადოდან, რომელსაც ასევე მნიშვნელოვანი გაზის მარაგი გააჩნდა. გაზის ტრანსპორტირება მილების საშუალებით გერმანიაში დაიწყო 1977 წლიდან და საბადომ მიიღო „ღია კარების“ სტატუსი დიდი მოცულობის გაზისთვის ნორვეგიიდან, რომელიც შემდგომ ევროპულ ბაზარზე გავიდა.

გაიხსნა გაზის საბადო „Frigg”, რომელიც მდებარეობდა ნორვეგიისა და დიდი ბრიტანეთის საზღვარზე. ნორვეგიის წილი საბადო უფრო დიდი აღმოჩდა, ამიტომაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საბადოს დაამუშავებს ნორვეგია „Elf Aquitaine“-ის კომპანიის დახმარებით, რომელიც ოპერატორის როლში იქნებოდა წარმოდგენილი.

მრეწველობის სამინისტროში შეიქმნა ნავთობის განყოფილება, რომელიც 1978 წელს ცალკე, ნავთობისა და ენერგეტიკის სამინისტროდ გამოიყო და რომელიც პასუხისმგებელი იყო სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის ფორმირებაზე.

ეფექტურ მმართველობას და ზედამხედველობას შეუდგა ახლადშექმნილი ნავთობის დირექტორატი (Oljedirektoratet (OD)), ხოლო ნავთობის პროექტებში უშუალოდ მონაწილეობის მისაღებად შეიქმნა სახელმწიფო კომპანია Statoil. (История нефтегазовой индустрии Норвегии (Часть1), б.д.)

ნორვეგიული სახელმწიფო ნავთობის კომპანია „Statoil“ შეიქმნა 1972 წლის 14 ივნისს და მას პრინციპად დაედო ყოველ სამეწარმეო ლიცენზიაზე 50%-იანი სახელმწიფო მონაწილეობა. მოგვიანებით პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ ეს პროცენტი, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების შემდეგ, შესაძლებელია იცვლებოდეს და დადგენილ საფეხურზე უფრო მაღალი ან დაბალი იყოს. კომპანია სტატოილის მიზანი იყო გამხდარიყო სრულიად ინტეგრირებული ნავთობის კომპანია რაც შეიძლება მოკლე ვადაში. კომპანიას უნდა განეხორციელებინა ნავთობის სამძებრო სამუშაოები, მოეხდინა ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება, ნავთობპროდუქტების გადამუშავება და შემდგომი რეალიზაცია.

მთლიანად სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ კომპანია „სტატოილთან“ ერთად შეიქმნა ნახევრად სახელმწიფო „Norsk Hydro“ და კერძო „Saga Petroleum“, რომლებმაც დატოვეს თავისი კვალი შელფზე ნორვეგიული ნავთობის საქმიანობაში. (История нефтегазовой индустрии Норвегии (Часть1), n.d.)

ნორვეგიული შელფის ათვისება ხდებოდა კონსორციუმების მიერ ადგილობრივი კომპანიებისა და სახელმწიფოს თანამონაწილეობით, რომლის წილი თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო 50%-ზე ნაკლები. ნავთობის მოპოვებაზე ბეგარა თავდაპირველად მოიცავდა როიალტის[6] საშემოსავლო გადასახადს, ტერიტორიით სარგებლობის გადასახადს და სპეციალურ გადასახადს ზემოგებაზე. მოგვიანებით შემოიღეს კიდევ ერთი სახის გადასახადი ნახშირორჟანგის გამოყოფაზე.

ნავთობიდან მიღებული შემოსავლების ზრდამ საშუალება მისცა ნორვეგიას აეღო საგარეო ვალები, ნავთობისა და გაზის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების პერსპექტივით, რათა სხვა დარგები გაეძლიერებინა, კერძოდ, გემთმშენებლობა, და მოეხდინა სოციალური და რეგიონალური განვითარების პროგრამების რეალიზაცია „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“-ს კონცეპციის ფარგლებში. 1977 წლისთვის ნორვეგიის საგარეო ვალმა მიაღწია მშპ-ის 30%-ს, რის შედეგად მიღებული იქნა გადაუდებელი ზომები მის სალიკვიდაციოდ. 2005 წლისათვის სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და სარეზერვო ფონდის გონივრულად გამოყენების შედეგად ნორვეგიამ მოახერხა სრულიად დაეფარა მთლიანი საგარეო ვალი.

1980-იანი წლების პირველ ნახევარში, დარგში სახელმწიფო კომპანია სტატოილის პოლიტიკური წონის შესასუსტებლად, მაგრამ სახელმწიფოს როლის შესანარჩუნებლად, ნორვეგიამ შემოიღო საკუთრების ახალი ფორმა - სახელმწიფოს პირდაპირი წილი საბადოებსა და მილსადენების სისტემებში (SDFI). ნავთობისა და გაზის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავლებმა დაიწყო პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა, რაც გულისხმობდა იმას, რომ შემოსავლები დაბეგვრას არ ექვემდებარებოდა.

1990 წელს, ნავთობის მარაგის დონის გარდაუვალი ამოწურვის შემდეგ მოსახლეობის მაღალი ცხოვრების დონის შენარჩუნების მიზნით შეიქმნა ნორვეგიის საპენსიო ფონდი. 2005 წლისთვის მისმა მოცულობამ 150 მლრდ დოლარს მიაღწია.

1999 წელს სახელმწიფომ შეამცირა Norsk Hydro-ს აქციების პაკეტი 44%-მდე.

[6] სალიცენზიო ფულადი ჯილდო, რომელსაც ლიცენზიანტი იხდის სალიცენზიო ვადაში (National Parliamentary Library of Georgia, nplg.gov.ge, n.d.)

2001 წელს დაიწყო ნავთობის სახელმწიფო საკუთრების მასშტაბური რესტრუქტურიზაცია. სახელმწიფო კომპანია Statoil ნაწილობრივი პრივატიზაციის ქვეშ მოყვა (გაყიდული იქნა აქციების პაკეტის თითქმის მეოთხედი).

2006 წლის მდგომარეობით, ნორვეგია უზრუნველყოფდა ევროკავშირის ქვეყნების ნავთობისა და გაზის მოთხოვნის დაახლოებით 15%-ს.

2007 წელს განხორციელდა Statoil და Norsk Hydro-ს ენერგეტიკული აქტივების შერწყმა. შექმნილ ნავთობისა და გაზის გიგანტს შესწევს უნარი სერიოზული კონკურენცია გაუწიოს რუსეთს ევროპულ ბაზარზე. მეცნიერების შეფასებით, ნორვეგიის კონტინენტალური შელფის რესურსები შესაძლოა აჭარბებდნენ წინა შეფასებებს, თანაც აუთვისებელი მარაგი ძირითადად მდებარეობს ბარენცის ზღვაში რუსეთის საზღვრის მახლობლად.

ნორვეგიის ნავთობის დირექტორატის მონაცემებით, ქვეყნის კონტინენტალური შელფის საერთო მარაგი შეადგენს 13 მლრდ $მ^3$ ნავთობის ექვივალენტში. ახალი აღმოჩენების წყალობით, დამტკიცებული მარაგის მოცულობა გაიზარდა კიდევ 5.2 მილიარდი $მ^3$-ით. (Нефтегазовая промышленность Норвегии, n.d.)

ნორვეგიის ნავთობის მოპოვების ფილოსოფია

ნორვეგიის ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვება ექვემდებარება ძირითადად შემდეგ პრინციპს: ნავთობი უნდა ეკუთვნოდეს ხალხს. ნავთობის გაყიდვის ხარჯზე ქვეყანაში შექმნილია სტაბილიზაციის ფონდი რესურსების გამოლევის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ საბადოების ამოწურვის შემდეგაც ნორვეგიას ექნება საშუალება შეინარჩუნოს მოწინავე პოზიციები მსოფლიოში და არ დასწიოს თავისი მოსახლეობის ცხოვრების დონე. იმის ხარჯზე, რომ ნავთობის ექსპორტი ხდება არა „სუფთა“ სახით, არამედ გადამუშავებული პროდუქტების სახით - ქვეყანა მოგებას ნახულობს ნედლეულის ფასით, რომელიც ბუნების წიაღიდან მიიღება. ყველა შემოსავლები ნავთობის მოპოვებიდან აუცილებლად ქვეყნდება შესაბამის უწყებების ვებ-გვერდებზე, უცხოურ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციები ასევე გამჭვირვალეა და სახელწმიფოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ნახოს ისინი და შეაფასოს (იხ. დანართი, გრაფიკი 1).

ნორვეგიის ტერიტორიაზე მოქმედი ძირითადი ნავთობმომპოვებელი კომპანიები:

Statoil ASA, NorskHydro, ConocoPhillips და Shell.

ნავთობისა და გაზის ექსპორტი

ნორვეგიის ნავთობის ძირითადი უმსხვილესი იმპორტიორები არიან - დიდი ბრიტანეთი, აშშ, ნიდერლანდები და გერმანია.

თუკი რუსეთში ზამთარში გათბობისთვის ძირითადი და ყველაზე იაფი საშუალებაა გაზი, ნორვეგიაში შენობების გასათბობად უმეტეს შემთხვევაში იყენებენ ელექტროენერგიას. ნორვეგიის ტერიტორიაზე მდებარეობს ბევრი ჰიდროელექტროსადგური ელექტროენერგიის წარმოებისთვის. ამის შედეგად, ქვეყანა მოიხმარს მოპოვებული გაზის მხოლოდ 5%-ს, რაც ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი 95% მთლიანად საზღვარგარეთ გადის ექსპორტზე.

ნავთობის მოპოვების სისტემა და გადამუშავება

ნორვეგიის ნავთობსადენის სისტემა წარმოადგენს მილსადენების ქსელს, რომელიც განშტოებულია ზღვის ფსკერზე და აერთიანებს პლატფორმებს მიმღებ ტერმინალებთან ხმელეთზე. მოპოვებული ნავთობის გადამუშავება ხდება, რის შედეგადაც წარმოიქმნება ხარისხიანი ბენზინი და დიზელის საწვავი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპის ქვეყნებში, ხარისხისა და გარემოს დაცვის ყველა ნორმებთან შესაბამისობის მიზეზით. ნორვეგია გადაამუშავებს დაახლოებით 310 000 ბარელს დღეში, ხოლო ნავთობის მოხმარება ქვეყნის შიგნით არც ისეთი მაღალია, (იხ. დანართი, გრაფიკი 2,3) რის შედეგადაც ნორვეგია მომგებიანად ახდენს ნავთობპროდუქტების ექსპორტირებას. კომპანიები, რომლებიც ექსპორტს ახორციელებენ არიან- Statoil, Mongstadt. (Нефть Норвегии, n.d.)

რუსეთი

ზოგადი ცნობები ქვეყნის შესახებ

რუსეთი არის მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფო 17 075 200 კმ^2 ფართობით. მოსახლეობის რიცხოვნობის მხრივ რუსეთი მსოფლიო ქვეყნებს შორის მეცხრე ადგილს იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის უდიდესი ნაწილი აზიაში მდებარეობს, მოსახლეობის დაახლოებით 77% ქვეყნის ევროპულ ნაწილში ცხოვრობს.

რუსეთი ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა. რუსეთის ეკონომიკა მე-12 ადგილს (2016) იკავებს მშპ-ის მაჩვენებლის მიხედვით ("World Economic Outlook Database". International Monetary Fund. , 24 October 2017.) და მე-6 ადგილს (2017) მსყიდველობითი უნარის პარიტეტით ("Report for Selected Country Groups and Subjects (PPP valuation of country GDP)". IMF. , 24 October 2017.).

რუსეთს გააჩნია მინერალური და ენერგეტიკული რესურსების ფართო ასორტიმენტის უდიდესი მარაგი, რაც ქმნის მას ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ექსპორტიორად. (BP Statistical Review of World Energy , June 2017). ქვეყანა წარმოადგენს ატომური იარაღის აღიარებული ხუთი ქვეყნიდან ერთ-ერთს და ასევე ფლობს მასობრივი განადგურების იარაღის უდიდეს მარაგს ("Status of Nuclear Powers and Their Nuclear Capabilities". Federation of American Scientists. , March 2008. Retrieved March 19, 2014.)

რუსეთი წარმოადგენს ძლიერ რეგიონალურ ძალას და მოიაზრება, როგორც პოტენციური ზესახელმწიფო. ის არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, მათგან აღსანიშნავია გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობა. ამას გარდა რუსეთი წარმოადგენს ევროპის საბჭოს, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის, შანჰაის თანამშრომლობის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოს. ამას გარდა მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემდეგ ორგანიზაციებში: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია და ევრაზიული კავშირი.

ფართობი	17 075 200 კმ^2 (მსოფლიოში პირველი ადგილი)[7]
მოსახლეობა	144 463 451(ყირიმის გარეშე) (მე-9) [8]
სიმჭიდროვე	8,4/კმ^2
მშპ	1,283 ტრლნ დოლარი (12-ე)[9]
მშპ ერთ მოსახლეზე	8,748 დოლარი (72-ე) [10]
ადამიანის განვითარების ინდექსი	0.804 (49-ე)[11]

რუსეთის ნავთობისა და გაზის ისტორია აღმოჩენიდან დღემდე

1917 წლამდე

ნავთობი რუსეთის ტერიტორიაზე პირველად აღმოჩენილი იქნა 1684 წელს ირკუტსკის ციხე-ქალაქის მიდამოებში. 1745 წელს ფიოდორ პრიადუნოვმა დაიწყო ნავთობის პირველი მოპოვება მდინარე უხტას ფსკერიდან და ააშენა მსოფლიოში პირველი ნავთობის ქარხანა. თუმცა მე-18 საუკუნეში ნავთობის საბადოების დამუშავება საკმაოდ წამგებიანი იყო პროდუქტის ძალიან მწირი პრაქტიკული გამოყენების გამო. (Рождение нефтяной отрасли в России, 2010)

მე-19 საუკუნეში, რუსეთის იმპერიის ფარგლებში, რუსეთის ძირითადი ნავთობმომპოვებელი რეგიონი გახდა კავკასია, კერძოდ ბაქო. 1853 წელს ნავთის ნათურის (ლამპის) გამოგონების შემდეგ ნავთობზე მოთხოვნა ბევრად გაიზარდა.

ნავთობის მოპოვება რუსეთში დაიწყო 1820 წელს აფშერონის ნახევარკუნძულის ჭიდან ქალაქ ბაქოში, რომელიც 1803 წელს გახდა რუსეთის იმპერიის ნაწილი.1820 წელს ნავთობის მოპოვება გამოცხადდა სახელმწიფო მონოპოლიად და ასეთმა სისტემამ იარსება 40 წელი.

[7] (The Biggest Countries in the World , https://www.thoughtco.com/biggest-countries-1434451, n.d.)
[8] ([Population estimates as of January 1, 2017 and the average for 2016] (XLS).(Federal State Statistics Service), Retrieved October 20, 2016.)
[9] (World Bank, 2016)
[10] (World Bank, 2016)
[11] (Human Development Report, 2016)

მისი გაუქმების შემდეგ, 1870 წელს ბაქოში ჭაბურღილიდან აღმოჩენილი იქნა პირველი საწარმოო ნავთობი. 1880 წელს რუსეთში ნავთობის მოპოვებამ შეადგინა 1 მლნ ტონა, რაც იმ დროისთვის შეადგენდა მსოფლიო წარმოების 10%. ამით რუსეთი დაემუქრა აშშ-ს, რომელიც მე-19 საუკუნეში ნავთობის მოპოვების აბსოლუტურ მონოპოლისტს წარმოადგენდა. 1895 წელს რუსეთი უკვე აკონტროლებდა მსოფლიო ბაზრის 45%, მოპოვებამ შეადგინა 6,5 მლნ ტონა. (История нефтяной промышленности России, n.d.)

მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის ნავთობმომპოვებელ დარგში დაშვებული იყვნენ უცხოელებიც, კერძოდ კი, როტშილდები და როკფელერები. ასე, 1886 როტშილდებმა დაარსეს „ბათუმის ნავთობის მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოება“. სწორედ ბათუმში იქნა აშენებული ნავთობსაცავები და ორგანიზებული იქნა გაყიდვის პუნქტები.

მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიაში ფუნქციონირებდა 320 ნავთობკომპანია, ნავთობის დარგის 40% დაფინანსებული იყო ბრიტანული კაპიტალით, რადგან ბრიტანეთი ეძებდა ამერიკული ნავთობის ალტერნატივას. იმ დროისთვის იყო სამი მსხვილი კომპანია- პირველი - 1879 წელს დაარსებული „ძმები ნობელების ნავთობის წარმოების ამხანაგობა“, რომელიც აწარმოებდა ნავთობის მოპოვებას და გადამუშავებას ბაქოში. მან შექმნა საკუთარი სატრანსპორტო და სარეალიზაციო ქსელი, რომელიც მოიცავდა ნავთობსადენებს, ტანკერებს, ვაგონ-ცისტერნებს და ნავთობ ბაზებს მისადგომებითა და რკინიგზის შტოებით. მათ ააშენეს პირველი ნავთობსადენი რუსეთის იმპერიაში ბაქოდან ბათუმის პორტში, საიდანაც ხდებოდა ექსპორტი რუსეთის იმპერიის ფარგლებს გარეთ. კომპანია აკონტროლებდა იმ დროის ბაზრის 14%. მეორე უმსხვილესი კომპანია იყო Shell. Royal Dutch Shell მე-20 საუკუნის დასაწყისში აკონტროლებდა რუსული ბაზრის 16%-ს. კიდევ ერთი უმსხვილესი კომპანია იყო „სრულიად ნავთობის კომპანია“, რომლის 35% ბრიტანული კაპიტალის მფლობელობაში იყო. 1914 წელს მას ეკუთვნოდა რუსეთის ნავთობის მოპოვების 22% (История нефтяной промышленности России, n.d.).

საბჭოთა კავშირის პერიოდი

1918 წელს ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ მოხდა წარმოების ნაციონალიზაცია, თუმცა დარგზე კონტროლი საბჭოთა მთავრობამ დაამყარა 1922 წელს,

რადგან რუსეთში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, ხოლო აზერბაიჯანი 1918-დან 1921 წლამდე დამოუკიდებელი იყო.

თავიდანვე ნავთობის მოპოვების უმეტესი ნაწილი ხდებოდა კავკასიაში (როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე ბაქოში). 1940 წელს ბაქოში ხდებოდა მოპოვების 70%, მაგრამ შემდეგ კავკასიის საბადოებმა ნელ-ნელა გამოლევა დაიწყო, ამასთან საბჭოურმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს ახალი მდიდარი საბადოები და სსრკ-ში დაიწყო ურალის და ვოლგისპირეთის, ე.წ. „მეორე ბაქოს“ განვითარება. 1970-იანი წლებიდან დაიწყო დასავლეთ ციმბირის საბადოების ათვისება, სადაც დაახლოებით 500 ნავთობის საბადოა, მათგან 9 გიგანტი-საბადოა, 100-დან 500 მლნ ტონა მარაგით თითოეულში. არის 2 ზეგიგანტი საბადო, ერთ-ერთი „Самотлор“, სადაც 500 მლნ ტონაზე მეტი მარაგია. (История нефтяной промышленности России, n.d.)

1960-იან წლებში საბჭოთა კავშირმა დაიწყო ნავთობის ექსპორტის აქტიურად გაზრდა. ძირითადი იმპორტიორები იყვნენ ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის ქვეყნები, ანუ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები - აღმოსავლეთ ევროპა, ვიეტნამი, მონღოლეთი, კუბა.

1970-იან წლებში სსრკ-მა დაიწყო ნავთობის ექსპორტის მკვეთრად ზრდა დასავლეთის ქვეყნებში, უპირველესად გერმანიაში და იტალიაში. 1970-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში ნავთობის კრიზისი იყო, ოპეკ-ის წევრმა არაბულმა ქვეყნებმა რამდენჯერმე გაზარდეს ნავთობის ფასები, ამიტომ ევროპული ქვეყნები ცდილობდნენ თავისი მიწოდების დივერსიფიკაციას და დაიწყეს ნავთობის შესყიდვა ნაწილობრივ საბჭოთა კავშირისგან. საბჭოთა კავშირმა ნავთობის ექსპორტის პიკს 1984 წელს მიაღწია, მაშინ ის ნავთობის 172 მლნ ტონის ექსპორტს ახდენდა.

1987 წელს რსფსრ-ში ნავთობის მოპოვებამ შეადგინა 570 მლნ ტონა. (История нефтяной промышленности России, n.d.)

თანამედროვე სიტუაცია

1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოხდა რუსეთის ნავთობის სექტორის უმეტესწილად აქციონირება, ხოლო კერძო საკუთრებაში სხვადასხვა მიზეზის საფუძველზე მოხდა მეტად ხელსაყრელი აქტივების გასხვისება. (Нефтяная промышленность России, n.d.)

1991 წელს რუსეთის ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვებამ შეადგინა 415 მლნ ტონა. ნავთობის დარგი ორმაგი სახელწმიფო კონტროლის ქვეშ იყო - რუსეთის საწვავისა და ენერგეტიკის სამინისტრო და სსრკ-ის ნავთობისა და გაზის სამინისტრო. წლის ბოლოსთვის დარჩა მხოლოდ ერთი მაკონტროლებელი ორგანო - საწვავისა და ენერგეტიკის სამინისტრო (Нефтяная промышленность, Коммерсантъ-Власть, 23 октября 2001).

იმავე წლის ნოემბერში მოხდა «Лангепас-Урай-Когалымнефть» კონცერნის რეგისტრაცია საწვავისა და ენერგეტიკის სამინისტროსთან. საკმაოდ მალევე კონცერნმა სახელწოდება შეისწავლა და გადავიდა შემოკლებულ ვარიანტზე ЛУКОЙЛ. (Нефтяная промышленность, Коммерсантъ-Власть, 23 октября 2001).

1992 წელს საწვავისა და ენერგეტიკის სამინისტრომ შექმნა კიდევ ორი ნავთობის კონცერნი - «Сургутнефтегаз» და „ЮКОС“. დაიწყო სახალინის საბადოების დამუშავების პირველი პროექტი.

1993 წელს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა ღია ტიპის აქციონერული საზოგადოებები ЛУКОЙЛ, ЮКОС და «Сургутнефтегаз».სახელმწიფოს აქედან საწესდებო კაპიტალის 45% შეხვდა. დარჩენილი ნავთობმომპოვებელი საწარმოები გაერთიანდა სახელმწიფო საწარმოდ „Роснефть“. (Нефтяная промышленность, Коммерсантъ-Власть, 23 октября 2001).

1992-1999 წლებში მიღებული იქნა ზომები ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების სიმძლავრის გასაზრდელად 0,3 მლნ ტონით. (Социально-экономические показатели Российской Федерации в 1992—2008 гг. // Росстат, n.d.)

2003 წელს ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ წამოწყებული იქნა მოქმედებები ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიის „Юкос“-ის გასაკოტრებელად და მისი აქტივების გასაყიდად, რომელიც ძირითადად სახელმწიფო კომპანია „Роснефть“-ს ერგო. სახელმწიფო კომპანია

„Газпром“-ის მიერ შეძენილი იქნა „Сибнефть“-ის ნაკლებად მსხვილი კერძო აქტივი. (Нефтяная промышленность России, n.d.)

2000-2008 წლებში მიღებული იქნა ზომები ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების სიმძლავრის გასაზრდელად 20,7 მლნ ტონით. (Социально-экономические показатели Российской Федерации в 1992—2008 гг. // Росстат, n.d.)

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტის მონაცემების თანახმად 2007 წელს 491 მლნ ტონა ნავთობი იქნა მოპოვებული, რაც 2,1%-ით აღემატება 2006 წლის მონაცემებს. რუსეთში ნავთობის ზრდის ტემპების შედეგად მსოფლიოში ნავთობზე მოთხოვნა გაიზარდა 1,5 ჯერ. (Russia Energy Profile, November 18, 2008)

რუსეთის ხელისუფლება, ნავთობის საბადოების დაზვერვაში არასასურველი პროგნოზების მიუხედავად (Прогноз прироста запасов и ассигнования на ВМСБ, n.d.), 2009 წელს გეგმავდა 2030 წლისთვის ნავთობის მოპოვების გაზრდას 530 მლნ ტონით წელიწადში, რაც 2011 წლის მონაცემებთან შედარებით 5,47%-ით უფრო მეტია (Добыча нефти в РФ к 2030 году вырастет до 530-535 млн тонн, 2009).

რუსეთის ფედერაციის ნავთობისა და გაზის ეკონომიკის დარგი წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების საფუძველს. 2016 წლის მონაცემებით ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა დაახლოებით 5 ტრლნ რუბლი (მთლიანი ბიუჯეტის 34,4%), რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით საგრძნობლად დაბალია. მაგალითისთვის, 2014 წელს ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები შეადგენდა 7,43 ტრლნ რუბლს (ბიუჯეტის შემოსავლების 51%). რუსული რუბლის ღირებულება დიდად არის დამოკიდებული ნავთობის მსოფლიო ფასზე. რუსეთის ნავთობისა და გაზის მრეწველობა შედგება სამი ძირითადი დარგისგან: მოპოვება, ტრანსპორტირება და გადამუშავება (Экономика России, цифры и факты. Часть 6 Нефтегазовая промышленность, 2015).

წარმოების მოცულობა

2016 წლის შედეგებით, რუსეთში მოიპოვეს 554,3 მლნ ტონა ნავთობი, 2015 წელს - 534,1 მლნ ტონა (გაზის კონდენსატის ჩათვლით), რაც 1,5 %-ით მეტია, ვიდრე 2014 წლის და 5,3%-ით მეტია ვიდრე 2010 წლის მონაცემები. ამასთან, გაზის მოპოვება რუსეთში თანდათან მცირდება. 2015 წელს მოიპოვეს 635,3 მლრდ $მ^3$, რაც 1%-ით ნაკლებია ვიდრე 2014 წლის მონაცემი. წლიური რეკორდი გაზის მოპოვებაში დაფიქსირდა 2011 წელს (671 მლრდ $მ^3$). (Нефтегазовая отрасль России в цифрах и фактах, 2016)

წილი მსოფლიო მოპოვებაში

რუსეთს უჭირავს მსოფლიოში მეორე ადგილი ნავთობისა და გაზის მოპოვებაში საუდის არაბეთის შემდეგ. British Petroleum-ის მონაცემებით რუსეთის ფედერაციის წილი ნავთობის მსოფლიო მოპოვებაში შეადგენს 12,6% (2016 წლის მონაცემებით), გაზის მოპოვებაში - 16,3% (2016 წლის მონაცემებით) (იხ. დანართი, გრაფიკი 7,8) (Нефтегазовая отрасль России в цифрах и фактах, 2016).

მარაგი

2015 წელს რუსეთის ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის სამინსიტროს განცხადებით, რუსეთის ნავთობის დამტკიცებული მოცულობა შეადგენს დაახლოებით 14 მლრდ ტონას. თუკი მიმდინარე მოპოვების დონე შენარჩუნდება, ეს მარაგი დაახლოებით 28 წლისთვის უნდა იყოს საკმარისი. ბუნების სამინისტროს მონაცემებით თეორიული მარაგი შეადგენს დაახლოებით 29 მლრდ ტონას. რუსეთში აღმოჩენილი გაზის მარაგი შეადგენს დაახლოებით 30-35 ტრლნ $მ^3$ (იხ. დანართი, გრაფიკი 9,10) (BP Statistical Review of World Energy 2017).

ნახშირწყალბადის უდიდესი მარაგი კონცენტრირებულია რუსეთის არქტიკულ შელფზე რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით, მისი აღმოჩენილი მარაგი შეადგენს 447 მლნ ტონა ნავთობს და 10,1 ტრლნ $მ^3$ ბუნებრივ აირს (Нефтегазовая отрасль России в цифрах и фактах, 2016) (იხ. დანართი, რუკა 1,2).

ძირითადი მომპოვებელი კომპანიები

რუსეთის უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი კომპანიაა „Роснефть“ (მოპოვების დაახლოებით 40%), მეორე ადგილზეა- „Лукойл“ (16,3%), მესამე ადგილს იყოფენ "Газпром нефть" და "Сургутнефтегаз" (10-11%).

გაზის მოპოვებაში „Газпром“-ზე მოდის 72% წილი, ხოლო 11% - კომპანია „Новатэк“-ზე (Нефтегазовая отрасль России в цифрах и фактах, 2016).

ნავთობის გადამუშავება

2015 წლის მონაცემებით, ნავთობის პირველადი გადამუშავების მოცულობამ შეადგინა 287 მლნ ტონა, რაც 2014 წლის მონაცემებზე 2,7%-ით ნაკლებია. „Роснефть“-ზე მოდის გადამუშავების 30%-იანი წილი, „Лукойл“-ზე 16%, ხოლო „Газпром нефть“-ზე -14% (Нефтегазовая отрасль России в цифрах и фактах, 2016).

ნავთობისა და გაზიდან მიღებული შემოსავლების წილი ბიუჯეტში და მშპ-ში.

რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ნავთობისა და გაზიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2016 წლის მდგომარეობით შეადგინა 37,4%. შედარებისთვის, 2015 წელს ნავთობისა და გაზის შემოსავლებმა 5 ტრლნ 862,7 მლრდ რუბლი შეადგინა. 2014 წელს იგივე სახის შემოსავლები 7 ტრლნ 433,8 მლრდ რუბლს უდრიდა (51,3%).

ნავთობისა და გაზიდან მიღებული შემოსავლების წილი მშპ-შიც ნელ-ნელა მცირდება. 2010 წელს რუსეთის იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრის შეფასებით ამ წილმა 25% შეადგინა. 2015 წელს კი დუმის სპიკერმა სერგეი ნარიშკინმა განაცხადა, რომ ნავთობისა და გაზის სექტორის წილი მშპ-ში 2015 წლის ბოლოსთვის დაეცა 10% ზე დაბლა (Нефтегазовая отрасль России в цифрах и фактах, 2016).

ნავთობისა და გაზის ექსპორტი

2015 წელს რუსეთმა, „Транснефть“-ის მონაცემებით (მონოპოლისტი რუსეთის მაგისტრალური ნავთობსადენების სფეროში), ექსპორტზე გაუშვა 244,5 მლნ ტონა ნავთობი (მოპოვების 45,7%) (იხ. დანართი, გრაფიკი 5).

გაზის ექსპორტმა იმავე წელს შეადგინა 200,9 მლრდ m^3 (მოპოვების 34,8%) (იხ. დანართი, გრაფიკი 6, ცხრილი 1) (Нефтегазовая отрасль России в цифрах и фактах, 2016).

რუსული გაზის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია, თურქეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, ავსტრია, უნგრეთი, ჩეხეთი, ნიდერლანდები (იხ., დანართი, რუკა 3, ცხრილი 2).

ნორვეგიისა და რუსეთის სარეზერვო ფონდების შედარება[12]

ნორვეგიის გლობალური სუვერენული საპენსიო ფონდი (თავად ნორვეგიელები მას ნავთობის ფონდს უწოდებენ) - თანამედროვე ეკონომიკის უნიკალური მოვლენაა. ფონდი 1990 წელს შეიქმნა და მისი მიზანია, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტის დამატებითი შემოსავალი არამხოლოდ ქვეყნის ამჟამინდელ მაცხოვრებლებს, არამედ მომავალ თაობებსაც დარჩეს. XXI საუკუნის დასაწყისში მაღალი ფასების გამო ფონდი სწრაფად გაფართოვდა და დღესდღეობით მას მსოფლიო აქციათა 1,3% ეკუთვნის. ამას გარდა, ფონდი აქტიურად იძენს ობლიგაციებსა და უძრავ ქონებას. ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტით მიღებული თანხა ნორვეგიელებს ეხმარება გამოიმუშავონ ფული სხვადასხვა სფეროში, რომლებიც ნავთობთან არავითარ კავშირში არ არის. ეს ნიშნავს, რომ ნორვეგიის საპენსიო ფონდი 9,000-ზე მეტი კომპანიის, $667 მილიარდის ოდენობის აქციებს ფლობს. მისი აქციათა პორტფელი მოიცავს Apple-ს, Nestle-ს, Royal Dutch-ს, Shell-ს, Microsoft-სა და Google-ის მფლობელ Alphabet-ს. აქციების გარდა, ფონდი ფლობს უმსხვილეს უძრავი ქონების აქტივებს, როგორებიცაა ტაიმს-სკვერი ნიუ-იორკში და შანზ-ელიზე (ელისეის მინდვრები) პარიზში.

ნავთობის ფონდიდან ინვესტიციებზე მკაცრი კონტროლი და წესებია: აკრძალულია მომავალი თაობისთვის განკუთვნილი ფულის ინვესტიცია კომპანიებში, რომლებიც ბირთვულ იარაღსა და სიგარეტს აწარმოებენ.

[12](იხ. დანართი, ცხრილი 3)

მაღალჩინოსნებს ეკრძალებათ ჩაერიონ ფონდში ბიუჯეტის დასაფინანსებლად, მათ წელიწადში მხოლოდ 4%-ის აღება შეუძლიათ და ამ უფლებითაც ბოლომდე არ სარგებლობენ. საერთო ჯამში კი, მიუხედავად ნავთობზე დაბალი ფასისა, ფონდის რესურსები მუდმივად ივსება.

ნორვეგიის მთავარი სტრატეგია საკმაოდ მარტივია: შემოსავლების ერთი ნახევარი მიდის ყველაზე მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე უცხოური კომპანიების აქციებში, ხოლო მეორე ნახევარი - განვითარებული ქვეყნების ობლიგაციებში.

ამასთან, ნორვეგია თავის შემოსავლებს ძირითადად საპენსიო პროგრამებზე და ენერგიის ალტერნატიული წყაროების განვითარებაზე ხარჯავს, რადგან კარგად ესმის, რომ ნავთობი ამოწურვადი რესურსია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაფერი ზემოაღნიშნული ხდება უპრეცედენტო საინფორმაციო გამჭვირვალობის ფარგლებში: ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია შევიდეს ნორვეგიის ცენტრალური ბანკის ვებ-გვერდზე და მიიღოს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რაში იხარჯება თითოეული კრონა.

2017 წელს ნორვეგიის საპენსიო ფონდმა შეადგინა 1 ტრილიონი აშშ დოლარი (money.cnn.com, 2017), აქედან გამომდინარეობს, რომ ნორვეგიის თითოეულ მაცხოვრებელზე ამ ფონდიდან მოდის დაახლოებით 191 094 ევრო, რაც შვედეთის მოქალაქის საშუალო წლიურ შემოსავალზე 6-ჯერ მეტია (რაც შეადგენს საშუალოდ 26 000 დოლარს) (statista.com, 2017).

რუსეთის სტაბილიზაციის ფონდი.

ნორვეგიულის ანალოგზე 2004 წელს შეიქმნა რუსეთის სტაბილიზაციის ფონდი. 2008 წელს ის გაიყო „სარეზერვო ფონდად“ და „ეროვნული კეთილდღეობის ფონდად“. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან არსებობა შეწყვიტა „რუსეთის სარეზერვო ფონდმა“. ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლები ამიერიდან ჩაირიცხება მხოლოდ „ეროვნული კეთილდღეობის ფონდში“ (Резервный фонд России перестал существовать, ria.ru, 2018).

„სარეზერვო ფონდს“ იყენებდნენ შემოსავლების კლების შემთხვევაში ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად. ფინანსთა სამინისტროს ცნობით, 2017 წლის 1 დეკემბერს

მასში 995 მილიარდამდე რუბლი იყო. „ეროვნული კეთილდღეობის ფონდი“ (ФНБ) ორი ნაწილისაგან შედგება: ერთი - გრძელვადიან პერსპექტივაში პენსიების გასაცემად, ხოლო მეორე - ინფრასტრუქტურულ პროექტებში საინვესტიციოდ. რუსეთის ფინანსთა მინისტრის, ანტონ სილუანოვის შეფასებით, 1 იანვარს „ეროვნული კეთილდღეობის ფონდში“ ინახებოდა 3,8 ტრილიონი რუბლი.

2017 წლის მონაცემებით რუსეთის სტაბილიზაციის ფონდის მოცულობამ შეადგინა 85 მლრდ აშშ დოლარი, რაც 12-ჯერ ნაკლებია ნორვეგიის ფონდის მოცულობაზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი წელიწადში ნორვეგიაზე 5-ჯერ მეტ ნავთობსა და ბუნებრივ აირს გამოიმუშავებს.

ნორვეგიასაც და რუსეთსაც ერთი საერთო პრობლემა გააჩნიათ: ერების დაბერება. შესაბამისად, დგება მოთხოვნა საპენსიო ასაკს მიღწეული მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობის სათანადოდ უზრუნველყოფა. თუმცა რუსულ რეალობაში და ნორვეგიულ რეალობაში „სათანადოდ უზრუნველყოფა“ განსხვავდება უპირველესად რიცხვებში.

საშუალო ნორვეგიული პენსია ყოველთვიურად შეადგენს 2670 აშშ დოლარს, მაშინ როცა რუსული პენსია საშუალოდ 193 აშშ დოლარია (bfm.ru, 2017).

თუ ნორვეგიული ცენტრალური ბანკი მაქსიმალურად ღიაა ყველა სახის ინფორმაციის მიღებისთვის საპენსიო ფონდიდან გახარჯული თანხების შესახებ, რუსეთის სარეზერვო ფონდი „ბურუსით“ მოცულია. პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმე სახის ინფორმაციის მიღება, რადგან რუსეთის ფინანასთა სამინისტრო 2010 წლიდან აღარ აქვეყნებს მონაცემებს ფედერალურ ბიუჯეტში ნავთობისა და გაზიდან მიღებული შემოსავლებისა და მათი გამოყენების შესახებ.

დღეისათვის, რუსეთის ფედერაციის სარეზერვო ფონდის სახსრები განთავსებულია რუსეთის ბანკის სავალუტო ანგარიშებზე და აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ზოგიერთი ევროპული ქვეყნის (რომელთაც მაღალი საკრედიტო რეიტინგი გააჩნიათ) ობლიგაციებში.

რუსეთის ფონდის ძირითადი ნაწილი გაიხარჯა ბანკების დახმარებაში, მაშინ, როცა ნორვეგიულ ბანკებს სახელმწიფო დახმარება სავსებით არ ესაჭიროებათ. მეტიც, ნორვეგიულ კომპანიების მფლობელობაშია უმსხვილესი რუსული კორპორაციების წილები.

ნორვეგიის საპენსიო ფონდმა 89 მლნ ნორვეგიული კრონის ინვესტიცია მოახდინა ობლიგაციებში და ფლობს „Сбербанк”-ის 1,13 მლრდ კრონის და „ВТБ“ ბანკის 2 მლრდ კრონის ოდენობის წილებს.

1 ტრლნ დოლარის ოდენობის ფონდიდან დაახლოებით 3 მლრდ ჩადებულია რუსეთში, უმთავრესად ნავთობისა და გაზის და საბანკო სექტორებში.

2014 წლის ბოლოს ფონდი ფლობდა „Сбербанк”-ის აქციების 0,69%, რაც შეადგენს 1,13 მლრდ კრონას (14 მლნ დოლარი). ამას გარდა მის მფლობელობაშია „ВТБ“ ბანკის აქციების 1,78%, რაც 2 მლრდ კრონაზე მეტია.

ფონდის ინვესტიციები გაცილებით მეტია რუსეთის ნავთობისა და გაზის დარგში, ვიდრე რუსეთის საბანკო სექტორში. ფონდს ეკუთვნის „Газпром”-ის 0,56%, რაც უდრის 2,3 მლრდ კრონას. ასევე ფონდს ეკუთვნის „ЛУКойл“-ის (0,37%), „Сургутнефтегаз“-ის, „Новатэк“-ის (0,4%), „Татнефть“-ის, «Транснефть» -ის (0,5%) და „Газпромнефть“-ის აქციები.

რუსეთის და ნორვეგიის სტატისტიკური მონაცემების შედარება

ორი ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებს შორის განსხვავებებისა თუ მსგავსებების თვალსაჩინოებისთვის და მონაცემების მარტივად აღქმისთვის საუკეთესო საშუალებაა თემატური გრაფიკების განხილვა.

რუსეთისა და ნორვეგიის მშპ-ის მოცულობაში განსხვავება საკმაოდ დიდია რუსეთის სასარგებლოდ (იხ. დანართი, გრაფიკი 11), თუმცა მშპ-ს ერთ მოსახლეზე თუ გადავიანგარიშებთ, ნორვეგიის უპირატესობა აშკარაა (იხ. დანართი, გრაფიკი 12). გრაფიკზე

ასევე კარგად ჩანს, რომ 2014 წლიდან ნავთობზე ფასების კლება ცუდად აისახა რუსეთის ეკონომიკაზე. ნორვეგიის შემთხვევაშიც ვარდნა შეინიშნება, თუმცა უმნიშვნელო.

ეკონომიკის ზრდის ტემპების გრაფიკი გვიჩვენებს, რომ 2008 წლის მსოფლიო კრიზისმა ორივე ქვეყანა აზარალა, თუმცა რუსეთის შემთხვევაში ეს ზარალი გაცილებით მეტია. 2014 წლიდან ნავთობის ფასების დაცემამ ასევე უარყოფითად იმოქმედა რუსეთის ეკონომიკის ზრდის ტემპებზე. რაც შეეხება ნორვეგიას, აქაც შეინიშნება რყევები, თუმცა თუ არ ჩავთვლით მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, ეს ცვლილებები უმნიშვნელოა. მხოლოდ 2013 წელს ვხედავთ მეტნაკლებად ჩავარდნას, რაც კრონის გაუფასურებასთან იყო დაკავშირებული დოლართან მიმართებაში (იხ. დანართი, გრაფიკი 18).

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს თუ გადავხედავთ (იხ. დანართი, გრაფიკი 13), ნორვეგია რეიტინგში 25-ე ადგილზე იმყოფება და მეტად თავისუფალ ქვეყანათა რიგს განეკუთვნება, მაშინ როცა რუსეთს 114-ე ადგილი უჭირავს და მეტად არათავისუფალ ქვეყანად მოიაზრება ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით.

ყოველთვიური ხელფასების ოდენობას თუ შევაფასებთ, უდიდეს სხვაობას აღმოვაჩენთ ორ ქვეყანას შორის, ასე მაგალითად: ნორვეგიის მოქალაქეს საშუალოდ 5-ჯერ მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე რუსეთის მოქალაქეს (იხ. დანართი, გრაფიკი 14). 2016 წელს რუსეთში ამ მაჩვენებელმა იკლო, თუმცა უმნიშვნელოდ. რაც შეეხება ნორვეგიას, კრონაზე გადაანგარიშებით 2014-2016 წლების მონაკვეთში საშუალოდ ხელფასების ზრდა შეინიშნებოდა, თუმცა დოლართან მიმართებაში კრონის გაუფასურებას თუ გავითვალისწინებთ, გრაფიკზე თვალსაჩინოდ დავინახავთ, რამდენად დაეცა ნორვეგიაში საშუალო ყოველთვიური შემოსავალი.

ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით, რუსეთიც და ნორვეგიაც ძალიან მაღალი ინდექსის მქონე ქვეყანათა სიაში შედიან, უბრალოდ ნორვეგია ამ სიაში პირველია, ხოლო რუსეთი, ბოლოდან მესამე, ანუ 49-ე (იხ. დანართი, გრაფიკი 15).

ძალიან საინტერესოა რუსეთისა და ნორვეგიის დემოკრატიის და კორუფციის ინდექსების შედარება. 2016 წლის მონაცემებით, ნორვეგიაში დემოკრატიის ინდექსი შეადგენს 9,93 და შედის სრული დემოკრატიის მქონე ქვეყანათა რიგებში, მაშინ როცა რუსეთს სულ რაღაც 3,24

ქულა აქვს და ავტორიტარულ რეჟიმის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება (იხ. დანართი, გრაფიკი 16).

იგივე ვითარებაა კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვითაც: 2012-2016 წლების მონაკვეთში ნორვეგიის მაჩვენებელი 100 ქულიან შკალაზე 85-87 ქულის დიაპაზონში მერყეობს, ხოლო რუსეთის მონაცემი საშუალოდ 28 ქულას შეადგენს, რაც მეტად კორუმპირებულ ქვეყანათა რიგში ახვედრებს მას (იხ. დანართი, გრაფიკი 17).

ბოლო ორი ინდექსი ძალიან კარგად ხსნის რუსეთის და ნორვეგიის ცხოვრების დონეებს შორის განსხვავებას. რუსეთი ნავთობისა და გაზის მოპოვებით მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს, ხოლო მათი მარაგით მსოფლიო ათეულში შედის. ნორვეგია ამ მაჩვენებელთაგან ვერც ერთით ახერხებს ათეულში შესვლას, თუმცა ცხოვრების დონის მხრივ მოწინავე ადგილებს მაინც ინარჩუნებს.

დასკვნა

დააღწევს თუ არა სახელმწიფო „რესურსულ წყევლას“ დიდად არის დამოკიდებული მისი ინსტიტუტების სიძლიერეზე. თუკი ქვეყანაში არაჯანსაღი ინსტიტუციონალური გარემოა, ხელისუფლება ყველანაირი ხერხებით ეცდება „შეეჭიდოს სკამს“ და მიითვისოს მატერიალური დოვლათი. გასაგებია, რომ ხელისუფლების ამგვარი ქცევა თავს იჩენს კორუფციაში და კონფლიქტებში, ამგვარ ვითარებაში კი შეუძლებელია ვისაუბროთ მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდაზე და განვითარებაზე.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, რესურსული წყევლა უფრო მეტად დამახასიათებელია საპრეზიდენტო დემოკრატიებისთვის, ვიდრე საპარლამენტოსთვის, რაც არის საპარლამენტო რეჟიმების რეპრეზენტატულობისა და ანგარიშვალდებულების შედეგია. (Andersen and Aslaksen, 2008).

ამგვარად, თუ გადავხედავთ რუსეთისა და ნორვეგიის მაგალითებს, მივხვდებით, რომ სწორედ გამართული ინსტიტუტები არის ნორვეგიის ეკონომიკის წარმატების გარანტი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ნავთობისა და გაზის მარაგიც, ექსპორტიც და მშპ-ის მოცულობაც ბევრად აღემატება ნორვეგიის ანალოგიურ მონაცემებს, ნორვეგიის მოსახლება ბევრად მეტ სარგებელს ნახულობს ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციიდან და ერთ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებელი აქ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. ბუნებრივია, ამის მიზეზი მოსახლეობის რიცხოვნობაც არის. ნორვეგიის მოსახლეობა შეადგენს 5 მილიონს, რაც 29-ჯერ ნაკლებია რუსეთის მოსახლეობაზე. თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნორვეგიაში მატერიალური დოვლათი თანაბრად არის გადანაწილებული, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთზე.

ნორვეგიელები მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ ერად არის მიჩნეული, მაშინ როცა რუსები მხოლოდ 49-ე ადგილზე არიან ამ მაჩვენებლით (Helliwell, J.; Layard, R.; Sachs, J. (2017). World Happiness Report 2017. New York: Sustainable Development Solutions Network.).

ამ ყველაფრის მიზეზი კი არის ნორვეგიის ნავთობის პოლიტიკის 10 მცნება (იხ. დანართი, დოკუმენტი 1), რომელსაც ქვეყანა უკვე ათწლეულებია პირნათლად იცავს. მოპოვების ძირითადი ფილოსოფია, რომელიც ეფუძნება აზრს „ნავთობი უნდა ეკუთვნოდეს ხალხს“, არ

არის უბრალოდ ცარიელი სიტყვები, ეს ის პრინციპია, რომელზეც აგებულია ქვეყნის მთლიანი ეკონომიკა. სწორედ აქედან გამომდინარეობს კორუფციის დაბალი დონე, ეკონომიკური თავისუფლებისა და დემოკრატიის ინდექსის ძალიან მაღალი მაჩვენებლები. მაშინ, როცა რუსეთში დეზინფორმაციის გავრცელება ხელისუფლებისთვის ნაცადი ხერხია და რუსული კაპიტალის შესახებ რეალური ინფორმაციის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია, ნორვეგია საჯაროდ აქვეყნებს ინფორმაციას ბიუჯეტიდან და სარეზერვო ფონდიდან დახარჯული თანხების შესახებ, რაც გამჭვირვალეს ხდის სისტემას და საშუალებას აძლევს ყოველ მოქალაქეს იცოდეს სად და რაზე იხარჯება თითოეული კრონა.

თუმცა არის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც დადებითად მოქმედებს ნორვეგიის ეკონომიკის განვითარებაზე. რუსეთისგან განსხვავებით, ნორვეგია არ არის ჩართული ომებში, მას არ გააჩნია ზესახელმწიფოობის ამბიციები, არ გააჩნია სეპარატიზმის პრობლემა. მთავარი დაბრკოლება, რამაც ბოლო წლების განმავლობაში იჩინა თავი, არის ემიგრანტების უკონტროლო ნაკადების შემოდინება ქვეყნის ტერიტორიაზე, და რა თქმა უნდა, როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, მოსახლეობის დაბერების ტენდენცია.

ნორვეგიას არც იმის ეშინია, რომ ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგები მალე ამოეწურება. ქვეყნის შიგნით რესურსების მოხმარება მინიმუმზეა დაყვანილი, რადგან სახელმწიფო ენერგოდამზოგველ პოლიტიკას ატარებს. ამას გარდა, საპენსიო ფონდის მეშვეობით, სადაც ნავთობისა და გაზიდან მიღებული დამატებითი ხარჯები ინახება, თითქმის ყველა წამყვან კორპორაციაში გააჩნია აქციები, რაც მისი უდარდელი მომავლის გარანტად გვევლინება.

რუსეთი კი, პირიქით, მოპოვებული რესურსების უდიდეს ნაწილს ქვეყნის შიგნითვე მოიხმარს. მიუხედავად იმისა, რომ რუს ექსპერტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ქვეყანა არ ზის „ნავთობის ნემსზე“ (“Нефтяная игла“), გაუგებარია, როგორ შეინარჩუნებს რუსეთი თავის „სიდიადეს“ ბუნებრივი რესურსების გარეშე. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ სარეზერვო ფონდი ბოლომდე ამოწურული იქნა და 2018 წლიდან არსებობა შეწყვიტა. რუსეთი, ნორვეგიისგან განსხვავებით, სარეზერვო ფონდის სახსრებით არა აქციებში აბანდებდა კაპიტალს, არამედ ბიუჯეტის დანაკლისს ივსებდა და საგარეო ვალს

ისტუმრებდა. ამ შემთხვევაში სარეზერვო ფონდიც, ისევე როგორც ნავთობი და ბუნებრივი აირი, ამოწურვადი რესურსი აღმოჩნდა.

დანართი

დოკუმენტი 1. „ნავთობის 10 მცნება“

1972 წელს ნორვეგიის მთავრობამ ერთხმად დაუჭირა მხარი მომავალ ნავთობის პოლიტიკის საფუძვლებს, რადგან ის ნათლად ხედავდა ეროვნული ნავთობის პოლიტიკის გატარების აუცილებლობას:

1. ნებისმიერი საქმიანობა ნორვეგიულ შელფზე უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მეთვალყურეობისა და მმართველობის ქვეშ.
2. ნავთობის რესურსები უნდა იყოს გამოყენებული ისეთნაირად, რომ ნორვეგიამ შეძლოს ნედლი ნავთობის მოპოვება და გადამუშავება დამოუკიდებლად.
3. უნდა ხდებოდეს ნავთობთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის ახალი სახეობების განვითარება.
4. ახალი ნავთობის მრეწველობა ყურად უნდა იღებდეს გარემოს დაცვის არსებულ სტანდარტებს.
5. ნორვეგიულ შელფზე ბუნებრივი აირის წვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მცირე პერიოდებით.
6. ნორვეგიული შელფიდან ნავთობი პირველ რიგში უნდა მიეწოდებოდეს ნორვეგიას, რიგი შემთხვევების გამოკლებით, როდესაც საზოგადოებრივი პოლიტიკური მოსაზრებები, შეიძლება გახდეს სხვა გადაწყვეტილების საფუძველი.
7. სახელმწიფო წარმოადგენს ნავთობთან დაკავშირებული მოღვაწეობის მთავარ მონაწილეს. სახელმწიფო ასევე უნდა ახორციელებდეს ნორვეგიული ინტერესების კოორდინაციის პოლიტიკას ნავთობის მრეწველობაში და ხელს უნდა უწყობდეს ამ დარგში საერთაშორისო საზოგადოებასთან ინტეგრაციას.
8. შექმნილი იქნება სახელმწიფო ნავთობის საზოგადოება სახელმწიფოს კომერციული ინტერესების დასაცავად. საზოგადოება ითანამშრომლებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებთან.
9. ნავთობის მოპოვება 62-ე განედზე უნდა ხდებოდეს ისე, რომ შეძლოს სოციალურ-პოლიტიკური პირობების დაკმაყოფილება ამ რეგიონში.
10. ნორვეგიული ნავთობის აღმოჩენა დააყენებს ნორვეგიის საგარეო პოლიტიკის წინაშე ახალ პერსპექტივებს, რაც მოქმედებისკენ აღძრავს.

რუკა 1. რუსეთის ნავთობის მარაგი რეგიონების მიხედვით



წყარო: https://utmagazine.ru/posts/10448-ekonomika-rossii-cifry-i-fakty-chast-6-neftegazovaya-promyshlennost

რუკა 2. რუსეთის ბუნებრივი აირის მარაგი რეგიონების მიხედვით

წყარო: https://utmagazine.ru/posts/10448-ekonomika-rossii-cifry-i-fakty-chast-6-neftegazovaya-promyshlennost

რუკა 3. ევროპის ქვეყნების მიერ რუსეთის ბუნებრივი აირის მოხმარების პროცენტული მაჩვენებელი



წყარო: (THE WALL STREET JOURNAL, https://www.wsj.com/articles/no-headline-available-1394651407, 2014)

ცხრილი 1. რუსული ნავთობის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების ტოპ-10:

ქვეყანა:	მიწოდების მოცულობა (მლნ ტ)	კონტრაქტების ღირებულება (მლრდ დოლარი)
ჩინეთი	47,8	14,6
ნიდერლანდები	49,8	13,9
გერმანია	23,6	6,6
პოლონეთი	19,3	5,4
იტალია	15,6	4,5
ბელორუსია	19,4	4,1
სამხრეთ კორეა	12,4	4
იაპონია	10	3,2
ფინეთი	9,7	2,7
სლოვაკეთი	5,7	1,6

წყარო: http://www.forbes.ru/biznes-photogallery/341975-po-druzhbe-i-morem-kuda-techet-nasha-neft

ცხრილი 2. რუსული ნავთობის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების ტოპ-10:

ქვეყანა:	მიწოდების მოცულობა (მლრდ მ^3):
გერმანია	49,83
თურქეთი	24,76
იტალია	24,69
დიდი ბრიტანეთი	17,91
საფრანგეთი	11,47
პოლონეთი	11,07
ავსტრია	6,08
უნგრეთი	5,54
ჩეხეთი	4,54
ნიდერლანდები	4,22

წყარო: https://www.indexmundi.com/commodities/?commodity=natural-gas&months=120&commodity=crude-oil

ცხრილი 3. ნორვეგიისა და რუსეთის ფონდების რიცხობრივი შედარება

ნორვეგია	რუსეთი	
ფონდის სახელწოდება		
სახელმწიფო საპენსიო ფონდი - გლობალური	სარეზერვო ფონდი	ეროვნული კეთილდღეობის ფონდი
ფონდის დაარსების წელი		
1990	2004	2008
ფონდის მოცულობა (2017)		
1 ტრლნ აშშ დოლარი	85 მლრდ აშშ დოლარი (რუსეთის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით)	
ხელმძღვანელობა		
ცენტრალური ბანკის სპეციალური ქვედანაყოფი - Norges Bank Investment Management (NBIM), რომელთანაც ფუნქციონირებს ეთიკის კომიტეტი	ფინანსთა სამინისტრო, ფუნქციების ნაწილი - რუსეთის ბანკი	
კაპიტალის ინვესტირების პოლიტიკა		
მხოლოდ უცხოური აქტივები 		

ფონდის აქტივების განთავსების შემოსავლიანობა (2016)	
6,9 % [13]	0,64 %[14]
საინფორმაციო პოლიტიკა	
ღია და გამჭვირვალე	დახურული 2010 წლიდან
ფონდის აქტივების გახარჯვა	
ალტერნატიული ენერგეტიკა, სოციალური პროგრამები, საპენსიო უზრუნველყოფა	ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება, საგარეო ვალის დაფარვა, საპენსიო პროგრამები
მშპ-სთან თანაფარდობა (2010)	
93%	8%

[13] (http://www.finanz.ru/novosti/aktsii/norvezhskiy-neftyanoy-fond-v-2016-g-pokazal-dokhodnost-na-urovne-6-9percent-1001789742, თ. გ.)

[14] (https://www.minfin.ru/ru/document/?id_4=117634, n.d.)

გრაფიკი 1. ნორვეგიაში ნავთობისა და ბუნებრივი აირის ისტორიული და დაგეგმილი მოპოვება (მლნ ტ)



წყარო: Norwegian Petroleum Directorate

http://www.norskpetroleum.no/en/production-and-exports/oil-and-gas-production/

გრაფიკი 2. ნორვეგიაში ნავთობის მოპოვება და მოხმარება წლების მიხედვით (მლნ ტ)



წყარო: BP Statistical Review of World Energy, June 2017

გრაფიკი 3. ნორვეგიაში ბუნებრივი აირის მოპოვება და მოხმარება წლების მიხედვით (მლნ ტ) (ნავთობის ექვივალენტში)



წყარო: BP Statistical Review of World Energy June 2017

გრაფიკი 4. ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების წილი რუსეთის ბიუჯეტში (მლრდ აშშ დოლარი)



წყარო: Федеральная служба государственной статистики http://www.gks.ru/

გრაფიკი 5. რუსეთის ფედერაციაში ნავთობის მოპოვება და ექსპორტი (მლნ ტონა)



წყარო: Федеральная служба государственной статистики http://www.gks.ru/

გრაფიკი 6. რუსეთის ფედერაციაში ბუნებრივი აირის მოპოვება და ექსპორტი (მლრდ $მ^3$)



წყარო: Федеральная служба государственной статистики http://www.gks.ru/

გრაფიკი 7. ნავთობის მოპოვება ქვეყნების მიხედვით 2016 წლის მონაცემებით



წყარო: BP Statistical Review of World Energy 2017

გრაფიკი 8. ბუნებრივი აირის მოპოვება ქვეყნების მიხედვით 2016 წლის მონაცემებით



წყარო: BP Statistical Review of World Energy 2017

გრაფიკი 9. მსოფლიო ნავთობის დადასტურებული მარაგი 2016 წლის მონაცემებით



წყარო: BP Statistical Review of World Energy 2017

გრაფიკი 10. ბუნებრივი აირის დადასტურებული მარაგი 2016 წლის მონაცემებით



წყარო: BP Statistical Review of World Energy 2017

გრაფიკი 11. რუსეთისა და ნორვეგიის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა წლების მიხედვით (მლრდ დოლარი)



წყარო: World Bank

გრაფიკი 12. მშპ ერთ მოსახლეზე რუსეთში და ნორვეგიაში წლების მიხედვით (ათასი დოლარი)



წყარო: World Bank

გრაფიკი 13. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი რუსეთში და ნორვეგიაში წლების მიხედვით



წყარო: https://www.heritage.org/index/explore?view=by-region-country-year

შენიშვნა: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით ქვეყნები იყოფიან რამდენიმე ჯგუფად ქულების მიხედვით:

100-80 - თავისუფალი

79.9-70 - მეტად თავისუფალი

69.9-60 - ზომიერად თავისუფალი

59.9-50 - მეტად არათავისუფალი

49.9-40 - რეპრესირებული

გრაფიკი 14. ყოველთვიური ხელფასების საშუალო ოდენობა ნორვეგიასა და რუსეთში 2014-2016 წლებში (აშშ დოლარი)



წყარო: https://tradingeconomics.com

გრაფიკი 15. ნორვეგიისა და რუსეთის ჰუმანური განვითარების ინდექსები წლების მიხედვით



წყარო: http://hdr.undp.org/en/countries

შენიშვნა:

ჰუმანური განვითარების მიხედვით ქვეყნები იყოფიან:

0.8 და მეტი - ძალიან მაღალი ჰუმანური განვითარების ინდექსის მქონე

0.7-0.79 - მაღალი ჰუმანური განვითარების ინდექსის მქონე

0.55-0.69 - საშუალო ჰუმანური განვითარების ინდექსის მქონე

0.3-0.54- დაბალი ჰუმანური განვითარების ინდექსის მქონე

გრაფიკი 16. ნორვეგიისა და რუსეთის დემოკრატიის ინდექსები (2016 წლის მდომარეობით)



წყარო: (Democracy Index 2016: Revenge of the "deplorables"". eiu.com. The Economist Intelligence Unit. 25 January 2017. Retrieved 20 July 2017.)

შენიშვნა: გრაფიკში ასახულია დემოკრატიული ინდექსები, რომელთა სიაში ნორვეგიას პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო რუსეთს 134-ე. დემოკრატიის ინდექსი იყოფა 4 ნაწილად:

თუ მაჩვენებელი 8-დან 10 ქულამდე დიაპაზონში მერყეობს - მაშინ ქვეყანაში სრული დემოკრატიაა

6-8 ქულამდე - პრობლემური დემოკრატია

4-6 ქულამდე - შერეული რეჟიმი

0-4 - ავტორიტარული რეჟიმი

აქედან გამომდინარეობს, რომ დემოკრატიის ინდექსის კლასიფიკაციის მიხედვით, ნორვეგია მიეკუთვნება სრული დემოკრატიის სახელმწიფოს, ხოლო რუსეთი - ავტორიტარული რეჟიმის.

გრაფიკი 17. ნორვეგიისა და რუსეთის კორუფციის აღქმის ინდექსი წლების მიხედვით



წყარო: https://www.transparency.org/news/feature/corruption_perceptions_index_2016

შენიშვნა:

კორუფციის აღქმის ინდექსის შკალა:

ქულა	ნაკლებად კორუმპირებული					მეტად კორუმპირებული				
	100–90	89–80	79–70	69–60	59–50	49–40	39–30	29–20	19–10	9–0

გრაფიკი 18. ნორვეგიაში და რუსეთში ეკონომიკის ზრდის ტემპები 2000-2016 წლებში



წყარო: World Bank

გამოყენებული ლიტერატურა

Нефтяная промышленность, Коммерсантъ-Власть. (23 октября 2001). მოპოვებული https://www.kommersant.ru/doc/288426-დან

"Report for Selected Country Groups and Subjects (PPP valuation of country GDP)". IMF. . (24 October 2017.).

"Status of Nuclear Powers and Their Nuclear Capabilities". Federation of American Scientists. . (March 2008. Retrieved March 19, 2014.).

"World Economic Outlook Database". International Monetary Fund. . (24 October 2017.).

[Population estimates as of January 1, 2017 and the average for 2016] (XLS).(Federal State Statistics Service). (Retrieved October 20, 2016.).

(2017). მოპოვებული money.cnn.com: http://money.cnn.com/2017/09/19/investing/norway-pension-fund-trillion-dollars/index.html-დან

AN EMPIRICAL TEST OF THE DUTCH DISEASE HYPOTHESIS USING A GRAVITY MODEL OF TRADE, p.5, 2002. (თ. გ.).

Andersen and Aslaksen. (2008). Journal of Development Economics.

Auty Richard M. Sustaining Development in Mineral Economies: The Resource Curse Thesis. — London: Routledge, 1993. (თ. გ.).

bfm.ru. (2017). მოპოვებული (https://www.bfm.ru/news/360180)-დან

BP Statistical Review of World Energy . (June 2017).

Central Intelligence Agency, Crude oil - exports, 2016. (თ. გ.).

Central Intelligence Agency, GDP – Per Capita, 2017. (თ. გ.).

Central Intelligence Agency, Natural gas - exports, 2015. (თ. გ.).

Democracy Index 2016: Revenge of the "deplorables"". eiu.com. The Economist Intelligence Unit. 25 January 2017. Retrieved 20 July 2017. (თ. გ.).

Flawn P. T., Mineral resources, N. Y., 1966. (თ. გ.).

Gylfason, T. Natural resources, education and economic development // CEPR Discussion Paper 2594, 2000. (თ. გ.).

Helliwell, J.; Layard, R.; Sachs, J. (2017). World Happiness Report 2017. New York: Sustainable Development Solutions Network. (თ. გ.).

http://toptodoc.ru/ponyatie-zemelnaya-renta-renta-v-dobivayushej-promishlennosti-vidi-renti.html. (თ. გ.).

http://www.finanz.ru/novosti/aktsii/norvezhskiy-neftyanoy-fond-v-2016-g-pokazal-dokhodnost-na-urovne-6-9percent-1001789742. (თ. გ.).

http://www.nuru.ru/ek/general/016_1.htm Природные ресурсы как экономический фактор. Рента. (თ. გ.).

https://studfiles.net/preview/3187872/ Природные ресурсы Земли. Ресурсообеспеченность. (თ. გ.).

https://www.minfin.ru/ru/document/?id_4=117634. (თ. გ.).

Human Development Report. (2016).

National Parliamentary Library of Georgia, nplg.gov.ge. (თ. გ.).

Petroleum Exploration and Exploitation in Norway, Norwegian Petroleum Society (NPF), Special Publication No. 4, pp.1-4, 1995. (თ. გ.).

Russia Energy Profile. (November 18, 2008). მოპოვებული https://www.eia.gov/beta/international/-დან

Sachs, J.D., Warner, A.M. Natural resource abundance and economic growth. //NBER Working Paper 5398, 1995. (თ. გ.).

Sachs, Jeffrey and Warner, Andrew. Natural Resource Abundance and Economic Growth, Cambridge (Ma.): NBER Working Paper 5398, Dec. 1995. (თ. გ.).

statista.com. (2017). მოპოვებული www.statista.com-დან

Statistics Norway, 2013 http://www.ssb.no/a/english/aarbok/tab/tab-019.html. (თ. გ.).

Statistics Norway, 2017 https://www.ssb.no/befolkning/nokkeltall/befolkning. (თ. გ.).

The Biggest Countries in the World , https://www.thoughtco.com/biggest-countries-1434451. (თ. გ.).

THE WALL STREET JOURNAL, https://www.wsj.com/articles/no-headline-available-1394651407. (2014).

World Bank. (2016).

World Bank, 2016. (თ. გ.).

World Economic Outlook Database, April 2017, International Monetary Fund. Database updated on 12 April 2017. Accessed on 21 April 2017. (თ. გ.).

Газпром, Статистика поставок. (თ. გ.). მოპოვებული http://www.gazpromexport.ru/statistics/-დან

Добыча нефти в РФ к 2030 году вырастет до 530-535 млн тонн. (2009 წლის 26 August). მოპოვებული http://www.rosbalt.ru/business/2009/08/26/666725.html-დან

История нефтегазовой индустрии Норвегии (Часть1). (თ. გ.). მოპოვებული Норвегия и нефть. Нефтегазовая промышленность Норвегии.: http://norginfo.com/biznes/nefte-i-gazodobicha/1352-istoriya-neftegazovoy-industrii-norvegii-დან

История нефтяной промышленности России. (თ. გ.). მოპოვებული http://newsruss.ru/doc/index.php/%D0%98%D1%81%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B8%D1%8F_%D0%BD%D0%B5%D1%84%D1%82%D1%8F%D0%BD%D0%BE%D0%B9_%D0%BF%D1%80%D0%BE%D0%BC%D1%8B%D1%88%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%BD%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B8_%D0%A0%D0%BE%D1%81%D1%81%D0%B8%D0%B8#cite_not-დან

Мовчан, А., Сравнительная история нефтезависимых экономик конца XX — начала XXI века. (2017). (თ. გ.). Норвегия: нефть, вода и всеобщее благоденствие.

Нефтегазовая отрасль России в цифрах и фактах. (2016 წლის 18 04). მოპოვებული http://tass.ru/ekonomika/3215065-დან

Нефтегазовая промышленность Норвегии. (თ. გ.). მოპოვებული https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%AD%D0%BA%D0%BE%D0%BD%D0%BE%D0%BC%D0%B8%D0%BA%D0%B0_%D0%9D%D0%BE%D1%80%D0%B2%D0%B5%D0%B3%D0%B8%D0%B8#%D0%98%D0%BD%D0%B4%D1%83%D1%81%D1%82%D1%80%D0%B8%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D1%80%D0%B5%D0%B2%D0%BE%D0%BB%D1%8E-დან

Нефть Норвегии. (თ. გ.). მოპოვებული http://norvegus.ru/interesnoe/neft-norvegii.html-დან

Нефтяная промышленность России. (თ. გ.). მოპოვებული https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%B5%D1%84%D1%82%D1%8F%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D0%BF%D1%80%D0%BE%D0%BC%D1%8B%D1%88%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%BD%D0%BE%D1%81%D1%82%D1%8C_%D0%A0%D0%BE%D1%81%D1%81%D0%B8%D0%B8#cite_note-rs08-5-დან

ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭКОНОМИЯ - ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ, МОСКВА. 1955. (თ. გ.).

Прогноз прироста запасов и ассигнования на ВМСБ. (თ. გ.). მოპოვებული http://expert.ru/ratings/table_387038/-დან

Резервный фонд России перестал существовать, ria.ru. (2018 წლის 01 01). მოპოვებული https://ria.ru/economy/20180101/1512050205.html-დან

Рождение нефтяной отрасли в России. (2010). მოპოვებული http://ria-stk.ru/mi/adetail.php?ID=45523-დან

Социально-экономические показатели Российской Федерации в 1992—2008 гг. // Росстат. (თ. გ.).

Экономика России, цифры и факты. Часть 6 Нефтегазовая промышленность. (2015 წლის 18 06). მოპოვებული https://utmagazine.ru/posts/10448-ekonomika-rossii-cifry-i-fakty-chast-6-neftegazovaya-promyshlennost-დან

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 572, თბ., 1977 წელი. (თ. გ.).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამა
1 სემესტრის დოქტორანტი

ანნა კარდანახიშვილის
(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი
ორგანიზაციული ცვლილებები მომსახურებით ორგანიზაციაში
(ქეისის განხილვა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფ. რევაზ ჯორბენაძე

თბილისი
2018

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია, ერთ-ერთი მომსახურებითი ორგანიზაციის ცვლილებების მაგალითზე განიხილოს ღირებულებათა ჯაჭვის ადაპტაციის პროცესი და კონსულტანტის მიერ შესრულებული სამუშაოს სპეციფიკა პრაქტიკიდან გამომდინარე. ნაშრომში აღწერილია ორგანიზაციაში კონსულტანტის მიერ შესრულებული სამთვიანი პერიოდი; სრულყოფილად შეჯამებულია პროცესის გადამოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზები, განხორციელებული ცვლილებები გაცემული რეკომენდაციები. ორგანიზაციამ შრომის გამოქვეყნების უფლება მოგვცა, თუმცა მისი იდენტიფიკაცია არ უნდა მომხდარიყო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ცვლილებების განხორციელების პროცესში ორგანიზაციაში დაგეგმილი იყო ISO აუდიტი, რომელმაც თავის გავლენა მოახდინა პროცესზე.

ორგანიზაციაში საკონსულტაციო სამუშაოების შედეგად შეიქმნა დოკუმენტები, გზამკვლევები, ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურა.

დიაგნოზის მეთოდად გამოყენებულია რამლერის ღირებულებათა ჯაჭვის პროცესის მოდელთან (Rummler, Ramias, & Rummler, 2010) ერთად კონსულტაციური სამუშაოს დასრულების შემდგომ ორგანიზაციამ გამოაცხადა 3 თვიანი გარდამავალი პერიოდი, ხოლო ცვლილებების ოფიციალურად დაწყების პერიოდად განისაზღვრა 1 თებერვალი. მიღებული და დამტკიცებული ახალი წესები შევიდა ძალაში, ხოლო თანამშრომლებს გარდამავალ პერიოდში მუდმივად და დოზირებულად მიეწოდებოდათ შენიშვნები საქმიანობის შესახებ, განემარტებოდათ რა იყო დავალება, რა შედეგს ელოდებოდა მენეჯმენტი. უკუკავშირისა და მუდმივი კონტროლის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცვლილებების პროცესი მტკივნეული არ ყოფილა ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის. ღირებულებების ჯაჭვის პროცესი განხორციელების ქმედებები რამდენად ძნელი დასანერგი იყო, თუმცა სხვა სახის ხარვეზებს საბოლოოდ მარტში (2018წ.) გეგმიური ხარისხის მენეჯმენტის შიდა აუდიტის დასკვნა გამოავლენს.

მოცემული ნაშრომი ორგანიზაციული პროცესისა და ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტით დაინტერესებული პირებისთვის დამხმარე მასალა იქნება.

სარჩვი

1. ლიტერატურის მიმოხილვა 4
1.1. ორგანიზაციის ტიპები 4
1.2. პროცესი 5
1.3. ორგანიზაცია, როგორც სისტემა 7
1.4. ISO 2009:2015 პროცესებისადმი მიდგომა 8
1.5. ღირებულებების ჯაჭვის შექმნის პროცესი 9
1.6. ცვლილებები ორგანიზაციაში 11

2. ქეისის განხილვა 12
2.1. მოთხოვნა 12
2.2. დაგეგმვა და გასათვალისწინებელი მოთხოვნები 14
2.3. შეთავაზება კონსულტანტის მხრიდან (ამონარიდი) 15
2.4. სტრატეგიაზე მუშაობა 18
2.5. ISO 9001:2015 აუდიტი 21
2.3 ღირეულებათა ჯაჭვის შედგენა 22

3.0 შედეგები 26
3.1. მენეჯერის მიღებეული გადაწყვეტილებები 26
3.2. ცვლილებებისთვის გარდამავალი ეტაპი 27
3.3 ცვლილებები 28
3.4. დამტკიცებული სტრუქტურა 29
3.5. დასკნა და რეკომენდაციები შედგომი კვლევისთვის 30

ლიტერატურა 31

1. ლიტერატურის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის განვითარების საფუძვლები და თეორიული ჩარჩო, რაც განმარტავს კონსულტანტის მიერ შესრულებული სამუშაოს თეორიულ საფუძვლს.

1.1. ორგანიზაციის ტიპები

ყოველ ორგანიზაციას ქმნის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ერთი მიზნის მიღწევისთვის ერთობლივად შრომობენ, რაც უფრო მაღალია მათ შორის კოორდინაცა, მით უფრო მაღალია მიღწევის, შესრულების მაჩვენებელი. იმის მიხედვით, თუ რა საქმიანობას ახორციელებს ორგანიზაცია, სხვადასხვა სახის სამუშაოს შესაბამისად ორგანიზაციის სწავლება 2 ძირითად მიმართულებად იყოფა: „საწარმოო ორგანიზაცია“ (მაგალითად, ქაღალდის ფაბრიკა) და „მომსახურების ორგანიზაცია“ (მაგალითად, სავაჭრო ცენტრი). მომსახურების ორგანიზაცია თავის მხრივ 2 ტიპად იყოფა: „ყოფაცხოვრებითი მომსახურება“ და „know-how მომსახურება“. რა თქმა უნდა, პრაქტიკაში ნაკლებად გვხვდება წმინდად რომელიმე ტიპს მიკუთვნებული ორგანიზაცია. ძირითადად ყველა ორგანიზაცია მოიცავს საკუთარ თავში თითოეული ტიპის რაღაც ნაწილს განსხვავებული პროპორციებით, მაგრამ დომინანტურია ერთი კონკრეტული ტიპის მახასიათებლები. მომსახურებით ორგანიზაციაში ადამიანების მართვა დგას წინა პლანზე და მიმართულია კლიენტებთან მაღალი ხარისხის პირადი კონტაქტის/ურთიერთობის უზრუნველყოფაზე შემდეგი საშუალებებით: ურთიერთპატივისმცემლური კლიმატის ჩამოყალიბება, როგორც საფუძველი კლიენტის მიმართ კეთილგანწყობისა („როგორც შიგნით, - ისე გარეთ“); თანამრომლისთვის მუდმივად დარგობრივი და სოციალური მხარდაჭერა შედეგების მიღწევის პროცესში, რადგან ერთხელ დაშვებული შეცდომა, მაშინვე აფიქსირებს კლიენტი და მხოლოდ განსაკუთრებული ძალისხმევის შემდეგაა გამოსწორება შესაძლებელი. საჭიროა საქმის დანაწილების

საზღვრების მუდმივად გადახედვა, რათა მიღწეული იყოს პრინციპი: ერთი პასუხი კლიენტს („one face to the customer“) (Glasl & Livegoed, 2004);

პროცესების მართვა ნიშნავს: მომსახურებით ორგანიზაციაში აუცილებელია მუდმივი მუშაობა მომსახურების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე: გამარტივება, გამჭვირვალობა, ნამდვილი სიახლოვე კლიენეტებთან მათი პირდაპირი შეფასებების გათვალისწინების საშუალებით (Glasl & Livegoed, 2004).

1.2. პროცესი

ორგანიზაციის განვითარების ფაზებში წარმოიქმნება კონცეფცია „პროგრესული ორგანიზაციისა“, რომელიც ცნობილა როგორც „სამყურას-პროცეს მენეჯმენტის“ სახელით. მენეჯმენტი პირამიდის წვერში კი არ არის, რომლის ამოცანაც მართვა და კონროლია, არამედ იწყება „ გადაკვეთის“ პროცესი. მენეჯმენტი ყველა კომუნიკაციის და ინფორმაციის 4 პროცესის გათვალისწინებით ახდენს მიზნების შეჯერებას და ახალი საფუძველის ჩაყრას. „სამყურა-პროცესმენეჯმენტის“ პროცესს აქვს საინტერესო ფრომა „Input-Output-Modells”-ისა (Glasl & Livegoed, 2004).



ნახ. 1: ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასების მოდელი, ჰოლისტური შეხედულება ორგანიზაციაზე

პროცესის დასაწყისსა და გამომავალ შედეგებს შორის მიმდინარეობს ღირებულებათა შექმნის პროცესი, რომელიც დროზე დამოკიდებილებით ურთიერთ გავლენის პროცესებს წარმართავს. (Glasl & Livegoed, 2004). პროცესში არ უნდა დაგვავიწყდეს უკუკავშირის როლი და როგორ ხდება პროცესის უწყვეტობა (ნახ.1), პროცესის დასაწყისში შექმნილ სტრატეგიას და ამის მიხედვით განხორციელებულ ცვლილებების შუა რგოლში იქმნება ღირებულებათა ჯაჭვი. კლიენტი კი ერთ მზა პროდუქტს იღებს, მისთვის ხელშესახებია პროდუქტი, რითაც საკუთარ წარმოდგენას იქმნის ორგანიზაციაზე (Flamholtz, 1990). აქვე აღსანიშნავია, რომ ISO 9001 სწორედ კლიენტის კმაყოფილების პერსპექტივიდან აანალიზებს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებს (ISO: 9001, 2008)

თანამშრომლებთან და პროცესის შესახებ მიზნების შეჯერების მთავარი ამოცანა ისაა, რომ გაზარდოს ფინანსური მოგება: 1. უნდა უპასუხოს სასურველ მოთხოვნილებას რაიმე საფასურის გადახდის შემდეგ; 2. მუდმივად დასვას კითხვა: რომელი პროდუქციის შექმნის პროცესია საჭირო? 3. რომელი შემავალი მონაცემია საჭირო, რომ პროცესმა კარგად იმუშაოს (Glasl & Livegoed, 2004) .

პროცესზე მუშაობისას მნიშვნელოვანია, რომ ყველამ, იცოდეს სამუშაოების არსის შესახებ და შემდგომ მენეჯმენტის მხრიდან სწორი ფორმით კონტროლი მოხდეს. ცნება “პროცესი” ორგანიზაციის განვითრებაში განისაზღვრება, როგორც არტიკულირება, თუ რა სამუშო არის შესრულებული, შესაბამისად პროცესის მენეჯმენტის საკითხები არ კარგავს თავის აქტუალობას, ეს ზოგადად აღიარებული და მიღებული კონსულტაციის კონცეფციაა ორგანიზაციის გეშტალტში (Rummler, et. al, 2010, P.11). იმისათვის რომ ორგანიზაციაში მიღწეულ იქნას მაღალი შესრულება (high performance) საჭიროა სწორად ხდებოდეს მენეჯმნეტი სამ სიბრტყეზე: ორგანიზაციულ, პროცესისა და სამუშაოს (organization, process, Job) დონეზე. ამ პროცესში ერთმანეთთან თანხვედრაში უნდა იყოს ორგანიზაციული მიზნები, სტრუქტურა და გეგმები ინდივიდუალების ყოველდღიურ შესრულებასთან (performed by individual performers). თავიდანვე მცდარია ორგანიზაციაში ცვლილებების პროცესების მოსურნე კლიენტების მხრიდან მოლოდინი და მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკონსულტაციო კომპანიასთან მუშაობის და აუცილებლად თანამშრომელთა

გათავისუფლება მოჰყვება და იგი ასოცირდება როგორც თანამშრომელთა შემცრებასთან (downsizing), სინამდვილეში კონსულტირების მიზანი ხარჯების ოპტიმალიზაცია კი არა, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის გზაა (Rummler, Ramias, & Rummler, 2010, p.12).

პროცესი არის ღირებულებათა ჯაჭვისა და რესურსების განაწილება შექმნის იტერაციული ქცევა. შექმნის სისტემა უფრო მეტია, ვიდრე სტურუქტურა და ეფექტიანი ქსელის ღირებულება- წარმოება პროცესები (Rummler, et.al, 2010, P.30).

მართვაში და ცვლილებების დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია დისციპლინირებული კონტროლის მექანიზმების გათვალისწინება, რასაც თავის მხრივ კონფლიქტები შეიძლება მოჰყვეს. ორგანიზაციაში კონფლიქტების მიზეზები განსხვავებულია, მას ღირებულებების შექმნისა და კულტურული ასპექტების შექმნის პერსპექტივიდან უნდა შევხედოთ. ორგანიზაციაში მისულმა კონსულტანმა კიდევ ერთი ასპექტი უნდა გაითვალისწინოს, ორგანიზაციებში დამკვიდრებულია მიდგომა, თითქოს პირდაპირი კავშირი არსებობს რესურსის მენეჯმენტსა და ფინანსურ დაინტერესებულ მხარეებს შორის და ცვლილებების პროცესი ამის მიხედვით უნდა წარმართოს, ეს შესაძლებელია მოკლევადიან პერსპექტივაში დასაშვებია; მაგრამ გრძელვადიანი პერსპექტივით ღირებულებათა ჯაჭვში არსებული პრობლემების მოგვარება უფრო მნიშვნელოვანია და ორგანიზაციას შესრულების მაჩვენებელი გაუმჯობესდება (Rummler, et al., 2010,p.26)

1.3. ორგანიზაცია, როგორც სისტემა

ყველა ორგანიზაციას, არ აქვს მნიშვნელობა ეს საჯარო იქნება თუ კერძო სექტორი, შედგება ურთიერთდამოკიდებული ნაწილებისგან, რომელიც საკუთარ სისტემურ ლოგიკას ქმნიან. მაზე გავლენას ახდენენ გარემო ფაქტორები, როგორიცაა ბაზრის ცვლილება, კონკურენტების გაძლიერება; შესაბამისად თითორეული ნაწილის ცვლილებას ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება. მენეჯმენტი დგება გამოწვევების წინაშე, რომ მუდმივად აკონტროლოს რისკები. (ოლივერის მასალა).

1.4. ISO 2009:2015 პროცესებისადმი მიდგომა

სტანდარტიზაციის სართაშორისო ორგანიზაციის ISO 9001 ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტი. სტანდატის ხელს უწყობს პროცესებისადმი მიდგომის დანერგვას ორგანიზაციაში, რაც გულისხმობს სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული აქტივობების განსაზღვრას და მართვას (https://www.iso.org/standard/62085.html, 2018).

მოცემული საერთაშორისო სტანდარტი ხელს უწყობს პროცესებისადმი მიდგომის შემოღებას, რათა მომხმარებლის მოთხოვნების შესრულებით გაზარდოს მისი კმაყოფილება. ურთიერთდაკავშირებული პროცესების, როგორც სისტემის გააზრება, და მისი მართვა ხელს უწყობს ორგანიზაციის შედეგიანობასა და ეფექტურობას. ISO 9001 პროცესებისადმი მიდგომა მოიცავს პროცესების სისტემატურ განსაზღვრას იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სასურველი შედეგები, ორგანიზაციის ხარისხის პოლიტიკასა და სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად (ISO: 9001, 2008).

იმისათვის რომ ორგანიზაციამ იმუშაოს ეფექტურად, უნდა განსაზღვროს და მართოს სხვადასხვა ურთიერთდაკავშრიებული აქტივობები.

ეს მიდგომა ასევე ცნობილია როგორც დაგეგმვა-კეთება-შემოწმება-ქცევა(plan-do-cheack-act). იგი შეიძლება გავრცელდეს ყველა პროცესზე. ეს მიდგომა კი მდგომარეობს შემდეგში.

დაგეგმარება (Plan) - გულისხმობს მიზნებისა და პროცესების განსაზღვრას.

კეთება (Do) - პროცესების დანერგვა

შემოწმება (Check) - პროცესების გაზომვა და მონიტორინგი

ქცევა (Act) - კონკრეტული მოქმედებების განხორციელება

ISO-ს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მთავარი ამოსავალი წერტილი მომხმარებლის კმაყოფილებაა, შესაბამისად ხარისხის მენეჯმენტის მიზანია ეფექტური სისტემის დანერგვით, რომელიც მოიცავს პროცესებისადმი მიდგომას, მიაღწიოს კლიენტის კმაყოფილებას (ISO 9001:2008).

პროცესების განსაზღვრა მიმართულებებით:

- პროცესების თანამიმდევრობის და ურთიერთქმედების დადგენა;
- პროცესების სამართავად და შედეგის მისაღწევად კრიტერიუმების და მეთოდების განსაზღვრა,
- პროცესებისგამართული მუშაობის მონიტორინგი;
- საჭირო რესურსით და ინფორმაციით უზრუნველყოფა,
- პროცესების მონიტორინგი, გაზომვა და ანალიზი;
- ზომების მიღება დასახული შედეგის მისაღწევად და გასაუმჯობესებლად;

1.5. ღირებულებების ჯაჭვის შექმნის პროცესი

ბიზნესი იწყება ღირებულებებების შექმნით. მისი მიზანია, რომ აქარმოოის ისეთი პროდუქცია, შემდგომ სწრაფად გადაამუშაო ინფორმაცია და მომხმარებელს გადახდილი საფასურის გადახდის შემდგომ მიაწოდო სასურველი სერვისი/პროდუქცია. ყველა ბიზნესის საწყისი წერტილი არის შექმნას ღირებულება. იქნება თუ არა ეს წარმატებული, დამოკიდებულია ცოდნაზე თუ რამდენად კარგად აქვს მას:
- ღირებულება სწორად განმარტებული;
- წარსულიდან მომავლისკენ განხორციელებულ პროცესში როგორ განიცდის ევოლუციას;
- როგორ შეიძლება ღირებულება გაიზომოს და იმართოს.

ღირებულებები იქმნება სამუშაო პროცესში, რაც თავის მხრივ შეიძლება იყოს მექანიკური პროცესი (პროდუქტის წარმოება) ან შემოქმედებითი პროცესი (დოკუმენტის წერა). რა თქმა უნდა, ყველა ღირებულება თანაბარი ფასით არ განისაზღვრება და იგი გარემოსთან და ორგანიზაციის შიდა პროცესებთან მიმართებაში იცვლება.

ორგანიზაციული კულტურიდან გამომდინარე პროცესის განმავლობაში ღირებულებათა ჯაჭვში წყვეტები (disconects) და მისი გამთელების პროცესი სხვადასხვაგვარია. ორგანიზაციში რესურსები გარკვეული წესების მიხედვით ნაწილდება და საკუთარ დინამიკას იძენს. ჩვენ ამის დასადგენად ავირჩიეთ რამლერის მიერ შემუშავებული ღირებულებათა ჯაჭვის მოდელი, რომლითაც 2 სიბრტყეზე, პროცესების სუბ სისტემისა და

პროცესების სისტემის საფუძველზე გამოვავლინეთ ორგანიზაციაში არსებული პრობლემები.

ღირებულებათა ჯაჭვის უწყვეტობა არის ორგანიზაციის ქვაკუთხედი. ბიზნესი ისეთივე წარმატებულია, როგორც ეს პროცესი მიმდინარეობს (Rummler, et.al, 2010, P. 28).

ღირებულებათა ჯაჭვი ძირითადად 4 ძირითად საკითხად იყოფა: შექმნა, გაყიდვა, მიწოდება და მომხმარებელი, დიაგნოსტირების შიდა პროცესის დროს ძირითადად 3 ასპექტზეა აქცენტი.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად რამლერის ღირებულებათა ჯაჭვი იერარქიულად 5 ნაწილისგან შედგება. მივიჩნიეთ რომ ისეთი პატარა ორგანიზაციისთვის (18 თანამსრომელი) დიაგნოსტირებისთვის მე-3 და მე-4 დონე დიაგნოზისდასმის საშუალებას მოგვცემდა. შესაბამისად შევქმენით ორგანიზაციის საწყისი მდგომარეობის ნათელი სურათი.

საფეხური 3 (level 3 Processing Sub - Systems)

სამუშაო პროცესი შედგება 3 ძირითადი ნაწილისგან: გაშვება, გაყიდვა და მიწოდება თითოეული ქვე-სისტემა, თავის მხრივ მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი შესასრულებელი წინაპირობაა. თითოეული „ჯაჭვის რგოლი“ შედგება მნიშვნელოვანი ღრებულებითი საფეხურისგან, რომლის შესრულებაც კავშირშია მომდევნო საფეხურთან, ერთობლივად კი პასუხისმგებლები არიან კლიენტის წიანშე.

მესამე საფეხურზე მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში შემდეგ ღირებულებებს დავაკვირდეთ: რა პროდუქტები და სერვისები არსებობს, პროდუქტები და სერვისების მენეჯმენტი როგორ ხდება.

გაყიდვის მონაკვეთში: მოთხოვნა შემოდის, შეკვეთა მიიღება, კლიენტთან ურთიერთობა როგორ იმართება. მიწოდების ნაწილში ანალიზი ხდება სამუშაო შესრულებულია, შეკვეთა მიწოდებულია, პროდუქტის მიღების პროცესი დაცული და შესაბამისი მომსახურება გაწეულია, სამსახურის დიზაინი.

საფეხური 4 (level 4 Process)

მე-4 სიბრტყეზე აღიწერება და სიზუსტით ჩაიშლება სამუშაოს დიზაინის პროცესები. მოცემულ პროცესს აქვს 4 ნაბიჯი: შეკვეთა, კონტრაქტი ხელმოწერილია, დაგეგმილია, სამუშაოს შესასრულებელი სპეციალური პაკეტი შექმნილია, დიზაინი გადახედილია. თითოეული ნაბიჯი ნებისმიერი ბიზნესისთვის უნიკალურია და დამოკიდებულია კლიენტებსა და პროდუქტზეც. (Rummler, Ramias, & Rummler, 2010)(გვ 34).

1.6. ცვლილებები ორგანიზაციაში

დღევანდელი სწრაფად განვითარებადი ბიზნესგარემოს პირობებში, ცვლილებები ორგანიზაციაში გარდაუვალი მოვლენაა (Burke, 2017). ხდება ისე, რომ ორგანიზაციაში ცვლილების უმრავლესობა დაუგეგმავია, თუმცა დიდი ძვრებისთვის ორგანზაცია წინასწარ უნდა მოემზადოს.

ტექნოლოგიების ცვლილების ფონზე, თანამედროვე ორგანიზაციებში დინამიკა უფრო დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, ვიდრე შიდა ფაქტორებზე. ორგანიზაციები, რომლებიც სწრაფად ახერხებენ გარემოსთვის ფეხის აწყობას, ქმნიან კონკურენტულ უპირატესობას, მაშინ როდესაც, ორგანიზაციები, რომლებიც დინამიკას ჩამორჩებიან, განვითარებასა და ზრდას ვერ ახერხებენ. (Smith, King, Sidhu, Skelsey, & APMG, 2014).

2. ქეისის განხილვა

ამ თავში განვიხილავთ კომუნიკაცია ორგანიზაციასთან, როგორ გამოიყურებოდა მოთხოვნა და როგორ დაიგეგმა ცვლილებების გარდამავალი პერიოდი - 3 თვე. რა კონკრეტული ღონისძიებები და დაგეგმარების პროცესი გაიარა კონსულტანტის მიერ ჩატარებულმა სამუშოებმა.

2.1. მოთხოვნა

მოცემული მომსახურებითი ორგანიზაცია ბაზარზე 2014 წლიდან არებობს. კომპანია 2015 წლიდან ISO 9001:2008 სერტიფიკატის მფლობელია. იგი საერთაშორისო კომპანიებისგან ფლობს ლიცენზიას და მათი მხარდაჭერით ემსახურება საქართველოს ბაზარზე არსებულ კომპანიებს. ასევე გაყიდვების მიმართულება აქვს აზერბაიჯანში, სომხეთსა და აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში (ეს შედარებით ახალი მიმართულებაა).

ორგანიზაციაში დაარსებიდან დღმდე არაერთხელ სცადეს ცვლილებების განხორციელება, რათა შესრულების მაჩვენებელი გაზრდილიყო, თუმცა საბოლოო შედეგით კმაყოფილები არასოდეს იყვნენ. პირველივე შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ფრაზა იყო "ჩვენ გვინდა დალაგებული პროცესები" რომელიც შემგდომში განმარტეს- როგორც გამჭვირვალე, კონტროლირებული და სტანდარტიზების საჭიროება, რომელსაც თავის მხრივ ორგანიზციაში ავტომატიზების პროცესებსაც გულისხმობდა.

პირველ შეხვედრაზე რამდენიმე საკითხი ნათლად ჰქოდნა ჩამოყალიბებული წარმომადგენელს:

1.უნდა განხორციელებულიყო ყველა დონეზე ცვლილებები,ოფიციალურად უნდა დარეგისტრირებულიყო ცვლილებების პროცესი, იცვლებოდა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

2. მას ჩამოყალიბებული უნდა ჰქონოდა რა მიმართულებით უნდა განეხორციელებინა ცვლილებები.

3. დოკუმენტებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ISO 9001:2015 წლის სტანდარტის მიდგომა და რისკების მენეჯმენტი.

4. განახლებულიყო თანამშრომელთა შეფასების სისტემები, რომლის შემქნაც მანამდე არაერთგზის სცადეს, თუმცა არ დანერგილა (ამ კონტექსტში იქნა ხსენებული კულტურის ცვლილებაც).

5. აცხადებნენ მზაობას, ყველა საკითხე ემსჯელათ და მათთვის დრო დაეთმოთ.

კითხვაზე თუ რით არ იყვნენ კმაყოფილები ამ დრომდე განხორციელებული ცვლილებებით, დასახელებული იყო შემდეგი ფაქტები:

- შეხვედრები იმართებოდა ხშირად, მაგრამ არაფრის დანერგვა არ ხდებოდა;
- სამუშაო ძალების ორგანიზებული და ეფექტური მუშაობა ხდებოდა მხოლოდ კრიზირების დროს;
- გათვალისწინებული არ იყო მაკორექტირებელი შეთავაზებები, ერთი და იგივე პრობლემა რამდენჯერმე მეორდებოდა და იშვიათად (ან არასოდეს) გამოსწორება;
- საჭირო სამუშაო ინფორმაციის დარეგისტრირება არ ხდებოდა ერთიან ბაზაში, რაც შემდგომ შედეგების ანალიზის შესაძლებლობას არ აძლევდა მენეჯმენტს.
- შესაძლებელი იყო ერთი და იგივე კლიენტისთვის სხვადასხვა პასუხი გაეცათ ერთი და იგივე პროდუქტზე, ვინაიდან ერთხელ შექმნილი ფორმულითა და შეთანხმებული წესით არ ხდებოდა ფასის დადგენა, დაფისირება.

დამატებითი საჭირო ინფორმაცია პირველი შეხვედრიდან :

მოცემულ ორგანიზაციაში პროცესები იმართებოდა გენერალური მმართველი ბორდისგან, რომელშიც შედიოდა: აღმასრულებელი დირექტორი, გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი. მათ არ ჰქონდათ შუალედური რგოლი. პირდაპირი, შეუფერხებელი კავშირი იყო აღმასრულებლებსა და მენეჯერებს შორის; რაც შეიძლება მიგვეჩნია მიზეზად - ორგანიაცია კრიზისების დროს ძალიან სწრაფად ახდენდა მობილიზებას და კარგ შედეგსაც იღებდა. თუმცა ნაკლებად ხდებოდა შემდგომ მოცემული პროცესის ანალიზი, მომდევნო პროცესის უფრო სწრაფად მოდელირებისთვის.

2.2. დაგეგმვა და გასათვალისწინებელი მოთხოვნები

ჩვენი, როგორც კონსულტანტებისთვის მთავარი გამოწვევა იყო, ისე დაგვეწყო პროცესები, რომ წარდგენილ შეთავაზებაში ყველა პუნქტი ნათელი და გასაგები ყოფილიყო, თვალსაწიერიდან არ გავეშვა- რა გავლენა ექნებოდა მოცემულ ცვლილებას სხვა დანარჩენ პროცესებზე, მუდმივად დაგვესვა კითხვა - რა რისკები შეიძლება მოჰყოლოდა ნებისიერ ცვლილებას (რისკების ანალიზი დამატებითი ნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, ვინაიდან ISO განახლებული ვერსიის წინაპირობა სწორედ მათი პროცესში ჩაშენებაა).

2. არ გამოგვრჩენოდა და არ შექმნილიყო ძალიან მოუქნელი სისტემა, რომელიც ზედმეტად ჩარჩოებში მოაქცევდა თითოეულ პროცესს და სისტემის ადაპტაციას გაართულებდა (იხ. "გახევება" დიფერენციაციის ფასის კრიზისისას (Glasl & Livegoed, 2004))

3. გადაგვემოწმებინა ნებისმიერი ჰიპოთეზა, რათა მცდარი სურათი არ შეგვქმნოდა ორგანიზაციის არსებულ მდგომარეობაზე.

4. პროცესის დასაწყისი და დოკუმენტაცია ისე უნდა შედგენილიყო ეტაპობრივად, რომ ISO აუდიტს ორგანიზაციისთვის სასურველი დასკვნა დაეწერა.

5. საფრთხის კონტროლი- შექმნილი სახელმძღვანელოების შემდეგ შესაძლოა ყოფილიყო გაუგებრობა, რა მექანიზმები იქნებოდა ამისთვის ოპტიმალური?

6. ვინაიდან ცვლილებების ქცევის ახალ მოდელს ითხოვს (ყველაფერი ახალია და გამჯდარი არაა), რა მიდგომებით შეიძლება რეზისტენტობის წინააღმდეგ ბრძოლა.

7. ცვლილებების პროცესში ხარისხის მენეჯერს რა როლი ექნება, რას უნდა აკონტროლებდეს, როდის და როგორ მოახდენს პროცესისი გადამოწმებას,

8. რა სახის დოკუმენტაციის შექმნა სურთ? რაც ნამდვილად, თუ ყველა „ზედმეტად დაკავებული" იქნება პროცესისში ჩსართველად?

9. არის ორგანიზაციაში ფარული ლიდერი, რომელსაც პრობლემების შექმნა შეუძლია?

10. არის თანამშრომლებში ცვლილებისადმი საკმარისი მზაობა, თუ ისინი მუდმივად დაჯგუფებებს შექმნიან საკითხების უგულებელსაყოფად?

11. რა გავლენა ექნება ISO აუდიტს და მის რეკომენდაციებს ცვლილებების პროცესის გაგრძელებაზე?

12. საკითხი რომელიც ვერ გმაოსწორდება და თვიდანვე ცნობიერია, ესაა რომელიმე კომპიუტერულ პროგრამაში ინვესტიციის ჩადება; კონსულტანტმა უნდა დასვას კითხვა - თუ რომელი პრინციპით შეიძლება წარმოებდეს ოპტიმალური სტრუქტურა და კომპიუტერული უზრუნველყოფა როგორ იქნება?

13. რომელი მიდგომით გავაგრძლებ კონსულტაციას? როგორ მივიდეს კლიენტი თავად საუკეთსო არჩევანამდე; საკუთარი ცოდნით იპოვოს საუკეთესო გადაწყვეტა.

14. ღირებულებების ჯაჭვის სურათი შეგვექმნა, რათა უფრო ნათლად დაგვენახა როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესები. შემდგომ მოცემული კავშირების დასაზუსტებლად დაგვესვა კითხვები და მოგვესმინა გაუმჯობესების მათივე ვერსია. ჩვენ მხოლოდ ორგანიზაციის ქვედადონეზე მიმდინარე პროცესების გადასამოწმებლად რამლერის მეთოდის მიხედვით მე-3 და მე -4 სიბრტყის დეტალური აღწერა მოვახდინეთ.

15. რა სახის კონფლიქტები შეიძლება გამოიკვეთოს? ვინ იქნებიან მთავარი მხარეები და როგორ შეიძლება თავი ავარიდოთ? ამჟამად სახეზე გვაქვს კი კონფლიქტები? ღიაა თუ ფარული? ხდება მათი აღიარება?

2.3. შეთავაზება კონსულტანტის მხრიდან (ამონარიდი)

ქვემოთ მოცემულია ოფიციალური შეთავაზებიდან ნაწყვეტი, რომელი საკითხებიც მეორე შეხვედრაზე განცილულ იქნა, განმარტებები დაერთო და ამის შემდეგ გაგრძელდა უშუალოდ კონსულტაციის ძირითადი სამუშოები.

ამჟამად ორგანიზაციის მენეჯმენტი განიხილავს ორგანიზაციის დიზაინის გაუმჯობესებას - ანუ ქმედითი ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებას, რათა მომსახურების გაწევის პარალელურად, განავითარების პროცესი არ შეფერხდეს. აღსანიშნავია, რომ მმარველი რგოლი ხშირად აღნიშნავდა კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა გამოწვევებს, როგორიცაა:

- პასუხისმგებლობის გადანაწილების სისწორე,

- თანამშრომელთა დაქვემდებარების და ანგარიშვალდებულების შეუსრულებლობა არასაკმარისი კონტროლი
- თანამშრომელთა დაბალი მოტივაცია,
- საქმიანობის სხვადასხვა საოპერაციო პროცესების გამართულობა და ა.შ.

კომპანიასთან შეხვედრიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოხდა მიღებული ინფორმაციის გააზრება და განვითარდა ქვემოთ მოყვანილი ჰიპოთეტური საკითხები, რომლის შესწავლაც შემდგომ პროცესში უნდა მომხდარიყო:

1. რამდენად ეფექტიანადაა განაწილებული ფუნქციები სტრუქტურულ რგოლებს შორის;

2. რამდენად ეფექტური და ეფექტიანია პროდუქტებისა და სერვისების შექმნის გაყიდვისა და მიწოდების პროცესები;

3. რამდენად ეფექტურია და ეფექტიანი თანამშრომლების საქმიანობის გარემო, მათ შორის რამდენად სწორადაა განაწილებული მოვალეობები და დავალებები შემსრულებელებს შორის;

4. როგორი შეიძლება იყოს დავალებების მართვის ეფექტიანი მექანიზმი, რომლის დანერგვაც სამუშაო პროცესის სრულფასოვან დინამიკას შექმნის;

5. რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული თანამშრომლების დავალებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები;

6. რამდენად მისაწვდომია თანამშრომლებისათვის მათი მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო რესურსები (მათ შორის, ინფორმაცია);

7. რამდენად შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ორგანიზაციის საჭიროებებს.

...და ყველა ზემოთ ნახსენები ეჭვი თუ მოსაზრება, რომლეზე მოკლე პასუხები კი/არა ან პირიქით, ვრცელი პასუხი იქნა გაცემული.

საწყის ეტაპზე ყურადღების ცენტრიდან არ უნდა გამოგვჩენოდა :

ა) ორგანიზაციული ეფექტურობის საკითხი

ბ) სტატისტუკურად პროცესის კონტროლი

გ) სტრატეგიის განვითარებისადმი მზაობა

შემდგომი ეტაპისთვის ერთმანეთისგან უნდა გამიჯნულიყო ოპერაციული სისიტემა და მეტი გამჭვირვალობა შესულიყო კონტროლის მექანიზმების შექმნაში.

გადაწყვეტილება, რომელიც **მეორე შეხვედრაზე** მივიღეთ იყო ის, რომ:

ვინაიდან ორგანიზაციაში მმართველი პირი იცვლებოდა, მას უნდა ჰქონოდა ნათელი ხედვა და სტრატეგია, მომავალი ცვლილებების შესახებ. ამიტომ ჰოლისტური მოდელის იხ. ზევით (ნახ. 1) გადაწყდა, რომ პირველ ეტაპზე მოკლევადიანი სტრატეგიის დოკუმენტი შექმნილიყო. ISO სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. თუმცა ეს არ მოიცავდა უკე არსებული სტრატეგიის უგულებელყოფას, არამედ ერთობლივად უნდა დაგვემუშვებინა გრძელვადიანი სტრატეგია, გვეპოვა ხარვეზები და ახალი გადაჭრის გზები გამოკვეთილიყო. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის მნიშვნელობა ორგანზიაციაში იცოდნენ და მას მმართველი რგოლი ერთობლივი დიალოგის შედეგად ქმნიდა, თუმცა მისი პუნქტები სრუდლებოდა თუ არა, არასოდეს შემოწმებულა. მომავალმა მმართველმა (შემდგომში/ამჟმად უკვე მმართველი დირექტორი) დასაშვებად მიიჩნია, მოკლე პერიოდზე გათვლილ სტრატეგიის შექმნა, რომელიც ნათელ, მიღწევად მიზნებს დასახავდა და პროცესის გადამოწმების შესაძლებლობას შეუქმნიდა.

კონსულტაციის შედეგად გამომავალ დოკუმენტები იყო:

- შეთავაზება;
- ორგანიზაციის 1 წლიანი სტრატეგია;
- ორგანიზაციის „არის“ მდგომარეობის შეფასება;
- გაუმჯობესების რეკომენდაციები;
- პროცესების სახელმძღვანელო;

გარდამავალი პერიოდის დაკვირვება და სკონსულტაციო საუბრები,

- რეკომენდაციები (ხარისხის სახელმძღვანელოსთვის, სამუშაო აღწერილობებისთვის, შიდა განაწესისთვის, შეფასების ახალი სისიტემებისთვის).

2.4. სტრატეგიაზე მუშაობა

მოცემული დოკუმენტი შედგენილია ორგანიზაციის კონსულტაციის პროცესის შედეგად და წარმოადგენს მომდევნო წლის (2018) სამოქმედო გეგმას. ქვემოთ მოცემულია მხოლოდ მცირე ამონარიდი ორგანიზაციაში შექმნილი დოკუმეტიდან. რა თქმა უნდა ისე, რომ ამ ორგანზიაციის იდენტიფიცირება არ მოხდეს. სტრატეგიის ნაწილს წარმოვადგენთ იმ მიზნით, რომ ნათელი გახდეს, რა პრინციპით მუშობს კონსულტანტი ორგანზიციაში.
მოცემული მოსაზრებები არ არის ცალკე მდგომი დოკუმენტი. ის გამოხატავს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სტრატეგიულ მიდგომას ზოგადად ორგანიზაციის განვითარებისა და მართვის მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ამოცანაა ამ მიდგომის ინსტიტუციონალიზაცია, ანუ ასახვა როგორც ორგანიზაციის მოწყობაში, ისე ბიზნესს პროცესებში.

შენიშვნა: სტრატეგიას თანდართული აქვს 100 დღიანი სამუშაო გეგმა. დოკუმენტი შექმნილია რათა მენეჯმენტის რგოლს გაუადვილდეს სამუშაო პროცესების დაგეგმარების, შესრულების, გადამოწმებისა და შედეგების უკეთ შეფასებისთვის.
მოცემული დოკუმენტის მიზანი: განისაზღვროს საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს მენეჯმენტის სისტემის უნარზე, დააკმაყოფილოს მომხმარებლის, საკანონმდებლო და სამართლებრივი მოთხოვნები და შედეგად გაიზარდოს ეფექტურობა, მოცემული საკითხები კი თანხვედრაში უნდა იყოს ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნებთან.
აქვე დავძენთ, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას აქვს 2008 წლის მოდიფიკაცია, მან მიზნად დაისახა გაუმჯობესებული ვერსიის მიღება. ამიტომ ნებისმიერ ახალ ცვლილებაში, ღირებულებათა ჯაჭვში მოცემული სტანდარტის მოთხოვნები უნდა ასახულიყო). სტრატეგია არ შექმნილა მხოლოდ მომავალ მმართველთან კონსუტაციებით,ქოუჩინგით,

არამედ საწყის ეტაპზე მანვე გამოთქვა მოსაზრება, შესაძლებელი იყო დასჭირვებოდა. ჩვენ მოცემული მიდგომით პროცესის დაწყება შევთავაზეთ.

მისი ნებართვით და სურვილით, პროცესი თანამშრომლებთან მაქსიმალური ჩართულობით გაგრძელდა. დასაქმებულების კვლევისთვის გამოყენებულ იქნა სვოტ (SWOT) ანალიზი. მასში ასახულია მომსახურებითი ორგანიზაციის თანამშრომლებისა და ხელმძღვანელების, ასევე, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები, თუ როგორ ხედავს სხვადასხვა მხარე მას, როგორც წარმატებულ კომპანიას.

შემავალი მონაცემები:

- პესტ (PEST) ანალიზი
- სვოტი (SWOT) ანალიზი
- დაინტერესებულ მხარეთა (Stakeholder) ანალიზი
- კონსულტაციები მენეჯმენტთან და თანამშრომლებთან
- მიმდინარე სტრატეგიული დოკუმნეტის (2017 წ 31 დეკემბრამდე) ანუ „ძველის“ შეფასება

მოცემული მეთოდები სვოტი და პესტი გამოვიყენეთ, რათა უფრო ზუსტად შეგვეფასებინა ორგანიზაციული და გარემო ფაქტორები, მასთან კავშირში ორგანიზაციის შესაძლებლობები. პესტ- ანალიზის საფუძველზე შეფასებულია სამართლებრივი და გარემო პირობები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ორგანიზაციის უნარზე (რისკების მენეჯემნეტი).

ამჟამინდელი „არის“ მდგომარეობის ანალიზი გაკეთდა თანამშრომლების გამოკითხვისა და მენეჯმენტთან შეხვედრების შედეგად (პირველადი სურათი). ასევე გაანალიზდა მიმდინარე პროექტები და შესრულების შედეგად დაშვებული შეცდომები. ანალიზისთვის ასევე გამოყენებულ იქნა ხარისხის მენეჯერის ანგარიშები.

სტრატეგიული გეგმის მომსამზადებლად მნიშვნელოვანი იყო პასუხი გაცემულიყო შემდეგი კითხვებისთვის.

ქვემოთ მოცემულია კვლევიდან ამონარიდი:

1. როგორ/რა გზით შეგიძლია გამოიყენო შენი სიძლიერე შენი ყველაზე დიდი შესაძლებლობების მისაღწევად?

“ორგანიზაციაში პრობლემების დროს ყველას შეუძლია მობილიზება და ნებისმიერი სირთულის პროლემის გადაჭრა, შესაბამისად ცოდნა არსებობს, უფრო მეტი ყურადღების შემთხვევაში კი სისუსტე დაიძლევა. ხშირი შეხვედრები და საკითხების განხილვა, ერთიანი ბაზის არსებობა, უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდის მიმდინარე პროცესებს” (ციტატა თანამშრომელთა გამოკითხვიდან, აგვისტო, 2017).

2. რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ გადალახოთ შენი სუსტი მხარეები, რომ უკეთესად შეძლო შენი შესაძლებლობებით სარგებლობა?

“საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა, ყურადღება და მობილიზება. შესაბამისად საჭიროა უფრო მეტი, მკაცრი კონტროლი” (ციტატა თანამშრომელთა გამოკითხვიდან, აგვისტო, 2017).

3. როგორ შეგიძლია გამოიყენო შენი სიძლიერე იმისათვის, რომ გადალახო შენი ყველაზე დიდი საშიშროება?

“იმისათვის რომ კომპანიამ საკუთარ ძლიერი მხარეები ზუსტად გამოიყენოს, მნიშვნელოვანია, რომ კონტრაქტის გაფორმების დროს დოლარის კურსის ცვლილებაზე აღნიშნულ იქნას მანამდე, თუ ეს გავლენას მოახდენს პროდუქციის მიწოდება- ფასზე. რაც შეეხება შიდა ორგანიზაციულ კომუნიაკაციასა და მობილიზებას, ეს მენეჯმენტმა უნდა აკონტროლოს და რეპორტების წერილობითი ფორმა შემოიღოს” (ციტატა თანამშრომელთა გამოკითხვიდან, აგვისტო, 2017).

ორგანიზაციის მომდევნო წლის მიზნებია: (SMART Goals)

1. პროცესების ავტომატიზება, ოპტიმიზაცია 2017 წლის დეკემბრის ბოლომდე

2. გაყიდვების გაზრდა, ორგანიზაციის ცნობადობის გაზრდის გზით 2018 წლის დეკემბრამდე

3. ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება 2018 წლის დეკემბრამდე

4. სწავლის მენეჯმენტის სისტემის შექმნა 2018 წლის დეკემბრამდე

5. თანამშრომლების მოტივაციის სისტემის დანერგვა.

ჩვენ მცირედი ცვლილება შევიტანეთ არსებული, ზემოთ ნახსენებ მეთოდებში. „ძველი სტრატეგიის“ (ასე მოიხსენიებდნენ) შეფასების მეთოდოლოგიაშიც და არსებული პუნქტები შევაფასეთ ორი კრიტერიუმით “არის” და “უნდა იყოს”. შესაფასებლად ლიკერტის სკალა 1 დან 5 მდე უნდა გამოეყენებინათ, სადაც 1= უმნიშვნელოა, 5= ძალიან მნიშვნელოვანი. ამ შეფასების სისტემით უფრო ნათელი გახდა განსხვავება რა იყო კარგად სესრულებული ან არ სრულდებოდა, რა იყო უმნიშვნელო და რაზე იხარჯებოდა დრო.

2.5. ISO 9001:2015 აუდიტი

სექტემბრის დასაწყისში, მაშინ, როდესაც ორგანიზაციაში სტრატეგიის დოკუმენტის საბოლოო ვერსია შეიქმნა და კვლევაში თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, ISO 9001:2008 დანიშნული გეგმიური აუდიტი დაიწყო. შესაბამისად შესაძლებლობა გვქონდა, მოგვესმინა მისი შეფასებები ორგანიაციის ახალ მოსალოდნელ ცვლილებებზე და სტანდარტის ჩრჩოებზე. ეს კარგი გზა იყო კიდევ ერთხელ იმისთვის, რომ გაგვერკვია მიგვყავდა თუ არა სწორი გზით კონსულტაცია და რისკების მენეჯემენტის მოთხოვნების გათვალისწინება ხდებოდა მოთხოვნის შესაბამისად.

საზღვარგარეთიდან მოწვეულმა აუდიტებმა შეამოწმეს ორგანიზაციაში არსებული ყველა განყოფილება, გამოიკითხეს თანამშრომლები, გაეცნენ 1 წლიან სტრატეგიას (ახალ ვერსიას) და რამდენიმე დღის შემდეგ რეკომენდაციები გამოაგზავნეს.

აუტიტორთა მიდგომა განხვავდებოდა კონსულტანტური მიდგომისგან, ვინაიდან ISO სტანდარტის ფოკუსი კლიენტების კმაყოფილებიდან გამომდინარეობს, ყველა კითხვა დაახლოებით ასე იყო ფორმულირებული: როგორია კომუნიკაცია კლიენტთან და მის კმაყოფილებას როგორ ზომავთ, რას აკეთებთ იმისთვის, რომ კლიენტს საჭირო და ხარისხიანი პროდუქტი მიაწოდოთ და ა.შ.

ISO აუდიტორებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ცვლილებებსი პროცესის დაანონსება და უკვე შექმნილი სტრატეგია; მათ მზა დოკუმენტი შეისწავლეს და ამ

მიმარტულებითაც გასცეს გაუმჯობესების (ISO 9001:2015 თანხვედრისთვის) რეკომენდაციები, მაგ.: ხარისხის მენეჯერმა მოცემული პუნქტების მიხედვით უნდა შეიმუშაოს დამატებითი კრიტერიუმი, რათა პერიოდულობით შეამოწმოს სრულდება თუ არა, ან რა ქულით სრულდება სტრატეგიაში მითითებული მიზნები. შეიქმნას უფრო ძლიერი მარკეტინგის განყოფილებამ მოცემული სტრატეგიის შესაბამისად უნდა შექმნას დეტალური სტრატეგია, ანუ რა მიდგომები ექნება კლიენტებთან უერთიერთობისთვის. სტრატეგიაში ჩაიდოს თანამშრომელთა მოტივაციის სისტემები.

პოზიტიური იყო ის საკითხი, რომ მოცემული ნამუშევრით არ დასმულა საკითხი ISO 9001:2008 გაგრძელების შესახებ, მოცემული რეკომენდაციები ეხებოდა ახალი მოდიფიკაციის მიღებას, და აღნიშნეს რომ დაწყებული და იმ პერიოდისთვის უკვე შესრულებული სამუშაოების ტენდენცია ავის მხრივ უკვე აკმაყოფილებდა 2015 წლის სასერტიფიკატო მოხოვნებს. გეგმიური აუდიტი დაინიშნა 2018 წლის ივლისში, ახალი ვერსიის მიღების მიზნით.

2.3 ღირეულებათა ჯაჭვის შედგენა

მოცემული საფეხურის მიზანი იყო მენეჯერთან ერთად ნათელი სურათი შექმნილიყო პროცესების შესახებ და მასთან ერთად აღწერილიყო ორგანიზაციის „არის“ მდგომარეობის სურათი. ნებისმიერ წყვეტას (disconnect) ერთობლივად აღმოჩნილიყო და პროცესში თავადვე გამოეთქვა მოსაზრებები რა სავარაუდო გადაჭრის გზები არსებობს. კონსულტანტს არ სჭირდება მეთოდის ახსნა და მისი ლოგიკა ბოლომდე გააგებინოს კლიენტს. დაახლოებით ასეთი ფორმულირებაც საკმარისია : თუ წინააღმდეგი არ ხარ, ერთად აღვწეროთ ორგანიზაციაში პროცესები, თუ პრობლემა გამოვლინდა, ვიმსჯელოთ რა სახის გადაცდომებია და მივიღებთ საბოოლოოდ ორგანიზაციის რუკას. წითელი ნაწილების გამოსწორებას როგორ ხედავთ? თქვენ თქვენი ორგანიზაციის ექსპერტი ხართ, რას მიაწერთ არსებულ პრობლემებს?

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მოცემულ კონსულტაციურ სამუშაოებში რამლერის თეორიული ჩარჩო გამოვიყენეთ და დიაგნოზის მეთოდად ღირებულების ჯაჭვის იერარქიიდან პროცესის სუბსისტემა (level 3) და პროცესის (level 4) აღწერა მოვახდინეთ. მე-5 სიბრტყისთვის აუცილებელი სამუსოები დავალებების ფუნქციები და სამუშაო ღწერილობები ხარისხის მენეჯერთან მუშაობის შედეგად შექიმნა. თუმცა ამისთვის ღირებულებათა ჯაჭვის დიაგნოზის მეთოდი აღარ იყო საერთო სურათის შემცვლელი.



ნახ. 2: ღირებულებათა ჯაჭვი, „არის“ მდგომარეობის ანალიზი (ფლიპჩრტის ფორმიდან)

წითლად აღნიშნულია (ნახ. 2) ღირებულების ის ჯაჭვი, სადაც გამოკვეთილია პრობლემური არეები.

1. ორგანიზაციას ნათლად განსაზღვრული პროდუქტები აქვს და ყველასთვის გასაგებია რა უნდა იყოს კლიენტისთვის მიწოდებული

2. გამოკვეთილი საკითხები ძირითადად გაყიდვის გრაფაშია. N1 ღირებულება კლიენტთან ურთიერთობა მოიცავს კავშირს (online, პირდაპირი, ტენდერში მონაწილეობით). მიუხედავად იმის, რომ ფორმულა არსებობს როგორ დადგინდეს ფასი, არის შემთხვევები, რომ სხვადასხვა ფასს სთავაზობს სხვადასხვა გამყიდველები ერთსა და იმავე კლიენტს დროის ერთ მონაკვეთში.

3. რა სტრატეგითხდება კლიენტთან კომუნიკაცია? რა სიხშირით ეკონტაქტებით? გაყიდვების გუნდი არსებულ კლიენტებს როგორ აღწერს და შემდგომ „ზრუნავს“ და რა მიდგომებია ჩამოყალიებებული ახალი კლიენტების მოსაპოვებლად?

4. N-2. ღირებულება - კლიენტის აღრიცხვა, როგორ ვახდენ კლიენტის ბაზის განახლებას? მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციაში შექმნილია ე.წ. ბაზის შესავსები ფორმულარი და მისი არსებობის შესახებ ყველასთვის ცნობილია, საერთოდ არავის გახსენებია მისი შევსება/ ან დავალების მიუხედავად მაინც არ ავსებდნენ.

5. N-3 ურთიერთობის მენეჯმენტი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ფასდაკლებების პროგრამას, ფასების ფორმირებას, დავების მართვას, არ ხდება კლიენტთა პრეტენზიებისა და პროცესში არსებული ხარვეზების სისტემატიზება, ამას ემატება ისიცს, რომ არაა კლიენტები კატეგიორიებად დაყოფილი, ყველას ერთი ფასით ემსახურებიან, თუ არსებობს მუდმივი კლიენტებისტვის ურთიერთობის სტრატეგია? ამას თავის მხრივ კავშირები უნდა ჰქონდეს ღირებულებების ჯაჭვის პირველ საფეხურთან (შექმნა) მაგ.: სწავლის მენეჯმენტი (ტრენინგები) ჩტარებულა ტრენინგები? რა სახის და ეფექტური იყო?

6. N4 აღრიცხვა მოიცავს, კონტრაქტს, ინვოისებს, კონტრაქტის გადახედვის და შესწორებების შესაძლებლობებს, ეს მხარე გამართულად ფუნქციონირებს და კონტროლდება.

7. ღირებულებების ჯაჭვის მომდევნო საფეხური - მიწოდება, სადაც 2 მიმათულება გამოიყოფა, ესაა დიდი პროექტების შემთხვევაში ტექნიკის მონტაჟი, და მცირე მიწოდების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტით დამთავრებული გაყიდვა. პრობლემები დიდი პროექტების დროს მაინც ხდება, დაგეგმვის მიუხედავად, შესრულების პროცესში ფაქტის წინაშე დგება კომპანია, რაღაც დეტალები სწორად არ იყო საწყის ეტაპზე გათვლილი და

გათვალისწინებული, რაც მიმდინაროების პროცესში დროში აფერხებს მის დასრულებას და ორგანიზაციის იმიჯის შელახვის საფრთხეს შეიცავს.

3.0 შედეგები

როგორც ზემოთ არსებულ დიაგნოზის მეთოდში აღვნიშნეთ, „არის“ მდგომარეობის სურათის ანალიზი მოხდა პირველ ეტაპზე და მეორე ეტაპი მისი გამოსწორების გეგმის შედგენა იყო.

3.1. მენეჯერის მიღებული გადაწყვეტილებები

მოცემულ პროცესში უნდა აღვნიშოთ, რომ გამოსავალი და პრობლემის გადაჭრის გზა თავად მომავალმა მმართველმა დირექტორმა მიიღო. ჩვენ მხოლოდ გადასამოწმებლად კითხვებს ვუსვამდით, იყო თუ არა შედეგში დარწმუნებული, რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამას? რა საფრთხეები შეიძლება მოჰყოლოდა, როგორ გააცნობდა ამას თანამშრომლებს და ა.შ. ღირებულებათა ჯაჭვის ერთობლივმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ პრობლემები გაყიდვების გუნდში არსებობდა და იქ ურთიერთობის, გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმარება-კონტოლის მენქანიზმები სრულად უნდა შეცვლილიყო. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გაყიდვების გუნდის მხარდაჭერისა და კონტროლისთვის შეექმნა სტრუქტურულად ახალი გუნდი, რომეილიც დოკუმენტაციის სისტემაში მოყვანასა და პროცესში მიმდინარე პრობლემებს დააფიქსირებდა. ეს იქნებოდა ორგანო, სადაც ინფორმაცია სრულად მოიყრიდა თავს და შესაბამისად გამომავალი დოკუმენტაცია ხარვეზების უფრო დეტალურ აღწერის საშუალებას მისცემდა. მოცემული მოსაზრების გადასამოწმებლად კონსულტანტს მხოლოდ ორი მიმართულებით კითხვა არ უნდა გამორჩენოდა:

1 რისკების კონტროლი, სტრუქტურლ ცვლილებებს შეიძლებოდა თუ არ ა რომ მოჰყოლოდა რამე სახის დაბრკოლება

2. შესაძლებელია თუ არა, რომ ცვლილებები კონფლიქტების საფუძველი ყოფილიყო

3. როგორ გააცნობდა მენეჯერი ამ ცვლილებებს თანამშრომლებს. ეს უკანასკნელი კონსულტანტის მიდგომისთვის ნეიტრალურობის შენარჩუნების ინსტრუმენტად ითვლებოდა. ვინაიდან ორგანიზაციაში, ცვლილებების მიმართ მოლოდინი არსებობდა კითხვებს სვამდნენ/დასვამდნენ. ამ ცვლილებების შესახებ საუბრის უფლება კი მას არ

ჰქოდნა. ამიტომ ნებისმიერ ნაბიჯზე პროცესზე პასუხისმგებელ პირს უნდა ეთქვა, რა ფორმით, რა დოზით და ვის მიაწვდიდა ინფორმაციას ცვლილებების შესახებ.

მანვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ISO აუდიტის რეკომენდაციების შემდეგ გამოცხადებულიყო გარდამავალი ეტაპი, რეალურად თანამშრომლებთან ინტერვიუ და მათი მოსაზრებები პროცესზე ამის შემდეგ დაიწყო.

3.2. ცვლილებებისთვის გარდამავალი ეტაპი

გარდა იმის, რომ ცვლილებების პროცესში გარდამავალმა პერიოდმა მოლოდინებს მაშინვე ვერ უპასუხა და მოტივაცია მინელდა (თანამშრომლები ნაკლებ დროს ატარებდნენ სამზარეულოში თემის შესახებ მსჯელობაზე, ნაკლებ კითხვებს სვამდნენ კონსულტანტთან), გარდამავალ დროს თავისი დადებითიც ჰქონდა: ეს იყო ერთ-ერთი სტრატეგიული გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზიდან გამომდინარე :

1. ორგანიზაციაში სიახლეების შიში არ იქნებოდა;
2. თავად მენეჯემენტს სჭირდებოდა პროცესში დარწმუნება, რომ ეს მექანიზმი ასე მუშაობს და გამართლებულია;
3. უფრო მეტად მოქნილი უკუკავშირის შესაძლებლობას იძლეოდა;
4. იყო საკითხები, რომლის შესახებაც მენეჯემნეტის რგოლს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განეხილა და ხელაღებით საკითხის დაყენებას შესაძლოა კადრების წასვლის საშიშროება გამოევლინა. ის პირები, რომლებიც ამგვარ მიდგომას ამჟღავნებდნენ, ცვლილებებს კიდევ უფრო ნელა ახორციელებდნენ სამუშაო პროცესში.

5. ამ პერიოდში კონსულტანს ექნებოდა დრო, ყოველი ახალი დავალების გაცემის შემდეგ დაკვირვებოდა რეაქციებს, ასევე მოესმინა დავალების გაცემის ფორმა (საჭიროების შემთხვევაში ფიდბექის წესები გაეთვალისწინებინა). კონსულტანტს ჰქონდა საშუალება გამოეკითხა, დაკვირვება ეწარმოებინა, ატარებდა თუ არა მოცემული პროცესი

კონფლიქტების პოტენციალს, თუ კი, რას და ვის შეეხებოდა; რა ინტერვენციები იქნებოდა ლოგიკური.

6. მომსახურებითი ორგანიზაცია პატარა გუნდისგან შედგებოდა და უმეტესად ერთმანეთთან პიროვნული ურთიერთობები აკავშირებთ, შესაბამისად ნებისმიერი მიუღებელი ნაბიჯი საკითხის წინააღმდეგ გუნდებად დააჯგუფებდა ადამიანებს. ეს კი დამატებით სიფრთხილეს მოითხოვს შენისვნის მიცემის დროსაც, ვინაიდან ნებისმიერი შენიშვნა, პიროვნულ დონეზე შეიძლება აღქმულიყო.
პროცესის ნელი ტემპებით წარმართვამ და გუნდის წევრებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი მზად იყვნენ ცვლილებებისგთვის.

3.3 ცვლილებები

მაგალითად ინტერვიუების დროს კონკრეტული პროცესის მიხედვით ყვებოდნენ საკუთარ განყოფილებაში როგორ იწყებოდა პროცესი, როგორ გრძელდებოდა, სად უშვებდნენ შეცდომას და რა იქნებოდა საუკეთესო იმ მომენტში და ვინ უნდა ჩარეულიყო.
მმართველმა დირექტორმა შექმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ორგანიზაციას პირობითად ორ ნაწილად ჰყოფს. წინა ოფისი და უკანა, ოპერაციული ოფისი. წინა ნაწილში მოიაზრებიან გაყიდვის ჯგუფის წევრები და ოპერაციული გუნდი მათ ინფორმაციით უზრუნველყოფაში, მონაცემთა ერთიან ბაზაში გაერთიანებაში, ლოგისტიკის პროცესების მოგვარებაში ეხმარება. ისინი ერთმანეთთან უფრო შეთანხმებულად მუშაოებენ და აქამდე შეუსრულებელი ინფორმაციის რეგისტრაციას აწარმოებენ.
გაყიდვების გუნდის წევრებმა დაიწყეს სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა, ყოველ კვირა გადასცემენ ოფის მენეჯერს ინფორმაციას, რომელიც შეხვედრებს უნიშნავს კლიენტებთან.
ამ პერიოდში ნათელი გახდა კულტურული ცვლილებების დასაწყისიც. მაგალითად აღნიშნული იყო ის, რომ ინფორმაციის მისაღებად ორგანიზაციაში ერთმანეთს ყვირილით ეკომუნიკაციებოდნენ. რაც სამუშო პროცესის შეფერხებას იწვევდა. თავისთავად შეიცვალა.

პროცესში აღმოჩნდა, რომ 1 თანამშრომლის აყვანა იყო საჭირო და არსებული თანამშრომელი ფიზიკურად უნდა გადასულიყო სხვა ოთახში, ოპერაციულ გუნდში.

ერთ-ერთი ასპექტი იყო ისიც, რომ მმართველი დირექტორი გაყიდვების გუნდთან ერთ სივრცეში განთავსდა, შესაბამისად, უფრო მოქნილად აკონტროლებს გაყიდვების დინამიკას და საჭიროების შემთხვევაში გამოსწორების რეკომენდაციას იძლევა.

ღირებულებათა ჯაჭვში ჩვენ ISO 9001-ს მოთხოვნებიც გავითვალისწინეთ და პროცესებს შორის კავშირში სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა, რომელებიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის ძირითადი ელემენტების განვითარებას და შესაბამისად ორგანიზაციის შემდგომ ფაზაში გადასვლას. ეს მიდგომა ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ნებისმიერ რგოლში მიმდინარე პროცესი მოცემული მიდგომით ხდებაplan-do-cheack-act. იგი შეიძლება გავრცელდეს ყველა პროცესზე. ეს მიდგომა კი მდგომარეობს შემდეგში.

3.4. დამტკიცებული სტრუქტურა

კონსულტირების დასასრულისთვის, დაიხაზა და დამტკიცდა ორგანიზაციული სტრუქტურა, ბოლო გადაწყვეტილების მიხედვით აღმასრულებლების მიერ შექმნილი ბორდი გაუქმდა.

როგორც აღვნიშნეთ კონსულტაციის პროცესის დასასრულისთვის სტრუქტურის შექმნა იყო. რატომ დასასრულისთვის? ეს მიზანმიმართულად მოხდა, ვინაიდან პროცესები ღირებულებათა ჯაჭვის მიხედვით წარიმართა, უკვე ნათელი იყო, პასუხისმგებლობები და კონტროლის მექანიზმები. შესაბამისად სუბორდინაცია თანამშრემლებსა და მენეჯმენტის რგოლს შორის თავისთავად გამოიკვეთა. სტრუქტურის მონახაზი 2 ჯერ შეიცვალა, მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებები შევიდა.

კნსულტანტისთვის ორგანიზაციის სტრუქტურის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი შეკითხვების დასმა:

1. ორგანიზაციული სტრუქტურა ფორმალურია თუ არაფორმალური
2. მმართველობითი დონეები განსაზღვრულია თუ არა
3. სტრუქტურა შესაბამისობაშია თუ არა პროცესებთან და ორგანიზაციის მიზნებთან

3.5. დასკნა და რეკომენდაციები შედგომი კვლევისთვის

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ კონსულტაციის პერიოდნმა წარმატებით ჩიარა, გათვალიწინებული, ორგანიზაციაში დაინერგა ცვლილებები, თუმცა არსებობს საკითხები, რომლის ეტაპობრივად განახლება უნდა მოხდეს.

პროცესის დასასრულს გავწერეთ რეკომენდაციები, რომელიც ცვლილებების დარეგისტირების დღიდან, ხარისხის მართვის მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს:

- განაცხადოს შიდა აუდიტის წლის გეგმის შესახებ
- შეისწავლოს ტნამშრომელთა მამოტივირებელი ფაქტორები და მოტივაციის სისტემები მოარგოს ახალ პროცესებს
- უკუკავშირის მიცემის ფორმაზე უნდა იმუშოს მენეჯემნეტმა.

ხარისხის მენეჯერმა უნდა შეცვალოს თანამშრომელთა შეფასების სისტემა. ჩატაროს კვლევა მათი მოტივატორების შესახებ. შემდგომი ეტაპია სწორედ ახალი მოტივაციის მექანიზმების დანერგვა.

ლიტერატურა

Burke, W. (2017). *organization Change: Theory and Practice (Foundations Organizational Science series)* (5th ed.). Los Angeles: SAGE Publications.

Flamholtz, .. (1990). Toward a holistic model of organizational effectiveness and organizational development at different stages of growth. *Human resource development quarterly, 1*(2), 109-127.

Glasl, F., & Livegoed, B. (2004). *Dynamische Unternehmens-entwiklung.* Bern: Haupt.

https://www.iso.org/standard/62085.html. (2018, 01 31). ISO 9001:2015.

ISO: 9001, I. S. (2008, 01 31). 9001:2008.

Rummler, G., Ramias, A., & Rummler, R. (2010). *White Space revisited Creating Value through process.* San Francisco: Jossey-Bass.

Smith, R., King, D., Sidhu, R., Skelsey, D., & APMG. (2014). *The Effective Change Manager's Handbook: Essential Guidance to the Change Management Body of Knowledge.* Fremantle, Western Australia : Vivid Publishing.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამა
1 სემესტრის დოქტორანტი

ანნა კარდანახიშვილის
(სახელი, გვარი)

სადოქტორო სემინარი
ორგანიზაციული ცვლილებები მომსახურებით ორგანიზაციაში
(ქეისის განხილვა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფ. რევაზ ჯორბენაძე

თბილისი
2018

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია, ერთ-ერთი მომსახურებითი ორგანიზაციის ცვლილებების მაგალითზე განიხილოს ღირებულებათა ჯაჭვის ადაპტაციის პროცესი და კონსულტანტის მიერ შესრულებული სამუშაოს სპეციფიკა პრაქტიკიდან გამომდინარე. ნაშრომში აღწერილია ორგანიზაციაში კონსულტანტის მიერ შესრულებული სამთვიანი პერიოდი; სრულყოფილად შეჯამებულია პროცესის გადამოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზები, განხორციელებული ცვლილებები გაცემული რეკომენდაციები. ორგანიზაციამ შრომის გამოქვეყნების უფლება მოგვცა, თუმცა მისი იდენტიფიკაცია არ უნდა მომხდარიყო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ცვლილებების განხორციელების პროცესში ორგანიზაციაში დაგეგმილი იყო ISO აუდიტი, რომელმაც თავის გავლენა მოახდინა პროცესზე.

ორგანიზაციაში საკონსულტაციო სამუშაოების შედეგად შეიქმნა დოკუმენტები, გზამკვლევები, ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურა.

დიაგნოზის მეთოდად გამოყენებულია რამლერის ღირებულებათა ჯაჭვის პროცესის მოდელთან (Rummler, Ramias, & Rummler, 2010) ერთად კონსულტაციური სამუშაოს დასრულების შემდგომ ორგანიზაციამ გამოაცხადა 3 თვიანი გარდამავალი პერიოდი, ხოლო ცვლილებების ოფიციალურად დაწყების პერიოდად განისაზღვრა 1 თებერვალი. მიღებული და დამტკიცებული ახალი წესები შევიდა ძალაში, ხოლო თანამშრომლებს გარდამავალ პერიოდში მუდმივად და დოზირებულად მიეწოდებოდათ შენიშვნები საქმიანობის შესახებ, განემარტებოდათ რა იყო დავალება, რა შედეგს ელოდებოდა მენეჯმენტი. უკუკავშირისა და მუდმივი კონტროლის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცვლილებების პროცესი მტკივნეული არ ყოფილა ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის. ღირებულებების ჯაჭვის პროცესი განხორციელების ქმედებები რამდენად ძნელი დასანერგი იყო, თუმცა სხვა სახის ხარვეზებს საბოლოოდ მარტში (2018წ.) გეგმიური ხარისხის მენეჯმენტის შიდა აუდიტის დასკვნა გამოავლენს.

მოცემული ნაშრომი ორგანიზაციული პროცესისა და ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტით დაინტერესებული პირებისთვის დამხმარე მასალა იქნება.

სარჩევი

1. ლიტერატურის მიმოხილვა 4
1.1. ორგანიზაციის ტიპები 4
1.2. პროცესი 5
1.3. ორგანიზაცია, როგორც სისტემა 8
1.4. ISO 2009:2015 პროცესებისადმი მიდგომა 8
1.5. ღირებულებების ჯაჭვის შექმნის პროცესი 9
1.6. ცვლილებები ორგანიზაციაში 11
2. ქეისის განხილვა 13
2.1. მოთხოვნა 13
2.2. დაგეგმვა და გასათვალისწინებელი მოთხოვნები 15
2.3. შეთავაზება კონსულტანტის მხრიდან (ამონარიდი) 17
2.4. სტრატეგიაზე მუშაობა 19
2.5. ISO 9001:2015 აუდიტი 23
3.0 შედეგები 28
3.1. მენეჯერის მიღებეული გადაწყვეტილებები 28
3.2. ცვლილებებისთვის გარდამავალი ეტაპი 29
3.3 ცვლილებები 30
3.4. დამტკიცებული სტრუქტურა 33
3.5. დასკნა და რეკომენდაციები შედგომი კვლევისთვის 33
ლიტერატურა 35

1. ლიტერატურის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის განვითარების საფუძვლები და თეორიული ჩარჩო, რაც განმარტავს კონსულტანტის მიერ შესრულებული სამუშაოს თეორიულ საფუძვლს.

1.1. ორგანიზაციის ტიპები

ყოველ ორგანიზაციას ქმნის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ერთი მიზნის მიღწევისთვის ერთობლივად შრომობენ, რაც უფრო მაღალია მათ შორის კოორდინაცა, მით უფრო მაღალია მიღწევის, შესრულების მაჩვენებელი. იმის მიხედვით, თუ რა საქმიანობას ახორციელებს ორგანიზაცია, სხვადასხვა სახის სამუშაოს შესაბამისად ორგანიზაციის სწავლება 2 ძირითად მიმართულებად იყოფა: „საწარმოო ორგანიზაცია“ (მაგალითად, ქაღალდის ფაბრიკა) და „მომსახურების ორგანიზაცია“ (მაგალითად, სავაჭრო ცენტრი). მომსახურების ორგანიზაცია თავის მხრივ 2 ტიპად იყოფა: „ყოფაცხოვრებითი მომსახურება“ და „know-how მომსახურება“. რა თქმა უნდა, პრაქტიკაში ნაკლებად გვხვდება წმინდად რომელიმე ტიპს მიკუთვნებული ორგანიზაცია. ძირითადად ყველა ორგანიზაცია მოიცავს საკუთარ თავში თითოეული ტიპის რაღაც ნაწილს განსხვავებული პროპორციებით, მაგრამ დომინანტურია ერთი კონკრეტული ტიპის მახასიათებლები. მომსახურებით ორგანიზაციაში ადამიანების მართვა დგას წინა პლანზე და მიმართულია კლიენტებთან მაღალი ხარისხის პირადი კონტაქტის/ურთიერთობის უზრუნველყოფაზე შემდეგი საშუალებებით: ურთიერთპატივისმცემლური კლიმატის ჩამოყალიბება, როგორც საფუძველი კლიენტის მიმართ კეთილგანწყობისა („როგორც შიგნით, - ისე გარეთ“); თანამშრომლისთვის მუდმივად დარგობრივი და სოციალური მხარდაჭერა შედეგების მიღწევის პროცესში, რადგან ერთხელ დაშვებული შეცდომა, მაშინვე აფიქსირებს კლიენტი და მხოლოდ

განსაკუთრებული ძალისხმევის შემდეგაა გამოსწორება შესაძლებელი. საჭიროა საქმის დანაწილების საზღვრების მუდმივად გადახედვა, რათა მიღწეული იყოს პრინციპი: ერთი პასუხი კლიენტს („one face to the customer“) (Glasl & Livegoed, 2004);

პროცესების მართვა ნიშნავს: მომსახურებით ორგანიზაციაში აუცილებელია მუდმივი მუშაობა მომსახურების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე: გამარტივება, გამჭვირვალობა, ნამდვილი სიახლოვე კლიენტებთან მათი პირდაპირი შეფასებების გათვალისწინების საშუალებით (Glasl & Livegoed, 2004).

1.2. პროცესი

ორგანიზაციის განვითარების ფაზებში წარმოიქმნება კონცეფცია „პროგრესული ორგანიზაციისა“, რომელიც ცნობილა როგორც „სამყურას-პროცეს მენეჯმენტის“ სახელით. მენეჯმენტი პირამიდის წვერში კი არ არის, რომლის ამოცანაც მართვა და კონროლია, არამედ იწყება „გადაკვეთის“ პროცესი. მენეჯმენტი ყველა კომუნიკაციის და ინფორმაციის 4 პროცესის გათვალისწინებით ახდენს მიზნების შეჯერებას და ახალი საფუძველის ჩაყრას. „სამყურა-პროცესმენეჯმენტის“ პროცესს აქვს საინტერესო ფორმა „Input-Output-Modells”-ისა (Glasl & Livegoed, 2004).



ნახ. 1: ორგანიზაციული ეფექტურობის შეფასების მოდელი, ჰოლისტური შეხედულება ორგანიზაციაზე.

პროცესის დასაწყისსა და გამომავალ შედეგებს შორის მიმდინარეობს ღირებულებათა შექმნის პროცესი, რომელიც დროზე დამოკიდებილებით ურთიერთ გავლენის პროცესებს წარმართავს. (Glasl & Livegoed, 2004). პროცესში არ უნდა დაგვავიწყდეს უკუკავშირის როლი და როგორ ხდება პროცესის უწყვეტობა (ნახ.1), პროცესის დასაწყისში შექმნილ სტრატეგიას და ამის მიხედვით განხორციელებულ ცვლილებების შუა რგოლში იქმნება ღირებულებათა ჯაჭვი. კლიენტი კი ერთ მზა პროდუქტს იღებს, მისთვის ხელშესახებია პროდუქტი, რითაც საკუთარ წარმოდგენას იქმნის ორგანიზაციაზე (Flamholtz, 1990). აქვე აღსანიშნავია, რომ ISO 9001 სწორედ კლიენტის კმაყოფილების პერსპექტივიდან აანალიზებს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებს (ISO: 9001, 2008)

თანამშრომლებთან და პროცესის შესახებ მიზნების შეჯერების მთავარი ამოცანა ისაა, რომ გაზარდოს ფინანსური მოგება: 1. უნდა უპასუხოს სასურველ მოთხოვნილებას რაიმე საფასურის გადახდის შემდეგ; 2. მუდმივად დასვას კითხვა: რომელი პროდუქციის შექმნის პროცესია საჭირო? 3. რომელი შემავალი მონაცემია საჭირო, რომ პროცესმა კარგად იმუშაოს (Glasl & Livegoed, 2004) .

პროცესზე მუშაობისას მნიშვნელოვანია, რომ ყველამ, იცოდეს სამუშაოების არსის შესახებ და შემდგომ მენეჯმენტის მხრიდან სწორი ფორმით კონტროლი მოხდეს. ცნება "პროცესი" ორგანიზაციის განვითრებაში განისაზღვრება, როგორც არტიკულირება, თუ რა სამუშაო არის შესრულებული, შესაბამისად პროცესის მენეჯმენტის საკითხები არ კარგავს თავის აქტუალობას, ეს ზოგადად აღიარებული და მიღებული კონსულტაციის კონცეფციაა ორგანიზაციის გეშტალტში (Rummler, et. al, 2010, P.11). იმისათვის რომ ორგანიზაციაში მიღწეულ იქნას მაღალი შესრულება (high performance) საჭიროა სწორად ხდებოდეს

მენეჯმნეტი სამ სიბრტყეზე: ორგანიზაციულ, პროცესისა და სამუშაოს (organization, process, Job) დონეზე. ამ პროცესში ერთმანეთთან თანხვედრაში უნდა იყოს ორგანიზაციული მიზნები, სტრუქტურა და გეგმები ინდივიდუალების ყოველდღიურ შესრულებასთან (performed by individual performers). თავიდანვე მცდარია მოლოდინი ორგანიზაციაში ცვლილებების პროცესების მოსურნე კლიენტების მხრიდან და მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკონსულტაციო კომპანიასთან მუშაობის და აუცილებლად თანამშრომელთა გათავისუფლება მოჰყვება და კონსულტანტის დაქირავება ასოცირდება როგორც თანამშრომელთა შემცრებასთან (downsizing), სინამდვილეში კონსულტირების მიზანი ხარჯების ოპტიმალიზაცია კი არა, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის გზაა (Rummler, et. al. 2010, p.12).

პროცესი არის ღირებულებათა ჯაჭვისა და რესურსების განაწილება-შექმნის იტერაციული ქცევა. შექმნის სისტემა უფრო მეტია, ვიდრე სტურუქტურა და ეფექტიანი ქსელის ღირებულება- წარმოება პროცესები (Rummler, et.al, 2010, P.30).

მართვაში და ცვლილებების დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია დისციპლინირებული კონტროლის მექანიზმების გათვალისწინება, რასაც თავის მხრივ კონფლიქტები შეიძლება მოჰყვეს. ორგანიზაციაში კონფლიქტების მიზეზები განსხვავებულია, მას ღირებულებების შექმნისა და კულტურული ასპექტების შექმნის პერსპექტივიდან უნდა შევხედოთ. კონსულტანმა კიდევ ერთი ასპექტი უნდა გაითვალისწინოს, ორგანიზაციებში დამკვიდრებულია მიდგომა, თითქოს პირდაპირი კავშირი არსებობს რესურსის მენეჯმენტსა და ფინანსურ დაინტერესებულ მხარეებს შორის და ცვლილებების პროცესი ამის მიხედვით უნდა წარმართოს, ეს შესაძლებელია მოკლევადიან პერსპექტივაში დასაშვებია; მაგრამ გრძელვადიანი პერსპექტივით ღირებულებათა ჯაჭვში არსებული პრობლემების მოგვარება უფრო მნიშვნელოვანია და ორგანიზაციას შესრულების მაჩვენებელი გაუმჯობესდება (Rummler, et al., 2010,p.26)

1.3. ორგანიზაცია, როგორც სისტემა

ყველა ორგანიზაციას, არ აქვს მნიშვნელობა ეს საჯარო იქნება თუ კერძო სექტორი, შედგება ურთიერთდამოკიდებული ნაწილებისგან, რომელიც საკუთარ სისტემურ ლოგიკას ქმნიან. მაზე გავლენას ახდენენ გარემო ფაქტორები, როგორიცაა ბაზრის ცვლილება, კონკურენტების გაძლიერება; შესაბამისად თითორეული ნაწილის ცვლილებას ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება. მენეჯმენტი დგება გამოწვევების წინაშე, რომ მუდმივად აკონტროლოს რისკები. (Sparrer & Varga von Kibéd, 2010).

1.4. ISO 2009:2015 პროცესებისადმი მიდგომა

სტანდარტიზაციის სართაშორისო ორგანიზაციის ISO 9001 ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტი. სტანდატის ხელს უწყობს პროცესებისადმი მიდგომის დანერგვას ორგანიზაციაში, რაც გულისხმობს სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული აქტივობების განსაზღვრას და მართვას (https://www.iso.org/standard/62085.html, 2018).

მოცემული საერთაშორისო სტანდარტი ხელს უწყობს პროცესებისადმი მიდგომის შემოღებას, რათა მომხმარებლის მოთხოვნების შესრულებით გაზარდოს მისი კმაყოფილება. ურთიერთდაკავშირებული პროცესების, როგორც სისტემის გააზრება და მისი მართვა ხელს უწყობს ორგანიზაციის შედეგიანობასა და ეფექტურობას. ISO 9001 პროცესებისადმი მიდგომა მოიცავს პროცესების სისტემატურ განსაზღვრას, რათა მიღწეულ იქნას სასურველი შედეგები, ორგანიზაციის ხარისხის პოლიტიკასა და სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად (ISO: 9001, 2008).

იმისათვის რომ ორგანიზაციამ იმუშაოს ეფექტურად, უნდა განსაზღვროს და მართოს სხვადასხვა ურთიერთდაკავშრიებული აქტივობები.

ეს მიდგომა ასევე ცნობილია როგორც დაგეგმვა-კეთება-შემოწმება-ქცევა(plan-do-cheack-act). იგი შეიძლება გავრცელდეს ყველა პროცესზე. ეს მიდგომა კი მდგომარეობს შემდეგში.

დაგეგმარება (Plan) - გულისხმობს მიზნებისა და პროცესების განსაზღვრას.

კეთება (Do) - პროცესების დანერგვა

შემოწმება (Check) - პროცესების გაზომვა და მონიტორინგი

ქცევა (Act) - კონკრეტული მოქმედებების განხორციელება

ISO-ს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მთავარი ამოსავალი წერტილი მომხმარებლის კმაყოფილებაა, შესაბამისად ხარისხის მენეჯმენტის მიზანია ეფექტური სისტემის დანერგვით, რომელიც მოიცავს პროცესებისადმი მიდგომას, მიაღწიოს კლიენტის კმაყოფილებას (ISO 9001:2008).

პროცესების განსაზღვრა მიმართულებებით:

- პროცესების თანამიმდევრობის და ურთიერთქმედების დადგენა;
- პროცესების სამართავად და შედეგის მისაღწევად კრიტერიუმების და მეთოდების განსაზღვრა,
- პროცესებისგამართული მუშაობის მონიტორინგი;
- საჭირო რესურსით და ინფორმაციით უზრუნველყოფა,
- პროცესების მონიტორინგი, გაზომვა და ანალიზი;
- ზომების მიღება დასახული შედეგის მისაღწევად და გასაუმჯობესებლად;

1.5. ღირებულებების ჯაჭვის შექმნის პროცესი

ბიზნესი იწყება ღირებულებებების შექმნით. მისი მიზანია, რომ აწარმოოის ისეთი პროდუქცია, სწრაფად გადაამუშაოს ინფორმაცია და მომხმარებელს გადახდილი საფასურის გადახდის შემდგომ მიაწოდო სასურველი სერვისი/პროდუქცია. ყველა ბიზნესის საწყისი წერტილი არის შექმნას ღირებულება. იქნება თუ არა ეს წარმატებული, დამოკიდებულია ცოდნაზე თუ რამდენად კარგად აქვს მას:

- ღირებულება განმარტებული;
- წარსულიდან მომავლისკენ განხორციელებულ პროცესში როგორ განიცდის ევოლუციას;

- როგორ შეიძლება ღირებულება გაიზომოს და იმართოს (Rummler et. al., 2010).

ღირებულებები იქმნება სამუშაო პროცესში, რაც თავის მხრივ შეიძლება იყოს მექანიკური პროცესი (პროდუქტის წარმოება) ან შემოქმედებითი პროცესი (დოკუმენტის წერა). რა თქმა უნდა, ყველა ღირებულება თანაბარი ფასით არ განისაზღვრება და იგი გარემოსთან და ორგანიზაციის შიდა პროცესებთან მიმართებაში იცვლება.

ორგანიზაციული კულტურიდან გამომდინარე პროცესის განმავლობაში ღირებულებათა ჯაჭვში წყვეტები (disconects) და მისი გამთელების პროცესი სხვადასხვაგვარია. ორგანიზაციში რესურსები გარკვეული წესების მიხედვით ნაწილდება და საკუთარ დინამიკას იძენს. ჩვენ ამის დასადგენად ავირჩიეთ რამლერის მიერ შემუშავებული ღირებულებათა ჯაჭვის მოდელი, რომლითაც 2 სიბრტყეზე, პროცესების სუბ სისტემისა და პროცესების სისტემის საფუძველზე გამოვავლინეთ ორგანიზაციაში არსებული პრობლემები.

ღირებულებათა ჯაჭვის უწყვეტობა არის ორგანიზაციის ქვაკუთხედი. ბიზნესი ისეთივე წარმატებულია, როგორც ეს პროცესი მიმდინარეობს (Rummler, et.al, 2010, P. 28).

ღირებულებათა ჯაჭვი ძირითადად 4 ძირითად საკითხად იყოფა: შექმნა, გაყიდვა, მიწოდება და მომხმარებელი, დიაგნოსტირების შიდა პროცესის დროს ძირითადად 3 ასპექტზეა აქცენტი.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად რამლერის ღირებულებათა ჯაჭვი იერარქიულად 5 ნაწილისგან შედგება. მივიჩნიეთ რომ ისეთი პატარა ორგანიზაციისთვის (18 თანამშრომელი) დიაგნოსტირებისთვის მე-3 და მე-4 დონე დიაგნოზის დასმის საშუალებას მოგვცემდა. შესაბამისად შევქმენით ორგანიზაციის საწყისი მდგომარეობის ნათელი სურათი.

საფეხური 3 (level 3 Processing Sub - Systems)

სამუშაო პროცესი შედგება 3 ძირითადი ნაწილისგან: გაშვება, გაყიდვა და მიწოდება თითოეული ქვე-სისტემა, თავის მხრივ მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი შესასრულებელი

წინაპირობაა. თითოეული „ჯაჭვის რგოლი“ შედგება მნიშვნელოვანი ღრებულებითი საფეხურისგან, რომლის შესრულებაც კავშირშია მომდევნო საფეხურთან, ერთობლივად კი პასუხისმგებლები არიან კლიენტის წინაშე.

მესამე საფეხურზე მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში შემდეგ ღირებულებებს დავაკვირდეთ: რა პროდუქტები და სერვისები არსებობს, პროდუქტები და სერვისების მენეჯმენტი როგორ ხდება.

გაყიდვის მონაკვეთში: მოთხოვნა შემოდის, შეკვეთა მიიღება, კლიენტთან ურთიერთობა როგორ იმართება. მიწოდების ნაწილში ანალიზი ხდება სამუშაო შესრულებულია, შეკვეთა მიწოდებულია, პროდუქტის მიღების პროცესი დაცული და შესაბამისი მომსახურება გაწეულია, სამსახურის დიზაინი.

საფეხური 4 (level 4 Process)

მე-4 სიბრტყეზე აღიწერება და სიზუსტით ჩაიშლება სამუშაოს დიზაინის პროცესები. მოცემულ პროცესს აქვს 4 ნაბიჯი: შეკვეთა, კონტრაქტი ხელმოწერილია, დაგეგმილია, სამუშაოს შესასრულებელი სპეციალური პაკეტი შექმნილია, დიზაინი გადახედილია. თითოეული ნაბიჯი ნებისმიერი ბიზნესისთვის უნიკალურია და დამოკიდებულია კლიენტებსა და პროდუქტზეც. (Rummler et. al., 2010, P.34).

1.6. ცვლილებები ორგანიზაციაში

დღევანდელი სწრაფად განვითარებადი ბიზნესგარემოს პირობებში, ცვლილებები ორგანიზაციაში გარდაუვალი მოვლენაა (Burke, 2017). ხდება ისე, რომ ორგანიზაციაში ცვლილების უმრავლესობა დაუგეგმავია, თუმცა დიდი ძვრებისთვის ორგანზაცია წინასწარ უნდა მოემზადოს.

ტექნოლოგიების ცვლილების ფონზე, თანამედროვე ორგანიზაციებში დინამიკა უფრო დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, ვიდრე შიდა ფაქტორებზე. ორგანიზაციები, რომლებიც სწრაფად ახერხებენ გარემოსთვის ფეხის აწყობას, ქმნიან კონკურენტულ უპირატესობას, მაშინ როდესაც, ორგანიზაციები, რომლებიც დინამიკას ჩამორჩებიან, განვითარებასა და ზრდას ვერ ახერხებენ (Smith, King, Sidhu, Skelsey, & APMG, 2014).

2. ქეისის განხილვა

ამ თავში განვიხილავთ კომუნიკაცია ორგანიზაციასთან, როგორ გამოიყურებოდა მოთხოვნა და როგორ დაიგეგმა ცვლილებების გარდამავალი პერიოდი - 3 თვე. რა კონკრეტული ღონისძიებები და დაგეგმარების პროცესი გაიარა კონსულტანტის მიერ ჩატარებულმა სამუშოებმა.

2.1. მოთხოვნა

მოცემული მომსახურებითი ორგანიზაცია ბაზარზე 2014 წლიდან არებობს. კომპანია 2015 წლიდან ISO 9001:2008 სერტიფიკატის მფლობელია. იგი საერთაშორისო კომპანიებისგან ფლობს ლიცენზიას და მათი მხარდაჭერით ემსახურება საქართველოს ბაზარზე არსებულ კომპანიებს. ასევე გაყიდვების მიმართულება აქვს აზერბაიჯანში, სომხეთსა და აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში (ეს შედარებით ახალი მიმართულებაა).

ორგანიზაციაში დაარსებიდან დღმდე არაერთხელ სცადეს ცვლილებების განხორციელება, რათა შესრულების მაჩვენებელი გაზრდილიყო, თუმცა საბოლოო შედეგით კმაყოფილები არასოდეს იყვნენ. პირველივე შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ფრაზა იყო "ჩვენ გვინდა დალაგებული პროცესები" რომელიც შემგდომში განმარტეს- როგორც გამჭვირვალე, კონტროლირებული და სტანდარტიზების საჭიროება, რომეც თავის მხრივ ორგანიზციაში ავტომატიზების პროცესებსაც გულისხმობდა.

პირველ შეხვედრაზე რამდენიმე საკითხი ნათლად ჰქოდნა ჩამოყალიბებული წარმომადგენელს:

1. უნდა განხორციელებულიყო ყველა დონეზე ცვლილებები, ოფიციალურად უნდა დარეგისტრირებულიყო ცვლილებების პროცესი,
2. იცვლებოდა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.
3. მას ჩამოყალიბებული უნდა ჰქონოდა რა მიმართულებით უნდა განეხორციელებინა ცვლილებები.

4. დოკუმენტებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ISO 9001:2015 წლის სტანდარტის მიდგომა და რისკების მენეჯმენტი.

5. განახლებულიყო თანამშრომელთა შეფასების სისტემები, რომლის შექმნაც მანამდე არაერთგზის სცადეს, თუმცა არ დანერგილა (ამ კონტექსტში იქნა ხსენებული კულტურის ცვლილებაც).

6. აცხადებნენ მზაობას, ყველა საკითხე ემსჯელათ და მათთვის დრო დაეთმოთ.

კითხვაზე - თუ რით არ იყვნენ კმაყოფილები ამ დრომდე განხორციელებული ცვლილებებით, დასახელებული იყო შემდეგი ფაქტები:

- შეხვედრები იმართებოდა ხშირად, მაგრამ არაფრის დანერგვა არ ხდებოდა;
- სამუშაო ძალების ორგანიზებული და ეფექტური მუშაობა ხდებოდა მხოლოდ კრიზირების დროს;
- გათვალისწინებული არ იყო მაკორექტირებელი შეთავაზებები, ერთი და იგივე პრობლემა რამდენჯერმე მეორდებოდა და იშვიათად (ან არასოდეს) გამოსწორება;
- საჭირო სამუშაო ინფორმაციის დარეგისტრირება არ ხდებოდა ერთიან ბაზაში, რაც შემდგომ შედეგების ანალიზის შესაძლებლობას არ აძლევდა მენეჯმენტს.
- შესაძლებელი იყო ერთი და იგივე კლიენტისთვის სხვადასხვა პასუხი გაეცათ ერთი და იგივე პროდუქტზე, ვინაიდან ერთხელ შექმნილი ფორმულითა და შეთანხმებული წესით არ ხდებოდა ფასის დადგენა, დაფისირება.

დამატებითი საჭირო ინფორმაცია პირველი შეხვედრიდან:

მოცემულ ორგანიზაციაში პროცესები იმართებოდა გენერალური მმართველი ბორდისგან, რომელშიც შედიოდა: აღმასრულებელი დირექტორი, გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი. მათ არ ჰქონდათ შუალედური რგოლი. პირდაპირი, შეუფერხებელი კავშირი იყო აღმასრულებლებსა და მენეჯერებს შორის; რაც შეიძლება მიგვეჩნია მიზეზად - ორგანიაცია კრიზისების დროს ძალიან სწრაფად ახდენდა

მობილიზებას და კარგ შედეგსაც იღებდა. თუმცა ნაკლებად ხდებოდა შემდგომ მოცემული პროცესის ანალიზი, მომდევნო პროცესის უფრო სწრაფად მოდელირებისთვის.

2.2. დაგეგმვა და გასათვალისწინებელი მოთხოვნები

ჩვენი, როგორც კონსულტანტებისთვის მთავარი გამოწვევა იყო, ისე დაგვეწყო პროცესები, რომ წარდგენილ შეთავაზებაში ყველა პუნქტი ნათელი და გასაგები ყოფილიყო, თვალსაწიერიდან არ გავეშვა- რა გავლენა ექნებოდა მოცემულ ცვლილებას სხვა დანარჩენ პროცესებზე, მუდმივად დაგვესვა კითხვა - რა რისკები შეიძლება მოჰყოლოდა ნებისიერ ცვლილებას (რისკების ანალიზი დამატებითი ნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, ვინაიდან ISO განახლებული ვერსიის წინაპირობა სწორედ მათი პროცესში ჩაშენებაა).

2. არ გამოგვრჩენოდა და არ შექმნილიყო ძალიან მოუქნელი სისტემა, რომელიც ზედმეტად ჩარჩოებში მოაქცევდა თითოეულ პროცესს და სისტემის ადაპტაციას გაართულებდა (იხ. “გახევება” დიფერენციაციის ფასის კრიზისისას (Glasl & Livegoed, 2004)

მით უმეტეს, რომ ორგანიზაციაში პატარა გუნდი (18 ადამიანია) დასაქმებული და მათ პიროვნული ურთიერტობები აკავშირებთ, საქმის სესრულებისას კიდევ სხვა მამოტივირებელი ფაქტორები მოქმედებს.

3. გადაგვემოწმებინა ნებისმიერი ჰიპოთეზა, რათა მცდარი სურათი არ შეგვქმნოდა ორგანიზაციის არსებულ მდგომარეობაზე.

4. პროცესის დასაწყისი და დოკუმენტაცია ისე უნდა შედგენილიყო ეტაპობრივად, რომ ISO აუდიტს ორგანიზაციისთვის პოზიტიური დასკვნა დაეწერა.

5. საფრთხის კონტროლი- შექმნილი სახელმძღვანელოების შემდეგ შესაძლოა ყოფილიყო გაუგებრობა, რა მექანიზმები იქნებოდა ამისთვის ოპტიმალური?

6. ვინაიდან ცვლილებების ქცევის ახალ მოდელს ითხოვს (ყველაფერი ახალია და გამჯდარი არაა), რა მიდგომებით შეიძლება რეზისტენტობის წინააღმდეგ ბრძოლა.

7. ცვლილებების პროცესში ხარისხის მენეჯერს რა როლი ექნება, რას უნდა აკონტროლებდეს, როდის და როგორ მოახდენს პროცესისი გადამოწმებას,

8. რა სახის დოკუმენტაციის შექმნა სურთ? ნამდვილად, თუ ყველა „ზედმეტად დაკავებული“ იქნება პროცესისში ჩასართველად?

9. არის ორგანიზაციაში ფარული ლიდერი, რომელსაც პრობლემების შექმნა შეუძლია?

10. არის თანამშრომლებში ცვლილებისადმი საკმარისი მზაობა, თუ ისინი მუდმივად დაჯგუფებებს შექმნიან საკითხების უგულებელსაყოფად?

11. რა გავლენა ექნება ISO აუდიტს და მის რეკომენდაციებს ცვლილებების პროცესის გაგრძელებაზე?

12. საკითხი რომელიც ვერ გამოსწორდება და თავიდანვე ცნობიერია, ესაა რომელიმე კომპიუტერულ პროგრამაში ინვესტიციის ჩადება; კონსულტანტმა უნდა დასვას კითხვა - თუ რომელი პრინციპით შეიძლება წარმოებდეს ოპტიმალური სტრუქტურა და კომპიუტერული უზრუნველყოფა როგორ იქნება?

13. რომელი მიდგომით გავაგრძლებ კონსულტაციას?

14. როგორ მივიდეს კლიენტი თავად საუკეთსო არჩევანამდე; საკუთარი ცოდნით იპოვოს საუკეთესო გადაწყვეტა.

15. ღირებულებების ჯაჭვის სურათი შეგვექმნა, რათა უფრო ნათლად დაგვენახა როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესები. შემდგომ მოცემული კავშირების დასაზუსტებლად დაგვესვა კითხვები და მოგვესმინა გაუმჯობესების მათივე ვერსია. ჩვენ მხოლოდ ორგანიზაციის ქვედადონეზე მიმდინარე პროცესების გადასამოწმებლად რამლერის მეთოდის მიხედვით მე-3 და მე -4 სიბრტყის დეტალური აღწერა მოვახდინეთ.

16. რა სახის კონფლიქტები შეიძლება გამოიკვეთოს? ვინ იქნებიან მთავარი მხარეები და როგორ შეიძლება თავი ავარიდოთ? ამჟამად სახეზე გვაქვს კი კონფლიქტები? ღიაა თუ ფარული? ხდება მათი აღიარება?

2.3. შეთავაზება კონსულტანტის მხრიდან (ამონარიდი)

ქვემოთ მოცემულია ოფიციალური შეთავაზებიდან ნაწყვეტი, რომელი საკითხებიც მეორე შეხვედრაზე განხილულ იქნა, განმარტებები დაერთო და ამის შემდეგ გაგრძელდა უშუალოდ კონსულტაციის ძირითადი სამუშოები.

ამჟამად ორგანიზაციის მენეჯმენტი განიხილავს ორგანიზაციის დიზაინის გაუმჯობესებას - ანუ ქმედითი ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებას, რათა მომსახურების გაწევის პარალელურად, განავითარების პროცესი არ შეფერხდეს. აღსანიშნავია, რომ მმართველი რგოლი ხშირად აღნიშნავდა კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა გამოწვევებს, როგორიცაა:

- პასუხისმგებლობის გადანაწილების სისწორე,
- თანამშრომელთა დაქვემდებარების და ანგარიშვალდებულების შეუსრულებლობა არასაკმარისი კონტროლი
- თანამშრომელთა დაბალი მოტივაცია,
- საქმიანობის სხვადასხვა საოპერაციო პროცესების გამართულობა და ა.შ.

კომპანიასთან შეხვედრიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოხდა მიღებული ინფორმაციის გააზრება და განვითარდა ქვემოთ მოყვანილი ჰიპოთეტური საკითხები, რომლის შესწავლაც შემდგომ პროცესში უნდა მომხდარიყო:

1. რამდენად ეფექტიანადაა განაწილებული ფუნქციები სტრუქტურულ რგოლებს შორის;

2. რამდენად ეფექტური და ეფექტიანია პროდუქტებისა და სერვისების შექმნის გაყიდვისა და მიწოდების პროცესები;

3. რამდენად ეფექტურია და ეფექტიანი თანამშრომლების საქმიანობის გარემო, მათ შორის რამდენად სწორადაა განაწილებული მოვალეობები და დავალებები შემსრულებელებს შორის;

4. როგორი შეიძლება იყოს დავალებების მართვის ეფექტიანი მექანიზმი, რომლის

დანერგვაც სამუშაო პროცესის სრულფასოვან დინამიკას შექმნის;

5. რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული თანამშრომლების დავალებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები;

6. რამდენად მისაწვდომია თანამშრომლებისათვის მათი მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო რესურსები (მათ შორის, ინფორმაცია);

7. რამდენად შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ორგანიზაციის საჭიროებებს.

...და ყველა ზემოთ ნახსენები ეჭვი თუ მოსაზრება, რომლეზე მოკლე პასუხები კი/არა ან პირიქით, ვრცელი პასუხი იქნა გაცემული.

საწყის ეტაპზე ყურადღების ცენტრიდან არ უნდა გამოგვჩენოდა :

ა) ორგანიზაციული ეფექტურობის საკითხი

ბ) სტატისტუკურად პროცესის კონტროლი

გ) სტრატეგიის განვითარებისადმი მზაობა

პროცესში გამოიკვეთა მიმართულება, რომ მუშაობის შემდგომი ეტაპისთვის ერთმანეთისგან უნდა გამიჯნულიყო ოპერაციული სისიტემა და მეტი გამჭვირვალობა შესულიყო კონტროლის მექანიზმების შექმნაში.

გადაწყვეტილება, რომელიც **მეორე შეხვედრაზე** მივიღეთ იყო ის, რომ:

ვინაიდან ორგანიზაციაში მმართველი პირი იცვლებოდა, მას უნდა ჰქონოდა ნათელი ხედვა და სტრატეგია, მომავალი ცვლილებების შესახებ. ამიტომ ჰოლისტური მოდელის იხ. ზევით (ნახ. 1)

გადაწყდა, რომ პირველ ეტაპზე მოკლევადიანი სტრატეგიის დოკუმენტი შექმნილიყო. ISO სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. თუმცა ეს არ მოიცავდა უკე არსებული

სტრატეგიის უგულებელყოფას, არამედ ერთობლივად უნდა დაგვემუშვებინა გრძელვადიანი სტრატეგია, გვეპოვა ხარვეზები და ახალი გადაჭრის გზები გამოკვეთილიყო. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის მნიშვნელობა ორგანზიაციაში იცოდნენ და მას მმართველი რგოლი ერთობლივი დიალოგის შედეგად ქმნიდა, თუმცა მისი პუნქტები სრულდებოდა თუ არა, არასოდეს შემოწმებულა. მომავალმა მმართველმა (შემდგომში/ამჟამად უკვე მმართველი დირექტორი) დასაშვებად მიიჩნია, მოკლე პერიოდზე გათვლილ სტრატეგიის შექმნა, რომელიც ნათელ, მიღწევად მიზნებს დასახავდა და პროცესის გადამოწმების შესაძლებლობას შეუქმნიდა.

კონსულტაციის შედეგად გამომავალი დოკუმენტები იყო:

- შეთავაზება;
- ორგანიზაციის 1 წლიანი სტრატეგია;
- ორგანიზაციის „არის“ მდგომარეობის შეფასება;
- გაუმჯობესების რეკომენდაციები;
- პროცესების სახელმძღვანელო;

გარდამავალი პერიოდის დაკვირვება და საკონსულტაციო საუბრები,

- რეკომენდაციები (ხარისხის სახელმძღვანელოსთვის, სამუშაო აღწერილობებისთვის, შიდა განაწესისთვის, შეფასების ახალი სისიტემებისთვის).

2.4. სტრატეგიაზე მუშაობა

მოცემული დოკუმენტი შედგენილია ორგანიზაციის კონსულტაციის პროცესის შედეგად და წარმოადგენს მომდევნო წლის (2018) სამოქმედო გეგმას. ქვემოთ მოცემულია მხოლოდ მცირე ამონარიდი ორგანიზაციაში შექმნილი დოკუმეტიდან. რა თქმა უნდა, ისე, რომ ამ

ორგანზიაციის იდენტიფიცირება არ მოხდეს. სტრატეგიის ნაწილს წარმოვადგენთ რათა ნათელი გახდეს, რა პრინციპით მუშობს კონსულტანტი ორგანზიციაში.

"…მოცემული მოსაზრებები არ არის ცალკე მდგომი დოკუმენტი. ის გამოხატავს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სტრატეგიულ მიდგომას ზოგადად ორგანიზაციის განვითარებისა და მართვის მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ამოცანაა ამ მიდგომის ინსტიტუციონალიზაცია; ანუ ასახვა როგორც ორგანიზაციის მოწყობაში, ისე ბიზნესს პროცესებში.

შენიშვნა:

სტრატეგიას თანდართული აქვს 100 დღიანი სამუშაო გეგმა. დოკუმენტი შექმნილია რათა მენეჯმენტის რგოლს გაუადვილდეს სამუშაო პროცესების დაგეგმარების, შესრულების, გადამოწმებისა და შედეგების უკეთ შეფასებისთვის.

"...მოცემული დოკუმენტის მიზანი: განისაზღვროს საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს მენეჯმენტის სისტემის უნარზე, დააკმაყოფილოს მომხმარებლის, საკანონმდებლო და სამართლებრივი მოთხოვნები და შედეგად გაიზარდოს ეფექტურობა, მოცემული საკითხები კი თანხვედრაში უნდა იყოს ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნებთან.

შენიშვნა:

აქვე დავძენთ, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას აქვს 2008 წლის მოდიფიკაცია, მან მიზნად დაისახა გაუმჯობესებული ვერსიის მიღება. ამიტომ ნებისმიერ ახალ ცვლილებაში, ღირებულებათა ჯაჭვში მოცემული სტანდარტის მოთხოვნები უნდა ასახულიყო). სტრატეგია არ შექმნილა მხოლოდ მომავალ მმართველთან კონსუტაციებით,ქოუჩინგით, არამედ საწყის ეტაპზე მანვე გამოთქვა მოსაზრება, შესაძლებელი იყო დასჭირვებოდა. ჩვენ მოცემული მიდგომით პროცესის დაწყება შევთავაზეთ.

მმართველი დირექტორის ნებართვით და სურვილით, პროცესი თანამშრომლებთან მაქსიმალური ჩართულობით გაგრძელდა. დასაქმებულების კვლევისთვის გამოყენებულ

იქნა სვოტ (SWOT) ანალიზი. მასში ასახულია მომსახურებითი ორგანიზაციის თანამშრომლებისა და ხელმძღვანელების, ასევე, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები, თუ როგორ ხედავს სხვადასხვა მხარე მას, როგორც წარმატებულ კომპანიას.

"…შემავალი მონაცემები:

- პესტ (PEST) ანალიზი
- სვოტი (SWOT) ანალიზი
- დაინტერესებულ მხარეთა (Stakeholder) ანალიზი
- კონსულტაციები მენეჯმენტთან და თანამშრომლებთან
- მიმდინარე სტრატეგიული დოკუმნეტის (2017 წ 31 დეკემბრამდე) ანუ „ძველის" შეფასება

მოცემული მეთოდები სვოტი და პესტი გამოვიყენეთ, რათა უფრო ზუსტად შეგვეფასებინა ორგანიზაციული და გარემო ფაქტორები, მასთან კავშირში ორგანიზაციის შესაძლებლობები. პესტ-ანალიზის (PEST) საფუძველზე შეფასებულია სამართლებრივი და გარემო პირობები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ორგანიზაციის უნარზე (რისკების მენეჯემნეტი)".

ამჟამინდელი „არის" მდგომარეობის ანალიზი გაკეთდა თანამშრომლების გამოკითხვისა და მენეჯმენტთან შეხვედრების შედეგად (პირველადი სურათი). ასევე გაანალიზდა მიმდინარე პროექტები და შესრულების შედეგად დაშვებული შეცდომები. ანალიზისთვის ასევე გამოყენებულ იქნა ხარისხის მენეჯერის ანგარიშები.

სტრატეგიული გეგმის მომსამზადებლად მნიშვნელოვანი იყო პასუხი გაცემულიყო შემდეგი კითხვებისთვის.

ქვემოთ მოცემულია კვლევიდან ამონარიდი:

1. როგორ/რა გზით შეგიძლია გამოიყენო შენი სიძლიერე შენი ყველაზე დიდი შესაძლებლობების მისაღწევად?

“ორგანიზაციაში პრობლემების დროს ყველას შეუძლია მობილიზება და ნებისმიერი სირთულის პროლემის გადაჭრა, შესაბამისად ცოდნა არსებობს, უფრო მეტი ყურადღების შემთხვევაში კი სისუსტე დაიძლევა. ხშირი შეხვედრები და საკითხების განხილვა, ერთიანი ბაზის არსებობა, უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდის მიმდინარე პროცესებს” (ციტატა თანამშრომელთა გამოკითხვიდან, აგვისტო, 2017).

2. რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ გადალახოთ შენი სუსტი მხარეები, რომ უკეთესად შეძლო შენი შესაძლებლობებით სარგებლობა?

“საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა, ყურადღება და მობილიზება. შესაბამისად საჭიროა უფრო მეტი, მკაცრი კონტროლი” (ციტატა თანამშრომელთა გამოკითხვიდან, აგვისტო, 2017).

3. როგორ შეგიძლია გამოიყენო შენი სიძლიერე იმისათვის, რომ გადალახო შენი ყველაზე დიდი საშიშროება?

“იმისათვის რომ კომპანიამ საკუთარ ძლიერი მხარეები ზუსტად გამოიყენოს, მნიშვნელოვანია, რომ კონტრაქტის გაფორმების დროს დოლარის კურსის ცვლილებაზე აღნიშნულ იქნას მანამდე, თუ ეს გავლენას მოახდენს პროდუქციის მიწოდება- ფასზე. რაც შეეხება შიდა ორგანიზაციულ კომუნიაკაციასა და მობილიზებას, ეს მენეჯმენტმა უნდა აკონტროლოს და რეპორტების წერილობითი ფორმა შემოიღოს” (ციტატა თანამშრომელთა გამოკითხვიდან, აგვისტო, 2017).

ორგანიზაციის მომდევნო წლის მიზნებია: (SMART Goals)

1. პროცესების ავტომატიზება, ოპტიმიზაცია 2017 წლის დეკემბრის ბოლომდე

2. გაყიდვების გაზრდა, ორგანიზაციის ცნობადობის გაზრდის გზით 2018 წლის დეკემბრამდე

3. ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება 2018 წლის დეკემბრამდე;

4. სწავლის მენეჯმენტის სისტემის შექმნა 2018 წლის დეკემბრამდე;

5. თანამშრომლების მოტივაციის სისტემის დანერგვა.

ჩვენ მცირედი ცვლილება შევიტანეთ არსებული, ზემოთ ნახსენებ მეთოდებში. „ძველი სტრატეგიის“ (ასე მოიხსენიებდნენ) შეფასების მეთოდოლოგიაშიც და არსებული პუნქტები შევაფასეთ ორი კრიტერიუმით “არის” და “უნდა იყოს”. შესაფასებლად ლიკერტის სკალა 1 დან 5 მდე უნდა გამოეყენებინათ, სადაც 1= უმნიშვნელოა, 5= ძალიან მნიშვნელოვანი. ამ შეფასების სისტემით უფრო ნათელი გახდა განსხვავება რა იყო კარგად სესრულებული ან არ სრულდებოდა, რა იყო უმნიშვნელო და რაზე იხარჯებოდა დრო.

2.5. ISO 9001:2015 აუდიტი

სექტემბრის დასაწყისში, მაშინ, როდესაც ორგანიზაციაში სტრატეგიის დოკუმენტის საბოლოო ვერსია შეიქმნა და კვლევაში თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, ISO 9001:2008 დანიშნული გეგმიური აუდიტი დაიწყო. შესაბამისად შესაძლებლობა გვქონდა, მოგვესმინა მისი შეფასებები ორგანიაციის ახალ მოსალოდნელ ცვლილებებზე და სტანდარტის ჩრჩოებზე. ეს კარგი გზა იყო კიდევ ერთხელ იმისთვის, რომ გაგვერკვია მიგვყავდა თუ არა სწორი გზით კონსულტაცია და რისკების მენეჯემენტის მოთხოვნების გათვალისწინება ხდებოდა მოთხოვნის შესაბამისად.

საზღვარგარეთიდან მოწვეულმა აუდიტორებმა შეამოწმეს ორგანიზაციაში არსებული ყველა განყოფილება, გამოიკითხეს თანამშრომლები, გაეცნენ 1 წლიან სტრატეგიას (ახალ ვერსიას) და რამდენიმე დღის შემდეგ რეკომენდაციები გამოაგზავნეს.

აუტიტორთა მიდგომა განხვავდებოდა კონსულტანტური მიდგომისგან, ვინაიდან ISO სტანდარტის ფოკუსი კლიენტების კმაყოფილებიდან გამომდინარეობს, ყველა კითხვა დაახლოებით ასე იყო ფორმულირებული: როგორია კომუნიკაცია კლიენტთან და მის კმაყოფილებას როგორ ზომავთ, რას აკეთებთ იმისთვის, რომ კლიენტს საჭირო და ხარისხიანი პროდუქტი მიაწოდოთ და ა.შ.

ISO აუდიტორებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ცვლილებებსი პროცესის დაანონსება და უკვე შექმნილი სტრატეგია; მათ მზა დოკუმენტი შეისწავლეს და ამ მიმარტულებითაც გასცეს გაუმჯობესების (ISO 9001:2015 თანხვედრისთვის) რეკომენდაციები, მაგ.: ხარისხის მენეჯერმა მოცემული პუნქტების მიხედვით უნდა შეიმუშაოს დამატებითი კრიტერიუმი, რათა პერიოდულობით შეამოწმოს სრულდება თუ არა, ან რა ქულით სრულდება სტრატეგიაში მითითებული მიზნები. შეიქმნას უფრო ძლიერი მარკეტინგის განყოფილებამ მოცემული სტრატეგიის შესაბამისად უნდა შექმნას დეტალური სტრატეგია, ანუ რა მიდგომები ექნება კლიენტებთან უერთიერთობისთვის. სტრატეგიაში ჩაიდოს თანამშრომელთა მოტივაციის სისტემები.

პოზიტიური იყო ის საკითხი, რომ მოცემული ნამუშევრით არ დასმულა კითხვა ISO 9001:2008 გაგრძელების შესახებ, მოცემული რეკომენდაციები ეხებოდა ახალი მოდიფიკაციის მიღებას, და აღნიშნეს რომ დაწყებული და იმ პერიოდისთვის უკვე შესრულებული სამუშაოების ტენდენცია ავის მხრივ უკვე აკმაყოფილებდა 2015 წლის სასერტიფიკატო მოხოვნებს. გეგმიური აუდიტი დაინიშნა 2018 წლის ივლისში, ახალი ვერსიის მიღების მიზნით.

2.6 ღირეულებათა ჯაჭვის შედგენა

მოცემული საფეხურის მიზანი იყო მენეჯერთან ერთად ნათელი სურათი შექმნილიყო პროცესების შესახებ და მასთან ერთად აღწერილიყო ორგანიზაციის „არის“ მდგომარეობა. ერთობლივად აღმოჩნილიყო ნებისმიერ წყვეტა (disconnect) და პროცესში თავადვე გამოეთქვა მოსაზრებები რა სავარაუდო გადაჭრის გზები არსებობს.

კონსულტანტს არ სჭირდება მეთოდის ახსნა და მისი ლოგიკა ბოლომდე გააგებინოს კლიენტს. დაახლოებით ასეთი ფორმულირებაც საკმარისია: თუ წინააღმდეგი არ ხარ, ერთად აღვწეროთ ორგანიზაციაში პროცესები, თუ პრობლემა გამოვლინდა, ვიმსჯელოთ რა

სახის გადაცდომებია და მივიღებთ საბოოლოოდ ორგანიზაციის რუკას. წითელი ნაწილების გამოსწორებას როგორ ხედავთ? თქვენ თქვენი ორგანიზაციის ექსპერტი ხართ, რას მიაწერთ არსებულ პრობლემებს?

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მოცემულ კონსულტაციურ სამუშაოებში რამლერის თეორიული ჩარჩო გამოვიყენეთ და დიაგნოზის მეთოდად ღირებულების ჯაჭვის იერარქიიდან პროცესის სუბსისტემა (level 3) და პროცესის (level 4) აღწერა მოვახდინეთ. მე-5 სიბრტყისთვის აუცილებელი სამუსოები დავალებების ფუნქციები და სამუშაო ღწერილობები ხარისხის მენეჯერთან მუშაობის შედეგად შექმნა. თუმცა ამისთვის ღირებულებათა ჯაჭვის დიაგნოზის მეთოდი აღარ იყო საერთო სურათის შემცვლელი. წითლად აღნიშნულია (ნახ. 2) ღირებულების ის ჯაჭვი, სადაც გამოკვეთილია პრობლემური არეები.



ნახ. 2: ღირებულებათა ჯაჭვი, „არის“ მდგომარეობის ანალიზი

1. ორგანიზაციას ნათლად განსაზღვრული პროდუქტები აქვს და ყველასთვის გასაგებია რა უნდა იყოს კლიენტისთვის მიწოდებული

2. გამოკვეთილი საკითხები ძირითადად გაყიდვის გრაფაშია. N1 ღირებულება კლიენტთან ურთიერთობა მოიცავს კავშირს (online, პირდაპირი, ტენდერში მონაწილეობით). მიუხედავად იმის, რომ ფორმულა არსებობს როგორ დადგინდეს ფასი, არის შემთხვევები, რომ სხვადასხვა ფასს სთავაზობს სხვადასხვა გამყიდველები ერთსა და იმავე კლიენტს დროის ერთ მონაკვეთში.

3. რა სტრატეგიით ხდება კლიენტთან კომუნიკაცია? რა სიხშირით ეკონტაქტებით? გაყიდვების გუნდი არსებულ კლიენტებს როგორ აღწერს და შემდგომ „ზრუნავს“ და რა მიდგომებია ჩამოყალიებებული ახალი კლიენტების მოსაპოვებლად?

4. N-2. ღირებულება - კლიენტის აღრიცხვა, როგორ ვახდენ კლიენტის ბაზის განახლებას? მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციაში შექმნილია ე.წ. ბაზის შესავსები ფორმულარი და მისი არსებობის შესახებ ყველასთვის ცნობილია, საერთოდ არავის გახსენებია მისი შევსება/ ან დავალების მიუხედავად მაინც არ ავსებდნენ.

5. N-3 ურთიერთობის მენეჯმენტი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ფასდაკლებების პროგრამას, ფასების ფორმირებას, დავების მართვას, არ ხდება კლიენტთა პრეტენზიებისა და პროცესში არსებული ხარვეზების სისტემატიზება, ამას ემატება ისიც, რომ არაა კლიენტები კატეგიორიებად დაყოფილი, ყველას ერთი ფასით ემსახურებიან, თუ არსებობს მუდმივი კლიენტებისტვის ურთიერთობის სტრატეგია? ამას თავის მხრივ კავშირები უნდა ჰქონდეს ღირებულებების ჯაჭვის პირველ საფეხურთან (შექმნა) მაგ.: სწავლის მენეჯმენტი (ტრენინგები) ჩტარებულა ტრენინგები? რა სახის და ეფექტური იყო?

6. N4 აღრიცხვა მოიცავს, კონტრაქტს, ინვოისებს, კონტრაქტის გადახედვის და შესწორებების შესაძლებლობებს, ეს მხარე გამართულად ფუნქციონირებს და კონტროლდება.

7. ღირებულებების ჯაჭვის მომდევნო საფეხური - მიწოდება, სადაც 2 მიმათულება გამოიყოფა, ესაა დიდი პროექტების შემთხვევაში ტექნიკის მონტაჟი, და მცირე მიწოდების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტით დამთავრებული გაყიდვა. პრობლემები დიდი პროექტების დროს მაინც ხდება, დაგეგმვის მიუხედავად, შესრულების პროცესში ფაქტის წინაშე დგება კომპანია, რაღაც დეტალები სწორად არ იყო საწყის ეტაპზე გათვლილი და გათვალისწინებული, რაც მიმდინაროების პროცესში დროში აფერხებს მის დასრულებას და ორგანიზაციის იმიჯის შელახვის საფრთხეს შეიცავს.

3.0 შედეგები

როგორც ზემოთ არსებულ დიაგნოზის მეთოდში აღვნიშნეთ, „არის“ მდგომარეობის სურათის ანალიზი მოხდა პირველ ეტაპზე და მეორე ეტაპი მისი გამოსწორების გეგმის შედგენა იყო.

3.1. მენეჯერის მიღებეული გადაწყვეტილებები

მოცემულ პროცესში უნდა აღვნიშოთ, რომ გამოსავალი და პრობლემის გადაჭრის გზა თავად მომავალმა მმართველმა დირექტორმა მიიღო. ჩვენ მხოლოდ გადასამოწმებლად კითხვებს ვუსვამდით:

- იყო თუ არა შედეგში დარწმუნებული
- რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამას?
- რა საფრთხეები შეიძლება მოჰყოლოდა,
- როგორ გააცნობდა ამას თანამშრომლებს და ა.შ.

ღირებულებათა ჯაჭვის ერთობლივმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ პრობლემები გაყიდვების გუნდში არსებობდა და იქ ურთიერთობის, გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმარება-კონტოლის მენქანიზმები სრულად უნდა შეცვლილიყო. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გაყიდვების გუნდის მხარდაჭერისა და კონტროლისთვის შეექმნა სტრუქტურულად ახალი გუნდი, რომელიც დოკუმენტაციის სისტემაში მოყვანასა და პროცესში მიმდინარე პრობლემებს დააფიქსირებდა. ეს იქნებოდა ორგანო, სადაც ინფორმაცია სრულად მოიყრიდა თავს. შესაბამისად გამომავალი დოკუმენტაცია ხარვეზების უფრო დეტალურ აღწერის საშუალებას მისცემდა. მოცემული მოსაზრების გადასამოწმებლად კონსულტანტს მხოლოდ ორი მიმართულებით კითხვა არ უნდა გამორჩენოდა:

1 რისკების კონტროლი, სტრუქტურლ ცვლილებებს შეიძლებოდა თუ არა, რომ მოჰყოლოდა რამე სახის დაბრკოლება ;

2. შესაძლებელია თუ არა, რომ ცვლილებები კონფლიქტების საფუძველი ყოფილიყო

3. როგორ გააცნობდა მენეჯერი ამ ცვლილებებს თანამშრომლებს. ეს უკანასკნელი კონსულტანტის მიდგომისთვის ნეიტრალურობის შენარჩუნების ინსტრუმენტად ითვლებოდა. ვინაიდან ორგანიზაციაში, ცვლილებების მიმართ მოლოდინი არსებობდა კითხვებს სვამდნენ / დასვამდნენ. ამ ცვლილებების შესახებ საუბრის უფლება კი მას არ ჰქოდნა. ამიტომ ნებისმიერ ნაბიჯზე პროცესზე პასუხისმგებელ პირს უნდა ეთქვა, რა ფორმით, რა დოზით და ვის მიაწვდიდა ინფორმაციას ცვლილებების შესახებ.

მანვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ISO აუდიტის რეკომენდაციების შემდეგ გამოცხადებულიყო გარდამავალი ეტაპი, რეალურად თანამშრომლებთან ინტერვიუ და მათი მოსაზრებები პროცესზე ამის შემდეგ დაიწყო.

3.2. ცვლილებებისთვის გარდამავალი ეტაპი

გარდა იმის, რომ ცვლილებების პროცესში გარდამავალმა პერიოდმა მოლოდინებს მაშინვე ვერ უპასუხა და მოტივაცია მინელდა (თანამშრომლები ნაკლებ დროს ატარებდნენ სამზარეულოში თემის შესახებ მსჯელობაზე, ნაკლებ კითხვებს სვამდნენ კონსულტანტთან), გარდამავალ დროს თავისი დადებითიც ჰქონდა: ეს იყო ერთ-ერთი სტრატეგიული გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზიდან გამომდინარე :

1. ორგანიზაციაში სიახლეების შიში არ იქნებოდა;
2. თავად მენეჯემენტს სჭირდებოდა პროცესში დარწმუნება, რომ ეს მექანიზმი ასე მუშაობს და გამართლებულია;
3. უფრო მეტად მოქნილი უკუკავშირის შესაძლებლობას იძლეოდა;
4. იყო საკითხები, რომლის შესახებაც მენეჯემნეტის რგოლს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განეხილა და ხელაღებით საკითხის დაყენებას შესაძლოა კადრების წასვლის საშიშროება გამოევლინა. ის პირები, რომლებიც ამგვარ მიდგომას ამჟღავნებდნენ, ცვლილებებს კიდევ უფრო ნელა ახორციელებდნენ სამუშაო პროცესში.

5. ამ პერიოდში კონსულტანს ექნებოდა დრო, ყოველი ახალი დავალების გაცემის შემდეგ დაკვირვებოდა რეაქციებს, ასევე მოესმინა დავალების გაცემის ფორმა (საჭიროების შემთხვევაში ფიდბექის წესები გაეთვალისწინებინა). კონსულტანტს ჰქონდა საშუალება გამოეკითხა, დაკვირვება ეწარმოებინა, ატარებდა თუ არა მოცემული პროცესი კონფლიქტების პოტენციალს, თუ კი, რას და ვის შეეხებოდა; რა ინტერვენციები იქნებოდა ლოგიკური.

6. მომსახურებითი ორგანიზაცია პატარა გუნდისგან შედგებოდა და უმეტესად ერთმანეთთან პიროვნული ურთიერთობები აკავშირებთ, შესაბამისად ნებისმიერი მიუღებელი ნაბიჯი საკითხის წინააღმდეგ გუნდებად დააჯგუფებდა ადამიანებს. ეს კი დამატებით სიფრთხილეს მოითხოვს შენისვნის მიცემის დროსაც, ვინაიდან ნებისმიერი შენიშვნა, პიროვნულ დონეზე შეიძლება აღქმულიყო.

პროცესის ნელი ტემპებით წარმართვამ და გუნდის წევრებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი მზად იყვნენ ცვლილებებისგთვის.

3.3 ცვლილებები

ინტერვიუების დროს ერთი გუნდის წევრები კონკრეტული პროცესის მიხედვით ყვებოდნენ საკუთარ განყოფილებაში როგორ იწყებოდა პროცესი, როგორ გრძელდებოდა, სად უშვებდნენ შეცდომას და რა იქნებოდა საუკეთესო იმ მომენტში და ვინ უნდა ჩარეულიყო. ამგვარმა ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ თანამშრომლებს შესწევთ უნარი აღიქვან საკუთარი შეცდომა და გამოსწორების გზებზე იფიქრონ, თუმცა პარალელურად გამოთქვამდნენ სურვილს, რომ დავალებები უფრო სტრუქტურირებული და ნათელი ყოფილიყო. მაგ: “მინდა, რომ ყოველდღე ვიცოდე რას ვაკეთებ, დავგეგმავ რაღაცას და მეორე დღეს იმდენი რაღაც შემოდის, ვერ ვალაგებ საიდან დავიწყო, არადა რაც დავგეგმე, ისიც ხომ მნიშვნელოვანია?” კითხვაზე შემოსული საკითხები, რასაც ვეღარ ალაგებს მის უშუალო

მოვალეობაში შედის თუ არა და რამდენად ხშირად ხდება ამგვარი რამ, უპასუხა, რომ "ხშირად სხვის საქმესაც მავალებენ, ანუ აქ ვგულისხმობ იმას, რომ სხვასაც შეუძლია გააკეთოს, არ ვამბობ, რომ ორგანიზაციაში მიმდინარე საკითხებზე ყველას პასუხისმგებლობა არ გვაქვს, მაგრამ მაინც, ვისურვებდი, რომ ვიცოდე, ღირს თუ არა რამის დაგეგმა, რა არის სხვისი საქმე და ჩემი, ან ლოგისტიკის ან გაყიდვების".

მმართველმა დირექტორმა შექმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ორგანიზაციას პირობითად ორ ნაწილად ჰყოფს. წინა ოფისი (front Ofiice) და უკანა (Back office), ოპერაციული ოფისი. წინა ნაწილში მოიაზრებიან გაყიდვის ჯგუფის წევრები და ოპერაციული გუნდი მათ ინფორმაციით უზრუნველყოფაში, მონაცემთა ერთიან ბაზაში გაერთიანებაში, ლოგისტიკის პროცესების მოგვარებაში ეხმარება. ისინი ერთმანეთთან უფრო შეთანხმებულად მუშაოებენ და აქამდე შეუსრულებელი ინფორმაციის რეგისტრაციას აწარმოებენ.

გაყიდვების გუნდის წევრებმა დაიწყეს სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა, ყოველ კვირა გადასცემენ ოფის მენეჯერს ინფორმაციას, რომელიც შეხვედრებს უნიშნავს კლიენტებთან.

ამ პერიოდში ნათელი გახდა კულტურული ცვლილებების დასაწყისიც. მაგალითად აღნიშნული იყო ის, რომ ინფორმაციის მისაღებად ორგანიზაციაში ერთმანეთს გადაძალიხებით ეკომუნიკაციებოდნენ. რაც სამუშო პროცესის შეფერხებას იწვევდა. მას შემდეგ რაც ადამიანები გადაუგუფდნენ ფუნქციების მიხედვით, კულტურაში არსებული ეს პრობლემა თავისთავად შეიცვალა.

პროცესში აღმოჩნდა, რომ 1 თანამშრომლის აყვანა იყო საჭირო და არსებული პირი ფიზიკურად უნდა გადასულიყო სხვა ოთახში, ოპერაციულ გუნდში.

ერთ-ერთი ასპექტი იყო ისიც, რომ მმართველი დირექტორი გაყიდვების გუნდთან ერთ სივრცეში განთავსდა, შესაბამისად, უფრო მოქნილად აკონტროლებს გაყიდვების დინამიკას და საჭიროების შემთხვევაში გამოსწორების რეკომენდაციას იძლევა.

ღირებულებათა ჯაჭვში ჩვენ ISO 9001-ს მოთხოვნებიც გავითვალისწინეთ და პროცესებს შორის კავშირში სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა, რომელებიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის ძირითადი ელემენტების განვითარებას და შესაბამისად ორგანიზაციის განვითარების შემდგომ ფაზაში გადასვლას. ეს მიდგომა ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ნებისმიერ რგოლში მიმდინარე პროცესი მოცემული მიდგომით ხდება როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, plan-do-cheack-act-ის მიხედვით. იგი შეიძლება გავრცელდეს ყველა პროცესზე. ეს მიდგომა კი მდგომარეობს შემდეგში.

3.4. დამტკიცებული სტრუქტურა

კონსულტირების დასასრულისთვის, დაიხაზა და დამტკიცდა ორგანიზაციული სტრუქტურა, ბოლო გადაწყვეტილების მიხედვით აღმასრულებლების მიერ შექმნილი ბორდი გაუქმდა.

როგორც აღვნიშნეთ, კონსულტაციის პროცესის დასასრულის ამოცანა, სტრუქტურის შექმნა იყო. რატომ დასასრულისთვის?! ეს მიზანმიმართულად მოხდა, ვინაიდან პროცესები ღირებულებათა ჯაჭვის მიხედვით წარიმართა, უკვე ნათელი იყო, პასუხისმგებლობები და კონტროლის მექანიზმები. შესაბამისად სუბორდინაცია თანამშრემლებსა და მენეჯმენტის რგოლს შორის თავისთავად გამოიკვეთა. სტრუქტურის მონახაზი 2 ჯერ შეიცვალა, მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებები შევიდა.

კნსულტანტისთვის ორგანიზაციის სტრუქტურის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი შეკითხვების დასმა:

1. ორგანიზაციული სტრუქტურა ფორმალურია თუ არაფორმალური
2. მმართველობითი დონეები განსაზღვრულია თუ არა
3. სტრუქტურა შესაბამისობაშია თუ არა პროცესებთან და ორგანიზაციის მიზნებთან

3.5. დასკნა და რეკომენდაციები შედგომი კვლევისთვის

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ კონსულტაციის პერიოდმა წარმატებით ჩაიარა, გათვალიწინებული, ორგანიზაციაში დაინერგა ცვლილებები, თუმცა არსებობს საკითხები, რომლის ეტაპობრივად განახლება უნდა მოხდეს.

პროცესის დასასრულს გავწერეთ რეკომენდაციები, რომელიც ცვლილებების დარეგისტრირების დღიდან, ხარისხის მართვის მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს:

- განაცხადოს შიდა აუდიტის წლის გეგმის შესახებ;
- შეისწავლოს თანამშრომელთა მამოტივირებელი ფაქტორები და მოტივაციის სისტემები მოარგოს ახალ პროცესებს;
- უკუკავშირის მიცემის ფორმაზე უნდა იმუშოს მენეჯემნეტმა.

- ბონუსების სისტემის ოპტიმალიზება;
- სერვისებისა და გაქირავების განყოფილების განვითარებისთვის გეგმის შედგენა;
- აუცილებელია ახალი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებთან მუდმივი კავშირი და გადამოწმება იმის, კეთდება თუ არა გეგმის მიხედვით სამუშაოები.
- დაკვირვება კონფლიქტების აღმოჩენის მიზნით, ასეთის არსებობის შემთხვევაში დროული ინტერვენცია.
- ხარისხის მენეჯერმა უნდა შეცვალოს თანამშრომელთა შეფასების სისტემა. ჩატაროს კვლევა მათი მოტივატორების შესახებ. შემდგომი ეტაპია სწორედ ახალი მოტივაციის მექანიზმების დანერგვა.

ბიბლიოგრაფია

Burke, W. (2017). *organization Change: Theory and Practice (Foundations Organizational Science series)* (5th ed.). Los Angeles: SAGE Publications.

Flamholtz, M. (1990). Toward a holistic model of organizational effectiveness and organizational development at different stages of growth. *Human resource development quarterly , 1* (2), 109-127.

Glasl, F., & Livegoed, B. (2004). *Dynamische Unternehmens-entwiklung.* Bern: Haupt. https://www.iso.org/standard/62085.html. (2018 წლის 31 01). ISO 9001:2015.

ISO: 9001, I. S. (2008 წლის 31 01). 9001:2008.

Rummler, G., Ramias, A., & Rummler, R. (2010). *White Space revisited Creating Value through process.* San Francisco: Jossey-Bass.

Smith, R., King, D., Sidhu, R., Skelsey, D., & APMG. (2014). *The Effective Change Manager's Handbook: Essential Guidance to the Change Management Body of Knowledge.* Fremantle, Western Australia : Vivid Publishing.

Sparrer, I., & Varga von Kibéd, M. (2010). *Klare Sicht im Blindflug.* Heidelberg.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

III სემესტრის დოქტორანტი

ნატა გარაყანიძე

სადოქტორო სემინარი

„ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესი: 2004 და 2007 წლების გაფართოება აღმოსავლეთით“

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თორნიკე თურმანიძე

თბილისი

2018

ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესი: 2004 და 2007 წლების გაფართოება აღმოსავლეთით

ნატა გარაყანიძე

შესავალი

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის მიერ, კერძოდ კი, ევროპული საბჭოს მიერ ევროკავშირის გაფართოების საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიების გამოყენებით. აღნიშნული საკითხის უკეთ გასაგებად შერჩეულია კონკრეტული შემთხვევები (cases) - ევროკავშირის 2004 და 2007 წლების გაფართოება, რომლებიც ასახავენ ევროკავშირში ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ბოლო პერიოდში ევროკავშირის გაფართოების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა. კერძოდ, ევროინტეგრაციის პერსპექტივა ევროპის კონტინენტზე ურთიერთდაპირისპირებების საბაბად იქცა: ბოლო წლებში რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ფონზე კიევმა არაერთხელ მიმართა ბრიუსელს აქტიური პოზიცია გამოეხატა უკრაინის ევროინტეგრაციის პერსპექტივასთან დაკავშირებით[1]; ხოლო თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის შეჩერების გამო ანკარა მიგრაციის კრიზისის გამწვავებით (თურქეთის საზღვრების გახსნით) არაერთხელ დაემუქრა ბრიუსელს[2].

უნდა აღინიშნოს, რომ ევროინტეგრაციასთან და ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებული პრობლემები მხოლოდ ბოლო წლებში არ დაწყებულა. კერძოდ, 2004 წლის ყველაზე დიდ გაფართოებას (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, ყოფილი

[1] Ernest, Petric, Foreign Policy: From Conception to Diplomatic Practice. Martinus Nihoff/Brill Publishers, 2013, ISBN-13: 978-9004245495. P 65

[2] Karadeniz, Tulay & Tattersall, Nick (2016), 'Erdogan warns Europe that Turkey could open migrant gates', Reuters, Nov 25, 2016, retrieved from: https://www.reuters.com/article/us-turkey-europe-erdogan/erdogan-warns-europe-that-turkey-could-open-migrant-gates-idUSKBN13K0R6

იუგოსლავიის წევრისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების შეერთება) თან სდევდა ევროკავშირში შიდა დაპირისპირება და უთანხმოება, რომელიც 2007 წლის გაფართოების დროსაც (რუმინეთისა და ბულგარეთის შეერთება) გაგრძელდა. ამ ყველაფერმა, თავის მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ევროპის ერთიანობის საკითხი და საფრთხე შეუქმნა ევორკავშირის „ერთი ხმით საუბრის" (speaking with one voice) პოლიტიკას.

აღსანიშნავია, რომ სერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული ლიტერატურა ევროკავშირში (ევროპულ საბჭოში) გაფართოებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესს ძირითადად რეალიზმის, ან კონსტრუქტივიზმის თეორიების კონტექსტში განიხილავს. აღნიშნული ნაშრომი ევროპულ საბჭოში გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების რთულ პროცესს აანალიზებს რეალიზმის (რაციონალური არჩევნის თეორია), ლიბერალიზმის (ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი) და კონსტრუქტივიზმის მიხედვით და ასკვნის, რომ აღნიშნული პროცესის გაგება შესაძლებელია არა მხოლოდ რომელიმე ცალკეული თეორიით, არამედ რეალიზმის, ლიბერალიზმის და კონსტრუქტივიზმის თეორიების მიერ შემოთავაზებული ახსნების კომბინაციით. აღსანიშნავია, რომ გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზისას მთავარი ყურადღება ეთმობა ევროკავშირის დიდი ქვეყნების - გერმანიის და საფრანგეთის განსხვავებული პოზიციების ახსნას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომი პასუხობს შემდეგ ძირითად საკვლევ კითხვას: *რომელი თეორიით/თეორიებით შეიძლება ყველაზე უკეთ ევროკავშირში გაფართოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაანალიზება?* დამატებითი შეკითხვა (operational question), რასაც ნაშრომი უპასუხებს, იქნება: *რამდენად შეესაბამება ევოკავშირის გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ევროპის „ერთი ხმით საუბრის" (speaking with one voice) პოლიტიკას?*

ნაშრომი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება ევროკავშირში (ევროპულ საბჭოში) გაფართოების

შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესს და წარმოდგენილია ის თეორიული ჩარჩო, რომელშიც 2004 და 2007 წლების გაფართოების პროცესები განიხილება. მომდევნო ნაწილში განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგია, რაც გამოყენებულია აღნიშნულ ნაშრომში, ხოლო ბოლო ნაწილებში გაანალიზებულია 2004 და 2007 წლების გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესები, განსაზღვრულია მთავარი აქტორები, მათი პოზიციები და შედეგები. აღნიშნული პროცესების ანალიზი რეალიზმის, ლიბერალიზმის და კონსტრუქტივიზმის თეორიების კონტექსტშია წარმოდგენილი.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

2004 და 2007 წლების გაფართოების შემთხვევები ნათლად ასახავენ ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ ორგანოში- ევროპულ საბჭოში არსებული მოლაპარაკებების რთულ პროცესს, რომელიც, თავის მხრივ, არაერთი ავტორის მიერ არის გაანალიზებული. ზოგიერთი მათგანი აღნიშნულ პროცესს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების მიხედვითაც განიხილავს, თუმცა, შემოთავაზებული ანალიზი არასრულყოფილია. აღნიშნული ნაშრომი სრულყოფილი ანალიზისთვის რეალიზმის (რაციონალური არჩევნის თეორია), ლიბერალიზმის (ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი) და კონსტრუქტივიზმის თეორიების მიერ შემოთავაზებული ახსნების კომბინაციას იყენებს.

ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შემუშავებას ლ. აგესტამი ახასიათებს როგორც „მრავალი აქტორისა და ურთიერთგადამკვეთი პოზიციების შემცველ პროცესს“ (Multi-actor and cross-pillar policy process).[3] ავტორი დეტალურად აღწერს ევროკავშირის გაფართოების ისტორიას, თუმცა, აღნიშნულ ნაშრომში არ არის განხილული თეორიული ჩარჩო, რომლის დახმარებითაც ევროპულ საბჭოში გაფართოების პოლიტიკის ირგვლივ წარმართული მოლაპარაკებების პროცესის ახსნა იქნებოდა შესაძლებელი.

ჯ. ლიუისი (ლ.აგესტამისაგან განსხვავებით) წარმოგვიდგენს ევროპულ საბჭოში გადაწყვეტილების მიღების პროცესის თეორიულ ჩარჩოს. ავტორი ასკვნის, რომ ევროპის

[3]Aggestam, Lisbeth, *New Actors, New Foreign Policy: EU and Enlargement* in the *Theories-Actors-Cases.* Oxford University Press by Smith, Steve, Hadfield, Amelia & Tim Dunne, Foreign Policy. 2nd ed. 2008. P 363

ქვეყნებს შორის მოლაპარაკებები რეალიზმისა და კონსტრუქტივიზმის ჭრილში უნდა განვიხილოთ.[4] ჯ. ლიუსის მსგავსად, ა. ვარნტიენიცა[5] და ფ. შიმელფენგიც[6] ევროპულ საბჭოში გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში ქვეყნების რაციონალური და კონსტრუქციული არჩევანის სინთეზზე საუბრობენ. თუმცა, როგორც თავად ავტორები ასკვნიან, შეუძლებელია მხოლოდ აღნიშნული ორი თეორიის დახმარებით სრულყოფილად გაანალიზდეს ევროპულ საბჭოში გადაწყვეტილების მიღების რთული პროცესი [7].

ავტორები, რომლებიც ევროკავშირის მიერ (კერძოდ კი, ევროპის საბჭოში) გადაწყვეტილების მიღების პროცესს რეალიზმის (რაციონალური არჩევნის თეორია) ჭრილში განიხილავენ, ეყრდნობიან ნეორეალიზმის ძირითად თეზისებს. კერძოდ, აღნიშნული თეორიით, ევროკავშირის ინტეგრაციისა და გაფართოებისთვის ხელსაყრელი პირობები ბიპოლარულმა სისტემამ, დიდ სახელმწიფოებს შორის სამხედრო ძალის დაახლოებითმა თანაბარობამ და ბირთვული იარაღის შემაკავებელმა ეფექტმა გამოიწვიეს.[8] ნეორეალისტური ლოგიკით, მომავალში ევროკავშირის გაფართოების მცდელობები სულ უფრო ნაკლებად წარმატებული იქნება, ვინაიდან სამყარო ბიპოლარულიდან მულტიპოლარული წყობისაკენ შეიცვალა; შედეგად, უფრო აქტუალური გახდა სახელმწიფოების შედარებითი სარგებლის პრობლემა, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ინტეგრაციულ პროცესებს ხელს შეუშლის.[9]

რეალისტებისათვის შედარებითი სარგებლის პრობლემა უმნიშვნელოვანესია: თითოეულ ქვეყანას ეშინია, რომ სხვა სახელმწიფო თავისი აგრესიული ინტენციების

---

[4]Lewis, J., *Institutional environments and everyday EU decision-making. Rationalist or Constructivist?* 2003,Comparative Political Studies 36(1/2): 97–124.

[5] Warntjen, Andreas , *Between bargaining and deliberation: decision-making in the Council of the European Union.* 2010, Journal of European Public Policy, 17:5, 665-67.

[6] Schimmelfennig, F., *Strategic Action in a Community Environment: The Decision to Enlarge the European Union to the East*. 2003. Comparative Political Studies, 36 (1/2), PP 180-183.

[7] სწორედ ამიტომ აღნიშნულ ნაშრომში სამი თეორია გამოიყენება.

[8] Mearsheimer, J. (1990). Back to the Future: Instability in Europe after the Cold War. International Security, 15(1), 5-56. doi:10.2307/2538981

[9] Loedel, Peter H. (1999), Theory and Practice: The European Union through Simulations.. Department of Political Science. West Chester University. West Chester PA 19383. (610) 436-3162. P.3

სისრულეში მოსაყვანად გააძლიერებს ძალას, ამიტომ ამ საფრთხის საპასუხოდ თავად აძლიერებს საკუთარ ძალებს და ცდილობს სხვებს გაუსწროს.[10] გარდა ამისა, არსებობს ფსიქოლოგიური ფაქტორიც: რეალისტი ავტორები აღნიშნავენ, რომ თავად ადამიანის ბუნებაა ისეთი, რომ იგი ყოველთვის ეჯიბრება სხვას და საკუთარ სარგებელს ყოველთვის ადარებს სხვისას.[11]

საკუთარი სარგებელის გაზრდასა და რაციონალური ინტერესების რეალიზებასთან ერთად სახელმწიფოები ამავდროულად ცდილობენ დაბალანსონ ყოველგვარი პოტენციური საფრთხე, რაც შეიძლება მათი კონკურენტების მიერ შეიძლება შეიქმნას. საფრთხის დაბალანსების თეორია (The Balance of Threat Theory) გულისხმობს, რომ სახელმწიფოები იღებენ ზომებს არა მხოლოდ რომელიმე სახელმწიფოს სამხედრო ძალის, არამედ პოტენციური საფრთხის დასაბალანსებლადაც. მეტოქისგან მომავალი ეს საფრთხე შეიძლება ეფუძნებოდეს შემდეგ ფაქტორებს: მოსახლეობის ზრდა, სამხედრო ძალის მაქსიმიზაცია, ტექნოლოგიური პროგრესი, ეკონომიკური ზრდა, აგრესიული ინტენციები, გეოგრაფიული სიახლოვე და ა.შ.[12]

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის გაფართოებისა და ინტეგრაციის პროცესებზე მსჯელობისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოების რაციონალური არჩევანის მნიშვნელობას. უნიტარული აქტორები (ევროპული სახელმწიფოები) საკუთარ ქმედებებთან დაკავშირებული პოლიტიკური და მატერიალური ხარჯების მინიმიზაციისა და, ამავდროულად, სარგებლის მაქსიმიზაციის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებს (ევროკავშირი) იყენებენ.[13] შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციები ასახავენ თითოეული წევრი სახელმწიფოს რაციონალურ ინტერესს. ქვეყნებს არ სჯერათ

---

[10] Mearsheimer, J. (1994). The False Promise of International Institutions. International Security, 19(3), 5-49. doi:10.2307/2539078. P.11

[11] Keohane, Robert O. (Robert Owen), 1941-. After Hegemony : Cooperation and Discord in the World Political Economy. Princeton, N.J. :Princeton University Press, 1984.
Axelrod, R., & Keohane, R. (1985). Achieving Cooperation under Anarchy: Strategies and Institutions. World Politics, 38(1), 226-254. doi:10.2307/2010357

[12] Smith, Steve, Hadfield, Amelia & Tim Dunne*, Foreign Policy. Theories-Actors-Cases*. Oxford University Press. 2nd edition. 2008. P 41

[13] A. Thompson,*Coercion Through IOs: The Security Council and the Logic of Information Transmission*. International Organization 60(1). 2006. PP 6-8

თანაბრად გადანაწილებული აბსოლიტური სარგებლის, მათთვის მთავარია, რომ თითოეულმა მათგანმა შედარებით მეტი სარგებელი ნახოს, ვიდრე სხვა წევრებმა.[14]

რეალიზმის (რაციონალური არჩევანის თეორიის) კონტექსტში ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი აიხსნება შედეგზე ორიენტირებული ლოგიკით (Logic of Consequences), რომელიც ანალიზზე დაფუძნებულ ქმედებას გულისხმობს. ამ ლოგიკით, აქტორები განიხილავენ შესაძლო ქმედების რამდენიმე ალტერნატივას და აფასებენ თითოეული ვარიანტის შედეგებს. ამდენად, შედეგებზე ორიენტირებული ლოგიკა ინფორმაციის დამუშავების პროცესსაც მოიაზრებს. საბოლოოდ, აქტორები ირჩევენ შესაძლო ქმედების მხოლოდ იმ ვარიანტს, რომელიც მათ რაციონალურ ინტერესს ყველაზე კარგად ასახავს. ამრიგად, ეს ლოგიკა ძირითადად სამომავლო პერსპექტივაზეა ორიენტირებული.[15]

აღსანიშნავია, რომ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ნაკლებად განიხილება ლიბერალური თეორიის, კერძოდ კი, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის კონტექსტში. რეალიზმის მსგავსად ლიბერალური ინსტიტუციონალიზმიც აღიარებს, რომ სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამავდროულად, ისინი რაციონალური ეგოისტები არიან. თუმცა, რეალისტური მიდგომისგან განსხვავებით, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები თანამშრომლობით უფრო მეტ სარგებელს იღებენ, ვიდრე დაპირისპირებით. ეს სახელმწიფოები ერთგვარი კოლექტიური აქტორები (collective actors) არიან, რომლებიც საერთო იდენტურობას (identity), ღირებულებებსა და საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილ წესებსა და ნორმებს იზიარებენ.[16] შედარებითი სარგებლის ნაცვლად მათთვის მთავარია ის

[14]Waltz, Kenneth, *Man, the State, and War*. New York: Columbia University Press, 1959. P 198
[15] March, James , *A Primer on Decision Making: How Decisions Happen*. New York: The Free Press. 2009. PP 2-3
[16]Bulmer, S, *The Governance of the European Union: A New Institutionalist Approach*. Journal of Public Policy, Vo.13, No.4. 1993. pp 351-380

კოლექტიური სარგებელი, რომელსაც ისინი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის შედეგად იღებენ.[17]

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმში (ისევე როგორც, ზოგადად, ლიბერალურ თეორიაში) სახელმწიფოს იდენტურობის ცნებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. კერძოდ, რეალიზმისგან განსხვავებით, ლიბერალიზმი უარყოფს სახელმწიფოების მატერიალური ინტერესების მნიშვნელობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (რაც, თავის მხრივ, ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებს ამცირებს). ლიბერალური თეორიის მიხედვით, სახელმწიფოებს საერთო იდენტურობის გაცნობიერება თანამშრომლობისკენ უბიძგებს. ევროკავშირის წევრების შემთხვევაში ამის მაგალითია „საერთო ევროპული იდენტურობაა“,[18] რაც რეალისტი ავტორების მიერ საერთოდ არ განიხილება ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაანალიზებისას.

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის თანახმად, საერთაშორისო ორგანიზაციები მოქმედებენ არა სახელმწიფოების რაციონალური ინტერესების, არამედ მათ შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და აღიარებული წესებისა და ნორმების საფუძველზე. ეს წესები და ნორმები, თავის მხრივ, გამორიცხავს სახელმწიფოების მხრიდან ღალატის საშიშროებას. საერთაშორისო ორგანიზაციების წყალობით პოტენციური მოღალატეები უნდა დარწუნდნენ, რომ ღალატის შემთხვევაში ისინი დაისჯებიან და საბოლოოდ ბევრად ნაკლებ სარგებელს მიიღებენ. ამისათვის გამოიყენება საერთო წესები, რომლებიც: (ა) ზრდიან ინტერაქციას სახელმწიფოებს შორის და პოტენციურ მოღალატეებს აჩვენებენ, რომ მომავალში ვეღარ ითანამშრომლებენ ყოფილ პარტნიორებთან და ამით ხანგრძლივ პერსპექტივაში დიდ დანაკლისს მიიღებენ; (ბ)სხვადასხვა სფეროს აკავშირებენ, რაც ნიშნავს, რომ თუ სახელმწიფო ერთ სფეროში უღალატებს პარტნიორებს, იგი სხვა სფეროშიც დაზარალდება მომავალში; (გ) წესების სტრუქტურა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას

[17] Smith, Steve, Hadfield, Amelia & Tim Dunne, *Foreign Policy. Theories-Actors-Cases*. Oxford University Press. 2nd edition. 2008. P 66

[18] Risse, T. (2004) ‘Social Constructivism and European Integration’, in Wiener, A. & Diez, T. (eds) (2004) European Integration Theory, Oxford University Press: Oxford, pp.159-176.

ზრდის, რაც ნიშნავს, რომ პოტენციური მოღალატეების იდენტიფიცირება უფრო ადვილი იქნება; (დ)საერთო წესები ტრანსაქციის ხარჯებს ამცირებს, ამიტომ რაციონალურ აქტორებს- სახელმწიფოებს უღირთ ინსტიტუტების ფარგლებში თანამშრომლობა.[19]

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მიხედვით, სახელმწიფოების ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციებში ეყრდნობა შესაბამისობის ლოგიკას (Logic of Appropriateness). ეს ლოგიკა ძირითადად წარსულ გამოცდილებაზეა ორიენტირებული.[20] ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას აქტორები (სახელმწიფოები) ხელმძღვანელობენ წინასწარ დადგენილი წესებით. ეს წესები წარმოადგენენ უკვე ჩამოყალიბებულ პასუხებს ამა თუ იმ სიტუაციაზე/პრობლემაზე. შედეგად, აქტორები იყენებენ ამ პასუხებს, არგებენ მათ შესაბამის სიტუაციას ისე, რომ არ ახდენენ მათ ანალიზს, არ განიხილავენ მათ შესაძლო შედეგებს.[21] ხშირად ამა თუ იმ სიტუაციას რამდენიმე შესაძლო პასუხი შეიძლება მიესადაგოს, ანუ აქტორებმა არჩევანი უნდა გააკეთონ რამდენიმე შესძლო როლს შორის. ასეთ დროს უპირატესობა ენიჭებათ ყველაზე ხშირად და ახლადგამოყენებულ წესებს/როლებს.[22]

რაციონალური არჩევანის თეორიისა და ლლიბერალური ინსტიტუციონალიზმის თეორიების დახმარებით შესაძლებელია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების (აქტორების) პოზიციების ახსნა, თუმცა, შეუძლებელია ამ სახელმწიფოებს შორის უერთიერთკავშირისა და მოლაპარაკებების პროცესის გაანალიზება. ამისათვის კონსტრუქტივიზმის თეორია გამოიყენება. კონსტრუქტივიზმში რეალიზმისა და ლიბერალიზმის ძირითადი საკითხებია გაერთიანებული და დამატებულია ისეთი მნიშვნელოვანი დეტალები, როგორებიცაა აქტორებს შორის ინტერაქციის ანალიზი და გადაწყვეტილების მიღების პროცესის სოციალური კონტექსტი (ქვეყნის შიდა პროცესები;

[19] Mearsheimer, J. (1994). The False Promise of International Institutions. International Security, 19(3), 5-49. doi:10.2307/2539078, p. 10-11

[20] March, James *, A Primer on Decision Making: How Decisions Happen*. New York: The Free Press. 2009. PP 58-65

[21] Stinchcombe, A.L. (2001), When Formality Works. Authority and Abstraction in Law and Organizations. Chicago: University of Chicago Press.

[22] Ugland T. 2002. Policy Recategorization and Integration – Europeanization of Nordic Alcohol Policies. Oslo: Arena Report 02/3

სამოქალაქო საზოგადოებისა და მოსახლეობის გავლენა).[23] სწორედ ამიტომ არაერთი ავტორი ფიქრობს, რომ ევროპულ საბჭოში მიმდინარე მოლაპარაკებები ძირითადად კონსტრუქტივიზმის კონტექსტში უნდა განვიხილოთ,[24] მით უფრო, როცა არსებობს მოსაზრება, რომ ევროკავშირს იმ შემთხვევაში შეუძლია ეფექტური ფუნქციონირება, თუ მის სტრუქტურულ ერთეულებში მოლაპარაკების პროცესი ეფუძნება კამათს, თათბირსა და შეთანხმებას.[25]

კონსტრუქტივიზმი, რეალიზმისგან განსხვავებით, ხაზს არ უსვამს აქტორების ფიქსირებული პრეფერენციების მნიშვნელობას. კონსტრუქტივისტები ფიქრობენ, რომ ეს პრეფერენციები შეიძლება შეიცვალოს.[26] მაგალითად, აქტორმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლება გაითვალისწინოს წარსული გამოცდილება და მოიქცეს ისე, როგორც სხვა შემთხვევებში მოქცეულა. გაკეთებული არჩევანი, თავის მხრივ, შეიძლება საერთოდ არ ემთხვეოდეს აქტორის კონკრეტულ პრეფერენციებს. გარდა ამისა, საყურადღებოა ისიც, რომ პრეფერნციის შეცვლა იწვევს აქტორის იდენტურობის და ინტერესების ხელახლა განსაზღვრას.[27]

პრეფერენციების ცვლილების კონტექსტში სახელმწიფოებს შორის ურთიერთკავშირი აიხსნება ე.წ. „რამდენიმე აქტორის მოდელით“ (Multiple-actor’s Model), რომლის მიხედვითაც, აქტორებს შორის ინტერაქციის შედეგი (მათ მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება) შეიძლება ზოგიერთი აქტორის მეორეხარისხოვან არჩევანს და არა მის უპირველეს რაციონალურ ინტერესს ასახავდეს.[28] მოლაპარაკებების პროცესში, კონსტრუქტივისტების აზრით, მსჯელობის, კამათისა და თათბირის შედეგად

[23] Smith, Steve, Hadfield, Amelia & Tim Dunne, *Foreign Policy. Theories-Actors-Cases.* Oxford University Press. 2nd edition. 2008. PP 78-92

[24] Lewis, J., *The methods of community in EU decision-making and administrative rivalry in the Council’s infrastructure*, Journal of European Public Policy, Vol.7 (2), June 2000, pp. 261-289; Ruggie, J., *Constructing the world polity: Essays on international institutionalization*. 1998.New York: Routledge.

[25]Neyer, J., *Discourse and order in the EU: a deliberative approach to multi-level governance*. 2003. Journal of Common Market Studies 41(4): 687–706.

[26] Checkel, J. (2001) ‘Why Comply? Social Learning and European Identity Change’, International Organization, 55(3), pp.555-557.

[27] Checkel, J. (2001) ‘Why Comply? Social Learning and European Identity Change’, International Organization, 55(3), pp.560-561

[28] March, James , *A Primer on Decision Making: How Decisions Happen*. New York: The Free Press. 2009. PP 103-10

ხდება საბოლოო კომპრომისის მიღწევა. ამ პროცესში რაციონალური არჩევანის ადგილს იკავებს საფუძვლიანი არგუმენტის წარმოდგენისა და სხვების დარწმუნების უნარი. [29]

კონსტრუქტივიზმშიც, ლიბერალიზმის მსგავსად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინასწარ აღიარებულ იდენტურობას, წესებსა და ნორმებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან თავად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ; ორგანიზაციებს შეიძლება თავად გააჩნდეთ საკუთარი იდენტურობა (მაგალითად, ევროკავშირმა „ინტეგრატორის", ან „მშვიდობისა და დემოკრატიის გამავრცელებლის" იდენტურობა შეიძინა დროთა განმავლობაში); მათ შეუძლიათ თავად „უკარნახონ" საკუთარი წესები და ნორმები წევრ ქვეყნებს. სწორედ ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციები განიხილებიან არა როგორც სახელმწიფოების პოლიტიკური ქმედებების შედეგები, არამედ ამ ქმედებების მიზეზები.[30]

ზემოთ ხსენებული თეორიები - რაციონალური არჩევანის თეორია, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი და კონსტრუქტივიზმი - აღნიშნულ ნაშრომში გამოიყენება ევროკავშირში, კერძოდ კი, ევროპის საბჭოში გადაწყვეტილების მიღების რთული პროცესის განხილვისათვის; ისინი ქმნიან თეორიულ საფუძველს 2004 და 2007 წლების ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების შემთხვევების სრულყოფილად გაანალიზებისათვის.

მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია ე.წ. შემთხვევის შესწავლის მეთოდი (Case Study Method), რომლის დახმარებითაც შესაძლებელი ხდება საკვლევი თემის კონკრეტული მაგალითის საფუძველზე შესწავლა.[31] ამრიგად, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ევროპულ საბჭოში გადაწყვეტილების მიღების რთული პროცესის შესწავლა 2004 და 2007 წლების ევროკავშირის გაფართოების მაგალითების განხილვის შედეგად.

---

[29]Andreas Warntjen ,*Between bargaining and deliberation: decision-making in the Council of the European Union.* 2010. Journal of European Public Policy 17:5. P 671

[30]Checkel, J.T., *From Meta- to Substantive Theory? Social Constructivism and the Study of Europe – A Constructivist Research Program in EU Studies?* 2001, European Union Politics, 2 (2), p. 221-249

31 Yin, Robert K. *Case Study Research: Design and Methods.* Thousand Oaks, Calif: Sage Publications, 2003.

შემთხვევის შესწავლის მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით მიზანშეწონილია, როდესაც ნაშრომი პასუხობს განმარტებით (explanatory) ან/და აღწერით (descriptive) საკვლევ კითხვებს.[32] აღნიშნულ ნაშრომში შემთხვევის შესწავლის მეთოდი გამოიყენება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პასუხი უნდა გაეცეს აღწერითი ხასიათის საკვლევ შეკითხვებს- რომელი თეორიით/თეორიებით შეიძლება ყველაზე უკეთ ევროკავშირში გაფართოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაანალიზება? რამდენად შეესაბამება ევოკავშირის გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ევროპის „ერთი ხმით საუბრის“ (speaking with one voice) პოლიტიკას?

შემთხვევის შესწავლის მეთოდის დახმარებით ხდება ამა თუ იმ თეორიის გატესტვა კონკრეტული შემთხვევის განხილვის შედეგად.[33] ნაშრომში აღწერილი თეორიებისა და მოდელების ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია 2004 და 2007 წლების ევროკავშირის გაფართოების მაგალითების განხილვის გზითაა შესაძლებელი. შემთხვევის შესწავლის მეთოდის დახმარებით უნდა გაირკვეს, თუ რამდენად შეესაბამება სხვადასხვა ავტორების მიერ ჩამოყალიბებული თეორიები და მოდელები ევროკავშირის გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

რაც შეეხება თავად შემთხვევებს/მაგალითებს (case), 2004 და 2007 წლების ევროკავშირის გაფართოება შეირჩა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ისინი ნათლად წარმოაჩენენ ევროკავშირში, კერძოდ, ევროპულ საბჭოში, გადაწყვეტილების მიღების რთულ პროცესს. ამავე დროს ისინი ასახავენ ევროპის ერთსულოვნებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. გარდა ამისა, 2004 და 2007 წლების გაფართოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე დაყრდნობით შესაძლებელია გავტესტოთ სხვადასხვა ავტორების მიერ რაციონალური არჩევანის თეორიის, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმისა და კონსტრუქტივიზმის კონტექსტში ჩამოყალიბებული მოსაზრებები საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოების მიერ არჩეული პოზიციების შესახებ.

32 Shavelson, Richard J., and Lisa Towne (eds.), *Scientific Research in Education*, National Academy Press, Washington, DC, 2002. 99-106

33 Løkke A and Dissing Sørensen P., *Theory Testing Using Case Studies*, The Electronic Journal of Business Research Methods Volume 12 Issue 1, 2014, pp 66-74

ევროკავშირის 2004 წლის გაფართოება

2004 წლის გაფართოება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა ევროკავშირის ისტორიაში. ეს არის ყველაზე დიდი გაფართოება ახლადმიღებული ქვეყნების რაოდენობის, ახალი ტერიტორიების ფართობის და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, აღნიშნულმა მოვლენამ ხელი შეუწყო ევროპის ისტორიულ გაერთიანებას, რაც ცივი ომის დროს, დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირების შედეგად, შეუძლებელი ჩანდა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის გაფართოების იდეა მას შემდეგ დაიბადა, რაც 1989 წელს დაეცა ბერლინის კედელი და დაიშალა საბჭოთა კავშირი. ამის შემდეგ ევროკავშირსა და პოტენციურ კანდიდატ სახელმწიფოებს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ორმხრივი ხელშეკრულებები, რომელთაც საფუძველი უნდა მოემზადებინათ ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. აღსანიშნავია, რომ კანდიდატებს შორის იყვნენ ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთიც, რომლებიც საბოლოოდ 2004 წელს ევროკავშირის წევრები ვერ გახდნენ (ბულგარეთის და რუმინეთის გაწევრიანება 2007 წელს მოხდა, თურქეთი კი ისევ რჩება კანდიდატ სახელმწიფოდ).[34]

თითოეულ კანდიდატთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების პროცესების ხანგრძლივობა განსხვავდებოდა მათი მზადყოფნის დონის შესაბამისად. გაწევრიანებისთვის აუცილებელი იყო, რომ კანდიდატი ქვეყნები მიჩნეულიყვნენ ევროპულ სახლმწიფოებად (ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 49-ე მუხლის[35] თანახმად) და დაეკმაყოფილებინათ გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები („კოპენჰაგენის კრიტერიუმები“): დემოკრატიის განმტკიცება, ადამიანის უფლებების და უმცირესობათა უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა, საბაზრო ეკონომიკის განვითარება და ა.შ.

[34] Novotna, Tereza (2007); “The Eastern Enlargement of the European Union: Public Discourses in the Czech and Slovak Republics”, Journal of Contemporary European Research, Vol. 3, No. 1, pp. 51-63

[35] EUR-LEX (2007), ‘Consolidated version of the Treaty on European Union’: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012M%2FTXT

საბოლოოდ, 2004 წლის 1 მაისს ევროკავშირს 10 ახალი სახელმწიფო (75 მილიონი მოქალაქე) ოფიციალურად შეუერთდა. გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულებას თითოეულმა მათგანმა 2003 წლის 16 აპრილს ათენში მოაწერა ხელი. რატიფიკაციის პროცედურების დასრულების შემდეგ კი 2004 წლიდან ეს სახელმწიფოები ევროკავშირის ოფიციალური წევრები გახდნენ. შედეგად, ამ პერიოდში ევროკავშირის მოსახლეობა 450 მილიონამდე გაიზარდა. ახალმიღებულ წევრებს შორის იყვნენ: სამი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა- ესტონეთი, ლიტვა და ლატვია; ოთხი ყოფილი საბჭოთა კავშირის „სატელიტი“ სახელმწიფო- პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი და სლოვაკეთი; ყოფილი იუგოსლავიის წევრი სლოვენია და ორი ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყანა- კვიპროსი და მალტა. ამის შედეგად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების რაოდენობა 15-დან 25-მდე გაიზარდა.[36]

ახალი წევრების შეერთება ევროკავშირისთვის დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული: 2000-2003 წლებში ევროკომისიამ 13.2 მილიარდი ევრო გამოყო გაწევრიანებისთვის მოსამზადებელი ხარჯების დასაფარად, ხოლო 2004-2006 წლებში თითქმის 41 მილიარდი ევრო გამოიყო ახლად გაწევრიანებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სუბსიდირებისთვის, ინფრასტრუქტურის აღსადგენად, ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის და სხვა მიზნებისთვის.[37]

ევროკავშირის 2007 წლის გაფართოება

2007 წლის 1 იანვრის ბულგარეთისა და რუმინეთის შემოერთებით ევროკავშირის 2004 წელს დაწყებული გაფართოების პროცესი გაგრძელდა. ევროკავშირის წევრთა რაოდენობა 27-მდე გაიზარდა. რუმინეთის შემოერთებით (იგი ევროკავშირის რიგით მე-7 უდიდესი სახელმწიფო გახდა) ევროკავშირის მოსახლეობა 22 მილიონი ადამიანით გაიზარდა, ხოლო ბულგარეთის- კიდევ 7.7 მილიონით (შედეგად, ევროკავშირის მოსახლეობამ 489 მილიონი ადამიანი შეადგინა). გაიზარდა ასევე

[36] Cameron, David (2005), “"The Challenges of EU Accession for Post-Communist Europe." Central & Eastern Europe Working Papers Series #60, Harvard University: Center for East European Studies, 2005

[37] EUR-LEX (2008), ‘The 2004 enlargement: the challenge of a 25-member EU’; Summaries of EU legislation: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:e50017

ევროკავშირის ოფიციალური ენების რაოდენობაც: ორგანიზაციაში 32 სამუშაო ენა ფიქსირდებოდა.[38]

რუმინეთისთვის ევროკავშირის წევრობას ნ. ჩაუშესკოს დიქტატორული წარსულისგან საბოლოოდ განთავისუფლების კუთხით უდიდესი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. სწორედ ამიტომ, 1989 წლის რევოლუციის შემდეგ ევროკავშირში ინტეგრაცია ქვეყნის ყველა პოლიტიკური ძალისთვის უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ოფიციალურ აპლიკაციასთან ერთად, 1995 წელს რუმინეთმა ევროკავშირში წარადგინა სპეციალური დოკუმენტი - "Snagov Declaration", სადაც ყვველა წამყვანი პოლიტიკური პარტია ხელს აწერდა ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანების გადაწყვეტილებას.

ეკონომიკური და დემოკრტიული გამოცოცხლების კუთხით 2007 წლის 1 იანვარი მნიშვნელოვანი თარიღი იყო ასევე ბულგარეთისთვის, რომელსაც ოტომანთა იმპერიისა და საბჭოთა ოკუპაციის ისტორიული გამოცდილება ჰქონდა. 2000-იან წლებში ბულგარეთმა, ისევე, როგორც რუმინეთმა, განახორციელა არაერთი რეფორმა ევროინტეგრაციის კუთხით, რომელთა შედეგად, შედარებით გაუმჯობესდა დემოკრატიის დონე, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები. გარდა ამისა, გადაიხედა ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან. კერძოდ, დაწესდა სავიზო რეჟიმები რუსეთთან, უკრაინასთან, ბელორუსთან, სერბერთთან და ა.შ.[39]

რუმინეთისა და ბულგარეთის ისტორიაში 2007 წლის 1 იანვარი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მატერიალური თვალსაზრისითაც: ცნობილი გახდა, რომ გაწევრიანების პირველ წელს რუმინეთი ევროკომიისგან 1.7 მილიარდი ევროს დამხარების სახით მიიღებდა, ხოლო ბულგარეთი- 661 მილიონს.[40]

---

[38] Bilefsky, Dan (2007), 'Romania and Bulgaria join EU - Europe - International Herald Tribune', The New York Times, Jan 1, 2007, retrieved from: http://www.nytimes.com/2007/01/01/world/europe/01iht-EU.4070609.html

[39] Nikolova, Pavlina (2006), "Negotiating for EU membership? The Case of Bulgaria and Romania", Croatian Yearbook of European Law and Policy 2(2) : 393- 412

[40] Bilefsky, Dan (2007), 'Romania and Bulgaria join EU - Europe - International Herald Tribune', The New York Times, Jan 1, 2007, retrieved from: http://www.nytimes.com/2007/01/01/world/europe/01iht-EU.4070609.html

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, რუმინეთმა და ბულგარეთმა მაინც ვერ შეძლეს წარმატებულ ევროპულ ქვეყნებად გადაქცევა. 1995 წლიდან, როდესაც აღნიშნულმა ქვეყნებმა ოფიციალურად დაიწყეს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, რუმინეთის და ბულგარეთის მიერ რეფორმებში მიღწეული პროგრესი სხვა კანდიდატებთან (მაგალითად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლები, ბალტიისპირეთი ქვეყნები) შედარებით უმნიშვნელო იყო. თითქმის ყველა ანგარიშში, რაც ევროკომისიას ეგზავნებოდა 1998-2006 წლებში, სახეზე იყო რუმინეთისა და ბულგარეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული სახის პრობლემები „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ დაკმაყოფილების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. საბოლოოდ, ორი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების თარიღი მხოლოდ 2006 წლის სექტემბერში (ოფიციალურ გაწევრიანებამდე რამდენიმე თვით ადრე) გახდა ცნობილი, რაც კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს ევროკავშირის წევრების მხრიდან 2007 წლის აღმოსავლეთით გაფართოებისადმი პრობლემატურ დამოკიდებულებას.

2004 წლის გაფართოების მსგავსად, 2007 წლის მოვლენების ირგვლივაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა ევროკავშირში. რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრიანებას ზოგიერთი წევრი ქვეყანა, კერძოდ კი გერმანია, ენთუზიაზმით ხვდებოდა იმ იმედით, რომ გაფართოების შედეგად მნიშვნელოვანი დადებითი ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები მოხდებოდა ევროპაში. სხვა წევრები კი - საფრანგეთი, მაგალითად- ფიქრობდნენ, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთით კიდევ უფრო გაფართოება ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს გაართულებდა. საფრანგეთისთვის (ისევე, როგორც ბრიტანთისთვის და სხვა ძლიერი ეკონომიკებისთვის) განსაკუთრებით მძიმე იყო დაბალი კვალიფიკაციის მქონე იაფი მუშა ხელის შემოდინება განვითარებულ ქვეყნებში, რაც 2007 წლის გაფართოებას აუცილებლად მოყვებოდა, თუ გავითვალისწინებთ რუმინელთა და ბულგარელთა ცხოვრების დონეს, განათლებასა და კვალიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპამ უარყოფითი შედეგები უკვე მიიღო 2004 წლის გაფართოების შედეგად: ახლად

გაწევრიანებული სახელმწიფოებიდან დასავლეთში მიმავალი მიგრანტების რიცხვი წელიწადში 70,000-დან 150,000-მდე გაიზარდა.[41] ამიტომ 2007 წლის გაფართოების შემთხვევაშიც გერმანიას და მის მომხრეებს საფრანგეთმა და მისმა მხარდამჭერებმა გაუწიეს წინააღმდეგობა, რამაც გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების პროცესი გაართულა.

2004 და 2007 წლების გაფართოება აღმოსავლეთით: ანალიზი

ევროკავშირი არც სახელმწიფოთაშორისი და არც სუპრანაციონალური აქტორია. მას ხშირად *sui generis*-ს უწოდებენ, რაც სახელმწიფოთაშორისი და სუპრანაციონალური ორგანოსთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ერთობლიობას მოიაზრებს. მიუხედავად იმისა, რომ სხვა სფეროებში ევროკავშირი ფუნქციონირებს როგორ სუპრანაციონალური ორგანიზაცია, საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის საკითხები მაინც წევრი ქვეყნების მთავრობების დონეზე წყდება. ეს კი, თავის მხრივ, ამ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესს მნიშვნელოვნად ართულებს, ვინაიდან ხშირად წევრი სახელმწიფოების ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა.[42] 2004 და 2007 წლების გაფართოების შემთხვევებიც არ ყოფილა გამონაკლისი ამ მხრივ. მიუხედავად აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მნიშვნელობისა (განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ), ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების საკითხი ევროპული ქვეყნებისთვის პრობლემატური აღმოჩნდა. საბოლოოდ ევროპულ საბჭოში გამართული მოლაპარაკებების შედეგად დაპირისპირებულმა მხარეებმა (გაფართოების მომხრე და მოწინააღმდეგე ქვეყნებმა) მაინც შეძლეს, გარკვეული კონსენსუსისთვის მიეღწიათ.

ევროკავშირის გაფართოების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის წამყვან და ყველაზე აქტიურ ქვეყნებს საფრანგეთი და გერმანია წარმოადგენდნენ. გერმანიისა და მისი მომხრეებისათვის ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება

[41] Bilefsky, Dan (2007), 'Romania and Bulgaria join EU - Europe - International Herald Tribune', The New York Times, Jan 1, 2007, retrieved from: http://www.nytimes.com/2007/01/01/world/europe/01iht-EU.4070609.html

[42] Aggestam, Lisbeth, *New Actors, New Foreign Policy: EU and Enlargement in the Theories-Actors-Cases*. Oxford University Press by Smith, Steve, Hadfield, Amelia & Tim Dunne, Foreign Policy. 2nd ed. 2008. PP 360-62

რაციონალური და ლიბერალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ერთის მხრივ, გერმანიამ და მისმა მხარდამჭერებმა შესაბამისობის ლოგიკაზე (Logic of Appropriateness) დაყრდნობით მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით- მათ გააცნობიერეს ცენტრალური ევროპის წინაშე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების კუთხით საკუთარი ისტორიული „ვალი“ და მორალური პასუხისმგებლობა.[43] ამიტომ, ევროკავშირის გაფართოება მათთვის დადგენილი წესებისა და ნორმების გათვალისწინება იყო - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ევროპაში უნდა დაბრუნებულიყვნენ.[44] ამ ლოგიკით გერმანია და მისი მომხრეები აქცენტს წარსულ გამოცდილებაზე აკეთებდნენ და შესაბამისად, მათი გადაწყვეტილება რეტროსპექტული იყო. ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო ოგანიზაცია, უნდა გამოყენებულიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის (მით უფრო, რომ ისინი საერთო ისტორიას და ღირებულებებს იზიარებდნენ) კავშირის აღსადგენად და ეკონომიკური თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

მეორეს მხრივ, გერმანიის და მისი მოკავშირეების დამოკიდებულება ევროკავშირის გაფართოებისადმი შეიძლება რაციონალური არჩევანის თეორიითაც აიხსნას. აღმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოების დაცვა და სტაბილიზაცია თავად გერმანიისა და მისი მხარდამჭერების უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც ნიშნავდა. ევროკავშირის უმოქმედობას იმ ეტაპზე შეიძლებოდა მომავალში სიტუაციის დაძაბვა და არასტაბილურობა გამოეწვია ყოფილ საბჭოთა და იუგოსლავიის ტერიტორიებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც 90-იანის წლების ბალკანური ომების პრეცედენტი უკვე არსებობდა.[45]ამდენად, ევროკავშირის გაფართოების მხარდამჭერი ქვეყნების პოზიცია შედეგებზე ორიენტირებული ლოგიკის ფარგლებში უნდა განვიხილოთ.

---

[43] Hyde-Price, A., *Germany and European Order: Enlarging NATO and the EU.* Manchester University Press. 2000. P 183

[44] Sjursen, H., *Why Expand ? The Question of Legitimacy and Justification in the EU's Enlargement Policy*. 20002. Journal of Common Market Studies, 40 (3). P 503

[45]Rune, Volker ,*Germany's Responsibility in and for Europe*. Oxford, St. Antony's College, The Konrad Adenauer Stiftung. 1994. P 7

ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება თავად გერმანიის რაციონალური ეროვნული ინტერესების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანი იყო. გაფართოების წყალობით გერმანია მეგობრებითა და მოკავშირეებით იქნებოდა შემოსაზღვრული, რომელთა შორის თავად იქნებოდა უპირობო ლიდერი. ამით კი დაბალანსდებოდა გერმანიის ისტორიული კონკურენტის-საფრანგეთის გავლენა ევროპაზე. გარდა გეოპოლიტიკური პერსპექტივისა, ევროკავშირის გაფართოებით გერმანია მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელსაც მიიღებდა: პოტენციურ ახალ წევრებთან გეოგრაფიული სიახლოვის გამო გერმანია გახდებოდა მთავარი ექსპორტიორი ცენტრალური ევროპის ქვეყნების ბაზრებზე.[46]

გერმანიის რაციონალური გათვლა ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობასაც უკავშირდებოდა. ცნობილია, რომ გერმანიის მოსახლეობა ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც სწრაფი ტემპით ბერდება და მცრიდება. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელ სამუშაო ძალად იმიგრანტები მნიშვნელოვანწილად განიხილება. კვლევის თანახმად, გერმანიას 1.5 მილიონი გამოცდილი იმიგრანტის მიზიდვა ესაჭიროება, რათა საპენსიო სისტემა დასტაბილურდეს, ვინაიდან პენსიონერი გერმანელების რიცხვი სულ უფრო და უფრო იმატებს. ოფიციალური მონაცემებით, 2060 წლისთვის ყოველი მესამე გერმანელი 65 -ზე მეტი წლის იქნება, რაც ნიშნავს, რომ თითოეული პენსიონერის შესანახად მინიმუმ ორი დასაქმებული ადამიანის არსებობა იქნება საჭირო.[47] 2004 და 2007 წლების გაფართოების შედეგად, გერმანიაში მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა იმიგრანტების რაოდენობა, ვინაიდან ახლად შეერთებული სახელმწიფოებიდან ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად მიგრანტები სწორედ გერმანიისკენ (განვითარებული ეკონომიკისკენ) გაემართებოდნენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად, აშკარაა, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების შედეგად, გერმანია მიიღებდა უფრო მეტ შედარებით

[46]Krotz, Ulrich, Schild, Joachim, France, Germany and Embedded Bilateralism from the Elysée Treaty to Twenty-First Century Politics. Oxford: Oxford University Press 2013. P 148

[47] Groden, Claire (2015), 'Here's why Germany is welcoming migrants with open arms', Fortune, September 8, 2015, retrieved from: http://fortune.com/2015/09/08/germany-migrant-crisis/

სარგებელს, ვიდრე ორგანიზაციის სხვა წევრები. ამ შემთხვევაში ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, გერმანიის ეროვნული ინტერესების აღმსრულებელი იქნებოდა.

ევროკავშირის გაფართოებაზე საკუთარი შეხედულება ჰქონდათ საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს. მათი აზრით, თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი პატარა ქვეყნები ევროკავშირს ევროპული ეკონომიკური სივრცის (EEA) მეშვეობით უნდა დაკავშირებოდნენ, ხოლო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებები უნდა გაფორმებულიყო.[48] საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების პოზიცია შედეგებზე ორიენტირებულ ლოგიკას ეფუძნებოდა, ვინაიდან, ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების არ დაშვებით ევროპაში სტატუს-ქვოს შეცვლისა და გერმანიის გეოპოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობის გაზრდის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი.[49] ამრიგად, ევროკავშირის გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საფრანგეთი და მისი მოკავშირეები აცნობიერებდნენ პოტენციური საფრთხის (გერმანიის გაძლიერება) დაბალანსების აუცილებლობას.

ევროკავშირის გაფართოების მოწინააღმდეგეები ადმინისტრაციულ და ფინანსურ დეტალებსაც ითვალისწინებდნენ: ევროკავშირის გაფართოების შემდეგ წევრი ქვეყნების რაოდენობა გაიზრდებოდა, რაც, თავის მხრივ, ადმინისტრაციული ხარჯების ზრდასა და კიდევ უფრო გართულებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ნიშნავდა; გართულდებოდა ასევე ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული კონტროლი ორგანიზაციის შიგნით. გარდა ამისა, გაფართოების შედეგად, ევროკავშირის ბიუჯეტი ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებზეც უნდა გადანაწილებულიყო, რაც ძველი წევრების ფინანსური სარგებლის შემცირებას ნიშნავდა; და ბოლოს, ევროკავშირის

[48]Smith, K.E., *The Making of EU Foreign Policy: The Case of Eastern Europe*. 2nd edition. Basingstoke: Palgrave Macmillan. 2004. P 273

[49]Aggestam, Lisbeth, *New Actors, New Foreign Policy: EU and Enlargement in the Theories-Actors-Cases.* Oxford University Press by Smith, Steve, Hadfield, Amelia & Tim Dunne, Foreign Policy. 2nd ed. 2008. P 368

გაფართოებას მოჰყვებოდა ეკონომიკური ბაზრის დესტაბილიზაცია, პირველ რიგში, იაფი მუშა ხელის რაოდენობის ზრდის გამო.[50]

აღსანიშნავია, რომ 2004 და 2007 წლების გაფართოების შემთხვევებში ევროკავშირი აპირებდა ისეთი ქვეყნების მიღებასაც, რომლებშიც შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 4,000 ევროზე ნაკლები იყო წელიწადში (რუმინეთი და ბულგარეთი, მაგალითად). ამ ფაქტორმა ევროკავშირის ზოგიერთი წევრის, განსაკუთრებით კი ბრიტანეთის და საფრანგეთის აღშფოთება გამოიწვია, ვინაიდან ბრიტანელებს და ფრანგებს მოუწევდათ ღარიბი აღმოსავლეთ ევროპელების ცხოვრების ხარჯების დაფინანასება. მიიჩნეოდა, რომ იმიგრანტები, რომლებიც „უსამართლოდ აითვისებდნენ“ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სამუშაო ადგილებს, იმაზე ძვირი დაუჯდებოდა თითოეულ სახელმწიფოს, ვიდრე მათგან ბიუჯეტში მიღებული შემოსავალი იქნებოდა. დიდი ხნის პერსპექტივაში, იმიგრანტების განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე დახარჯული ხარჯები უფრო მეტი აღმოჩნდებოდა, ვიდრე ამ ხალხის მიერ მოტანილი სარგებელი. სწორედ ამიტომ ევროინტეგრაციის მიმართ სკეპტიკურად განწყობილმა სახელმწიფოებმა (კერძოდ, საფრანგეთმა და დანიამ, რომელთაც რეფერენდუმების ჩატარების შემდეგ დაბლოკეს ინიციატივა) არ დაუშვეს 2004 წელს ინიცირებული ერთიანი ევროპის კონსტიტუციის პროექტის წარმატებული იმპლემენტაცია, რის შემდეგაც ევროკავშირის გაფართოების იდეა სულ უფრო და უფრო ნაკლებად აქტუალური გახდა.[51]

ზემოთ ხსენებული განსხვავებული პოზიციების გათვალისწინებით ევროპულ საბჭოში 2004 და 2007 წლების გაფართოების პროცესების ირგვლივ წარმართული მოლაპარაკებები საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა. თითოეული მხარე ცდილობდა კონსენსუსის მიღწევის პროცესში თავად შედარებით ნაკლები დაეთმო და მეტი კომპრომისი მოეთხოვა საპიროსპირო მხარისაგან.[52] გაფართოების მომხრეები და

[50] *Krotz, Ulrich, Schild, Joachim*, *France*, *Germany and Embedded Bilateralism from the Elysée* Treaty to Twenty-First Century Politics. Oxford: Oxford University Press 2013. P 148

[51] Bilefsky, Dan (2007), 'Romania and Bulgaria join EU - Europe - International Herald Tribune', The New York Times, Jan 1, 2007, retrieved from: http://www.nytimes.com/2007/01/01/world/europe/01iht-EU.4070609.html

[52] ისეთ მოლაპარაკებებს, სადაც თითოეული მხარე ცდილობს ნაკლები დათმოს და სანაცვლოდ მეტი მიიღოს, „გამანაწილებელ მოლაპარაკებებს“ (distributive bargaining) უწოდებენ. იხ. O.R. Young, *Political*

მოწინააღმდეგეები საკუთარი პოზიციების გამყარებას სამართლიანი არგუმენტების წარმოდგენის გზით ცდილობდნენ. მაგალითად, საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს არ შეეძლოთ ღიად განეცხადებინათ, რომ ევროკავშირის გაფართოება მათ ნაციონალურ ინტერესებს და გეოპოლიტიკურ გათვლებს ეწინააღმდეგებოდა და მხოლოდ ამიტომ არ უნდა მიეღოთ ახალი წევრები ევროკავშირში. ამდენად, გაფართოების ოპონენტებმა ყველასათვის მისაღები, სამართლიანი არგუმენტი მოიყვანეს - კანდიდატ ქვეყნებში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის დაბალი დონის არსებობა (კოპენჰაგენის კრიტერიუმების მიხედვით, კი ევროკავშირში გასაერთიანებლად ქვეყანა, პირველ რიგში, უნდა იყოს დემოკრატიული, იცავდეს ადამიანის უფლებებს, კანონის უზენაესობას და საბაზრო ეკონომიკის წესებს).[53]

თავის მხრივ, ევროკავშირის გაფართოების მომხრეებიც ცდილობდნენ საკუთარი პოზიცია სამართლიანი არგუმენტებით გაემყარებინათ. ისინი აქცენტს ევროკავშირის „ინტეგრატორის“ როლსა და პოტენციურ აბსოლიტურ სარგებელზე აკეთებდნენ; გაფართოებული ევროკავშირის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში გაფართოება მნიშვნელოვან ფინანსურ და ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა ორგანიზაციის წევრებს (მიუხედავად საწყის პერიოდში გასაღები აუცილებელი ხარჯებისა).[54]

2004 და 2007 წლების გაფართოების შესახებ ევროპულ საბჭოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები მეტ-ნაკლებად ორივე დაპირისპირებული მხარის არგუმენტებს ითვალისწინებდა - ევროკავშირმა იკისრა მორალური და ისტორიული პასუხისმგებლობა და მიიღო ახალი წევრები ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან. თუმცა, ახალ წევრებს დაუმტკიცდათ შვიდ წლიანი გარდამავალი პერიოდი, რათა საბოლოოდ მომხდარიყო მათი წარმატებული ინტეგრაცია ევროპის ერთიან ბაზარზე. ამ გადაწყვეტილებით ახალი წევრების მზაობისა და ეკონომიკური შეუსაბამობის

Leadership and regime formation: on the development of institutions in international society. 1991. International Organization 45(3). PP 282-85

[53]Grabbe, H., *The EU's Transformative Power: Europeanization through Conditionality in Central and Eastern Europe*. Basingstoke: Palgrave Macmillan. 2006. P 13

[54] Piedrafita, S. and J. I. Torreblanca, *The Three Logics of EU Enlargement: Interests, Identities and Arguments,* Politique Européenne, Vol. 15 (2005): 29–59.

პრობლემები მოგვარდა. გარდა ამისა, 2007 წელს ბულგარეთთან და რუმინეთთან მიმართებაში გადაწყდა გაწევრიანების შემდგომი მონიტორინგის დაწესებაც, რაც კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იმ ფაქტს, რომ ახალი წევრები ბოლომდე მაინც ვერ აკმაყოფილებდნენ ევროკავშირის მოთხოვნებს. საბოლოო გადაწყვეტილებით, ევროკავშირის მეერ რუმინეთსა და ბულგარეთში რეგულარულად უნდა შემოწმებულიყო რეფორმების განხორციელება სამართლებრივ სისტემაში, კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებში. ევროკომისიამ ბულგარეთს გაფრთხილებაც კი მისცა, რომ არ სცნობდა ბულგარული სასამართლოების გადაწყვეტილებებს, თუ ქვეყანა წარმატებით არ დაასრულებდა სასამართლოს რეფორმას.[55]

შვიდწლიანი გარდამავალი პერიოდის დაწესებამ ასევე სოციალურ კონტექსთან დაკავშირებული პრობლემა გადაჭრა: გარკვეული პერიოდის განმავლობაში ევროპის განვითარებული ქვეყნები (მათ შორის ბრიტანეთიც, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით) იმიგრანტების შედინების საფრთხისგან განთავისუფლდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოზიციების ჩამოყალიბებაზე (განსაკუთრებით მიგრაციის საკითხში) გადაწყვეტილების მიღების პროცესში დიდი იყო შიდა სახელწმიფოებრივი ფაქტორების - სავაჭრო გაერთიანებების, მსხვილი კომპანიებისა და საზოგადოებრივი აზრის- გავლენა, მით უფრო, რომ, ევრობარომეტრის მიხედვით, ევროპის დიდი ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებისა.[56]

მოგვარდა ასევე გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საკითხიც: ნიცის ხელშეკრულებით დადგინდა, რომ ევროპულ საბჭოში კენჭისყრის დროს ხმების უმრავლესობა დიდ ქვეყნებს ექნებოდათ. ამით ევროკავშირის ტრადიციული

[55] Chiva, Cristina & Phinnemore, David Preface: The European Union's 2007 Enlargement, in "Perspectives on European Politics and Society", No. 10 (2), 2009, pp. 149-151, DOI: 10.1080/15705850902899156, accessed at: 09 February 2015.
[56]Standard Eurobarometer 61, Spring 2004 (იხ. ბმული ბიბლიოგრაფიაში)

„ხელმძღვანელების“ - გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერობას საფრთხე არ შეექმნებოდა.[57]

ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი გახდა დიდ ქვეყნებს (გერმანია და საფრანგეთი) შორის გაფართოების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის დაფინანსების საკითხზე კომპრომისის მიღწევის წყალობით: ბერლინმა თანხმობა განაცხადა, შეეწყვიტა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (CAP; მისი მთავარი ბენეფიციარი საფრანგეთია) დაფინანსების შემცირების მოთხოვნა, სანაცვლოდ კი პარიზმა პირობა დადო, რომ 2013 წლამდე აღარ წამოჭრიდა სასოფლო-სამეურნეო პირდაპირი გადასახადების (CAP direct payments) გაზრდის საკითხს.[58]

თეორიების აპლიკაცია

ნაშრომის წინამდებარე თავში მოცემული ანალიზის მთავარი მიზანი იყო ევროკავშირის 2004 და 2007 წლების ევროკავშირის გაფართოების შემთხვევების განხილვა საერთაშორისო ურთიერთობების სამი ძირითადი თეორიის - რაციონალური არჩევანის თეორიის, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმისა და კონსტრუქტივიზმის- მიხედვით. ქვემოთ მოცემულია თითოეული თეორიის აპლიკაციის შედეგები.

<u>რაციონალური არჩევანის თეორია :</u>

- *მულტიპოლარულ სამყაროში შედარებითი სარგებლის პრობლემა სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ინტეგრაციულ პროცესებს ხელს უშლის.* - აღნიშნული მოსაზრების ჭეშმარიტება ნათლად გამოჩნდა ევროკავშირის 2004 და 2007 წლების მოვლენების მაგალითზე, როდესაც ევროკავშირის „ერთი ხმით საუბრის“ პოლიტიკა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა წევრი

[57] Baldwin, R., and M. Widgren, ‘Decision-making and the Constitutional Treaty: Will the IGC Discard Giscard?’,CEPS Policy Brief, no. 37, August 2003. P 2

[58] Sajdik, M. and Schwarzinger, M., ‘European Union Enlargement: Background, Developments, Facts’, Transaction Publishers, New Brunswick, 2008; PP 221-222

სახელმწიფოების განსხვავებული ინტერესების და ურთიერთდაპირისპირების გამო.

- *შედარებითი სარგებელი და საფრთხის დაბალანსების ცნება* - ევროკავშირის წევრების დაპირისპირება გამოწვეული იყო თითეული მხარის მიერ საკუთარი შედარებითი სარგებლის მაქსიმიზაციით (გაფართოების მომხრე გერმანიას უნდა მოეხდინა საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების რეალიზაცია და ასევე გაეძლიერებინა ეკონომიკური სარგებელი) და პოტენციური საფრთხის დაბალანსების აუცილებლობით (ისტორიული მეტოქეები- გერმანია და საფრანგეთი არ დაუშვებდნენ რომელიმე მათგანის გავლენის გაზრდას ორგანიზაციაში; გაფართოების შედეგად კი შეიძლებოდა გერმანია მნიშვნელოვნად გაძლიერებულიყო).
- *რაციონალური არჩევანის მნიშვნელობა* - 2004 და 2007 წლების გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას თითოეულ დაპირისპირებულ მხარეს ესმოდა, რომ უნდა მიეღო რაციონალური გადაწყვეტილება - აერჩია ის პოზიცია, რომელიც ყველაზე კარგად უზრუნველყოფდა მის ეროვნულ ინტერესებს: გერმანისთვის ეს იყო გაფართოების მხარდაჭერა, ხოლო საფრანგეთისთვის- პირიქით.
- *შედეგებზე ორიენტირებული ლოგიკა* - გაფართოების მომხრეებისთვის, განსაკუთრებით კი გერმანიისთვის, აღმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოების დაცვა და სტაბილიზაცია საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ნიშნავდა. გარდა ამისა, გაფართოების შედეგად, მომავალში გერმანიის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა.

<u>ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი-ძირითადი ასპექტები:</u>

- *წესების და ნორმების მნიშვნელობა*- გერმანიისა და მისი მხარდამჭერებისთვის ევროკავშირის გაფართოება დადგენილი წესებისა და ნორმების გათვალისწინება იყო - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ევროპაში უნდა დაბრუნებულიყვნენ. გარდა ამისა, არსებობდა არაერთი სამართლებრივი

დოკუმენტი (მაასტრიხტის და ამსტერდამის ხელშეკრულებები), რომლებიც წევრ ქვეყნებს ევროკავშრის გაფართოების მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ. ამდენად, 2004 და 2007 წლების გაფართოება დადგენილ წესებთან შესაბამისობა იქნებოდა.

- *იდენტურობა*- გაფართოების მომხრეები აცნობიერებდნენ მომავალ წევრებთან „საერთო ევროპული იდენტურობის“ გაზიარების მნიშვნელობას, რაც მათ აღმოსავლეთ მეზობლებთან თანამშრომლობის გაღრმავებისკენ უბიძგებდათ.
- *შესაბამისობის ლოგიკა*- მომავალი წევრები ისტორიულად ევროპის ნაწილები იყვნენ, ამიტომ ევროკავშირის წევრებმა გააცნობიერეს საკუთარი ისტორიული „ვალი“ და პასუხისმგებლობა კანდიდატი ქვეყნების წინაშე როდესაც მხარი დაუჭირეს მათ გაწევრიანებას. აღნიშნული გადაწყვეტილება წარსულ გამოცდილებას ეფუძნებოდა.

<u>კონსტრუქტივიზმი-ძირითადი ასპექტები:</u>

- *სოციალური კონტექსტის მნიშვნელობა* - როგორც წინამდებარე თავში აღინიშნა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოზიციების ჩამოყალიბებაზე დიდი იყო სავაჭრო გაერთიანებების, მსხვილი კომპანიებისა და საზოგადოებრივი აზრის გავლენა; ევროპის დიდი ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებისა.
- *პრეფერენციების ცვალებადობა*- ევროკავშირის 2004 და 2007 წლების გაფართოების შემთხვევებში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები ყველა დაინტერესებული მხარის უპირველეს არჩევანს არ ასახავდნენ. საფრანგეთისა და მისი მომხრეებისთვის ევროკავშირის გაფართოება არ შეიძლება უპირველეს არჩევანად ჩავთვალოთ, თუმცა, საბოლოოდ, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, ისინი მაინც გაფართოების გადაწყვეტილების მომხრეებად იქცნენ.
- *რამდენიმე აქტორის მოდელი: სამართლიანი არგუმენტები, კომპრომისი*- 2004 და 2007 წლების გაფართოების მომხრეები და მოწინააღმდეგეები საკუთარი პოზიციების გამყარებას სამართლიანი არგუმენტების წარმოდგენის გზით

ცდილობდნენ. ასეთი არგუმენტები იყო: კანდიდატ ქვეყნებში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის დაბალი დონის არსებობა, ევროკავშირის „ინტეგრატორის“ როლი, პოტენციური აბსოლიტური სარგებელი.

ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი გახდა დიდ ქვეყნებს (გერმანია და საფრანგეთი) შორის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის დაფინანსების საკითხზე კომპრომისის მიღწევის წყალობით.

ზემოთ მოყვანილი თეორიული ასპექტების დახმარებით შესაძლებელია ევროკავშირის 2004 და 2007 წლების გაფართოების მომხრეებისა (გერმანია) და მოწინააღმდეგეების (საფრანგეთი) პოზიციების ახსნა და მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გაანალიზება. კერძოდ, რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით, გერმანიამ აირჩია ევროკავშირის გაფართოებისთვის მხარი დაეჭირა, ვინაიდან იგი საკუთარ ეროვნულ ინტრესებსა და შედარებითი სარგებლის მაქსიმიზაციაზე ზრუნავდა (პოლიტიკური გავლენის გაძლიერება და კონკურენტი საფრანგეთის დაბალანსება, ეკონომიკური კეთილდღეობა, სოციალური საკითხების მოგვარება). ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მიხედვით კი, გერმანიის პოზიცია შეიძლება აიხსნას წესებისა და ნორმებისადმი ერთგულებით და საერთო ევროპული იდენტურობის ცნების გაცნობიერებით (გაფართოების შესახებ ევროკავშირის ხელშეკრულებების ერთგულება, ისტორიული „ვალის“ შეგრძნება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების წინაშე).

რაციონალური არჩევანის თეორიით შეიძლება ავხსნათ გაფართოების მოწინააღმდეგე დიდი ქვეყნების პოზიციებიც. კერძოდ, საფრანგეთის შემთხვევაში ევროკავშირის გაფართოების არ დაშვება ნიშნავდა ეროვნული ინტერესების აღსრულებას - ევროპაში სტატუს-ქვოს შეცვლის საფრთხისა (გერმანიის გავლენის ზრდის საფრთხე) და ფინანსური/ადმინისტრაციული/სოციალური სახის პრობლემების/დანახარჯების (იაფი მუშა ხელი, გაზრდილი იმიგრანტების რაოდენობა, რაც ქვეყანას ძვირი დაუჯდებოდა) თავიდან არიდებას. ლიბერალური

ინსტიტუციონალიზმის მიხედვით კი, საფრანგეთის პოზიცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც დადგენილი წესებისა და ნორმების აღსრულება - საფრანგეთს სჯეროდა, რომ აუცილებელი იყო კოპენჰაგენის კრიტერიუმების ერთგულება და ამიტომ არ შეიძლებოდა ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების მიღება ევროკავშირში; „საერთო ევროპული იდენტურობის ცნება“ საფრანგეთისთვის კოპენჰაგენის კრიტერიუმებს უკავშირდებოდა.

თავად გადაწყვეტილების მიღების პროცესი კონსტრუქტივიზმის თეორიის დახმარებითაა შესაძლებელი, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება დაპირისპირებული პოზიციების მხარეებს შორის კომპრომისის (გერმანიისა და საფრანგეთის შეთანხმება სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე) მიღწევის, თითოეული მხარის მიერ სამართლიანი არგუმენტების წარმოდგენის (საკუთარი რაციონალური ინტერესების გამართლება გერმანიისა და საფრანგეთის მიერ) და მხარეების პრეფერენციების ცვალებადობის (მაგ., საფრანგეთის გაფართოებაზე დათანხმება, რაც ამ ქვეყნის პირველადი არჩევანი არ იყო) ახსნა.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ ხსენებულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირში 2004 და 2007 წლების აღმოსავლეთით გაფართოების ირგვლივ გადაწყვეტილების მიღების რთულმა პროცესებმა ევროპის „ერთი ხმით საუბრის“ პოლიტიკა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. დიდი სახელმწიფოების ინტერესების დაპირისპირებამ მნიშვნელოვნად გაართულა მოლაპარაკებების პროცესი.

ევროპის ქვეყნების პოზიციები და მათ მიერ ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება აიხსნება ნაშრომში განხილული თეორიებისა და მოდელების დახმარებით. შედეგად, გაირკვა, რომ გაფართოების მომხრე და მოწინააღმდეგე ქვეყნების პოზიციები უნდა განვიხილოთ როგორც რაციონალური არჩევანის თეორიის, ისე ლიბერალური ინსიტუციონალიზმის ჩარჩოებში.

თავად მოლაპარაკებების პროცესის გაანალიზება კონსტრუქტივიზმის კონტექსტშია შესაძლებელი: დაპირისპირებული მხარეები საკუთარი პოზიციების გასამყარებლად სამართლიან არგუმენტებს იყენებდნენ და ცდილობდნენ ასე მიეღწიათ საბოლოო კონსესუსისთვის. აღმოსავლეთით გაფართოების შემთხვევებში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები ასახავდა დაპირისპირებული მხარის არგუმენტებს, თუმცა, იგი ყველა ქვეყნის უპირველეს რაციონალურ ინტერესს არ გამოხატავდა.

2004 და 2007 წლების გაფართოების შემთხვევების გათვალისწინებით და ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ევროკავშირის მომავალი გაფართოების შესახებ მხოლოდ რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგადაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ 2004 და 2007 წლების დიდი გაფართოების შემდეგ ევროკავშირის მორიგი გაფართოება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს- ხორვატიის - შეერთებით დასრულდა.

ბიბლიოგრაფია

1) Aggestam, Lisbeth (2008), ‘ New Actors, New Foreign Policy: EU and Enlargement in the Theories-Actors-Cases’. Oxford University Press by Smith, Steve, Hadfield, Amelia & Tim Dunne, Foreign Policy. 2nd ed. 2008.
2) Baldwin, R., and M. Widgren (2003), ‘Decision-making and the Constitutional Treaty: Will the IGC Discard Giscard?,’CEPS Policy Brief, no. 37, August 2003
3) Bilefsky, Dan (2007), ‘Romania and Bulgaria join EU - Europe - International Herald Tribune’, The New York Times, Jan 1, 2007, retrieved from: http://www.nytimes.com/2007/01/01/world/europe/01iht-EU.4070609.html
4) Bulmer, S (1993), The Governance of the European Union: A New Institutionalist Approach. Journal of Public Policy, Vo.13, No.4. 1993.
5) Cameron, David (2005), “"The Challenges of EU Accession for Post-Communist Europe." Central & Eastern Europe Working Papers Series #60, Harvard University: Center for East European Studies, 2005

6) Checkel, J.T.(2001), From Meta- to Substantive Theory? Social Constructivism and the Study of Europe – A Constructivist Research Program in EU Studies? 2001, European Union Politics, 2 (2), p. 221-249

7) Checkel, J. (2001) 'Why Comply? Social Learning and European Identity Change', International Organization, 55(3), pp.553-588.

8) Chiva, Cristina & Phinnemore, David (2009), 'Preface: The European Union's 2007 Enlargement, in "Perspectives on European Politics and Society", No. 10 (2), 2009, pp. 149-151, DOI: 10.1080/15705850902899156, accessed at: 09 February 2015.

9) Dunai Marton (2015), "Hungary to fence off border with Serbia", Reuters, Budapest, June 2015, retrieved from: https://www.reuters.com/article/us-hungary-immigration/hungary-to-fence-off-border-with-serbia-to-stop-migrants-idUSKBN0OX17I20150618

10) Ernest, Petric (2013), 'Foreign Policy: From Conception to Diplomatic Practice'. Martinus Nihoff/Brill Publishers, 2013, ISBN-13: 978-9004245495.

11) EUR-LEX (2007), 'Consolidated version of the Treaty on European Union' retrieved from: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012M%2FTXT

12) EUR-LEX (2008), 'The 2004 enlargement: the challenge of a 25-member EU'; Summaries of EU legislation; retrieved from: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:e50017

13) Grabbe, H., The EU's Transformative Power: Europeanization through Conditionality in Central and Eastern Europe. Basingstoke: Palgrave Macmillan. 2006.

14) Groden, Claire (2015), 'Here's why Germany is welcoming migrants with open arms', Fortune, September 8, 2015, retrieved from: http://fortune.com/2015/09/08/germany-migrant-crisis/

15) Hyde-Price, A. (2000), Germany and European Order: Enlarging NATO and the EU. Manchester University Press. 2000.

16) Karadeniz, Tulay & Tattersall, Nick (2016), 'Erdogan warns Europe that Turkey could open migrant gates', Reuters, Nov 25, 2016, retrieved from:

https://www.reuters.com/article/us-turkey-europe-erdogan/erdogan-warns-europe-that-turkey-could-open-migrant-gates-idUSKBN13K0R6

17) Krotz, Ulrich, Schild, Joachim (2013), 'France, Germany and Embedded Bilateralism from the Elysée Treaty to Twenty-First Century Politics'. Oxford: Oxford University Press 2013.

18) Lewis, J. (2003), Institutional environments and everyday EU decision-making. Rationalist or Constructivist? 2003, Comparative Political Studies 36(1/2): 97–124.

19) Lewis, J. (2000), The methods of community in EU decision-making and administrative rivalry in the Council's infrastructure, Journal of European Public Policy, Vol.7 (2), June 2000, pp. 261-289.

20) Løkke A and Dissing Sørensen P. (2014), 'Theory Testing Using Case Studies', The Electronic Journal of Business Research Methods Volume 12 Issue 1, 2014, pp 66-74

21) March, James (2009), 'A Primer on Decision Making: How Decisions Happen'. New York: The Free Press.

22) Neyer, J. (2003), Discourse and order in the EU: a deliberative approach to multi-level governance. Journal of Common Market Studies 41(4): 687–706.

23) Nikolova, Pavlina (2006), "Negotiating for EU membership? The Case of Bulgaria and Romania", Croatian Yearbook of European Law and Policy 2(2): 393- 412

24) Novotna, Tereza (2007); "The Eastern Enlargement of the European Union: Public Discourses in the Czech and Slovak Republics", Journal of Contemporary European Research, Vol. 3, No. 1, pp. 51-63

25) Piedrafita, S. and J. I. Torreblanca (2005), 'The Three Logics of EU Enlargement: Interests, Identities and Arguments', Politique Européenne, Vol. 15 (2005): 29–59.

26) Risse, T. (2004) 'Social Constructivism and European Integration', in Wiener, A. & Diez, T. (eds) (2004) European Integration Theory, Oxford University Press: Oxford, pp.159-176.

27) Ruggie,J.(1998),Constructing the world polity: Essays on international institutionalization. 1998. New York: Routledge.

28) Rune, Volker (1994),' Germany's Responsibility in and for Europe'. Oxford, St. Antony's College, The Konrad Adenauer Stiftung..

29) Sajdik, M. and Schwarzinger, M. (2008), 'European Union Enlargement: Background, Developments, Facts, Transaction Publishers, New Brunswick'.

30) Schimmelfennig, F. (2003), 'Strategic Action in a Community Environment: The Decision to Enlarge the European Union to the East'. Comparative Political Studies, 36 (1/2), PP 180-183.

31) Shavelson, Richard J., and Lisa Towne (2002), (eds.), Scientific Research in Education, National Academy Press, Washington, DC, 2002. 99-106.

32) Sjursen, H.(2002), Why Expand? The Question of Legitimacy and Justification in the EU's Enlargement Policy. 2002. Journal of Common Market Studies, 40 (3).

33) Smith, K.E (2004)., The Making of EU Foreign Policy: The Case of Eastern Europe. 2nd edition. Basingstoke: Palgrave Macmillan. 2004.

34) Smith, Steve, Hadfield, Amelia & Tim Dunne (2008), 'Foreign Policy. Theories-Actors-Cases'. Oxford University Press. 2nd edition. 2008.

35) Standard Eurobarometer 61, Spring 2004, available at: http://ec.europa.eu/public_opinion/archives/eb/eb61/eb61_en.htm

36) Thompson, A. (2006), Coercion through IOs: The Security Council and the Logic of Information Transmission. International Organization 60(1). 2006. PP

37) Waltz, Kenneth (1959), Man, the State, and War. New York: Columbia University Press, 1959.

38) Warntjen, Andreas (2010), Between bargaining and deliberation: decision-making in the Council of the European Union. 2010, Journal of European Public Policy, 17:5.

39) Yin, Robert K. (2003), 'Case Study Research: Design and Methods.' Thousand Oaks, Calif: Sage Publications, 2003.

40) Young, O.R. (1991), 'Political Leadership and regime formation: on the development of institutions in international society'. 1991. International Organization 45(3).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა
I სემესტრის დოქტორანტი
სალომე ბელქანია

სადოქტორო სემინარი

ბლოკჩეინის სისტემის გავლენა მედიაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარი წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2018

სარჩევი

შესავალი 3

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა 5

ტერმინთა განმარტებები: 5

1.1 ინფორმაციის გაცვლა ბლოკჩეინამდე 8

თავი 2. ბლოკჩეინის სისტემის არსი და მისი პერსპექტივა 15

2.1. ბლოკჩეინი - დეცენტრალიზებული ტექნოლოგია 17

თავი 3. ბლოკჩეინსისტემის შესაძლო რისკები 21

3.1. ბლოკჩეინის ძლიერი და სუსტი მხარეები 23

დასკვნა 26

ბლოკჩეინის თეორეტიკოსების ძირითადი მიგნებები 28

გამოყენებული ლიტერატურა 30

შესავალი

აღნიშნული ნაშრომი მიმოიხილავს ბლოკჩეინსისტემის გავლენას მედიაზე. ბლოკჩეინი, რომელიც წარმოადგენს კრიპტოვალუტის ანუ ელექტრონული ფულის – Bitcoin-ის მიღმა წარმოქმნილი ტექნოლოგიას, თანდათან ხდება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის სიმბოლო. ორთქლის ძრავის, ელექტროენერგიის და კომპიუტერული ტექნოლოგიების შემდეგ ბლოკჩეინს უკვე მიიჩნევენ საშუალებად, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბურ ციფრულ ტრანსფორმაციასთან ასოცირდება.

თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც როგორც რევოლუციურმა იდეამ უკვე შეიტანა გარკვეული ცვლილებები სხვადასხვა სფეროში (საბანკო სფერო, ეკონომიკა, სამართალი) და ჯერაც მიმდინარეობს ეს პროცესი. მეცნიერები და ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ იგი ასევე მოახდენს გავლენას მედიაზე. საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო წლებში. 2017 წელს ბევრს საუბრობდნენ ციფრული ვალუტის, ბიტკოინის ფასის ზრდასა და ბლოკჩეინის სისტემის დანერგვის აუცილებლობაზე. ამერიკასა და ევროპის წამყვან ქვეყნებში უკვე აქტიურად ტარდება კვლევები ამ მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ ვალუტაზე გადასვლა და ბლოკჩეინზე მიერთება ეკონომიკის სფეროზე ასევე შეცვლის რეალობას მედიისთვისაც. სწორედ ამ საკითხს შეეხება წარმოდგენილი სემინარის თემა.

მრავალი კვლევისა და პოპულარული ჟურნალისტური სტატიის გაცნობის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ბლოკჩეინის სისტემა მასობრივი კომუნიკაციის ყველაზე თანამედროვე საშუალებაა, რომელიც დანერგვის პროცესშია. მკვლევართა აზრით, ის დიდ ზეგავლენას მოახდენს აღნიშნულ სფეროზე, სწორედ ამიტომ, მომრავლდა კვლევები ამ მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ თემასთან დაკავშირებით, სამეცნიერო კვლევები არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ჩვენ დავეყრდენით უცხოურ კვლევებს. მედიის წარმომადგენლებისთვის, ჟურნალისტებისა და მკვლევრებისთვის ის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს, ამას ადასტურებს ის მასალები, რომლებიც ნაშრომში იქნება განხილული.

2008 წელს სატოში ნაკამოტომ (იმ ადამიანის ფსევდონიმია, რომლის ზუსტი ვინაობაც დღემდე არ არის ცნობილი) გამოაქვეყნა დოკუმენტი ბიტკოინის სისტემის მუშაობის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში ის ამტკიცებდა, რომ მან გადაწყვიტა ციფრული ვალუტის ორმაგი გადახდის სისტემის პრობლემა დეცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის მეშვეობით. სატოშის იდეა უდიდესი ინოვაცია იყო, რადგან ის საშუალებას იძლეოდა ერთი ობიექტიდან მეორემდე ისე განხორციელებულიყო ტრანზაქცია, რომ ამაში მესამე პირს არ მიეღო მონაწილეობა.

ანალოგიად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ფინანსური დირექტორის საბუღალტრო წიგნი, რომელიც მუდამ განახლებულია და შეიცავს ყველა ჩანაწერს – ვინ რას ფლობს და ვინ ვის რა გადაუგზავნა. სიტყვა ,,რა" კი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც აღირიცხება მაგალითად:

- ფიზიკური აქტივი – ბრილიანტები
- ელექტრონული ფული
- ფასიანი ქაღალდების ტრანზაქციები და
- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები.

ბლოკჩეინის ეფექტური ნაწილი არის განაწილებული მონაცემთა ბაზა, რომელიც განსხვავებით ფინანსური დირექტორისა, ვისაც გააჩნია "სიმართლის ერთი ვერსია", განთავსებულია ბლოკჩეინის ქსელის მონაწილეების (რომლებსაც უწოდებენ – "miners") კომპიუტერებზე და ისინი მუდმივად ანახლებენ მონაცემებს. ეს პროცესი ახდენს საბუღალტრო წიგნის ხელშეუხებლობის იზოლაციას კიბერთავდასხმისგან და სხვადასხვა კერძო ინტერესების კონტროლისგან.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ტერმინთა განმარტებები:

ბლოკჩეინი ან ბლოკჩეინსისტემა - ბევრი კომპიუტერისგან შემდგარი სისტემა/ჯაჭვი, რომელშიც დაცულია ყველანაირი მონაცემი, მისი გატეხვა შეუძლებელია, რადგან ის არის დეცენტრალიზებული სისტემა და არ იმართება ერთი კონკრეტული ადგილიდან ერთი კომპიუტერის საშუალებით.

ბიტკოინი - ინტერნეტვალუტა, რომელიც არის ვირტუალური და აქვს ფულადი ღირებულება.

კრიპტოვალუტა - ელექტრონული ფული, ანუ ვირტუალური ვალუტა, რომელიც ფიზიკურად, უბრალოდ, არ არსებობს. კრიპტოვალუტას აწარმოებს და მიმოქცევაში უშვებს კერძო კომპიუტერების სისტემა ბლოკჩეინი, რომელიც ინგლისური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „ბლოკების ჯაჭვს“. ჯაჭვი ბლოკჩეინების ტექნოლოგიას ეწოდება, რადგან სისტემაში შემავალმა თითოეულმა კომპიუტერმა იცის, რომელი ბლოკია მის წინ და მის შემდეგ, იყენებს სპეციალურ დაშიფრულ ალგორითმებს და მითითებული ინფორმაცია ინახება სისტემაში შემავალ ყველა კომპიუტერში, ამიტომ ძალზე სანდოა.

ტრანზაქცია - ფულის გადარიცხვა ერთი ადგილიდან მეორეზე. დღეს ტრანზაქციები ხორციელდება ბანკის, ან სხვა შუამავლის საშუალებით, რომელსაც ფულს ვუხდით ამ ოპერაციის შესრულებისთვის.

შუამავალი - ბანკი, ფინანსური კორპორაცია.

ფეიფალი - ონლაინ გადახდის სისტემა

ფინანსური ბუშტი - როდესაც კომპანიის ან ფირმის ან რაიმე ფასიანი აქციის ფასი მკვეთრად იზრდება მოკლე დროში, შემდეგ კი ვერ ინარჩუნებს სტაბილურად ბაზარზე ფასს და სწრაფად ვარდება გარკვეული დროის შემდეგ.

როგორც უკვე აღინიშნა, ბლოკჩეინსისტემას ყველა სფეროზე ექნება გავლენა, შესაბამისად, მედიის მიმართულებითაც გარდაუვალია გარკვეული ცვლილებები.
წარმოვიდგინოთ ციფრული ჩანაწერების უზარმაზარი მასივი. იგი წასაკითხად ყველასთვის ღიაა: ნებისმიერს, ვისაც აქვს ინტერნეტი, შეუძლია მასში ინფორმაციის პოვნა. ამ ჩანაწერებს ერთი კონკრეტული პატრონი კი არ ჰყავს — ვინმე ადამიანი, რომელიმე კომპანია ან სახელმწიფო სტრუქტურა, — არამედ 8-9 ათასი კომპიუტერისგან შემდგარი გაბნეული ქსელი, მთელი მსოფლიოს გარშემო. ქსელში ჩართვა ნებაყოფლობითია. ადამიანები თავად წყვეტენ რომ ჩაერთონ სისტემაში და მათი კომპიუტერის მოხმარების სანაცვლოდ, ხანდახან ანაზღაურება მიიღონ. საკუთარი კომპიუტერის გაწევრიანება ყველას შეეძლება.

ამერიკელმა ჟურნალისტმა დომენიკ ფრისბიმ 2016 წელს aeon.co-ზე გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნა, რომ სისტემის ყველა ჩანაწერი მუდმივად ინახება, მისი შეცვლა ან წაშლა შეუძლებელია და ამის გარანტი ქსელში ჩართული თითოეული კომპიუტერია, რომელიც ჩანაწერების საკუთარ ასლს ინახავს. „სისტემის გატეხვა რომ მოინდომოთ, ქსელის ყველა კომპიუტერის დაჰაკვა მოგიწევთ, რაც შეუძლებელია და ეს ბევრი ნიჭიერი ადამიანის, მათ შორის, აშშ-ს NSA-ს სპეციალისტების უშედეგო მცდელობებითაც მტკიცდება. ამ კომპიუტერების ჯამური გამომთვლელი სიმძლავრე მსოფლიოში არსებული ტოპ-500 სუპერკომპიუტერის ერთად აღებულ სიმძლავრეზე მეტია.
ის ასევე ხსნის იმასაც, თუ როგორ იმუშავებს უსაფრთხოების დასაცავად ბლოკჩეინის სისტემა: ,,ბლოკჩეინი თქვენი პიროვნების ავთენტურობასაც გადაამოწმებს. ამჟამად, ინტერნეტში ვინაობის დასადასტურებლად, მომხმარებლის სახელებისა და პაროლების სისტემას ვიყენებთ, რაც მოუხერხებელი და თაღლითობისთვის ადვილად ხელმისაწვდომია. ეს მეთოდიც მალე შეიცვლება“.

გერმანელი მკვლევარი და ჟურნალისტი მაგდალენა თაუბე მიიჩნევს, რომ ბლოკჩეინი არის ზუსტად ის სისტემა, რომელიც მედიას გადაარჩენს და რომელმაც „სულზე მიუსწრო“ მას ისევე, როგორც თავის დროზე ინტერნეტმა. piqd.de-ზე 2017 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ის ამბობს, რომ ეს არის აშშ-ს ახალი პროექტი, რომელიც კრიზისში მყოფი ჟურნალისტიკის გადასარჩენად ემზადება: „ეს ყოველივე სამოქალაქო საქმეა და მიზნად ბევრი რამ აქვს დასახული, კერძოდ:

- რადიკალურად ღია მიდგომა ფაქტებზე დამყარებული და პასუხისმგებელობით სავსე ჟურნალისტიკისადმი და

- ეთერუმზე (ეთერუმი - კრიპტოვალუტა, ანუ ელექტრონული ინტერნეტვალუტა, ისეთივე როგორც, ბიტკოინი) დაფუძნებული რეკლამისგან თავისუფალი ბაზარი.

ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება ბლოკჩეინტექნოლოგიაზე იქნება დაფუძნებული და რომ ორივე - მომხმარებელიც და ჟურნალისტიც ამ პროექტში თავიდანვე აღმოჩნდებიან. ეს ყველაფერი ორ ნაწილად დაიყოფა:

- ნიუსრუმი, სადაც მოქალაქეებს შეეძლებათ ხელი შეუწყონ გარკვეულ თემებზე მუშაობას
- მედიასადგურები, რომლებსაც მართავენ ჟურნალისტები.

მესამე, რომელსაც აღნიშნული სისტემა გვთავაზობს, სამოქალაქო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი და გულისხმობს ,,ფაქტის შემოწმებას - როგორც-სერვისს" ანუ, ის გვაძლევს შესაძლებლობას, ბევრმა ადამიანმა შეამოწმოს ინფორმაცია.
ჟურნალისტი მაგდალენა თაუბე ასევე აღნიშნავს: „ჟურნალისტიკას რადიკალურად ახალი სამოქმედო პარადიგმა სჭირდება. მედიის ინოვაცია და სამომხმარებლო ქცევის ტენდენციები ბოლო 20 წლის განმავლობაში ჟურნალისტიკის, როგორც ბიზნესმოდელის გაუარესებაა და მან სარეკლამო ინდუსტრიისადმი არასასიამოვნო მზარდი

დამოკიდებულება გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, საზოგადოებისგან რეკორდულად დაბალი ნდობა აჩვენა მედიისადმი.

2017 წელს medium.com-მა, რომელიც არის დეცენტრალიზებული ნიუსრუმისგან შემდგარი პლატფორმა და რომელიც ბლოკჩეინტექნოლოგიას, ღია მმართველობას და კრიპტო-ეკონომიკას უჭერს მხარს, გამოაქვეყნა ნაშრომი „ჟურნალისტიკა 21-ე საუკუნეში“. ამ ნაშრომში საუბარია ახალ გზებზე, რომლებიც ჟურნალისტიკას ბლოკჩეინის სახით გაეხსნა: „ჩვენ გთავაზობთ გადაწყვეტას, რომელსაც ,,სამოქალაქოს“ ვუწოდებთ. ეს არის ეთერიუმზე დაფუძნებული დეცენტრალიზებული პლატფორმა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ,,გაზეთებისა" და ,,მედიასადგურებისთვის" - ბლოკჩეინის სისტემაზე დაფუძნებული ბაზრების შესაქმნელად, სადაც მოქალაქეები და ჟურნალისტები ქმნიან საზოგადოებას საერთო მიზნებისა და სტანდარტების შესამუშავებლად. ამ გზით, ისინი ფინანსურად ხელს უწყობენ ჟურნალისტებისთვის საგამოძიებო საქმიანობას და მნიშვნელოვნად ამცირებენ დეზინფორმაციის გავრცელებას, ეფექტური ერთობლივი რედაქტირების მეთოდების გამოყენებით. ამ ყველაფრის შედეგი კი არის თვითმყარი გლობალური მედიაბაზარი, რომელიც თავისუფალია რეკლამის, ყალბი ამბებისა და გარე გავლენისგან.

1.1 ინფორმაციის გაცვლა ბლოკჩეინამდე

სამეცნიერო სტატიებისა და კვლევების სიმწირის მიუხედავად, პოპულარულ სტატიებსა თუ ინტერნეტმასალებში, გვხვდება ბევრი მასალა, რომელშიც დეტალურადაა ახსნილი ბლოკჩეინსისტემის არსი. პოპულარული ბრიტანელი ბლოგერი, ჯეისონ კოვალსკი პოპულარულ ენაზე ცდილობს ახსნას აღნიშნული სისტემის მიზანი. „გავიხსენოთ ე.წ. პრებლოკჩეინის ხანა, როდესაც მსოფლიო ყველაზე გავრცელებულ საშუალებას, ფულს იყენებდა გაცვლისთვის. მეტი სიცხადისთვის წარმოვიდგინოთ ორი ადამიანი, ერთი მყიდველი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს და რომელსაც ონლაინ სურს საქონლის შეძენა და მეორე, ავსტრალიაში მცხოვრები გამყიდველი, რომელიც ფლობს ონლაინბიზნესს.

ისინი მზადა არიან, გაცვალონ ინფორმაცია ტრანზაქციის სახით. კონკრეტულად, ამერიკელი მყიდველი მზადაა ასი დოლარი გადაუხადოს ავსტრალიელ გამყიდველს მისი პროდუქტის სანაცვლოდ. მათ შეუძლიათ ნებისმიერი მათთვის მისაღები ვალუტა გამოიყენონ, ისინი შეიძლება შეთანხმდნენ, რომ გასაყიდი პროდუქტი შესაძლოა ღირდეს როგორც 100 ამერიკული დოლარი, ისე 120 კანადური დოლარი ან 80 ბრიტანული ფუნტი სტერლინგი. ამერიკელ მყიდველს შეუძლია მისი 100 დოლარი, რომლითაც ავსტრალიელი გამყიდველისგან პროდუქტის ყიდვას აპირებს, გადარიცხოს ,,ფეიფალის" მეშვეობით, რათა განახორციელოს ტრანზაქცია. ,,ფეიფალის" კოდი დასტურს მისცემს, რომ ორივე, ისიც და ავსტრალიელი გამყიდველიც იყენებენ ,,ფეიფალის" გადარიცხვის სერვისს და არიან ამ ქსელში ჩართულები. ამ გზით მისი ასი დოლარი აღმოჩნდება ავსტრალიელი გამყიდველის ანგარიშზე.

თუმცა, აქ ერთი რამ საყურადღებოა, ყველა შუამავალი ითხოვს გარკვეულ თანხას ტრანზაქციის შესასრულებლად, ,,ფეიფალის" შემთხვევაში, ეს არის ერთი დოლარი, სხვა შუამავლის შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს ორი დოლარი და ა.შ. თანაცმ ეს ორი ადამიანი სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობს და ამან გადარიცხვის პროცესი შეიძლება კიდევ უფრო გააძვიროს, იმის მიხედვით, თუ რამდენი შუამავალი დასჭირდება ამ პროცესს და როგორ რეგულირდება ეს ყოველივე კანონმდებლობით".

როგორც მისი ბლოგიდან ვიგებთ, ბლოკჩეინის ტექნოლოგია ამ ორ ადამიანს საშუალებას მისცემს, ტრანზაქცია განახორციელონ შუამავლის გარეშე. ბლოკჩეინის ქსელი შექმნილია ბევრი ინდივიდუალური, ცალკე მყოფი კომპიუტერისგან, რომლებიც ამ შუამავლის როლს ასრულებენ. ეს კომპიუტერები ან ეს კომპიუტერთა ჯაჭვი ამარაგებენ მთლიან ქსელს. ბლოკჩეინის წარმატებულ ქსელს ექნება დიდი რაოდენობა კომპიუტერებისა, რომლებიც ინფორმაციის გადაცემაზე იზრუნებენ. თუ მხოლოდ რამდენიმე კომპიუტერი იქნება ჩართული ამ ქსელში, მაშინ ადამიანებს მეტხანს მოუწევთ ლოდინი, სანამ მათი ტრანზაქცია განხორციელდება და ინფორმაცია გადაეცემა სხვას, რადგან კომპიუტერები ამ შემთხვევაში, დაკავებული იქნებიან სხვების ტრანზაქციების და ინფორმაციის გადაცემის

განხორციელებით. მეტი კომპიუტერი ნიშნავს იმას, რომ მეტი ინფრომაციისა და ტრანზაქციის განხორციელება იქნება შესაძლებელი მოკლე დროში.

შემდეგ კი ბლოგერი მოკლედ დაასკვნის: „ამგვარად, მოკლედ რომ შევაჯამოთ, ბლოკჩეინი არის ტექნოლოგია, რომელიც აყალიბებს ისეთ კრიპტოვალუტას, როგორიც ბიტკოინია. ეს არსებითად არის ექსელის მასიური ფაილი, რომელიც მუშაობს დეცენტრალიზებული ქსელის ფორმატში, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაცემებს შეიძლება ჰქონდეს დიდი რაოდენობით ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გადაიცეს და მას ზემოდან დაემატოს კიდევ ბევრი ინფორმაცია, ყოველგვარი საფრთხის გარეშე. ბლოკჩეინი ხელუხლებელია - მასში არსებულ მონაცემებს ვერავინ შეცვლის თავისი პირადი მიზნებისთვის და ვერავინ შეძლებს ამ მონაცემების განადგურებას“.

1.2.ინფორმაციის გადამოწმება და საავტორო უფლებები

ჟურნალისტების, მედიისმკვლევრებისა და მეცნიერების ნაწილი აქტიურად განიხილავს ბლოკჩეინტექნოლოგიას, როგორც მედიისთვის საავტორო უფლებების, პლაგიატთან ბრძოლისა და ინფორმაციის გადამოწმების, დიდწილად, აღმოფხვრის საშუალებას.

ბლოგერი კრისტოფ ბერგმანი 2017 წელს bitcoinblog.de-ზე აქვეყნებს ბლოგს, რომელშიც ის იხსენებს, თუ როგორ დაიწყეს მუშაობა ჟურნალისტებმა ინტერნეტტექნოლოგიის გამოჩენისას: ,,თავის დროზე ინტერნეტრევოლუციას არა მხოლოდ მედიაგამოცემებისთვის მოჰქონდა შემოსავალი, არამედ ეს ასევე იყო გამოწვევა დამოუკიდებელი ჟურნალისტებისთვის, რადგან ისინი იძულებულნი გახდნენ ადაპტირებულიყვნენ ამ ინდუსტრიაში. ინტერნეტში ტექსტების გამოქვეყნების მსურველს ჰქონდა ორი პრობლემა:

- მას უნდა ეზრუნა იმაზე, რომ აუდიტორიას ტექსტების პოვნა შეძლებოდა

- დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მის ტექსტებს არავინ მოიპარავდა და საავტორო უფლებები დაცული იქნებოდა.

ამ პრობლემის მოგვარება ნაწილობრივ მაინც ბლოკჩეინის სისტემის დახმარებით არის შესაძლებელი. თუმცა, ამავდროულად, ბლოკჩეინი არ უნდა აღვიქვათ ყველა მიზნისთვის გამოსაყენებელ ხელსაყრელ იარაღად, რადგან ვერანაირი ბლოკჩეინტექნოლოგია დედამიწაზე ვერ შეძლებს მონაცემების დაკოპირების და გაყალბების აღმოფხვრას. სანაცვლოდ, ბლოკჩეინ ტექნოლოგიას შეუძლია:

- საავტორო უფლებების დაცვა უნივერსალური, ღია და შეუცვლელი მონაცემთა ბაზის გამოყენებით.
- ამ ტექნოლოგიას ძალუძს უტყუარად დაადასტუროს ყველაფრის არსებობა და დაგვანახოს, რომ გარკვეული ინფორმაცია, გარკვეულ დროს, სწორედ ამ ფორმითა და ამ სახით არსებობდა.

კერძოდ, რისი შესაძლებლობა ექნებათ და კონკრეტულად, როგორ იმუშავებენ ჟურნალისტები ამ სისტემის მეშვეობით? ჟურნალისტი ჰარალდ ჰანცლერი smart-digits.com-ზე 2017 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში დეტალურად განიხილავს ბლოკჩეინის პერსპექტივას მედიისთვის და აღნიშნავს: „ბლოკჩეინის საშუალებით, შესაძლებელი უნდა გახდეს მსოფლიოში ის, რომ ბევრმა ქვეყანამ ერთობლივად იმუშაოს ერთ ტექსტზე და დაარედაქტიროს იგი სხვადასხვა ენაზე. წარსულისგან განსხვავებით, არ არსებობს ცენტრალური ოფისი, სადაც ტექსტებს დაარედაქტირებენ, მხოლოდ შესაბამისი ავტორის იდენტობა და მისი ტექსტის ვარიანტი შემოწმდება.
ე.წ. ტექსტის მწარმოებლები და მთარგმნელები თავიანთ მასალებს ბლოკჩეინში შეინახავენ და გამომცემლებს ექნებათ ამ მასალასთან წვდომა, რათა მკითხველებში გაავრცელონ და უფრო მეტი აუდიტორია მოიზიდონ. არ არსებობს ე.წ. ცენტრალური ბანკი, ან რაიმე მსგავსი ადგილი ამ ტექსტების შესანახად. ამ სისტემით ასევე შესაძლებელი იქნება მასალების პირატული გზით გავრცელებისგან თავის დაცვა“.

საერთაშორისო კომპანია „Deloitte-ი“ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში ხსნის, თუ კიდევ როგორ იმუშავებს ეს სისტემა მედიის წარმომადგენლებისთვის და რამდენად ხელსაყრელი იქნება იგი: „მარტივად რომ ვთქვათ, ბლოკჩეინი მედიას სარგებელს, უპირველეს ყოვლისა, ფულის გადახდის ოპერაციებსა და საავტორო უფლებების დაცვაში მოუტანს. ინტერნეტაპლიკაციებს და ტექნიკურ ინოვაციებს ექნებათ შორსმიმავალი მიზნები და გავლენები. კერძოდ, მათ, ვინც კონტენტს შექმნის შესაძლებლობა ექნებათ უფრო ახლოდან ადევნონ თვალი თავიანთი მასალით შემოსულ მოგებას, თანხებს და ასევე, რეკლამების შემოსავალს, რომელიც მათ მიერ შექმნილ მასალასთან ერთად გავრცელდა. აქედან გამომდინარე, მათ ასევე შეეძლებათ განსაზღვრონ ზუსტი დრო, თუ როდის იქნება ეფექტური მათი მასალის ,,გაყიდვა”.

2014 წელს „ნიუ იორკ თაიმსზე“ გამოქვეყნებულ სტატიაში მარკ ანდერსონი ბლოკჩეინ სისტემის გავლენას მედიაზე კომერციული კუთხით ანახებს მკითხველს: „დაფიქრდით

კონტენტის მონეტიზაციის შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ისეთი მედია-ბიზნესი, როგორიცაა საგაზეთო, იბრძვის, რათა შეავსოს თავისი ფურცლები ტექსტებით და ჰყავდეს გამომწერები, რომ გადაიხადოს გადასახადები. ასევე, ისინი აჭრელებენ თავიანთ ვებ-გვერდებს სხვადასხვა შემაწუხებელი რეკლამით. ამ დროს, უეცრად ჩნდება ისეთი რამ, როგორიცაა ბიტკოინი. მისი საშუალებით გამოჩნდა ეკონომიკურად ეფექტური გზა, რომლითაც შესაძლებელია თვითნებურად დააკისროს ცალკეულ სტატიას, ან რუბრიკას, ან ვიდეოს, ან არქივთან წვდომას, ან ახალი ამბების შეტყობინებას საათობრივად გადასახადი".

trueinteraction.com-ზე 2017 წელს გამოქვეყნებულ მასალაში მაიკლ დევისონმა კიდევ უფრო დეტალურად ისაუბრა მედიისთვის კომერციულად მომგებიან სისტემაზე: „როდესაც მედიაში ამ იდეაზე ლაპარაკობენ, ყველაზე ხშირად ამბობენ, რომ ბლოკჩეინის იდეის ერთ-ერთი ყველაზე ხმამაღალი განაცხადია მხარდაჭერა მიკროგადასახადებისა, რომელიც შეიძლება დამუშავდეს შუამავლის გადახდის ქსელის ან მისი საფასურის გარეშე. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ბლოკჩეინის გარეშე, შუამავლის საფასურის გადახდა ძალიან ძვირია და მისი ერთ დოლარზე ნაკლებად უზრუნველყოფა, ფაქტობრივად, შეუძლებელია".

ჟურნალმა „ფორბსმა" აღნიშნულ თემას მრავალი სტატია მიუძღვნა, მათ შორის, მედიის კუთხითაც. 2017 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში სტივ ოლენსკიმ სწორედ სოციალური მედიის მიმართულებით განიხილა საკითხი: „ბლოკჩეინის სისტემის განხილვა სოციალური მედიისთვის რეალობის შეცვლით დაიწყო. ბლოკჩეინის სისტემა სოციალურ მედიას სრულიად ახალ დონეზე აიყვანს. ამ მეთოდოლოგიის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია უფრო მეტად გააკონტროლოს ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ამავდროულად, საკუთარი კონტენტის შექმნისას გამოიმუშაოს კრიპტო ვალუტები. აღნიშნული მეთოდი დაიტესტა ორ ორგანიზაციაზე, რომლებმაც მას შემდეგ, ამ სისტემით დაიწყეს მუშაობა.

სხვადასხვა სოციალური მედიის მფლობელები ბლოკჩეინის შესაძლებლობებს და პოტენციალს ხედავენ. ბლოკჩეინის იდეის შემქმნელები კი სოციალურ მედიას სრულიად ახალ რეალობას ჰპირდებიან“.

2016 წელს ბრიუს პონმა bigchaindb.com-ზე გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც იგი წერდა და ეთანხმებოდა თავის კოლეგებს იმაში, რომ ეს სისტემა მედიას ბევრ რამეს მოუტანს: „მედია ინდუსტრია, ჩემი აზრით, ყველაზე მეტს მიიღებს ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ადაპტირებით. და აი, რატომ: საავტორო უფლებების დაცვა და მენეჯმენტი, გლობალურად რომ შევხედოთ, დაუსრულებელი ბრძოლაა კონტენტის ყველა შემქმნელისა და მფლობელისთვის. ბლოკჩეინტექნოლოგიას შეუძლია ხელი შეუწყოს საავტორო უფლებების დაცვას, მომხმარებელთა უფლებებს და სხვადასხვა პროდუქტზე ლიცენზიის მიღების საჭიროება აღარ იქნება.
თუ მედიაინდუსტრია ბლოკჩეინის ტექნოლოგიას აითვისებს, მას შეეძლება შეამციროს:

- დისტრიბუციის,
- ჰონორარისა და
- ლიცენზირების ხარჯები

შესაბამისად, მას შეეძლება მომხმარებლებს შესთავაზოს მათთვის სასურველი შინაარსის მასალის მიღება და რისთვისაც მზად არიან, რომ ფული გადაიხადონ“.

თავი 2. ბლოკჩეინის სისტემის არსი და მისი პერსპექტივა

მიუხედავად ყველაფრისა, ბლოკჩეინის ტექნოლოგია ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნის მის მასობრივ კომერციალიზაციას. კიდევ ერთი პრობლემაა საერთო სტანდარტების არ არსებობაა და ქსელის ზრდა.

ისეთი დიდი მედიასაშუალებები, როგორიცაა „ბი-ბი-სი“, „სი-ენ-ენი“, „გარდიანი“ და ა.შ. ხშირად აქვეყნებენ სტატიებს თავიანთ ვებ-გვერდებზე და აუდიტორიისთვის ბლოკჩეინის და ბიტკოინის სისუსტეებისა თუ სიძლიერეების ახსნას ცდილობენ. აღნიშნული მედიასაშუალებების სტატიების გაცნობის შემდეგ, მკითხველს აქვს შესაძლებლობა მკაფიოდ ჩაწვდეს ამ ტექნოლოგიის შინაარსს. ცნობილი მედიასაშუალებების გამოცდილი ჟურნალისტები კი გვეუბნებიან, რომ ბიტკოინის სისტემაში თითოეული პიროვნების მიერ განხორციელებული ტრანზაქცია უნდა იყოს აღრიცხული და არცერთ პირს არ უნდა შეეძლოს ციფრული ვალუტის კონკრეტული ოდენობის ორჯერ დახარჯვა, სწორედ ამ პროცესის მართვას და შემოწმებას ეწოდება “mining”. Miner-ები კი, რომლებიც ამ პროცესს უზრუნველყოფენ, იღებენ ახლად შექმნილ ბიტკოინებს და მათ მიერ შემოწმებული ტრანზაქციის საკომისიოს.

თემა აქტუალურია გერმანულენოვანი მედიისთვისაც. ცნობილი გამოცემის, „ცაიტის“ ვებ0გვერდზე მრავლი სტატიაა, რომელიც ამ თემას ეძღვნება. ავტორები აქაც გვეუბნებიან, რომ დღეს თითოეული ტრანზაქციის გადამოწმება და ახალი ბიტკოინის შექმნა საჭიროებს უფრო მეტ კომპიუტერულ სიმძლავრეს და, შესაბამისად, ელექტროენერგიას, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. ეს ტენდენცია, ზრდადია და ბიტკოინის საბოლოო ერთეულის შექმნამდე უფრო მეტი რესურსი იქნება საჭირო miner-ების მხრიდან, ამიტომ ელექტროენერგიის მოხმარება საკმაოდ სწრაფად იზრდება “mining” ფერმებში.

ბლოკჩეინის ტექნოლოგია დაფუძნებულია შუამავლების გაქრობის იდეაზე, რაც, ცხადია, Uber-ის, Airbnb-ის და TaskRabbit-ის ცენტრალიზებული ბიზნეს მოდელების მქონე ინტერნეტ პლატფორმებს მნიშვნელოვნად შეცვლის.

როგორც ბიტკოინის ძირითადი დეველოპერები და ევანგელისტები ამბობენ ბიტკოინის ინფრასტრუქტურას სჭირდება სამი რამ:

- გაცვლა (ბირჟა), რათა მოხდეს სხვა ვალუტების ღირებულების გადადინება ციფრულ ვალუტაში

- გადახდების წარმოება, რაც თავის მხრივ ზრდის ბიტკოინის ნდობას

- ბიტკოინის საფულეები.

მსოფლიო ეკონომიკური გამოცემა „ფორბსი“ დიდი ხანია ბლოკჩეინის თემით დაინტერესდა, იგი აუდიტორიას არამხოლოდ მის დადებითმხარეებზე, არამედ ნაკლოვანებებზეც აფრთხილებს თავისი მასალებიდან, რომლებიც მრავლად აქვს აღნიშნულ თემაზე და გვეუბნება, რომ დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში ბლოკჩეინმა და ბიტკოინმა საკმაოდ დიდი ყურადღება მიიპყრო, თუმცა, ტექნოლოგიის სიახლის და გამოუცდელობის გამო, იგი ჯერ კიდევ ნელ ტემპში მიიღება.

ბლოკჩეინის ტექნოლოგია ახალი ინტერნეტის მთავარი ღერძია, რომელიც ციფრულ ინფორმაციას საშუალებას აძლევს გავრცელდეს, მაგრამ არ იყოს დაკოპირებული. ის, თავდაპირველად, ციფრული ვალუტის ბიტკოინისთვის, შეიქმნა, მაგრამ ამჟამად ბლოკჩეინის სხვა გამოყენების გზებსაც ეძებს.

ბიტკოინს ციფრულ ოქროსაც უწოდებენ და საკმაოდ საფუძვლიანადაც. დღევანდელი მონაცემებით, ვალუტის ჯამური ღირებულება 180 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღემატება, ბლოკჩეინს კი შეუძლია, სხვა ტიპის ელექტრონული ვალუტის შექმნაც. ინტერნეტის (ან თუნდაც, მანქანის) მსგავსად, ჩვენ არ გჭირდება ვიცოდეთ, თუ როგორ მუშაობს ბლოკჩეინი იმისათვის, რომ ამით ვისარგებლოთ. მიუხედავად ამისა, ამ ახალი ტექნოლოგიის შესახებ მცირე ინფორმაციაც კი გვაჩვენებს, თუ რატომაა ის რევოლუციური. წარმოვიდგინოთ ცხრილი, რომლის ათასობით ეგზემპლარიც მთელ კომპიუტერების ქსელსაა მოდებული. ახლა კი დავუშვათ, რომ ეს ქსელი მუდმივად ანახლებს ჩვენს ცხრილს და ჩვენ ბლოკჩეინის შესახებ ზოგადი წარმოდგენა უკვე გვექმნება.

ბლოკჩეინზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, ის განიხილება, როგორც გაზიარებული და ერთმანეთთან შეთანხმებული მონაცემთა ბაზა.

ბლოკჩეინის მონაცემთა ბაზა არ არის ერთ ადგილას შენახული, რაც ნიშნავს, რომ ყველა მასში შემავალი მონაცემი ნამდვილად საჯაროა და ადვილად შესამოწმებელი. არ არსებობს ამ ინფორმაციის ცენტრალიზებული ვერსია, რომელშიც ჰაკერს შეუძლია შეაღწიოს. ის ერთბაშად მილიონობით კომპიუტერს მასპინძლობს და მისი მონაცემები ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვისაც ინტერნეტი აქვს.

2.1. ბლოკჩეინი - დეცენტრალიზებული ტექნოლოგია

გავლენიანი გამოცემა „ეკონომისტი“ ბლოკჩეინსისტემის მრავალ ასპექტს ეხება და გვეუბნება, რომ ბლოკჩეინის ტექნოლოგია ინტერნეტივითაა, რადგან აქვს ჩამონტაჟებული მდგრადობა, ანუ, ის ინახავს ინფორმაციის ბლოკებს, რომლებიც მთელს ქსელში ერთმანეთის იდენტურია, ის არ შეიძლება გაკონტროლდეს ან გაუქმდეს ერთი პირის მიერ.

„ეკონომისტის“ მასალებში ასევე ახსნილია ბიტკოინის მუშაობის შესახებ. რომელიც მისი ისტორიით იწყება და გვამცნობს, რომ ბიტკოინი 2008 წელს შეიქმნა. ამ დროიდან მოყოლებული, ის ყოველგვარი შეფერხების გარეშე მუშაობს. (ყველა პრობლემა, რომელიც აქამდე ბიტკოინთან დაკავშირებით წამოჭრილა, ეხება ჰაკერებს და ცუდ მენეჯმენტს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პრობლემები ეხება არასწორ განზარხვებსა და ადამიანურ შეცდომებს და არა მთავარი პრინციპის დეფექტებს.)

ბლოკჩეინის ქსელი დამოკიდებულია კონსენსუსზე - ანუ შეთანხმებაზე, რომელიც ყოველ ათ წუთში ერთხელ ავტომატურად ამოწმებს საკუთარ თავს. ციფრული ვალუტის თვითშემოწმებით, ქსელი ამოწმებს ყველა სავაჭრო ოპერაციას, რომელიც დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში განხორციელდა. თითოეულ ასეთ ოპერაციას ბლოკი ეწოდება. აქედან რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურება იკვეთება:

- გამჭვირვალე მონაცემი მთლიან ქსელში ინახება და მისი ნახვა ყველას შეუძლია.

- შეუძლებელია მისი გაყალბება, რადგან მონაცემების შეცვლა საჭირო იქნება არაერთ კონკრეტულ ადგილას, არამედ ქსელში ჩართულ ყველა კომპიუტერში.

- თეორიულად მონაცემების გაყალბება შესაძლებელია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდო.

- გაყალბების შემთხვევაში ბიტკოინი თავის ღირებულებას სრულად დაკარგავს.

- დიზაინის მიხედვით, ბლოკჩეინი დეცენტრალიზებული ტექნოლოგიაა.

ნებისმიერი რამ, რაც მის შიგნით ხდება, აისახება მთელს ქსელზე, როგორც ერთ მთლიანზე. სავაჭრო ოპერაციების შემოწმების ახალი გზის შექმნით, ტრადიციული კომერცია შეიძლება აღარც დაგვჭირდეს, რადგან თუ მონაცემი ყველასთვის მისაწვდომია და მისი გაყალბება შეუძლებელი, იკარგება ფინანსური შუამავლის (მაგ. ბანკის) არსებობის საჭიროება. გარდა ამისა, ბლოკჩეინი შესაძლებელს ხდის, შევინახოთ სხვადასხვა ტიპის მონაცემები აბსოლუტურად საჯაროდ.

კომპიუტერების გლობალური ქსელი იყენებს ბლოკჩეინის ტექნოლოგიას, რათა ბიტკოინებით წარმოებული სავაჭრო ოპერაციები მართოს. მარტივად რომ ვთქვათ, ბიტკოინი მართვადია თავისივე ქსელის მეშვეობით და არა ერთი კერძო პირის მიერ. დეცენტრალიზაცია ნიშნავს, რომ ქსელი მუშაობს სტრუქტურით - მომხმარებლიდან მომხმარებლამდე.

ამჟამად ფინანსური ოპერაციები ბლოკჩეინტექნოლოგიას საკმაოდ კარგად გამოყენების შესაძლებლობებს სთავაზობს. მაგალითად, ასეთია საერთაშორისო ფულადი გადარიცხვები. მსოფლიო ბანკი აცხადებს, რომ 2015 წელს დაახლოებით 430 მილიარდი ამერიკული დოლარის ოდენობის ტრანზაქცია შესრულდა და ყველა მათგანი ფინანსური შუამავლის დახმარებით. ბლოკჩეინს აქვს იმის პოტენციალი, რომ ამ ტრანზაქციებში ფინანსური შუამავალი ამოაგდოს.

მთელ ქსელში მონაცემების შენახვით ბლოკჩეინი ამცირებს ისეთ რისკებს, რომლებსაც მონაცემების ერთ ცენტრალურ ადგილას შენახვა იწვევს.
მისი ქსელი გამოირჩევა ცენტრალიზაციის არარსებობით, რაც ჰაკერებისგან თავდაცვის გარანტიას იძლევა.
ბლოკჩეინი არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგია, არამედ აზროვნების ახალი მოდელია, რომელიც მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში გამოიწვევს საზოგადოების ფუნქციონირების დღევანდელი მოდელის ტრანსფორმაციას მრავალ სექტორში.

პოპულარული ჟურნალისტურ სტატიებში იმის შესახებ, თუ რას მივიღებთ ბლოკჩეინის შედეგად, რომ დღევანდელი სავალუტო გაცვლის (გადახურდავების და სხვადასხვა ოპერაციის განხორციელების) სისტემა მოძველებულია, რთული და ძვირადღირებული პროცესია. ციფრული სისტემები იმდენად მასობრივია, რომ მათ შეუძლიათ არსებული მდგომარეობით რევოლუცია მოახდინონ. ხოლო, ის სარგებელი, რასაც ეს რევოლუცია მოიცავს, არის ტრანზაქციების შემცირება, როგორც ქვეყნების შიგნით, ისე საზღვრებს გარეთ, რაც, საბოლოოდ, ბევრ რისკს და ხარჯს შეამცირებს. შედეგად მივიღებთ:

- მარეგულირებელი და მონეტარული პოლიტიკის თავისუფლებას
- ფულის მარტივ ხელმისაწვდომობას
- მეტ ანონიმურობას, დაცულობას და
- ამავდროულად, მეტ გამჭვირვალობას.

ეკონომიკური სფეროს ჟურნალისტები წერენ, რომ თუ გრძელვადიანი და მომგებიანი პერსპექტივით შევხედავთ ამ ყოველივეს და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე მსოფლიოს ციფრულ ინფრასტრუქტურასთან ხელმისაწვდომობის პრობლემა, ფაქტობრივად, არ აქვს, ცხადია, უკვე არის და იზრდება საჭიროება იმისა,

რასაც ციფრული გაცვლის მედიუმი ჰქვია. ფულის მომავალი ციფრულია და ბიტკოინი არის პირველი დიდი წარმატება, რომელიც მსოფლიოსთვის დიდ ცვლილებებს მოიტანს. ციფრულმა რევოლუციამ და ბიტკონის პოპულარობამ ცხადყო, რომ ციფრული აქტივები ალტერნატიული აქტივების ინვესტირებისთვის საყურადღებოა.

მკვლევრები და სტატიების ავტორები ასევე გვეუბნებიან, რომ უპირველეს ყოვლისა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიტკოინის ბაზარმა გამოავლინა მისი დასტაბილურების ნიშნები და ასევე, სხვა სახასიათო ნიშნები, როგორებიცაა:

- არასტაბილურობის შემცირება (ე.ი. რისკი) და
- გაზარდა ხელმისაწვდომობა (ანუ მყიდველი და გამყიდველი ადვილად პოულობენ ერთმანეთს და თანხმდებიან კონკრეტულ ფასზე).

თავი 3. ბლოკჩეინსისტემის შესაძლო რისკები

ცნობილი ინვესტორებისა და ფინანსური ინსტიტუტების დიდი ნაწილი, ასევე, მსოფლიოს ცენტრალური ბანკები, ბლოკჩეინს ფინანსურ პირამიდად და ,,სპეკულაციურ ბუშტად" მიიჩნევენ, რომელიც ადრე თუ გვიან გასკდება, თუმცა, როდის, ამას ჯერჯერობით ვერავინ ამბობს.

ინვესტორთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ბიტკოინი და ზოგადად, ვირტუალური ვალუტა მომავლის ფულია და ერთი ბიტკოინის ღირებულება სამი წლის თავზე 500 ათას დოლარს ან სულაც, მილიონს მიაღწევს. შესაბამისად, კრიპტოვალუტასა და კერძოდ, ბიტკოინზე, მოთხოვნა ძალიან სწრაფად იზრდება, განსაკუთრებით იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და ჩინეთში. მომხრეები თავიანთ მოსაზრებას იმით განამტკიცებენ, რომ ბიტკოინი დეკემბერში ჩიკაგოს გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ორ უმსხვილეს პლატფორმაზეც დაიშვა. კრიპტოვალუტის მიმართ საინვესტიციო ისტერიკა გასული საუკუნის ოქროს ციებ-ცხელებას შეიძლება შევადაროთ, როდესაც იოლი ფულის შოვნის მარათონში დიდი რაოდენობით არაპროფესიონალებიც ჩაერთნენ.

გასათვალისწინებელია, რომ ბლოკჩეიენის სისტემა არ არის ბიტკოინის სინონიმი, ეს არის ტექნოლოგია და მუშაობის პრინციპი და მისი გამოყენება შესაძლებელია, ზოგადად, მონაცემთა შენახვის თვალსაზრისითაც.

სპეციალისტები ჯერჯერობით ბოლომდე ვერ თანხმდებიან, რა არის კრიპტოვალუტა – საქონელი თუ ვალუტა, რადგან ის ორივე კონცეფციის ელემენტებს მოიცავს, ამიტომ კრიტპოვალუტების ნაწილს აქტივებად თვლიან, ნაწილს იგივე ბიტკოინის ჩათვლით – ვალუტად.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ მომხმარებელს ელექტრონული საფულის პაროლი დაავიწყდება, მისი აღდგენა შეუძლებელია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიპტოვალუტის ფასი ძალიან მაღალი მერყეობით გამოირჩევა, რის გამოც ინვესტირება დიდ რისკთან არის დაკავშირებული და მას ეკონომისტების დიდი ნაწილი ,,სპეკულაციურ ბუშტად" მიიჩნევს, რომელიც სულ მალე გასკდება.

ეკონომიკის დარგში 2013 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ შილერი მიიჩნევს, რომ ბიტკოინი ,,სპეკულაციური ბუშტის“ საუკეთესო მაგალითია. ამის შესახებ მან ინტერნეტრესურს Quartz-თან ინტერვიუში თქვა:

„ფინანსური ბუშტი მაშინ წარმოიქმნება, როდესაც მცირე აქტივის უკან ძალიან დიდი ფული დგას, რის შედეგადაც ამ აქტივების გადაფასება ხდება“.

ცნობილმა ამერიკელმა ფინანსისტმა ლარი ფინკმა ბიტკოინს „ფულის გათეთრების ინდექსიც“ კი უწოდა. მისი აზრით, ბიტკოინის ფასის ზრდა აჩვენებს, რამდენად დიდია მსოფლიოში მოთხოვნა ფულის გათეთრებაზე.

ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები ღელავენ, რომ ბიტკოინის და ზოგადად, კრიპტოვალუტის დამკვიდრება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ცენტრალურ ბანკებს, აწარმოონ ოფიციალური მაკროეკონომიკური სტატისტიკა, თუ როგორ მუშაობს და რას აწარმოებს ეროვნული ეკონომიკა რაც, თავის მხრივ, პრობლემებს უქმნის მონეტარული პოლიტიკის სწორად განხორციელებას.

ჰაკერების, იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრე ჯგუფებში კრიპტოვალუტა დიდი პოპულარობით სარგებლობს იმის გამო, რომ არ ჩანს, ვინ არის მისი მფლობელი. ამდენად, კრიპტოვალუტა ამარტივებს თანხების ბრუნვას კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის.

ანონიმურობის გამო ვერ დააბრუნებ დაკარგულ ბიტკოინებსაც. მაგალითად, პროგრამისტმა ჯეიმს ჰაუელსმა დაკარგა თავისი მყარი დისკი, რომელშიც 7500 ბიტკოინის მონაცემები ინახებოდა, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ბიტკოინის სისტემა ანონიმურია, ჰაუელსმა ვერ დაამტკიცა, რომ დაკარგული ბიტკოინები მას ეკუთვნოდა. თუ ადამიანი თავის საიდუმლო გასაღებს დაკარგავს, სისტემა იმდენად დაცული და ანონიმურია, რომ შეუძლებელია მისი აღდგენა.

3.1. ბლოკჩეინის ძლიერი და სუსტი მხარეები

ბლოგერები ვოოჩუნგ სონგი, სტონ ში, ვიქტორია ქსიუ და გურსაჰიბ გილი თავის გვერდზე ბლოკჩეინის ორივე მხარეზე წერენ.
ძლიერი მხარეები:

- გაძლიერებული მომხმარებელი - მომხმარებლებს სრულად შეუძლიათ აკონტროლონ თავიანთი ინფრომაცია და ტრანზაქციები.

- მაღალი ხარისხის მონაცემები - ბლოკჩეინის მონაცემები არის სრული, თანმიმდევრული, დროული და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

- გამძლეობა, საიმედოობა და ხანგრძლივობა - დეცენტრალიზებული ქსელების გამო, ბლოკჩეინს არ აქვს ერთი ცენტრალური „მარცხის წერტილი“ და შესაბამისად, ჰაკერების შეტევებს უკეთ უძლებს.

- პროცესის მთლიანობა - მომხმარებლებს შეუძლიათ დარწმუნებულები იყვნენ, რომ ტრანზაქციები შესრულდება ისე, როგორც ამას ბლოკჩეინის პროტოკოლი ითვალისწინებს, ყოველგვარი მესამე პირის, ანუ შუამავლის გარეშე.

- გამჭვირვალობა და უცვლელობა - ბლოკჩეინის სისტემაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, ეს ყველასთვის თვალსაჩინო და გამჭვირვალე იქნება. ყველა ტრანზაქცია უცვლელია, რაც გულისხმობს იმას, რომ მათი წაშლა ან შეცვლა შეუძლებელია.

- ეკოსისტემის გამარტივება - ყველა ტრანზაქცია განთავსებული იქნება ერთ ანგარიშზე. ეს შეამცირებს რისკებს, გართულებებს და ნაკლებად ჩახლართული იქნება.
- სწრაფი ტრანზაქციები - ბანკთაშორის ტრანზაქციებს შეიძლება დღეები დასჭირდეს ინფორმაციის გადამოწმებისა და ოპერაციების განხორციელებისთვის, განსაკუთრებით, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ან არასამუშაო დღეების დროს. ბლოკჩეინის ტრანზაქციებს შეუძლიათ აღნიშნული დრო წუთებამდე შეამციროს და იმუშაოს 24 საათი 7 დღის განმავლობაში.

სუსტი მხარეები:

- განვითარებადი ტექნოლოგია - გადაჭრა ისეთი გამოწვევებისა, როგორებიცაა ტრანზაქციის სიჩქარე, გადამოწმების ანუ ვერიფიკაციის პროცესი და მონაცემების ლიმიტი უმნიშვნელოვანესი იქნება, თუ ბლოკჩეინის ტექნოლოგია ფართოდ დაინერგება.

- გაურკვეველი მარეგულირებელი სტატუსი - თანამედროვე ვალუტები ყოველთვის იქმნება და რეგულირდება მთავრობების მიერ. ბლოკჩეინი და ბიტკოინი დაბრკოლება იქნება, რაზეც ფინანსური ინსტიტუტები უკვე საუბრობენ, თუ ის არ დარეგულირდება რომელიმე კანონმდებლობით, რადგან სწორედ ამ ინსტიტუტებს მოუწევთ აღნიშნული სისტემის ადაპტირება.

- განუსაზღვრელად დიდი ენერგომოხმარება - ბიტკოინის და ბლოკჩეინის ქსელში ჩართული ადამიანები 450 ტრილიონ ოპერაციას ასრულებენ წამში ტრანზაქციების შემოწმების მიზნით და ამისთვის ბევრი კომპიუტერის მდგრად ძალას იყენებენ.

- კონტროლი, უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა - მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გადაწყვეტილება, ბლოკჩეინის ქსელში ნებაყოფლობით ჩართვისა და ისიც ცნობილია, რომ ქსელში ჩართვა უსაფრთხოა, მაინც არის კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით კითხვები, რომლებიც გადასაწყვეტია, სანამ საზოგადოება ბლოკჩეინს მთლიანად მიაწვდის პერსონალურ მონაცემებს და ჩაერთვება ამ სისტემაში.

- ინტეგრაციის საკითხები - ბლოკჩეინის აპლიკაციები გვთავაზობენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამჟამინდელი, ანუ არსებული სისტემის ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს. ამ გადართვის განსახორციელებლად, სხვადასხვა კომპანიამ უნდა განახორციელოს ტრანზაქციები, რაც ასევე სარისკოა, რადგან ჯერჯერობით, არ არსებობს იმის გარანტია, რომ აღნიშნული ტრანზაქციები წარმატებით ჩაივლის.

- კულტურული ინტეგრაცია - ბლოკჩეინი წარმოადგენს დეცენტრალიზებულ ქსელს, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენი მონაცემების გადატანა მოხდება სრულად, რაც, გარკვეულწილად, მომხმარებლების შესყიდვას გულისხმობს.

- ღირებულება - ბლოკჩეინი გვთავაზობს დროის დიდ დაზოგვას ტრანზაქციების განხორციელებისას, მაგრამ თავდაპირველი კაპიტალის გადატანის ხარჯები შეიძლება იყოს ძალიან მაღალი და შესაბამისად, საზოგადოებისთვის ამ ქსელში ჩართვის შემაკავებელი მიზეზი.

დასკვნა

გაანალიზებული მასალებიდან გამომდინარე, მედიასთან დაკავშირებით, ბლოკჩეინ სისტემის რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა. კერძოდ:

- საავტორო უფლებების დაცვა უნივერსალური, ღია და შეუცვლელი მონაცემთა ბაზის გამოყენებით.
- ამ ტექნოლოგიას შეუძლია უტყუარად დაადასტუროს ყველაფრის არსებობა და დაგვანახოს, რომ გარკვეული ინფორმაცია, გარკვეულ დროს, სწორედ ამ ფორმით და ამ სახით არსებობდა.
- ამ ტექნოლოგიამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ აუდიტორიას ტექსტების პოვნა შეეძლოს მარტივად
- ჟურნალისტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის ტექსტებს არავინ მოიპარავს და საავტორო უფლებები დაცული იქნება.

ამასთან, მედიის წარმომადგენლები და მკვლევრები, რომლებიც ბლოკჩეინსისტემას მედიას უკავშირებენ, საუბრობენ გარკვეულ ცვლილებებზე, ესენია:

- დისტრიბუციის,
- ჰონორარისა და
- ლიცენზირების ხარჯების შემცირება.

ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მედია მთლიანად ბლოკჩეინსისტემაზე გადავა.

შესწავლილი მასალებიდან ასევე გამოიკვეთა, რომ ბლოკჩეინსისტემამ ერთი კონკრეტული გზით შეიძლება წაიყვანოს ჟურნალისტიკა და ეს იქნება:

- რადიკალურად ღია მიდგომა ფაქტებზე დამყარებული და პასუხისმგებელობით სავსე ჟურნალისტიკისადმი.

- ეთერუმზე (ეთერუმი - კრიპტოვალუტა, ანუ ელექტრონული ინტერნეტვალუტა, ისეთივე როგორც ბიტკოინი) დაფუძნებული რეკლამისგან თავისუფალი ბაზარი.

აღნიშნული სისტემის საშუალებით, მოხდება ე.წ. ორმხრივი მუშაობა, რაც, როგორც მედიამკვლევრები ვარაუდობენ, ბევრად მოქნილი იქნება ჟურნალისტებისთვის. ეს ორმხრივი სისტემა შემდეგნაირი იქნება:

- ნიუსრუმი, სადაც მოქალაქეებს შეეძლებათ ხელი შეუწყონ გარკვეულ თემებზე მუშაობას.
- მედიასადგურები, რომლებსაც მართავენ ჟურნალისტები.

მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება არსებობს და იმასაც კი ვარაუდობენ, რომ ეს სისტემა ,,ფინანსური ბუშტივით“ გასკდება, ასევე, არსებობს მეორე მხარე, რომელიც აქტიურად იკვლევს მის თავისებურებებს. ხშირად, აღნიშნული სიახლეები, ფინანსური ექსპერტების, განსაკუთრებით კი, დიდი საბანკო კორპორაციების წარმომადგენლების მოსაზრებით, არაფერია თუ არა მორიგი ფინანსური პირამიდა, ან ამ შემთხვევაში, ,,ფინანსური ბუშტი“. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბლოკჩეინსისტემის დანერგვა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ რომ საბანკო სფეროს წარმომადგენლებს არ აძლევთ ხელს, რადგან ეს სისტემა შუამავლის ამოგდებას გულისხმობს და სხვა არაფერია, თუ არა ბაზრიდან საბანკო სექტორის, დიდწილად, გაქრობა და მისი საჭიროების მინიმუმამდე დაყვანა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ექსპერტებს, მეცნიერებს, მკვლევარებს და ბანკირებს მაინც უჭირთ წინასწარ იმის თქმა, საბოლოოდ, რას მოგვცემს ან რა იქნება ბლოკჩეინის სისტემა. წლების წინ, როდესაც ინტერნეტის ქსელის დანერგვა და გავრცელება იგეგმებოდა, მაშინაც იყვნენ სკეპტიკოსები, რომლებიც დიდ მომავალს და შედეგს არ უწინასწარმეტყველებდნენ ონლაინსფეროს.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ იმ კვლევების შედეგებიც, რომელთა მიხედვითაც რომ, ადრე თუ გვიან, ბლოკჩეინსისტემა დაინერგება და ყველას მოგვიწევს ციფრულ ვალუტაზე გადასვლა.

მედიის წარმომადგენლები და ჟურნალისტები კი დიდ სიახლეებს ელიან. ისინი უკვე მუშაობენ იმაზე, რომ ეს სისტემა რაც შეიძლება დროულად იქნეს ბოლომდე შესწავლილი.

ბლოკჩეინის თეორეტიკოსების ძირითადი მიგნებები

- ბლოკჩეინი მედიის სფეროზე დიდ გავლენას მოახდენს - ის ძირეულ ცვლილებებს შეიტანს მასალის მოპოვების, გავრცელებისა და ინფორმაციის გაცვლის კუთხით.

- ბლოკჩეინის სისტემაზე გადასვლა ამ დროისთვის სარისკოა - სანამ კანონმდებლობით არ დარეგულირდება და საგადასახადო ნორმებთან მიმართებით არ დაწესდება რეგულაციები, მისი მოხმარებაში ჩაშვება არასანდოა, რადგან შესაძლოა დაიკარგოს ბევრი მონაცემი და ასევე, ფული, რომლის უკან დაბრუნებაც, სავარაუდოდ, ვერ მოხდება.

- ბლოკჩეინსისტემაზე გადასვლა და ციფრული ვალუტის მიმოქცევაში შესვლა შეუქცევადი პროცესია - ადრე თუ გვიან, გარკვეული წინააღმდეგობების მიუხედავად, იგი მაინც გახდება ისეთივე მოხმარებადი, როგორც ინტერნეტია. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ბლოკჩეინი ინტერნეტივით სასიცოცხლოდ მნშვნელოვანი იქნება ყველა სფეროსთვის, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, როდის მოხდება ეს.

- მედია გაიწმინდება ე.წ. ნაგვისგან - ამ სისტემის დანერგვის შემდეგ, აღარ დასჭირდება სხვადასხვა ვებ-გვერდს და მედიასაშუალებას, რომ რეკლამებით ააჭრელონ თავიანთი მასალები ფინანსური ინტერესის მიზნით. ბლოკჩეინის სისტემის მეშვეობით, საიტზე გადასვლის შემდეგ, ის ავტომატურად დაიწყებს მომხმარებლების კომპიუტერებიდან ე.წ. მაინინგს და ამ გზით გამოიმუშავებს ელექტრონულ ფულს.

- ჯერ ბოლომდე არ არის გარკვეული შუამავლების ანუ ბანკების ბედი - ისინი, ვინც ამ სისტემას ფინანსურ ბუშტად აფასებენ, გარკვეულწილად, დიდი საფრთხის

წინაშე დგანან, რადგან ამ დროისთვის, უცნობია, რას მოიმოქმედებენ დიდი ფინანსური კორპორაციები ბლოკჩეინის სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში.

- ის ფაქტი, რომ ბლოკჩეინ სისტემიდან ინფორმაციის და მონაცემების ამოშლა შეუძლებელი იქნება, რამდენად არის დადებითი მოვლენა, ამაზე დღემდე კამათობენ.

- კითხვები ელექტროენერგიის მოხმარებასა და კომპიუტერის სიმძლავრესთან დაკავშირებით. ბლოკჩეინის სისტემის და ბიტკოინის გამომუშავების მეთოდთან დაკავშირებით, მრავალგზის ახსნის მიუხედავად, ზოგიერთი დეტალისადმი მომხმარებლები მაინც ორჭოფობენ. მათ აფიქრებთ, თუ რამდენად გაუძლებს ამ სიმძლავრეს მათი კომპიუტერები, მოიხმარს თუ არა ზედმეტად ბევრ ელექტროენერგიას ციფრული ფულის გამომუშავების დროს მათი ტექნიკა და ა.შ.

- ბლოკჩეინის სისტემა თავისი გამჭვირვალობიდან და ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე კორუფციიის დონესაც შეამცირებს. იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ ქსელში ყველა იქნება ჩართული და ყველას შეეძლება ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის ნახვა და თვალყურის დევნება. ფაქტობრივად, ეს სისტემა კორუფციასთან ბრძოლის მეთოდადაც შეგვიძლია აღვიქვათ.

- როგორც უკვე აღინიშნა, ბლოკჩეინის სისტემაში, ანუ ამ ჯაჭვში, რომელშიც შეინახება და ჩაიწერება ყველანაირი მონაცემი და ინფორმაცია, ჩართული იქნება 8000-დან 9000-მდე კომპიუტერი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ ქსელში და სისტემაში ჩართვა კი ნებისმიერს შეეძლება თავისი კომპიუტერის ბლოკჩეინის სისტემასთან მიერთების გზით. სწორედ აქედან გამომდინარე, ბლოკჩეინსისტემა როგორც მასობრიბვი კომუნიკაციის ერთ-ერთი უახლესი საშუალება ჯერ არ მოხმარება, თუმცა, მისი ამოქმედება მედია მკვლევრების აზრით, გარდაუვალია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kimberley Peter, Michael Shaus, დეკემბერი 2016, Understanding Bitcoin Currency and Blockchain Technology as a Media System: An integrated systems and foresight..., ბოლო ნახვა: 15 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.researchgate.net/profile/Kimberley_Peter2/publication/315708036_Understanding_Bitcoin_Currency_and_Blockchain_Technology_as_a_Media_System_An_integrated_systems_and_foresight_model_approach/links/58dd9dedaca27206a8a1bff5/Understanding-Bitcoin-Currency-and-Blockchain-Technology-as-a-Media-System-An-integrated-systems-and-foresight-model-approach.pdf

2. Bruce Pon, 17 თებერვალი 2017, Blockchain is going to hit the media industry hard, just like the Internet, ბოლო ნახვა: 15 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://blog.bigchaindb.com/blockchain-is-going-to-hit-the-media-industry-hard-just-like-the-internet-aef636ef8067

3. Steve Olenski, 9 აგვისტო 2017, Will Blockchain Reinvent Social Media?, ბოლო ნახვა: 15 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.forbes.com/sites/steveolenski/2017/08/09/will-blockchain-reinvent-social-media/#623eac943ec1

4. Michael Devision, 2 სექტემბერი 2016, How Blockchain will Transform Media and Entertainment, ბოლო ნახვა: 15 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: http://blog.trueinteraction.com/how-blockchain-will-transform-media-and-entertainment

5. Monitor Deloitte, 22 თებერვალი 2017, Blockchain @ Media A new Game Changer for the Media Industry?, ბოლო ნახვა: 16 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან:

https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/tr/Documents/technology-media-telecommunications/deloitte-PoV-blockchain-media.pdf

6. Shareen Pathak, 17 ივლისი 2017, How blockchain is used in media and advertising, ბოლო ნახვა“ 16 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://digiday.com/marketing/cheatsheet-blockchain-media-advertising/

7. Christoph Bergmann, 15 აგვისტო 2017, Po.et möchte den Journalismus mit der Blockchain retten, ბოლო ნახვა: 16 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://bitcoinblog.de/2017/08/15/po-et-moechte-den-journalismus-mit-der-blockchain-retten/

8. Magdalena Taube, 28 ივნისი 2017, Der Journalismus wird mal wieder gerettet: Dieses Mal mit Hilfe von Blockchain, ბოლო ნახვა: 16 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.piqd.de/medien-gesellschaft/der-journalismus-wird-mal-wieder-gerettet-dieses-mal-mit-hilfe-von-blockchain

9. On.ge, 23 აპრილი 2016, როგორ მოახდენს ბიტკოინის ტექნოლოგია რევოლუციას, ბოლო ნახვა: 16 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://on.ge/story/323-ბლოკჩეინი-ბიტკოინი-რევოლუცია

10. Harald Henzler, 20 ნოემბერი 2017, Blockchain – wo und wie die Medien davon profitieren können, ბოლო ნახვა: 17 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.smart-digits.com/2017/11/blockchain-wo-und-wie-die-medien-davon-profitieren-koennen/

11. Matthew Iles, 21 ივნისი 2017, Journalism in the 21st century, ბოლო ნახვა: 17 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან:

https://medium.com/@Join_Civil/civil-self-sustaining-journalism-a5caa49005c3

12. Mark Andressen, 21 იანვარი 2014, Why Bitcoin Matters, ბოლო ნახვა: 17 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://dealbook.nytimes.com/2014/01/21/why-bitcoin-matters/?_r=1

13. Peter Smith, Candice Rosevear, 5 თებერვალი 2017, THE DIGITAL REVOLUTION Bitcoin and the future of digital assets, ბოლო ნახვა: 17 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://www.blockchain.com/whitepaper/index.html

14. Jason Kowalski, 8 იანვარი 2017, Learn 95% of Blockchain Technology Basics in this White Paper, ბოლო ნახვა: 17 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://hackernoon.com/95percent-blockchain-technology-d28673e55673

15. Cameron McLain, 8 ივლისი 2017, A Brief History of Blockchain: An Investor's Perspective, ბოლო ნახვა: 18 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://medium.com/hummingbird-ventures/a-brief-history-of-blockchain-an-investors-perspective-387c440ad11c

16. Dominic Frisby, 21 აპრილი 2016, How blockchain will revolutionise far more than money, ბოლო ნახვა: 19 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://aeon.co/essays/how-blockchain-will-revolutionise-far-more-than-money

17. Woochul Song, Stone Shi, Victoria Xu, Gursahib Gill, 21 ნოემბერი 2016, ADVANTAGES & DISADVANTAGES OF BLOCKCHAIN TECHNOLOGY, ბოლო ნახვა: 19 იანვარი 2018, ვებ-გვერდიდან: https://blockchaintechnologycom.wordpress.com/2016/11/21/advantages-disadvantages/

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა

პირველი სემესტრის დოქტორანტი

თემურ გუგუშვილი

სადოქტორო სემინარი

დაცულ ტერიტორიებთან მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პრაქტიკები

(ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფ. დოქ. ნინო დურგლიშვილი

თბილისი
2018

ს ა რ ჩ ე ვ ი

აბსტრაქტი 4

თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება 5

კვლევის მიზანი და ნაშრომის სტრუქტურა 8

კვლევის მეთოდოლოგია 9

ლიტერატურის მიმოხილვის ტიპები 10

ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა - განხორციელებული კვლევა 11

სისტემური მიმოხილვის ძირითადი მიგნებები 14

დაცული ტერიტორიის ფუნქციონირება და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა 14

არალეგალური საარსებო წყაროების სტრატეგიები 15

ტრადიციული ეკონომიკური აქტივობები შეესაბამება დაცული ტერიტორიების მიზნების 16

დაინტერესებული მხარეების ინტერესები - არსებული რესურსების გამოყენება 17

ალტერნატიული ეკონომიკური აქტივობა - ტურიზმი 17

დაცული ტერიტორიის პოზიტიური გავლენა მკვიდრი მოსახლეობის საარსებო წყაროებზე (სოციალურ და ეკონომიკური პრაქტიკები) 19

ადაპტაციის პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორები 20

დაცული ტერიტორიის შესწავლის გეოგრაფიული ასპექტები 21

დასკვნა 23

დანართი 24

ბიბლიოგრაფია 31

დიაგრამის სარჩევი

დიაგრამა 1. დაცული ტერიტორიების პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით..... 24
დიაგრამა 2. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა წლების მიხედვით..... 24
დიაგრამა 3. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა დაცული ტერიტორიების მიხედვით..... 25
დიაგრამა 4. სამეცნიერო პუბლიკაციების პორტალი scopus-ის დოკუმენტების ძებნის შედეგები (დაცული ტერიტორიის კვლევების რაოდენობა დიციპლინების მიხედვით)..... 27
დიაგრამა 5. სამეცნიერო პუბლიკაციების პორტალი Scopus-ის დოკუმენტების ძებნის შედეგები (დაცული ტერიტორიის კვლევების რაოდენობა წლების მიხედვით) 27
დიაგრამა 6. შერჩეულ პუბლლიკაციებში გამოყენებული ინფორმაციის შეგროვების მეთოდები 28
დიაგრამა 7. დაცული ტერიტორიის შესწავლის გეოგრაფიული ასპექტები 28
დიაგრამა 8. დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირებული არალეგალური აქტივობების რაოდენობა..... 29

ცხრილის სარჩევი

ცხრილი 1. დაცული ტერიტორიის კატეგორიები 26

რუკის სარჩევი

რუკა 1. ურბანიზაციის დონე ქვეყნების მიხედვით 30

აბსტრაქტი

ქვემოთ მდებარე ნაშრომში, ლიტერატურის სისტემური ანალიზის შვიდსაფეხურიანი მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია 30 სამეცნიერო პუბლიკაცია. მისი მიზანია შესწავლილ იქნას ემპირიული კვლევები, რომელთა მიგნებებიც ასახავენ დაცული ტერიტორიის როლს მკვიდრი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური აქტივობების განხორციელების პროცესში.

ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ლიტერატურის სისტემური ანალიზის მეთოდის განხორციელების აღწერას, ქეისების შესწავლას სადაც გაანალიზებულია დაცული ტერიტორიების ნარატივის გავლენას ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ქართული რეალობის ძირითადი ტენდენციების აღწერა.

ნაშრომი იძლევა საფუძველს, ქართულ რეალობაში განხორციელდეს ემპირიული კვლევა დაცული ტერიტორიებისა და ადამიანის ურთიერთქმედებაზე.

თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება

კამპანია დაცული ტერიტორიების ფართობის გაზრდის მიზნით დაიწყო 1982 წელს მსოფლიო პარკების კონგრესზე ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე. აღნიშნულ შეხვედრაზე დამსწრე დელეგატებმა რეკომენდაციის სახით აღნიშნეს, რომ თუ ყველა ქვეყანაში მოსახლეობის მცდელობა იქნება დაახლოებით 10% მიწის ფართობის დაცვა, ძალიან კარგ შედეგს გამოიღებდა სამომავლო თვალსაზრისით. ამავე შეხვედრაზე გაჟღერდა, რომ დაცულ ტერიტორიებს უნდა შეეთავსებინათ ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება (International Union for Conservation of Nature and Natural Resources., 1982). ქვეყნებში დაცული ტერიტორიების რაოდენობა და მათი მასშტაბი მუდმივად იცვლება. ფორმალურ, საერთაშორისოდ აღიარებულ დაცული ტერიტორიების გვერდით არსებობს არაფორმალური ადგილები, რომელთა მიზანიც არის ბიომრავალფეროვნების დაცვა. მიუხედავად იმისა რომ, არსებული სტატისტიკა სრული სიზუსტით ვერ ასახავს რეალობას, რომელიც ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა და სტაბილურად მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს *(იხ. დანართი, დიაგრამა #1).*

საქართველო აღნიშნული მზარდი დინამიკის ნაწილია. 1996 წელს საქართველოში მიიღეს კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ და შემოტანილი იქნა ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUGN) კატეგორიები *(იხ. დანართი, ცხრილი #1).* მიუხედავად იმისა, რომ კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ 1996 წელს მიიღეს ნაკრძალები და სატყეო მეურნეობები[1], რომლებიც ასევე შეიძლება მიგვეკუთვნებინა დაცული ტერიტორიებისათვის უფრო ადრე არსებობდა (ზურაბ გურიელიძე, 2002). აღსანიშნავია, რომ პირველი ნაკრძალი დაარსდა 1912 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხოლო პირველი სამონადირეო მეურნეობა 1957 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში. ამჟამად საქართველოში სულ 14 სახელმწიფო ნაკრძალია და 19 აღკვეთილია, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 198,905 ათას ჰა-ს (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2017).

[1] 1997 წლიდან საქართველოს კანონის „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ თანახმად, არსებული სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობების ბაზაზე შეიქმნა აღკვეთილები [დაცული ტერიტორიების სააგენტო].

საქართველოში დაახლოებით ბოლო ათი წლის განმავლობაში აქტიურად ვითარდება დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურა, ასევე პერმანენტულად იზრდება შიდა და საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა *(იხ. დანართი, დიაგრამა #2 და #3).*

დაცული ტერიტორიის გამოცხადებას/განვითარებას თან სდევს ეკოსისტემის დაცვის მიზნით შეზღუდვებისა და რეგულაციების დაწესება, რომელიც ძირითადად შეესატყვისება IUCN-ის რეკომენდებულ პრინციპებს. დაცული ტერიტორია თავისი კონცეფციით, რეგულაციებით ქმნის მოცემულ ტერიტორიაზე ახალ რეალობას „Virtualism" (West, Igoe, & Brockington, 2006). მკვიდრი მოსახლეობა იწყებს თავისი ყოველდღიური სოციალური, ეკონომიკური აქტივობების განხორციელებას განახლებული წესების გარემოში.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპების მიხედვით განახლდა ბიომრავალფეროვნების რეგულაციები ბევრ ქვეყანაში, ის გახდა დაცული ტერიტორიის მეინსტრიმული კონცეფცია. უფრო მეტიც მან შექმნა ახალი ნორმები, ნარატივი, ტერიტორიის ხედვისა და მართვის შესაძლებლობები, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სოციალურ, ეკონომიკურ და ა.შ. გარემოზე (West et al., 2006). აღნიშნული კონცეფციის მნიშვმელოვანი მახასიათებელია ადამიანის, ბუნების დიქოტომიის პერსპექტივა, რომელსაც დიდი მატერიალური და სოციალური გავლენა აქვს. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ რიგ შემთხვევებში ადგილობრივებს უწევთ ახალ რეალობასთან შეგუება, ადაპტაცია მათ შორის საარსებო წყაროების არსებული, ტრადიციული პრაქტიკების ტრასფორმაცია (Woods, 2011).

აკადემიური სფეროს წარმომადგენლების მხრიდან, აღნიშნული მოვლენის მიმართ ინტერესი დღითი დღე იზრდება. სკოპუსში ინდექსირებული პუბლიკაციებიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წლიდან წლამდე მატულობს. აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციების 11 პროცენტი სოციალურ მეცნიერებებზე მოდის *(იხ. დანართი, დიაგრამა #4).*

საქართველოშიც იზრდება იმ ქართველი და უცხოელი მკვლევარების რაოდენობა, რომლებიც კვლევებს დაცულ ტერიტორიაზე თუ მის შემოგარენში ახორციელებენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს კვლევები მეტწილად მიეკუთვნება პალეონტოლოგიას, ზოოლოგიას, გეოლოგიას და სოციალური მეცნიერების სფეროში ჩატარებული კვლევები/პუბლიკაციები რთულად თუ მოიპოვება (დაცული ტერიტორების სააგენტო, 2017). ეს ფაქტიც მეტყველებს ქვემოთ მდებარე საკითხის სისტემური მიმოხილვის პრაქტიკულ და სამეცნიერო ღირებულებაზე. ქვემოთ მდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ის პუბლიკაციები, რომლებიც ეძღვნება დაცული ტერიტორიების[2] უნქციონირებას, მის როლოს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური პრაქტიკების წარმოებაში. წარმოდგენილი ნაშრომი იძლევა საფუძველს ქართულ რეალობაში გააქტიურდეს მსჯელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ბიძგი მისცეს ემპირიული კვლევების განხორციელებას.

[2] ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენების შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე [საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ].

კვლევის მიზანი და ნაშრომის სტრუქტურა

ლიტერატურის სისტემური ანალიზის მიზანია გაანალიზდეს ემპირიული კვლევები, რომელთა მიგნებებიც ასახავენ დაცული ტერიტორიის როლს მკვიდრი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური აქტივობების განხორციელების პროცესში.

ნაშრომში განხილულია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და/ან ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით დაარსებული დაცული ტერიტორიების განსხვავებული ქეისები.

მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა დაცული ტერიტორიის ბაზაზე ეკოტურიზმისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს, მათ როლს ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროების დივერსიფიკაციისა და სიღარიბის დაძლევაში.

ქეისების შესწავლა ასევე, იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს ადგილობრივების დამოკიდებულებებს როლი კონსერვაციის მიზნების მიღწევაში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია (Nathan James Bennett & Philip, 2014).

და ბოლოს, როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის სამეცნიერო მიზანია საფუძველი ჩაუყაროს, სოციალური მეცნიერების პერსპექტივიდან ემპირიული კვლევების განხორციელებას. ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომში განხილულია გამოწვევები, რომლებიც ახასიათებთ შესწავლილ კვლევებს.

კვლევის მეთოდოლოგია

ბოლო 20-30 წლის განმავლობაში შესამჩნევია კვლევის შედეგების, სტატიების და ზოგადად ინფორმაციის მოზღვავებული რაოდენობის არსებობა, თითქმის ყველა სფეროში. შეუძლებელია ყველა სიახლისთვის თვალის მიდევნება და უახლესი კვლევის შედეგების პერმანენტული გაცნობა. ინფორმაციის სიჭარბე ახასიათებდა თითქმის ყველა საუკუნეს, მაგრამ 21-ე საუკუნეში ამ საკითხს ზურგს უმაგრებს ტექნოლოგიების განვითარება, ინფორმაციის დემოკრატიზაცია და კვლევის მნიშვნელობის გაზრდა (Petticrew & Roberts, 2006, p. 7).

ლიტერატურის მიმოხილვის მნიშვნელობა გაიზარდა, აღნიშნულის ძირითადი მიზეზს წარმოადგენს მეთოდის შესაძლებლობა გაუმკლავდეს დიდი რაოდენობით არსებულ მუდმივად განახლებად აკადემიურ პუბლიკაციების ანალიზს/ადმინისტრირებას.

ლიტერატურის მიმოხილვის მეთოდოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე მისი გამოყენების სპექტრი ძალიან ფართოა.

- ლიტერატურის მიმოხილვის ჩატარება შეიძლება მიზნად ისახავდეს არსებული თეორიების კრიტიკულ შესწავლას და ახალი თეორიის შექმნას.
- მის განხორციელება შეიძლება მიზნად ისახავდეს პრევენციული პროგრამების/პროექტების შესწავლას და საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენას. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის და გადაწყვეტილების მიღების განვითარებაში
- ყველაზე გავრცელებულია ლიტერატურის მიმოხილვა სამომავლო კვლევის თემის შერჩევის/ჩამოყალიბების პროცესში. ლიტერატურის მიმოხილვას დაყრდნობით მკვლევარს შეუძლია ისეთი საკვლევი საკითხის შერჩევა, რომელიც შეავსებს არსებულ სიცარიელეებს.

აღნიშნული ფაქტი ზრდის კვლევის, როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო ღირებულებას.

- მეთოდოლოგიური პრობლემების კვლევა - ლიტერატურის მიმოხილვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთ შემთხვევების შესწავლაში, როდესაც ერთი და იგივე საკითხის გარშემო განსხვავებული დასკვნების არსებობს.

ლიტერატურის მიმოხილვის ტიპები

ქვემოთ მდებარე დოკუმენტში შევეხებით სამ ყველაზე გავრცელებულ ლიტერატურის მიმოხილვის მეთოდს: მეტაანალიზი, ტრადიციული ლიტერატურის მიმოხილვა და ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა.

ტრადიციული ლიტერატურის მიმოხილვა/ნარატიული მიმოხილვა

ტრადიციული ლიტერატურის მიმოხილვის მიზანი არის ზოგადი ხასიათის. ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპები როგორებიცაა ლიტერატურის, პუბლიკაციის შერჩევის კრიტერიუმების ჩამოყალიბება და მოძიების პროცედურები, უმეტეს შემთხვევაში, არ არის ნათლად ჩამოყალიბებული. მკვლევარი სუბიექტურად ახდენს კვლევების შერჩევას და მის ანალიზს. აღნიშნული, ანალიზის შედეგებს უქმნის სისტემური შეცდომის საფრთხეს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ამ ტიპის ლიტერატურის ანალიზი არ ამახვილებს ყურადღებას არსებული/შერჩეული კვლევის ხარისხზე, შესაბამისად არ ახდენს მის შეფასებას.

ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა

შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციული ლიტერატურის მიმოხილვის საპირისპიროდ ლიტერატურის სისტემური მიმოხილვის მეთოდოლოგია არის სისტემური, კოპლექსური, მეცნიერული და ნათლად არის გაწერილი მისი განხორციელების პროცედურები.

მეტა ანალიზი

მეტაანალიზი გულისხმობს სტატისტიკური პროცედურების გამოყენებით რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებული რაოდენობრივი კვლევის შედეგზე დაყრდნობით სამეცნიერო ჰიპოთეზის შემოწმებას. მეტაანალიზში, ძირითადად გამოიყენება სტატისტიკური მნიშვნელოვნების კომბინირებული ტესტები და ეფექტის ზომის ანალიზი. სტატისტიკური მნიშვნელოვნების კომბინირებული ტესტებით ჯამდება კონკრეტულ კვლევებში მიღებული ზუსტი მნიშვნელოვნების დონეები (p-ის მნიშვნელობები).

მეტაანალიზის თანამედროვე ფორმით პირველად სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინა ამერიკელმა სტატისტიკოსმა ჯონ გლასმა და მისმა კოლეგამ. მათ სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით გააანალიზეს 375 კვლევის შედეგი, რომელიც ეხებოდა ფსიქოთერაპიის ეფექტურობას.

რაც შეეხება პირველი მეტაანალიზი მისი ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით განხორციელდა 1904 წელს კარლ პირსონის მიერ. მან გააანალიზა რამოდენიმე კვლევის შედეგი უფრო ზუსტი დასკვნის გასაკეთებლად.

ლიტერატურის სისტემური მიმოხილვა - განხორციელებული კვლევა

ლიტერატურის სისტემური მიმოხილვის უპირატესობას წარმოადგენს ნათელი და დეტალური მეთოდოლოგიური საფუძველი. ყველაზე გავრცელებულია შვიდსაფეხურიან ლიტერატურის სისტემური მიმოხილვის მეთოდი (Milner, 2015, p. 183; Petticrew & Roberts, 2006, p. 28; Torgerson, 2003, p. 24).

პირველი ეტაპი: პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა კვლევის მიზანი „დაცული ტერიტორიის როლი მკვიდრი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური აქტივობების განხორციელების პროცესში“. მიზნის ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემდგომი ეტაპების წარმატებით განხორციელებაში (პუბლიკაციის შერჩევის/უარყოფის კრიტერიუმების ჩამოყალიბება, საძიებო სიტყვების შერჩევა და ა. შ.).

მეორე ეტაპი: კვლევის პროცესში ჩამოყალიბდა კვლევების, პუბლიკაციების შერჩევის/უარყოფის კრიტერიუმები:

1) სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდით განხორციელებული კვლევა (მაგ. დაკვირვება, გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფი და ა.შ.);
2) კვლევა შეისწავლის დაცული ტერიტორიისა და ადგილობრივი მოსახლეობის შორის ურთერთობას;
3) კვლევა არ შეისწავლის დაცული ტერიტორიის შექმნის მიზეზით მკვიდრი მოსახლეობის გადასახლების პროცეს, მის შედეგებს.

აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა საძიებო სიტყვები და მისი ინგლისური შესატყვისები:

1) დაცული ტერიტორია (Protected area) და მისი კატეგორიები;
2) ეკონომიკური აქტივობები (Economic activities);
3) საარსებო წყაროები (Livelihoods).

მესამე ეტაპი: პუბლიკაციის შერჩევის პროცესის ფარგლებში განხორციელდა კომპლექსური მიდგომა, რომელმაც განაპირობა სისტემური შეცდომების თავიდან არიდება. სამეცნიერო პუბლიკაციების პორტალებზე, როგორებიცაა Scopus[3], Sage Journals, JSTOR, Google Scholar და სხვა საძიებო სისტემების გამოყენებით განხორციელდა ლიტერატურის მოძიება. ინფორმაციების მოძიების პროცესში, დოკუმენტების/ პუბლიკაციების ეფექტური მართვისათვის გამოყენებულ იქნა რეფერენსების მართვის პროგრამა Mendeley[4]. როგორც ყველა ლიტერატურის

[3] (TITLE-ABS-KEY (livelihood) AND TITLE-ABS-KEY (protected AND area) AND LANGUAGE (english)) AND (LIMIT-TO (DOCTYPE , "ar ") OR LIMIT-TO (DOCTYPE , "ch ") OR LIMIT-TO (DOCTYPE , "ip ") OR LIMIT-TO (DOCTYPE , "cp ") OR LIMIT-TO (DOCTYPE , "bk ")) AND (LIMIT-TO (SUBJAREA , "SOCI ")) AND (EXCLUDE (PUBYEAR , 2018)) AND (LIMIT-TO (EXACTSRCTITLE , "International Journal Of Sustainable Development And World Ecology ") OR LIMIT-TO (EXACTSRCTITLE , "Journal Of Sustainable Forestry ") OR LIMIT-TO (EXACTSRCTITLE , "Society And Natural Resources ") OR LIMIT-TO (EXACTSRCTITLE , "Applied Geography ") OR LIMIT-TO (EXACTSRCTITLE , "Environment Development And Sustainability ") OR LIMIT-TO (EXACTSRCTITLE , "Human Ecology ") OR LIMIT-TO (EXACTSRCTITLE , "World Development ") OR LIMIT-TO (EXACTSRCTITLE , "Mountain Research And Development ") OR LIMIT-TO (EXACTSRCTITLE , "Forest Policy And Economics ")) AND (LIMIT-TO (LANGUAGE , "English "))

[4] https://www.mendeley.com/

სისტემური მიმოხილვისთვის, მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ისეთი პუბლიკაციების მოპოვება, რომლებიც მხოლოდ კონფერენციებზეა მოსმენილი და არ არის გამოქვეყნებული. ასევე, პუბლიკაციების უმრავლესობა არის ინგლისურ ენაზე და არ მოიცავს სხვა ენებზე გამოქვეყნებულ სტატიებს.

მეოთხე ეტაპი: მეოთხე ეტაპზე აბსტრაქტების გაცნობის შემდეგ, კიდევ ერთხელ განხორციელდა პუბლიკაციების გადარჩევა - სულ შეირჩა 30 ქეისი. შერჩეული დოკუმენტები მომზადდა თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამებში დასამუშავებლად.

მეხუთე ეტაპი: პუბლიკაციების შერჩევის პროცესში ასევე, ყურადღება გამახვილდა კვლევის ხარისხზე - ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის მეთოდებზე და ეთიკური ნორმების დაცვაზე.

განხილული ქეისების უმრავლესობაში გამოყენებული იყო გამოკითხვისა (survey) და ინტერვიუს მეთოდები. აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციების უმრავლესობაში კომბინირებული იყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები *(იხ. დანართი, დიაგრამა #6).*

მეექვსე ეტაპი: შერჩეული ქეისების შედეგების, პუბლიკაციების ანალიზი, სინთეზი და ინტერპრეტაცია განოხორციელდა თემატური ანალიზის გამოყენებით, პროგრამა MAXQDA-ისა და Mendeley-ის გამოყენებით.

მეშვიდე ეტაპი: შედეგების საბოლოო ასახვა მოხდა ქვემოთ მდებარე ანგარიშში და პრეზენტაციაში.

სისტემური მიმოხილვის ძირითადი მიგნებები

დაცული ტერიტორიის ფუნქციონირება და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა

ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება რომ, დაცული ტერიტორიების წარმატებით ფუნქციონირებაში განსაკუთრებული წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას აქვს (Martin, Myers, & Dawson, 2017; Nathan James Bennett & Philip, 2014). კონსერვაციის მიზნების შესრულებას ხელს უშლის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციისა და მკვიდრ მოსახლეობას შორის დაპირისპირება (Kobe De Pourcq et al., 2015).

გაანალიზებულ პუბლიკაციებზე დაყრდნობით რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოვლინდა, რომელიც განაპირობებს მოსახლეობის უკმაყოფილების ზრდას. დაცული ტერიტორიების გარშემო მცხოვრები შინამეურნეობები გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რომ დაცული ტერიტორიების განვითარება უფრო მეტად ორიენტირებულია ქალაქის ბაზაზე შექმნილი ტურ-ოპერატორების ან სხვა არაადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაკმაყოფილებაზე (Nepal, 1997). აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კვლევის ძირითადი მიგნების მიხედვით მოლოდინების შეუსრულებლობა, ერთი მხრივ, ხელს უშლის ნდობის ჩამოყალიბებას და მეორე მხრივ, ზრდის უკმაყოფილებას. ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა გადამატებული მოლოდინებული დაცული ტერიტორიის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით და არ ფლობდნენ ინფორმაციას იმ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელთა დაწესებასაც გამოიწვევდა დაცული ტერიტორების შექმნა/განვითარება (Kobe De Pourcq et al., 2015; Martin et al., 2017; Müller-Böker & Kollmair, 2015).

კონსერვაციის ტერიტორიის ხელმძღვანელობასა და მოსახლეობას შორის კონფლიქტი, ან რაიმე სახის უთანხმოება შეიძლება გამოიწვიოს, არ არსებულმა რეგულაციებმა. იმის გამო, რომ დაცული დაცული ტერიტორიის სამართლებლივი ასპექტების შესახებ ცოდნა მწირია, ადგილობრივებში იქმნება ცრუ წარმოდგენები მკაცრი შეზღუდვების შესახებ, რაც

ცალსახად იწვევს უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას (K. De Pourcq et al., 2017).

არალეგალური საარსებო წყაროების სტრატეგიები

ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით მხოლოდ ახალი/დამატებითი კანონმდებლობის შემოღება, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას უზღუდავს ტყის რესურსების გამოყენების შესაძლებლობას ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს.

დაცული ტერიტორიის რესურსზე დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობა საარსებო წყაროების მოძიების „არალეგალურ“ სტრატეგიებს მიმართავს (Tumusiime, Vedeld, & Gombya-Ssembajjwe, 2011). იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული მოსახლეობის უმეტესობა ებრძვის სიღარიბეს, ტრადიციული ეკონომიკური პრაქტიკების შეზღუდვასთან ერთად მნიშვნელოვანია ადგილობრივებისათვის დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ შეიქმნას დამატებითი შესაძლებლობები (დასაქმება, თვითდასაქმება). რიგ შემთხვევებში „არალეგალური“ პრაქტიკების ავტორებად „ელიტური“ საზოგადოების წარმომადგენლები გვევლინებიან (Martin et al., 2017). სოციალური, სიმბოლური კაპიტალით ზურგგამაგრებულებს არ აშინებთ კონსერვაციის მიზნებით შემოღებული შეზღუდვები.

დაცული ტერიტორიების სააგენტო „არალეგალური“ პრაქტიკების დასაფიქსირებლად იყენებს საკონტროლო რეიდებსა და პატრულირებას. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2017 წლის მონაცემებით გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულია 341 სამართალდარღვევის ფაქტი. აღნიშნული ფაქტიდან 335 ადმინისტრაციულია, ხოლო 6 - სისხლის სამართლის . ყველაზე გავრცელებული „არალეგალური“ აქტივობებია უკანონა ჭრა (112 შემთხვევა), უკანონო ძოვება (62 შემთხვევა) და უკანონო თევჭერა (16 შემთხვევა) *(იხ. დანართი, დიაგრამა #8)*. მიუხედავად, იმისა, რომ მოცემული საკითხი სიღრმისეულად არ არის შესწავლილი სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობა განაგრძობს პრაქტიკებს, რომლებიც სისხლის სამართლისა თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით.

რაოდენობრივი პარამეტრებით აღწერილი მოვლენა უკანონო პრაქტიკების განხორციელება დაცულ ტერიტორიაზე საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას, რათა გამოვლინდეს აღნისნულის ფაქტორები.

ტრადიციული ეკონომიკური აქტივობები შეესაბამება დაცული ტერიტორიების მიზნების

ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული საარსებო წყაროების მოძიების სტრატეგიები შეიძლება ხელს უწყობდეს ეკოსისტემის დაცვას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და იმ რესურსების კონსერვაციას, რომელიც მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის წარმოებისთვის და ადამიანის ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მასაის (ტანზანია) ნახევრად მომთაბარე საზოგადოების ბუნებრივი პირობების მიხედვით ირჩევს საძოვრებს შინაური ცხოველებისთვის. მათი ამგვარი შინაური ცხოველების მოვლის პრაქტიკა შეესაბამება იმ გამოწვევებს, რომლებიც მათ გარემოში არსებობს, ინარჩუნებს ველური ბუნების ეკოსისტემას, რომელიც საუკეთესო გარემოს ქმნის ტურიზმიდან შემოსავლების გასაზრდელად (Nelson, 2012).

ისეთი შემთხვევა როდესაც, დაცული ტერიტორიის მიზნებს არ ეწინააღმდეგება საარსებო წყაროების მოძიების სტრატეგიები შეიძლება ისეთი მიდგომების თავიდან აცილება, როგორიცაა მკვიდრი მოსახლეობის გადასახლება. ეს უკანასკნელი დიდ ხარჯებთან (კოპენსაცია) და რისკებთან (მოსახლეობის გაღარიბება) არის დაკავშირებული (Xu & Melick, 2007). ამ ტიპის ტრადიციის არსებობა კონკრეტულ ტერიტორიაზე, დასახლებაზე იძლევა შესაძლებლობას მცირე დანახარჯებით მხარი დაუჭიროს ადგილობრივ მოსახლეობაში რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციის გაგრძელებას. მკვიდრი მოსახლეობის მიერ დაცული ტერიტორიის მართვის ძალიან კარგი მაგალითები არსებობს სხვა ქვეყნებში (ბრაზილია, ბოლივია . უმეტეს შემთხვევაში ემთხვევა ადგილობრივი შინამეურნეობების სოციალური-ეკონომიკური ყოველდღიური პრაქტიკების კონსერვაციის მიზნებს. უფრო მეტიც, ასეთ დროს დაცულ ტერიტორიად გამოცხადებული ადგილების დაცვა ხდება გარშემო საფრთხეებისგან, როგორებიცაა დიდი

ინფრასტრუქტურული პროექტები, ჰიდროელექტროსადგური (Naughton-Treves, Holland, & Brandon, 2005)

დაინტერესებული მხარეების ინტერესები - არსებული რესურსების გამოყენება

კონრეტული დასახლების, ტერიტორიის ფარგლებში არსებული რესურსების მოხმარება ხორციელდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან. რესურსების გამოყენების მიზნები განსხვავებულია, ადგილობრივი მოსახლეობა არსებულ რესურსებს იყენებს სოფლის მეურნეობისთვის, ტურიზმით დაინტერესებული მხარეები ცდილობენ უნიკალური ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებას, ხოლო აღნიშნული საპირისპიროდ, ზოგიერტი კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ნადირობის სერვისს (Burgoyne & Mearns, 2017).

გაანხილულ პუბლიკაციებში ავტორების უმრავლესობა დაცული ტერიტორიებზე არსებული რესურსების გამოყენებას ძირითადად განიხილავს დაცული ტერიტორიის მიზნების, ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წაყაროების მოძიების პრაქტიკები/ყოველდღიური ცხოვრების წესის დიალექტიკაში, და უგულვებელყოფს სხვა მნიშვნელოვან აქტორებს.

ალტერნატიული ეკონომიკური აქტივობა - ტურიზმი

დაცული ტერიტორიებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ტურიზმის, კერძოდ ეკოტურიიზმის, მდგრადი ტურიზმის განვითარებაში (Snyman, 2014). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტურიზმის ფორმებს, ერთი მხრივ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კონსერვაციის მიზნების განხორციელებაში და მეორე მხრივ პოზიტიურად აისახება ადგილობრივი შინამეურნეობების საარსებო წყაროებზე (Nepal, 1997).

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის დადებითი როლო თვალსაჩინოა, ზოგიერთი კვლევა მიანიშნებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ტურიზმის განვითარება არ აისახება ადგილობრივების ეკონომიკურ განვითარებაზე, სიღარიბეზე და მდგრად განვითარებაზე (Sharpley & Naidoo, 2010). წინა საუკუნის ბოლოს, დაცული ტერიტორიების ბაზაზე

ტურიზმის განვითარების გამოწვევებზე გამოაქვეყნა სტატია Centre for Development and Environment (CDE)-ის მკვლევარმა, რომელიც აღნიშნავდა დაცული ტერიტორიებით შენარჩნებული ლამაზი, გასაოცარი სილამაზის ბუნებით სარგებლობენ მხოლოდ ტურისტები, ქალაქის ბაზაზე შექმნილი ტურისტული კომპანიები. ადგილობრივები ვერ იღებენ მნიშვნელოვან სარგებელს ტურიზმის ინდუსტრიიდან, საპირისპიროთ მათ ყოველდღიური ეკონომიკური აქტივობის განხორციელება უწევთ დაბატებით რეგულაციების პირობებში (Nepal, 1997). ამ კვლევის მიგნებას, ამყარებს ვიეტნამის Hoàng Liên ეროვნული პარკის მაგალითზე განხორციელებული კვლევა. ადგილობრივი მოსახლეობა მიუხედავად იმისა, რომ იაზრებს პარკის ბაზაზე მდგრადი ტურიზმის განვითარების ეკონომიკური უპირატესობას, არ შესწევს ძალა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა. მათი ხედვით პარკიში არსებული რესურსით ტურისტული კომპანიები სარგებლობენ, რომელსაც კონკურენციას ვერ უწევს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც არც სპეციალური განათლება და შესაბამისი ფინანსური რესურსი გააჩნია (Puntscher, Huy, Walde, Tappeiner, & Tappeiner, 2017).

აქვე, აღსანიშნავია ტურიზმის პოზიტიური ეფექტიც. ტურიზმინდა მიღებული შემოსავლებით ადგილობრივები აძლიერებენ მათ შესაძლებლობებს, რომ გაუმკლავდნენ ეკონომიკურ სიძნელეებს და შოკებით გამოწვეულ გამოწვევებს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა დივერსიფიკაციას უკეთებს საარსებო წყაროებს მაინც ძირითადი შემოსავლის წყარო ტურიზმია (Snyman, 2014).

ალტერნატიული არასასოფლო-სამეურნეო საარსებო წყაროების აქტივობებიდან შესაძლებელია მნიშვნელოვანი ბენეფიტების მიღება ვიდრე ტურიზმიდან. ტურიზმისთან ერთად განათლების მიღება (მაგ. ეკონომიკურ და სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები), სოციალური კაპიტალის გაფართოება და შემდგომში ალტერნატიული ეკონომიკური აქტივობის წამოწყება ქმნის პირობას ადგილობრივი მოსახლეობა არ იყოს დამოკიდებული ტურიზმის ინდუსტრიაზე. ასევე, გასათვალისწინებელია ტურიზმის მულტიპლიკატორის ეფექტი, აღნიშნული ქმნის შესაძლებლობას ადგილობრივებისთვის ჩაერთონ ადგილობრივი ტურიზმის მიწოდების ჯაჭვში (Adiyia, Vanneste, & Van Rompaey, 2017;

Snyman, 2014). ტურიზმის პოზიტიური ზეგავლენა დარგების ფართო სპექტრზე ხელს უწყობს ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთებისა და სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებას, სამრეწველო პროდუქციისა და ამასთანავე, სამშენებლო და საზოგადოებრივი სამუშაოების განხორციელებას.

დაცული ტერიტორიის პოზიტიური გავლენა მკვიდრი მოსახლეობის საარსებო წყაროებზე (სოციალურ და ეკონომიკური პრაქტიკები)

დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის უმთავრესი პრინციპი უნდა იყოს პოზიტიური გავლენა ზრდა ეკოსისტემაზე და უარყოფითი გავლენის შემცირება და პოწიტიური გავლენა ადამიანის კეთილდღეობაზე. კოსერვაციის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი პრინციპებია:

1. ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონსერვაციის მიზნები - კონკერულად, რომელი სახეობის დაცვაზე არის ორიენტირებული, რა რეკრეაციული და ტურიზმის მიზნები არსებობს დაცული ტერიტორიის მიმართ.

2. მნიშვნელოვანია იდენტიფიცირება მოხდეს იმ ადგილების, რომლებსაც მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დაცული ტერიტორიის ფუნქციონირებისთვის.

3. მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიის სოციო-ეკონომიკური მნიშვნელობის გააზრება. თუ რა ეკონომიკური, სოციალური ფუნქცია გააჩენია დაცულ ტერიტორიას მკვიდრი მოსახლეობის ყოველდღიურ სოციალური და ეკონომიკური პრაქტიკების განხორცილებაში (DeFries, Hansen, Turner, Reid, & Liu, 2007).

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გაუთვალისწინებლობა უარყოფითათ აისახება მკვიდრი მოსახლეობის კეთილდღეობაზე (Vedeld, Jumane, Wapalila, & Songorwa, 2012), რაც საბოლოო ჯამში ხდება კონფლიქტის დაწყების მიზეზი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციასა და მკვიდრ მოსახლეობას შორის.

დაცული ტერიტორია ზოგჯერ, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხდება დამატებითი შესაძლებლობების წყარო, თუმცა ამ რესურსების გამოყენება დამოკიდებულია მათ

რესურსებსა და კაპიტალზე. აღნიშნული პროცესი ზოგჯერ უთანასწორობის გაზრდას უწყობს ხელს.

საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პერნამენტულად იზრდება დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა. ეს ფაქტი ადგილობრივებისთვის გულისხმობს ახალი საოჯახო ტიპის სასტუმროების, მაღაზიებისა და საკვები ობიექტების გახსნას. მიუხედავათ, იმისა, რომ ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა მზარდია მნიშვნელოვანია სოციოლოგებმა და სხვა სოციალური მეცნიერების დისციპლინის წარმომადგენლებმა სიღრმისეულად შეისწავლონ ის დაცული ტერიტორიები, სადაც მსგავსი პოზიტიური მაცვენებელი არ არის.

ადაპტაციის პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორები

შეიძლება ითქვას, რომ გააანალიზებული სტატიების, პუბლიკაციების უმეტეს ნაწილში არ არის გათვალისწინებული დემოგრაფიული მახასიათებლების, კაპიტალის რაოდენობისა და/ან საარსებოს წყაროების მოძიების ფორმების როლი „ახალ რეალობასთან“ ადაპტაციის პროცესში.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, ის გამონაკლისი სტატიები, რომლებშიც გაანალიზებულია ზემოთ აღნიშნული ტიპის ცვლადები და მათზე დაყრდნობით ავტორების მიერ გაკეთებული მნიშვნელოვანი დასკვნები.

- ღარიბი მოსახლეობისთვის იმდენად მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების გამოყენება, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაცული ტერიტორიების შექმნა/განვითარება ქმნის ახალ/დამატებით რეგულაციებს ადგილობრივებივები განაგრძობენ ბუნებრივი რესურსების „არალეგალურ“ მოხმარებას (Tumusiime et al., 2011).
- დაცული ტერიტორიის პოზიტიური გავლენა განსაკუთრებით ვლინდება იმ შინამეურნეობებზე, რომლებიც მათი ყოველდღიური

საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იყენებენ ტყისა და მიწის რესურსებს (Clements, Suon, Wilkie, & Milner-Gulland, 2014).

- დაცული ტერიტორიის დეცენტრალიზებული მართვის პროცესში ადგილობრივების მონაწილეობის მნიშვნელოვანი ფაქტორები აღმოჩნდა ასაკი, შინამეურნეობის უფროსის, ზრდასული წევრების განათლების დონე და შინამეურნეობის სიდიდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეობა განსაზღვრავს საბანკო კრედიტებსა და ტრენინგებზე ხელმისაწდომობის ზრდას (Parker & Thapa, 2011).
- დაცული ტერიტორიის განვითარების პროცესში შექმნილი დოვლათის გადანაწილების პროცესში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურობა, რომელიც Kanchenjunga Conservation Area Project-ის შესწავლის დროს გამოვლინდა (Müller-Böker & Kollmair, 2009).

წარმოდგენილი კვლევის შედეგები, ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია მკვლევარებმა, დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა გაითვალისწინონ დემოგრაფიული და სხვა მახასიათებლების მნიშვნელობა. სამომავლო კვლევებისათვის რეკომენდებულია კვლევის/შეფასების პროცესში გაითვალისწინონ სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც შეიძლება ხელს უწყობდეს უთანასწორობის გაღრმავებას და ინკლუზიურობის პრონციპის დარღვევას.

დაცული ტერიტორიის შესწავლის გეოგრაფიული ასპექტები

დამუშავებული პუბლიკაციების უმრავლესობაში განხილული იყო აზიისა (მაგ. ნეპალი, ინდოეთი, ჩინეთი) და აფრიკის (მაგ. კოლუმბია, ზიმბამბვე) მაგალითზე *(იხ. დანართი, დიაგრამა #7).* დაცული ტერიტორიების კვლევების ამ ტიპის გეოგრაფიული თავისებურება პირველ რიგში შეიძლება გამოწვეულია იმით, რომ განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობა უფრო მეტად არის დამოკიდებული დაცული ტერიტორიის შიგნით და მის გარშემო არსებულ ბუნებრივ რესურსებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში ურბანიზაციის მაჩვენებელიც შედარებით დაბალია და შინამეურნეობების უმრავლესობა ჩართულია სოფლის მეურნეობაში *(იხ. დანართი, რუკა #1).* ცუდი ეკონომიკური პირობების ფონზე უფრო ნათლად ჩანს დაცული ტერიტორიის კონცეფციით გამოწვეული სირთულეები, ან ის გამოწვევები, რომლებიც არსებული შესაძლებლობების გამოყენებას უკავშირდება.

ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ტრადიციული ეკონომიკური აქტივობები

დაცული ტერიტორიის გარშემო და/ან შიგნით მდებარე დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის ტრადიციული ეკონომიკური აქტივობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების მოხმარებასთან:

- მეცხოველეობა (მაგ. მეკამეჩეობა, მეცხვარეობა - ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად იყენებს საძოვრებს);
- მეტყეევეობა - ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს ტყის რესურსებით, (მაგ. ხე-ტყის შეგროვება).
- ნადირობა;
- თევზჭერა;

იმ დასახლებებთან, რომლებშიც აქტიურად ხორციელდება ზემოთ ჩამოთვლილ ეკონომიკური აქტივობები, დაცული ტერიტორიების შექმნით გამოწვეულ დამატებით რეგულაციებს განსხვავებული შედეგები მოჰყვება (ქვემოთ მდებარე ნაშრომში არ არის განხილული ის შემთხვევები, როდესაც ხდება ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება ალტერნატიული შეთავაზებულ დასახლებაში (Kabra, 2013; Sharma, 2003)) .

დასკვნა

ლიტერატურის სისტემურმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ დაცული ტერიტორიების შესწავლის მიმართ გაზრდილია ინტერესი, ეს ტენდენცია ასახულია საქართველოზე. თუმცა საქართველოში, სოციალური მეცნიერებების პერსპექტივიდან, აღნიშნული თემის შესწავლის მხოლოდ, ერთეული შემთხვევები არსებობს.

მიმოხილული პუბლიკაციების ანალიზი აჩვენებს, რომ დაცული ტერიტორიის კონცეფცია, ბუნებისა და ადამიანის დიქოტომია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქეისების მიხედვით განსხვავდება კონსერვაციის ნარატივის შედეგები, თვალსაჩინოა მისი გავლენა მკვიდრი მოსახლეობის ეკონომიკურ, სოციალურ პრაქტიკებზე. ავტორების, უმრავლესობა მათი კვლევის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მიუთითებს, ცდილობენ დაადგინონ თუ როგორ შეიძლება ბიომრავალფეროვნების დაცვასთან ერთად ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ რეალობაში რთულად მოიძებნება ამ თემაზე განხორციელებული კვლევა, ნაშრომში განხილულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ადმინისტრაციული მონაცემები. ბოლო 10 წლის განმავლობაში გაიზარდა დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა, დაარსდა ახალი დაცული ტერიტორიები, განხორციელდა უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი. გაიზარდა კონსერვაციის პერსპექტივის გავლენა საქართველოს უამრავ მუნიციპალიტეტში. წარმოდგენილი ნაშრომი ერთი მხრივ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლით, ხოლო მეორე მხრივ ქართული რეალობის ძირითადი ასპექტების მიმოხილვით საუკეთესო გარემოს ქმნის ემპირიული კვლევების დასაწყებად.

დანართი

დიაგრამა 1. დაცული ტერიტორიების პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით



წყარო: https://www.iucn.org/resources

დიაგრამა 2. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: http://www.apa.gov.ge/ge/statistika

დიაგრამა 3. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა დაცული ტერიტორიების მიხედვით



წყარო: http://www.apa.gov.ge/ge/statistika

ცხრილი 1. დაცული ტერიტორიის კატეგორიები

სახელმწიფო ნაკრძალი	შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის ((IUCN) დაცული ტერიტორიების I კატეგორიას – მკაცრი ბუნებრივი რეზერვატი (Strict Narure Reserve/Wildrness Area).
ეროვნული პარკი	შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების II კატეგორიას – ეროვნული პარკი (National Park).
ბუნების ძეგლი	შეესატყვისება ბუნების დაცვის სერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების III კატეგორიას – ბუნების ძეგლი. (Natural Monument).
აღკვეთილი	შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების IV კატეგორიას – ჰაბიტატების / სახეობების მართვის ტერიტორია (Habitat/Species Managment Area).
დაცული ლანდშაფტი	შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების V კატეგორიას – დაცული ლანდშაფტი (Protrctrd Landscape).
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების VI კატეგორიას – რესურსების მართვის დაცული ტერიტორია (Managed Resource Protected Area)

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968

დიაგრამა 4. სამეცნიერო პუბლიკაციების პორტალი scopus-ის დოკუმენტების ძებნის შედეგები (დაცული ტერიტორიის კვლევების რაოდენობა დიციპლინების მიხედვით)



დიაგრამა 5. სამეცნიერო პუბლიკაციების პორტალი Scopus-ის დოკუმენტების ძებნის შედეგები (დაცული ტერიტორიის კვლევების რაოდენობა წლების მიხედვით)



დიაგრამა 6. შერჩეულ პუბლლიკაციებში გამოყენებული ინფორმაციის შეგროვების მეთოდები



დიაგრამა 7. დაცული ტერიტორიის შესწავლის გეოგრაფიული ასპექტები



დიაგრამა 8. დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირებული არალეგალური აქტივობების რაოდენობა



წყარო: http://www.apa.gov.ge/ge/angariSebi

რუკა 1. ურბანიზაციის დონე ქვეყნების მიხედვით



წყარო:https://data.worldbank.org/indicator/SP.URB.TOTL.IN.ZS?type=shaded&view=map&year=2016

ბიბლიოგრაფია

Adiyia, B., Vanneste, D., & Van Rompaey, A. (2017). The poverty alleviation potential of tourism employment as an off-farm activity on the local livelihoods surrounding Kibale National Park, western Uganda. *Tourism and Hospitality Research*, *17*(1), 34–51. https://doi.org/10.1177/1467358416634156

Burgoyne, C., & Mearns, K. (2017). Managing stakeholder relations, natural resources and tourism: A case study from Ololosokwan, Tanzania. *Tourism and Hospitality Research*, *17*(1), 68–78. https://doi.org/10.1177/1467358416639088

Clements, T., Suon, S., Wilkie, D. S., & Milner-Gulland, E. J. (2014). Impacts of Protected Areas on Local Livelihoods in Cambodia. *World Development*, *64*, S125–S134. https://doi.org/10.1016/J.WORLDDEV.2014.03.008

De Pourcq, K., Thomas, E., Arts, B., Vranckx, A., Léon-Sicard, T., & Van Damme, P. (2015). Conflict in Protected Areas: Who Says Co-Management Does Not Work? *PLOS ONE*, *10*(12), e0144943. https://doi.org/10.1371/journal.pone.0144943

De Pourcq, K., Thomas, E., Arts, B., Vranckx, A., Léon-Sicard, T., & Van Damme, P. (2017). Understanding and Resolving Conflict Between Local Communities and Conservation Authorities in Colombia. *World Development*, *93*, 125–135. https://doi.org/10.1016/J.WORLDDEV.2016.12.026

DeFries, R., Hansen, A., Turner, B. L., Reid, R., & Liu, J. (2007). LAND USE CHANGE AROUND PROTECTED AREAS: MANAGEMENT TO BALANCE HUMAN NEEDS AND ECOLOGICAL FUNCTION. *Ecological Applications*, *17*(4), 1031–1038. https://doi.org/10.1890/05-1111

International Union for Conservation of Nature and Natural Resources. (1982). *The World National Parks Congress, Bali, Indonesia 11-22 October, 1982.* International Union for Conservation of Nature and Natural Resources [and] Indonesian Directorate-General of Forestry. Retrieved from https://portals.iucn.org/library/node/6165

Kabra, A. (2013). Conservation-induced Displacement: The Anatomy of a Win–Win Solution. *Social Change*, *43*(4), 533–550. https://doi.org/10.1177/0049085713502592

Martin, A., Myers, R., & Dawson, N. M. (2017). The Park is Ruining our Livelihoods. We Support the Park! Unravelling the Paradox of Attitudes to Protected Areas. *Human Ecology*, 1–13. https://doi.org/10.1007/s10745-017-9941-2

Milner, K. A. (2015). *an introduction to Systematic Reviews*. *Oncology Nursing Forum* (Vol. 42). https://doi.org/10.1188/15.ONF.89-93

Müller-Böker, U., & Kollmair, M. (2009). Livelihood Strategies and Local Perceptions of a New

Nature Conservation Project in Nepal. *http://dx.doi.org/10.1659/0276-4741(2000)020[0324:LSALPO]2.0.CO;2*. https://doi.org/10.1659/0276-4741(2000)020[0324:LSALPO]2.0.CO;2

Müller-Böker, U., & Kollmair, M. (2015). Livelihood Strategies and Local Perceptions of a New Nature Conservation Project in Nepal. *Mountain Research and Development*, *20*(4), 324–331. https://doi.org/10.1659/0276-4741(2000)020[0324:LSALPO]2.0.CO;2

Nathan James Bennett, & Philip, D. (2014). Why local people do not support conservation: Community perceptions of marine protected area livelihood impacts, governance and management in Thailand. *Marine Policy*, *44*, 107–116. https://doi.org/10.1016/J.MARPOL.2013.08.017

Naughton-Treves, L., Holland, M. B., & Brandon, K. (2005). THE ROLE OF PROTECTED AREAS IN CONSERVING BIODIVERSITY AND SUSTAINING LOCAL LIVELIHOODS. *Annual Review of Environment and Resources*, *30*(1), 219–252. https://doi.org/10.1146/annurev.energy.30.050504.164507

Nelson, F. (2012). Natural conservationists? Evaluating the impact of pastoralist land use practices on Tanzania's wildlife economy. *Pastoralism: Research, Policy and Practice*, *2*(1), 15. https://doi.org/10.1186/2041-7136-2-15

Nepal, S. K. (1997). Sustainable tourism, protected areas and livelihood needs of local communities in developing countries. *International Journal of Sustainable Development & World Ecology*, *4*(2), 123–135. https://doi.org/10.1080/13504509709469948

Parker, P., & Thapa, B. (2011). Distribution of benefits based on household participation roles in decentralized conservation within Kanchenjunga Conservation Area Project, Nepal. *Environment, Development and Sustainability*, *13*(5), 879–899. https://doi.org/10.1007/s10668-011-9296-6

Petticrew, M., & Roberts, H. (2006). *Systematic Reviews in the Social Sciences*. (M. Petticrew & H. Roberts, Eds.). Oxford, UK: Blackwell Publishing Ltd. https://doi.org/10.1002/9780470754887

Puntscher, S., Huy, D. T., Walde, J., Tappeiner, U., & Tappeiner, G. (2017). The acceptance of a protected area and the benefits of sustainable tourism: In search of the weak link in their relationship. Retrieved from http://eeecon.uibk.ac.at/

Sharma, A. (2003). Displacement from Protected Areas and its implications for conservation and livelihoods-The case of Kuno Wildlife Sanctuary, Madhya Pradesh. *Social Change*, *33*(2–3), 89–114. https://doi.org/10.1177/004908570303300307

Sharpley, R., & Naidoo, P. (2010). Tourism and Poverty Reduction: The Case of Mauritius. *Tourism and Hospitality Planning & Development*, *7*(2), 145–162. https://doi.org/10.1080/14790531003737169

Snyman, S. (2014). The impact of ecotourism employment on rural household incomes and social welfare in six southern African countries. *Tourism and Hospitality Research*, *14*(1–2), 37–52. https://doi.org/10.1177/1467358414529435

Torgerson, C. (2003). Systematic Reviews. *Continuum Research Methods*, 102.

Tumusiime, D. M., Vedeld, P., & Gombya-Ssembajjwe, W. (2011). Breaking the law? Illegal livelihoods from a Protected Area in Uganda. *Forest Policy and Economics*, *13*(4), 273–283. https://doi.org/10.1016/J.FORPOL.2011.02.001

Vedeld, P., Jumane, A., Wapalila, G., & Songorwa, A. (2012). Protected areas, poverty and conflicts: A livelihood case study of Mikumi National Park, Tanzania. *Forest Policy and Economics*, *21*, 20–31. https://doi.org/10.1016/J.FORPOL.2012.01.008

West, P., Igoe, J., & Brockington, D. (2006). Parks and Peoples: The Social Impact of Protected Areas. *Annual Review of Anthropology*, *35*(1), 251–277. https://doi.org/10.1146/annurev.anthro.35.081705.123308

Xu, J., & Melick, D. R. (2007). Society for Conservation Biology Rethinking the Effectiveness of Public Protected Areas in Southwestern China. *Source: Conservation Biology Conservation Biology*, *21*(2), 318–328. https://doi.org/10.1111/j.1523-1739.2006.00636.x

დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2017). აღკვეთილი. Retrieved January 1, 2018, from http://apa.gov.ge/ge/protected-areas/managedReserve

ზურაბ გურიელიძე. (2002). დაცული ტერიტორიები. In მაჭარაშვილიირაკლი (Ed.), აფთარი, გიურზა და სხვები. სამოქალაქო განათლების განყოფილება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დემოგრაფიის სადოქტორო პროგრამა

I სემესტრის დოქტორანტი

მაია შამუგია

სადოქტორო სემინარი

,,საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე მიგრაციული პროცესების დემოგრაფიული ანალიზი‘‘

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფ. ვ.ლორთქიფანიძე

პროფ. ა.სახვაძე

თბილისი

2018

სარჩევი

შესავალი....3

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციული პროცესები....6

1989-2002წწ. აღწერათაშორისი პერიოდის საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციული პროცესები....6

2002-2014წწ. აღწერათაშორისი პერიოდის საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციული პროცესები....12

საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციის თანამედროვე ტენდენციები....14

ლეგალური ემიგრაცია....14

ევროკავშირის ქვეყნები....14

რუსეთის ფედერაცია....17

ამერიკის შეერთებული შტატები....19

ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები - ლეგალური ემიგრაციის ფორმა....20

საქართველოს მოსახლეობის არალეგალური ემიგრაცია....23

საზღვრის უკანონო გადაკვეთა და შესვლაზე უარი....23

არალეგალურად მყოფი ემიგრანტების დაკავება....24

რეადმისია....25

საქართველოში მიმდინარე მოსახლეობის იმიგრაციული პროცესები....27

საქართველოს 2014წ. აღწერის შედეგებში ასახული იმიგრაციული პროცესების ანალიზი....27

XXIს. 20-იანი წლების საქართველოში უცხოელთა ლეგალური იმიგრაცია....31

განათლების მიღების მიზნით ჩამოსული იმიგრანტები....36

შრომითი იმიგრანტები....38

უცხოელი მეწარმეები/ინვესტორები....39

საქართველოში ლტოლვილების და თავშესაფრის მაძიებლების დინამიკა....42

კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი იმიგრანტები....46

შესავალი

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმის და 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო. პოლიტიკური რეჟიმების შეცვლა, ეკონომიკური საქმიანობის და სოციალურ-კულტურული ცხოვრების პირობების გაუარესება, შიდა და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გაღვივებამ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში მოსახლეობის მასშტაბური და უმართავი მიგრაციული ნაკადების პროვოცირება გამოიწვია. აღნიშნულმა პროცესებმა საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაზე საკმაოდ მძიმე კვალი დაამჩნიეს, რაც ნათლად აისახება დღევანდელ ვითარებაზეც.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის კლების ტენდენცია მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან იწყება. 1989წ. საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით საბჭოთა საქართველოში 5,4მლნ. ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო 2014წ. აღწერამ მხოლოდ 3,7მლნ. ადამიანი დააფიქსირა. 1989-2014წწ. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის განუხრელი შემცირების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი, შობადობის დონის შემცირებასთან ერთად, გარე მიგრაციული ნაკადების ინტენსივობაა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო თანდათან გახდა გლობალური მიგრაციული სისტემის ნაწილი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოდან ემიგრაციის მახასიათებლები, მოცულობა და მიმართულებები. დღეისათვის ქართველი მიგრანტების ჯგუფების პოვნა სხვადასხვა ქვეყანაშია შესაძლებელი და მათი ნაკადებიც ასევე სხვადასხვა ქვეყნისკენ არის მიმართული. თუმცა, საქართველოდან მიგრაციული ტენდენციების კვლევა რთულია სანდო სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობისა და მონაცემთა შეგროვების განსხვავებული მეთოდოლოგიის გამო. შესაბამისად, დიდი სიფრთხილე გვმართებს სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით შეგროვებული მონაცემების გამოყენებისას და შედარებისას.

აღნიშნული ნაშრომის **მიზანს** წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე მიგრაციული პროცესების ზოგად დემოგრაფიული მიმოხილვა. **კვლევის თემაა** - XXს. 60-იანი წლებიდან XXI საუკუნის 15-იან წლებმადე საქართველოში გარე

მიგრაციების ძირითადი ნაკადების მიმართულების და სტრუქტურული შემადგენლობის (ასაკობრივ-სქესობრივი, ეთნიკური, განათლების დონე და ა.შ.) შესწავლა. საქართველოს მოსახლეობის **კვლევის დემოგრაფიული ასპექტი**დან გამომდინარე აღნიშნული **ნაშრომის ამოცანებია:**

1) საქართველოს მოსახლეობის 1960-2016 წლებში მიმდინარე გარე მიგრაციული ნაკადების დინამიკის აღწერა;

2) საქართველოს მოსახლეობის მიგრაციულ ნაკადებში დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებების შესწავლა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;

3) მიგრანტთა სამართლებრივი მდგომარეობის მიმოხილვა;

4) სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა მიგრაციის მართვის საკითხთან მიმართებაში.

საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესწავლის მიზნით თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა გავაანალიზეთ, რომელიც ძირითადად ორი უწყების ვებ გვერდზეა თავმოყრილი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[1] და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია[2].

მოსახლეობის მიგრაციის კვლევის დემოგრაფიული ასპექტიდან გამომდინარე, ის მოსახლეობის მოძრაობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მეცნიერები მოსახლეობის მოძრაობის სამ ფორმას განასხვავებენ[3]:

1. **მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა** (შობადობის და სიკვდილიანობის დინამიკა),
2. **მოსახლეობის სივრცითი/ტერიტორიული მოძრაობა** (საკუთრივ მოსახლეობის მიგრაცია ფართო გაგებით – სხვაგან გადასვლა საცხოვრებლის შეცვლით, სეზონური მიგრაცია და მაქოსებური მიგრაცია),
3. **მოსახლეობის სოციალური მოძრაობა** (ფართო გაგებით ადამიანთა სტატუსის ცვლილება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში).

მოსახლეობის მიგრაციაზე მოქმედი ფაქტორები მის სახესხვაობების ჩამოყალიბებას განაპირობებენ. ასე მაგალითად, ტერიტორიული ფაქტორი განაპირობებს შიდა და გარე

[1] http://geostat.ge/
[2] http://migration.commission.ge
[3] Б.С.Хорев, В.Н.Чапек, Проблемы изучения миграции населения, Москва, 1978.

მიგრაციას, ეკონომიკური ფაქტორი შრომით მიგრაციას, დროის ფაქტორი - დროებით, სეზონურ და მუდმივ მიგრაციას, სოციალური ფაქტორი - მიგრაცია სწავლის მიზნით/სასწავლო მიგრაციას, პოლიტიკური ფატორი - იძულებითი მიგრაციის სახეებს (იძულებით გადაადგილებული პირები, ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები და ა.შ.), ბუნებრივ-ეკოლოგიური ფაქტორი - ეკომიგრაციას და ა.შ. როგორი მრავლაფეროვანი არ უნდა იყოს მოსახლეობის მიგრაციის სახეები, ის მაინც ორი ძირითადი მდგენელისგან შედგება, ეს არის მოსახლეობა და ტერიტორია. სწორედ მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება წარმოადგენს მოსახლეობის მიგრაციის პროცესის არსს. საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის დემოგრაფიული შესწავლაც ტერიტორიულ ჭრილში განვიხილეთ და, შევჯერდით ქვეყნის გარე მიგრაციების - ემიგრაცია (ლეგალური და არალეგალური) და იმიგრაცია (ლეგალური და არალეგალური)[4] - თანამედროვე ტენდენციების მეცნიერული შესწავლაზე.

საქართველოდან ემიგრაცია ძირითადად შრომით ხასიათს ატარებს. ამავდროულად, განათლების მიღების უკეთესი შესაძლებლობები, ისევე როგორც ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებული ფაქტორები, ხელს უწყობს ქვეყნიდან ემიგრაციას. ემიგრაციის სხვა ხელშემწყობ ფაქტორებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია უკვე ჩამოყალიბებული მიგრაციული ქსელები, რომელთაც შეუძლიათ საგრძნობლად შეუწყონ ხელი საქართველოს მოქალაქეების ემიგრაციას მომავალში.

საქართველოში იმიგრაციის ხელშემწყობი ფაქტორები დაკავშირებულია საქართველოში ბიზნესის წარმართვის შედარებით სიმარტივესთან და სამეწარმეო ნიშების არსებობასთან, რომელთაც ხშირად იმიგრანტები იკავებენ. გარდა ამისა, საგანმანათლებლო შესაძლებლობები - სწავლის შედარებით დაბალი საფასური და საქართველოში ცხოვრებასა და სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები, განათლების ხარისხი, საქართველოში გაცემული დიპლომის აღიარება საზღვარგარეთ, ისევე როგორც პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება - ასევე იზიდავს განათლების მიღების მიზნით ჩამოსულ იმიგრანტებს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ იმიგრაცია, როგორც

[4] ჩვენ ამ ნაშრომში აქცენტი მიგრაციის სამართლებრივ საფუძველზე გავაკეთეთ, სადაც არსებული წყაროების არსებობა საშუალებას გვაძლევდა, იქ დროის ფაქტორიც იყო გათვალისწინებული (მაგ.: 6-დან და მეტ თვემდე პერიოდით იმიგრაცია/ემიგრაციაში მყოფი ადამიანი).

ასეთი, ქვეყნისთვის სიახლეს წარმოადგენს, მისი ზეგავლენა საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურასა და ეკონომიკურ განვითარებაზე საჭიროებს უფრო საფუძვლიან შესწავლას.

შესაბამისად, როგორც ემიგრაციის, ისე იმიგრაციის შემთხვევაში, ძირითადი მამოძრავებელი ძალები დაკავშირებულია უფრო ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა ცხოვრების ხარისხი, განათლებისა და ჯანდაცვის ხარისხი, სიღარიბე და ეკონომიკური უთანასწორობა, კარგად ანაზღაურებადი სამსახურების სიმწირე, ვიდრე პოლიტიკურ სტაბილურობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ფაქტორებთან.

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციული პროცესები

1989-2002წწ. აღწერათაშორისი პერიოდის საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციული პროცესები

ქვეყნიდან მოსახლეობის წასვლა-გადინებამ, ანუ გარე მიგრაციულმა ინტენსივობამ შეიძლება მნიშვნელოვნად განსაზღვროს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი, სოციალური, ეთნიკური და სხვა შემადგენლობა. მიგრაცია მოსახლეობის დინამიკაზე, მოსახლეობის აღწარმოებაზე, დემოგრაფიულ დაბერებაზე და სხვა დემოგრაფიულ პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. საქართველო თავის მხრივ ისეთ ქვეყნებს განეკუთვნება, სადაც მიგრაცია მოსახლეობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

1960 წლიდან დღემდე ქვეყანაში მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი სალდო აღირიცხება[5]. 1960-1991წწ. მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი სალდო 5-დან 25 ათასამდე მერყეობდა, და საერთო ჯამობრივი მაჩვენებელი -421,1 ტოლი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ზრდის დინამიკის მიუხედავად, გარე მიგრაციული პროცესების შედეგად რესპუბლიკას თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანი დააკლდა. როგორც გ.წულაძე აღნიშნავს[6]: 1960-1979წწ. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციული ინტენსივობის მაჩვენებელი 1,2-5,3‰-ს შორის მერყეობდა; 1980-იანი წლები შედარებით ნაკლები ცვალებადობით გამოირჩეოდა,

[5] გ.წულაძე, ავ.სულაბერიძე და სხვ., საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ, თბილისი, 2008. გვ.61.
[6] გ.წულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.63

როდესაც გარე მიგრაციის ინტენსივობა 2,6-3,9‰-ს შეადგენდა; როგორც ავტორი აღნიშნავს, 1960-1989წწ. საქართველოში გარე მიგრაციის ინტენსივობა[7] მატულობდა. 1960-1989წწ. საქართველოს გარე მიგრაციის ორი დამახასიათებელი ნიშანი გამოიყოფა: პირველი, მიგრაციის უარყოფითი სალდო და მეორე, მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტის (მზკ) მაჩვენებლის განუხრელი ზრდა.

დიაგრამა №1



წყარო: საქართველოს მოსახლეობა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ.67

საბჭოთა პერიოდში, როდესაც სახელმწიფო მიგრაციას ჩაწერის ინსტიტუტის მეშვეობით საკმაოდ მკაცრად აკონტროლებდა, გარე მიგრაციის სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებლად ჩამოსვლა-გასვლის ტენდენციას მეტ-ნაკლებად სრულად ასახავდა. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა პერიოდის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს გარე მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით, ისინი სხვადასხვა მეცნიერის შეფასებითი მონაცემებისგან კარდინალურად განსხვავდებოდა. გასული საუკუნის 90-იანი წლების მონაცემების გადაანგარიშების შედეგად მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ საქართველოს მოსახლეობამ გარე მიგრაციის შედეგად გაცილებით მეტი დანაკლისი განიცადა, ვიდრე 1960-1989 წლების განმვალობაში, და 1960-2000წწ. პერიოდში საქართველოს მოსახლეობას გარე მიგრაციის შედეგად 1404 ათასზე მეტი ადამიანი დააკლდა.

[7] გარე მიგრაციის ინტენსივობა,
მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი = (იმიგრანტები-ემიგრანტები)/მოსახ. საშუალო წლიური რ-ბა*1000‰

ცხრილი №1. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციული სალდო 1960-1988წწ.

წელი	სდ მონაცემებით		შეფასებითი მონაცემებით		წელი	სდ მონაცემებით		შეფასებითი მონაცემებით	
	რაოდენობა (ათასი)	კოეფიციენტი (‰)	რაოდენობა (ათასი)	კოეფიციენტი (‰)		რაოდენობა (ათასი)	კოეფიციენტი (‰)	რაოდენობა (ათასი)	კოეფიციენტი (‰)
1960	-16,8	-4,0			1990	-13,2	-2,4	-15,8	-3,0
1961	-10,0	-2,4			1991	-22,6	-4,1	-27,5	-5,3
1962	-5,0	-1,2			1992	-139,3	-25,8	-156,3	-30,4
1963	-7,5	-1,7			1993	-140,9	-27,4	**-157,2**	-32,4
1964	-7,6	-1,7			1994	**-142,6**	-29,3	-156,9	-34,5
1965	-10,0	-2,2			1995	-127,2	-28,2	-139,4	-31,6
1966	-10,6	-2,3			1996	-123,1	-27,5	-135,0	-31,6
1967	-14,8	-3,2			1997	-59,9	-13,5	-65,2	-15,6
1968	-15,6	-3,4			1998	-39,2	-8,7	-42,3	-10,2
1969	-8,6	-1,8			1999	-36,3	-8,1	-39,5	-9,7
1970	-11,6	-2,5			2000	-35,2	-8,0	-38,6	-9,5
1971	-6,4	-1,3			2001	-31,2	-7,1	-35,2	-8,8
1972	-10,0	-2,1			2002	-39,1	-6,7	-35,9	-9,0
1973	-14,6	-3,0			2003	-27,6	-6,4	-35,5	-9,0
1974	-13,9	-2,9			2004	5,5	1,3	-31,5	-8,0
1975	-25,5	-5,2			2005	76,3	17,5	-30,4	-7,8
1976	-12,0	-2,4			2006	-12,1	-2,8	-28,7	-7,4
1977	-23,7	-4,8			2007	-20,7	-4,7	-26,3	-6,9
1978	-22,0	-4,4			2008	-10,2	-2,3	-23,9	-6,3
1979	-19,0	-3,8			2009	34,2	7,8	-20,4	-5,4
1980	-17,0	-3,4			2010	18,1	4,1	-15,0	-4,0
1981	-19,3	-3,8			2011	20,2	4,5	-16,2	-4,3
1982	-15,0	-2,9			2012	-21,5	-4,8	-21,5	-5,7
1983	-15,9	-3,1			2013	-2,6	-0,6	-16,6	-4,4
1984	-19,9	-3,8			2014	-6,5	-1,7	-12,1	-3,2
1985	-18,8	-3,6			2015	-3,4	-0,9	-8,1	-2,2
1986	-19,8	-3,8							
1987	-19,9	-3,7							
1988	-13,3	-2,5							
1989	-17,9	-3,3							

წყაროები:

1. საქართველოს მოსახლეობა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ.67

2. გ.წულაძე, ავ.სულაბერიძე და სხვ., საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ, თბილისი, 2008, გვ.151

3. დემოგრაფიული წელიწდეული, გ.წულაძე, UNFPA, 2015, გვ.328

1992-1996წწ. მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი სალდოს მკვეთრი მატება ფიქსირდება და ისტორიულ მაქსიმუმს დაახლოებით -143 ათასს 1994 წელს აღწევს. ამ ხუთი წლის მანძილზე ქვეყნიდან დაახლოებით 700 ათასამდე მეტი მოქალაქით გავიდა, ვიდრე შემოვიდა. შედარებით მაღალი ბუნებრივი მატების პირობებში, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს მიუხედავად მოსახლეობის საერთო რაოდენობის მატება წარმოებდა.

შობადობის კლებისა და მოკვდაობის ზრდის პირობებში, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო სულ უფრო შესამჩნევ პოზიციას იკავებდა. ბუნებრივი მატების დაბალი მაჩვენებელი ვეღარ ახერხებდა გარე მიგრაციის მაღალი უარყოფითი სალდოს კომპენსირებას, რასაც საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის კლება მოყვა. გარდა ამისა, გარე მიგრაციულმა მძლავრმა პროცესებმა დემოგრაფიული დაბერების დაჩქარება და მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია გამოიწვია.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 1995-2000 წლებში საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის მიგრაციის უარყოფითი სალდოს 70% რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა. 1995-1996წწ. ეს მაჩვენებელი 72% აღწევს და 1997-2000წწ. მნიშვნელოვნად 37%-მდე კლებულობს. XXს. ბოლო ხუთწლედში საქართველოს - მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი სალდოს მაჩვენებლი სხვა ქვეყნებთან მიმართებაში რუსეთის გარდა გააჩნდა: ისრაელითან, საბერძნეთთან, უკრაინასთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

1989-2002წწ, აღწერათა შორის პერიოდში მოსახლეობის გარე მიგრაციის ინტენსივობის კოეფიციენტი საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისათვის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. საქართველოში მცხოვრები ეროვნებებისათვის გარე მიგრაციის სალდო აღწერათა შორის პერიოდში (1989-2002წწ.) გაანგარიშებულ იქნა *ორიბი მეთოდის გამოყენებით*, კერძოდ, 1989წ. და 2002წ. აღწერების საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა დადგინდა და თითოეული ეროვნებისათვის კორექტირებული ბუნებრივი მატების კოეფიციენტი დაანგარიშდა[8].

1989-2001წწ. გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს საერთო ჯამური მაჩვენებელი ქართველებისთვის შეადგენდა -272,5 ათას ადამიანს, რუსები (-184,8 ათასი ადამიანი), ოსები (-124,9 ათასი), სომხები (-115,0 ათასი) და ა.შ. თუმცა სხვა ეროვნებებისთვისაც გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს აბსოლუტური მაჩვენებელი საკმაოდ საგრძნობი იყო. მართალია, აბსოლუტური სიდიდით გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო ყველაზე მაღალი ქართველებისთვის იყო, მაგრამ მისი ფარდობითი მაჩვენებელი მხოლოდ 29,3% შეადგენდა.

[8] ა.ვადაჭკორია, გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002წწ.), დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2004წ, გვ.54-57.

დიაგრამა №2 1989-2001წწ. მოსახლეობის რაოდენობა და გარე მიგრაციული სალდო ეროვნებების მიხედვით (ათასი)



წყარო:გ.წულაძე, ავ.სულაბერიძე და სხვ., საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ, თბილისი, 2008. გვ.64 და გვ.152.

ცხრილი №2. 1989-2001წწ. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდო ეროვნებების მიხედვით

ეროვნება	1989-2001წწ. მოსახლეობის მიგრაციის სალდო (ათასი)	1989-2001წწ. მოსახლეობის მიგრაციის სალდო (%)	1989წ. მოსახლეობის რაოდენობა (ათასი) (სდ)	გარე მიგრაციის ინტენსივობის[9] კოეფიციენტი 1989წ. მიმართებაში
ქართველი	-272,5	29,3%	3 787,4	-7,2%
რუსი	-184,8	19,9%	341,2	-54,2%
ოსი	-124,9	13,5%	164,1	-76,1%
სომეხი	-115,0	12,4%	437,2	-26,3%
ბერძენი	-70,1	7,5%	100,3	-69,9%
აზერბაიჯანელი	-53,2	5,7%	307,6	-17,3%
უკრაინელი	-43,9	4,7%	52,4	-83,8%
ებრაელი	-20,7	2,2%	24,6	-84,1%
ქურთი	-16,2	1,7%	33,3	-48,6%
ბელორუსი	-8,2	0,9%	8,6	-95,3%
სხვები	-19,0	2,0%	144,1	-13,2%
სულ	**-928,5**	**100,0%**	**5 400,8**	-17,2%

წყარო:გ.წულაძე, ავ.სულაბერიძე და სხვ., საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ, თბილისი, 2008. გვ.64 და გვ.152.

[9] **მიგრაციის ინტენსივობის კოეფიციენტი** - წარმოადგენს წმინდა მიგრაციის (ნეტო მიგრაციის) შეფარდებას მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის რაოდენობასთან და ახასიათებს მიგრაციის შედეგიანობას. მიგრაციის ინტენსივობის კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით გამოიანგარიშება:

$$M = \frac{P_i - P_j}{\bar{S}} \times 100$$

მოსახლეობის მიგრაციის სალდოს აბსოლუტური მნიშვნელობა შესაბამისი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით, გარე მიგრაციის *ინტენსივობას* ვერ ასახავს. *გარე მიგრაციის სალდოს ინტენსივობის* ზუსტი სურათის დასადგენად - გარე მიგრაციის სალდო უნდა შეუფარდო შესაბამისი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობას და გაამრავლო ასზე, მიღებული მაჩვენებელი პროცენტული გამოსახულბით იქნება. ამ შეფარდებითი მაჩვენებლის საფუძველზე გამომდინარეობს, რომ აღწერათაშორის პერიოდში *გარე მიგრაციის სალდოს ინტენსივობით* გამოირჩეოდნენ - ბელორუსები, ებრაელები და უკრაინელები. საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებებს შორის *გარე მიგრაციის შედარებით მაღალი ინტენსივობა* ახასიათებდათ ოსებს, ბერძნებსა და რუსებს, ხოლო *გარე მიგრაციის სალდოს დაბალი ინტენსივობა* - აზერბაიჯანელებს და სომხებს ქონდათ, ყველაზე დაბალი კი ქართველებში აღინიშნებოდა. სწორედ ამ ვითარების შედეგი იყო, რომ 1989 წლიდან - 2001 წლამდე საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობაში ქართველების წილი 70%-დან - 84%-მდე გაიზარდა.

2002წ. მოსახლეობის აღწერისას გამოყენებულ იქნა სპეციალური ფორმა ემ - „ემიგრანტთა სააღწერო ფურცელი“, რომელიც მიზნად ისახავდა გარე მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას. როგორც გ.წულაძე აღნიშნავს, ამ ფორმამ სათანადოდ „ვერ იმუშავა“ და დააფიქსირა მხოლოდ 113,7 ათასი ემიგრანტი, რაც არ შეესაბამებოდა რეალურ სურათს. ამიტომ, 2002 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგად სტატისტიკის დეპარტამენტმა აღწერათაშორისი 1989-2001წწ. პერიოდისათვის, მოსახლეობის რაოდენობისა და ბუნებრივი მატების გათვალისწინებით, გარე მიგრაციის სალდო გადაიანგარიშეს. ჩატარებულმა გამოთვლებმა ცხადყო, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას გარე მიგრაციის შედეგად 928,6 ათასი ადამიანი დააკლდა[10]. ეს შედეგი ბევრმა მეცნიერმა გაიზიარა და მრავალ ანალიტიკურ ანგარიშშიც აისახა.

[10] საქართველოს მოსახლეობა, სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2003, გვ.67.

2002-2014წწ. აღწერათაშორისი პერიოდის საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციული პროცესები

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს 88 541 ემიგრანტის შესახებ კითხვარი შეივსო. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მსგავსად, აღნიშნული მონაცემი დიდი ალბათობით ფაქტობრივ მონაცემზე გაცილებით ნაკლებია. სხვა მიზეზებთან ერთად, ეს უკავშირდება იმ ფაქტსაც, რომ აღწერამ ვერ მოიცვა ინფორმაცია იმ ოჯახების შესახებ, სადაც ყველა წევრმა დატოვა ქვეყანა, შესაბამისად, საქართველოში არ დარჩენილა არავინ, ვინც აღწერის დროს ემიგრანტის შესახებ კითხვარს შეავსებდა.

ცხრილი №3.

2002-2014წწ. საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების ცვლილება[11]

თარიღი	მოსახლეობა	შობადობა რეზიდენტთა შორის	მოკვდაობა	იმიგრაცია	ემიგრაცია
მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერა					
17 იანვარი, 2002 წ.	3 991 273	45 127	47 514	47 616	70 746
17 იანვარი, 2003 წ.	3 965 756	45 450	47 114	48 338	74 714
17 იანვარი, 2004 წ.	3 937 716	45 751	49 746	61 356	78 114
17 იანვარი, 2005 წ.	3 916 963	46 063	49 534	57 516	83 034
17 იანვარი, 2006 წ.	3 887 974	46 845	50 014	74 918	87 004
17 იანვარი, 2007 წ.	3 872 719	48 499	50 204	67 540	90 958
17 იანვარი, 2008 წ.	3 847 596	52 442	50 490	74 372	94 914
17 იანვარი, 2009 წ.	3 829 006	56 568	50 794	63 632	98 580
17 იანვარი, 2010 წ.	3 799 832	55 230	51 066	72 776	103 214
17 იანვარი, 2011 წ.	3 773 558	51 565	49 818	71 220	107 202
17 იანვარი, 2012 წ.	3 739 323	49 969	49 347	69 063	90 584
17 იანვარი, 2013 წ.	3 718 424	49 657	48 564	92 458	95 064
17 იანვარი, 2014 წ.[12]	3 716 911	41 783	39 610	66 304	71 584
მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა	3 713 804				
სულ		634 949	633 815	867 109	1 145 712

წყარო: რალფ ჰაკერტი, 2014წ. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის და შსს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული მიმოხილვა, 2017წ., გვ.18.

[11] 2014წ.დემოგრაფიული მონაცემები მთელი წლის მონაცემებს არ ასახავენ, არამედ მხოლოდ 2014წ.17 იანვრიდან 5 ნოემბრამდე, მოსახლეობის აღწერის პერიოდამდე მოპოვებულ მონაცემებს მოიცავენ.

მიუხედავად იმისა, რომ *ცხრილი 3* შესული მიგრაციის მონაცემები მეტ-ნაკლები სიზუსტით არის მოცემული, არსებობს გარკვეული ეჭვი იმის თაობაზე, თუ რამდენად ასახავს ეს მონაცემები რეალურ ვითარებას. ცხრილში მოცემული 2012, 2013 და 2014 წლების მონაცემები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ სტატისტიკასაც ითვალისწინებს. 2012 წელს საქართველოში შემოღებული სისტემის საშუალებით, ქვეყანაში შემოსული ან ქვეყნიდან გასული პირების საპასპორტო ინფორმაცია მოწმდება ამავე პირის საპირისპირო მიმართულებით საზღვრის გადაკვეთის შესახებ მონაცემების ფონზე. ეს შესაძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ ვინ შემოვიდა ქვეყანაში ან ვინ დატოვა ქვეყნის ფარგლები მხოლოდ რამოდენიმე დღით, რამდენიმე კვირით ან 6 თვეზე მეტი დროით. 2012 წლამდე, ამგვარი სისტემა არ არსებობდა და ერთადერთი ინფორმაცია, რომელსაც ფლობდა შინაგან საქმეთა სამინისტრო, იყო ის თუ რამდენმა ადამიანმა გადაკვეთა ქვეყნის საზღვარი ნებისმიერი მიმართულებით. ამ ფონზე შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ ვინ იყო მიგრანტი, ვიზიტორი ან ტურისტი. ეს იმას ნიშნავს, რომ 2012 წლამდე პერიოდისათვის ცხრილში შესული ინფორმაცია არ ეყრდნობა უტყუარ ფაქტებს.

ცხრილი 4 ჩანს, რომ საქართველოდან ემიგრირებული მამაკაცების უმრავლესობა რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში მიემგზავრება მაშინ, როცა ქალების უმრავლესობა - თურქეთსა და საბერძნეთში.

ცხრილი 4. საქართველოდან ემიგრირებული მოსახლეობის პროცენტული წილი დანიშნულების ქვეყნების მიხედვით, მოსახლეობის აღწერისას შევსებული ემიგრანტის შესახებ კითხვარის მიხედვით

დანიშნულების ქვეყანა	მამაკაცები	ქალები
რუსეთი	33,9	10,7
აზერბაიჯანი	2,7	1,4
უკრაინა	6,6	1,2
სომხეთი	1,7	1,6
თურქეთი	8,4	14,2
საბერძნეთი	6,0	24,8
ერაყი	0,5	0,4
აშშ	6,2	5,3
ისრაელი	1,5	1,6
სხვა	32,0	38,3

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა.

რაც შეეხება საქართველოს რეგიონებს, საიდანაც საზღვარგარეთ ყველაზე მეტი ემიგრანტი მიემგზავრება, პირველ ადგილზეა თბილისი, შემდეგ იმერეთი, ქვემო ქართლი, კახეთი და სამეგრელო და ზემო სვანეთი, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილი 5.

ცხრილი 5. საქართველოში დაბადებულ ემიგრანტთა განაწილება რეგიონების, მოსახლეობის აღწერისას შევსებული ემიგრანტის შესახებ კითხვარის და გადაანგარიშების მიხედვით

რეგიონი	კითხვარი ემიგრანტის შესახებ		გადაანგარიშება	
	ემიგრანტები	პროცენტი	ემიგრანტები	პროცენტი
თბილისი	27 956	31,6	537 620	46,9
აჭარა	3 994	4,5	43 180	3,8
გურია	1 408	1,6	7 080	0,6
იმერეთი	20 298	22,9	162 620	14,2
კახეთი	7 271	8,2	49 676	4,3
მცხეთა-მთიანეთი	2 243	2,5	15 754	1,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	489	0,6	5 032	0,4
სამეგრელო და ზემო სვანეთი	6 897	7,8	156 210	13,6
სამცხე-ჯავახეთი	2 769	3,1	31 176	2,7
ქვემო ქართლი	11 099	12,5	116 550	10,2
შიდა ქართლი	4 117	4,6	20 814	1,8

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014წ. საყოველთაო აღწერა და 2002–2014წწ. საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

ქვეყნის მნიშვნელოვან დემოგრაფიულ გამოწვევად რჩება გარე მიგრაციული პროცესები. მოსახლეობის 2002-2014წწ. აღწერათაშორის პერიოდში, ქვეყნის ტერიტორია 6 თვით ან მეტი დროით 1,15 მილიონმა ადამიანმა დატოვა. იმავე პერიოდში, საქართველოში საცხოვრებლად დაახლოებით 867 ათასი ადამიანი ჩამოვიდა. შესაბამისად, მიგრაციულმა უარყოფითმა სალდომ 278 648 კაცი შეადგინა, რაც 2002 წელს საქართველოს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 7%-ს შეადგენს.

საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციის თანამედროვე ტენდენციები

ლეგალური ემიგრაცია

ევროკავშირის ქვეყნები

ა) სავიზო განაცხადები

2010 წელთან შედარებით, 2014 წელს საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ვიზის მიღებაზე (მათ შორის, მრავალჯერად ვიზაზე) უარის მაჩვენებლის წილი შემცირდა

12.7%-მდე.22 მრავალჯერად ვიზებზე უარის მაჩვენებლის წილი უარების მთლიანი ოდენობის ერთ მესამედს შეადგენს. ამავდროულად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ვიზაზე უარის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ ნიდერლანდებსა (20.7%) და ლიტვას (19.8%), ხოლო ყველაზე დაბალი - პოლონეთსა და გერმანიას, 4.5% და 5.6% შესაბამისად (იხ. ცხრილი 6). მთლიანობაში, საქართველოში განთავსებულმა შენგენის ქვეყნების საკონსულოებმა, 2014 წელს, 80,000-ზე მეტი ვიზა გასცეს და მათ უმრავლესობას ერთჯერადი ვიზები შეადგენდა. გერმანიის, იტალიისა და ნიდერლანდების საკონსულოებმა, შენგენის ქვეყნების სხვა საკონსულოებთან შედარებით, ყველაზე მეტი ვიზა გასცეს, ხოლო იტალიამ - ყველაზე მეტი მრავალჯერადი ვიზა გასცა.

ცხრილი 6: ვიზების სახეობები და საქართველოში განთავსებული შენგენის ქვეყნების საკონსულოების მიერ ვიზების გაცემის მაჩვენებლები, 2014 წ.

შენგენის ქვეყნის საკონსულო	სავიზო განაცხადი	გაცემული ვიზების (მათ შორის, მრავალჯერადი) საერთო რაოდენობა	გაცემული მრავალჯერადი ვიზების რაოდენობა	გაცემული გრძელვადიანი ვიზების საერთო რაოდენობა	უარი ვიზის გაცემაზე	ვიზებზე უარის მაჩვენებელი	მრავალჯერადი ვიზებზე უარის წილი ვიზებზე უარების მთლიან რაოდენობაში
ჩეხეთის რესპუბლიკა	7,832	6,709	605	0	1,123	14,3%	9,0%
ესტონეთი	1,651	1,535	588	0	104	6,3%	38,3%
საფრანგეთი	7,661	6,710	1,836	9	942	12,3%	27,4%
გერმანია	16,739	15,795	3,143	1	943	5,6%	19,9%
საბერძნეთი	10,048	8,672	600		1,376	13,7%	6,9%
იტალია	14,906	12,886	9,338	2	2,018	13,5%	72,5%
ლატვია	4,127	3,871	962	1	255	6,2%	24,9%
ლიტვა	4,741	3,726	1,471		941	19,8%	39,5%
ნიდერლანდები	17,888	13,924	5,615	1	3,708	20,7%	40,3%
პოლონეთი	3,890	3,715	1,393	0	175	4,5%	37,5%
შვეიცარია	3,643	3,424	704	2	217	6,0%	20,6%
სულ	**93,126**	**80,967**	**26,255**	**16**	**11,802**	**12,7%**	**32,4%**

წყარო: *EC*

ბ) ბინადრობის ნებართვები

საზღვარგარეთ განათლების მიღებისა და ოჯახის გაერთიანების მიზნით წასული ემიგრანტები, ისევე როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე ემიგრანტები უფრო ხშირ შემთხვევებში არიან ლეგალურად, ვიდრე შრომითი ემიგრანტები, განსაკუთრებით ისინი,

ვინც მუშაობს ოჯახებში დამხმარეებად და მომვლელებად. იმიგრანტთა დაბადებისა ან მოქალაქეობის ქვეყნის მიხედვით ევროსტატის მონაცემის თანახმად, 2014 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს 45,974 მოქალაქე ცხოვრობდა. ამავდროულად, ევროსტატი არ აქვეყნებს მონაცემებს რამდენიმე ქვეყნის შესახებ,23 მათ შორის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შესახებ, სადაც ქართველების რაოდენობა შესაძლოა საკმაოდ დიდი იყოს. ამდენად, ვვარაუდობთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა უფრო მეტი რაოდენობაა, ვიდრე ამას მონაცემები გვიჩვენებს (ცხრილი 7).

კვლევები გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში ემიგრირებული საქართველოს მოქალაქეები, როგორც წესი, უფრო მაღალი კვალიფიკაციით გამოირჩევიან, ვიდრე ის ემიგრანტები, ვინც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისკენ მიემართებიან.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ყველა ტიპის ბინადრობის ნებართვის შემთხვევაში, 2010 წელთან შედარებით 2013 წელს ოდნავ მეტი ნებართვა გაიცა საქართველოს მოქალაქეებზე. უფრო შესამჩნევია ოჯახის გაერთიანების საფუძვლით გაცემული ბინადრობის ნებართვების ზრდა - თითქმის 38%, რასაც მოსდევს დროებითი დაცვის მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობის ზრდა - 34%.

ცხრილი 7: საქართველოს მოქალაქეებზე ევროკავშირის წევრ 28 სახელმწიფოში გაცემული ბინადრობის ნებართვები საფუძვლების მიხედვით

წელი	საგანმანათ-ლებლო	ოჯახის გაერთიანება	ანაზღაურებადი საქმიანობა	ლტოლვილის სტატუსი	დროებითი დაცვა	სხვა	სულ
2010 წ.	3,687	17,114	17,511	1,741	462	12,576	53,091
2011 წ.	3,445	19,248	19,131	1,727	440	13,438	57,429
2012 წ.	3,967	21,013	17,847	1,856	420	14,950	60,053
2013 წ.	4,146	23,949	19,098	1,894	621	16,327	66,035
2014 წ.	3,844	15,723	15,892	2,022	629	11,163	49,273[25]

წყარო: Eurostat, ყველა მოქმედი ნებართვა საფუძვლის მიხედვით

რუსეთის ფედერაცია

ყველა არსებული შეფასებებისა და სტატისტიკური მონაცემების თანახმად (იხ. ცხრილი 2 და4; დიაგრამა 2), საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის კატეგორიის მიხედვით, რუსეთში ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტია. თუმცა, რუსეთის ფედერაციის მიგრაციის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, 2015 წლის 10 ნოემბრისთვის, რუსეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების რიცხვი 43,762-ს შეადგენდა - მათ შორის, 26,371 მამაკაცი და 17,391 ქალი იყო. ქართველი ემიგრანტების უმრავლესობა შრომისუნარიანი ასაკისაა - 18-დან 49 წლამდე. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ემიგრანტებთან შედარებით, რუსეთში საქართველოდან ჩასულ ემიგრანტთა რაოდენობა საკმაოდ დაბალია. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, 1997-2014 წლებში რუსეთში ჩავიდა საქართველოს 201,046 მოქალაქე, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდის მანძილზე რუსეთი დატოვა 29,137 მოქალაქემ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის 2010წ. აღწერის მონაცემების მიხედვით ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე 157803 ქართველი ცხოვრობდა[12]. 2017წ. რუსეთის შსს მიგრაციული მდგომარეობის შესახებ ანგარიშში[13] საქართველოდან ემიგრირებულთა მონაცემებია დაფიქსირებული: მოწვევა 49 ათასამდე ადამიანს გაუფორმდა, ვიზა 6649 ადამიანზე გაიცა, მიგრაციულ აღრიცხვაზე 47687 ადამიანი დადგა (მ.შ. პირველადი მიგრაცია განახორციელა 37026 ადამიანმა, ჩასვლის მიზეზად დასახელებულ იქნა - ტურიზმი, სწავლა, მუშაობა და სხვ.) და მიგრაციული აღრიცხვიდან 34984 ადამიანი მოიხსნა, რუსეთის მოქალაქეობა მიიღო/აღიდგინა/აღიარებულ იქნა 2535 საქართველოდან გასული ემიგრანტის შემთხვევაში. ეს მონაცემები არ შეესაბამება რუსეთში ქართველ ემიგრანტთა რაოდენობის არსებულ შეფასებებს (იხ. ცხრილი 8).

[12] http://www.demoscope.ru/weekly/ssp/rus_nac_10.php
[13] https://xn--b1aew.xn--p1ai/Deljatelnost/statistics/migracionnaya

ცხრილი 8: ქართველი ემიგრანტები ძირითადი ბინადრობის ქვეყნების მიხედვით, 1990-2013 წწ.

		UN DESA[1)]		UN DESA[1)]		UN DESA[1)]		UN DESA[1)]		მსოფლიო ბანკი[2)]		MPC [3)]
	მონაცემთა ტიპი	1990 წ.	მონაცემთა ტიპი	2000 წ.	მონაცემთა ტიპი	2010 წ.	მონაცემთა ტიპი	2013 წ.	მონაცემთა ტიპი	2010 წ.	მონაცემთა ტიპი	2012 წ.
რუსეთის ფედერაცია	B	656,888	B	625,298	B	441,793	B	436,005	n/a	644,390	B (2002 წ.)	628,973
უკრაინა	B	76,612	B	72,826	B	68,386	B	67,875	n/a	72,410	C (2001 წ.)	6,446
საბერძნეთი	C	23,963	C	21,283	C	36,628	C	37,912	n/a	41,817	B (2006 წ.)	13,254
სომხეთი	B R	1,603	B R	67,525	B R	36,329	B R	37,277	n/a	75,792	-	-
უზბეკეთი	B	31,462	B	25,154	B	23,288	B	23,175	n/a	-	-	-
კვიპროსი	B	3,802	B	6,950	B	13,388	B	17,994	n/a	13,497	-	-
აშშ	B	7,691	B	11,346	B	14,386	B	14,907	n/a	25,310	B (2011 წ.)	14,270
გერმანია	B	1,410	B	10,482	B	13,255	B	13,406	n/a	18,164	C (2012 წ.)	17,163
ესპანეთი	B	104	B	523	B	10,168	B	10,621	n/a	10,702	B (2012 წ.)	10,501
თურქეთი	B R	5,868	B R	6,443	B R	8,740	B R	9,512	n/a	7,295	C (2011 წ.)	1,740
ისრაელი	B R	25,921	B R	21,123	B R	9,328	B R	9,479	n/a	26,032	B (2005 წ.)	44,462
„სამხრეთის სხვა ქვეყნები"[4)]	-	-	-	-	-	-	-	-	n/a	98,123	-	-
ევროკავშირის 28 ქვეყანა		39,695		50,566		100,313		108,728		95,992		-
ყველა ქვეყანა		890,120		913,777		734,065		738,733		1,058,300		767,489

მონაცემთა ტიპები: საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობა (B), უცხო ქვეყნის მოქალაქეები (C), გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ლტოლვილები (R), მონაცემები არ არსებობს (n/a).

წყაროები: გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, 2013 წ.; მსოფლიო ბანკი, 2010 წ.; მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი, 2013 წ.; საკუთარი გამოთვლები.

1) გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, 2013 წ,; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით. საანგარიშო წლის, კერძოდ 1990, 2000, 2010 და 2013 წლების 1 ივლისის მონაცემები;

2) მსოფლიო ბანკი, 2010 წ. მონაცემები დაფუძნებულია 2008 წელს გადათვლილ გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის მონაცემებზე, რომლებიც ეხება საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობას და აგრეთვე რათჰასა და შოუს კვლევაზე (Ratha and Shaw 2007). ბოლო მონაცემები მოცემულია 2010 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. არ არის მითითებული გათვალისწინებულია თუ არა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების მონაცემები;

3) მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი, 2013 წ., ეროვნულ მონაცემებზე დაყრდნობით. სომხეთის, უზბეკეთისა და კვიპროსის მონაცემები არ არის მოცემული. არ არის მითითებული გათვალისწინებულია თუ არა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების მონაცემები;

4) რათჰასა და შოუს კვლევა ქვეყნებს შორის ანაწილებს „დაუდგენელ" (unidentified) მიგრანტებს, ანუ იმ პირებს, რომელთა წარმოშობის, ან დანიშნულების ქვეყანა უცნობია. აღნიშნულის შედეგად ვიღებთ დაახლოებით მონაცემებს ქართველ ემიგრანტთა შესახებ დაუზუსტებელ ქვეყნებში, მაგალითად, როდესაც ემიგრანტი არ ან ვერ იძლევა ინფორმაციას მისი დაბადების ან მოქალაქეობის ქვეყნის შესახებ.

2000 წლამდე სანამ რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს[14] შემოიღებდა, რუსეთში ქართველ მიგრანტთა ნაკადების რაოდენობა საკმაოდ სტაბილური იყო და წელიწადში 20,000-დან 25,000 ადამიანამდე მერყეობდა (იხ. დიაგრამა 3). თუმცა, 2001 წლიდან ემიგრანტთა რიცხვი ორჯერ შემცირდა და 2004 წელს ყველაზე დაბალ

[14] 2000წ. 5 დეკემბრიდან საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სავიზო რეჟიმი ამოქმედდა.

მაჩვენებელს მიაღწია (4,886). ემიგრანტთა რაოდენობამ ისევ დაიწყო ზრდა 2007-2008 წლებში და 2014წ. დაახლოებით 10,000 ემიგრანტს შეადგენს წლიურად. რუსეთში, საქართველოდან ემიგრირებულთა რაოდენობა სავარაუდოდ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის გადინების შედეგად გაიზარდა.

დიაგრამა 3: საქართველოდან რუსეთში და რუსეთიდან საქართველოში მიგრაციის დინამიკა (1997-2014წწ.)



წყარო: Росстат

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის მონაცემებით 2003-2013წწ. საქართველოს 15,560-მა მოქალაქემ მიიღო შეერთებულ შტატებში კანონიერი მუდმივი ბინადრობის ნებართვა. 2013 წელს 1,368 საქართველოს მოქალაქიდან, ვინც მიიღო აშშ-ს კანონიერი ბინადრობის ნებართვა 734-მა ეს ნებართვა აშშ-ს მოქალაქის უშუალო ნათესავის (2012 წელს - 819 შემთხვევა 1,341-დან) და 354-მა - საიმიგრაციო ვიზის პროგრამაში გამარჯვების საფუძველზე მიიღო (2012 წელს - 270 შემთხვევა 1,341-დან). ამავდროულად, 2001-2015წწ. საქართველოს 8,161-მა მოქალაქემ აშშ-ს საიმიგრაციო ვიზის „მწვანე ბარათის“ გათამაშებაში მოიგო. სავარაუდოდ, ყველა მათგანი არ დასახლდა აშშ-ში სამუდამოდ, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამარჯვებულთა უმრავლესობამ მიიღო კანონიერი

ბინადრობის სტატუსი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მინიმუმ 15,000 საქართველოს მოქალაქე ამჟამად კანონიერად ცხოვრობს აშშ-ს ტერიტორიაზე. რთულია საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობის განსაზღვრა, რომლებიც აშშ-ში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იმყოფება. ის ფაქტი, რომ აშშ-ს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეთა შედარებით დიდი რაოდენობაა ნაწილობრივ იმითაც დასტურდება, რომ აშშ-ში 2337 ქართული დიასპორული ორგანიზაცია არსებობს, რომელიც ქართველ ემიგრანტთა საჭიროებებს ემსახურება.

ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები - ლეგალური ემიგრაციის ფორმა

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემების თანახმად, 2014 წლის ბოლოს, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელი 7,791 მოქალაქე ითხოვდა თავშესაფარს სხვა ქვეყნებში. ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით, თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი მნიშვნელოვნად მერყეობს ყოველწლიურად. თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების ყველაზე მცირე რაოდენობა 2006 წელს დაფიქსირდა (5,382), ხოლო ყველაზე მაღალი - 2009 წელს (15,735), ანუ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან ერთი წლის შემდეგ. საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა მიერ შეტანილ განაცხადებზე უარის კოეფიციენტი განსხვავდება (იხ. ცხრილი 9).

ცხრილი 9: განხილვის პროცესში მყოფი განაცხადების (წლის დასაწყისი და წლის ბოლო), წლის განმავლობაში შემოსული განაცხადებისა და უარის რაოდენობა

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014[30]
წლის დასაწყისი	3,022	3,501	3,079	3,892	4,123	5,375	8,349	7,214	2,958	4,238	11,394
წლის განმავლობაში შეტანილი განაცხადების რაოდენობა	11,716	9,311	5,382	5,513	9,225	15,735	10,195	8,504	14,094	12,592	12,377
დადებითი პასუხების საერთო რაოდენობა	1,056	1,513	653	663	871	2,252	849	606	516	556	675
უარი	6,852	5,886	3,749	3,763	5,902	8,182	6,151	4,930	6,779	6,896	7,641
სხვა მიზეზებით დაუკმაყოფილებელი განცხადებები	3,721	4,087	2,040	1,454	1,305	4,969	2,701	3,620	5,296	4,811	5,132
გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა	11,607	11,486	6,442	5,880	8,078	15,403	9,701	9,155	12,591	12,263	13,448
აღიარების კოეფიციენტი[31]	13%	20%	15%	15%	13%	22%	12%	11%	7%	7%	8%
უარის კოეფიციენტი[*]	87%	80%	85%	85%	87%	78%	88%	89%	93%	93%	92%
წლის ბოლო	2,791	3,011	4,386	4,066	5,086	4,759	7,195	2,953	4,583	11,571	7,791

წყარო: *UNHCR, 2014.*

2014 წელს, საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის შემდეგ ქვეყნებში იქნა შეტანილი თავშესაფრის მაძიებელთა ყველაზე მეტი განაცხადი: გერმანია (3,180), საფრანგეთი (2,849), საბერძნეთი (1,264), შვედეთი (1,123) და პოლონეთი (709). ხოლო, ბოლო ხუთი წლის მანძილზე, საფრანგეთი, გერმანია და პოლონეთი იყო საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთათვის ყველაზე პოპულარული დანიშნულების ქვეყნა. ამასთან, ბოლო პერიოდში შვედეთიც გვევლინება ასეთად.

ცხრილი 10: ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადები. ყველაზე პოპულარული დანიშნულების ქვეყნები (წლის განმავლობაში შეტანილი განაცხადები

წლის განმავლობაში განმცხადებელთა რაოდენობა (ყველა ქვეყანა)	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
საფრანგეთი	3,686	2,467	1,097	555	463	542	1,790	1,737	3,995	4,069	2,849
საბერძნეთი	323	1,897	428	1,559	2,241	2,170	1,360	1,121	893	990	1,264
პოლონეთი	56	78	64	51	59	4,213	1,082	1,735	3,577	1,210	709
გერმანია	974	614	313	231	298	638	751	527	1,430	2,486	3,180
რუსეთის ფედერაცია	24	27	138	586	2,684	3,580	1,353	626	450	330	216
შვეიცარია	731	397	287	199	481	638	642	281	715	745	466
შვედეთი	403	183	134	143	291	520	456	412	748	830	1,123
ავსტრია	1,731	0	0	400	511	975	370	261	300	257	417
ბელგია	326	294	267	160	222	327	396	418	497	378	543
კვიპროსი	785	990	681	546	275	241	110	37	19	6	6
ნიდერ-ლანდები	73	213	156	66	64	412	611	233	252	238	333
სლოვაკეთი	989	258	209	134	119	98	63	62	61	34	14
სულ (ყველა ქვეყანა)	11,716	9,311	5,382	5,513	9,225	15,735	10,195	8,504	14,094	12,592	12,145

წყარო: UNHCR, 2014

Eurostat-ის მონაცემების თანახმად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ასევე შეინიშნება თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა განაცხადების შემცირების ტენდენცია - 10,830 განაცხადი 2012 წელს, 9,115 – 2013 წელს და 8,555 – 2014 წელს. ამავდროულად, 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველო აღარ შედის იმ 15 ქვეყნის სიაში, საიდანაც ევროკავშირის 28 ქვეყანაში ყველაზე მეტი თავშესაფრის მაძიებელი ჩადის.

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზის თანახმად, ბოლო 11 წლის განმავლობაში, საქართველოდან ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა (საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმების მინიჭების ჩათვლით) მერყეობს 6,626-სა (2004 წ.) და 15,020-ს (2009 წ.) შორის. ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა მაჩვენებელი 2010 წელს შემცირდა 30%-ით და მომდევნო წლებშიც

გრძელდება ეს ტენდენცია, ძირითადად, რუსეთში, გერმანიასა და აშშ-ში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა შემცირებიდან გამომდინარე.

2014 წელს ქართველ ლტოლვილთა ყველაზე დიდი რაოდენობა საფრანგეთში, ავსტრიაში, რუსეთის ფედერაციაში, აშშ-ში, კანადაში, გერმანიასა და საბერძნეთში იმყოფებოდა. ლტოლვილთა მონაცემებში რამდენიმე საკმაოდ აშკარა ცვლილებაა, რაც დამატებით კვლევას საჭიროებს, რათა სათანადოდ ავხსნათ ეს ცვლილებები. მაგალითად, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის ზრდა რუსეთში 2009-2011 წლებში, ან ლტოლვილთა რაოდენობის შემცირება გერმანიაში (2012 წლიდან) და აშშ-ში (2009 წლიდან).

ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებელთა და თავშესაფრის მოთხოვნაზე განმცხადებელთა სტაბილური რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება: საქართველოდან თავშესაფრის განცხადებების რაოდენობის მოულოდნელი ზრდის შემთხვევები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ქვეყნის შიგნით სოციალ-პოლიტიკურ არასტაბილურობასთან. 2008 წელს ეს გამოწვეული იყო რუსეთ-საქართველოს ომით, როდესაც საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა საერთო რაოდენობამ ყველა დროის პიკს მიაღწია 2009 წელს, კონფლიქტიდან ერთ წელიწადში. 2008 და 2009 წლებში, რუსეთში, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავარაუდოდ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის გადინების შედეგად.

ცხრილი 11: საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ლტოლვილები, ყველაზე მიმზიდველი დანიშნულების ქვეყნების მიხედვით

ბინადრობის ქვეყანა	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
საფრანგეთი	998	1,516	1,668	1,786	1,889	2,105	2,153	2,249	2,391	2,571	2,714
ავსტრია	153	226	291	377	532	654	730	774	819	788	788
რუსეთის ფედერაცია	238	119	120	205	670	2,329	2,478	1,900	1,404	762	537
აშშ	791	817	1,289	1,093	1,111	1,091	928	802	693	608	496
კანადა	245	290	297	471	486	501	495	506	504	485	474
გერმანია	2,639	2,664	1,173	1,385	1,509	1,943	2,034	2,105	2,202	333	343
საბერძნეთი	-	-	-	-	-	-	-	13	31	84	264
შვედეთი	77	96	106	139	148	165	173	177	170	158	161
იტალია	41	41	41	55	65	89	84	89	90	109	130
ნიდერ-ლანდები	713	693	467	366	282	216	173	146	117	111	89
სხვა ქვეყნები	731	839	888	5,933	5,906	5,927	1,392	1,351	840	769	702
სულ	6,626	7,301	6,340	11,810	12,598	15,020	10,640	10,112	9,261	6,778	6,698

წყარო: UNHCR, 2014

საქართველოს მოსახლეობის არალეგალური ემიგრაცია

საზღვრის უკანონო გადაკვეთა და შესვლაზე უარი

ფრონტექსის 2015 წლის „აღმოსავლეთ ევროპის საზღვრების რისკების ყოველწლიური ანალიზის“ თანახმად, „საქართველოს მოქალაქეთა მიერ სასაზღვრო-გამტარ პუნქტებს შორის საზღვრის უკანონო გადაკვეთის შემთხვევების გამოვლენის ფაქტები აშკარად შემცირებულია. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების/შენგენის ასოცირებული ქვეყნების მონაცემების მიხედვით, 2014 წელს, მათ 171 ასეთი შემთხვევა გამოავლინეს, მაშინ როდესაც 2013 წელს მსგავსი 235 შემთხვევა იქნა გამოვლენილი. ყველა საერთო და რეგიონული საზღვრების საერთო მონაცემების ანალიზისას შემცირება კიდევ უფრო შესამჩნევია, კერძოდ, 686 შემთხვევიდან 376 შემთხვევამდე“.

ცხრილი 11: სასაზღვრო-გამტარ პუნქტებს შორის საზღვრის უკანონო გადაკვეთა. ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე რისკების ანალიზის სისტემაში (EB-RAN) შემავალი ქვეყნებისა და მეზობელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ გამოვლენილი შემთხვევები იმ 10 ქვეყნის მიხედვით, რომელთა მოქალაქენიც ყველაზე ხშირად იყვნენ დაკავებული საზღვრის უკანონო გადაკვეთისას.

	2012	2013	2014	საერთო ჯამის წილი	% ცვლილება წინა წელთან შედარებით
საზღვრის არალეგალურად კვეთის მიზანი					
არალეგალური მიგრაცია	366	1 565	**1 868**	50	19
სხვა	30	1 898	**1 332**	36	-30
საზღვარზე უკანონოდ გადაადგილება	24	584	**396**	11	-32
არ არის განსაზღვრული	4 879	661	**125**	3.4	-81
მოქალაქეობა					
უკრაინა	1 475	1 318	**990**	27	-25
მოლდოვა	937	691	**446**	12	-35
საქართველო	645	686	**376**	10	-45
აფღანეთი	328	263	**356**	9.6	35
ვიეტნამი	193	209	**345**	9.3	65
რუსეთის ფედერაცია	510	498	**334**	9.0	-33
სირია	37	114	**188**	5.1	65
არ არის განსაზღვრული	86	193	**102**	2.7	-47
ბელარუსი	198	163	**100**	2.7	-39
ერაყი	7	3	**38**	1	1 167
სხვა	883	570	**446**	12	-22
ჯამი	**5 299**	**4 708**	**3 721**	**100**	**-21**

წყარო: FRONTEX 2015, "Eastern European Borders Annual Risk Analysis"

2014წ. ფრონტექსის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოქალაქეების შესვლაზე უარის მაჩვენებელი თითქმის 40%-მდე შემცირდა. 2014 წლის მეოთხე კვარტალში,

ევროკავშირის ქვეყნებში შესვლაზე უარის მიღების მთავარი მიზეზები იყო მოქმედი ვიზის, ან ბინადრობის ნებართვის არქონა (1,986 შემთხვევა, კატეგორია C) და დარჩენის მიზეზისა და პირობების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების არქონა (88 შემთხვევა, კატეგორია E).

ცხრილი 12: შესვლაზე უარი (ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე რისკების ანალიზის სისტემაში შემავალი ქვეყნებისა და მეზობელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მონაცემებზე დაყრდნობით, საზღვრის ტიპებისა და იმ 10 ქვეყნის მიხედვით, რომელთა მოქალაქეებსაც ყველაზე ხშირად ეთქვათ უარი).

	2012	2013	2014	[illegible]	[illegible]
[illegible]					
[illegible]	62 463	77 100	77 278	89	0.2
[illegible]	2 690	4 485	5 952	6.8	33
[illegible]	3 184	3 344	3 877	4.5	16
[illegible]					
[illegible]	9 226	22 977	24 408	28	6.2
[illegible]	19 182	19 685	21 770	25	11
[illegible]	3 608	3 659	6 763	7.8	85
[illegible]	9 640	9 643	5 784	6.6	-40
[illegible]	4 972	4 450	5 255	6	18
[illegible]	5 259	5 372	4 110	4.7	-23
[illegible]	1 169	2 375	3 056	3.5	29
[illegible]	1 217	1 901	1 776	2	-6.6
[illegible]	1 889	1 588	1 773	2	12
[illegible]	482	770	1 356	1.6	76
[illegible]	11 693	12 509	11 056	13	-12
ჯამი	**68 337**	**84 929**	**87 107**	**100**	**2.6**

წყარო: FRONTEX 2015, „Eastern European Borders Annual Risk Analysis“

საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა შესვლაზე უარს ქვეყნების სახმელეთო საზღვარზე იღებს. ფრონტექსის თანახმად, 2014 წელს სახმელეთო საზღვრის გადაკვეთაზე უარის 3,716 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც საქართველოს მოქალაქეების მიერ მიღებული ყველა უარის 73% შეადგენს.

არალეგალურად მყოფი ემიგრანტების დაკავება

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არალეგალურად მყოფი მოქალაქეების გამოვლენის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა გამოვლენის ფაქტები 2010 წლიდან, ყოველწლიურად მერყეობს 4,285-სა და 5,335-ს შორის. თუმცა, ფრონტექსის მონაცემები, რომლებიც საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის საერთო რაოდენობას ასახავს, გვიჩვენებს,

რომ 2014 წელს არალეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეთა გამოვლენის ფაქტები 50%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით (4,938-დან 2,465-მდე).

ცხრილი 14: არალეგალური ყოფნა. ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე რისკების ანალიზის სისტემაში შემავალი ქვეყნებისა და მეზობელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ გამოვლენილი შემთხვევები, გამოვლენის ადგილისა და იმ 10 ქვეყნის მიხედვით, რომელთა მოქალაქეებიც ყველაზე ხშირად იქნენ გამოვლენილნი.

	2012	2013	2014	საერთო ჯამის წილი	% ცვლილება წინა წლთან შედარებით
გამოვლენის ადგილი					
[illegible]	24 176	23 952	**23 673**	75	-1.2
[illegible]	14 013	16 083	**6 433**	20	-60
[illegible]	678	863	**1 029**	3.3	19
[illegible]	568	303	**288**	0.9	-5
[illegible]	699	137	**141**	0.4	2.9
მოქალაქეობა					
[illegible]	6 883	8 159	**9 824**	31	20
[illegible]	7 051	6 887	**6 140**	19	-11
[illegible]	4 187	4 938	**2 465**	7.8	-50
[illegible]	2 139	1 707	**2 137**	6.8	25
[illegible]	1 534	1 487	**1 394**	4.4	-6.3
[illegible]	2 889	2 879	**957**	3	-67
[illegible]	2 345	2 261	**798**	2.5	-65
[illegible]	1 359	1 455	**696**	2.2	-52
[illegible]	1 677	1 737	**639**	2	-63
[illegible]	700	913	**613**	1.9	-33
[illegible]	9 370	8 916	**5 901**	19	-34
ჯამი	**40 134**	**41 339**	**31 564**	**100**	**-24**

წყარო: FRONTEX 2015, "Eastern European Borders Annual Risk Analysis "

რეადმისია

ევროკავშირისა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ გაფორმებული შეთანხმება, რომელიც 2011 წლის 1 მარტიდან შევიდა ძალაში, მიზნად ისახავს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. ასევე, საქართველოს მოქალაქეთა და ევროკავშირში არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოში დაბრუნების ეფექტიან მექანიზმებს აყალიბებს. ევროკავშირსა და საქართველოში უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმება ავალდებულებს ქართულ მხარეს მიიღოს ევროკავშირის ტერიტორიაზე უკანონოდ მცხოვრები ყველა მოქალაქე, თუ მათი საქართველოს მოქალაქეობა დადასტურებული იქნება. შეთანხმება, მისი ძალაში

შესვლის მომენტიდან, ეფექტიანად სრულდება საქართველოს შესაბამისი უწყებების მიერ, რასაც სტატისტიკაც ადასტურებს: 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, რეადმისიის თაობაზე განაცხადების 90%-ზე მეტი დადებითად გადაწყდა.

2011 წლის 1 მარტიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე, საქართველომ მიიღო 4,031 რეადმისიის განაცხადი, რომელთაგან 3,739 დააკმაყოფილა და მხოლოდ 292 განაცხადზე იქნა მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება. რეადმისიის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან 2015 წლის სექტემბრამდე საქართველოში 2,900 პიროვნება დაბრუნდა. რეადმისიის განაცხადების უმრავლესობა მიღებულია გერმანიიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან და ბელგიიდან (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4: ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან განხორციელებული რეადმისიის შემთხვევები (2011-2014 წწ.)



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმების მიზნით. ხელი მოეწერა და ძალაშია შესული საიმპლემენტაციო ოქმები ავსტრიასთან, ბულგარეთთან, ესტონეთთან, ლიტვის რესპუბლიკასთან, ბენილუქსის ქვეყნებთან და უნგრეთთან. საიმპლემენტაციო ოქმების პროექტები მზადაა ხელმოსაწერად: სლოვაკეთის რესპუბლიკასთან, ჩეხეთის რესპუბლიკასა და პოლონეთთან. საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკები სხვადასხვა ეტაპზეა პორტუგალიასთან, გერმანიასთან,

საბერძნეთსა და ესპანეთთან. საქართველომ ასევე შეიმუშავა საიმპლემენტაციო ოქმის პროექტი, რომელიც გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების მიზნით გადაეგზავნა იმ ქვეყნებს, საიდანაც ყველაზე დიდია რეადმისიის შესახებ განაცხადთა რაოდენობა - საფრანგეთი, იტალია, კვიპროსი და შვედეთი.

წარმოშობის ან/და ტრანზიტის ქვეყნებთან რეადმისიის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზნით, საქართველომ შეიმუშავა რეადმისიის შესახებ შეთანხმების პროექტები, რომლებიც მოლაპარაკებების დაწყების მიზნით დიპლომატიური არხების მეშვეობით გადაეგზავნა სომხეთს, აზერბაიჯანს, ბანგლადეშს, ისრაელს, შრი-ლანკასა და პაკისტანს.

ამჟამად, რეადმისიის შესახებ შეთანხმებები საქართველოს გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, ნორვეგიასთან, შვეიცარიასთან, დანიასთან, უკრაინასა (საიმპლემენტაციო ოქმებთან ერთად) და მოლდოვასთან.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, 2014 წელს შეიქმნა რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემა რომლის მეშვეობითაც ხდება რეადმისიის მოთხოვნის განთავსება და განაცხადების დამუშავება. რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს დაცულ სივრცეს რეადმისიის პროცედურების ეფექტიანი განხორციელებისთვის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნის ატვირთვიდან, რეადმისიას დაქვემდებარებული პირის უშუალოდ ქვეყანაში დაბრუნებამდე. 2014 წლის დეკემბრის მონაცემებით, აღნიშნულ სისტემაში ჩართულია ევროკავშირის 6 ქვეყანა (პოლონეთი, გერმანია, საბერძნეთი, ავსტრია, რუმინეთი და ბულგარეთი).

საქართველოში მიმდინარე მოსახლეობის იმიგრაციული პროცესები

საქართველოს 2014წ. აღწერის შედეგებში ასახული იმიგრაციული პროცესების ანალიზი

მოსახლეობის აღწერა გვაწვდის იმიგრაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ ინფორმაციას, თუმცა ამ ინფორმაციის თანახმად ქვეყანაში შემოსულ პირთა რაოდენობა გაცილებით მცირეა, ვიდრე 2012 წლის შემდგომ სტატისტიკაზე დაყრდნობით იყო მოსალოდნელი. კრიტერიუმად აღებული იქნა იმიგრანტთა რაოდენობის გრადაცია ისე,

რომ მონაცემები მეტ-ნაკლებად შესაბამისობაში ყოფილიყო 2012 წლის შემდეგ დაფიქსირებულ ტენდენციასთან, და 2012 წლამდე არსებული აღწერის მონაცემების პროპორციული ცვლილება მომხდარიყო. *ემიგრაციის* შემთხვევაში, არსებული ინფორმაცია კიდევ უფრო მწირია. აღნიშნული ცვლადის განსაზღვრა წარმოებდა *არაპირდაპირი მეთოდით*, რომელიც ეყრდნობა ვარაუდს წრფივი ტენდენციის არსებობის შესახებ და აწარმოებს ემიგრანტთა რაოდენობის გრადაციას ისე, რომ მიღებული მონაცემები 2002 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში დაფიქსირებულ მოსახლეობის რაოდენობრივ ცვლილებას შეესაბამებოდეს, რომელიც ასევე 2002 წლისათვის მოსახლეობის რიცხოვნობის გამოთვლის ზემოხსენებულ მეთოდს მოიაზრებს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია დამაჯერებლად იმის განცხადება, რომ გამოყენებული მეთოდები უტყუარ მონაცემებს იძლევა[15].

სასექსის უნივერსიტეტში არსებული განვითარების კვლევის ცენტრის გლობალური მიგრაციის მონაცემთა ბაზა, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებში მიგრანტთა არსებულ რაოდენობებს იკვლევს, 2013წ. გამოცემაში აღნიშნავს, რომ ქართველ ემიგრანტთა რიცხოვნობა მილიონს აჭარბებდა და ისინი ძირითადად ქვემოთ მოცემულ ქვეყნებში ცხოვრობდნენ:

ქვეყანა	ემიგრანტთა რიცხოვნობა
რუსეთი	628 973
უკრაინა	95 680
საბერძნეთი	71 692
ხომხეთი	70 138
გერმანია	30 177
ისრაელი	17 512
აზერბაიჯანი	12 630
პაკისტანი	12 553
აშშ	11 974
ლატვია	7 064
ჰონგ კონგი	7 064
თურქეთი	6 511
ქუვეითი	5 895
იორდანია	5 073

წყარო: გლობალური მიგრაციის მონაცემთა ბაზა, სასექსის უნივერსიტეტი, 2013წ.

[15] *რალფ ჰაკერტი, 2014წ. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, 2017წ., გვ.22.*

საქართველოში, გარე მიგრაციის დინამიკაში წამყვანი ადგილი ემიგრაციას უჭირავს, არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ემიგრანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება იმიგრანტების რაოდენობას, არამედ ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ იმიგრანტების უმეტესობა ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენს, რომლებსაც ზოგჯერ თან ჩამოჰყავთ მეუღლეები იმ ქვეყნებიდან, სადაც ისინი ემიგრანტებად იმყოფებოდნენ. საქართველოში იმიგრაციის ავტონომიური ნაკადები ძირითადად შემოიფარგლება აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და რუსეთის ფედერაციიდან იმიგრირებული მცირერიცხოვანი ჯგუფებით.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგად საქართველოში მცხოვრები იმ პირების რაოდენობამ, რომლებმაც განაცხადეს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ იყვნენ დაბადებულნი, შეადგინა 66 230 ადამიანი (მთლიანი მოსახლეობის 1,8%). გარდა ამისა, 30 693 პირმა არ მიუთითა თუ რომელ ქვეყანაში იყვნენ დაბადებულნი. იმ 66 230 პირიდან, რომლებიც ცნობილია, რომ არ არიან დაბადებული საქართველოში, დაახლ. ნახევარი (30 341 პირი) დაბადებულია რუსეთის ფედერაციაში; სხვა ქვეყნები, რომლებშიც დაბადებულია საქართველოში მცხოვრები, მაგრამ საზღვარგარეთ დაბადებული პირების უმეტესობა, არის სომხეთი (9 158 პირი), უკრაინა (6 879 პირი) და აზერბაიჯანი (6 604 პირი). მცირეა საბერძნეთში, გერმანიაში და ა.შ. დაბადებული პირების რაოდენობა. ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ მოსახლეობაში საზღვარგარეთ დაბადებული პირების რაოდენობა მცირეა, ვინაიდან ეთნიკურად აზერბაიჯანელი (სულ 233 024 პირი) და ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის (სულ 168 102 პირი) დიდი უმრავლესობა საქართველოშია დაბადებული.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს დაფიქსირებული იმიგრანტების უმრავლესობას სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტები შეადგენდნენ (79 630 მამაკაცი და 57 657 ქალი). იმიგრანტების შედარებით მცირე რაოდენობა საზღვარგარეთ დაბადებული პირები არიან (15 736 მამაკაცი და 30 881 ქალი). როგორც ცხრილიდან 15 ირკვევა, სამშობლოში დაბრუნებულ პირთა უმრავლესობას საქართველოში რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული პირები შეადგენენ. შედარებით მცირე რაოდენობა წარმოადგენენ უკრაინიდან, საბერძნეთიდან და თურქეთიდან ჩამოსულ პირებს. ამ ბოლო

ორი ქვეყნიდან დაბრუნებულ პირებს შორის ჭარბობდნენ ქალები მაშინ, როცა რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან დაბრუნებულ პირების უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენდნენ. წარმომავლობის ქვეყნების მიხედვით, არამკვიდრი მოსახლეობის განაწილება მეტ-ნაკლებად მსგავსია სამშობლოში დაბრუნებული მკვიდრი მოსახლეობის განაწილების; იმიგრანტების უდიდესი წილი რუსეთის ფედერაციიდან იყო, შედარებით დიდი პროცენტული წილი მოდიოდა, ასევე, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსულ მოსახლეობაზე და მცირე რაოდენობა - საბერძნეთიდან ჩამოსულ მოსახლეობაზე. არამკვიდრ იმიგრანტებს შორის ჭარბობდნენ ქალები მაშინ, როცა სამშობლოში დაბრუნებულ მკვიდრ მოსახლეობას შორის მამაკაცები დომინირებენ. აღნიშნული ტენდენცია აიხსნება ქართველი მამაკაცების შრომით მიგრაციით რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში, სადაც ბევრი მათგანი ქორწინდება ადგილობრივ ქალებზე და სამშობლოში მეუღლეებთან ერთად ბრუნდება.

ცხრილი 15. 2002-2014 წლებში, იმიგრანტი მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი საქართველოში, წარმომავლობის ქვეყნისა და დაბადების ადგილის (ქვეყანა) მიხედვით

წარმომავლობა	საქართველოში დაბადებული		საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული	
	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები
რუსეთი	55,6	49,9	43,6	48,9
აზერბაიჯანი	1,7	2,1	9,4	9,0
უკრაინა	8,1	5,8	7,5	12,8
სომხეთი	0,9	1,6	7,9	13,2
თურქეთი	2,7	4,1	5,5	0,7
საბერძნეთი	7,8	13,3	4,4	2,2
ერაყი	0,2	0,1	2,2	0,3
აშშ	1,9	2,5	1,2	0,5
ისრაელი	1,0	1,4	0,6	0,3
ინდოეთი	0,0	0,1	1,2	0,4
სხვა	20,2	19,1	16,5	11,7

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

მოსახლეობის აღწერის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებისაგან. მოსახლეობის აღწერის თანახმად, 2012-2014 წლებში იმიგრანტთა საერთო რაოდენობაში 17 449 მამაკაცი და 16 008 ქალია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით კი, საქართველოში იმიგრირებულ პირებს შორის 147 265

მამაკაცი და 96 417 ქალი დაფიქსირდა. აღნიშნული სხვაობა ნაწილობრივ აიხსნება იმათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიტერიუმით, იმიგრანტის კვალიფიკაცია ეძლევა პირს ქვეყანაში 6 თვის მანძილზე დარჩენის შემთხვევაში მაშინ, როცა მოსახლეობის აღწერის დროს იგივე კრიტერიუმი მინიმუმ 1 წელს გულისხმობს. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა 2014 წლისთვის მოიცავს ამავე წლის ნოემბრისა და დეკემბრის მონაცემებს მაშინ, როცა მოსახლეობის აღწერა მოიცავს პერიოდს 2014 წლის 5 ნოემბრამდე.

ცხრილი 16. იმიგრანტები (მკვიდრი და არამკვიდრი) სქესისა და საქართველოში ჩამოსვლის წლის მიხედვით, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერისა და გადაანგარიშების შედეგების თანახმად

წელი	მოსახლეობის აღწერა		გადაანგარიშება	
	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები
2002	1 999	1 781	29 473	18 138
2003	2 083	1 944	29 930	18 407
2004	3 169	2 773	38 001	23 347
2005	3 007	2 760	35 643	21 878
2006	3 834	3 172	46 441	28 482
2007	3 590	3 263	41 906	25 634
2008	3 882	3 148	46 087	28 277
2009	3 820	3 095	39 431	24 202
2010	4 622	3 873	45 153	27 619
2011	4 475	3 996	44 233	26 988
2012	5 546	4 972	42 753	26 310
2013	5 287	4 803	55 574	36 884
2014	6 616	6 233	39 493	26 811

წყარო: სექსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა და 2014–2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

გადაანგარიშება ეყრდნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს 2012-2014 წლების მონაცემებს. როგორც ცხრილიდან 16 ირკვევა, აღნიშნული გადაანგარიშების შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემებისგან.

XXI ს. 20-იანი წლების საქართველოში უცხოელთა ლეგალური იმიგრაცია

წლების მანძილზე საქართველოში შედარებით ლიბერალური სავიზო რეჟიმი მოქმედებდა, როდესაც 100-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეს შეეძლო შემოსულიყო, ეცხოვრა, ემუშავა და ესწავლა ქვეყანაში ვიზის ან ბინადრობის ნებართვის აღების აუცილებლობის გარეშე. შესაბამისად, იმიგრანტებს ამ ქვეყნებიდან არ სჭირდებოდათ ბინადრობის ნებართვის აღება, რომ ეცხოვრათ, ემუშავათ ან ესწავლათ საქართველოში - ამრიგად,

ქვემოთ განხილული ბინადრობის ნებართვების სტატისტიკა ძირითადად იმ ქვეყნების მოქალაქეთა შესახებ იძლევა ინფორმაციას, რომლებიც არ სარგებლობდნენ ამგვარი შეღავათებით ლიბერალური საიმიგრაციო რეგულაციების ფარგლებში.

მიგრაციული ნაკადების დარეგულირების მიზნით, 2014 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი. 2015 წლის ზაფხულში კანონში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება ვიზისა და ბინადრობის მოთხოვნების დახვეწის მიზნით. ცვლილებებს საფუძვლად დაედო ახალი კანონის განხორციელების მონიტორინგის შედეგები, ისევე როგორც სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები.

საქართველოში შემოსულ იმიგრანტთა ნაკადები საკმაოდ მრავალფეროვანია - იმიგრანტები სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან და ძირითადად წარმოადგენენ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას. დროებითი ბინადრობის ნებართვების გაცემის მონაცემები გვიჩვენებს, რომ იმიგრანტები ჩართულნი არიან სხვადასხვა საქმიანობაში, იქნება ეს განათლების მიღება, ბიზნესის წარმოება, თუ მუშაობა.

საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობის მონაცემები გროვდება სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით და ძირითადად ეფუძნება შეფასებით გამოთვლებს. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, სავარაუდოდ, უფრო სანდო მონაცემებს მოგვაწვდის იმიგრანტთა რაოდენობის შესახებ. პროექტ ENIGMMA-ს ანგარიშში „მიგრაციის მდგომარეობა საქართველოში“ მოცემულია გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტისა (UN DESA) და მსოფლიო ბანკის შეფასებები. UN DESA რაოდენობას ანგარიშობს „საზღვარგარეთ დაბადებულთა“ კატეგორიაზე დაყრდნობით, რაც შეადგენს დაახლოებით 190,000 ადამიანს (UN DESA 2013 წ.). ამ კატეგორიაში შესაძლებელია შედიოდეს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც წარმოშობით საქართველოდანაა, მაგრამ დაბადებულია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ან საბჭოთა კავშირის პერიოდში, ან მისი დაშლის შემდეგ, რომლებიც საბოლოოდ დასახლდნენ საქართველოში და შესაძლოა საქართველოს მოქალაქეობაც კი,

ჰქონდეთ. მსოფლიო ბანკის 2011 წლის შეფასებების მიხედვით, 2010 წელს საქართველოში იმიგრანტთა რაოდენობა 167,000 აღწევდა.

იმიგრანტთა რიცხოვნობის ანალიზისას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემებს ვიყენებთ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აგროვებს ბინადრობის ნებართვების (როგორც დროებითი, ასევე მუდმივი) გაცემისა და მოქალაქეობის მინიჭების მონაცემებს.

ქვემოთ, ცხრილში წარმოდგენილია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დროებითი და მუდმივი ბინადრობის ნებართვების გაცემის მონაცემები.

ცხრილი 17: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვები (2010-2014 წწ.)

წელი	შრომითი	სასწავლო	ოჯახის გაერთიანების მიზნით	საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა[54]	საქართველოს ყოფილი მოქალაქე	ბოლო 6 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში	სპეციალური ბინადრობის ნებართვა[55]	სულ
2010	2,903	1,059	940	-	1,850	2	-	6,754
2011	4,539	657	1029	-	1,168	2	-	7,395
2012	5,091	876	961	-	840	4	-	7,772
2013	3,921	554	931	-	620	4	-	6,030
2014	4,666	1,130	1,136	54	2,282	676	181	10,125
სულ	21,120	4,276	4,997	54	6,760	688	181	38,076

წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

ამდენად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, ბოლო 5 წლის განმავლობაში, გაიცა 38,000-ზე მეტი ბინადრობის ნებართვა. ამავდროულად, ეს რიცხვი ზუსტად არ ასახავს ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა რაოდენობას, ვინაიდან, ერთი და იმავე პირს, შესაძლებელია, ყოველ წელიწადს მიემართა და მიეღო დროებითი ბინადრობის ნებართვა.

გარკვეული განსხვავებები შეინიშნება იმ მაჩვენებლებში, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები მიმართავენ განცხადებებით კონკრეტული ბინადრობის ნებართვის მისაღებად. მაგალითად, ოჯახის გაერთიანების კატეგორიაში გაცემული ბინადრობის ნებართვების 1/3-ზე ოდნავ მეტი მიღებული აქვთ რუსეთის მოქალაქეებს (4,997-დან 1,654); ამას გარდა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა მიიღეს გაცემული ბინადრობის ნებართვების 70% (6,760-დან 4,791) საქართველოს ყოფილი მოქალაქეების კატეგორიაში. ბოლო 5 წლის განმავლობაში გაცემული შრომითი ბინადრობის ნებართვების შემთხვევაში,

21,120-დან 6,467 (30%) ნებართვა გაიცა ჩინეთის მოქალაქეებზე, მაშინ, როდესაც სასწავლო ბინადრობის ნებართვების თითქმის 60% (4,276-დან 2,488 შემთხვევა) მიიღეს ინდოელმა სტუდენტებმა.

2010-2014 წლებში, 8,189 პირის განაცხადი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე (სულ შემოსული განცხადებების დაახლოებით 17%) არ დაკმაყოფილდა (იხ. ცხრილი 18). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურა.

ცხრილი 18: ბინადრობის ნებართვაზე უარების საერთო რაოდენობა (2010-2014 წწ.)

წელი	გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა	ბინადრობის ნებართვაზე უარყოფითი პასუხების რაოდენობა	შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობა
2010	6,754	588	7,342
2011	7,395	748	8,143
2012	7,772	1,773	9,545
2013	6,030	2,745	8,775
2014	10,125	2,335	12,460
სულ	**38,076**	**8,189**	**46,265**

წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტო

2010-2014 წლებში, უცხო ქვეყნის 35,769 მოქალაქეს მიენიჭა **ნატურალიზაციის გზით, საქართველოს მოქალაქეობა** (იხ. ცხრილი 19). უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა, საქართველოს ყოფილი მოქალაქეა, რომლებიც გავიდნენ საქართველოს მოქალაქეობიდან სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო. მოქალაქეობის მინიჭების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2013 წელს, ხოლო 2014 წელს კი, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ნატურალიზაცია თითქმის 50%-თ შემცირდა. ორმაგ მოქალაქეობაზე განაცხადების საერთო რაოდენობამ 44,818 შეადგინა; მათგან 9,049 შემთხვევა არ დაკმაყოფილდა.

ცხრილი 19: მოქალაქეობის მინიჭება ნატურალიზაციის შედეგად (2010-2014 წწ.)

წელი	ნატურალიზაციის დაკმაყოფილებული განაცხადების რაოდენობა	ნატურალიზაციის უარყოფითი განაცხადების რაოდენობა	განაცხადების საერთო რაოდენობა
2010	5,904	1,301	7,205
2011	8,559	1,597	10,156
2012	7,113	1,373	8,486
2013	9,626	2,412	12,038
2014	4,567	2,366	6,933
სულ	**35,769**	**9,049**	**44,818**

წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტო

მინიჭებული 35,769 მოქალაქეობიდან, დიდი ნაწილი - 25,992 - მიიღეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა. თურქეთი, ისრაელი, საბერძნეთი, აშშ და სომხეთი ასევე შედის იმ ქვეყანათა პირველ ხუთეულში, რომელთა მოქალაქეებსაც ნატურალიზაციის პროცედურის გავლის შედეგად მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა 2010-2014 წლებში (იხ. ცხრილი 20)

ცხრილი 20: ძირითადი წარმოშობის ქვეყნები, რომლის მოქალაქეებმაც მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციის პროცედურის გავლით

ქვეყანა	დაკმაყოფილებული განაცხადები	სულ დაკმაყოფილებული განაცხადების %
რუსეთი	25,992	73%
თურქეთი	3,033	8%
ისრაელი	1,151	3%
საბერძნეთი	1,143	3%
აშშ	1,097	3%
სომხეთი	670	2%
სხვა:	4,855	8%
სულ:	**35,769**	**100%**

წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტო

ნატურალიზაციის პროცედურის გავლით მოქალაქეობის მინიჭების გარდა, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების რეგულაციები უზრუნველყოფს შესაძლებლობას გახდეთ საქართველოს მოქალაქე მოქალაქეობის მინიჭების სტანდარტული პროცედურების გავლით. 2010-2014 წლებში, ამ კატეგორიაში 1,604 განმცხადებლიდან 1,502

პირს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. მათი უმრავლესობა (1,117) მოქალაქეობის არმქონე პირი და აზერბაიჯანის მოქალაქეა (383). ამ კატეგორიაში, უარის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად დაბალია და შეადგენს 102 შემთხვევას (მიღებული განაცხადების 6%).

განათლების მიღების მიზნით ჩამოსული იმიგრანტები

იმიგრანტებს შორის შედარებით ახალ ჯგუფს წარმოადგენენ განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელები, რომლებიც საქართველოში ძირითადად უმაღლეს განათლებას იღებენ. ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს უნივერსიტეტებში ყოველწლიურად ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა სტაბილურად იზრდება (იხ. ცხრილი 21). მთლიანობაში, უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოში უფრო მეტი მამრობითი სქესის უცხოელი სტუდენტი ჩამოდის, თუმცა მდედრობითი სქესის სტუდენტების რაოდენობაშიც შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია. უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა 18-25 წლისაა.

ცხრილი 21: საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ იმიგრანტთა რაოდენობა, სქესისა და ჩარიცხვის წლის მიხედვით

წელი	მამაკაცი	ქალი	სულ
2004	181	113	294
2005	108	68	176
2006	120	65	185
2007	189	131	320
2008	180	141	321
2009	202	173	375
2010	290	211	501
2011	653	333	986
2012	1,279	624	1,903
2013	1,480	597	2,077
2014	1,979	614	2,593
სულ:			9,905

წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ჩარიცხულთა რაოდენობის მაქსიმალური ზრდა დაფიქსირდა 2010/2011 და 2011/2012 სასწავლო წლებში, როდესაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“

ახალი კანონით გათვალისწინებული სავიზო რეჟიმის ცვლილებების მიუხედავად, 2014 წელს ჩარიცხულთა რიცხვი მაინც გაიზარდა თითქმის 25%-ით 2013 წელთან შედარებით.

საქართველოს უნივერსიტეტები როგორც ჩანს თანდათან იწყებენ საერთაშორისო სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებას და შედეგად, სულ უფრო მეტი უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს უცხოენოვან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამებს (იხ. ცხრილი 22). ამრიგად, 2014 წლისათვის, 25 ქართულ უნივერსიტეტში უცხოენოვანი 160 საგანმანათლებლო პროგრამა ისწავლებოდა.

ცხრილი 22: უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტატისტიკა (2011-2014 წწ.)

წელი	უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საერთო რაოდენობა	ბაკალავრიატის უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა	სამაგისტრო უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა	სადოქტორო უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა	უნივერსიტეტების რაოდენობა, სადაც ისწავლება უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები
2011	22	17	5	-	5
2012	88	59	24	5	12
2013	123	82	30	11	18
2014	160	105	42	13	25

წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2004-2014 წლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული ყველაზე მეტი უცხოელი სტუდენტი აზერბაიჯანიდან, ინდოეთიდან, თურქეთიდან, ნიგერიიდან, რუსეთის ფედერაციიდან და ერაყიდან ჩამოვიდა (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5: იმიგრანტ სტუდენტთა წარმოშობის ძირითადი ქვეყნები (2004-2014 წწ., შეჯამებული მონაცემები)



წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აზერბაიჯანიდან განათლების მიღების მიზნით ჩამოსული იმიგრანტები, სავარაუდოდ ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ერთი თანამემამულის სტატუსის მქონე ეთნიკური ქართველებისგან შედგება, რის შედეგადაც მათ სრული წვდომა აქვთ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე, ხოლო მეორე - ეთნიკური აზერბაიჯანელი სტუდენტებისგან, რომლებიც ვერ ჩაირიცხნენ აზერბაიჯანის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გეოგრაფიული სიახლოვის, დაახლოებით ისეთივე სწავლის საფასურისა და რუსულად ან ინგლისურად სწავლის შესაძლებლობის გამო. რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული სტუდენტების ერთი ნაწილი, სავარაუდოდ, აგრეთვე შედგება ეთნიკური ქართველებისგან, ხოლო მეორე - ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების (რუსეთის ფედერაცია) მაცხოვრებლებისგან, რომლებიც სპეციალურად მოიზიდა რამდენიმე ქართულმა უმაღლესმა სასწავლებელმა განათლების მიღების მიზნით. იმიგრანტებმა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ინდოეთი, ერაყი, თურქეთი ან ნიგერია, „შესაძლებელია, გადაწყვიტეს საქართველოში მიეღოთ განათლება ინგლისურ ენაზე სწავლის შესაძლებლობის, სწავლის დაბალი საფასურისა და მათ მშობლიურ ქვეყნებში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის აღიარების გამო“. უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა სწავლობს მედიცინას, საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებსა და ბიზნესთან დაკავშირებულ დისციპლინებს.

ასევე, ყოველწლიურად იზრდება უცხოელ მოსწავლეთა რიცხვი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში: 2011/2012 სასწავლო წლებში მათი რაოდენობა 1,147-ს შეადგენდა, ხოლო 2014/2015 სასწავლო წელს 3,404-მდე გაიზარდა. საშუალო სკოლებში უცხოელ მოსწავლეთა უმრავლესობა რუსეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, სომხეთისა და აშშ-ს მოქალაქეებისგან შედგება (განათლების სამინისტრო).

შრომითი იმიგრანტები

შრომის ბაზრის მობილობა საქართველოში რეგულირდება „შრომითი მიგრაციის შესახებ“კანონით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. კანონის თანახმად, საქართველოში ლეგალურად მცხოვრები უცხოელები და საქართველოს მოქალაქეები თანაბარი

უფლებებით სარგებლობენ შრომით ბაზარზე. ასევე, ადგილობრივ დამსაქმებლებს არ აქვთ შეზღუდვები უცხოური სამუშაო ძალის დასაქმებისას.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, შრომითი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა უმრავლესობას შეადგენენ ჩინეთის, თურქეთისა და ირანის მოქალაქეები. ბოლო 5 წლის განმავლობაში გაცემული 21,120 შრომითი ბინადრობის ნებართვიდან 6,467 (30%) გაიცა ჩინეთის, 4,618 (22%) - თურქეთის, 2,222 ირანისა და 2,156 ინდოეთის მოქალაქეებზე (შესაბამისად, 10%-10%).

ცხრილი 23: შრომითი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა რაოდენობა იმ 5 წარმოშობის ქვეყნის მიხედვით, ვის მოქალაქეზეც გაიცა ყველაზე მეტი ნებართვა (პირველი ნებართვები და გაგრძელებები)

ქვეყანა	2010	2011	2012	2013	2014	სულ
ჩინეთი	765	1,529	1,803	1,416	954	6,467
თურქეთი	736	977	806	736	1,363	4,618
ირანი	91	786	822	312	211	2,222
ინდოეთი	585	483	396	328	364	2,156
ეგვიპტე	16	23	359	348	96	842

წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

უცხოელი მეწარმეები/ინვესტორები

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 2010-2014 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ან ბინის/სახლის საკუთრებაში რეგისტრაციის 23,398 შემთხვევა დარეგისტრირდა. 2011-დან 2013 წლამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციის სტაბილური ზრდა შეინიშნებოდა. თუმცა, 2014 წელს, როდესაც შემოღებული იქნა უცხოელებისთვის მიწის საკუთრებაზე მორატორიუმი, მიწის საკუთრებაში რეგისტრაციის შემთხვევები შემცირდა, თუმცა ამავდროულად მცირედით გაიზარდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაცია, 1,273-დან (2013 წ.) 1,651-მდე (2014 წ.). უცხოელთათვის ინვესტიციის ძირითად სფეროს უძრავი ქონება წარმოადგენს (იხ. ცხრილი 24).

ცხრილი 24: უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება, ქონების ტიპისა და რეგისტრაციის წლის მიხედვით

	უძრავი ქონების ტიპი				
წელი	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ბინა/სახლი	სხვა	სულ
2010	564	673	1,274		2,511
2011	938	738	1,335		3,008
2012	1,776	987	1,871	1	4,634
2013	2,146	1,273	2,808		6,227
2014	1,424	1,651	3,943		7,018
სულ	**6,848**	**5,322**	**11,231**	**1**	**23,398**

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოში უძრავ ქონებაში ინვესტიციებს ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოქალაქეები ახდენენ (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა). შესაძლოა მათ შორის იყვნენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეები, რომლებმაც თავის დროზე დატოვეს საქართველო და სხვა ქვეყნებში გადავიდნენ საცხოვრებლად და სურვილი აქვთ უძრავ ქონებაში ინვესტირების მეშვეობით შეინარჩუნონ საქართველოსთან კავშირები. იგივე შეიძლება ითქვას საბერძნეთისა და ისრაელის მოქალაქეთა ნაწილის შესახებ.

ცხრილი 25: უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება, ქონების ტიპისა და იმ ქვეყნების მიხედვით, რომელთა მოქალაქეებმაც ყველაზე მეტი რეგისტრაცია განახორციელეს (2010-2014 წწ.)

	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ბინა/სახლი	სულ
რუსეთის ფედერაცია	4,004	2,365	6,373	12,742
აზერბაიჯანი	719	95	310	1,124
უკრაინა	268	204	555	1,027
სომხეთი	426	250	299	975
საბერძნეთი	438	130	344	921
ისრაელი	54	331	497	882
აშშ	87	174	519	780
გერმანია	80	119	354	553
ირანი	121	174	174	469
ერაყი	36	326	83	445
თურქეთი	44	135	194	373

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

2010-2014 წლებში, სულ 26,706-მა უცხოელმა დაიწყო საქართველოში სამეწარმეო ან არასამეწარმეო საქმიანობა. რეგისტრაციების აბსოლუტური უმრავლესობა (იხ. ცხრილი 26), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა (შპს) და ინდივიდუალურ მეწარმეებზე მოდის. შპს-ების ყველაზე დიდი რაოდენობა დარეგისტრირდა 2012 და 2013 წლებში, ხოლო 2014 წელს რეგისტრირებული შპს-ების რაოდენობა თითქმის 50% შემცირდა.

ცხრილი 26: უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა მათ მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების, სუბიექტის ფორმისა და დაფუძნების წლის მიხედვით

	სამეწარმეო სუბიექტები				არასამეწარმეო სუბიექტები		სულ
	ინდივიდუალური მეწარმე	შპს	უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	სააქციო საზოგადოება	არასამეწარმეო იურიდიული პირი	უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	
2010	276	1,993	61	0	25	11	2,366
2011	338	3,602	99	2	0	9	4,050
2012	355	7,076	95	0	0	6	7,532
2013	429	7,713	101	0	0	9	8,252
2014	563	3,766	164	0	0	13	4,506
სულ	1,961	24,150	520	2	25	48	26,706

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

რეგიონული განაწილების მხრივ, უცხოელების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს საწარმო დაარეგისტრიროს, ან ინდივიდუალური მეწარმის სტატუსი მიიღოს თბილისში ან აჭარაში, ასევე ქვემო ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. ნაკლებად მიმზიდველია თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონები.

ქვემოთ, 27-ე ცხრილში ჩამოთვლილია ის ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებიც არეგისტრირებენ, როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო სუბიექტებს, ხდებიან ინდივიდუალური მეწარმეები, ან აარსებენ უცხოური კომპანიების ფილიალებს საქართველოში - მათ შორის ყველაზე ხშირად ირანის, თურქეთისა და ეგვიპტის მოქალაქეები გვხვდებიან.

ცხრილი 27: რეგისტრირებული ყველა ტიპის სამეწარმეო/არასამეწარმეო სუბიექტების ჯამური რაოდენობა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ძირითადი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით (2010-2014 წწ.)

ქვეყანა	სულ
ირანი	6,373
თურქეთი	3,692
ეგვიპტე	3,149
ინდოეთი	2,286
რუსეთის ფედერაცია	1,563
აზერბაიჯანი	1,026
უკრაინა	978
ერაყი	889
სომხეთი	851
ჩინეთი	560
აშშ	474
ისრაელი	398
ნიგერია	180

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ წელში განხორციელებული რეგისტრაციების სტატისტიკას. საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე იმიგრანტი მეწარმეების ზეგავლენის თემა დამატებითი კვლევის საგანია საქართველოში; იმიგრაციის როლის პირველადი შეფასება კი, ამ კონტექსტში განხილულია წინამდებარე პროფილის იმიგრაციის ეკონომიკური ზეგავლენის ნაწილში.

საქართველოში ლტოლვილების და თავშესაფრის მაძიებლების დინამიკა

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თავშესაფრის მაძიებლად ითვლება პირი, რომელიც ქვეყანაში ითხოვს საერთაშორისო დაცვას. ლტოლვილის სტატუსი უნდა მიენიჭოს პირს, ვისაც გონივრული შიში გააჩნია, რომ ის შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასობრივ, რელიგიურ, ეთნიკურ, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების წევრობის ან პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე. ხოლო, ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა წარმოშობის ქვეყანა სიცოცხლისათვის საშიში პირობების გამო.

თავშესაფრის მაძიებელთა სტატისტიკა

2010 წლამდე, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი საკმაოდ დაბალი იყო: 2005 წლიდან 2010 წლამდე განმცხადებელთა საერთო რაოდენობა არ აღემატებოდა 300 ადამიანს;61 მათ უმრავლესობას რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები შეადგენდნენ. 2010

წლიდან საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი იწყებს ზრდას და 2014 წელს 1,792 პირს მიაღწია (იხ. ცხრილი 28). მთლიანობაში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი 30-ჯერ გაიზარდა, რაც ასახავს გეოპოლიტიკური მოვლენების განვითარებას საქართველოს სამეზობლოსა და ახლო აღმოსავლეთში. ერაყიდან (2012 წელს) და უკრაინიდან (2014 წელს) თავშესაფრის მაძიებელი მოქალაქეების მოულოდნელი ზრდა შეიძლება აიხსნას ამ ქვეყნებში ბოლო დროს წარმოქმნილი არასტაბილურობით.

ცხრილი 28: საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების რაოდენობა, ძირითადი წარმოშობის ქვეყნების მიხედვით

	განაცხადების რაოდენობა				
ძირითადი წარმოშობის ქვეყნები	2010	2011	2012	2013	2014
ერაყი	1	0	438	478	1,070
უკრაინა	n/a	n/a	1	2	419
სირია	0	0	17	60	79
ეგვიპტე	0	0	26	79	41
რუსეთის ფედერაცია	32	33	36	28	30
ირანი	4	31	41	26	44
სხვა	17	15	40	44	109
სულ თავშესაფრის მაძიებლები	57	79	599	717	1,792

წყარო: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; ICMPD, 2015 წ.

საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა ბოლო 6 წლის განმავლობაში მერყეობს; ხოლო, მას შემდეგ, რაც 2013 წლიდან საქართველომ ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება დაიწყო, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა იზრდება (იხ. ცხრილი 29).

ცხრილი 29: საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა რაოდენობა მინიჭებული სტატუსის მიხედვით, და საქართველოს მოქალაქეობის მქონე ლტოლვილთა რაოდენობა (2010-2014 წწ.)

წელი	ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები	ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები	სულ	საქართველოს მოქალაქეობის მქონე ლტოლვილთა რაოდენობა
2010	687	0	687	195
2011	478	0	478	113
2012	345	0	345	106
2013	304	46	350	4
2014	297	145	442	27

წყარო: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის კლება შესაძლებელია ნაწილობრივ აიხსნას იმ ლტოლვილთა რაოდენობის ზრდით, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა. მათგან უმრავლესობას წარმოადგენენ რუსეთის მოქალაქე ჩეჩენი ლტოლვილები, რომლებიც ცხოვრობენ ახმეტის მუნიციპალიტეტის პანკისის ხეობაში.

ცხრილი 30: უარი ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასა და თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციაზე

წელი	განა-ცხადების საერთო რაოდენობა	სულ უარის რაოდენობა / უარის კოეფიციენტი[12] (საერთო რაოდენობის %)	უარი ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე / უარის კოეფიციენტი (საერთო რაოდენობის %)	უარი თავშესაფრის მაძიებელთა რეგისტრაციაზე / უარის კოეფიციენტი (საერთო რაოდენობის %)
2010	57	47 / 82%	47 / 82%	0
2011	79	36 / 46%	36 / 46%	0
2012	599	94 / 16%	48 / 8%	46 / 8%
2013	717	337 / 47%	254 / 35%	83 / 12%
2014	1,792	362 /20%	228 /13%	134 / 7%

წყარო: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

მთავარი მიზეზი, თუ რატომ ვერ იღებენ თავშესაფრის მაძიებლები ლტოლვილის ან ჰუმანიტარულ სტატუსს, არის მათი განაცხადების შეწყვეტა. შეწყვეტილი განაცხადების უმრავლესობის შემთხვევაში, განმცხადებლები არ გამოცხადნენ გასაუბრებაზე, ან თავად მოითხოვეს განაცხადის შეწყვეტა (იხ. ცხრილი 31).

ცხრილი 31: განაცხადების შეწყვეტა, შეწყვეტის მიზეზის მიხედვით

წელი	შეწყვეტილი განაცხადების რაოდენობა	შეწყვეტის მიზეზი			
		შეწყდა განმცხადებლის გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის გამო	შეწყდა პირადი განცხადების საფუძველზე	განმ-ცხადებელი დაბრუნდა წარმოშობის ქვეყანაში	განმცხა-დებლის გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის გადასახლების პროგრამაში მონაწილეობის გამო
2010	4	3	1	0	0
2011	11	8	3	0	0
2012	47	13	34	0	0
2013	473	232	241	0	0
2014	387	209	172	1	5

წყარო: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა დროებითი განთავსების ცენტრში საკმაოდ სტაბილურია და ძირითადად შედგება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეებისგან (იხ. ცხრილი 32).

ცხრილი 32: თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა დროებითი განთავსების ცენტრში, თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნების მიხედვით

წარმოშობის ქვეყანა	2012	2013	2014
ერაყი	50	52	31
ეგვიპტე	2	17	7
ირანი	11	2	2
რუსეთი	3	7	4
სირია	1	1	9
სხვა	25	13	23
სულ	92	92	76

წყარო: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მეზობლად მიმდინარე კონფლიქტებმა გამოიწვია რეგიონში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის ზრდა, რამაც საქართველოს თავშესაფრის სისტემაზეც გავლენა იქონია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში თავშესაფრის სისტემა ინსტიტუციონალიზებულია, შემდგომი ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ გაძლიერდეს ქვეყნის შესაძლებლობები თავშესაფრის მაძიებელთა გაზრდილ რაოდენობასთან ეფექტურად მუშაობისთვის და დაიხვეწოს იმ პირთა ინტეგრაციის მექანიზმები, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ. არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების განხილვა ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოეყვანა. მთელი რიგი ცვლილებები შევიდა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის №100 ბრძანებაში, 2015 წლის 29 ივლისს შეტანილი იქნა ცვლილება, მე-7 მუხლის სახით, რომელიც ეხება თავშესაფრის მაძიებელთა განსახილველი საქმეების ეფექტურ მართვას. 2015 წლის იანვრიდან სექტემბრამდე მნიშვნელოვანი ძალისხმევა ჩაიდო თავშესაფრის მაძიებელთა განსახილველ საქმეთა წარმოების პროცესში, რის შედეგადაც, მათი რაოდენობა 1,174-დან 209-მდე შემცირდა.

თავშესაფრის მაძიებელთა მასიური შემოდინების შემთხვევაში, ზემოხსენებული ბრძანება არეგულირებს ლტოლვილისა თუ ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პროცესს Prima Facie პრინციპით.

კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი იმიგრანტები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2010-2014 წლებში, საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნის 13,572 შემთხვევა გამოვლინდა. აღნიშნული რაოდენობა ასახავს იმიგრანტებს, რომლებიც კანონიერი ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ დარჩნენ ქვეყანაში და არ გულისხმობს იმ პირებს ვინც არალეგალურად გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი. როგორც ცხრილი 33 გვიჩვენებს, 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, ასეთი შემთხვევების რიცხვი თითქმის 40%-ით გაიზარდა.

ცხრილი 33: საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა რაოდენობა (2010-2014 წწ.)

წელი	რაოდენობა
2010	2,674
2011	2,675
2012	2,112
2013	2,541
2014	3,570
სულ	13,572

წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

ამ ჯგუფში უცხოელთა უმრავლესობას წარმოადგენენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს (საერთო რაოდენობის 60%-ზე ოდნავ მეტი). საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების წარმოშობის ქვეყნების პირველი ხუთეული (იხ. ცხრილი 34) შეადგენს საერთო რაოდენობის თითქმის 90%-ს.

ცხრილი 34: საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელები წარმოშობის ქვეყნების პირველი ხუთეულის მიხედვით (2010-2014 წწ.)

წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა
რუსეთი	8,272
ირანი	1,041
ჩინეთი	979
თურქეთი	975
ინდოეთი	668
სხვა	1,637
სულ	13,572

წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

დასკვნა

გლობალურ მიგრაციულ სისტემაში ჩართვის შედეგად, საქართველოში თანდათან იცვლება საერთაშორისო და შიდა მობილურობის ფორმები. დღეს ემიგრაციისა და სატრანზიტო ქვეყნის სტატუსთან ერთად, საქართველო დანიშნულების ქვეყანადაც გვევლინება, სადაც სულ უფრო მეტი ლეგალური იმიგრანტი ჩამოდის გრძელვადიანი მიზნებით. საქართველოს მოქალაქეები საერთაშორისო შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე რეაგირებენ და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების მქონე ქვეყნებში მიდიან ემიგრაციაში, სადაც მათ მიერ შექმნილი დიასპორული გაერთიანებები საკმაოდ შესამჩნევ როლს თამაშობს. ამასთანავე, საქართველოს ემიგრანტების უმრავლესობას დანიშნულების ქვეყნებში ჯერ კიდევ არ აქვს ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთები, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მათ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების სათანადოდ ასახვის მიზნით, ზემოთ მოცემულ მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობითა და მიგრაციის მართვის სფეროს შეფასების საფუძველზე, შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მიგნებების გაკეთება:

- 2002-2014 წლებში საქართველოს მოსახლეობა 600,000-ზე მეტით შემცირდა;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირთა რაოდენობა იმ ქვეყნებიდან, სადაც შიდა კონფლიქტებია, ბოლო წლების მანძილზე გაიზარდა და მათი განაცხადების რაოდენობამ 2014 წელს 1,800 მიაღწია; ეს ზრდა ძირითადად განაპირობა თავშესაფრის მაძიებელ პირთა შედარებით დიდი რაოდენობით შემოსვლამ ერაყიდან და უკრაინიდან და შედარებით ნაკლები რაოდენობით - სირიიდან;
- ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შეინიშნება საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია;
- იმიგრანტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა საქართველოში სამეწარმეო მიზნებით ჩამოდის და მათ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესებაში;
- იმიგრანტ სტუდენტთა მზარდმა რაოდენობამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევას;

- საქართველოში არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, წინ გადადგმული ნაბიჯია საერთაშორისო სტანდარტების თანახმად მოქმედი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი განთავსების ცენტრის შექმნა;
- ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით, როგორიცაა, მაგალითად, ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარება;
- მიგრაციის მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით, უკვე მოქმედებს რამდენიმე ელექტრონული მონაცემთა ბაზა (მაგალითად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სახის ამომცნობი სისტემა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შექმნილი არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის ელექტრონული პროგრამა).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა

I სემესტრის დოქტორანტი

ნათია ბრეგვაძე

სადოქტორო სემინარი

„ კინოდოკუმენტალისტიკა:

შემეცნებითი კომუნიკაციის ძირითადი ასპექტები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

თბილისი 2018 წელი

სარჩევი

რა არის დოკუმენტური ფილმი 1

დოკუმენტური ფილმის განვითარების ქრონოლოგია 4

ქალები და ადრეული დოკუმენტალისტიკა 7

დოკუმენტური კინო და მეორე მსოფლიო ომი 10

პოლიტიკური კინოდოკუმენტალისტიკა 14

დოკუმენტური კინოს განვითარება საქართველოში 17

პრიზი დოკუმენტური ფილმისათვის, ნომინანტები და გამორჩული გამარჯვებულები 28

დასკვნა 31

ლიტერატურა და დამოწმებები: 32

რა არის დოკუმენტური ფილმი

,,კინო, - როგორც ჟან ლიუკ გოდარი წერდა - არის სიმართლე წამში 24-ჯერ. დოკუმენტური კინო ერთდროულად ამტკიცებს და უარყოფს ამ მოსაზრებას, თუმცა რეალობის ასახვის უნარი მისი ყველაზე ძლიერი იარაღია.

The Guardian

დოკუმეტური ფილმი, მხატვრულისაგან განსხვავებით, ასახავს სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რელობას, რომელიც ჩვენ გარშემოა. ის ჟურნალისტურ-რეჟისორული ნაწარმოებია, რომელშიც დამოკიდებულება და ხედვა შემქნელებსა და პროდუქტს შორის განსხვავეულია მხატვრული კინოსგან. თუ მხატვრულ ფილმში გამოგონილ, არარეალურ, ფანტასტიკურ ან რეჟისორის მიერ სუბიექტურად აღქმულ თუ შეფუთულ ამა თუ იმ ამბავს ვუყურებთ, ან სულაც ესთეტიკური სიამოვნების მიღებისთვის გვაინტერესებს, დოკუმენტური კინოს შემქმნელები ორიენტირებული არიან საკითხზე, თემაზე, პრობლემაზე, რომელიც სურთ რომ წინ წამოსწიონ. ხშირად დოკუმენტური კინო იყენებს მხატვრული ფილმის ელემენტებს, შთაბეჭდილების მოხდენის, დრამატიზების, მაყურებელში გრძნობების გამძაფრების მიზნით - ტექნიკურ ხრიკებსაც მიმართავს კადრების დაჭრისა და მონტაჟის საშუალებით, თუმცა მას გარკვეული დატვირთვა - საკითხის მიმართ საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზანი აქვს.

ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი ბილ ნიკოლსი დოკუმენტურ ფილმს ორ სახეობად ყოფს: ფილმები სურვილის დასაკმაყოფილებლად და სოციალური დატვირთვის მქონე ფილმები. ორივე მათგანი ყვება ისტორიას, თუმცა ნარატივი და კონცეფცია განსხვავებულია.

პირველი კატეგორიის დოკუმენტური ფილმები გვეხმარებიან აღმოვაჩინოთ სამყარო, როგორც წარმოსახვის კონკრეტიზაცია - ხილული და მოსმენადი. ისინი გვიყვებიან

ჩვენთვის უცნობ სამყაროზე და გვიქმნიან წარმოდგენას თუ რა ხდება იქ, სადაც არასდროს ვყოფილვართ, ასეთი ფილმები სამყაროს აღმოჩენის, შეცნობის და ბევრ ისეთ საკითხში გათვითცნობიერების საშუალებას გვაძლევენ, რასთან უშუალო შეხება და გამოცდილება არასდროს გვქონია. ამ ტიპის დოკუმენტური ფილმებს შემეცნებითიც შეგვიძლია ვუწოდოთ. ისინი გვაჩვენებენ სამყაროს უსასრულობას და პერსპექტივებს, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ან უარვყოთ.

მეორე ტიპის დოკუმეტური ფილმები კი სოციალური რეალობის შესახებ გვაძლევენ ინფორმაციას. ისინი გვაჩვენებენ პრობლემებს, გამოწვევებს, პერსონალურ და საზოგადოების დილემებს, რათა უკეთ გავაანალიზოთ თუ რა ხდება რეალურად გარესამყაროში, ან რა შეიძლება მოხდეს მომავალში. იქნება ეს გლობალური დათბობის, მსოფლიო პოლიტიკური წერიგის თუ საკვების პრობლემის შესახებ. (Nichols:2001)

ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დესმონდ ბელი ყურადღებას ამახვილებს დოკუმენტური ფილმების, - როგორც ისტორიული ფაქტების რეპრეზენტატორის როლზე. ის ყურადღებას ამახვილებს ისეთ ცნობილ და პოპულარულ არხებზე, როგორიცაა ,,History Channel", ,,Discovery" და ,,National Geographic". ბელის თქმით, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმები საკმაოდ სპეციფიკურია და ხშირად ისტორიკოსთა მხრიდან სკეპტიციზმის საგანი ხდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ხშირად ისტორიულ ფაქტებთან ერთად ფილმის შემქმნელები ზეპირ ისტორიებს, მოგოგნებებს, ე. წ ,,პოპულარულ მეხსიერებას" ეყრდნობიან და ეს ტენდეცია გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ვიზუალური წყაროების და მედიაკონტენტის გამოყენება, როგორც ისტორიული ფაქტების, რაც გაცილებით უფრო სარწმუნოა. პროფესოსი აღნიშნავს, იმასაც რომ ბევრი ისტორიკოსი, აანალიზებს რა ტელევიზიისა და ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით ისტორიის ჩვენების აუცილებლობას, მზად არის ითანამშრომლოს დოკუმენტური ფილმის შემქმენლებთან, BBC- ს აქვს სპეციალური შტატი

ისტორიკოსი კონსულტანტის, რომელიც ჩართულია ფილმის მზადების პროცესში და დახამრებას უწევს გუნდს. (Bell:2011) ამგავრად, დოკუმენტური კინოს, როგორც ისტორიის ვიზუალური მემატიანის როლი საკმაოდ დიდია.

დოკუმეტური ფილმის კიდევ ერთ ღირსებას უსვამს ხაზს ნიკოლსი. ,,მაშინ როდესაც მეინსტრიმული მედია ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით ამუშავებს სიუჟეტებს, როცა ისინი არც თუ ისე ღია არიან ინოვაციებისათვის, დამოკიდებული არიან ძლიერ და გავლენიან სპონსორებზე, ან უწევთ გაითვალისწინონ პოლიტიკური დღის წესრიგი თუ მკაცრო მოთხოვნები - დამოუკიდებელი დოკუმენტური კინო არის ის, რაც მოვლენებს ცოცხალი თვალით აკვირდება და ყვება ისტორიებს, რომელიც აფართოებს შეზღუდული ჰორიზონტის საზღვრებს და აღვიძებს ახალ შესაძლებლობებს. დოკუმენტური კინო არის ფლაგმანი განსხვავებული ხედვისა და სოციალური თემატიკის წინ წამოწევის საქმეში“ - ბილ ნიკოლსი (Nichols:2010)

ტურინის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტა საპინო საუბრობს დოკუმენტური ფილმის როგორც კოლექტიური დისკურსის მაკონსტრუირებელზე. მისი თქმით, დოკუმენტური ფილმის ძალა დამოკიდებუია მის უნარზე, თუ რამდენად შეძლებს ის ემოციური და ინტელექტუალური კვანძების შექმნას, რათა მაყურებელმა, გარკვეულწილად იმ ისტორიის ნაწილად იგრძონს თავი, რომელსაც უყურებს. იმ ქმედებებში საკუთარი წილი პასუხისმგებლობა იპოვოს, რასაც ეკრანზე ხედავს. მეორე საკითხად კი განიხილავს ავტორიტეტის დისკურსის არსებობას დოკუმენტურ ფილმში. საპინო იხსენებს დოკუმენტური ფილმის დანიშნულებას მეორე მსოფლიო ომის დროს და მის, როგორც პროპაგანდის იარაღად გამოყენების ფაქტებს. მისი თქმით, დოკუმენტური კინო ძალიან კარგი საშუალებაა იდეებისა და იდეოლოგიის გასავრცელებლად, რასაც წარმატებით იყენებენ ძალაუფლების მქონე ისეთი სისტემები, როგორიცაა: მეცნიერება, ეკონომიკა, პოლიტიკა, განათლება და რელიგია. (Sapino:2011)

დოკუმენტური ფილმის განვითარების ქრონოლოგია

დოკუმენტური ფილმის საწყისი შეიძლება მივიჩნიოთ ზოგადად კინოს საწყისად. 1895 წლის დეკემბერში ძმებმა ლუმიერებმა პირველად აჩვენეს თავიანთი ერთწუთიანი კინოკადრები პარიზში. მატარებლის სადგურში შესვლისა და მუშების კადრები, რომლებიც სამსახურის შემდეგ ქარხანას ტოვებენ იყო პირველი კადრები, რომელიც მაყურებელმა იხილა. ,,ჩვეული მოვლენები", იგივე ,,ყოველდღიურობები"(,,Actualities"), სწორედ რომ ამართლებდა პირველი ფილმი თავის სათაურს, როგორც მას ლუმიერებმა უწოდეს; კადრებში მართლაც ის სცენები იყო ასახული, რომელიც ყოველდღიური ჩვეული ცხოვრებისათვის იყო დამახასიათებელი. ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები, თუ შეიძლება მათ ასე ეწოდოს, მსოფლიოს სხვა ქვეყნის აუდიტორიებმაც იხილეს, მოგზაური აგენტების წყალობით, ისევე როგორც ადგილობრივებმა, რომლებიც მომზადებულები იყვნენ მიეღოთ ახალი მედიუმი - რომელსაც კინო ეწოდებოდა. მაყურებელს მოსწონდა იმის ნახვა ეკრანზე, რასაც ყოფით ცხოვრებაში ხედავდა. კადრებში, სადაც ჩანს, როგორ ტოვებენ მუშები ლუმიერების ქარხანას, აშკარაა, რომ მათ არ იციან რომ უღებენ, ამიტომ მათი მზერა კამერისკენ არ არის მიპყობილი, ისინი ბუნებრივად აკეთებენ იმას, რაც მათთვის ჩვეული და დამახასიათებელია. ფარული ჩაწერის ხერხი, რომელიც ამ პირველ ფილმშია გამოყენებული, დღესაც კი, თანამედროვე დოკუმენტური ფილმის გადაღებისას, მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს.

შემდეგი ფილმი ,,მებაღე ან ბაღის მომრწყავი" (,,L'Arroseur Arrosé"), პირველი კინონარატივის შექმნის მაგალითია. მხატვრული ელემენტების შემოსვლა სწორედ აქედან დაიწყო.

რობერტ ფლაერტი, (Robert Flaherty)

რობერტ ფლაერტი - დოკუმენტური ფილმის პირველი პოეტი და მოხეტიალე ფოტოგრაფი. ის იღებდა მოკლემეტრაჟიან ფილმებს უჩვეულო, რომანტიკულ

არსებებსა თუ სუბიექტებზე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათთან ცხოვრობდა, სწავლობდა მათი ცხოვრების თავისებურებებს და ყველაფერს კამერით აღბეჭდავდა.

მას ხშირად უწოდებენ დოკუმენტური ფილმის პიონერს, მისი პირველი ფილმი კი იყო ესკიმოსის ცხოვრების შესახებ, რომელიც ფლაერტმა 1922 წელს გადაიღო და მას ,,ნანუკი ჩრდილოეთიდან" დაარქვა ,,(Nanook of the North") ამას მოჰყვა ,,მოანა" (,,Moana") 1926 წელს და ,,არანის კაცი" (,,Man of Aran"), 1934 წელს და რამდენიმე სხვა ფილმი. ძიებისა და აღმოჩენების მოყვარულმა ფლაერტიმ 54 ეგზოტიკური, უჩვეულო, და ხშირად საკმაოდ სახიფათო ცხოვრება აღბეჭდა კამერით. მათი უმეტესობა შორეული ტომების და იმ ხალხის ყოფას ეხებოდა, რომელიც განცალკევებით ველურ და მკაცრ ბუნებაში ცხოვრობდნენ. მისი სუბიექტები, ერთდროულად განსხვავებულიც იყო და მსგავსიც. ფლაერტის თანაგრძნობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც საკმაოდ მტრულ გარემოში უწევდათ ცხოვრება, ბუნების სილამაზესა და სიმკაცრესთან გამკლავება, ოჯახის მნიშვნელობა და წინააღმდეგობებთან გამკლავება მის ყველა ფილმში მკაფიოდ ჩანს. მას დრამა-დოკუმენტალისტიკის შემქმნელსაც უწოდებენ.

თუმცა ფლაერტის ადანაშაულებენ ეთიკური თვალსაზრისით. მაგალითად, ,,ნანუკი ჩრდილოეთიდან" - ფილმში ნაჩვენებია ლომვეშაპებზე ნადირობის სცენა, რაც რეალურად უქმნიდა საფრთხეს ესკომოსების ცხოვრებას. თუმცა მსგავსი ეთიკური დილემებისგან დოკუმენტური კინო დღესაც არ არის თავისუფალი.

ძიგა ვერტოვი (Dziga Vertov)

ძიგა ვერტოვმა შექმნა დოკუმენტური ფილმის კლასიკური ნიმუშები, როგორიცაა: ,,ადამიანი კინოკამერით" (The Man with the movie camera") – 1929 წელი,

,,ენთუზიაზმი“ (,,Enthusiasm“) – 1931 და ,,სამი სიმღერა ლენინზე“ (,,Three Songs about Lenin“) 1934 წელს. ყველა ფილმი იმდროინდელ რუსეთს ასახავდა. ის აღმერთებდა თანამედროვეობას და მომავალს - მანქანებს, მექანიზმებს, სწრაფი რედაქტირების საშუალებებს ფილმში. მას მოსწონდა როდესაც მაყურებელში მომავალი მოვლენების წარმოდგენის სტიმულირებას ახდენდა. ვერტოვის ფილმებში ნაჩვენებია დადებითი მონტაჟი ახალი, ტექნოლოგიურად განვითარებული რუსეთის, რომელიც ძველისგან თავის დაღწევას ცდილობს.

თავის ოპერატორ ძმასთან, მიხაილ კაუფმანთან და მის ცოლთან ელიზავეტა სვილოვასთან, როგორც მემონტაჟესთან, ვერტოვი ასოცირდებოდა ,,არტისტ-ინტელექტუალად, რევოლუციურ საქმიანობაში“. მისი გადაღების იდეა ,,ცხოვრება - ისეთი, როგორიც სინამდვილეშია“ - და ამავდროულად ფილმის აგების ხელოვნებამ რეალისტური გამოსახულებისა და კინემატოგრაფიული ტექნიკების გამოყენების შერწყმით - საშუალება მისცა რეალობის ტრანსფორმირების მაყურებელთა თვალში.

დაახლოებით ათწლიანი დიდებისა და წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ, ვერტოვი მონათლეს ფორმალისტად და მისი რეპუტაცია მალე დაეცა სტალინური მტრული რეჟიმის დამყარების შემდეგ. თუმცა 1960-იან წლებში, მისი სიკვდილის შემდეგ, ჟან-ლუკ გოდარმა აღადგინა ვერტოვის სახელი და საკუთარ კინემატოგრაფის ჯგუფს ,,ძიგა ვერტოვის ჯგუფი“ დაარქვა. დღესდღეობით, ვერტოვის ,,კინო-თვალის“ კონცეფცია, ,,კინოპრავდასა“ ,,სინემა - ვერიტეს“ -თან ერთად ცენტრალურ ადგილს იკავებს მსოფლიო დოკუმენტური ფილმის ისტორიაში.

ქალები და ადრეული დოკუმენტალისტიკა

ესთერ შუბი (Esther Shub) იყო ვერტოვის თანამედროვე, მან შექმნა ,,ხელოვნება რომელიც ძველი კადრების პოვნითა და შეერთებით შთამბეჭდავი ფილმების შექმნას გულისხმობდა“. მისი ფილმები დოკუმენტური კინოს გამორჩეული ნიმუშებია, ის ხედავდა კინოს როგორც ,,კონსტრუქტივისტულ საწარმოს“, მისი მონტაჟის სტრუქტურა სედგებოდა საარქივო კადრებისგან. ,,რომანოვების დინასტიის დაცემა“ (,,The Fall of Romanov Dinasty”)– 1927წ, მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია.

კიდევ ერთი ქალი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დოკუმენტური ფილმის საწყისების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში იყო ჰელენ ვან დონგანი. ის მჭიდროდ თანამშრომლობდა რობერტ ფლაერტისთან ფილმზე ,,მიწა“ – 1942 (,,The Land”), ასევე რეჟისორ ჟორის ივენსთან, ეხმარებოდა მას დაგეგმვაში, ფილმების სტრუქტურის აგებასა და მონტაჟში. მაშინდელი პერიოდის რამდენიმე ცნობილ და ღირებულ ფილმს შორის არის ვოლტერ რუტმანის ,,ბერლინი: დიდი ქალაქის სიმფონია“ – 1929წ, (,,Berlin: Symphony of a city“), ჟან ვიგოს ,,ნიცის გამო“ – 1930 წ, (,,A Propos de Nice“), ლუის ბუნიუელის ,,მიწა პურის გარეშე“ – 1932წ. (,,A Land Without Bread“).

1930-იან წლებში უკვე გაჩნდა საჭიროება დოკუმენტური ფილმებისა, რომლებიც სოციალურ პრობლემატიკას წარმოაჩენდნენ, რაც საზოგადოების განათლების მოტივით იყო განპირობებული. ეს იდეა დღემდე გასდევს დოკუმეტურ ფილმს. დაეხმაროს საზოგადოებას გააცნობიეროს სოციალური მდგომარეობა და მიიღოს გარკვეული ცოდნა მათ შესახებ. ამ კონტექსტში კი უნდა გამოყოთ ჯონ გრიერსონის სახელი.

ჯონ გრირსონი (John Grierson)

მიუხედავად იმისა, რომ ფლაერტის ,,დოკუმენტური კინოს მამას“ უწოდებენ, ჯონ გრირსონმა გააპროტესტა ფლაერტის მიერ ფილმებში წარსულზე უფრო მეტი

ყურადღების გამახვილება ვიდრე აწმყოზე და ასევე მისი გატაცება ისეთი თემით, როგორიცაა ადამიანები ბუნების წინააღმდეგ. დასახა რა სოციალური თემატიკისა და პრობლემატიკის წარმოჩენა დოკუმენტური ფილმების მიზნად, ჯონ გრირსონმა ახალი ეპოქა შექმნა ბრიტანულ და მსოფლიო კინოდოკუმენტალისტიკაში. მისთვის მასობრივი ინდუსტრიული საზოგადოების პრობლემების ჩვენება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ბუნების სილამაზისა და გარკვეული სუბკულტურების და განსხვავებული ეთნოსის ხალხების ცხოვრების წარმოჩენა. მსგავს ფილმებს ის სენტიმენტალურ ისკეიპიზმს - რეალობიდან გაქცევას უწოდებდა. სოციალური ანალიზი და სიმართლის თქმა მისთვის დოკუმენტური ფილმის ლეგიტიმური ფუნქციად აღიქმებოდა, რასაც იმდროინდელი სწავლულებისა და მეცნიერების ნაწილიც იზიარებდა. დოკუმენტური ფილმის როლი როგორც სოციალური განმანათლებელის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი დღესაც რჩება მსოფლიოს კინოდოკუმენტალისტებისთვის მთავარ ქვაკუთხედად, განსაკუთრებით იმ ფილმებში, რომლებიც მიზნად ისახავს აუდიტორიამდე კონკრეტული მესიჯის მიტანას თუ ისტორიული რეალობიც ჩვენებას.

გრინსონის ფილმები, როგორიცაა ,,დრიფტერები“ 1929, (,,Drifters“) რომელიც მეთევზეების ცხოვრებას და საქმიანობას ეხება და რამდენიმე სხვა, ასახავს მის მისწრაფებებს და მცდელობას აჩვენოს ხალხს, როგორია ყოველდღიური სოციალური რეალობა, პროცესები და კანონმორჩილი მოქალაქის ვალდებულებები თუ მოვალეობები. ბრიტანული კინოდოკუმენტალისტიკის ტალღის გამოჩეული ნამუშევრებია ბასილ ვრაითის ,,ცეილონის სიმღერა“ 1935, (,,Song of Ceylon”), ვრაითისა და ჰარი ვოტის ,,ღამის ფოსტა“, (,,Night Mail“) , ასევე ჰემპრი ჯენინგის ,,მოუსმინე ბრიტანეთს“ 1942, (,,Listen to Britain“) და ,,დღიური ტიმოთესათვის“ 1945,(,, A Diary for Timothy“)

გრირსონისთვის, რომელიც დოკუმენტურ ფილმს ,,რეალობის შემოქმედებით მკურნალობას“ უწოდებდა, ისტორიული სამყაროს დუბლირება ფილმში ნაკლებად

მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ყოველდღიური რეალობის ჩვენება. მისი განმარტებით, დოკუმენტური ფილმი უნდა იყოს დრამატული და არა მხოლოდ ინსტრუქიცა იმისა, თუ როგორ გავუწიოთ პოპულარიზაცია უკვე დამკვიდრებულ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს, რომელიც საზოგადოებაშია გაბატონებული.მისივე თქმით, დოკუმენტური ფილმი საუკეთესო საშუალებაა პროპაგანდისათვის. მისი დირექტივები დღესაც გამოიყენება, რეალისტური დოკუმენტალისტიკის, სოციალური მოტივების და განსაკუთრებით პროპაგანდისტული მიმართულებით, ასევე რეალიზმის, როგორც სტილის დამკვიდრებაში.

დოკუმენტური ფილმის საგანმანათლებლო და შემეცნებითი დანიშნულებით გამოყენებამ შეერთებულ შტატებშიც ინტენსიური სახე მიიღო. ,,გუთანი, რომელმაც გაანადგურა ველები“ (,,The Plow That Broke The Plains“), 1936 წელს გადაღებული პარ ლორენცის მიერ, და ,,მდინარე“ (,,The River“) - ამის მაგალითებია. ჟორის ივენსმა ერნესტ ჰემინგუეისთან ერთობლივი თანამშრომლობით გადაიღო ,,ესპანური დედამიწა“ (,,The Spanish Earth”), 1937 წელს, ესპანური სამოქალაქო ომის შესახებ, აღსანიშნავია, რომ ფილმის გადაღება რეალურად საომარი ვითარების პირობებში მიმდინარეობდა.

დოკუმენტური კინო და მეორე მსოფლიო ომი

მეორე მსოფლიო ომმა გამოკვეთა დოკუმენტური კინოს პოტენციალი პროპაგანდისტული მიზნების განხორციელებისათვის. ადამიანების დარწმუნებამ დოკუმენტური კინოს დახამრებით, პიკს მიაღწია მოწოდებების, ემოციური გზავნილებისა და ომში მათი ჩართვის საჭიროების ჩვენების თვალსაზრისით. 1930-იანი წლების გერმანიაში, ლენი რიფენშტალმა გადაიღო დოკუმენტური ფილმის კლასიკად აღიარებული ფილმი ,,ნების ტრიუმფი“, 1935, (,,Triumph of the Will“), რომელიც ნიუმბერგში ნაცისტური პარტიის აქციას ასახავს. ფილმი ამაღელვებელ და აღტკინებულ გრძნობებს, ასევე ადრეული ნაციზმის მიმართ ხილულ იმედს აღძრავდა მაყურებელში, რაც მართალია გამანადგურებელი, თუმცა საზოგადოებაში მართლაც არსებობდა. მისი ,,ოლიმპიადა“ (,,Olympiad“), 193, ბერლინში 1936 წელს გამართულ ოლიმპიურ თამაშებს ეხებოდა, სადაც ოლიმპიური სპორტის კადრების, ჭრებში ჩასმული იყო ჰიტლერისა და მისი თანამოაზრეების გამოსახულებები. მისმა ფილმები შესაძლოა შემაძრწუნებელი და საშინელია დღეს, თუმცა მათი გავლენა და ეფექტი იმდროინდელ საზოგადოებაზე შთამბეჭდავი იყო და ნაცისტური რეჟიმის პროპაგანდის დიდი ხელმშემწყობი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კინო ინტენსიურად გამოიყენებოდა ჯარისკაცებისა და საზოგადოების დარწმუნებისათვის, რომ ბრძოლის საჭიროება არსებობს. ფრენკ კაპრას სერიები ,,რატომ ვიბრძვით“ იგივე, ომის პრელუდია (,,Why we fight”), დაეხმარა მთავრობას რომ მოეწოდებინა ჯარისკაცებისათვის ომში წასულიყვნენ.

ერთი მნიშვნელოვანი ფილმი, რომელიც ჩაახშეს იყო ჯონ ჰიუსტონის ,,დაე იყოს ნათელი“ , (Let There Be Light”) , 1945, ფილმი ეხებოდა ჯარისკაცების ჰოსპიტალში მყოფ ,,დაინვალიდებულ“ მებრძოლებს, რომლებიც ჭურვების აფეთქების შემდეგ ფსიქოლოგიურ შოკში იყვნენ. ეს ფილმი მეტისმეტად რეალისტური იყო და არ შეესაბამებოდა მაშინდელი მთავრობის დღის წესრიგს. ამგვარი ცენზურა დღემდე

არსებობს და დამოუკიდებელი ფილმ-მეიკერებისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ უამრავი დოკუმენტური ფილმი გადაიღეს ნაცისტური გერმანიის და არაადამიანური პირობების მქონე საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ. ებრაელთა მიმართ განხორხიელებული გენოციდის საშინელება ინტენსიურად აისახებოდა იმდროინდელ ფილმებში.

ალენ რენეს ,,ღამე და ნისლი“ 1955 (,,Night and Fog), ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და გამორჩეული დოკუმენტური ფილმია რომელიც ამ თემას ეხება. ,,დარდი და მწუხარება“ (,,The Sorrow and the Pity“) და ,,სასტუმრო ტერმინუსი“ ,, (Hotel Terminus) - მარსელ ოპულსის და კლოდ ლანსმანის ,,შოა“ (Shoah) 1985 - არის ცოტა უფრო გვიანდელი პერიოდის ფილმები, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ომის მიერ გამოწვეულ საშინელებებს ეხება.

კრის მარკერი, პოლიტიკური აქტივისტი და ინტელექტუალი, ერთ-ერთია, ვისი სახელიც გამორჩეულია 50-იანი წლების კინოდოკუმენტალისტიკაში. მის ფილმებში ასახული ისტორიები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მომხდარი მოვლენებია და მეორე მსოფლიო ომის გამოძახილს აჩვენებს. ,,კვირა დღეები პეკინში“ (,,Sundays in Peking) 1955, ,,წერილი ციმბირიდან“ (,,Letter from Siberia) 1957, ,,კოუმიკოს საიდუმლო“ (,,The Koumiko Mystery“) 1965, და ,,უმზეო“ (,,Sans Soseil”) 1982, - ეს ნამუშევრები განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია.

1940 და 1950-იან წლებში ნეორეალიზმის მოძრაობამ აღზევება დაიწყო მხატვრულ კინოში, განსაკუთრებით იტალიაში, სადაც რეალური სიტუაციები, ქუჩები, სახლები, რესტორნები გადასაღებ მოედნებად იქცნენ, ყოველდღიური პრობლემები და კრიზისი კი ფილმის მთავარ ლეიტმოტივად იქცა. ეს სიტუაცია უმეტესწილად მეორე მსოფლიო ომის შედეგებით იყო გამოწვეული. ახალი მიმდინარეობები კინოდოკუმენტალისტიკაში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში სწორედ ამ ტრენდის გავლენის ქვეშ მოექცნენ. მიმდინარე

მოვლენებისა და ზოგჯერ ერთფეროვანი, ჩვეულებრივი საქმიანობის ჩვენებამ ეს ფილმები დოკუმენტურ-დრამატულ მიმართულების მქონე ჟანრად გადააქცია, როგორიცაა ,,სახლი 92-ე ქუჩაზე“ (,,The house on 92nd Street“) 1945 ჰენრი ჰეტეევეის ფილმი, ასევე ,,დარეკე ჩრდილოეთით 777“ (,,Call Northside 777“) 1948, ალფრედ ჰიჩკოკის ,,არასწორი კაცი“ (,,The Wrong Man“), 1957. ამ პერიოდის მხატვრულიც და დოკუმენტური ფილმებიც ომის და ომის შემდგომი პერიოდის გავლენას განიცდიდნენ, შესაბამისად, თემატურად და შინაარსობრივად სწორედ ამაზე იყო ყურადღება ყველაზე მეტად გამახვილებული.

,,Cinema Verite”

1950-იანი წლების ბოლოს ახალი ტიპის კინოწარმოების მოძრაობა აღმოცენდა, რომელიც ,,სინემა ვერიტეს“ სახელწოდებით დამკვიდრდა. ტერმინი პირველად ჟან რუშმა გამოიყენა თავის ცნობილ ფილმში ,,ზაფხულის ქრონიკები“ (,,Chronicle of a Summer“) 1961. ახალი რეალიზმი, რომელიც აკვირდებოდა ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებას - ყოველგვარი ღია ჩარევისა გარეშე, გახდა დოკუმენტალისტიკის ახალი სტილი. კინემატოგრაფიის წინ გადაგმულმა ნაბიჯებმა და უპირატესობებმა რაც იმ დროისათვის არსებობდა: უფრო მსუბუქმა კამერებმა ხმების ჩაწერის შესაძლებლობამ - ხელი შეუწყო ,,სინემა ვერიტეს“. (ფრანგულად სიტყვასიტყვით ჭეშმარიტი, ნამდვილი კინო).

ლინდსი ანდერსონის ,,ყოველი დღე შობის გარდა“ (,,Every Day Except Christmas:“) 1957, და ჟან რუშის ,,შეშლილი ოსტატები“ (,,Les Maltres Fous“) 1955 ამ მიმდინარეობის გამორჩეული ფილმებია. ,,სინემა ვერიტეს“ საპასუხოდ, კინემატოგრაფის სკოლა, რომელსაც ეწოდა ,,პირდაპირი კინო“ დაარსდა შეერთებულ შტატებში. ამ მოძრაობის დამახასიათებელი ფილმებია ,,ბედნიერი დედის დღე“ (,,A Happy Mother's Day“), 1963, ,,გამყიდველი“ (,,The Salesman“) 1969.

,,პირდაპირი კინო“ და ,,სინემა ვერიტე“ იყენებდნენ გადაღების პროცესში არსებულ ბუნებრივ ხმებს, ,,ხმაურს“, მონტაჟი იყო მინიმალური, ამიტომ მაყურებელს ჰქონდა ,,დასწრების ეფექტი“ იმ მოვლენების, რომელსაც ეკრანზე ხედავდა.

,,სინემა ვერიტე“ აგრძელებს არსებობას მყარად თითქმის ყველა ეთნოგრაფიულ ფილმში, რომელიც 1960-იან წლებში გადაიღეს და შემდეგაც. რამდენიმე ფილმი, რომელიც ,,მესამე სამყაროს“ ცხოვრებას გვიჩვენებს: რობერტ გარდნერის - ,,ბლისის ტყე“, რომელიც ინდოეთში, ბენარასში გადაიღეს 1986 წელს, ახალ გვინეაში გადაღებული რამდენიმე ფილმი - წარმოადგენს ეთნოგრაფიული კინემატოგრაფიის ნიმუშს.

პერსონალურმა კინოდოკუმენტალისტიკამ, ,,სინემა ვერიტეს“ სტილის გამოყენებით, ადგილი 1960-იანი წლების ბოლოდან დაიმკვიდრა. პირადი მოვლენების გადაღება, ოპერატორის მიერ კამერის შემობრუნება რათა საკუთარი თავიც აღებეჭდა, - დღეს ასე ფართოდ გავრცელებული და პოპულარული ,,სელფის“ გადაღება - ავტობიოგრაფიული და ბიოგრაფიული ფილმები სოკოებივით მოედო მსოფლიოს. დაიწყო ექსპერიმენტული, საკმაოდ პირადი, პერსონალური ფილმების და კადრების გადაღება. საყოველთაო ხელმისაწვდომობამ და ვიდეო ტექნოლოგიის ფლობის შესაძლებლობამ ფილმის გადაღების პროცესი ნაკლებად ექსკლუზიურ საქმიანობად აქცია. განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როდესაც ვიდეოს გადასაღებად მძიმე და პროფესიონალური აპარატურა და მოწყობილობა აღარ არის საჭირო. ამისათვის სმარტფონიც საკმარისია, ამიტომ ვიდეოგადაღებამ ახალი განზომილებები შეიძინა და ექსპერიმენტული კინემატოგრაფიის შენაკადები დაემატა.

პოლიტიკური კინოდოკუმენტალისტიკა

დოკუმენტალისტიკამ, რომელიც სოციალურ პრობლემატიკას ეხებოდა, მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა ფორმა მიიღო, განვითარდა და განსხვავებულ მიმართულებებად ჩამოყალიბდა. ამ ყველაფრის პარალელურად კი კამერის და ეკრანის რევოლუციურმა ძალამ კინო უმეტესწილად პოლიტიკურ იარაღად აქცია. რამდენიმე ქვეყანაში, მაგალითად საფრანგეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და ბოლო დროს ლათინურ ამერიკაში - ის მუშათა კლასის საკმაოდ გავლენიან და ძლიერ დამხარე საშუალებად იქცა. კინო ასევე გამოიყენებოდა პოლიტიკური დღის წესრიგის საზოგადოებაში გავრცელების ხელსაწყოდ, განსაკუთრებით ტრადიციული მემარცხენეების - კომუნისტების და ახალი მემარცხენეების - პროგრესული, ლიბერალების ხელში. ასევე განვითარებად ქვეყნებში.

ცივი ომის დროს, შეხედულებები მაქსიმალურად იყო პოლარიზებული და ეკრანზე რაც გადიოდა, ძირითადად პოლიტიკური კონოტაციით იყო დატვირთული - ფორმა კი ნიუსის, სიუჟეტის და მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჰქონდა. კინო გამოიყენებოდა მასობრივი აზრის ჩამოყალიბების და მობილიზებისათვის, რათა პოლიტიკური ცვლილებებისათვის საზოგადოების ქმედებები დაეჩქარებინა, მათზე ემოციური ზეგავლენის მოხდენით. ბოევიკურმა კინემატოგრაფიამ, შეასრულა რევოლუციური ფუნქცია რომ წაეხალისებინა ხალხის მისწრაფება არაპოპულარული რეჟიმების დამხობისაკენ. აგიტაციურ ფილმებში ასახული იყო გლეხებისა და მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრება. მაგალითად ,,იამამოტოს დაკრძალვა, დედამიწა“ 1930, (,,The Funeral ofYamamoto, Earth”), ,,12 მარტი, დღე ტოკიოში“ 1931, (,,12th May Day in Tokyo“), ამერიკის შეერთებულ შტატებში - ,,გზა სიცოცხლისკენ“ ,,ბამბის შემგროველთა გაფიცვა“, ,,შიმშილი“ – 1932, საფრანგეთი - ,,ცხოვრება ჩვენია“.

პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა ქალთა მოძრაობის, ადამიანების უფლებების და საზოგადოების იმ მარგინალიზებული ნაწილის მობილიზებისკენ, რომლებიც ხშირად იყვნენ დისკრიმინაციის მსხვერპლი. ახალმა მემარცხენე ძალამ გამოიყენა დოკუმენტური ფილმები, როგორც ძალა სოციალური ეგალიტარიზმის[1] დამყარებისათვის. ,,ჩვენ ვითხოვთ თავისუფლებას", ,,ქალების კინო", ,,შავი პანტერა" და ,,ნავთობმომპოვებელთა გაფიცვა"- რამდენიმე ცნობილი ფილმია, რომელიც შეერთებულ შტატებში 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანების დასაწყისში გადაიღეს, ,,ღამის დამლაგებლები" - ბრიტანული ფილმი ქალების შესახებ, რომლებსაც ღამეების თენება უწევდათ საკუთარი სამუშაოს- დასუფთავების - შესრულებისათვის, ასევე ფილმები მაღაროს მუშების შესახებ. ამ ფილმების მაგალითზე შეგვიძლია განხვიხილოთ დოკუმენტური კინო, როგორც პრობლემაზე ორიენტირებული, კამერა კი ხელსაწყო, რომელიც ადამიანთა ყოველდღიურ შრომას, ხშირად კი დიდი წვალებას და გარჯას - აღბეჭდავს.

ფემინისტური დოკუმენტური ფილმები, რომელთაც ძირითადად ქალი რეჟისორები ჰყავდა, რანჟირდებოდა როგორც - პერსონალური ნარატივი, მონათხრობი პროტაგონისტის მიერ, ისტორია მისი პირადი ბრძოლის შესახებ იმ კონკრეტულ გარესამყაროში, რომელსაც ის მიეკუთვნებოდა. ასევე აღსანიშნავია ომის საწინააღმდეგო და ,,სამშვიდობო" თემატიკის ფილმები. ,,ქალად გაზრდა", ,,ჯეინის ჯეინი", ,,ჩვენ ვცოცხლობთ", ,,გაუპატიურება" და ,,ჩვენი სხეულების უკან დაბრუნება" - ეს ფილმები ქალთა სხვადასხვა პრობლემატიკის გაშუქებას და წარმოჩენას ეხმიანება.

რეალიზმი, როგორც სტილი,ბევრ ამ დოკუმენტურ ფილმში დომინირებს და ტრენდი - უმცირესობების ან საზოგადოებისგან დაჩაგრული, გარიყული , სტიგმატიზებული

[1] ეგალიტარიზმი - სოციალური თანასწორობის კონცეფცია. ეგალიტარიზმში უმთავრესია უნარებისა და მოთხოვნილებების, შეტანილი წვლილისა და ანაზღაურების თანაფარდობის პრობლემა. ის მიმართულია სოციალური პოლიტიკის პრობლემებზე, ქადაგებს საზოგადოების წევრთა შორის თანასწორობას. ეგალიტარიზმი უტოპიური სოციალიზმის თეორიის ნაირსახეობაა. (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი)

ნაწილის და მათი უფლებების შესახებ ფილმის გადაღების, - დღესაც აქტუალურია. ეს ეხება როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებს.

საინტერესოა დოკუმენტური კინოს განვითარება მესამე სამყაროს ქვეყნების კონტექსტში. ფილმების მწარმოებლები ლათინურ ამერიკასა და კუბაში ცდილობდნენ გამკლავედობნენ ჰოლივუდის ჰეგემონიას, და გაეძლიერებინათ საკუთარი მშობლიური იდენტობა - ფილმების საშუალებით. თუ დღეს მათ ნამუშევრებში ფოკუსი ძირითადად განვითარებაზეა, ადრე საკმაოდ რადიკალური მიზნები ჰქონდა ფილმის გადაღების პროცესს ამ ქვეყნებში.

სანტიაგო ალვარესი ერთ-ერთი ცნობილი სახელია კუბაში. კინო-აგიტატორად ცნობილი რეჟისორი ავტორია ფილმებისა ,,ახლა“ , ,,ჰო ჩინ მინის 79 გაზაფხული“, - სადაც გამოხატულია მესამე სამყაროს ხალხის ბრძოლის იდეა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმისა და განუვითარებლობის წინააღმდეგ. ბევრი მისი ფილმი ასევე პასუხია შეერთბული შტატების მხრიდან ამა თუ იმ ქმედებაზე. ,,საკუთარი ქვეყნისთვის სიკვდილი - სიცოცხლეა“ (1976), ფილმი ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს მიერ კუბური ავიალაინერის დაბომბვას ეხება.

,,ჩილეს ბრძოლა“, ოთხსაათნახევრიანი ფილმია სამ ნაწილად და ის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ დოკუმენტურ ფილმად ითვლება, რომელიც ლათინურ ამერიკაშია გადაღებული. 70-იანი წლების დასაწყისში გადაღებული ფილმი სიმბოლურად განასახიერებს რეჟისორთა ერთგულებას ჩილელი მუშათა კლასის მიმართ სოციალისტური მმართველობისათვის ბრძოლაში. ერთ-ერთი ექსტრემალური მომენტი ფილმში არის კადრი, სადაც არეგენტინელ ოპერატორს ლეონარდო ჰენრიქსენს, რომელიც ქუჩის შეტაკებებს იღებდა, ჯარისკაცი მიზანში იღებს და ესვრის. კამერა ყირავდება და ცა ჩანს. ოპერატორმა საკუთარი სიკვდილის ამსახველი კადრი გადაიღო. ამ ეპიკურმა ფილმმა ლიბერალური ძალების გამოღვიძება და მობილიზება მოახდინა დასავლეთის ქვეყნებში, რათა დახმარება გაეწიათ ჩილესთვის.

ათწლეულების მანძილზე დოკუმენტურმა კინომ თავისი ნიშა დაიკავა, როგორც იარაღი სიალური და ეკონომიკური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში, გლობალურ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე.

დოკუმენტური კინოს განვითარება საქართველოში

პირველი ქართული დოკუმენტური ფილმი იყო აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. 1912 წლის ივლისში, პრესაში გამოქვეყნდა სახალხო მგოსნის აკაკი წერეთლის საიუბილეო შეხვედრების შესახებ რაჭა-ლეჩხუმში. ვასილ ამაშუკელმა საიუბილეო კომიტეტის წინაშე დასვა საკითხი, რომ ეს ისტორიული მომენტი უნდა აღბეჭდილიყო ფირზე, გადაღებაზე პასუხიმგებლობა რეჟისორმა თავადვე აიღო. მის მოგონებებში ვკითხულობთ: "აკაკის მოგზაურობა და მასში ხალხის მონაწილეობის გადაღება ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა, ამიტომ, მომეცა თუ არა შესადარი შემთხვევა, მე მთელი ჩემი შემოქმედებითი შესაძლებლობითა და გამოცდილებით შევუდექი დიდხნიანი ნატვრის განხორციელებას. ბედმა მარგუნა ეს ნაკისრი ვალდებულება შემესრულებინა და მომავალ კაცობრიობას შემოვუნახე მგოსნის საიუბილეო მოგზაურობის მთელი პროცესი და რაც მთავარია, ცოცხალი, მოძრავი აკაკი". 1912 წელს 25 წლის ახლაგაზრდა რეჟისორმა გადაიღო პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი "აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" (სულ გადაიღეს 1500 მეტრი, მონტაჟის შემდეგ დარჩა 1200 მეტრი, დღეისათვის კი 500 მეტრია). ეს გახლდათ სოციალური მნიშვნელობის ფილმი, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრების მიხედვით შეიქმნა. ფილმს დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ. ფრანგი კინოკრიტიკოსი ჟორჟ სადული წერს: "შესაძლოა მე ბევრი არ ვიცოდე, მაგრამ რამდენადაც ვიცი, არც ერთ ქვეყანაში, არც ერთი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი 1200 მეტრი არც ერთი ცნობილი

პიროვნებისთვის არ მიუძღვნიათ". ფილმი მოცულობითა და მხატვრული თვისებებით სცდება დოკუმენტური სიუჟეტების ჩარჩოებს. ამ ფილმის შექმნით საფუძველი ჩაეყარა ქართულ დოკუმენტურ კინემატოგრაფს, ხოლო მსოფლიო დოკუმენტურ კინეატოგრაფში მან თავისი მხატვრული ფორმით ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა. ამ ფილმის შექმნისთვის ვასილ ამაშუკელი აირჩიეს კინემატოგრაფისტთა კავშირის საპატიო წევრად.

ეროვნულ საარქივო ფონდშია ასევე დაცულია ფოტოები, რომლებიც ამ მოგზაურობის დროს ფოტოგრაფს გადაუღია. არქივის სტუმრებს, ამასთან ერთად, შეუძლიათ ნახონ ფილმი ვასილ ამაშუკელზე, სადაც ის სტუდენტებთან შეხვედრისას "აკაკის მოგზაურობის" გადაღების დეტალებს იხსენებს. კინოოპერატორი იგონებს, რომ მხცოვანი მგოსანი აღფრთოვანებული იყო სიყვარულით, რომელსაც ხალხი მის მიმართ გამოხატავდა. მას ყველგან სახალხო სანახაობებით, დიდი, საგანგებოდ მორთული სუფრით ხვდებოდნენ. აკაკის განსაკუთრებით მოწონებია სოფელ ბარაკონში გამართული ფერხული – "ასზე მეტი მოხუცი, თეთრწვერა რაჭველები, მოხუც ქალებთან მკლავი-მკლავში გადადებულნი", შეხმატკბილებულად მღეროდნენ და ფეხს აყოლებდნენ ძველებური ფერხულის სიმღერას. აკაკიმ ვასილ ამაშუკელი მიიხმო და სთხოვა: "არ დაზოგო ცოდნა და მასალა, თუ ეს ფერხული სურათში ასე იქნება აღბეჭდილი, ძლიერ კარგი იქნებაო". აკაკის კიდევ ერთი თხოვნა ნიკორწმინდის საგანძურისა და ფრესკების გადაღება იყო. მოგზაურობის დატვირთულმა პროგრამამ მგოსანი ვერ დაღალა. თანმხლებთა დაჟინებამ, დაესვენა, აკაკი თურმე გააჯავრა კიდეც.

ვასილ ამაშუკელის ფილმი "აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" 1912 წლის სექტემბერშივე იხილა ქუთაისის საზოგადოებამ. როგორც ცნობილია, 15 დღის განმავლობაში დარბაზი ხალხით იყო სავსე. ასეთივე წარმატებით აჩვენეს "აკაკის მოგზაურობა" საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ფილმი დღესაც დიდ ინტერესს იწვევს უნიკალური კადრების გამო.

ვასილ ამაშუკელი 1947 წლის 27 თებერვალი:

,,1911 წელს ქუთაისში ტიხონ ასათიანმა და პევლე მეფისაშვილმა კინოთეატრის აშენება განიზრახეს. მათი მიწვევით შევუდექი ელექტროგაყვანილობისა და კინოაპარატის მოწყობას. მათ შევაძენინე კინოგადამღები აპარატი და ამ აპარატით ვიღებდით ქუთაისის სანახაობებს, გამართულ აღლუმებს და ვდგამდით ჩვენს კინოში ასეთ სურათებს. ხალხი ბლომად ესწრებოდა. 1912 წლის ივლისის თვეში ასათიანთან მოვიდნენ პედაგოგი სამსონ დათეშიძე და და ლადო ბზვანელი, რომლებმაც აცნობეს ასათიანს, რომ ეწყობა დიდი მგოსნის მიწვევა რაჭა-ლეჩხუმში და სასურველი იქნებოდა, ეს ისტორიული მომენტები აღბეჭდილიყო კინოლენტზე. ასათიანმა გამომიძახა და მკითხა – ვიკისრებ თუ არა ასეთისაპასუხისმგებლო საქმის ხელის მოკიდებას. მე სიხარულით დავთანხმდი, გავიფიქრე: რა ბედნიერება მეწვია, ჩვენს საქართველოში გადავიღებ ისეთ სურათს, სადაც ჩვენი დიდი მგოსანი იქნება აღბეჭდილი. შევუდექი სამზადისს. გამგზავრების დღედ დანიშნული იყო 21 ივლისი. შევადგინე გეგმა: ეს სურათი ერთ მთლიან პროგრამად უნდა შემექმნა, ჩემს განკარგულებაში კი აღმოჩნდა მხოლოდ 300 მეტრი ლენტა, რითაც შესაძლებელი იქნებოდა ქრონიკად გამეკეთებინა აკაკის საიუბილეო მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში და პროგრამის გარეშე დაგვედგა კინოში. მთლიან პროგრამას კი სჭირდებოდა არანაკლებ 1000 მეტრი ლენტა. დრო ცოტა რჩებოდა ლენტების გამოსაწერად, გამგზავრებამდე სულ 7-8 დღე იყო. ლენტებს ვიწერდით კერძო აფთიაქის მეპატრონე კოკოჩაშვილის მეშვეობით ქალაქ ვარშავიდან. შევუკვეთეთ ლენტები კოკოჩაშვილს, იმედი კი ცოტა გვქონდა, რომ ლენტები მოგვისწრებდა. მოახლოვდა გამგზავრების დღე, 21 ივლისი. დილის 7 საათზე მოვიყარეთ თავი სასტუმრო „გრანდ ოტელთან", სადაც იუბილარი იმყოფებოდა. საიუბილეო კომისია შედგებოდა შემდეგი შემადგენლობისაგან: თემის რედაქტორი, „სახალხო ფურცელის" კორესპონდენტები, ქუთაისის გაზეთის კორესპონდენტი, იუბილეს მომწყობი კომისიის წევრები და თავმჯდომარე, ფოტოოპერატორი და კინოოპერატორი.

დილის 8 საათზე გავუდექით გზას. საგანგებოდ მორთულ ეტლში ისხდნენ: აკაკი, საიუბილეო კომიტეტი და თემის რედაქტორი. ჭომაში, წერეთლის ეზოში, ქუთაისში მცხოვრებ რაჭველებს გაემართათ იუბილარისათვის გზის დასალოცი საუზმე, რომელმაც ზეიმის ხასიათი მიიღო. ზურნაზე საგანგებოდ ითამაშეს ძმებმა გალაკტიონ და ალექსანდრე კირვალიძეებმა. ეს მომენტი გადაღებულია. გამგზავრების წინ ასათიანმა მითხრა, კოკოჩაშვილს დეპეშა მოსვლია, ლენტები გამოგზავნილიაო და თუ დროზე მოვიდა, გზაში დაგაწევო. გადავწყვიტე, რაც ლენტები მქონდა, ეკონომიურად მეხმარა და გადამეღო მხოლოდ ხუთი-ექვსი ღირსშესანიშნავი მომენტი და მთლიან საიუბილეო სანახაობისათვის კი თავი დამენებებინა. დაწყებული ქუთაისიდან ალპანამდე ისეთი გრანდიოზული შეხვედრები და ზეიმები გაიშალა, მეც გამიტაცა ამ არნახულმა საიუბილეო ზეიმებმა და ჩემდაუნებლიედ ლენტები გამომლეოდა. ჩავვარდი სასოწარკვეთილებაში. ალპანამდე თუ თავის საყვარელ მგოსანს მოზღვავებული ხალხი აღტაცებით, გულმხურვალედ და გრძნობით ხვდებოდა, ზემო და ქვემო რაჭაში, ამ ბუნების საარაკო სანახაობაში რაღა იქნებოდა! მით უმეტეს, ამბები მოდიოდა, რაჭა თავისი საყვარელი მგოსნის შესახვედრად დიდ სამზადისში არისო. გამცილებლებთან ერთად გადაღების დამთავრება არც აკაკის დარჩა სასიამოვნოდ. მომიხმო და წყენით მითხრა: „ასე ვიცით, ბიძია, იმერლებმა, დაწყება ვიცით, მაგრამ ჩხირს იქ მივატეხთ, სადაც საჭირო არ არის!” გამცილებელთა შორის ბზვანელი დიდ დახმარებას მიწევდა სურათების გადაღების დროს, რომ ხალხს ხელი არ შეეშალა და სწორედ ბზვანელი მახარობელი შეიქნა: ალპანის ფოსტას ამანათი მიეღო ჩემს სახელზე.ბზვანელი ამ დროს კორესპონდენციას აგზავნიდა, ფოსტაში ყოფნისას ფოსტის უფროსს უთქვამს: კინოოპერატორის სახელზე თუნუქის ყუთებიაო. ეს ამბავი ყველასთვის სასიამოვნო იყო და ჩემთვის კი – განსაკუთრებით. მთელი საიუბილეო მოგზაურობა, რომელიც აღბეჭდილია ისტორიულ ფილმში, არ ვცდილვარ, ჩემი ინიციატივა გამომევლინებინა ამა თუ იმ ზეიმის შეჩერება-დაწყობაში, არამედ ვიღებდი რეალურად ისე, როგორც ხდებოდა აპარატის წინ. გადავიარეთ საირმის

სახელგანთქმული მთა, აქ გადავიღე იუბილარი თავისი მხლებლებით და დავეშვით ჭრებალოს ჭალებისაკენ. ჭრებალოში რომ შევედით, თვალწინ გადაგვეშალა დიდებული სურათი: პროცესია მწყობრად მოდიოდა უამრავი ცხენოსნით გარშემორტყმული გზის ორ ნაპირად: დედები ძუძუმწოვარი ბავშვებით, აუარება ხალხი „აკაკის გაუმარჯოს!" ძახილით ეგებებიან საყვარელ მგოსანს. ამბროლაურთან ახლოს შემოგვხვდა ავტო უცხო ტურისტებით. მსვლელობა შეჩერდა. ტურისტებიდან აკაკის მიესალმა სიტყვით ტურისტთა ხელმძღვანელი პროფესორი ონისიმოვი. მე ვიღებ ამ შეხვედრის მომენტს, ტურისტებს კი აკვირვებთ, რომ კინოაპარატი თან ახლავს ჩვენს მგოსანს. გაკეთებული იყო დიდი თაღი, ზედ აკაკის სურათითა და წარწერით. თაღს იქით – აუარება ხალხი, რომელიც სიხარულით მოელოდა თავის მგოსანს, ბუნებაც კი ლაღობდა, ქალებს ბავშვები აეტატებინათ და გზის ნაპირას ჩამწკრივებულიყვნენ. მე, როგორც ოპერატორი, დავწინაურდი, რომ შესაფერისი ადგილიდან გადამეღო ეს ზეიმი. მოვმართე აპარატი, ის იყო, აპარატის სახელურს ხელი მოვკიდე, რომ ჩემს ზურგს უკან მომესმა ცხენების ფეხის თრაქუნი, „ვაშა აკაკის!" ძახილითა და თოფების გრიალით გამოჩნდა მხედართა რაზმი, ის იყო, უნდა გადავეთელე ცხენებს, რომ მოვასწარი აპარატიანად განზე გახტომა. გონს რომ მოვედი, მივხვდი, თურმე ტოლიდან ჭრებალოსკენ მოხვეულ გზაზე დამიდგამს აპარატი, რასაც ვერ დაინახავდა ტოლიდან მომავალი, თუ ახლოს არ მოვიდოდა. მოვინაცვლე ადგილი და ეს სანახაობა უხიფათოდ გადავიღე. ეს ცხენოსანი რაზმი, როგორც გაირკვა, ზემო რაჭიდან იყვნენ ჭრებალოში გამოგზავნილნი, რომ იუბილარი ზემო რაჭისაკენ გაეცილებინათ. ბარაკონამდე მრავალი შეხვედრა და ზეიმი გადავიღე. ბარაკონში დილით ადრე გაგვეღვიძა ფერხულისა და სიმღერის ხმაზე, ახალმოსული ზაფხულის მზის სხივები უხვად მოფენოდა „მოდინახეს" ციხის მაღლობებს და შუქს ჰფენდა ბარაკონის მიდამოებს. გამცილებლები რომ აივანზე გამოვედით, აკაკი უკვე აივნიდან თავაღერილი გადაჰყურებდა გასაოცარ ძველებურ ფერხულს. ასზე მეტ მოხუცს, თეთრწვერა რაჭველებს, მოხუც ქალებთან მკლავი-მკლავში გადადებულს, გაეკეთებინათ დიდი წრე და შეხმატკბილებულად

აყოლებდნენ ძველებური ფერხულის სიმღერას ფეხს.ამ მოხუცთა კრიალა ხმას გაოცებაში მოჰყავდა მაყურებელნი. ეს იყო ნამდვილი ხალხური შემოქმედება, რომელიც ძველთაგან შემოუნახავს ზემო რაჭას. მოვნახე შესაფერი ადგილი და დავიწყე ფერხულის გადაღება. როდესაც ადგილი მოვინაცვლე, აკაკისთან მდგომმა დიასამიძემ მანიშნა, მივსულიყავი აკაკისთან. მგოსანმა მითხრა: „არ დაზოგო ცოდნა და მასალა, თუ ეს ფერხული სურათში ასე იქნება აღბეჭდილი, ძლიერ კარგი იქნებაო". აკაკის ეტყობოდა გატაცება ამ სანახაობით. იმ დღეს მგოსანს ბარაკონის ეზოში დიდი ნადიმი გაუმართეს, უამრავი ხალხი იჯდა სუფრაზე, რაც გადავიღე. ვუახლოვდებით ონს, ხიდთან რიონის გაღმა ტრიუმფალური თაღია აღმართული, მორთული ცოცხალი ყვავილებით.შუაში დიდი პორტრეტია აკაკის. თაღს აქვს წარწერა: "დიდება თქვენს მობრძანებას, დიდო მგოსანო". აქ თავი მოეყარა მთელს ონსა და რაიონებიდან ჩამოსულ დიდსა თუ პატარას, ქალსა და კაცს, სიხარულის იერი გადაჰკვროდათ სახეზე. აკაკის დანახვაზე იგრიალა ამ ზღვა ხალხმა: „გაუმარჯოს აკაკის!" დავწინაურდი სანახაობის ლენტზე აღსაბეჭდად, მაგრამ მოსახერხებელი ადგილი არსად იყო, ყველა მხარე ხალხით იყო სავსე. ლადო ბზვანელი აქაც დამეხმარა და ეს სანახაობაც კარგად გადავიღე. მეორე დღეს ონში, იუბილარის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე, რომლის სათავეშიც, საგანგებოდ მორთულ სკამზე, იჯდა აკაკი, სეფას ამშვენებდა არანაკლებ 300 ქალი და კაცი. აკაკის ორივე მხრივ ჩამწკრივებული იყო ძვირფას ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი ულამაზესი რაჭველი მანდილოსნები და ამ ზეიმზე, სხვა მომენტთა შორის, გადაღებულია ონის ებრაელობის წარმომადგენლის აკაკისადმი სიტყვა, რომლის დასასრულს იგი აკაკის კოცნის და საპასუხო სიტყვას მგოსანი თვალზე ცრემლმორეული ეუბნება. მივემგზავრებით ნიკორწმინდისკენ: მოღრუბლული და წვიმიანი ამინდის გამო ხოტევის დიდ ზეიმსა და ნადიმს ვერ ვიღებ. ხოტევიდან გამოსული კორტეჟი უახლოვდება ჭელიშის მონასტერს. ცა მოწმენდილია, ხელსაყრელი ამინდია სურათის გადასაღებად, ვიღებ ჭელიშის მონასტერს თავისი წყალვარდნილებით. ვუახლოვდებით ნიკორწმინდას, თვალწარმტაცია შაორის

მიდამოები, თავისი ხარისთვალა ტბით. შაორზე ნავით გასეირნება გადაღებულია. დილით ადრე ნიკორწმინდის მე-11 საუკუნის ტაძრის ბარელიეფს ვიღებ გარედან, აკაკი მხლებლებითურთ შიგნით ათვალიერებს უძველეს განძეულობას, როდესაც გარეთ გამოვიდა, მომიახლოვდა და მითხრა: ეცადე, ქართული ისტორიული ეპოქის ძეგლები მთლიანად და კარგად გადაიღოო, თუ მოხერხდეს, შიგნითა ფრესკებიც გადაიღეო. მიუხედავად ცუდ გზებზე ეტლით მგზავრობისა, ზეიმისგან აღელვებისა, აკაკის დაღლილობა არ ეტყობოდა. მისი გაბადრული და მხიარული სახის გამომეტყველება აღტაცებას გვგვრიდა. ხანდახან გაჯავრდებოდა, როდესაც კომისიის რომელიმე წევრი, ან კოტე აბდუშელიშვილი ჩააცივდებოდნენ: ბატონო აკაკი, ბევრი იმგზავრეთ, დაღლილი ხართ და მოისვენეთო. ის იტყოდა: „დამაცადეთ ერთი, მამა ნუ წაგიწყდებათ, აქ მაინც მომათქმევინეთ სულიო". ზეიმის მეათე დღეა, მივემგზავრებით ლაილაშისაკენ, მოვუხვიეთ ალპანასთან და შევედით ლაჯანურის ხეობაში. ეს ხეობა ბუნების საოცრებაა, შიშის მომგვრელი სანახაობაა:აქეთ-იქით – ცამდე აყუდებული შემოსილი კლდეები, ვიწრო ხეობა, ვიზრო გზა, ძირს კი ღრიალით მიჰქუხს ლაჯანურა. ამ ხეობაში ვიწრო და დაკლაკნილი გზა და ქვემოთ უფსკრული ჟრუანტელს ჰგვრის ადამიანს. ამ ხეობაში გადავიღე რამდენიმე მომენტი და მთელი კორტეჟი. შევედით ლაილაშში, ატყდა თოფების სროლა და ვაშას ძახილი. ბაზარი დაეკეტათ, მთელ ლაილაშსა და ახლომახლო სოფლელებს მისასვლელთან თავი მოეყარათ. ამ ზღვა ხალხის წინ წარმდგარიყვნენ ლაილაშის რჩეულნი პურ-მარილით. მე გადავიღე ეს დიდებული შეხვედრა, ხალხი გულმმხურვალედ და სიხარულის ცრემლებით ეგებება ქართველი ხალხის სიამაყეს და საყვარელ მგოსანს.გათავდა მისალმება. მგოსანი მიიწვიეს საგანგებოდ მორთულ სეფაში, სადაც ოთხასამდე ადამიანი იჯდა. აკაკისათვის მოერთოთ საუცხოო სავარძელი. გადავიღე ეს დიდი ნადიმი. მეორე დღეს, დილით ადრე გამოვემგზავრეთ ქუთაისისაკენ. დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. დავამთავრე საიუბილეო სურათების გადაღება. ქუთაისში რომ ჩამოვედით, მეორე დღეს ბაღში გადავიღე აკაკის გამოთხოვება თანამხლებლებთან. ამ სურათის გამზადების შემდეგ,

სექტემბრის თვეში, აკაკის თანდასწრებით, ქართული წარწერებით დაიდგა ჩვენს თეატრში. ბილეთები რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა. როგორც დარბაზში, ისე ქუჩაში ხალხის ტევა აღარ იყო. აკაკის დარბაზში გამოჩენამ ხალხის აღტაცება გამოიწვია. სურათი 15 დღის განმავლობაში იდგმებოდა. დარბაზი ყოველდღე ხალხით გაჭედილი იყო. ეს სურათი შემდეგში სხვა ქალაქებშიც დიდი წარმატებით იდგმებოდა“.

აღნიშვნის ღირსია კიდევ ერთი ქართული დოკუმენტური ფილმი - მიხეილ კალატოზიშვილის ,,ჯიმ შვანთე“, იგივე მარილი სვანეთს.

„ჯიმ შვანთეს“ გადაღებამდე ერთი წლით ადრე კალატოზიშვილის ჯგუფი გაემგზავრა სვანეთში, სადაც გადაიღო მასალა მხატვრულ-აგიტაციური ფილმისთვის „ბრმა“. გადამღებ ჯგუფს უსიამოვნება მოუვიდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რის გამოც სახკინმრეწვის ერთი თანამშრომელი მოკლეს. თბილისში დაბრუნების შემდეგ მასალა დაამუშავეს და დაამონტაჟეს, მაგრამ ნაწარმოები დაწუნებული იქნა მეტწილად კონსტრუქციული წყობის და არა ნაწარმოების იდეის გამო. კალატოზიშვილს უზარმაზარი გამოუყენებელი მასალა შერჩა. მან ხელახალი მონტაჟი და გადალაგება დაიწყო და ასე შექმნა „ჯიმ შვანთე“.

ფილმში ასახულია ის მკაცრი და აუტანელი პირობები, რომელშიც სვანეთის მოსახლეობას უხდება ცხოვრება. სხვა გასაჭირთან ერთად სვანების პრობლემა მარილის უქონლობა და დეფიციტი იყო. მოსახლეობა ჩადის ბარში, რათა მარილი შეიძინოს და უგზოობის გამო ბევრი იღუპება. საბჭოთა ხელისუფლებას მოსახლეობის დასახმარებლად სვანეთში გზა გაჰყავს.

“ჯიმ შვანთე!” (1930) და მიხეილ კალატოზიშვილის კიდევ ერთი ნამუშევარი “ლურსმანი ჩექმაში” (1930) პორდენონეს უხმო ფილმების ფესტივალმა (Le Giornate del Cinema Muto) პროგრამაში ჩართო. 30-იანი წლებიდან მოყოლებული ქართულ

კინოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კინოინდუსტრიაში ფორმალიზმი ყველაზე საშიში სიტყვა იყო. უფრო მეტიც, ცოდვა, რომელსაც არაერთი კინემატოგრაფისტის კარიერა შეეწირა. სწორედ ეს იყო ბრალდება, რომელიც ახალგაზრდა მიხეილ კალატოზიშვილს ზემოთხსენებული ფილმებისთვის წაუყენეს და რომელიც მას შემოქმედებითი კარიერის დასასრულამდე თან სდევდა.

პორდენონეს უხმო ფილმების ფესტივალს საფუძველი 1982 წელს ჩაეყარა, როდესაც ფრიულის სინემათეკამ (La Cineteca del Friuli) კინოკლუბ ჩინემაცეროში (Cinemazero) ფრანგული კინოს პიონერის, მაქს ლინდერის ფილმების კოლექცია აჩვენა. დღეს იგი ევროპაში უხმო ფილმების ყველაზე მნიშვნელოვან საპრეზენტაციო ადგილს წარმოადგენს. კინოკრიტიკოსების, თეორეტიკოსების, მკვლევარების, კინოში მოღვაწე პროფესიონალებისა და სტუდენტების, რესტავრატორებისა და არქივისტების წლის კულტურულ კალენდარზე შემოდგომა პორდენონეს ეთმობა. არსებობის მანძილზე ფესტივალი სტიმულირებას უწევს რესტავრაციის პროექტების განხორციელებას. პროგრამა მოიცავს კლასიკურ ჰოლივუდს, ევროპულ და აზიურ კინემატოგრაფს. ფესტივალის ფარგლებში არაერთი მივიწყებული ფილმისა და რეჟისორის აღმოჩენა და ხელახლა დაბადება მოხდა. თუკი რეჟისორები წლიდან წლამდე ბერლინის, კანის, სან სებასტიანის და სხვა მაღალი რაგნის ფესტივალებს ელიან, რომ მერე ამ ფესტივალზე მონაწილეობით იტრაბახონ, პორდენონეში ზეიმს არქივისტები და კინოს რესტავრატორები აწყობენ. მოგეხსენებათ, რესტავრატორობა რა უმადური პროფესიაცაა. განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, სადაც გონიათ, რომ მთავარია ფილმი კოლოფში იდოს, მნიშვნელობა არ აქვს ჟანგიანია ეს კოლოფი, ჭაობის პირას დევს თუ საცხოვრებელი კორპუსის ეზოშია დაბინავებული. საქართველოში კინოს პრეზერვაციაზე ზრუნვას ისეთი პირი უჩანს, რომ სანამ კინომეხსიერება ბოლომდე არ წაიშლება და სრულიად ცარიელ-ტარიელი არ დავრჩებით, ადამიანებს არათუ პრობლემის მოგვარების, მისი არსებობის შესახებაც არ ეცოდინებათ რამე. არც ისეთი ფილმების არსებობის შესახებ, როგორიც "ჯიმ შვანთე!" („მარილი სვანეთს!") და "ლურსმანი ჩექმაშია".

საქართველოში საარქივო კინოპოლიტიკისა და მუნიციპალური კინოთეატრის არარსებობის, ასევე ფილმების შენახვის ელემენტარული პირობების არქონის გამო ძველი კინოსურათების ეკრანზე ხილვა ძნელი და უმეტეს შეთხვევაში შეუძლებელია. ევროპელი მაყურებლისგან განსხვავებით ჩვენთვის მსგავსი გამოცდილება ხელმიუწვდომელია. თავისი პოლიტიკით პორდენონეს ფესტივალი ხაზს უსვამს თუ რამდენად მნიშვნელოვანია უხმო კინოს პრეზერვაცია და მაყურებლამდე მიტანა. ფილმებს ვერდის დარბაზში აჩვენებენ,სრულყოფილი პროექციით, ფორმატისა და სიჩქარის ზუსტი დაცვით. ჩვენებას ყოველთვის თან ახლავს მუსიკალური აკომპანემენტი. სწორედ ასეთ პროფესიონალურ და საპატიო ატმოსფეროში მოხდება კალატოზიშვილის ადრეული პერიოდის ორი ფილმის ჩვენებაც. "ჯიმ შვანთე!" და "ლურსმანი ჩექმაში" რეჟისორმა საქართველოში გადაიღო, სანამ ფილმების გადაღებას რუსეთში დაიწყებდა. თავის დროზე ორივე სურათი აკრძალული იყო. ორივე ფორმალიზმის ბრალდებით. "ჯიმ შვანთეს!"რეაბილიტაცია საბჭოთა კავშირში 60-იან წლებში მოხდა. 1961 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე გამართულ რეტროსპექტივაში სახელწოდებით „ფილმები, რომლებიც არ გინახავთ" „ჯიმ შვანთეც!" იყო ჩართული.

"ჯიმ შვანთეს!" შექმნას საინტერესო და შეიძლება ითქვას ტრაგიკული პრეისტორია ჰქონდა. სანამ ამ ფილმზე მუშაობას შეუდგებოდა 1929 წელს კალატოზიშვილი შემოქმედებით ჯგუფთან ერთად საქართველოს მთიან რეგიონ სვანეთში გაემგზავრა. მასთან ერთად იყო ფილმის მხატვარი დავით კაკაბაძე. სვანურ ექსპედიციაში რეჟისორს რუსი სცენარისტი სერგეი ტრეტიაკოვიც ახლდა, რომელიც 1937 წელს შპიონაჟის ბრალდებით დახვრიტეს. სვანეთში კალატოზოვმა მხატვრული ფილმი „უსინათლო" გადაიღო. კინოჟურნალებში აფიშები უკვე დაბეჭდილი იყო, როდესაც თბილისში შემოწმების დროს საბჭოთა ცენზორებმა ის ფორმალიზმისთვის გაკიცხეს და აკრძალეს. ფილმი არათუ პარტიულ მუშაკებს, არამედ მემარცხენე ლირეტატურულ დაჯგუფება „ლეფსაც" არ მოეწონა. „უსინათლოს" დასრულებულ ვარიანტში გამოყენებული, გამოუყენებელი და სვანეთში გადაღებული სხვა

მასალისგან რეჟისორი ქმნის ნამუშევარს, რომლის ჟანრობრივი განსაზღვრება კულტურფილმია. ფილმი სვანების ყოველდღიურ ცხოვრებას აღწერს, თუმცა არც ეთნოგრაფიული სურათია და არც დოკუმენტური კინო ისეთი სახით, როგორსაც იმ დროისთვის საქართველოსა და მთელს საბჭოთა კავშირში იღებდნენ. „ჯიმ-შვანთეში“ კამერა ძალიან ექსპრესიული და ძალადობრივია, ისევე როგორც კალატოზიშვილის ფილმების უმეტესობაში. კამერის მოუსვენარი მოძრაობის ხიბლით შეპყრობილი რეჟისორი ცდილობს არ მოადუნოს მაყურებელი და მუდმივ დაძაბულობაში ამყოფოს იგი. ამავდროულად ეს მკაცრი ბუნების, მარილის დეფიციტის პირობებში და გზების უქონლობით შექმნილ იზოლაციაში მცხოვები ხალხის ტანჯვის გადმოცემას ემსახურება, ამ ტანჯვის ვიზუალურ სახეს ქმნის. ქართულ კინოში კალატოზიშვილი პირველი იყო ვინც სუბიექტური კადრები შექმნა და მაგალითად, აყირავებული სვანური კოშკების ჩვენებით თავბრუდახვეული ადამიანის მზერა გადმოსცა. მოგვიანებით, რეჟისორი ამავე ხერხს ფილმში „მიფრინავენ წეროები“ გამოიყენებს, როდესაც მომაკვდავი ჯარისკაცის ხედვის წერტილს არყის ხეების ტრიალით დაგვანახებს.

მაშინ, როდესაც ძიგა ვერტოვი ფაქტის იდეალიზაციას ეწევა, კალატოზიშვილი ფაქტზე მაღლა მის განზოგადებას და მხატვრულ სახემდე გაზრდას აყენებს. ეს რეჟისორი სწორედ მხატვრული და პოეტური სახეებით აზროვნებას ანიჭებს უპირატესობას როგორც მხატვრულ, ასევე როგორც დოკუმენტურ კინოში და იქაც, სადაც ცხოვრება სასტიკია, პოეზიისთვის ადგილი მაინც რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი იდეოლოგიური კონიუნქტურით სრულდება (საბჭოთა მუშებს სვანეთში გზა გაჰყავთ და იზოლაციის პრობლემა გვარდება), სახკინმრეწვის სტუდიის მხატვრულ-პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე ავტორი მკაცრად გააკრიტიკეს. კომუნისტი ცენზორები ფინალურ ეპიზოდში ტრაქტორების გამოჩენამ არ დააკმაყოფილა. მათ ჩათვალეს, რომ ფილმის ვიზუალური მხარე ხშირად შორდებოდა მთავარ იდეას და ფილმის აზრობრივ-იდეოლოგიურ გაღრმავებას არ ემსახურებოდა.

პრიზი დოკუმენტური ფილმისათვის, ნომინანტები და გამორჩული გამარჯვებულები

1946 წლის გარდა, ჰოლივუდის კინოაკადემია ყოველწლიურად აჯილდოებს საუკეთესო დოკუმენტურ ფილმს. ქართული დოკუმენტური კინო ბოლო პერიოდში საკმაოდ გააქტიურდა. აღსანიშავია, დოკუმენტური ფილმების ფესტივალიც, რომელიც თბილისში ყოველწლიურად იმართება. CinéDOC-Tbilisi არის პირველი საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი სამხრეთ კავკასიაში, რომლის მიზანი დოკუმენტური კინოს პოპულარიზაციაა. ფესტივალის პირველი გამოშვება 2013 წელს

CinéDOC-Tbilisi -ის საშუალებით მაყურებელს საშუალება აქვს იხილოს დოკუმენტური ფილმები უნიკალური სარეჟისორო ხედვით, ორიგინალური სტილით, საინტერესო ისტორიებითა და პერონაჟებით. ფილმის ჩვენების შემდეგ იმართება დისკუსიები, კითხვა-პასუხის რეჟიმში, სადაც მოწვეული რეჟისორები მონაწილეობენ. ასევე ტარდება მასტერკლასები და ღია სესიები კინო პროფესიონალებისა და სხვა საერთაშორისო სტუმრების მონაწილეობით.

2016 წელს ფესტივალზე პირველად წარადგინეს ახალი სექცია – CivilDOC. სექციაში ნაჩვენები ფილმები ადამიანის უფლებების დაცვისა და სოციალური პრობლემების გამოწვევებს ასახავს. ფესტივალი აგრეთვე ორგანიზებას უწევს ფიჩინგ ფორუმს (Civil Pith), სადაც ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები პროექტს ქართველ, დოკუმენტურ ფილმებზე მომუშავე რეჟისორებს წარადგენენ.

ფესტივალის სექციაში Focus Caucasus წარმოდგენილია ადგილობრივი და რეგიონალური ფილმები, ისეთი ქვეყნებიდან როგორებიცაა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და თურქეთი.

სექციაში, Guest Country, ყოველ წელს ერთი კონკრეტული ქვეყნის დოკუმენტური კულტურა და კინო ინდუსტრიაა ნაჩვენები. რაც შეეხება სექციას CinéDOC-Young,

მის ფარგლებში იმართება ჩვენებები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. ფესტივალი დასრულების შემდეგ ტრადიციულად იმართება CinéDOC ტური მთელი საქართველოს მასშტაბით, რომლის ფარგლებშიც რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას საშუალება ექნებათ ნახონ ფესტივალზე ნაჩვენები ფილმები.

რაც შეეხება დოკუმენტური კინოს ჟურნალისტური კუთხით გამოყენებას, უნდა აღინიშნოს პირველი ქართული დოკუმენტური მრავალსერიიანი ფილმი: ,,საქართველო, XX საუკუნე", რომელიც პირველი არხის ეთერში გადიოდა. მისი ავტორი და წამყვანი კოკა ყანდიაშვილი იყო. მე-20 საუკუნის საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ შექმნილი დოკუმენტური გადაცემათა ციკლის ფარგლებში სულ 101 სერია შედიოდა. სამწუხაროდ, ინტერნეტსივრცეში ფილმის ელექტრონული ვერსია და რამე სახის ინფორმაცია არ მოიპოვება.

აღსანიშნავია გიორგის კალანდიას გადაცემა "ჩვენებურები", რომელიც ასევე დოკუმენტური ფილმებისაგან იყო შემდგარი. მისი დაარსების იდეა ავტორს ლაზეთში პირველად სტუმრობისას გაუჩნდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, გადაეღო სიუჟეტი, მაგრამ როდესაც მაღაზიაში მეგრული საუბარი გაიგონა, გაიცნო ჩვენებურები, მათთან ბევრი საერთო დაინახა და კეთილგანწყობა იგრძნო, მიხვდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ სიუჟეტის თემა არ იყო და გადაწყვიტა გაეკეთებინა გადაცემა, სადაც თავს მოუყრიდა თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების ისტორიებს, სადაც დღემდე შენარჩუნებული აქვთ ენა ტრადიციები, სარწმუნოება და რიტუალები. ეს დოკუმენტური ფილმები ეთნიკური ჟანრის დოკუმენტალისტიკის ნიმუშად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ასევე მნიშვნელოვანია თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმები საქართველოს ისტორიის საინტერესო და დღემდე ტაბუირებეულ თემებთან დაკავშირებით. პროექტი რუსთავი 2-ზე 2001 წლის იანვრიდან დაიწყო. ფილმებში გამოყენებულია იშვიათი საარქივო მასალა, გასაიდუმლოებული დოკუმენტები, დღემდე გამოუქვეყნებელი ფოტო და ვიდეომასალა. ფილმების მიმდინარეობისას

მაყურებელი საქართველოს ისტორიის ყველზე საინტერესო, დრამატული და საიდუმლოებით მოცული ეპიზოდების მოწმე ხდება. "აგვისტოს ომი", "ვარდების რევოლუცია", "ილია ჭავჭავაძის მკვლელობა", "1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყება", "მეორე მსოფლიო ომი და ქართველები", "სტალინი, ბერია და მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ", "70-იან წლებში დისიდენტურ მოძრაობასთან ბრძოლა", "სიკვდილით დასჯა საქართველოში", "თბილისი ომი 1991-92 წლებში", "პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიკვდილი", "აფხაზეთის ომი" - ეს ის არასრული ჩამონათვალი, რა თემებზეც ჩაგელიშვილმა ფილმები მოამზადა.

კიდევ ერთი ნიმუში გოდერძი შარაშიას ,,ჟურნალისტის დღიურია“, რომელიც ავტორმა 2008 წელს ტელეკომპანია ,,მზის“ ეთერში დაიწყო, მოგვიანებით კი ,,იმედზე“ გააგრძელა. დოკუმენტური გადაცემა სხვადასხვა სოციალურ თემატიკასა და პრობლემატიკას ეხმიანებოდა. მისივე ავტორობით შეიქმნა გადაცემა ,,იმედის გმირები“, რომელიც გამორჩეული და განსაკუთრებული ადამიანების ისტორიებს და მათ პერსონას ეხებოდა.

რაც შეეხება ქართული დოკუმეტური კინოს უახლეს წარმატებებს, ახლახანს „სანდენსის“ 2018 წლის კინოფესტივალზე, მოკლე დოკუმენტური ფილმების ნომინაციაში, თამთა გაბრიჩიძის ფილმმა „სოვდაგარი“ გამარჯვება მოიპოვა. ფილმი პროექტ “ტელებლოგში”, პირველ არხზე შეიქმნა და შემდეგ მისი დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლება კომპანია Netflix- მა მოიპოვა.

““სანდენსის” კინოფესიტვალის ჯილდო ძალიან მნიშვნელოვანი და პრესტიჟულია, როგორც ქართველისთვის ასევე მსოფლიოში მოღვაწე კინემატოგრაფისტებისთვის. ეს მნიშვნელოვანი და გამორჩეული ფესტივალია კინოფესტივალებს შორის. „სანდენსის“ საერთაშორისო კინოფესტივალი ამერიკის შეერთებულ შტატებში, იუტას შტატში ყოველწლიურად იმართება. ფესტივალი 1978 წელს რობერტ რედფორდის კომპანიის ხელმძღვანელის მიერ დაარსდა და არის ერთ-ერთი

უმსხვილესი დამოუკიდებელი კინოფესტივალი ამერიკის შეერთებულ შტატებში. თამთა გაბრიჩიძის ფილმის “სოვდაგარი” მთავარი პერსონაჟი გელა, საყოფაცხოვრებო ნივთებსა და მეორად ტანსაცმელს ძველი მიკროავტობუსის საბარგულიდან ყიდის. ის ვაჭრობს ადგილებში, სადაც ფულზე მეტად კარტოფილი ფასობს.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, დოკუმენტური კინოს როლი, კონცეფცია და ტექნიკა წლების მანძილზე იცვლებოდა და ვითარდებოდა, თუმცა მისი მთავარი როლი რეალობის ასახვა - სოციალური პრობლემატიკის წინ წამოწევა - კვლავ მთავარ დანიშნულებად რჩება. დოკუმენტური კინო მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მედიუმია, რომელიც ჟურნალისტური პრობლემაზე ორიენტირებული ხედვისა და რეჟისორულ გადაღების ტექნიკებს აერთიანებს. ის სიუჟეტისა და მხატვრული კინოს ელემენტებსაც აერთიანებს და მიზნად ისახავს, საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ზოგჯერ ტაბუდადებული, ჩრდილით მოცული საკითხების თუ ახლობელი და კარგად ნაცნობი პრობლემებისაკენ. დოკუმენტური კინო, როგორც მიმდინარეობა სხვადასხვა ჟანრს აერთიანებს. მათ შორის აღსანიშნავია: ისტორიული, სოციალურ თემატიკაზე ორიენტირებული, ბუნების თავისებურებებსა და განსხვავებულობებზე ფოკუსირებული, ეთნიკურ, მოწყვლად, საზოგადოებაში ნაკლებად ინტეგრირებულ ჯგუფებზე - გადაღებული დოკუმენტური ფილმები. დოკუმენტურ კინოს შეიძლება ჰქონდეს შემეცნებითი დანიშნულება ან პოლიტიკური იდეოლოგიის პროპაგანდის იარაღის მოვალეობა. ის შესანიშნავი საშუალებაა უნიკალური მოვლენებისა და პიროვნებების ფირზე აღბეჭდვისა და მათ შესახებ რეალური დოკუმენტური მასალის საუკუნეების მანძილზე შენახვის. ამგვარად, დანიშნულება მრავალგვარია, მთავარია ვინ აღმოჩნდება კამერის უკან და რა მიზნებისთვის გამოიყენებს ამ საკმაოდ ძლიერ იარაღს.

ლიტერატურა და დამოწმებები:

1. Bill Nichols - „Introduction to Documentary", 2001.
2. Desmond Bell - „Documentary Film and History", 2011.
3. Roberta Sapino - „What is a Documentary Film: Discussion of the Genre", 2011.
4. Erik Barnouw - „Documentary", 197.
5. „ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა აღწერილობა - წიგნი V – გიორგი კალანდიას საერთო რედაქციით" – 2015.
6. http://skola.restarted.hr/wp-content/uploads/2014/06/Bill-Nichols-Introduction-to-documentary.pdf
7. https://www.qub.ac.uk/sites/media/Media,396697,en.pdf
8. http://www.jfki.fu-berlin.de/academics/SummerSchool/Dateien2011/Papers/hoenisch_sapino.pdf
9. http://shodhganga.inflibnet.ac.in/bitstream/10603/1872/9/09_chapter3.pdf
10. http://artpalace.ge/database/files/news/2015-12-29%2016-25-411wigni%205%20.pdf
11. https://www.theguardian.com/film/filmblog/2013/nov/12/top-10-documentaries
12. http://netgazeti.ge/culture/6080/
13. http://rustavi2.ge/ka/shows/Documentary
14. http://www.ambioni.ge/cveneburebi
15. http://www.cinedoc-tbilisi.com/?lang=ge
16. https://imedinews.ge/ge/kultura/45483/qartuli-pilmi-sovdagari-sandensis-pestivalis-gamarjvebulia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურის და მედიის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა მესამე
სემესტრის დოქტორანტი
მარიამ ამაშუკელი

სადოქტორო სემინარი

„ფორმალური განათლების მნიშვნელობა დასაქმებაში და განათლების ინდივიდუალური ეკონომიკური სარგებელი“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლია წულაძე

თბილისი

2018

ფორმალური განათლების მნიშვნელობა დასაქმებაში და განათლების ინდივიდუალური ეკონომიკური სარგებელი (ამონაგები)

კონტექსტი

განათლება საუკეთესო ინვესტიციად მოიაზრება კვალიფიციური და კარგად ანაზღაურებადი შრომის ბაზრის ფორმირებისთვის. გზა, რომლითაც განათლება ადამიანების ეკონომიკურ ინკლუზიას უზრუნველყოფს, არის მათი ცოდნის გაფართოება და უნარების განვითარება, ეკონომიკაში პროდუქტიული მონაწილეობისთვის (OECD, 2016). განათლების ეკონომიკურ მნიშვნელობას მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან სწავლობს ისეთი მეცნიერული დისციპლინა, როგორიც განათლების ეკონომიკაა (გარი ბეკერი, იაკობ მინსერი და თეოდორე შულცი). ადამიანური კაპიტალის თეორია ერთ-ერთი მთავარია განათლების ეკონომიკაში. მისი მთავარი პოსტულატია, რომ ადამიანური კაპიტალი ეკონომიკური ზრდის ცენტრალური ფაქტორია, კერძოდ, ადამიანური კაპიტალის მიერ წარმოებული პროდუქტი თვითუზრუნველმყოფი ეკონომიკური ზრდის საფუძველია. შესაბამისად, მჭიდრო და პოზიტიური კაუზალური კავშირი არსებობს განათლებასა და ეკონომიკას შორის როგორც მაკრო (ქვეყნის, საზოგადოების), ასევე მიკრო (პირად, ინდივიდუალურ) დონეებზე (World Bank, 2008).

უმაღლესი განათლების მკვლევარების გარკვეული ნაწილის კრიტიკული შეფასებების თანახმად, გლობალური ეკონომიკისთვის ცოდნის, კვლევებისა და ინოვაციების მზარდი მნიშვნელობა უნივერსიტეტების ტრადიციულ, აკადემიურ-საგანმანათლებლო ღირებულებებს ცვლის და პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებით იმართება (Stiwne et al., 2010). ცოდნის საზოგადოების დისკურსი (knowledge society discourse) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნულ კონტექსტში, ბოლონიის პროცესი გარდაქმნის

„ცოდნის“ კონცეფციას. ამ გარდაქმნების შედეგად, ცოდნა განიხილება, როგორც პროდუქტი და კაპიტალი. ცოდნა, შინაარსითა და ფორმით, დაკავშირებული ხდება კონტექსტთან, სადაც სხვადასხვა მოქმედი პირები ცდილობენ ძალაუფლების, სტატუსისა და ფინანსური პოზიციების მოპოვებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იძულებული არიან, მოერგონ თანამედროვე მოთხოვნებს, გაზარდონ სტუდენტების კონტიგენტი მათთვის ყველაზე ადეკვატური და შესაბამისი პროგრამების შეთავაზების გზით. ცოდნის საზოგადოება ცოდნის „მომხმარებელი“ საზოგადოებაა, სადაც სტუდენტები ხდებიან მომხმარებლები განიხილავენ და აფასებენ განათლებას, როგორც სამომავლო ინვესტიციას და დიპლომი მათთვის შრომის ბაზარზე შესაღწევი სავიზიტო ბარათია (იქვე, გვ. 35-37). შესაბამისად, აქტუალობას კარგავს სწავლა-სწავლების პროცესში „ცოდნისმოყვარეობის პრინციპით“ ხელმძღვანელობა (inquisitive learning), რომლის მთავარი იდეა გულისხმობს, პიროვნული განვითარების მიზნით, ცოდნისა და სწავლის მიმართ თავისთავად ინტერესსა და სურვილს (Brown, 2003). ცხადია, რომ ეს პრინციპი შორს დგას სამომხმარებლო ბაზრის პრინციპებისგან.

საერთაშორისო მკვლევარების ნაწილი „ცოდნის“ კონცეფციის ტრანსფორმაციის პროცესსა და მის მიმართებას საბაზრო ეკონომიკასთან კიდევ უფრო ფართო, კერძოდ, „განათლების ევროპეიზაციის“ კონტექსტში აანალიზებს (იგულისხმება განათლების სისტემების ევროპული/ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით მოდერნიზაცია) და მას ეროვნული განათლების სისტემების ჰომოგენიზაციის მიმდინარე პროცესებთან აკავშირებს (Beukel, 2001; Bache 2016). უმაღლესი განათლების ევროპეიზაციას (იმისგან დამოუკიდებლად, განვიხილავთ მას ჰომოგენიზაციის საკითხთან ერთად თუ არა) აქვს მეტად მნიშვნელოვანი, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტი/განზომილება (Robertson, 2009; Bache 2016). განათლების ევროპეიზაციის პოლიტიკური განზომილება თავის თავში ევროპული იდენტობის მაკონსტრუირებელ ღირებულებებს

აერთიანებს (მაგ.: დემოკრატიულობა, სოციალური პასუხისმგებლობა და სხვ.) და ევროპული იდენტობის უნივერსალური ნარატივის კვლავწარმოებასა და ევროკავშირის პოლიტიკური ლეგიტიმაციის გაძლიერებას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, ევროპული ინტეგრაციის სიმტკიცის და, ასევე, გაფართოების წინაპირობაა. ეკონომიკური განზომილება უმაღლესი განათლების სისტემების „მარკეტიზაციის" საკითხს ეხება, როდესაც განათლების სისტემა ექვემდებარება და იმართება ეკონომიკური ბაზრის მოთხოვნებით, აწარმოებს კონკურენტუნარიან სამუშაო ძალას, რომელსაც ბაზარი თავის სასარგებლოდ იყენებს. თავის მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება უმაღლესი განათლების ინსტიტუტების აკადემიური თავისუფლება და ავტონომიურობა, უარი თქვან კომერციულ პოლიტიკაზე. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, უნივერსიტეტებს კონკურენტული საგანმანათლებლო ბაზრის მიღმა, „აუტსაიდერად" დარჩენის საფრთხე ემუქრებათ, რის გამოც განათლების კომერციალიზაციის ფერხულში მაინც ებმებიან (Bache, 2016).

როგორც ცნობილია, 2005 წელს საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა, ხოლო 2013 წელს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) აფილირებული წევრიც გახდა. როგორც ბოლონიის პროცესის, ასევე ENQA-ს წევრობა, რიგ რეფორმებთან ერთად, ეროვნული განათლების სისტემების მიერ სტუდენტების კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობების უზრუნველყოფას გულისხმობს. მეტიც, ENQA-ს მიერ 2009 წელს შემუშავებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს აკადემიური მოსწრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად განსაზღვრავს (key performance indicators) (ლეჟავა და ამაშუკელი, 2016). შესაბამისად, უმაღლესდამთავრებულთა დასაქმებისუნარიანობის (employability) საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ბოლონიის პროცესთან. ეროვნულ დონეზე უმაღლესი

განათლების მოდერნიზაციის კონტექსტში, განათლების პოლიტიკური და ეკონომიკური განზომილებები ასახულია როგორც საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ (თავი 1, მუხლი 3, პუნქტი 1), ასევე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020-ში. ჩანაწერები არსებობს განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულების დოკუმენტებშიც (ლეჟავა და ამაშუკელი, 2016). აღნიშნულ დოკუმენტებში ნათლად არის განსაზღვრული განათლების სფეროს მნიშვნელოვანი როლი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატებაში, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაში, კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის დაგროვებაში, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე გარე დასაქმების ბაზრისთვის. გარდა ამისა, საუბარია უმაღლესი განათლების სისტემასა და კერძო სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე (იქვე).

თუმცა, ცოდნისა და განათლების მიღების „მარკეტიზაციის“ კრიტიკისგან დამოუკიდებლად, არაერთი ემპირიული (ეკონომეტრული) კვლევა ადასტურებს განათლებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კაუზალური კავშირის არსებობას როგორც მაკრო, ასევე მიკროეკონომიკურ დონეზე. მაკროეკონომიკაში, ზემოთქმულის განმამტკიცებელი ძირითადი არგუმენტია ის, რომ განათლებულ სამუშაო ძალას აქვს უფრო მეტი შესაძლებლობა, აწარმოოს ინოვაციური და უკეთესი პროდუქცია მრავალი განსხვავებული მიმართულებით; განათლების საფუძველზე უმჯობესდება დასაქმებულთა შრომის ხარისხი და, შესაბამისად, იზრდება წარმოების ეფექტურობა, ხდება ტექნოლოგიური განვითარება. მაკროეკონომიკა ქვეყნის დონეზე სწავლობს კავშირს განათლების დონის (აგრეგირებული მონაცემები) სხვადასხვა საზომებს და ეკონომიკურ ზრდას შორის. განათლების ძირითად საზომს, თავდაპირველად, ფორმალური განათლების წლები წარმოადგენდა. ამჟამად, თანამედროვე განათლების ეკონომიკაში აქტიურად გამოიყენება ისეთი საზომი, როგორიც არის მიღწევები კოგნიტური უნარების ტესტებში (დეტალურად იხ. ნაწილი 2). ეკონომიკური ზრდის სტანდარტული საზომი

კი არის მშპ და მასთან დაკავშირებული საზომები (OECD, 2016; Education and Economic Growth, n.d.). მიკროეკონომიკის დონეზე, განიხილება კავშირი ინდივიდის საგანმანათლებლო მიღწევებსა (მაგ.: ფორმალური განათლების საფეხური) და განათლების ამონაგებს შორის (მონეტარული სარგებელი). იგულისხმება, რომ რაც უფრო მაღალია ფორმალური განათლების დონე (მეტია ფორმალური განათლების წლები), მით უფრო მაღალია ინდივიდის ანაზღაურება და ფინანსური კეთილდღეობა (OECD, 2016. გვ. 45-47 და გვ. 114-153). თუმცა, თანამედროვე განათლების ეკონომიკა იმასაც ითვალისწინებს, რომ განათლება-ეკონომიკის კავშირი არ არის უნივერსალური ხასიათის, რასაც განაპირობებს ქვეყნების დონეზე ჰეტეროგენური განათლების სისტემები, განსხვავება მიწოდებულ განათლების ხარისხში და, შესაბამისად, სამუშაო ძალის შესაძლებლობა, შექმნას ინოვაციური პროდუქტი და/ან ადაპტირდეს ახალ ტექნოლოგიებთან, საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებთან. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებია განათლების დისტრიბუცია/გავრცელება და ადამიანური კაპიტალის (სამუშაო ძალის) ათვისება/განაწილება ეროვნულ სამუშაო ბაზარზე (იქვე. გვ.47).

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობაში უმაღლესი განათლების ეკონომიკური ამონაგების (education return) კვლევას სწორედ მიკროეკონომიკური პერსპექტივიდან, რათა შეფასდეს განათლებაში წლების სახით ჩადებული ინვესტიციის პირადი/ინდივიდუალური ამონაგები (მონეტარული სარგებელი) და უმაღლესი განათლების გავლენა დასაქმების შესაძლებლობებზე. როგორც უკვე ითქვა, განათლების ინდივიდუალური ამონაგები გვიჩვენებს, თუ რამდენად იზრდება (ან არ იზრდება) ინდივიდის შემოსავალი ფორმალურ განათლებაზე დახარჯული წლების შესაბამისად. ამ მიმართების განსაზღვრის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდად მინსერის „შემოსავლის ტოლობა" (1974) მიიჩნევა, ხოლო არამონეტარული სარგებელის დასადგენად ისეთი ცვლადები გამოიყენება, როგორიცაა,

პირველ რიგში, დასაქმების შესაძლებლობა, ასევე პროფესიული ზრდა და წინსვლა, სამუშაოს სტაბილურობა, სამუშაო პროცესში ავტონომიურობის ხარისხი და სხვ., რაც, საერთო ჯამში, შრომით კმაყოფილებაზეც ახდენს გავლენას (შრომით კმაყოფილებაზე დეტალურად იხ. ნაწილი 3).

განათლების ეკონომიკური ეფექტის კვლევა განსაკუთრებით საყურადღებო 1980-90-იანი წლებიდან გახდა, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სახელფასო უთანასწორობის გამო. განათლების ინდივიდუალური ამონაგების შეფასების საერთაშორისო კვლევების თანახმად, ფორმალური განათლების ყოველი დამატებითი წლის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ამონაგების მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი 10%-ით იზრდება (Psacharopoulos & Patrinos, 2004. გვ. 112). საგულისხმოა, რომ ეკონომიკური ამონაგების ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ფიქსირდება დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების შემთხვევაში (10.9 და 10.7 შესაბამისად).[1] მაღალი შემოსავლის ქვეყნებში ამონაგების კოეფიციენტი 7.4-ს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი 12 წლის მანძილზე განათლების ამონაგების ოდენობა 0.6%-ით შემცირებულია, ვინაიდან მსოფლიოში გაიზარდა ფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და, შესაბამისად, ფორმალური განათლების წლების საშუალო მაჩვენებელი (განსაკუთრებით ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებში). ეს გარემოება განაპირობებს ადგილობრივ შრომის ბაზრებზე კონკურენციის გაძლიერებას არსებულ მოთხოვნაზე გადაჭარბებული ადამიანური რესურსის მიწოდების საფუძველზე და ასევე, დაბალშემოსავლიანი სამუშაო ადგილების გამრავლებას, რაც, თავის მხრივ, დაბლა წევს განათლების ინდივიდუალურ ფინანსურ სარგებელსაც (იქვე, გვ. 113-115). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, ყველაზე მაღალი სუფთა (ნეტო) ფინანსური სარგებელი უმაღლესი განათლების შემთხვევაში ვლინდება. თუმცა,

[1] დამატებითი ინფორმაციისთვის, მსოფლიო ბანკის 2017 წლის ივნისის მონაცემით, საქართველო სწორედ დაბალი საშუალო (Lower middle income) შემოსავლის ქვეყნების კატეგორიაში ხვდება. იხ. https://datahelpdesk.worldbank.org/knowledgebase/articles/906519-world-bank-country-and-lending-groups

ფორმალური განათლების უფრო დაბალ საფეხურებთან შედარებით, არანაკლებ მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია საშუალო განათლება, როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე. OECD-ის ქვეყნებში, საშუალო მაჩვენებელზე მეტს გამოიმუშავებს სასკოლო განათლების მქონეთა დაახლოებით 44% და უმაღლესი განათლების მქონეთა 70%. გენდერული ნიშნით, უმაღლესი განათლების მქონე ქალების პირადი სუფთა ფინანსური სარგებელი, კაცების სარგებლის საშუალოდ 2/3-ს შეადგენს.

ასევე, საინტერესოა OECD 2016 ანგარიშის შედეგები ეკონომიკური ამონაგების შესახებ, განათლების სფეროების მიხედვით. უფრო მაღალ ფინანსურ სარგებელთან ასოცირდება ინჟინერია და მშენებლობა; სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი; ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებები. ზემოხსენებულ სფეროებში განათლებამიღებულების ფინანსური სარგებელი, საშუალოდ, 10%-ით აღემატება სხვა კურსდამთავრებულების სარგებელს. რაც შეეხება პედაგოგიკის, განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების, ასევე ენისა და ხელოვნების მიმართულებით უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, მათი ფინანსური სარგებელი 15%-ით ნაკლებია საშუალო შემოსავალზე (OECD, 2016. გვ. 114-115).

საერთო ჯამში, უნდა ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში ინდივიდუალური ამონაგების კვლევას დიდი ყურადღება ექცევა და მისი შეფასება სისტემატურად ხორციელდება. შეფასების შედეგების გათვალისწინება კი მნიშვნელოვანია ქვეყნების საგანმანათლებლო და ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისთვის (OECD, 2016). საქართველოში მსგავსი კვლევა ჯერ არ განხორციელებულა და, შესაბამისად, მოცემული ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, ქვეყნის მასშტაბით რეპრეზენტატული მონაცემების საფუძველზე შეფასდეს, თუ როგორია საქართველოში უმაღლესი განათლების ეკონომიკური ეფექტი და დასაქმების შესაძლებლობები ინდივიდუალურ დონეზე. ვფიქრობთ, რომ მიღებული

შედეგები ხელს შეუწყობს იმის განსაზღვრას, თუ რა სახის საგანმანათლებლო პოლიტიკა უნდა გატარდეს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შრომის ბაზართან შესაბამისობის გაზრდისა და ეფექტიანი შრომითი ბაზრის დაგეგმვის მიზნით.

მონაცემთა ანალიზი

პუბლიკაციის პირველ ნაწილში წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი განხორციელებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ, 2016 წლის ივნისი-ივლისის თვეებში, საქართველოში ჩატარებული შინამეურნეობების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 1488 რესპონდენტმა. ქვეყნის დონეზე რეპრეზენტატული მასობრივი გამოკითხვის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა შერჩევის შემდეგი ოთხეტაპიანი პროცედურა:

- საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე მოხდა საარჩევნო უბნების -კლასტერების იდენტიფიცირება;
- ჩატარდა საარჩევნო უბნების (კლასტერების) სტრატიფიცირება (ქალაქები, სოფლები) შემდეგი პრინციპის მიხედვით: თითოეულ საარჩევნო უბანზე, საშუალოდ, 8 სტრუქტურირებული ინტერვიუ გაიმართა;
- შერჩეულ საარჩევნო უბანზე, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, განისაზღვრა შინამეურნეობის პირველი მისამართი, საიდანაც დაიწყო ყოველი მერვე გამოსაკითხი შინამეურნეობის გადათვლა;
- შინამეურნეობაში გამოსაკითხი რესპონდენტის შერჩევა მოხდა კიშის ცხრილის გამოყენებით.

ამ ნაწილში შემოთავაზებული მსჯელობა წარმოდგენს მონაცემთა ანალიზს რამდენიმე მიმართულებით:

- დასაქმების ტენდენციების მიმოხილვა ეროვნულ შრომის ბაზარზე;
- ფორმალური განათლების მნიშვნელობის შეფასება დასაქმებასა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდაში;
- ფორმალური განათლების ინდივიდუალური ეკონომიკური ეფექტი (ამონაგები).

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა აღწერითი და ახსნითი სტატისტიკა (პირსონის ბივარიაციული კორელაცია, წრფივი და ლოგისტიკური რეგრესია, ANOVA, T-test). ახსნითი სტატისტიკის ფარგლებში და უშუალოდ, განათლების ინდივიდუალური ეკონომიკური სარგებელის გასაანალიზებლად, გამოყენებულ იქნა ზემოხსენებული მინსერის „შემოსავლის ტოლობის“ წრფივი ფუნქცია - სტატისტიკური მოდელი, რომლის მიზანია ადამიანურ კაპიტალსა და შემოსავალს შორის ურთიერთკავშირის ემპირიულად განსაზღვრა. მინსერის მოდელის ფორმულა შემდეგი სახისაა: $\ln(Y) = \ln(Y_0) + \beta_1 S + \beta_2 x + \beta_3 x^2 + \varepsilon$ (Mincer, 1974). ის ეფუძნება წრფივ რეგრესიას, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება ადამიანთა შემოსავალი განათლების ყოველი დამატებითი წლის (S) ან სამუშაო გამოცდილების [ესეც წლებში გაზომილი] (x) საფუძველზე. „ε“-ით აღნიშნულია ნებისმიერი დამატებითი ცვლადი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შემოსავლის ცვლადზე, მაგალითად, ადამიანთა მოტივაცია, ტრანსფერული უნარები, სხვადასხვა დემოგრაფიული ცვლადები. რაც შეეხება Y_0-ს, ეს ცვლადი ფორმალური განათლების და სამუშაო გამოცდილების არმქონე სეგმენტის პოტენციურ შემოსავალს აღნიშნავს (Lemieux, 2003). ვინაიდან, ჩვენი კვლევის შერჩევაში არ მოხვდნენ ისეთი რესპონდენტები, რომლებიც ამ ორ პირობას ერთდროულად აკმაყოფილებდნენ, მინსერის ფორმულამ შემდეგი სახე მიიღო: $\ln(Y) = \beta_1 S + \beta_2 x + \beta_3 x^2 + \varepsilon$. შემოსავლის ცვლადის ლოგარითმში აყვანის

შედეგად შესაძლებელია ნორმალური განაწილების მიღება, რის საფუძველზეც დამოუკიდებელი ცვლადის ყოველი მარგინალური ერთეულის ცვლილებისას, დამოკიდებული ცვლადის ცვლილების ტენდენცია განისაზღვრება. გამოცდილების წლების კვადრატში აყვანის საფუძველზე კი ხდება ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობის გაუფასურების (ტექნოლოგიური განვითარებისა და დემოგრაფიული დაბერების საფუძველზე) გათვალისწინება (რეგრესიული ანალიზისას, ცვლადის კვადრატში აყვანით, მისთვის უარყოფითი მნიშვნელობის მინიჭება ხდება. მაგალითად, მოსახლეობის დაბერების ტენდენცია შეიძლება უარყოფითად მოქმედებდეს შემოსავალზე).

მინსერის „შემოსავლის ტოლობის“ მოდელს გარკვეული ნაკლიც აქვს. ტოლობაში შეუძლებელია ისეთი ცვლადების გათვალისწინება, როგორიცაა სწავლის გადასახადები, პოტენციური შემოსავალი, რომელზეც ადამიანები სწავლის პროცესში უარს ამბობენ და სხვ. ასევე, პრობლემას წარმოადგენს სამუშაო გამოცდილების ხისტი დაანგარიშება. პოტენციური სამუშაო გამოცდილება (X) გამოითვლება შემდეგი სახით: რეალურ ასაკს (A) აკლდება ფორმალურ განათლებაზე დახარჯული წლების (S) ჯამს დამატებული 6 წელი, როგორც წინასასკოლო პერიოდი (X = A - (S + 6). აღნიშნული ფორმულა არ ითვალისწინებს სწავლის პარალელურად მიღებულ სამუშაო გამოცდილებას ან გავლილ სტაჟირებას. ასევე, არ ხდება უმუშევრობისა და დეკრეტული პერიოდების გათვალისწინება, რამაც შეიძლება მონაცემთა ცდომილება გამოიწვიოს. მიუხედავად არსებული ხარვეზებისა, მინსერის ფორმულა განათლების ამონაგების შესაფასებელ მთავარ მოდელს (Lemieux, 2003) წარმოადგენს და ჩვენი სტატისტიკური ანალიზიც, მნიშვნელოვანწილად, მას ეფუძნება.

ძირითადი შედეგების მიმოხილვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საკვლევი კითხვა ეხება განათლებასა და დასაქმებას შორის კავშირს. ვიდრე უფრო სიღრმისეული სტატისტიკური ანალიზის შედეგებს განვიხილავთ, წარმოგიდგენთ კვლევაში გამოვლენილ საყურადღებო ტენდენციებს განათლებისა და დასაქმების ურთიერთქმედების კონტექსტში.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბით გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 33%-ს აქვს ანაზღაურებადი სამუშაო (ანაზღაურების მქონე თვითდასაქმებულების ჩათვლით). შესაბამისად, დაუსაქმებლების კატეგორიაში ხვდება გამოკითხულთა უმრავლესობა (67%). მათ შორის ეკონომიკურად აქტიურია და სამსახურს ეძებს 37.5%, 23% პენსიონერია, 19% დაკავებულია საოჯახო საქმეებით, 9.5% უმუშევარია და არ ეძებს სამუშაო ადგილს, 7% კი სწავლობს. თუ დასაქმების სტატუსს ფორმალური განათლების ჭრილში დავაკვირდებით, დაუსაქმებელი რესპონდენტების რაოდენობა აღემატება დასაქმებულებისას გამოკითხულთა იმ ჯგუფში, რომელსაც ფორმალური განათლება საერთოდ არ მიუღია. უმუშევართა რაოდენობა ასევე მაღალია მხოლოდ სასკოლო (არასრულის ჩათვლით) განათლებისა და პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტების შემთხვევაშიც. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებს შორის კი დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა რაოდენობა თითქმის თანაბარია [იხ. დიაგრამა 1.1.].

დიაგრამა 1.1. განათლების სტატუსი ფორმალური განათლების საფეხურების მიხედვით [2]



საჯარო სექტორი დღეს წამყვანია საქართველოში დაქირავებით დასაქმების მიმართულებით და დაქირავებით დასაქმებულთა 75% სწორედ მასშია ჩართული, ხოლო 22% კერძო სექტორშია დასაქმებული. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების უმრავლესობა დასაქმებულია განათლების სფეროში (23%). 10%-მდე აღწევს იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ საბითუმო/საცალო ვაჭრობის მიმართულებით, ინდივიდუალური მომსახურებისა და წარმოების სფეროში, თავდაცვისა და უსაფრთხოების, და საოფისე-ადმინისტრაციული საქმიანობის მიმართულებით [იხ. დიაგრამა 2.1.]. საგულისხმოა, რომ ჩვენი კვლევის მონაცემები, გარკვეულწილად, თანხვედრაშია 2015 წელს ჩატარებულ შრომის ბაზრის კვლევასთან, რომლის ანგარიშის მიხედვით, დასაქმებულების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია სწორედ განათლების სფეროში (181 ათასი), ვაჭრობისა და სარემონტო მომსახურებების მიმართულებით (174 ათასი) (შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, 2015. გვ. 6-9).

[2] უმაღლესი განათლების საფეხურები აღნიშნულია შემდეგი აბრევიატურებით: “B”- ბაკალავრიატის საფეხური, “M“- მაგისტრატურის საფეხური და “D“ - დოქტორანტურის საფეხური

დიაგრამა 1.2. დაქირავებით დასაქმებულების განაწილება ეროვნულ შრომის ბაზარზე



მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ რესპონდენტების შრომის ბაზარზე განაწილებას მათი განათლების მიხედვით. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ:

- უმაღლესი განათლების მქონე დაქირავებით დასაქმებულების წილი მაღალია განათლების სისტემაში (83%), კომპლექსურ საოფისე/ადმინისტრაციულ (83%) და საფინანსო/საბანკო/სადაზღვევო (88%) სფეროებში;
- სასკოლო განათლების მქონე დასაქმებულები უმრავლესობას წარმოადგენ თავდაცვასა და უსაფრთხოებაში (83%), წარმოებისა (58%) და მშენებლობის მიმართულებით (60%);
- პროფესიული განათლებით დასაქმებულები დომინირებენ საბითუმო და საცალო ვაჭრობაში (36%), ასევე ინდივიდუალურ მომსახურებაში (40%) [იხ. ცხრილი 1.1.].

ცხრილი 1.1. დაქირავებით დასაქმებულების განაწილება შრომის ბაზარზე ფორმალური განათლების საფეხურების მიხედვით

		განათლების საფეხურები			ჯამი
		სასკოლო განათლება	პროფესიული განათლება	უმაღლესი განათლება (B/M/D)	
თავდაცვა და უსაფრთხოება	რაოდენობა	24	4	1	29
	%	82.8%	13.8%	3.4%	100.0%
შემოქმედება და ხელოვნება	რაოდენობა	1	2	8	11
	%	9.1%	18.2%	72.7%	100.0%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	რაოდენობა	5	13	18	36
	%	13.9%	36.1%	50.0%	100.0%
მედია და კომუნიკაცია	რაოდენობა	0	0	3	3
	%	0.0%	0.0%	100.0%	100.0%
ჯანდაცვის საქმიანობები	რაოდენობა	1	8	13	22
	%	4.5%	36.4%	59.1%	100.0%
განათლება	რაოდენობა	6	10	77	93
	%	6.5%	10.8%	82.8%	100.0%
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობები	რაოდენობა	2	1	22	25
	%	8.0%	4.0%	88.0%	100.0%
კომპიუტერული დაპროგრამება და კონსულტირება	რაოდენობა	2	2	4	8
	%	25.0%	25.0%	50.0%	100.0%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	რაოდენობა	0	4	21	25
	%	0.0%	16.0%	84.0%	100.0%
კომპლექსური საოფისე, ადმინისტრაციული სამსახური	რაოდენობა	2	3	25	30
	%	6.7%	10.0%	83.3%	100.0%
საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში	რაოდენობა	8	2	5	15
	%	53.3%	13.3%	33.3%	100.0%
ტრანსპორტი და დასაწყობება	რაოდენობა	1	4	4	9
	%	11.1%	44.4%	44.4%	100.0%
წარმოება	რაოდენობა	18	2	11	31
	%	58.1%	6.5%	35.5%	100.0%
ინდივიდუალური მომსახურება	რაოდენობა	7	12	11	30
	%	23.3%	40.0%	36.7%	100.0%
მშენებლობა და სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები	რაოდენობა	12	2	6	20
	%	60.0%	10.0%	30.0%	100.0%
სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა	რაოდენობა	3	2	1	6
	%	50.0%	33.3%	16.7%	100.0%
სხვა	რაოდენობა	0	3	2	5
	%	0.0%	60.0%	40.0%	100.0%
ჯამი	რაოდენობა	92	74	232	397
	%	23.1%	18.6%	58.3%	100.0%

საერთო ჯამში, დაქირავებით დასაქმებულებს შორის ყველაზე დიდი წილი მოდის უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაზე (58%). მას მოსდევს სკოლის განათლების მქონე დასაქმებულების წილი, რომელიც 23%-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით პროფესიული განათლების მქონე სამუშაო ძალაა წარმოდგენილი (19%). ამ შემთხვევაშიც, ჩვენი კვლევის შედეგები 2015 წლის შრომის ბაზრის კვლევაში გამოვლენილი ტენდენციების ანალოგიურია. ანგარიშის მიხედვით, დაქირავებით დასაქმებულებს შორის

უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონეა (451 ათასი), პროფესიულის - 133 ათასი და საშუალო (სკოლის) განათლების - 290 ათასი (შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, 2015. გვ.10)

ანგარიშში ასევე ვკითხულობთ, რომ საშუალო განათლების მქონე სამუშაო ძალის მოცულობა მიანიშნებს დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მქონე სამუშაო ადგილების სიმრავლეზე (იქვე, გვ. 9). თუმცა, ასეთი განზოგადებული და ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანას აფერხებს ეროვნულ შრომის ბაზარზე არსებული რიგი გარემოებები, რომლის მხედველობაში მიღებაც მნიშვნელოვანია. მართალია, საქართველოს დასაქმების ბაზარზე მეორადი შრომის ბაზრის დომინირება აღინიშნება, თუმცა ეს გამოიხატება დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების სიმრავლით და არა დაბალ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დომინაციით. უპირველესად, აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში (განსაკუთრებით კი, საჯარო სექტორის შემთხვევაში), მეტწილად, სწორედ უმაღლეს განათლებაზეა მოთხოვნა (იქვე, გვ. 77-85). გარდა ამისა, ჩვენი კვლევის სტატისტიკური ანალიზის შედეგებით, განათლების დონის მიხედვით, დასაქმების სფეროებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის (Independent T-Test, $F(2)= 2.95$, $p>0.05$). სხვა სიტყვებით, ფორმალური განათლების დონე (საფეხური) არ განსაზღვრავს, მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მქონე სფეროში დასაქმდება ადამიანი, თუ ისეთ სამუშაო ადგილზე, რომელსაც უფრო დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები აქვს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 40%-მდე აღწევს უმაღლესი განათლების მქონეთა წილი ისეთ საქმიანობებში, რომელიც დაბალი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით ხასიათდება (მაგ.: ტრანსპორტირება, მომსახურება) [იხ. ცხრილი 1.1.]. ეს შედეგი აიხსნება პროფესიული ცოდნის/განათლების ხარისხის გაუფასურებით/ინფლაციით (ეს განსაკუთრებით ეხება დაბერებულ სამუშაო ძალას, რომლის წილიც ეროვნულ შრომის ბაზარზე მაღალია. ამ სეგმენტს აქვს საბჭოთა განათლება (76%) და ვერ უმკლავდება შრომის ბაზრის

თანამედროვე მოთხოვნებს; შესაბამისად, ვერ უწევს კონკურენციას უფრო ახალგაზრდა სამუშაო ძალას), რაც აისახება უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის ისეთ საქმიანობებში განაწილებაზე, რომელიც, რეალურად, არ საჭიროებს უმაღლეს განათლებას. ზემოხსენებულთან მჭიდრო კავშირშია პროფესიით დასაქმების დაბალი მაჩვენებელიც, თუმცა სპეციალობით დასაქმების პრობლემა ახალგაზრდა სამუშაო ძალის შემთხვევაშიც დგას. საერთო ჯამში, საქართველოში, განათლებისა და დასაქმების შესაბამისობის მაჩვენებლები საკმაოდ პრობლემურია, რაზეც უფრო დეტალურად პუბლიკაციის მეორე ნაწილში ვიმსჯელებთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია განათლებისა და დასაქმების მაჩვენებლების გენდერის ჭრილში გაანალიზება. მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ ფორმალური განათლების არმქონე და მხოლოდ სასკოლო განათლების მქონე რესპონდენტების ჯგუფში ქალებისა და კაცების რაოდენობა თითქმის თანაბარია. განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე კი ქალების რაოდენობა აღემატება კაცებისას [იხ. ცხრილი 1.2.].

ცხრილი 1.2. რესპონდენტების განაწილება ფორმალური განათლების დონეებზე სქესის ნიშნით

		სქესი		სულ
		კაცი	ქალი	
ფორმალური განათლების გარეშე	რაოდენობა	14	17	31
	%	45.2%	54.8%	100.0%
სასკოლო განათლება (არასრულის ჩათვლით)	რაოდენობა	288	250	538
	%	53.5%	46.5%	100.0%
პროფესიული განათლება	რაოდენობა	148	255	403
	%	36.7%	63.3%	100.0%
უმაღლესი განათლება (B/M/D)	რაოდენობა	198	314	512
	%	38.7%	61.3%	100.0%
სულ	რაოდენობა	648	836	1484
	%	43.7%	56.3%	100.0%

ეროვნულ შრომის ბაზარზე ამჟამად დასაქმებული კაცების წილი 37%-ს შეადგენს, ქალების კი 7%-ით ნაკლებს (30%). როგორც ქალების, ასევე კაცების შემთხვევაში, დაუსაქმებლების წილი მნიშვნელოვნად აჭარბებს 50%-

ს ფორმალური განათლების ყველა კატეგორიაში, გარდა უმაღლესი განათლებისა. აღსანიშნავია, რომ სკოლის და პროფესიული განათლების კატეგორიებში დასაქმების მაჩვენებელი სქესის მიხედვით განსხვავდება კაცების სასარგებლოდ: სკოლის განათლების მქონე კაცების შემთხვევაში, დასაქმებულთა წილი შეადგენს 34%-ს, ქალების შემთხვევაში - 14%; პროფესიული განათლების მქონე კაცების შემთხვევაში - 27%-ს, ქალების შემთხვევაში კი - 21%. [იხ. ცხრილი 1.3. და დიაგრამა 1.3.].

მიღებული შედეგები ქმნის საფუძველს ვივარაუდოთ, რომ დასაქმებაზე ფორმალური განათლების საფეხურების გავლენის კოეფიციენტი განსხვავდება გენდერული ნიშნით. აღნიშნული ვარაუდი დადასტურდა ბინარული ლოგისტიკური რეგრესიის შედეგებით, რომლის მიხედვით კაცებისთვის დასაქმების შესაძლებლობა 2-ჯერ მაღალია ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის მიღების შემთხვევაში, სკოლის განათლებასთან შედარებით. პროფესიული განათლება და დოქტორის ხარისხი კაცების დასაქმებისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი არ აღმოჩნდა ($p>0.05$). ქალების შემთხვევაში, დასაქმებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც პროფესიული, ასევე უმაღლესი განათლების სამივე საფეხური. მიღებული შედეგების თანახმად, ქალებისთვის დასაქმების შესაძლებლობა დაახლოებით 2-ჯერ იზრდება პროფესიული განათლების მიღების შემთხვევაში, 5-ჯერ - ბაკალავრის, 7-ჯერ - მაგისტრის და 45-ჯერ დოქტორის ხარისხის შემთხვევაში [იხ. დანართი, ცხრილი 1.4.].

ცხრილი 1.3. რესპონდენტების განაწილება სქესის, ფორმალური განათლების საფეხურის და დასაქმების სტატუსის მიხედვით

			ფორმალური განათლების გარეშე	სასკოლო განათლება (არასრულის ჩათვლით)	პროფესიული განათლება	უმაღლესი განათლება (B/M/D)	სულ
კაცი	**დასაქმებული**	N	2	99	40	98	239
		%	**14%**	**34%**	**27%**	**49%**	**37%**
	დაუსაქმებელი	N	12	190	108	100	410
		%	86%	66%	73%	51%	63%
	სულ	N	14	289	148	198	649
		%	100%	100%	100%	100%	100%
ქალი	**დასაქმებული**	N	1	36	54	157	248
		%	**6%**	**14%**	**21%**	**50%**	**30%**
	დაუსაქმებელი	N	16	214	201	156	587
		%	94%	86%	79%	50%	70%
	სულ	N	17	250	255	313	835
		%	100%	100%	100%	100%	100%

დიაგრამა 1.3. დასაქმებულთა განაწილება სქესის ნიშნით, ფორმალური განათლების საფეხურების მიხედვით



ზემოგანხილული გენდერული განსხვავებები მჭიდრო კავშირშია ეროვნულ შრომის ბაზარზე არსებულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სეგრეგაციასთან, რაც ნიშნავს მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლების დომინაციას რიგ დასაქმების სფეროებსა და სამუშაო პოზიციებზე (European Union, 2014). ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, მათ შორის, ვინც

დასაქმების ადგილზე ხელმძღვანელ პოზიციებს იკავებს, 63% კაცია, ხოლო 37% - ქალი. გასათვალისწინებელია ქალთა დისკრიმინაციული პრაქტიკები, რომელსაც ადგილი აქვს როგორც უშუალოდ სამუშაო ადგილებზე, ასევე სამსახურში აყვანის პროცესში (წინასახელშეკრულებო პერიოდში); ასევე, დაწინაურების, ტრენინგების, დამატებითი სარგებლის, დათხოვნის და ა.შ. კომპონენტებში (ბენდელიანი და სხვები, 2014). ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქალებისთვის ეროვნულ შრომის ბაზარზე კონკურენცია იზრდება როგორც კაცებთან, ასევე სხვა ქალებთან მიმართებაში. ჰორიზონტალური სეგრეგაციის კონტექსტში, საყურადღებოა დაქირავებით დასაქმების სფეროები, რომელშიც ქალები დომინირებენ. მაგალითად, განათლება და ჯანდაცვა, ასევე მომსახურებისა და კომპლექსური საოფისე საქმიანობები, სადაც ქალების პროცენტული წილი 80%-მდე აღწევს, კაცები კი დომინირებენ თავდაცვა/უსაფრთხოების, მშენებლობის, ტრანსპორტის მიმართულებით და სხვ. [იხ. დიაგრამა 1.4]. მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა დასაქმების სფეროებს შორის სქესის ნიშნით მნიშვნელოვანი განსხვავება გამოავლინა (One-way ANOVA, F(16, 360)=11.159, p=.000).

საგულისხმოა, რომ შრომის ბაზარზე, სქესის ნიშნით ჰორიზონტალური სეგრეგაციის თაობაზე თითქმის იდენტური შედეგებია განხილული სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის 2014 წლის კვლევის ანგარიშშიც, რომელიც საქართველოს შრომის ბაზარზე გენდერული დისკრიმინაციის პრაქტიკებს სწავლობს (ბენდელიანი და სხვები). აღნიშნული კვლევის თანახმად, ჯანდაცვა, განათლება და ადმინისტრაციული საქმე ის სამუშაო მიმართულებებია, სადაც ქალები დომინირებენ; კაცების უმრავლესობა კი დასაქმებულია მრეწველობაში, სატრანსპორტო/ლოგისტიკურ სამსახურებში, მშენებლობასა და თავდაცვაში (იქვე, გვ.40).

შრომის ბაზარზე გენდერული სეგრეგაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა ქალებისა და კაცების ანაზღაურებას შორის გენდერული სხვაობა (Gender

Wage Gap). ადამიანური კაპიტალის თეორიის თანახმად, ეს აიხსნება ქალების დომინაციით დაბალანაზღაურებად, ხოლო კაცების დომინაციით მაღალანაზღაურებად საქმიანობებში. აღნიშნულს, თავის მხრივ, წინ უსწრებს ქალებისა და კაცების სტერეოტიპული გენდერული როლებით განპირობებული პროფესიული არჩევანი. კაცებისგან განსხვავებით, ქალები ისეთი სფეროების შესწავლას ირჩევენ, რომელიც მომავალში ნაკლებ შემოსავლიანია, მაგრამ უფრო მოქნილი სამუშაო გრაფიკით ხასიათდება, რაც ქალებს საოჯახო საქმის გაკეთებაში ხელს არ უშლის (იქვე, გვ.14-15). ჩვენი კვლევის მონაცემების მიხედვით, ამჟამად დაქირავებით დასაქმებული ქალების პროფესიული არჩევანია პედაგოგიკა, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, ხელოვნება. ამასთან, პროფესიით დასაქმებულთა უმრავლესობას სწორედ ქალები შეადგენენ (67%). თუმცა, ქალების უმრავლესობის პროფესიული არჩევანი და შესაბამისი დასაქმების სფეროები სწორედ იმ საქმიანობის ტიპებს გულისხმობს, რომელიც სხვა (კაცებით დომინირებულ) სექტორებთან შედარებით დაბალანაზღაურებადია [იხ. დიაგრამა 1.4.]

დიაგრამა 1.4. რესპონდენტების შრომის ბაზარზე განაწილება სქესის მიხედვით. უჯრებში მოცემულია ყოველთვიური, დაბეგრილი ანაზღაურების საშუალო თითოეული საქმიანობის ტიპისთვის



როგორც უკვე ითქვა, დასაქმების შესაძლებლობებზე ფორმალური განათლების გავლენა სქესის ნიშნით განსხვავდება. გარდა ამისა, ფორმალური განათლების დონე განსხვავებულად აისახება ქალებისა და კაცების ყოველთვიური ანაზღაურების საშუალოზეც. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ფორმალური განათლების დონის მიუხედავად, დაქირავებით დასაქმებული კაცების ყოველთვიური ანაზღაურების საშუალო 400-700 ლარის ფარგლებში მერყეობს მაშინ, როდესაც ქალების ანაზღაურებაზე ფორმალური განათლების საფეხურს გავლენა აქვს. კერძოდ, ქალებს მინიმუმ ბაკალავრის დიპლომი უნდა ჰქონდეთ იმისთვის, რომ მათი ანაზღაურების საშუალო კაცების ანალოგიური იყოს (ბენდელიანი და სხვები, 2014). მსგავსი ტენდენციები გამოვლინდა 2016 წლის კვლევის შემთხვევაშიც:

უმაღლესი განათლების მქონე დაქირავებით დასაქმებული ქალების ყოველთვიური, დაბეგრილი ანაზღაურების საშუალო 406 ლარს შეადგენს, ხოლო კაცების - 691 ლარს [იხ. დიაგრამა 1.5 და 1.6.].

დიაგრამა 1.5. კაცების განათლების დონე და ანაზღაურების საშუალო
წყარო: „გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში", 2014 (გვ. 33-34, დიაგრამა 4)



დიაგრამა 1.6. ქალების განათლების დონე და ანაზღაურების საშუალო
წყარო: „გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში", 2014 (გვ. 33-34, დიაგრამა 5)



საყურადღებოა, ასევე, დასაქმების ტენდენციები ფორმალური განათლების სისტემებთან მიმართებაში და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში პირველი სტრუქტურული ცვლილება 1994 წელს განხორციელდა, როდესაც უნივერსიტეტებმა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დანერგვა დაიწყეს. შემდეგი მასშტაბური რეფორმის საფუძველზე, რომელიც 2005 წელს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ბოლონიის პროცესში გაწევრიანებით დაიწყო (თუმცა, მას წინ უსწრებდა 2004 წლის დეკემბერში მიღებული კანონი საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სამ საფეხურიანი სისტემის დანერგვას), განისაზღვრა დოქტორანტურის (მესამე) საფეხურიც (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თავი 7, მუხლი 46; EPPM, 2008). ზემოხსენებული რეფორმების გათვალისწინებით, საინტერესოდ მიგვაჩნია მიღებული მონაცემების გაანალიზება უმაღლესი განათლების საბჭოთა, პოსტ-საბჭოთა და ბოლონიის სისტემების მიხედვით. ჩვენს ხელთ არსებული კვლევის მონაცემები საშუალებას გვაძლევს, დაბადების წლების საფუძველზე განვსაზღვროთ რესპონდენტთა ჯგუფები, რომლებმაც უმაღლესი განათლება სხვადასხვა სისტემაში მიიღეს. რესპონდენტები, პირობითად, სამ კატეგორიად დავყავით:

- დაბადებულები 1922-1970 წლებში, რომლებმაც უმაღლესი (5-წლიანი) განათლება საბჭოთა საქართველოს პერიოდში მიიღეს (1992 წლამდე);
- დაბადებულები 1971-1987 წლებში, რომლებმაც უმაღლესი განათლება პოსტსაბჭოთა საქართველოში მიიღეს (1991 წლის შემდეგ);
- დაბადებულები 1988-1994 წლებში, რომლებმაც უმაღლესი განათლება თანამედროვე სისტემაში მიიღეს, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა 2005 წელს.

უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულებს შორის (ანაზღაურებადი სამუშაოს მქონე თვითდასაქმებულთა ჩათვლით) ყველაზე

დიდი წილი მოდის რესპონდენტებზე, რომლებმაც უმაღლესი განათლება პოსტსაბჭოთა პერიოდში მიიღეს (44%). საბჭოთა უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულების წილი 38%-ს აღწევს, ხოლო ბოლონიის სისტემის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი - 18%-ს. რაც შეეხება უმაღლესი განათლების სისტემების მიხედვით დასაქმების სტატუსის განსაზღვრას, პოსტსაბჭოთა განათლების კატეგორიაში დასაქმებული რესპონდენტების მაჩვენებელი 12%-ით მაღალია დაუსაქმებლებზე; საბჭოთა განათლების კატეგორიაში დაუსაქმებლობის მაჩვენებელი 10%-ით უსწრებს დასაქმებულების მაჩვენებელს, ხოლო ბოლონიის სისტემის კურსდამთავრებულთა შემთხვევაში - 4%-ით [იხ. დიაგრამა 1.7.].

დიაგრამა 1.7. დასაქმების სტატუსი უმაღლესი განათლების სისტემების მიხედვით



საბჭოთა უმაღლესი განათლებით ეროვნულ შრომის ბაზარზე შესული რესპონდენტების ჯგუფი ხვდება 47+ ასაკობრივ კატეგორიაში, რომლის უმრავლესობაც (54%) 45-54 წლების ინტერვალში თავსდება. პოსტსაბჭოთა უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულები ხვდებიან 30+ ასაკობრივ ჯგუფში და მათი უმრავლესობა (56%) 35-44 წლების ინტერვალში ხვდება. რაც შეეხება ბოლონიის სისტემის კურსდამთავრებულებს, ისინი 18-34 წლების ინტერვალში ხვდებიან, ხოლო მათი 60% თავს იყრის 25-34 ასაკობრივ კატეგორიაში [იხ. ცხრილი 1.4.].

ცხრილი 1.4. რესპონდენტების განაწილება განათლების სისტემების და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით

			ასაკობრივი კატეგორიები						სულ
			18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+	
უმაღლესი განათლების სისტემები	საბჭოთა	რაოდენობა	0	0	0	52	24	20	96
		%	0.0%	0.0%	0.0%	54.2%	25.0%	20.8%	100.0%
	პოსტ-საბჭოთა	რაოდენობა	0	43	62	6	0	0	111
		%	0.0%	38.7%	55.9%	5.4%	0.0%	0.0%	100.0%
	ბოლონია	რაოდენობა	18	27	0	0	0	0	45
		%	40.0%	60.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%
სულ		რაოდენობა	18	70	62	58	24	20	252
		%	7.1%	27.8%	24.6%	23.0%	9.5%	7.9%	100.0%

საერთო ჯამში, ეროვნულ შრომის ბაზარზე დასაქმებული სამუშაო ძალის უმრავლესობას მოსახლეობის ის ნაწილი წარმოადგენს, რომელმაც როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი განათლება მთლიანად საბჭოთა და ნაწილობრივ პოსტსაბჭოთა პერიოდში მიიღო (65%). შესაბამისად, უფრო მცირეა სამუშაო ძალის ის სეგმენტი, რომელმაც როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი განათლება მთლიანად პოსტსაბჭოთა პერიოდში მიიღო და შეადგენს 35%-ს [იხ. ცხრილი 1.5.]. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში, უმაღლესი განათლების მიღება ბოლონიის პროცესის შედეგად რეფორმირებულ სისტემაში ხორციელდება, რომელიც რადიკალურად განსხვავდება საბჭოთა და გარდამავალი პერიოდის უმაღლესი განათლების სისტემებისგან. ზემოთ აღწერილ მონაცემებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ თანამედროვე სისტემაში (ბოლონია)განათლებამიღებული ახალგაზრდების ჯგუფში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადამიანური კაპიტალია, დაუსაქმებლობის მაჩვენებელი 50%-ს აჭარბებს [იხ. დიაგრამა 1.7.].

ცხრილი 1.5. რესპონდენტების განაწილება დასაქმების სტატუსის და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით

			ასაკობრივი ჯგუფი						სულ
			18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+	
დასაქმების სტატუსი	დაუსაქმებელი	რაოდენობა	162	172	180	161	132	193	1000
		%	16.2%	17.2%	18.0%	16.1%	13.2%	19.3%	100.0%
	დასაქმებული	რაოდენობა	53	117	133	102	53	29	487
		%	10.9%	24.0%	27.3%	20.9%	10.9%	6.0%	100.0%
სულ		რაოდენობა	215	289	313	263	185	222	1487
		%	14.5%	19.4%	21.0%	17.7%	12.4%	14.9%	100.0%

საყურადღებოა, რომ საქართველოში სახეზეა დემოგრაფიული დაბერება (წულაძე, 2013), რაც პირდაპირ აისახება ბაზარზე სამუშაო ძალის განაწილებაზე და ქმნის საჭიროებას შეფასდეს, თუ რამდენად უნარიანია (ან უნარიანი იქნება) არსებული ადამიანური კაპიტალი ქვეყნისთვის მატერიალური თუ არამატერიალური დოვლათი აწარმოოს. სამუშაო ძალის დაბერება ჯანმრთელობის გაუარესებასთან, ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობების, ასევე ცვალებად სამუშაო გარემოსთან ადაპტური ქცევის შემცირებასთან, ცოდნის გაუფასურებასთან და საერთო ჯამში, პროდუქტიულობის კლებასთან ასოცირდება. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სამუშაო ძალის პროდუქტიულობა მზარდია, საშუალოდ, 40 წლამდე, შემდეგ კი კლებას იწყებს (Shekhar et al., 2016). მიუხედავად ასეთი განზოგადებული მსჯელობისა, საერთაშორისო ლიტერატურაში განხილულია საქმიანობის ისეთი ტიპებიც, რომელებიც სამუშაო ძალის დაბერებასთან პოზიტიურ კორელაციურ კავშირშია ან სულაც კავშირში არ არის. მაგალითისთვის, ექიმისა და იურისტის შემთხვევაში, შრომის პროდუქტიულობა ასაკის მატებასთან ერთად იზრდება; საბანკო მოხელესა და ელექტრო ინჟინერის შრომითი პროდუქტიულობა ასაკზე დამოკიდებული არ არის, თუმცა მშენებლობის სფეროში დასაქმებულთა პროდუქტიულობა სწორედ ასაკის მატებასთან ერთად იკლებს (იქვე, გვ. 6-7). ისეთი სამუშაოს შემთხვევაში, სადაც საჭიროა პრობლემის გადაჭრის და

სწრაფად მოქმედების უნარები, ასაკთან ერთად პროდუქტიულობაც იკლებს მაშინ, როცა სამუშაოებზე, სადაც პრიორიტეტულია გამოცდილება და ვერბალური უნარები, ასაკოვანი სამუშაო ძალა პროდუქტიულობის მაღალ დონეს ინარჩუნებს. მხედველობაშია მისაღები მიმდინარე ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ინოვაციებიც, რაც სამუშაო მოთხოვნილებების ხშირ ცვლილებას განაპირობებს და რის გამოც თანამედროვე შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის პროდუქტიულობის განმსაზღვრელ რიგ ფაქტორთა (ფიზიკური შესაძლებლობები, მენტალური შესაძლებლობები, განათლების დონე, სამუშაო გამოცდილება) წონებიც იცვლება. ცალსახად რთულია იმის თქმა, თუ რა გავლენას მოახდენს სწრაფად ტრანფორმირებადი შრომის ბაზარი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის სამუშაო ძალაზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ტექნოლოგიური განვითარება თანამედროვე შრომის ბაზარზე ფიზიკურ სამუშაოზე მოთხოვნას ამცირებს, მოსალოდნელია, რომ მაღალი ასაკობრივი ჯგუფის სამუშაო ძალა შეძლებს მაღალი პროდუქტიულობის შენარჩუნებას ინოვაციური მენეჯმენტის პირობებში, რომელიც სამუშაო ძალის ცოდნისა და უნარების მიზნობრივ განახლებაზე იზრუნებს, მიუხედავად მისი ასაკობრივი მაჩვენებლებისა (Chawla et al., 2007).

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენის კვლევის შედეგების მიხედვით, 41+ ასაკის დაქირავებული სამუშაო ძალის 78% დასაქმებულია განათლების სფეროში. დასაქმების ამ მიმართულებაში ყველაზე დიდი წილით წარმოდგენილი არიან 65+ ასაკის რესპონდენტები (43%). შეიძლება ითქვას, რომ დღეს, საქართველოში, განათლება დასაქმების ის სფეროა, რომელშიც სამუშაო ძალის დაბერება განსაკუთრებით თვალსაჩინოა და შესაბამისად, შრომის პროდუქტიულობის კლება ამ მიმართულებით განსაკუთრებით მოსალოდნელია. აქვე, მხედველობაშია მისაღები, რომ განათლების სფეროში არსებულ ძირითად სამუშაო ძალას საბჭოთა განათლება აქვს მიღებული. გარდა ამისა, განათლების სისტემა, როგორც დასაქმების სფერო, სამუშაო ბაზრის დაბალი მოქნილობით ხასიათდება - არ

ხდება ახალგაზრდა სამუშაო ძალის შედინება და ხანდაზმული სამუშაო ძალის განახლება (ანდღულაძე, 2015).

რაც შეეხება სამუშაო ძალის ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფს (18-24), მათი უმრავლესობა დასაქმებულია საბითუმო და საცალო გაყიდვების მიმართულებით (21%), მეორე ადგილზეა კვლავ განათლების სფერო (15%) და ამავდროულად, დაწინაურებულია კომპლექსური საოფისე/ადმინისტრაციული სამსახური (15%).

აღსანიშნავია, რომ 25-34 წლის ასაკობრივი კატეგორია, ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით, ყველაზე მრავალფეროვანია. მათი უმრავლესობა ჩართულია საბანკო, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში (15%). ერთნაირი რაოდენობაა დასაქმებული საბითუმო/საცალო ვაჭრობისა (13%) და თავდაცვა/უსაფრთხოების (13%) მიმართულებით, მესამე ადგილზეა განათლება (12%), დასაქმებულთა 11% კი პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებშია ჩართული [იხ. დანართი A, დიაგრამები 1.8.-1.16.].

დასაქმების შესაძლებლობებში ფორმალური განათლების მნიშვნელობის უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის, ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი შევადგინეთ, რომელიც მიღებულ შედეგებს 50%-იანი სიზუსტით ხსნის (R^2=.501). მიღებული შედეგების თანახმად:

- ⇒ ფორმალური განათლების დონე მაღალი ალბათობით განაპირობებს დასაქმებას. კერძოდ, სკოლის განათლებასთან შედარებით, ბაკალავრის ხარისხი დასაქმების შესაძლებლობას თითქმის 3-ჯერ ზრდის, მაგისტრის ხარისხი - 5-ჯერ. რაც შეეხება დოქტორის ხარისხს, ის არ აღმოჩნდა დასაქმების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორი ცვლადი;
- ⇒ კაცების შემთხვევაში, დასაქმების შანსი 1.5-ჯერ მაღალია ქალებთან შედარებით;
- ⇒ საჯარო სექტორში დასაქმების შანსი 3-ჯერ მაღალია კერძო სექტორთან შედარებით;

⇒ ლოგისტიკური რეგრესიის მოდელში, დასაქმების პრედიქტორი არ აღმოჩნდა არც უმაღლესი განათლების ფარგლებში მიღებული პროფესია და არც უმაღლესი განათლების სისტემები (საბჭოთა, პოსტსაბჭოთა, ბოლონია) ($p>0.05$) [იხ. დანართი A, ცხრილი 1.6.]. აღნიშნული შედეგის გამომწვევ მიზეზებზე დეტალურად ვიმსჯელებთ პუბლიკაციის მეორე ნაწილში.

ჩვენს მიერ შედგენილი ლოგისტიკური რეგრესიის მეორე, დამოუკიდებელი მოდელი დასაქმებაზე პოტენციური გავლენის მქონე ისეთი ფაქტორების შეფასებას წარმოადგენს, როგორიც არის ასაკი, ანაზღაურებადი შრომის გამოცდილების წლები და სკოლის ასაკამდე ბავშვების ყოლა ოჯახში. მართალია, მთლიანობაში მოდელი ცვლადების ვარიაბელობის მხოლოდ 5%-ს ხსნის, თუმცა ცვლადების კოეფიციენტებს მაინც აქვს მნიშვნელოვანი სტატისტიკური ძალა. მიღებული შედეგების მიხედვით:

⇒ ასაკის მატებასთან ერთად (18+) დასაქმების შანსი 0.9-ჯერ იკლებს;

⇒ ანაზღაურებადი მუშაობის (ანაზღაურებადი სტაჟირების ჩათვლით) 2-5 წლამდე გამოცდილების შემთხვევაში, დასაქმების ან ხელმეორედ დასაქმების შანსი 2-ჯერ იზრდება;

⇒ მიუხედავად იმისა, რომ პირველ მოდელში ოჯახური მდგომარეობა არ გამოვლინდა, როგორც დასაქმების პრედიქტორი ცვლადი ($p>0.05$), დასაქმების სტატუსის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა 6 წლამდე ბავშვის ყოლა ($p<0.05$). კერძოდ, დაახლოებით 1-ჯერ იკლებს დასაქმების შანსი ოჯახში 6 წლამდე ბავშვის(ების) ყოლის შემთხვევაში. მონაცემების გენდერულ ჭრილში გაანალიზებისას გამოვლინდა, რომ 6 წლამდე ბავშვის ყოლა 0.5-ჯერ ამცირებს დასაქმების შესაძლებლობას ქალებისთვის მაშინ, როდესაც კაცების შემთხვევაში აღნიშნულ გარემოებას სტატისტიკური გავლენა საერთოდ არ აქვს ($p>0.05$) [იხ. დანართი A, ცხრილი 1.7.]

რაც შეეხება განათლების ინდივიდუალურ ფინანსურ სარგებელს (ეკონომიკური ამონაგები), მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს,

რომ დაქირავებით დასაქმებულების ყოველთვიური დაბეგრილი ანაზღაურების საშუალო განსხვავდება ფორმალური განათლების საფეხურების მიხედვით. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების ყოველთვიური ანაზღაურება, საშუალოდ, 623 ლარს შეადგენს, სკოლის განათლების შემთხვევაში - 497 ლარს, პროფესიული განათლების შემთხვევაში კი - 375 ლარს [იხ. დიაგრამა 1.17.]. დისპერსიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (One way ANOVA, F(2)=5.29, p=0.005).

დიაგრამა 1.17. დაქირავებით დასაქმებულთა ყოველთვიური ანაზღაურების საშუალო (ნეტო) მათი განათლების საფეხურის მიხედვით



საგულისხმოა, რომ ჩვენი კვლევის მონაცემებით, დაქირავებით დასაქმების ბაზარზე ინდივიდის საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 538 ლარს (ნეტო) შეადგენს (250 აშშ დოლარს კავკასიის ბარომეტრის 2015 წლის მონაცემების მიხედვით და 335 აშშ დოლარს, მსოფლიო ბანკის 2013 წლის მონაცემების მიხედვით). ამ მაჩვენებელთან მიმართებაში, ყველაზე მაღალშემოსავლიანი საქმიანობები კონცენტრირებულია საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო სექტორში (782 ლარი ნეტო). ამას მოჰყვება მშენებლობა და სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები (758 ლარი ნეტო). 700 ლარის (ნეტო) ფარგლებში ხვდება კომპლექსური საოფისე სამუშაო და

მედიაკომუნიკაციასთან ასოცირებული საქმიანობებიც. ანაზღაურების საერთო საშუალოს (538 ლარი) მნიშვნელოვნად ჩამორჩება ანაზღაურების მაჩვენებლები სოფლის მეურნეობა/მეცხოველეობის სექტორში, ხელოვნებისა და მომსახურების სფეროში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ დაქირავებით დასაქმებულების ყოველთვიურ საშუალო ანაზღაურებაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა დასაქმების სფეროების მიხედვით (One way ANOVA, $F(16)=1.85$, $p<0.05$) [იხ. დიაგრამა 1.18]

დიაგრამა 1.18. დაქირავებით დასაქმების სფეროების საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება ქვეყნის საშუალოსთან მიმართებაში (ნეტო).



რათა გაგვეგო, თუ რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას დაქირავებით დასაქმებულების ყოველთვიური ანაზღაურების საშუალოს (ნეტო) ზრდაზე, წრფივი რეგრესიული ანალიზის მოდელი ავაგეთ, მინსერის „შემოსავლის ტოლობის“ წრფივი ფუნქციის ლოგიკის მიხედვით (მოდელის შესახებ დეტალური მეთოდოლოგია იხ. ზემოთ, ქვეთავში „მონაცემთა ანალიზი“, გვ.5). რეგრესიული ანალიზის თანახმად, ყოველთვიური ანაზღაურების ზრდის პრედიქტორი ცვლადებია: ფორმალური განათლების დონე, სქესი, რეგიონი (თბილისი და დანარჩენი რეგიონები) და დასაქმების სფეროები. რეგრესიული ანალიზის ჩვენს მიერ შედგენილმა მოდელმა დამოკიდებული ცვლადის (ყოველთვიური ანაზღაურება, ნეტო) ვარიაბელობა მთლიანობაში 27%-ით ახსნა ($R^2=0.272$, $F(24)=6.48$, $p<0.05$) [იხ.

დანართი A, ცხრილი 1.8.]. ქვემოთ წარმოგიდგენთ მიღებულ შედეგებს პრედიქტორი ცვლადების მიხედვით:

ფორმალური განათლება

- ⇒ ბაკალავრის ხარისხის მქონე დასაქმებულების ყოველთვიური ანაზღაურების საშუალო (ნეტო) 40%-ით აღემატება სრული სასკოლო განათლების მქონე დასაქმებულების ანაზღაურებას;
- ⇒ მაგისტრატურის ხარისხის მქონე დასაქმებულების დასაქმებულების ყოველთვიური ანაზღაურების საშუალო (ნეტო) 67%-ით აღემატება სრული სასკოლო განათლების მქონე დასაქმებულების ანაზღაურებას;
- ⇒ პროფესიული განათლებისა და დოქტორის ხარისხის ცვლადები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა ($p>0.05$).

სქესი

- ⇒ კაცების ყოველთვიური ანაზღაურების საშუალო (ნეტო) 55%-ით აღემატება ქალების ყოველთვიურ ანაზღაურებას.

რეგიონი

- ⇒ თბილისში დასაქმებულების ყოველთვიური ანაზღაურების საშუალო (ნეტო) 46%-ით აღემატება საქართველოს სხვა რეგიონულ მხარეებში დასაქმებულების ანაზღაურებას.

დასაქმების სფერო

განათლების სფეროში დასაქმებულების ყოველთვიური ანაზღაურების საშუალოსთან (ნეტო) შედარებით, რომელშიც დასაქმებულების ყველაზე დიდი წილია კონცენტრირებული, ყოველთვიური ანაზღაურების საშუალო (ნეტო) მაჩვენებელი:

- ⇒ 86%-ით მაღალია მშენებლობასა და სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოებში;
- ⇒ 74%-ით მაღალია ფინანსურ, ეკონომიკურ და სადაზღვევო სექტორში;

⇒ 69%-ით მაღალია თავდაცვა/უსაფრთხოებაში;

⇒ 55%-ით მაღალია ჯანდაცვის სისტემებში;

⇒ 51%-ით მაღალია პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებში;

⇒ 49%-ით მაღალია კომპლექსურ საოფისე და ადმინისტრაციულ სამსახურში;

⇒ 44%-ით მაღალია წარმოებაში;

რეგრესიული ანალიზის ზემოხსენებულ მოდელში, განათლების საფეხურების ჩანაცვლება ფორმალური განათლების წლების ცვლადით ცხადყოფს, რომ განათლების ყოველი დამატებითი წლის შემთხვევაში, მოსალოდნელია ყოველთვიური ანაზღაურების საშუალოს 7%-ით მატება (R^2=0.258, F(20)=7.11, p<0.05).

თუმცა, ეს მაჩვენებელი განსხვავდება რესპონდენტების სქესის ნიშნით. კერძოდ, ქალების შემთხვევაში, ფორმალური განათლების ყოველი დამატებითი წელი განსაზღვრავს ყოველთვიური ანაზღაურების, საშუალოდ, 9%-ით ზრდას (R^2=0.068, F(3)=3.09, p<0.05) მაშინ, როდესაც კაცების შემთხვევაში 11%-იანი ზრდაა მოსალოდნელი (R^2 =0.165, F(3)=14.73, p<0.05) [იხ. დიაგრამა 1.19].

დიაგრამა 1.19. განათლებაზე დახარჯული წლები და განათლების ინდივიდუალური ეკონომიკური სარგებელი (ამონაგები) სქესის მიხედვით



შემაჯამებელი დისკუსია

ეროვნულ შრომის ბაზართან დაკავშირებული ერთ-ერთი საყურადღებო პრობლემაა მისი „ტრადიციული“ ორგანიზაცია და თანამედროვე საქმიანობის ტიპების დეფიციტი, რაც ქვეყნის საბჭოთა წარსულის მემკვიდრეობაა (Rutkowski, 2013; Kupets, 2015). აღნიშნული ხელს უწყობს დაბალპროდუქტიული შრომის ბაზრის შენარჩუნებას და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. განათლების სისტემა, რომელშიც დასაქმებულების უმრავლესობა იყრის თავს (23%), სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ქვეყნის მშპ-ს შემადგენელი ერთ-ერთი დაბალპროდუქტიული დარგობრივი სტრუქტურაა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მაღალპროდუქტიული მიმართულებებია მრეწველობა და ვაჭრობა, რომელიც ყველაზე მაღალი წილით არის წარმოდგენილი ეროვნული მშპ-ს 2016 წლის დარგობრივ სტრუქტურაში (17% და 26%, შესაბამისად) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016). თუმცა, ისეთ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებში და თანამედროვე/მოდერნული შრომის ბაზრის პირობებში, როგორსაც ვხვდებით, მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში, სერვისები (მომსახურებასთან ასოცირებული საქმიანობები) ევროკავშირის მშპ-ს განმსაზღვრელი ძირითადი კომპონენტია და 2015 წელს მთლიანი დამატებითი ღირებულების 73.9% შეადგინა (Eurostat, 2017). იგივე სექტორების პროდუქტიულობის წილი საქართველოს შემთხვევაში საგრძნობლად დაბალია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016), მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გვიანი 1990-იანი წლებიდან და განსაკუთრებით 2005 წლამდე, სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც სამუშაო ძალამ მასობრივად გადაინაცვლა წარმოების ინდუსტრიიდან მომსახურების სფეროში (Asad et al., 2008).

საქართველოს ყველაზე მაღალპროდუქტიულ დარგებში (მრეწველობა და ვაჭრობა), ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, მთლიანობაში,

დასაქმებულების მხოლოდ 17%-ია განაწილებული (კავკასიის ბარომეტრის 2015 წლის მონაცემებით - 15%, მსოფლიო ბანკის 2013 წლის მონაცემებით კი - დაახლოებით 17%). ამასთან, უნდა ითქვას, რომ ეროვნულ შრომის ბაზარზე მრეწველობის სფერო სამუშაო ძალის დაბერებით ხასიათდება, სადაც დასაქმებულთა უმრავლესობა 55+ ასაკობრივ კატეგორიაში ხვდება. ვაჭრობის მიმართულებით კი განსხვავებული ტენდენციაა და დასაქმებულთა უმრავლესობა 18-35 წლის კატეგორიაშია თავმოყრილი. სამუშაო ძალის დაბერებასთან ძლიერად ასოცირებულია შრომის დაბალპროდუქტიულობა, რასაც „ცოდნის გაუფასურება“ იწვევს, ანუ მდგომარეობა, როდესაც სამუშაო ძალა არ არის აღჭურვილი ან გადამზადებული კონკრეტულ დარგში თანამედროვე მოთხოვნების საპასუხოდ (Kupets, 2015). თუმცა, ადეკვატური ცოდნისა და ზოგადი კომპეტენციების დეფიციტის პრობლემა დგას ახალგაზრდა სამუშაო ძალის შემთხვევაშიც, რაზეც უფრო დეტალურად პუბლიკაციის მომდევნო ნაწილში ვიმსჯელებთ.

შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის 2015 წლის კვლევის მიხედვით, ეროვნულ შრომის ბაზარზე დღეს მზარდი მოთხოვნაა სწორედ მომსახურებისა და გაყიდვების მიმართულებით, სადაც, ჩვენი 2016 წლის კვლევის შედეგებით, სამუშაო ძალის მხოლოდ 17%-ია დასაქმებული. დასაქმებულთა უმრავლესობა კი, ასაკობრივი თვალსაზრისით, პროდუქტიულ, 18-45 წლის კატეგორიაში ხვდება (prime working age). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რეალობაში ყველაზე ინოვაციური საბანკო, საფინანსო და სადაზღვევო სექტორია, რომელიც ახალგაზრდა სამუშაო ძალით (18-34) არის წარმოდგენილი. თუმცა, მისი დარგობრივი წილი ქვეყნის მშპ-ს წარმოებაში ასევე დაბალია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016). ევროსტატის 2015 წლის მონაცემებით კი, შრომის პროდუქტიულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლი სწორედ საფინანსო-სადაზღვევო და ინფორმაცია-კომუნიკაციების საქმიანობებს აქვს (Eurostat, 2017).

საერთო ჯამში, უნდა ითქვას, რომ საქართველოს დაბალპროდუქტიული შრომის ბაზარი აქვს. ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა ერთი დასაქმებულის მიერ შექმნილი მშპ-ს (აშშ დოლარში) 2016 წლის მაჩვენებელი, რომელმაც (წლიურად) 6514 დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი დაახლოებით 12-ჯერ მცირეა ევროკავშირის იმავე მაჩვენებლზე, რომელიც 77138 დოლარია (საზოგადოება და ბანკები, 2017).

შრომის პროდუქტიულობის ზრდას სამი მთავარი კომპონენტი განაპირობებს: ჩადებული ინვესტიციები, ახალი ტექნოლოგიები და ადამიანური კაპიტალი (Investopedia, Labor Productivity, n.d.). სწორედ ეს უკანასკნელი (ადამიანური კაპიტალი) ხვდება ჩვენი კვლევის მთავარ ფოკუსში. როგორც ვხედავთ, დაბალი ასაკობრივი კატეგორია და მასთან ასოცირებული განსხვავება განათლების სისტემების მიხედვით (საბჭოთა, პოსტსაბჭოთა, ბოლონია) არ წარმოადგენს ქვეყნის დონეზე შრომის პროდუქტიულობის და ეკონომიკური ზრდის კონტრიბუტორს. იგივე უნდა ითქვას ფორმალური განათლების დონეზეც, ვინაიდან გაუფასურებული საბჭოთა განათლება უფროსი ასაკის სამუშაო ძალაში, ხოლო ახალგაზრდების კოჰორტაში - თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს აცდენილი პროფესიული არჩევანი (რაც საქართველოს მთლიან საგანმანათლებლო სისტემაში პროფორიენტაციის დეფიციტური ან სუსტი პრაქტიკის გამოვლინებაა) განათლება-დასაქმებას შორის მაღალი ვერტიკალური და ჰორიზონტალური შეუსაბამობის და სტრუქტურული უმუშევრობის (განსაკუთრებით ახალგაზრდა პოპულაციაში) განმაპირობებელი ფაქტორებია, რაც, თავის მხრივ, შრომის პროდუქტიულობაზე უარყოფითად აისახება.

უმაღლესი განათლების სისტემასა და დამსაქმებელ სექტორს შორის სუსტი ინსტიტუციური თანამშრომლობის თვალსაჩინო გამოხატულებაა დამსაქმებლების მხრიდან მასობრივად მოთხოვნა უმაღლესი განათლების დიპლომზე იმის მიუხედავად, თუ რეალურად რა დონის განათლებას საჭიროებს კონკრეტული სამუშაო პოზიცია და/ან რამდენად მაღალ ან

დაბალანაზღაურებადია. ზემოთქმულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ეროვნულ შრომის ბაზარზე წარმოდგენილი დასაქმებულების უმრავლესობა (58%) უმაღლესი განათლების მქონეა, ხოლო შრომის ბაზარზე დღეს არსებული ყოველთვიური ანაზღაურების საშუალო - მხოლოდ 538 ლარი (ნეტო). ეროვნულ შრომის ბაზარზე ფორმალური განათლების დონის გაუფასურების ძლიერი ტენდენცია, საშუალო ანაზღაურების დაბალი მაჩვენებელი და, ამასთან ერთად, საკანონმდებლო დონეზე დაურეგულირებელი მინიმალური ხელფასის პოლიტიკა (მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში, 2016), რაც შესაბამის საფუძველს ქმნის, რომ საქართველოში განათლების ინდივიდუალური ამონაგები საკმაოდ დაბალი დარჩეს. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ის საშუალოდ 7%-ია ფორმალური განათლების ყოველი დამატებითი წლის შემთხვევაში მაშინ, როდესაც მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელია 10%.

რაც შეეხება განათლების ამონაგების სქესის ნიშნით შეფასებას, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საქართველოში, ასევე მაღალშემოსავლიან ქვეყნებშიც (იგივე OECD-ის ქვეყნები) ქალების ფორმალური განათლების წლები უფრო მეტს ითვლის, ვიდრე კაცების. თუმცა, კაცებთან შედარებით, ქალების განათლების ეკონომიკური ამონაგები უფრო მცირეა განათლების ყველა დონეზე. მაგალითად, OECD ქვეყნებში უმაღლესი განათლების მქონე ქალების ეკონომიკური ამონაგები კაცების ამონაგების 73%-ს შეადგენს (OECD, 2016). აქვე უნდა ითქვას, რომ იგივე ტენდენცია აღინიშნება ევროკავშირის ქვეყნების შემთხვევაშიც [იხ. დიაგრამა 1.21]. გავრცელებული განმარტების თანახმად, ოჯახური ვალდებულებების გამო, ქალები ნაკლებკონკურენტულ კარიერულ გზას ირჩევენ, მეტად მოქნილ სამუშაოს ეძებენ და ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ. შესაბამისად, კაცებთან შედარებით, მათი განათლებაზე დახარჯული წლების ფინანსური სარგებელიც უფრო დაბალია, განათლების თანაბარი დონის მიუხედავად (იქვე, გვ. 122).

დიაგრამა 1.21. განათლების ამონაგების სხვაობა სქესის ნიშნით OECD-ის და EU-22 ქვეყნებში



ზოგადად, განათლების საფეხურის ზრდასთან ერთად, განათლების ამონაგების მაჩვენებლების ზრდა დაკვირვებადია OECD-ის და ევროკავშირის ქვეყნებშიც და განსაკუთრებით მაღალია უმაღლესი განათლების საფეხურზე. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე განათლების ამონაგების ინდექსი მაღალია ბაკალავრიატის ამონაგების მაჩვენებელზე. კერძოდ, განათლების ამონაგები მაგისტრატურა-დოქტორანტურის საფეხურზე ამონაგების საშუალო მაჩვენებლზე საშუალოდ 11%-ით მაღალია (იქვე, გვ. 118-119).

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში განათლებისა და დასაქმების სისტემებს შორის შესაბამისობა საკმაოდ პრობლემატური საკითხია. ამ ორ სისტემას შორის სუსტი ინსტიტუციური კავშირი და შეთანხმებული პოლიტიკის არ ქონა არის ის ერთ-ერთი საფუძველმდებარე ფაქტორი, რის გამოც ეროვნულ შრომის ბაზარზე არ იქმნება ინოვაციური სამუშაო მიმართულებები (ადეკვატური ადამიანური კაპიტალის დეფიციტის გამო), სახეზე გვაქვს დაბალანაზღაურებადი (მეორადი) შრომის ბაზარი, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს განათლების გაუფასურებას და სადაც სამუშაო ძალის განაწილება, შეიძლება ითქვას, უფრო შემთხვევითი ხასიათისაა, ვიდრე პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი.

გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ უმაღლეს განათლებასა და დასაქმებას შორის შესაბამისობის ხარისხის გაუმჯობესება ცოდნის/განათლების „მარკეტიზაციასთან" ერთმნიშვნელოვნად დაკავშირებული არ არის. აქ საუბარია ადამიანების (კურსდამთავრებულთა) დასაქმებისუნარიანობის ხარისხზე (employability), რაც არ წარმოადგენს დასაქმების (employment) ექვივალენტურ ცნებას (Knight & York, 2004). ამ თვალსაზრისით, დასაქმებისუნარიანობა (employability) მოიცავს უმაღლესი განათლების ოთხ ასპექტს:

⇒ *აკადემიური ცოდნა,* რაც გულისხმობს საგნის/დარგის თეორიულ-შინაარსობრივი ცოდნისა ხარისხს უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამისად;

⇒ *პროცედურული ცოდნა,* იგივე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები;

⇒ *ეფექტურობის/პროდუქტიულობის განცდა,* რაც გულისხმობს მიღებული ცოდნის საფუძველზე ინდივიდის თავდაჯერებულობის ხარისხს, რომ მას აქვს კომპეტენცია გარკვეულ სიტუაციებსა თუ მოვლენებზე გავლენა მოახდინოს და რიგი ცვლილებები განხორციელოს;

⇒ *მეტაკოგნიცია,* - ინდივიდის მიერ გაცნობიერება იმისა, თუ რა იცის და რისი გაკეთება შეუძლია, და ასევე, როგორ შეიძლება გაიფართოვოს ცოდნა (იქვე. გვ. 38).

შესაბამისად, სწორედ კურსდამთავრებულთა დასაქმებისუნარიანობის გაძლიერების მიზნით არის აუცილებელი განათლების პოლიტიკის შემქმნელებს, განათლების მიმწოდებლებსა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, ერთმანეთის საჭიროებების მხედველობაში მიღება და ერთმანეთის მხარდაჭერა მატერიალური თუ არამატერიალური რესურსით, რაც თავის მხრივ პოზიტიური შედეგების მომტანია მთლიანი ქვეყნის დონეზე (მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა, ინოვაციური

სამუშაო ადგილების გაჩენა და შრომის ბაზრის სტაგნაციის დაძლევა, დარგობრივი პროდუქტიულობის გაზრდა და ა.შ.).

ბიბლიოგრაფია

ბენდელიანი, ნ., ტურკი, პ., ამაშუკელი, მ., ხეჩუაშვილი, ლ. (2014). *გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. ხელმისაწვდომია: http://css.ge/files/documents/Project%20reports/Labour_discrimination_GEO.pdf

ბრეგვაძე, თ. (2013). უმაღლესი განათლება და დასაქმება. *უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით.* თბილისი: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/0B9RC0lzxlY4ZcGlONGFsUldNRjA/view

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. *კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები - საქართველო.* ხელმისაწვდომია: http://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/codebook/

ლეჟავა, დ., და ამაშუკელი, მ. (2015). *აკადემიური პროგრამების შედეგებსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: "ნეკერი."

ლეჟავა, დ., და ამაშუკელი, მ. (2016). *ბოლონიის პროცესის შეფასება საქართველოში: ძირითადი მიღწევები და გამოწვევები.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: "ნეკერი."

პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი: ISCO-08. შრომის საერთაშორისო ბიურო. http://eqe.gov.ge/res/docs/ISCO-08.pdf

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study). ხელმისაწვდომია: http://www.mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა. ხელმისაწვდომია: http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

საქართველოს შრომისა და ჯანდაცვის სამინისტრო. (2015). *შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა.* ხელმისაწვდომია http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2016 (წინასწარი).* ხელმისაწვდომია: http://geostat.ge/index.php?action=wnews_archive1&qy=1&qy1=2&lang=geo

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2016). *15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის და სქესის მიხედვით, 1998-2016.* ხელმისაწვდომია: http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

წულაძე, გ. (2013). *საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები: 2015-2300 წლები.* თბილისი: ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი.

Bache, I. (2006): 'The Europeanization of Higher Education: Markets, Politics, or Learning?' *Journal of Common Market Studies, Vol. 44, No.2, pp. 231-48.*

Beukel, E. (2001) 'Educational Policy: Institutionalization and multi-level governance', in S.S. Andersen and K.A. Eliassen (eds.) *Making Policy in Europe.* London: SAGE.

Brown, P. (2003). The Opportunity Trap: Education and Employment in a Global Economy. *European Educational Research Journal, 2*(1), 141-179.

Caucasus Research Resource Centers. (2011). An Assessment of Social Capital in Georgia. *Briefing Paper.* Retrieved from http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/CRRC_Social_Capital_Briefing_Paper.pdf

Caucasus Research Resource Center (CRRC-Georgia). *Caucasus Barometer 2013.* *R*etrieved from http://caucasusbarometer.org/ge/cb2013ge/GETJOBF/

Caucasus Research Resource Centers (CRRC-Georgia). *Caucasus Barometer Georgia 2015.* Retrieved from: http://caucasusbarometer.org/en/

Eurostat. (2010). Glossary: Unemployment. Retrieved from: http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Glossary:Unemployment

Eurostat. National Accounts and GDP. Data extracted in Sept., 2016. Retrieved from: http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/National_accounts_and_GDP#Main_GDP_aggregates

Hackman, R. J., Oldham, G. R. and Oldham, Greg R., (1976). Motivation through the Design of Work: Test of a Theory. *Organizational Behavior and Human Performance, 16, pp. 250-279.*

Hanushek, E. (2017). For Long-term Economic Development, Only Skills Matter. *IZA World of Labor. vol.343.* doi: 10.15185. Retrieved from: https://wol.iza.org/articles/for-long-term-economic-development-only-skills-matter

Hanushek, E. A., & Kimko, D. (2000). Schooling, Labor Force Quality, and the Growth of Nations. *American Economic Review, 90, (5). 1184–1208*.

Hanushek, E. A., & Woessmann, L. (2015). *The Knowledge Capital of Nations: Education and the Economics of Growth.* Cambridge, *MA: MIT Press.*

Kupets, O. (2015). Skill Mismatch and Over-education in Transition Economies, Substantial Skill Shortages Coexist with Over-education, Affecting both Young and Old Workers. *IZA World of Labor. vol. 224.* DOI: 10.15185. Retrieved from: https://wol.iza.org/articles/skill-mismatch-and-overeducation-in-transition-economies

Kupets, O. (Feb., 2015). *Education in Transition and Job Mismatch: Evidence from the Skills Survey in non-EU Transition Economies.* Kier Discussion Paper Series, Discussion paper No. 915. Kyoto: Kyoto Institute of Economic Research. Retrieved from: https://ideas.repec.org/p/kyo/wpaper/915.html

Lemieux, Thomas. (2003). *The "Mincer Equation" Thirty Years after Schooling, Experience, and Earning.* Working paper No.62. Center for Labor Economics. Berkeley: University of California.

Mincer, J. (1974). *Schooling, Experience, and Earnings*, New York: Columbia University Press

Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). (2014). *Education at a Glance 2014: OECD Indicators*. OECD Publishing, Paris. DOI: http://dx.doi.org/10.1787/eag-2014-en

Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). (2016). *Education at a Glance 2016: OECD Indicators*, OECD Publishing, Paris. DOI: http://dx.doi.org/10.1787/eag-2016-en

Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). (2001). *Glossary of statistical terms: Unemployment.* Retrieved from: https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=2791

Rutkowski, J.J. (2013). *Georgia Skills Mismatch and Unemployment Labor Market Challenges.* Report No. 72824- GE. Human Development Sector Unit. Europe and Central Asia Region, South Caucasus Country Department, The World Bank.

Stiwne, Elinor Edvardsson, Alves, Mariana Gaio. (2010). Higher Education and Employability of Graduates: Will Bologna Make a Difference? *European Educational Research Journal, Vol. 9. Issue 1. pp. 32-44.*

World Bank, Central Microdata Catalogue. (2014). *Step Skills Measurement Household Survey 2013 (Wave 2).* Retrieved from: http://microdata.worldbank.org/index.php/catalog/2013/study-description

World Bank. (2013). *Georgia: Skills Mismatch and Unemployment, Labor Market Challenges.* Washington, DC: World Bank. Retrieved from: https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/15985

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

I სემესტრის დოქტორანტი

ლევან კახიშვილი

სადოქტორო სემინარი

„დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში: როგორ აიხსნება ქართული დემოკრატია?“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კორნელი კაკაჩია

თბილისი 2018

სარჩევი

შესავალი **3**
როგორ წარმოიშობა დემოკრატია პოსტკომუნისტურ რეჟიმებში? **4**
დემოკრატიზაცია დემოკრატებისა და კონსენსუსის გარეშე **9**
საზოგადოებრივი კონსენსუსი **10**
დემორკატები და კონსენსუსი პოლიტიკურ ელიტაში **13**
გაურკვევლობის პრინციპი და კონფლიქტის ბუნება პოლიტიკურ აქტორებს შორის **18**
გაურკვევლობის ხარისხი **18**
პოლიტიკური კონფლიქტის ბუნება **20**
გარე ფაქტორები და ქართული დემოკრატია: ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკა **23**
ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი სარგებლის გარეშე **24**
დასკვნა **26**
ბიბლიოგრაფია **29**

შესავალი

დემოკრატია, შესაძლოა, სხვადასხვა პირობებში გაჩნდეს. დემოკრატიის მკვლევარების დემოკრატიის გენეზისისთვის აუცილებელი და საკმარისი პირობების შესახებ ვერ თანხმდებიან და სხვადასხვა ბანაკებში ნაწილდებიან. დემოკრატიის შესწავლის კლასიკური მიდგომები, შეიძლება, დაიყოს სამ ძირითად ნაწილად, როგორც ამას რასტოუ (Rustow, 1970) აკეთებს თავის კლასიკურ ნაშრომში, სადაც დემორკატიზაციის დინამიურ მოდელს ავითარებს.

ავტორების პირველი ბანაკი, რასტოუს (Rustow, 1970) მიხედვით, აერთიანებს მკვლევართა იმ ჯგუფს, რომლებიც ემხრობიან მოდერნიზაციის თეორიას და ამტკიცებენ, რომ დემოკრატიის წარმოშობისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური წინაპირობები, მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე განაწილებული მთლიანი შიდა პროდუქტის მაღალი მაჩვენებელი, წერა-კითხვის ცოდნის მაღალი დონე საზოგადოებაში ან მოსახლეობის ურბანიზაციის მაღალი ხარისხი. ამ ბანაკში ერთიანდებიან ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ლიპსეტი (Lipset, 1959), ქათრაითი (Cutright, 1963) და სხვები.

მეორე ბანაკში გვხვდებიან ისეთი ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დემოკრატიის ახსნა შესაძლებელია კონკრეტული რწმენა-წარმოდგენებითა თუ ფსიქოლოგიური დამოკიდებულებით, რაც ფართოდ უნდა იყოს გავრცელებული საზოგადოებაში. ამგვარ ახსნას, რომელსაც, შესაძლოა, კონსენსუსის ჰიპოთეზა ეწოდოს, ემხრობა ბარკერი (Barker, 1942), რომელიც ამტკიცებს, რომ კონსენსუსი აუცილებელია, როგორც დემორკატიის საძირკველი და მას შეიძლება, ჰქონდეს ან საერთო რწმენის სახე გარკვეული ფუნდამენტური საკითხების გარშემო ან პროცედურული კონსენსუსის სახე, რომელიც არსებობს თამაშის წესების შესახებ და რომელსაც ბარკერი (1942) უწოდებს "შეთანხმებას განსხვავებულობის თაობაზე". თავის მხრივ, ლერნერი (Lerner, 1958) აქცენტს აკეთებს ემპათიის უნარსა და მონაწილეობის სურვილზე, ხოლო ალმონდისა და ვერბას (Almond and Verba, 1963) შესწავლის საგანს პოლიტიკური კულტურა წარმოადგენს.

ბოლოს, მესამე ბანაკში გავრცელებულია ისეთი ტიპის ახსნა, რომელიც სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების მახასიათებლების მეშვეობით განმარტავს დემორკატიის წარმოშობას. ისეთი ავტორები, როგორებიც არის შატშნაიდერი (Schattschneider, 1960), კრიკი (Crick, 1962c), დარენდორფი (Dahrendorf, 1959), ლეიპჰარტი (Ljiphart, 1968) და სხვები. ამ კატეგორიის ავტორები ამტკიცებენ, რომ კონფლიქტი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია დემოკრატიის წარმოშობისთვის, ვიდრე კონსენსუსი. ამ შემთხვევაში წორედ კონფლიქტების მოგვარებისა და კონსენსუსის მიღწევის საშუალებად არის დასახული დემოკრატია და დემოკრატიული მმართველობის წესები. აქედან გამომდინარე, თუ საზოგადოებაში არ არსებობს კონფლიქტი, დემორკატიის საჭიროებაც არ ჩნდება.

ეს სამი ჰიპოთეზა დემოკრატიის წარმოშობის მიზეზების შესახებ გარკვეულწილად შეიძლება, რომ გაერთიანდეს კიდეც, თუ მათ დაშვებებს სიფრთხილით მოვეკიდებით, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს აუცილებლობას არ წარმოადგენს. მეტიც, შედარებით უფრო თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პსოტკომუნისტური რეჟიმების ავტორიტარული სისტემიდან დემორკატიულ სისტემაზე ტრანზიციას სწავლობს, ცოტაოდენი მოდიფიკაციით გვთავაზობს ალტერნატიული ცნებების წყებას დემორკატიზაციის წარმოშობის შესწავლისას.

როგორ წარმოიშობა დემოკრატია პოსტკომუნისტურ რეჟიმებში?

პოსკომუნისტური ტრანზიციის განხილვისას პირველ რიგში ყურადსაღებია ერთი მნიშნელოვანი გარემოება. სიტყვა ტრანზიცია, რომელიც აუცილებლად მოიაზრებს თავის თავში ერთი ტიპის რეჟიმიდან, ამ შემთხვევაში ავტოკრატიიდან, მეორე ტიპის რეჟიმზე, ანუ დემორკატიაზე, გადასვლას, შესაძლოა, ზუსტად არ ასახავდეს იმ ტრანსფორმაციულ პროცესებს, რომლებიც ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებში დაიწყო მეოცე საუკუნის 90-იან წლებში. მეტიც შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ ტრანზიცია არ ყოფილა ცალსახად ერთი მიმართულების მქონე პროცესი და ხშირად შეიმჩნევა რეგიონის სახელმწიფოებში უკუპროცესებიც. შესაბამისად, შეიძლება იმის მტკიცება, რომ რეჟიმების განვიტარების

ტრაექტორიებმა სრულიად განსხვავებული ფორმები შეიძინა და თუ ზოგიერთი პოლიტიკური სისტემა დემორკატიზაციის გზაზე იდგა ან დგას, სხვებში აშკარად შესამჩნევია ავტორიტარიზმის კონსოლიდაციისკენ მიმართული ტენდენციები. ამ პროცესებს ჰეილი (Hale, 2005) რეჟიმის ცვლილების ციკლებს უწოდებს და ამტკიცებს, რომ იქიდან გამომდინარე, თუ რა მდგომარეობაა შექმნილი პოლიტიკურ სისტემაში და სრული ციკლის რომელ ფაზაში იმყოფება რეჟიმი, შესაძლოა, ნებისმიერ პოლიტიკური სისტემა გადაიხაროს ან დემოკრატიის ან კიდევ ავტოკრატიის იდეალური ტიპებისკენ და ამ ყველაფერს ჰქონდეს ციკლური ხასიათი.

მეორე მხრივ, ის ავტორები, რომლებიც უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი პოსკომუნისტური ტრანზიციის მიმართულებასთან დაკავშირებით, შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად მათი არგუმენტებისა და ჰიპოთეზების მიხედვით. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დემოკრატია დემოკრატების გარეშე შეუძლებელია. მეორე ჯგუფის ავტორები ამტკიცებენ, რომ დემოკრატების არსებობა არც აუცილებელ და არც საკმარის წინაპირობას არ წარმოადგენს დემორკატიის განვითარებისთვის და მთავარი განსმაზღვრელი ფაქტორია გაურკვევლობის პრინციპი და მოლაპარაკებების პროცესში ძალთა ბალანსი პოლიტიკურ აქტორებს შორის. ბოლოს კი მესამე ჯგუფში ერთიანდებიან ის ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დემორკატიზაციისთვის საკმარისი წინაპირობაა გარე სტიმული, რაც პირდაპირ უკავშირდება ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში. მართალია ეს სამი ჯგუფი ისე ნათლად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც კლასიკური ნაწერები დემოკრატიის კვლევებისა და მისი წარმოშობის შესახებ, მაგრამ ეს სამი კატეგორია სიმარტივითვისა და თვალსაჩინოებისთვის მაინც მნიშნელოვანია.

დემოკრატების საჭიროების ჰიპოთეზის მომხრე ავტორთა რიგს მიეკუთვნება მაკფოლი (McFaul, 2002), რომელიც ამტკიცებს, რომ გაურკვევლობის პრინციპმა არ შეასრულა დადებითი როლი პოსტკომუნისტური რეჟიმების ტრანსფორმაციის პროცესში და სასურველი შედეგის მიღწევა მხოლოდ იმ სისტემებში გახდა შესაძლებელი, რომლებშიც

იყვნენ გულწრფელი დემორკატები, რომელთა პოლიტიკურ მიზანსაც სწორედ დემორკატიის მშენებლობა წარმოადგენდა. მაკფოლის (McFaul, 2002) მიხედვით, ასეთი ქვეყნების მაგალითებია ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ხორვატია და უნგრეთი. სწორედ ამ სახელმწიფოებში ძალთა ბალანსი გადახრილი იყო ოპოზიციისკენ და მათი დემოკრატიული განწყობები გახდა გადამწყვეტი დემორკატიული რეჟიმების ჩამოყალიბებისა ამ ქვეყნებში. თუმცა აღსანიშნავია ორი ანომალია. პირველი, როდესაც ძლიერი ოპოზიცია ვერ ახერხებს სტაბილური დემოკრატიის ჩამოყალიბებას, ეს შეიძლება იყოს შიდა ტერიტორიული კონფლიქტებით გამოწვეული, მაგალითად, როგორც ეს მოხდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში, საქართველოში, სომხეთსა და ხორვატიაში (McFaul, 2002). მეორე ტიპის ანომალია, მაკფოლის (McFaul, 2002) მიხედვით, ეხება იმ მდგომარეობას, როდესაც ძლიერი ავტოკრატიული რეჟიმი მაინც ახერხებს დემოკრატიის ჩამოყალიბებას, მაგალითად, როგორც ეს მხოდა რუმინეთსა და ბულგარეთში, თუმცა ამ შემთხვევაში ეს პროცესი აიხსნება აღნიშული სახელმწიფოების გეოგრაფიული სიახლოვით დასავლეთ ევროპულ დემოკრატიებთან (გეოგრაფიული სიახლოვის მნიშნელობის შესახებ რეჟიმის ცვლილების ტრაექტორიისთვის იხილეთ: Levitsky and Way, 2010).

მეორე ჯგუფის ავტორებს მიეკუთვნება ფრაი (Frye, 1997), რომელიც ამტკიცებს, რომ საწყისი მდგომარეობა რეჟიმის ცვლილების მომენტში გადამწყვეტ მნიშვნელობას თამაშობს იმასთან მიმართებაში, თუ რა ტიპის ინსტიტუციურ მოწყობას აირჩევს ესა თუ ის საზოგადოება. შესაბამისად, თუ საწყისი მდგომარეობის დროს ერთმანეთთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის არსებობს მეტნაკლები ბალანსი ძალაუფლების გადანაწილების თვალსაზრისით და არც ერთ მხარეს არ გააჩნია უპირატესობა მოლაპარაკებების მაგიდასთან, დაპირისპირებული მხარეები ბუნებრივად შეჯერდებიან თამაშის დემოკრატიულ წესებზე და შეიმუშავებენ საპარლამენტო კონსტიტუციას, რადგან ამგვარად შესაძლებელია ძალაუფლების ხელში ჩაგდების საკუთარი შანსების მაქსიმიზაცია (Frye, 1997). იმის გამო, რომ ამ მდგომარეობაში ხდება საპარლამენტო პოლიტიკური სისტემის არჩევა, რომელიც, თავის მხრივ, ფიშის (Fish, 2006) მიხედვით, ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას, რადგან საკანონმდებლო ორგანოს

ძალაუფლება პირდაპირ კორელაციაშია დემოკრატიზაციის ხარისხთან, საბოლოოდ ხდება დემორკატიის წარმოშობა და განვითარება. თუმცა ამ მიდგომის ერთ-ერთი ნაკლი ის გახლავთ, რომ დემოკრატიის მკვლევარები არ არიან შეთანხმებულნი იმასთან დაკავშირებით, რომ საპარლამენტო მმართველობა უფრო მეტად უწყობს ხელს დემოკრატიის განვითარებას, ვიდრე საპრეზიდენტო (ამ საკითხის შესახებ დებატებისათვის იხილეთ: Linz, 1990 და Horowitz, 1990).

ბოლოს, მესამე ჯგუფის ავტორებში ერთიანდებიან შიმელფენიგი და სედელმაიერი (Schimmelfennig and Sedelmeier, 2004), სასე (Sasse, 2008) და სხვები. ამ ავტორების ჰიპოთეზას წარმოადგენს ის, რომ დემოკრატიზაციის პროცესის მამოძრავებელი ძალაა საგარეო დახმარება და წესებისა და ნორმების ექსპორტი ევროკავშირის მიერ. ერთი მხრივ სახეზეა ევროკავშირის მეირ წარმოებული პირობითობის პოლიტიკა, ხოლო, მეორე მხრივ, სამიზნე სახელმწიფოების გადაწყვეტილება, რომ მოახდინონ აღნიშული წესებისა და ნორმების იმპორტი. ის, თუ როგორ მუშაობს, მთელი ეს პროცესი, სამი სხვადასხვა გზით შეიძლება, აიხსნას. პირველი ახსნა არის რაციონალური არჩევანის თეორია. მეორე უკავშირდება სოციალურ კონსტრუქტივიზმსა და სოციალიზაციის მოდელს. მესამე ჰიპოთეზა ეხება საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მოდელს. ეს სამი მოდელი ერთმანეთს არ გამორიცხავს, თუმცა პირველი ორი ყველაზე პოპულარულ მიდგომებად მიიჩნევა ლიტერატურაში. თუმცა აუცილებელია, აღინიშნოს რამდენიმე გარემოება, რომლის გათვალისწინებაც არის საჭირო. იმისათვის, რომ რაციონალური არჩევანის მოდელმა იმუშავოს, ოთხი რამ უნდა იყოს ნათელი: გასაგებად უნდა იყოს განსაზღვრული პირობები, ჯილდოს ანუ სარგებლის ზომა და მისი მიღების სისწრაფე უნდა იყოს მაღალი, სარგებლის სანდოობა უნდა იყოს მაღალი და, საბოლოოდ, პირობების შესრულების დანახარჯი უნდა იყოს დაბალი. თუ ეს კრიტერიუმები დაკმაყოფილებული არ არის, მაშინ პირობითობის პოლიტიკა წარმატებით ვერ იმუშავებს (Schimmelfennig and Sedelmeier, 2004). მეორე მხრივ, სოციალიზაციის პროცესი გულისხმობს, რომ სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდება ევროკავშირიდან წესებისა და ნორმების იმპორტს, თუ მოხდება მისი დარწმუნება, რომ ეს წესები სასარგებლოა სახელმწიფოს მიზნებისთვისა და პრობლემების მოგვარებისთვის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამი ძირითადი ფაქტორი:

ლეგიტიმაცია, იდენტობა და რეზონანსი (Schimmelfennig and Sedelmeier, 2004). სახელმწიფოები, უფრო კონკრეტულად, კი გადაწყვეტილების მიმღები პირები სოციალიზაციის პროცესში იზიარებენ იდენტობასა და ფასეულობებს, ამასთან ევროინტეგრაცია რეზონირებს საზოგადოებაში და ლეგიტიმაციას სძენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

მოცემული სამი ჰიპოთეზა, რა თქმა უნდა, ეხმიანება კლასიკურ ნაწერებს და ნაწილობრივ გდაფარავს, კიდეც, მაგალითად კონსენსუსისა და დემოკრატების პრინციპები მეტა მსგავსია ერთმანეთთან ისევე, როგორც გაურკვევლობის პრინციპი და კონფლიქტის საჭიროება დემორკატიის წარმოშობისთვის. თუმცა ზემოთ მოცემული დისკუსია არ მოიცავს ლიტერატურას დემოკრატიული დიფუზიისა და იმიტაციის ანუ მოდულარული ფენომენების სესახებ, რადგან ეს ლიტერატურა უფრო გვიანდელ ცვლილებებს, ფერად რევოლუციებს ეხება, თუმცა ამ შემთხვევაშიც ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ბუნსი, მაკფოლი და სტონერ-ვაისი (Bunce, McFaul and Stoner-Weiss, 2010), ბუნსი და ვოლჩიკი (Bunce and Wolchik, 2006) ან ბისინჯერი (Beissinger, 2007), ნაწილობრივ გადაფარავენ გარე აქტორების გავლენას, დემოკრატიის მხარდაჭერის კუთხით და დემოკრატების საჭიროებას იმიტაციური, შეგნებული გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებაზე ორიენტაციით დემორკატიული დიფუზიის პროცესის დროს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესის ანალიზი შესაძლებელია სწორედ პოსტკომუნისტური რეჟიმებისთვის შემუშავებული თეორიული პრინციპების კალსიკურ ლიტერატურასთან შერწყმით. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ არსებობდეს სამი ჰიპოთეზა:

- საქართველოში დემოკრატიზაცია განპირობებულია დემოკრატებისა და კონსენსუსის არსებობით საზოგადოებაში დემორკატიისა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების შესახებ;
- საქართველოში დემორკატიზაცია განპირობებულია კონფლიქტისა და გაურკვევლობის პრინციპიდან გამომდინარე, რადგან პოლიტიკურ აქტორებს შორის ძალაუფლების გადანაწილება დაბალანსებულია;

- საქართველოში დემოკრატიზაიცია განპირობებულია გარე სტიმულებითა და ევროკავშირის მიერ წარმოებული პირობითობის პოლიტიკიდან გამომდინარე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რომელი ჰიპოთეზის მეშვეობით არის შესაძლებელი საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესის ახსნა. მომდევნო სექციებში სამივე ჰიპოთეზა ცალ-ცალკეა განხილული და თითოეული მათგანისთვის გამოყენებულია არა მხოლოდ საქართველოზე არსებული სამეცნიერო და ანალიტიკური ლიტერატურა, არამედ ასევე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები და პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები.

დემოკრატიზაცია დემოკრატებისა და კონსენსუსის გარეშე

პირველ ჰიპოთეზაში მოცემულია ორი ცვლადი: კონსენსუსი და დემოკრატები. დემოკრატების არსებობა შეიძლება შეფასდეს იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლიბერალურ-დემორკატიული ფასეულობების პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში. მეორე მხრივ, კონსენსუსი შეიძლება არსებობდეს როგორც პოლიტიკურ ელიტაში, ასევე საზოგადოებაშიც. შესაბამსიად, მნიშვნელოვანია იმის შეფასება თუ რამდენად უჭერს მხარს ქართული საზოგადოება დემორკატიული მმართვლეობის პრინციპებს და რამდენად თანხმდებიან პოლიტიკური პარტიები ლიბერალურ0დმეოკრატიული ღირებულებების მხარდაჭრის დროს - რამდენად ხდება ერთსა და იმავე ღირებულებებზე აქცენტირება. ამ მიზნით ანალიზისთვის შეირჩა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ხუთი პოლიტიკური პარტია, რომლებმაც მოიპოვეს მინიმუმ ერთპროცენტიანი მხარდაჭერა არჩევნებში. ეს ხუთი პარტიაა: ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი, ლეიბორისტული პარტია, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ შერჩევას აქვს სამი მნიშვნელოვანი შეზღუდვა. პირველი, პარტიების ეს სია არ მოიცავს ახალ პოლიტიკურ პარტია ევროპულ საქართველოს, რადგან 2016 წელს

მისი წევრები ჯერ კდიევ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ და მხოლოდ არჩევნების შემდგომ პერიოდში მოხდა მათი გამოყოფა შიდა უთახნმოების შედეგად. შესაბამისად, ევროპულ საქართველოს ჯერ პრაქტიკაში არ ჰქონია ეროვნული არჩევნებისთვის წინასაარჩევნო პროგრამის შემუშავება. სწორედ იმავე მიზეზით ვერ მოხერხდა შენების მოძრაობის ანალიზი, რადგან ამ შემთხვევაში რესპუბლიკური პარტიის გაყოფასთან გვაქვს საქმე. მეორე შეზღუდვა ეხება იმ გარემოებას, რომ შერჩევაში ვერ მოხვდა პარტია თავისუფალი დემოკრატები, რადგან მათი ლიდერის, ირაკლი ალასანიას პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ პარტიის მნიშნელობა დაკნინდა და მან 2017 წელს გამართულ ადგილობრივ არჩევნებშიც კი არ მიიღო მონაწილეობა. ბოლოს, მესამე შეზღუდვა უკავშირდება იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკური პარტია ვერ ხვდება შერჩევაში, რადგან მატ 2017 წლის ანუ ბოლო არჩევნებზე ვერ მოაგროვეს ხმების მინიმალური ერთპროცენტიანი წილი საქარტველოს მასშტაბით. რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს და კონსენსუსს საზოაგდოებაში, მისი გაზომვა ხდება წარმომადგენლობითი გამოკითხვების მეშვეობით, რომელსაც ატარებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).

საზოგადოებრივი კონსენსუსი

კავკასიის ბარომეტრის გამოკითხვაში რესპონდენტებს ჰკითხეს, რომელი დებულება იყო მათთვის უფრო მეტად მისაღები: დემორკატია არის უკეთესი, ვიდრე ნებისმიერი სხვა მმართველობის ფორმა; თუ ჩემნაირი ადამიანისთვის ამას მნიშნელობა არ აქვს (The Caucasus Research Resource Centers, 2015a). მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიზაციის პროცესში დემოკრატია უნდა იყოს სულ უფრო და უფრო მეტად სასურველი მმართველობის ფორმა, საზოგადოებრივი აზრის ტენდენცია საწინააღმდეგოზე მეტყველებს (იხილეთ ნახ. 1).



ნახ. 1: საზოგადოების დამოკიდებულება დემოკრატიის მიმართ (The Caucasus Research Resource Centers, 2015d).

2015 წელს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ დემოკრატია არ არის უპირობოდ უპირატესი სხვა მმართველობის ფორმებთან მიმართებაში (The Caucasus Research Resource Centers, 2015a). მხარდაჭერა დემორკატიისადმი 2015 წელს 47 პროცენტი იყო, რაც 2012 წელთან შედარებით, როდესაც მხარდაჭერა პიკს აღწევდა, 21 პროცენტით უფრო დაბალია (The Caucasus Research Resource Centers, 2015d). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი კონსენსუსი დემოკრატიის გარშემო, მინიმუმ მყიფეა და მაქსიმუმ არ არსებობს.

მეტიც, კიდევ ერთი მნიშნელოვანი ტენდენცია არის ის, რომ საზოგადოება ხშირად არასწორად აღიქვამს მთავრობის როლს. 2015 წელს მოსახლეობის 48 პროცენტი მიიჩნევდა, რომ ხალხი არის ბავშვივით და მთავრობამ უნდა იზრუნოს ხალხზე, როგორც მშობელმა,

მაშინ როდესაც 41 პროცენტი ფიქრობდა, რომ მთავრობა არის, როგროც დაქირავებული მუშაკი და ხალხმა უნდა აკონტროლოს ის (იხილეთ ნახ. 2) (The Caucasus Research Resource Centers, 2015a).



ნახ. 2: საზოგადოების დამოკიდებულება მთავრობისა და მისი როლის მიმართ

2008 წლიდან მოყოლებული სულ შვიდ სხვადასხვა გამოკითხვაში მოხვდა აღნიშნული შეკითხვა და მხოლოდ ორ შემთხვევაში იყო მთავრობის როლი აღქმული უფრო მეტად, როგორც დაქირავებული მუშაკი, ვიდრე მშობელი: 2013 წელს - 48 პროცენტი და 2008 წელს 52 პროცენტი (The Caucasus Research Resource Centers, 2015d). ეს მონაცემები იმის მაჩვენებელია, რომ მთავრობის, როგორც მშობლის აღქმა საზოგადოებაში საკმარისად მყარად არის გამჯდარი იმისათვის, რომ საზოგადოებრივი კონსენსუსის ჩამოყალიბებას დემორკატიული მმართველობისა და ლიბერალურ-დემორკატიული ღირებულებების შესახებ ხელი შეუშალოს.

დემორკატები და კონსენსუსი პოლიტიკურ ელიტაში

პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები საშუალებას იძლევა, რომ შეფასდეს ის თუ რამდენად ხდება ფოკუსირება დემოკრატიულ ღირებულებებზე და რამდენად არის ეს ღირებულებები გაზიარებული მათ შორის. რა თქმა უნდა, ამ მიდგომას გააჩნია შეზღუდვები, რადგან პროგრამა ორიენტირებულია ხმების მოზიდვაზე და არა აუცილებლად სრული სიზუსტით პარტიის შეხედულებების გადმოცემაზე, მაგრამ ეს ცდომილება შეიძლება უგულებელყოფილი იქნას, რადგან სწორედ პროგრამებისა და საარჩევნო კამპანიის დროს ახერხებენ პარტიები ამომრჩევლების აზრის მობილიზებას და მათ ღირებულებებზე გავლენის მოხდენას. ამიტომ პროგრამები მაინც მნიშნელოვან წყაროდ რჩება.

პარტიულ პროგრამებში არსებული ღირებულებები და დაპირებები, რაც შეიძლება, რომ უკავშირდებოდეს დემოკრატიას, შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს (იხილეთ ცხრილი 1). პირველი კატეგორია ეხება ადამინის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს. მეორე კატეგორია მოიცავს ისეთ ფასეულობებს, რომლებიც უკავშირდება ანგარიშვალდებულებას. მესამე კატეგორია კი მოიაზრებს ისეთ დაპირებებს, რომლებიც უკავშირდება პოლიტიკურ სისტემასა და ინსტიტუტებს.

აღნიშნული მონაცემების ანალიზის შედეგად ორი ძირიტად კანონზომიერება შეიმჩნევა. პირველი, ქართულ პოლიტიკურ აპრტიებს შორის არ არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ლიბერალურ-დემორკატიული ღირებულებებია ყველაზე მნიშნელოვანი ქართული პოლიტიკური რეალობისთვის. მეორე, შეიმჩნევა განსხვავებები დიდ და მცირე ზომის პარტიებს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ რა პრობლემებია ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული დემოკრატიისთვის და რა საკითხებისა თუ გარემოებების გაუმჯობესება არის საჭირო.

#	წინასაარჩევნო დაპირებები	პოლიტიკური პარტიები				
		ქო[1]	ენმ[2]	სპა[3]	ლპ[4]	დმეს[5]
1	ადამიანის უფლებები					
1.1	თანასწორობა, სამოქალაქო ჩართულობა და სოციალური სამართლიანობა (ქალები, ბავშვები, უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები)	✓	✓	×	✓	✓
1.2	სისხლის სამართლის პოლიტიკა / სამართლიანობის აღდგენა	✓	✓	×	×	✓
1.3	კანონის უზენაესობა და სასჯელაღსრულება	✓	✓	×	×	×
1.4	საკუთრების უფლება	✓	×	×	×	×
1.5	სიტყვის, გამოხატვისა და მედიის თავისუფლება	✓	×	×	×	×
1.6	შეკრების თავისუფლება	✓	×	×	×	×
1.7	პირადი მონაცემების დაცულობა და პირადი ცხოვრების უფლება	✓	×	×	×	×

[1] ქართული ოცნება
[2] ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
[3] საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
[4] ლეიბორისტული პარტია
[5] დემორკატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო

1.8	ტრეფიკინგთან ბრძოლა	✓	×	×	×	×
2	**ანგარიშვალდებულება**					
2.1	პოლიტიკური ანგარიშვალდებულება	×	×	✓	✓	×
2.2	ფინანსური ანგარიშვალდებულება	×	×	✓	✓	×
2.3	საჯარო მოხელეების საზოგადოებისადმი რეაგირების ხელშეწყობა	×	×	×	✓	×
2.4	სამოქალაქო საზოგადოების განვითარება	✓	×	×	×	×
2.5	ხალხის მმართველობა, ძალაუფლება ხალხს	×	×	✓	✓	×
2.6	ოლიგარქიის აღმოფხვრა	×	×	×	✓	×
3	**პოლიტიკური სისტემა და ინსტიტუტები**					
3.1	ძალაუფლების განაწილება, სასამართლო ხელისუფლება	✓	✓	×	×	✓
3.2	პროკურატურა	✓	✓	×	×	×
3.3	შსს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	✓	×	×	×	×
3.4	სახალხო დამცველი	✓	×	×	×	×
3.5	ადგილობრივი თვითმმართველობა	✓	×	×	×	×

3.6	საჯარო რეესტრი	✓	×	×	×	×
3.7	პოლიტიკური სისტემა	✓	×	×	✓	×
3.8	საარჩევნო სისტემა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები	✓	×	×	✓	×

ცხრილი 1: ლიბერალურ-დემორკატიული ღირებულებები წინასაარჩევნო პროგრამებში

ზემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ხუთი პოლიტიკური პარტიის 22 სხვადასხვა პრიორიტეტი და საარჩევნო დაპირება, რომელიც დაკავშირებულია დემორკატიასთან, თუმცა 12 მათგანი მხოლოდ ერთი პარტიის პროგრამაში გვხვდება. ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც წესი, პოლიტიკური პარტიები სხვადასხვანაირად აღიქვამენ იმას, თუ რა უნდა იყოს ქართული დემორკატიისთვის პრიორიტეტული. მეორე მხრივ, არც ერთი მოცემული დაპირება არ არის გაზიარებული ხუთივე პოლიტიკური პარტიის მიერ. მეტიც, მხოლოდ ერთ პრიორიტეტს: თანასწორობა, სამოქალაქო ჩართულობა და სოციალური სამართლიანობა (ქალები, ბავშვები, უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები) - გააჩნია ოთხი პარტიის მხარდაჭერა. სამი პარტიის მხარდაჭერა კი გააჩნია მხოლოდ ორ პრიორიტეტს: სისხლის სამართლის პოლიტიკა / სამართლიანობის აღდგენა და ძალაუფლების განაწილება, სასამართლო ხელისუფლება.

ამ ყველაფერთან ერთად, შეიმჩნევა განსხვავებები პატარა და დიდ პარტიებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნება ერთადერთი პარტიაა, რომელიც ცხრილში მოცემული დაპირებების უმრავლესობას იზიარებს, საყურადღებოა, რომ ქართული ოცნების პროგრამა, თითქმის, უგულებელყოფს ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქართული ოცნების მსგავსად, ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა არ წარმოადგენს პრიორიტეტს არც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის

წინასაარჩევნო პროგრამაში. თავის მხრივ, პატრიოტთა ალიანსის და ლეიბორისტული პარტიის დაპირებები, თითქმის ექსკლუზიურად არის ფოკუსირებული ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს, ალბათ, იმით შეიძლება, აიხსნას, რომ უფრო დიდი ზომის პარტიებს არჩევნებში გამარჯვებისა და ძალაუფლების მოპოვების უფრო მეტი შანსი აქვთ, შესაბამისად, ისინი დაინტერესებულნი არ არიან ანგარიშვალდებულებით და დაუბალანსებელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურთ. შესაბამისად, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ ეს პარტიები არ არიან სრულად დაინტერესებულნი უშუალოდ დემორკატიით.

საბოლოოდ, აღნიშნული ორი კანონზომიერებიდან გამომდინარე მარტივია იმის თქმა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები საუბრობენ დემოკრატიაზე (თუმცა აღსანიშნავია, რომ პატრიოტთა ალიანსი მხოლოდ ერთხელ ახსენებს სისტყვა „დემოკრატიას“ მთელს პროგრამაში), შეიმჩნევა კონსენსუსის ნაკლებობა პოლიტიკურ აქტორებს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის დემორკატია და როგორ უნდა მუშაობდეს ის.

დასკვნის სახით აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართულ დემოკრატიას არ ჰყავს ნათლად გამოკვეთილი დემოკრატები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებოდნენ ქართული დემოკრატიის მშენებლობაზე. მეტიც, პოლიტიკურ პარტიებს შორის არ არსებობს ნათელი კონსენსუსი და საზოგადოებაც არ არის შეჯერებული დემოკრატიის მნიშნელობასა და მთავრობის როლზე მათ ცხოვრებაში. ეს ყოველივე კი მიუთითებს იმაზე, რომ, სავარაუდოდ, კონფლიქტი და გაურკვევლობა უფრო მკვეთრად არის გამოკვეთილი საქართველოს დემორკატიზაციის პროცესში.

გაურკვევლობის პრინციპი და კონფლიქტის ბუნება პოლიტიკურ აქტორებს შორის

გაურკვევლობის ხარისხის დადგენა და იმის განსაზღვრა, თუ რომელი პოლიტიკური აქტორი უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობს მოცემულ მომენტში, არ არის მარტივი ამოცანა. თუმცა წინამდებარე ნაშრომში გაურკვევლობის ხარისხის შესაფასებლად გამოყენებულია პედერსენის ინდექსი (იხილეთ: Pedersen, 1979). პედერსენის იდნექსი, როგორც წესი, ამომრჩევლის მერყეობის შესაფასებლად გამოიყენება, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ამომრჩევლის მერყეობის მაღალი ხარისხი, სწორედაც რომ გაურკვევლობის საწინდარია, ხოლო მერყეობის დაბალი ხარისხი გულისხმობს ერთი და იმავე პოლიტიკური ძალისადმი გამოცხადებულ განმეორებით მხარდაჭერას. შესაბამისად, თუ საქართველოში პედერსენის ინდექსი მაღალი, შეიძლება ითქვას, რომ გაურკვევლობის დონეც მაღალია. რაც შეეხება კონფლიქტის ბუნებას, ის შეიძლება, იყოს პიროვნული, რომელიც ეგოსა და ძალაუფლებას ეფუძნება, ან კიდევ - იდეოლოგიური, რომელიც პარტიების იდეოლოგიებს ეფუძნება. სწორედ იდეოლოგიურ კონფლიქტს მივყავართ დემორკატიზაციისათვის საჭირო გარემოებების შექმნამდე, მაშინ როდესაც პიროვნულ კონფლიქტს შეუძლია ამ პროცესისთვის ზიანის მოტანა. კონფლიქტის ბუნება შეფასდება პარტიების წინასაარჩევნო პროგრამაში მათი იდეოლოგიური პოზიციების მიხედვით.

გაურკვევლობის ხარისხი

პედერსენის ინდექსი, როგორც უკვე აღინიშნა ამომრჩევლის მერყეობას აფასებს და ზომავს იმ ამომრჩევლების პროცენტულ წილს, რომელმაც არჩევნებიდან არჩევნებამდე პოზიცია შეიცვალა და სხვა პოლიტიკურ ძალას დაუჭირა მხარი. სილაგაძის (2017) მიხედვით, რომელმაც შეისწავლა საქართველოში ჩატარებული ყველა არჩევნები 1992 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, პედერსენის ინდექსი საქართველოში საგრძნობლად მაღალია (იხილეთ ნახ. 3).



ნახ. 3: პედერსენის ინდექსი საქართველოში (სილაგაძე, 2017).

მოცემული დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ პედერსენის ინდექსის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც გაურკვევლობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. ინდექსის საშუალო მაჩვენებლი ექვსი საპარლამენტო არჩევნების შედეგად 51 პროცენტს შეადგენს, რაც იმას ნიშავს, რომ ნახევარზე მეტი ამომრჩეველი, საშუალოდ, ორ თანმიმდევრულ არჩევნებში სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას აძლევდა ხმას. თუმცა მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები მაინც სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული, რადგან არჩევნებიდან არჩევნებამდე ქართული პოლიტიკური ლანდშაფტი ხშირად იცვლებოდა. ამ ფენომენს ნოდია და სქოლტბახი (Nodia and Scholtbach, 2006) ქართული პარტიების სიკვდილიანობის მაღალ ხარისხს უწოდებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ პარტიის ლიდერის პოპულარობის შემცირების შემდეგ, როგორც წესი, ქართული პარტიები უჩინარდებოდნენ პოლიტიკური ასპარეზიდან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის 2004 და 2008 წლებში გაურკვევლობის დონე სულაც არ იყო მაღალი.

მეორე მხრივ, პედერსენის ინდექსი იმდენად მაღალ რიცხვობრივ მნიშვნელობას იძენს, რომ მისი იგნორირება არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

პოლიტიკური კონფლიქტის ბუნება

პოლიტიკური კონფლიქტის ბუნების განხილვისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი არის ის, თუ როგორ განლაგდებიან ისინი მემარცხენე-მემარჯვენე ღერძზე. ნაშრომში განხილული ხუთი პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა ამ შემთხვევაშიც აქტუალურია. პროგრამების კონტენტ ანალიზის შედეგად შესწავლილ იქნა ისეთი თემები, როგორიცაა: ეკონომიკური საკითხები (დასაქმება, სიღარიბე, მზარდი ფასები და ინფლაცია და ხელფასები) და სოციალური საკთხები (პენსიები, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა და განათლება). ამ თემებზე ყურადღების გამახვილება განპირობებულია ორი ფაქტორით. პირველი არის ის, რომ სწორედ ამ საკითხებზე პოზიციების დაფიქსირებისას პოლიტიკური პარტიები ამჟღავნებენ საკუთარ იდეოლოგიურ შეხედულებებს. მეორე კი გახლავთ ის, რომ ეს საკითხები ყველაზე მეტად აწუხებს ამომრჩეველს საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით (იხილეთ: The Caucasus Research Resource Centers, 2015c; 2016a და 2016b).

პარტიების დასახელებებსა და მათი წარმომადგენლების საჯარო გამოსვლებზე დაყრდნობით, შეიძლება, დავასკვნათ, რომ ხუთი პარტიიდან ორი მემარცხენე იდეოლოგიისკენ იხრება - ქართული ოცნება (ქო) და ლეიბორისტული პარტია (ლპ); სამი პარტია კი მემარჯვენე იდეოლოგიისკენ - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ენმ), საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (სპა) და დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო (დმეს). ხუთიდან მხოლოდ ორი პროგრამა შეესაბამება პარტიების მიერ დეკლარირებულ იდეოლოგიებს (იხილეთ ცხრილი 2), თუმცა საინტერესო ის არის, რომ ორივე მათგანი მემარცხენე პარტიას წარმოადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2016 წლის საპარლამენტო აღცევნების დროს ხუთივე პარტიის წინასაარჩევნო დაპირებები ძირითადად მემარცხენე ხასიათის იყო.

მემარცხენე პარტიები		**ეკონომიკური საკითხები**	**მემარჯვენე პარტიები**		
ქართული ოცნება	ლეიბორისტული პარტია		ენმ	პატრიოტთა ალიანსი	დმგს
✓	✓	სამუშაო ადგილები	✓	×	×
✓	✓	სიღარიბე	×	×	N.A.
✓	✓	ინფლაცია	✓	N.A.	×
N.A.	✓	ხელფასები	×	N.A.	×
		სოციალური საკითხები			
×	✓	პენსია	×	×	×
✓	✓	ჯანდაცვა	×	×	×
✓	✓	განათლება	×	×	×

✓ – პარტიის პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით შეესაბამება მის მიერ დეკლარილებულ იდეოლოგიას

× – პარტიის პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არ შეესაბამება მის მიერ დეკლარილებულ იდეოლოგიას

N.A. – პროგრამაში არ არის გამოყოფილი ადგილი ან არ ეთმობა მნიშვნელოვანი ყურადღება მოცემულ საკითხს

ცხრილი 2: პარტიების პროგრამებსა და მათ მიერ დეკლარილებულ იდეოლოგიურ შეხედულებებს შორის შესაბამისობა

ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკურ პარტიებს შორის რეალური პოლიტიკური კონფლიქტი არ არსებობს და ამ კონფლიქტს მხოლოდ პერსონალური

კონფლიქტის ხასიათი აქვს. მეორე მხრივ, საქართველოს ზოგად სოციო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, პარტიები, შესაძლოა, შეგნებულად ირჩევდნენ მემარცხენე პოზიციებს. დასასრულს, არსებობს შემთხვევები, როდესაც პარტიის პოზიციები ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებთან მიმართებაში მემარცხენეს, თუმცა არაეკონომიკური და სოციალური ღირებულებები კონსერვატიულ იდეოლოგიას ეყრდნობა (მაგალითად, პატრიოტთა ალიანსის შემთხევაში, პროგრამა ხაზს უსვამს „ქართულ სულის“ მნიშნელობას, ტრადიციებს, რელიგიასა და პატრიოტიზმს). აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ წინასაარჩევნო მემარცხენე იდეოლოგიასთან ასოცირებული დაპირებები შესაძლოა უბრალოდ სიმბოლური იყოს და არანაირ რეალურ დაპირებას არ შეიცავდეს, რადგან პარტიებს ესმით, რომ ამომრჩევლებს საკუთარი ცხოვრების სტანდარტის ამაღლება მოკლე ვადაში სურთ. ამიტომაც ეს დაპირებები შესაძლოა პოპულიზმად მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაშიც პოლიტიკური კონფლიქტის ბუნება არ არის ისეთი, რომელიც ხელს შეუწყობდა დემოკრატიზაციის პროცესს.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გაურკვევლობის მაღალი დონის მიუხედავად, კითხვის ნიშნები რჩება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სრულად ასახავს პედერსენის ინდექსი მდგომარეობას იმ პირობებში, როდესაც ყოფილი მმართველი პოლიტიკური პარტიები უბრალოდ ქრებიან პოლიტიკური სცენიდან. ამასთან, პოლიტიკური კონფლიქტის ბუნებას არ გააჩნია იდეოლოგიური ხასიათი, თუმცა ლიდერების როლის გადაჭარბებით შეფასებაც არ არის სასურველი, რადგან ერთია როგორი პოპულარობით სარგებლობს ლიდერი, ხოლო მეორეა ის, თუ რამდენად გადათარგმნება ეს პოპულარობა არჩევნებში მოპოვებულ ხმებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ცვლადს შორის არ არის ნათელი კორელაცია და ხშირად პოპულარული ლიდერის პარტიები პარლამენტში ვერც კი ხვდებიან (Silagadze, 2017). შესაბამისად, მეორე ჰიპოთეზა ქართული დემოკრატიის ასახსნელად არ არის სრულად დამაჯერებელი.

გარე ფაქტორები და ქართული დემოკრატია: ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკა

ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, რომ პირობითობის პოლიტიკის მექანიზმის აღწერა სამი სხვადასხვა მოდელით არის შესაძლებელი. საქართველოსთან მიმართებაში, სავარაუდოდ, ყველაზე სასარგებლო მოდელია რაციონალური არჩევანის თეორია. ამას განაპირობებს ორი მიზეზი. პირველი, სოციალიზაცია და დასწავლის მოდელები ორივე მოითხოვს მესამე ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს, მიერ შეგნებულად მიღებულ გადაწყვეტილებას რომ წესების იმპორტირება საჭიროა იმსათვის, რომ მოგვარდეს ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური პრობლემები საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით ან კიდევ იმისათვის, რომ ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოება ღირებულებებისა და ნორმების, იდენტობის თვალსაზრისით. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ორი მოდელი გააზრებულ გადაწყვეტილებასა და შესაბამისად ფორმირებულ პოლიტიკურ დღის წესრიგს მოიაზრებს თავის თავში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამ ორი მოდელიდან რომელიმე მაინც მუშაობს საქართველოში, პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგი გაჯერებული უნდა იყოს ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებით. პირველი ჰიპოთეზის ანალიზის დროს უკვე ნათელი გახდა, რომ ეს ასე არ არის. მეორე მიზეზი, რის გამოც ამ ორი მოდელის გამორიცხვა არის საჭირო გახლავთ საზოგადოებრივი აზრი და ის მოლოდინები, რომელიც საშუალო ქართველ ამომრჩეველს გააჩნია საქართველოს ევროპეიზაციის პროცესის მიმართ. მაგალითად, გამოკითხვების მიხედვით (The Caucasus Research Resource Centers, 2015b), საზოგადოების 44 პროცენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც რეფერენდუმში ხმას მისცემდა საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში, არის საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება (იხილეთ ნახ. 4). ეს კი იმას ნიშავს, რომ არა მხოლოდ პოლიტიკური ელიტა, არამედ საზოგადოებაც კი მეტად პრაგმატულად უდგება საქართველოს ევროპეიზაციის საკითხს და კონკრეტული სარგებლის მოლოდინიდან გამომდინარე სურთ ევროკავშირში გაწევრიანება. თუმცა აქვე არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც დამღუპველია რაციონალური არჩევანი მოდელისთვის - საქართველოსთვის მთავარი სარგებელი,

რომელიც მიიჩნევა პირობითობის პოლიტიკის მთავარ გარემოებად, რომელსაც შეუძლია რეჟიმების ტრანსფორმაცია - ევროკავშირში წევრობა - განხილვის საგანს არ წარმოადგენს.



ნახ. 4: მიზეზები, რის გამოც ქართველი ამომრჩეველი მხარს უჭერს ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას (The Caucasus Research Resource Centers, 2015b)

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი სარგებლის გარეშე

ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკა უდაოდ ძლიერი ინსტრუმენტია რეჟიმების ტრანსფორმაციისთვის ბიძგის მისაცემად. თუმცა ამ პოლიტიკის მთელი არსი ის არის, რომ ტრანსფორმაციის, ანუ წესებისა და ნორმების ნებაყოფლობითი და საკმარისად სრულფასოვანი იმპორტის შემთხვევაში, მესამე სახელმწიფოს საშუალება ეძლევა, გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. საქართველოსთან მიმართებაში პირობითობის პოლიტიკის მთავარი შედეგი ამ დრომდე არის ოთხი რამ:

- ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ამოქმედება;
- უვიზო მიმოსვლის შემოღება;
- ფინანსური დახმარება, რომელსაც ევროკავშირი საქართველოს გამოუყოფს.

უვიზო მიმოსვლის შემოღების შემდეგ კი საქართველოში უფრო ხშირად, ვიდრე აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა სახელმწიფოებში დაისმის შეკითხვა, თუ რა უნდა იყოს შემდეგ. ამ კითხვაზე პასუხი და გრძელვადიანი ხედვა ჯერჯერობით არც ევროკავშირს და არც საქართველოს მთავრობას არ გააჩნია.

ამ შემთხვევაში ორ გარემოებას აქვს მნიშვნელობა. პირველი, საქართველოს მთავრობას ჯერჯერობით არ გაუკეთებია ოფიციალური განაცხადი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მიზანი ევროკავშირში გაწევრიანებაა. ქართველი პოლიტიკოსები ამ დრომდე იმით აპელირებენ, რომ საქართველო უნდა "დაუბრუნდეს ევროპულ ოჯახს", თუმცა ეს ფრაზა არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირში უკვე განიხილავენ საქართველოს გაწევრიანების საკითხს ოფიციალურ დონეზე.

მეორე გარემოება ის გახლავთ, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ არის აღიარებული, როგორც "ევროპული" სახელმწიფო. საქმე ის არის, რომ ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნის უფლება აქვს ყველა "ევროპულ" სახემლმწიფოს. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ევროგაერთიანებამ უარი განუცხადა მაროკოს წევრობაზე მხოლოდ იმ ოფიციალური მიზეზით, რომ მაროკო არ იყო "ვროპული" სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ როდესაც საქართველო აწარმოებდა ასოცირების ხელშეკრულების ტექსტის ფორმულირებაზე მოლაპარაკებებს, ოფიციალური თბილისის სურვილი იყო, რომ საქართველო მოხსენიებული ყოფილიყო ევროპულ სახელმწიფოდ, რაც მომავალში საქართველოს ევროპულობას დაადასტურებდა, თუმცა ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მხარეები შეჯერდნენ, რომ საქართველო განისაზღვრებოდა, როგორც "აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფო", რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვა "ევროპული" ფიგურირებს, მაგრამ ევროკავშირში საქართველოს პოტენციურ წევრობაზეც კი რომ არ იყოს რეზერვაციები დამატებითი ზედსართავი სახელის მითითება საჭირო აღარ იქნებოდა. შესაბამისად,

საქართველომ ოფიციალურადაც კი რომ გააკეთოს განაცხადი ევროკავშირში წევრობაზე, არის შესაძლებლობა იმისა, რომ არაევროპულობის გამო ეს განაცხადი არ იქნას დაკმაყოფილებული.

ამ ყველაფერის გარდა, რა თქმა უნდა, დამატებით ბარიერს წარმოადგენს ის, რომ ამ ორი პრობლემის რადარებიდან გაქრობის შემთხვევაშიც კი ეს პროცესი არ იქნება სწრაფი და უმტკივნეულო. შესაბამისად, მთელი ეს მსჯელობა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ ჯილდოს ანუ სარგებლის ვალიდურობასა და რელევანტურობას საქართველოს პოლიტიკური ელიტისა და მოქალაქეებისთვის, რომელიც უპირველეს ყოვლისა არავინ იცის არსებობს თუ არა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც არ უნდა მოხდეს პირობითობის პროცესის სრულად უგულებელყოფა, რადგან ზემოთჩამოთვლილი სარგებლის ოთხი ნაირსახეობა საქართველოს დაუმსახურებლად არ მიუღია. თუმცა აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ნაკლები სარგებლის მოლოდინი არსებობს, მით უფრო ექცევა დემოკრატიზაციის პროცესი ქვეყნის შიდა აქტორების სრულ განკარგულებაში (Mitchel, 2017).

დასკვნა

საქართველო საგრძნობლად უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ნებისმიერ ქვეყანა მისი ოთხი მეზობლიდან ან თუნდა ნებისმიერ პოსტსაბჭოთა სახელმწიფო ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის გამოკლებით. თუმცა ყოველთვის ასე არ ყოფილა, მეტიც, რეჟიმის ცვლილების ტრაექტორია საქართველოში არ ყოფილა სწორხაზოვანი. შესაბამისად, საინტერესოა ის, თუ რა ამოძრავებს ამ პროცესს და როგორ შეიძლება, ქართული დემოკრატიის ახსნა, თუმცა ეს მიზანი, რომელიც წინამდებარე ნაშრომს ჰქონდა დასახული არ არის მარტივი მისაღწევი. ნაშრომში მიმოხილულია სამი სხვადასხვა ჰიპოთეზა, რომელთა მეშვეობითაც, როგროც წესი, იხსნება დემოკრატიზაციის პროცესები პოსტკომუნისტურ რეჟიმებში: კონსენსუსისა და დემოკრატების ჰიპოთეზა, გაურკვევლობის პრინციპისა და

კონფლიქტების ჰიპოთეზა და გარე სტიმულების ჰიპოთეზა ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკის სახით.

როგროც მონაცემების ანალიზი აჩვენებს, ამ ჰიპოთეზებიდან სრული დამაჯერებლობით ვერც ერთი ვერ ხსნის საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესს. თუმცა განსაკუთრებულ გამოყოფას საჭიროებს გაურკვევლობის პრინციპი. როგორც ზემოთ პედერსენის ინდექსის მეშვეობით იქნა ნაჩვენები, გაურკვევლობის ხარისხი საქართველოში გამუდმებით მაღალი იყო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩატარებული ყოველი არჩევნების წინ, რაც ბუნებრივად უწყობს ხელს თამაშის დემოკრტიული წესების ჩამოყალიბებას. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარდა 2012 წელს ხელისუფლების ცვლილებისა სხვა შემთხვევებში მმართველი პოლიტიკური ძალის გაუჩინარება პოლიტიკური ასპარეზიდან გავლენას ახდენს იმ ტიპის რაოდენობრივ ანალიზზე, რომელსაც პედერსენის ინდექსი ეყრდნობა, მაგრამ არ გადმოსცემს იმ კონტექსტსს, რომელშიც ეს რიცხვები შეგროვდა. შესაბამისად, ამ ჰიპოთეზასანაც კი სიფრთხილის გამოჩენაა საჭიროა. განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც, როგროც წინასაარჩევნო პარტიული პროგრამების ანალიზის შედეგად იქნა ნაჩვენები, პოლიტიკურ პარტიებს შორის არ არსებობს რეალური პოლიტიკური კონფლიქტი, რომელსც იდეოლოგიური ხასიათი უნდა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე პერსონალიზებული და პოპულიზმზე ორიენტირებული პოლიტიკური კონფლიქტების დემორკატიზაციის პროცესთან დაკავშირება აჩქარებით არ უნდა მოხდეს.

რაც შეეხება დანარჩენ ორ ჰიპოთეზას, როგორც ანალიზმა ცხადყო, საქართველოში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც შეიძლება, მიჩნეულ იქნეს კლასიკური გაგებით დემორკატ აქტორად, რომლის თვითმიზანიც დემორკატიის მშენებლობა იქნებოდა, გარდა ამისა, ქართული საზოგადოება და არც ქართული პოლიტიკური პარტიები არ არიან შეთანხმებულნი დემოკრატიის მნიშნელობასა და ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებზე, რაც მოცემული ჰიპოთეზის ფალსიფიცირების საშუალებას იძლევა. ბოლოს კი, დემოკრატიზაცია მოტივირებული გარეგანი ფაქტორების, კერძოდ, ევროკავშირის პირობითობის პოლიტიკის შედეგად ისევე ნაკლებ სავარაუდოა, როგროც კონსენსუსის ჰიპოთეზა. მართალია, პირობითობის პოლიტიკის შედეგად საქართველომ

მოახდინა ევროკავშირში არსებული გარკვეული წესებისა და ნორმების იმპორტირება, მაგრამ ის სარგებელი, რომელსაც ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს, არ არის საკამრისი იმისათვის, რომ საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესის მამოძრავებელი ძალა გახდეს. გარდა ამისა, პირობითობის პოლიტიკის კონსტრუქტივისტული მოდელი და გაკვეთილების დასწავლის მოდელი თავიდანვე გამოირიცხა, რადგანაც გაცნობიერებულ პროაქტიულ გადაწყვეტილებებს საჭიროებს, რომლის ემპირიული მტკიცებულებაც ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არ ჩანს.

ბიბლიოგრაფია

სილაგაძე, გ. (2017). “გამმიჯნავი ხაზების პრობლემა საქართველოს პარტიულ პოლიტიკაში: მიზეზები და შედეგები”, *საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის კვლევითი დოკუმენტი*. ხელმისაწვდომია: http://gip.ge/wp-content/uploads/2017/04/კვლევით-დოკუმენტი-გივი.pdf.

Almond, G., and Verba, S. (1963). *The civic culture: Political attitudes and democracy in five nations*, Princeton University Press: Princeton.

Barker, E. (1942). *Reflections on government*, Oxford University Press: London and Oxford.

Beissinger, M. (2007). “Structure and Example in Modular Political Phenomena: The Diffusion of Bulldozer/Rose/Orange/Tulip Revolutions”, *Perspectives on Politics*, 5, 259-276.

Bunce, V. and Wolchik, S. (2006). “International diffusion and postcommunist electoral revolutions”, *Communist and Post-Communist Studies*, 39, 283-304.

Bunce, V., McFaul, M., and Stoner-Weiss, K. (2010). *Democracy and authoritarianism in the Postcommunist World,* Cambridge University Press: Cambridge.

Crick, B. (1962c). *In defence of politics*, Continuum: London and New York.

Cutright, P. (1963). "National political development: Measurement and analysis," *American Sociological Review*, 28(2), 253-264.

Dahrendorf, R. (1959). *Class and class conflict in industrial society*, Stanford University Press: Stanford.

Fish, M. S. (2006). “Stronger legislatures, stronger democracies”, *Journal of Democracy,* 17(1) 5-20.

Frye, T. (1997). “A politics of institutional choice: Post-communist presidencies”, *Comparative Political Studies*, 30(5), 523-552.

Hale, H.E. (2005). “Regime cycles: Democracy, autocracy, and revolution in post-Soviet Eurasia”, *World Politics,* 58(1), 133-165.

Horowitz, D.L. (1990). “Comparing democratic systems”, *Journal of Democracy,* 1(4). 73-79.

Lerner, D. (1958). *The passing of traditional society: modernizing Middle East*, Free Press of Glencoe: New York.

Levitsky, S., and Way, L. (2010). *Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes after the Cold War,* Cambridge University Press: Cambridge.

Lijphart, A. (1968). *The politics of accommodation: Pluralism and democracy in the Netherlands,* University of California Press: Berkeley and Los Angeles.

Linz, J. (1990). "The perils of presidentialism," *Journal of Democracy,* 1(1), 51-69.

Lipset, S.M. (1959). "Some social requisites of democracy: Economic development and political legitimacy," *American Political Science Review*, 53(1), 69-105.

McFaul, M. (2002). "The fourth wave of democracy and dictatorship: Noncooperative transitions in the postcommunist world", *World Politics,* 54, 212-44.

Mitchel, L. (2017). "Does democracy still matter in Georgia?" *Eurasian Democratic and security Network*, Policy Briefing #1. Retrieved from: http://edsn.css.ge/documents/policy_briefs/Lincoln_pb_Democracy.pdf.

Nodia, G., and Scholtbach, Á. P. (2006). *The political landscape of Georgia: political parties: achievements, challenges and prospects,* Eburon Uitgeverij BV.

Pedersen, M.N. (1979). "The Dynamics of European Party Systems: Changing Patterns of Electoral Volatility", *European Journal of Political Research*, 7(1), 1-26.

Sasse, G. (2008). "The politics of conditionality: The norm of minority protection before and after EU accession", *Journal of European Public Policy*, 15(6), 842-860.

Schattschneider, E.E. (1960). *The semi-sovereign people: A realist's view of democracy in America*, Wadsworth: New York.

Schimmelfennig, F., and Sedelmeier, U. (2004). "Governance by conditionality: EU rule transfer to the candidate countries of Central and Eastern Europe", *Journal of European Public Policy*, 11(4), 661-679.

Silagadze, G. (2017). "Can a third way movement emerge in Georgian politics?" *GIP Commentary,* Issue #15. Retrieved from: http://gip.ge/wp-content/uploads/2017/08/Commentary15-Givi-Silagadze.pdf.

The Caucasus Research Resource Centers. (2015a). "Caucasus barometer, 2015". Retrieved from: ODA - http://caucasusbarometer.org

The Caucasus Research Resource Centers. (2015b). "Knowledge and attitudes toward the EU in Georgia, 2015". Retrieved from: ODA - http://caucasusbarometer.org

The Caucasus Research Resource Centers. (2015c). “NDI: Public attitudes in Georgia, November 2015”, Retrieved from: ODA - http://caucasusbarometer.org.

The Caucasus Research Resource Centers. (2015d). "Time-series dataset". Retrieved from: ODA - http://caucasusbarometer.org

The Caucasus Research Resource Centers. (2016a). “NDI: Public attitudes in Georgia, March 2016”, Retrieved from: ODA - http://caucasusbarometer.org.

The Caucasus Research Resource Centers. (2016b). “NDI: Public attitudes in Georgia, June 2016”, Retrieved from: ODA - http://caucasusbarometer.org.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

მესამე სემესტრის დოქტორანტი

ლევან ლორთქიფანიძე

სადოქტორო სემინარი

რადიკალური მემარჯვენე პარტიების განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (2010-იანი წლების მაგალითზე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი

2018

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მემარჯვენე რადიკალური პარტიის ცნება და კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია პოლიტიკური ორგანიზაციის დასახელებულ პარტიათა ჯგუფს მიკუთვნება. ამასთანავე, ტექსტში ყურადღება გამახვილებულია რადიკალური მემარჯვენე პარტიების ისტორიაზე, მათი წარმოშობისა და აღმასვლის მიზეზებზე. ნაშრომში ერთმანეთისგან გამოყოფილია რადიკალურ მემარჯვენე პარტიათა ოჯახის სხვადასხვა ქვეჯგუფები; ავტორი ცდილობს ერთმანეთისგან განასხვავოს ტერმინები: მემარჯვენე პოპულიზმი, მემარჯვენე ექსტრემიზმი, მემარჯვენე ნაციონალიზმი და ევროსკეპტიციზმი. აქვე, გავლებულია პარალელები პარტიული სისტემის ტრანსფორმაციის ევროპულ და ქართულ მაგალითებს შორის.

Abstract

The paper discusses the concept and the criteria of radical right wing parties, according to which a political organization can be categorized. Moreover, the study examines the history and the causes of origin and rise of radical right wing parties. The article outlines different subgroups belonging to the radical right wing parties. The author attempts to differentiate such terms as right wing populism, right wing extremism, right wing nationalism, and Euroscepticism. Additionally, the parallels are drawn between the examples of transformation of the European and the Georgian party systems.

სარჩევი

შესავალი **4**

თავი I - რადიკალური მემარჯვენე პარტიის ცნების განსაზღვრისათვის **7**

თავი II - რადიკალური მემარჯვენე პარტიების განვითარების ისტორია და ევროპის პარტიული ლანდშაფტის გარდაქმნის ტენდენციები **11**

თავი III - რადიკალური მემარჯვენე პარტიების აღმასვლის მიზეზები **15**

თავი IV - რადიკალური მემარჯვენე პარტიების ტიპოლოგია **23**

თავი V - რადიკალური მემარჯვენე ძალების გაძლიერების ტენდენციები საქართველოში **29**

დასკვნა **32**

გამოყენებული ლიტერატურა 34

შესავალი

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში გლობალური პოლიტიკური სივრცის უნივერსალიზაციის პროცესზე ალაპარაკდნენ. მეცნიერთა ნაწილი ფრენსის ფუკუიამას „ისტორიის დასასრულის“ კონცეფციასაც კი მიემხრო (Kershaw, 2011). 1990-იანი წლების დასაწყისში „პირველ სამყაროში“ გაერთიანებულ ქვეყნებს მთავარი მოწინააღმდეგე ძალა, საბჭოთა კავშირი და მის ირგვლივ თავმოყრილი „სოციალისტური ბანაკი“, გამოეცალათ. გამაწონასწორებელი პოლუსის დროებითმა არარსებობამ სამყაროს პოლიტიკური გაერთგვაროვნების მოლოდინი შექმნა. თუმცა, საბჭოთა კავშირის გაქრობამ წარმოშვა სივრცე, სადაც დასავლური ცივილიზაციის მოწინააღმდეგე სხვა ძალებმა შეძლეს მობილიზება. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მთელი მსოფლიოსთვის ნათელი გახდა, რომ ტერორიზმი მხოლოდ საომარ სივრცეებთან ახლოს მყოფ სახელმწიფოებს არ უქმნიდა საფრთხეს. მასშტაბური ტერაქტის შემდეგ ტერორიზმმა უკვე საბოლოოდ შეიძინა ინტერნაციონალური, მთელ სამყაროზე განფენილი შინაარსი. საერთაშორისო ტერორიზმი 2000-იანი წლებიდან სამართლიანად გამოცხადდა მსოფლიოს ერთ-ერთ უპირველეს გამოწვევად. საერთაშორისო ტერორიზმის მთავარ სტრუქტურულ ერთეულებს კი რადიკალური ისლამის წარმომადგენლები ჩაუდგნენ სათავეში (Kershaw, 2011).

ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს დასავლურ სამყაროში და მის მიღმაც კიდევ ერთმა განსაკუთრებულმა პრობლემამ იჩინა თავი. ეკონომიკური კრიზისის ტალღამ არაერთი ქვეყნის სტაბილურობას გამოაცალა ნიადაგი. კრიზისმა ყველაზე მეტი დამატებითი, ახალი სირთულე „ევროზონაში“ შემავალ სახელმწიფოებს შეუქმნა. სამხრეთ ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა საგარეო ვალის მაჩვენებლების ზრდის დინამიკა, საბანკო სექტორის მუშაობის პერმანენტული შეფერხება და უმუშევრობის დონის მატება ახალგაზრდებსა და სხვა ქმედითუნარიან ჯგუფებს შორის. საბერძნეთს, ესპანეთსა და ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებს მოუწიათ ე.წ. „ქამრების შემოჭერის პოლიტიკის“ გატარება, რაც სოციალური და ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას გულისხმობდა. კეთილდღეობის ინსტიტუტების მუშაობის პირობებში ჩამოყალიბებულმა თაობებმა სოციალურ

სექტორში სახელმწიფოს როლის შემცირება არაერთგვაროვნად აღიქვეს, რაც საზოგადოებებში პოლიტიკური უკმაყოფილების წინაპირობა გახდა (Arzheimer, 2017).

2010-იანი წლების დასაწყისი ევროკავშირის ისტორიაში ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენით გახლავთ აღბეჭდილი. „არაბული გაზაფხულის“ მოვლენების შემდეგ, კონტინენტურ ევროპას ასი ათასობით დევნილის ტალღა მიაწყდა (Candeias, 2015). დევნილთა უდიდესი უმრავლესობა კონტინენტური ევროპისთვის არატრადიციული კულტურის წარმომადგენლები გახლდათ. რიგი საზოგადოებრივი ძალების მტკიცებით, განსხვავებული ეროვნების, საომარი გარემოდან გამოქცეული ადამიანები არამხოლოდ ადგილობრივთა კულტურას, არამედ დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე მოქალაქეობის მქონე პირთა თავისუფალ წვდომასაც უშლიდნენ ხელს. მიგრანტთა ნაკადები რადიკალურად განწყობილმა მოძრაობებმა მულტიკულტურალიზმისა და ეკონომიკური კრიზისების გაღრმავების წინაპირობად აღიქვეს და თავიანთი პოლიტიკური ბრძოლების გააქტიურების საბაბად გამოიყენეს (Rydgren, 2007).

მიგრანტების განაწილების საკითხი უთანხმოების მიზეზი გახდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. სახელმწიფოთა ნაწილი (გერმანია, შვედეთი) მიგრაციის ყველაზე აქტიურ ფაზაშიც კი მზად იყვნენ დევნილებისათვის თავშესაფრის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ. აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში კი მათ დაბინავებასა და გადაადგილებაში გაწეული ხარჯების ანაზღაურებას მტკივნეულად ხვდებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი. არარესპუბლიკური ოპოზიციისთვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის აზრთა სხვადასხვაობა ბრიუსელისა და ზოგადად ევროკავშირის კრიტიკის საფუძველი გახდა.

ევროკავშირის სტრუქტურული რეფორმის იდეის დაწინაურებამ, მულტიკულტურალიზმის წინააღმდეგ არსებულმა უკმაყოფილებამ, ეკონომიკურმა და მიგრანტთა კრიზისების გააქტიურებამ, ტერორიზმის საფრთხის გაძლიერებამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკური ორგანიზაციების გააქტიურება გამოიწვია. მათი წარმატებები ყველასთვის თვალსაჩინოა. მათი გავლენების გაძლიერება თვალსაჩინოა ევროპის ყველა კუთხეში. რადიკალური მემარჯვენე ძალები განსაკუთრებული პოპულარობით საფრანგეთში,

გერმანიასა და უნგრეთში სარგებლობენ (Eller, 2017). ახალი პარტიების გამოჩენის შედეგად ბევრგან პარტიული პოლიტიკის ღერძმა ცენტრიდან მარჯვნის გადაინაცვლა, რამაც ტრადიციულ საპარლამენტო დემოკრატიებში გაართულა სამთავრობო კოალიციების ფორმირების პროცესი. ფაქტია, რომ რადიკალური მემარჯვენე, ქრისტიან-დემოკრატიულ ძალებს მიღმა აღმოჩენილი პარტიები თანამედროვე ევროპაში პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაციის განმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენენ (Arzheimer, 2017). აქედან გამომდინარე, მათი შესწავლა და ანალიზი თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების, განსაკუთრებით კი შედარებითი პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით განვიხილოთ, თუ რას ვგულისხმობთ ცნებაში „რადიკალური მემარჯვენე პარტიები“. ამასთანავე, აქცენტს დავსვამთ რადიკალური მემარჯვენე ძალების ისტორიაზე, ჯგუფების საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე, რაც მათი კლასიფიცირების წინაპირობა შეიძლება გახდეს. ჩვენი ინტერესის საგანი იქნება მემარჯვენე რადიკალური ძალების წარმოშობის მიზეზების მიმოხილვაც. ნაშრომის უკანასკნელი ნაწილი დაეთმობა საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტში არსებული ძალებისა და ევროპელ მემარჯვენე რადიკალთა ურთიერთმიმართების საკითხს.

თავი I - რადიკალური მემარჯვენე პარტიის ცნების განსაზღვრისათვის

ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ რადიკალურ მემარჯვენე პარტიებს იდენტური პოლიტიკური პოზიციები არ გააჩნიათ. პირიქით, ისინი განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და მრავალგვარობით ხასიათდებიან (Candeias, 2015). რადიკალური მემარჯვენე პარტიების ოჯახში თავს იყრიან ევროპის ნაცისტურ წარსულთან მეტნაკლებად დაკავშირებული პოლიტიკური ძალებიც და სახელისუფლებო უმრავლესობის მქონე, კონსერვატიული ელიტიდან წარმოშობილი ჯგუფებიც (Eller, 2017). განსხვავებების მიუხედავად მათი ერთ კატეგორიად განთესვა ხდება, რასაც რამდენიმე კონკრეტული გარემოების არსებობა განაპირობებს.

უპირველეს ყოვლისა, რადიკალური მემარჯვენე პარტიების იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორი ევროპის პარტიულ ლანდშაფტში მათ მიერ დაკავებული პოზიცია გახლავთ. არცერთი რადიკალური მემარჯვენე პარტია არ მიეკუთვნება კონტინენტური ევროპის ტრადიციულ კონსევატიულ პარტიათა ოჯახს (თუ უნგრეთის სამოქალაკო კავშირს, „ფიდესს“ არ ჩავთვლით). ჩვენი ინტერესის ობიექტად მიჩნეული ძალები უარს ამბობენ ცენტრისტულ მემარჯვენე ალიანსში, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიების კოალიციაში გაერთიანებაზე. ისინი არც „ევროპის სახალხო პარტიის“ წევრები არიან და დასახელებულ აქტორზე გაცილებით მარჯვნივ პოზიციონირებენ (Ladrech, 2006).

რადიკალური მემარჯვენე პარტიების კიდევ ერთი დამახასიათებელი საერთო ნიშანი ევროკავშირის მიმართ გამოვლენილი სკეპტიციზმი გახლავთ. მათი ნაწილი ევროკავშირის ბიუროკრატიას ეროვნულ პოლიტიკურ სისტემათა ფუნქციონირებისთვის უდიდეს საფრთხედ მიიჩნევს და სუპრანაციონალური ორგანიზაციის რადიკალური რეფორმის იდეით გამოდის (Wiegel, 2015). უკიდურეს მემარჯვენე ფლანგზე შეხვდებით ძალებსაც, რომლებიც ევროკავშირის პროექტის აღსასრულსა და სრულ წარუმატებლობაზე მიანიშნებენ. ისინი წარსულის იდეალიზების პოზიციიდან გამოდიან და ზეეროვნული სისტემის მიერ მართული ევროპის ნაცვლად, „ერების ევროპაზე“, ერი-სახელმწიფოების მოდელზე ორიენტირებულ თანამეგობრობაზე სვამენ აქცენტს (Häusler & Roeser, 2014).

რადიკალური მემარჯვენეობის განმსაზღვრელ კიდევ ერთ კრიტერიუმად ნეიტივიზმს (Nativism) ასახელებენ (Mudde, 2007). ნეიტივიზმი ფართო შინაარსის მქონე ცნება გახლავთ. ტერმინი საზოგადოებაში ადგილობრივი თემის უპირატესობაზე მიანიშნებს და აღნიშნული იდეის გამზიარებლებისათვის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ მიზნად მოსახლეობის ეთნიკური ან კულტურული ჰომოგენურობისკენ სწრაფვას სახავს (Muis & Immerzeel, 2017). რადიკალი მემარჯვენეები ინდივიდუალურ უფლებებთან შედარებით საერთო ეროვნული ინტერესების უპირატესობაზე მიანიშნებენ. არაადგილობრივი ჯგუფების ექსკლუზია, გამოყოფა სხვადასხვა კრიტერიუმით ხდება. ექსკლუზიის საფუძველი რასა, რელიგია, ეთნიკური თუ ენობრივი კუთვნილება და სხვა ნებისმიერი მსგავსი ნიშანი შეიძლება გახდეს (Minkenberg, 2013). ექსკლუზიის კრიტერიუმები რეგიონებისა და ეროვნული მოდელების მიხედვით ცვალებადია. მაშასადამე, ნეიტივიზმი ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმებისა და უმცირესობების საწინააღმდეგო, უმცირესობების ჩაგვრაზე ორიენტირებული პოლიტიკური პოზიციების (Fremdfeindlichkeit - უცხოსმოშიშეობა, უცხოს მტრობა) კომბინაციად შეგვიძლია მივიჩინიოთ (Eller, 2017).

რადიკალური მემარჯვენე ძალების კიდევ ერთ გამაერთიანებელ თვისებად დემოკრატიისადმი მათი მიმართება განიხილება. ექსტრემისტული, პოპულისტური და ევროსკეპტიკური პარტიების უდიდესი უმრავლესობა ან ავტორიტარიზმის გარკვეული ფორმების მხარდამჭერია, ან დემოკრატიის არალიბერალური ინტერპრეტაციის მომხრედ წარმოგვიდგება. ბერძნული პარტია „ოქროსფერი განთიადი“, უნგრული „იობიკი“ და სხვა ნაცისტურ წარსულთან დაკავშირებული ძალები ლიბერალურ დემოკრატიას მმართველობის ოპტიმალურ ფორმად საერთოდ არ განიხილავენ. მათთვის დემოკრატიულ პროცედურებსა და სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებების რეალიზებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი სოციო-კულტურული ავტორიტარიზმის, „სამართლისა და წესრიგის“ მკაცრი სახელმწიფო კონტროლის პირობებში დამყარება გახლავთ (Halikiopoulou & Vasilopoulou, 2015). რადიკალური მემარჯვენე პარტიების მეორე ნაწილი კი ლიბერალური დემოკრატიის ნაცვლად ეთნოკრატიას (დემოკრატია ერთი ერის ფარგლებში) ქადაგებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის თანამედროვე პლურალისტური სისტემების მოდელებთან (Rydgren, 2007). აღსანიშნავია, რომ რიგი არაზომიერად განწყობილი ძალები საკუთარ თავს დემოკრატიის ყველაზე დიდ

დამცველებად წარმოაჩენენ, მუდმივად მხარს უჭერენ სახალხო რეფერენდუმების მხარდაჭერას. ითველისა და რიდგრენის მტკიცებით, აღნიშნულ შემთხვევებში მათი მთავარი ამოცანა კომპრომისის ძიების მრავალსაფეხურიანი პოლიტიკური პროცესის გამარტივება და ყურადღების მხოლოდ ორ შესაძლო ალტერნატივაზე დაყვანა გახლავთ (Eatwell, 2004) (Rydgren, 2007).

ჩვენს სამიზნე ჯგუფში აღმოჩენილი პარტიული ოჯახის უკანასკნელ გამმიჯნავ კრიტერიუმად ანტიელიტური („ანტიისტებლიშმენტური“) პოპულიზმი უნდა დავასახელოთ. მემარჯვენე პოპულისტური რიტორიკა გამორჩეულია იმით, რომ ის ნებისმიერ საზოგადოებას ორ ურთიერთდაპირისპირებულ და ერთგვაროვან ჯგუფად ჰყოფს. ორი ჯგუფიდან ერთ-ერთს გაბატონებული მდგომარეობა აქვს მოპოვებული, რასაც მეორის ჩაგვრისთვის იყენებს. გამოყოფენ მემარჯვენეებისთვის დამახასიათებელი პოპულიზმის ორ განზომილებას. ვერტიკალური განზომილება გულისხმობს წინააღმდეგობას „ხალხსა“ და ელიტებს შორის. როგორც წესი, ელიტად მოიაზრებიან ტრადიციული პოლიტიკური პარტიები, მედიის გავლენიანი საშუალებები, კულტურის სფეროსა თუ ინტელექტუალური წრეების წარმომადგენლები და მაღალშემოსავლიანი მოქალაქეების ინტერნაციონალისტურად განწყობილი სეგმენტები. მემარჯვენე პოპულიზმის ჰორიზონტალური განზომილების ქვაკუდხედი კი მოიაზრებს დიქოტომიას „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის. „სხვებს“ შორის, როგორც წესი, ემიგრანტები და უმრავლესობისგან განსხვავებული იდენტობის მქონე ჯგუფები განიხილებიან (Held & others, 2017).

მაშასადამე, რადიკალური მემარჯვენე პარტიების (რმპ) ცნებაში ჩვენ ვგულისხმობთ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც:

1. არ მიეკუთვნებიან ევროპისთვის ტრადიციულ მემარჯვენე ბანაკს, ქრისტიან-დემოკრატიულ თანამეგობრობას;
2. გამოირჩევიან ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული რიტორიკითა და სკეპტიციზმით საერთო ევროპული ინსტიტუტების მიმართ.
3. თავიანთ იდეოლოგიად აცხადებენ ნაციონალიზმის ურთიერთგანსხვავებულ ფორმებს, ეფუძნებიან უცხოსმოშიშეობის,

უცხოს მტრობის ფენომენს, ავლენენ ნაკლებ მიმღებლობას, წინააღმდეგობას სხვადასხვა ტიპის უმცირესობის მიმართ.

4. ხასიათდებიან დემოკრატიის არალიბერალური ინტერპრეტაციების ან სულაც ავტორიტარიზმის მხარდაჭერით.

5. ხასიათდებიან პოპულისტური რიტორიკით, საზოგადოების ორ ჰომოგენურ და კონტრასტულ ჯგუფად დაყოფის ხედვით, მათ შორის არსებული კონფლიქტის პოლიტიკური პროცესის მთავარ საგნად გამოცხადების ტენდენციით.

თავი II - რადიკალური მემარჯვენე პარტიების განვითარების ისტორია და ევროპის პარტიული ლანდშაფტის გარდაქმნის ტენდენციები

რადიკალური მემარჯვენე პარტიების განვითარების ისტორია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში ხელახლა დაიწყო. 1950-იან წლებში ჩვენს სამიზნე ჯგუფში აღმოჩენილი პარტიებისთვის ტრადიციული თემატიკა ტაბუირებული გახლდათ. ნაცისტური ექსპერიმენტის შემდეგ ულტრანაციონალისტური შეხედულებების მქონე პოლიტიკური ძალები საჯარო და ღია აქტიურობას ერიდებოდნენ. თუმცა, არსებობდნენ ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ სიმპატიებს მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული ტენდენციის მიმართ. მსგავსი ორგანიზაციები პოლიტიკური ინსტიტუტების ზეწოლის შედეგად წყვეტდნენ არსებობას. საკონსტიტუციო სარჩელის საფუძველზე ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ექსტრემისტული პოლიტიკური პარტიების არსებობა აიკრძალა კიდეც. რიგ სახელმწიფოებში შეიქმნა კანონმდებლობა, რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციების რეგისტრაციის დროს ითვალისწინებდა გამფილტრავი რეგულაციების არსებობას. დემოკრატიული, რესპუბლიკური წყობილების წინააღმდეგ მომართული ჯგუფები ოფიციალურად ჩამოყალიბებასაც ვერ ახერხებდნენ (Müller & Sieberer, 2006). ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პრეცენდენტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ შექმნა, როდესაც აკრძალა სოციალისტური საიმპერიო პარტიის (Sozialistische Reichspartei) არსებობა (Müller & Sieberer, 2006).

1960-იანი წლებისთვის შედარებითი პოლიტიკის მკვლევართა შორის დაწინაურდა მარტინ სეიმურ ლიფსეტისა და შტეინ როკანის ჰიპოთეზა. ლიფსეტისა და როკანის ჰიპოთეზა "Freezing Hypothesis" სახელითაც არის ცნობილი. ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ევროპის პოლიტიკურ ველზე ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესების გამომხატველი პარტიის ფორმირება უკვე მოხერხდა. ისინი მხოლოდ მათი გადაჯგუფების შესაძლებლობას უშვებდნენ. ახალი პარტიული ოჯახების წარმოშობისთვის კი პოლიტიკურ ლანდშაფტში შესაბამისი სივრცის არსებობას გამორიცხავდნენ (Veugelers, 1999). ჩრდილოევროპელი მეცნიერები ამჩნევდნენ ახალი სოციალური მოძრაობების არსებობას 1960-იანი წლების დასავლეთში. თუმცა, მათი მდგრად პარტიებად გარდაქმნის შესაძლებლობას არარეალისტურად მიიჩნევდნენ.

ჰიპოტეზა პარტიისა და სოციალური ფენის ურთიერთდამოკიდებულების იდეას ეფუძნებოდა (არ არსებობს პარტია შესაბამისი სოციალური საყრდენის, სტრატის გარეშე).

„არაისტებლიშმენტური“, არატრადიციული მემარჯვენე პარტიების საარჩევნო შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ლიფსეტისა და როკანის ჰიპოთეზა 1960-იან წლებში მუშაობდა. აღნიშნულ ათწლეულში დასავლეთ ევროპის მასშტაბით მართლაც გამოჩდნენ რადიკალური პარტიები, მაგრამ მათ საპარლამენტო წარმომადგენლობის მოპოვებაც კი გაუჭირდათ. მაგალითად, ავსტრიისა და გერმანიის საპარლამენტო კენჭისყრებში მათ ბარიერიც ვერ გადალახეს (Afonso, 2017).

1970-იანი წლებიდან აქტუალური ახალი თეორია გახდა. შედარებით პარტიულ პოლიტიკაშიც და სოციალური მეცნიერების სხვა სფეროებშიც ფეხი მოიკიდა რონალდ ინგლეჰარტის პოსტმატერიალისტურმა თეორიამ. პოსტმატერიალისტური თეორია პარტიული პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე გარემოებას გვთავაზობდა. ავტორის მტკიცებით, პრეინდუსტრიული პოლიტიკური დისკურსები, რომელებიც ეთნიკურობისა და რელიგიურობის საკითხებს უკავშირდებოდა თავის მნიშვნელობას დაკარგავდა. საყოველთაო კეთილდღეობის პირობებში კი მთავარი პოლიტიკური გამმიჯნავი ხაზის სტატუსის შენარჩუნება კლასთან დაკავშირებულ პრობლემატიკასაც გაუჭირდებოდა. ინგელჰრტისთვის პოსტმატერიალისტური ეპოქის გადამწყვეტი მნიშვნელობის თემებად პარტისიპატორული დემოკრატია, თვითაქტუალიზაცია, თვითგამოხატვა, იდენტობის პოლიტიკა და გარემოს დაცვა უნდა ქცეულიყვნენ. მემარჯვენე რადიკალური პარტიები კი პოსტმატერიალისტურ პოლიტიკურ დღის წესრიგზე კონსერვატიული ძალების განსაკუთრებული გავლენის არმქონე კონტრრეაქციად განიხილებოდნენ (Veugelers, 1999) (Inglehart, 1977).

პოსტმატერიალისტური თეორიის ასპექტების პარტიულ პოლიტიკაზე ასახვის ტენდენციას 1970-იან წლებში ევროპაში ჩატარებული არჩევნების შედეგებიც ადასტურებენ. 1970-იანი წლების დასავლეთშიც რადიკალური მემარჯვენე ძალები კვლავ უკიდურესად მცირერიცხვოვან სუბიექტებს წარმოადგენდნენ და მათი რეალური პოლიტიკური მიზანი მხოლოდ საარჩევნო ბარიერთან ჭიდილი გახლდათ (Afonso, 2017). მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლები უფრო მეტად ახალი

მემარცხენეების პარტიული ოჯახის წარმოშობის წინაპირობა გახდა. ევროპის პარლამენტებში პირველად შეძლეს ფრაქციების ჩამოყალიბება ტრადიციულ სოციალ-დემოკრატიულ ძალებზე უფრო მეტად მემარცხენედ განწყობილმა, მაგრამ არაკომუნისტურმა პარტიებმა თუ ეკოლოგიურმა მოძრაობებმა.

1990-იან და 2000-იან წლებში რადიკალური მემარჯვენე პარტიები უკვე ევროპის თითქმის ყველა პარლამენტში გავრცელდნენ. ერთი მხრივ, ახალი ნაციონალისტური და/ან რელიგიური პარტიები აღმოსავლეთ ევროპაში წარმოიშვნენ. საბჭოთა კავშირის რღვევამ და მისი ჰეგემონიის მოშლამ, ერთპარტიული და კვაზიმრავალპარტიული სისტემების ტრანსფორმაციამ ბიძგი მისცა კომუნისტური რეპრესიების პირობებში შეზღუდული მემარჯვენე ოპოზიციის გათავისუფლებას. მათ თავისუფალი კენჭისყრების საშუალებით საპარლამენტო წარმომადგენლობის მოპოვება მოახერხეს (Kitschelt, 1995). მეორე მხრივ, კი ევროკავშირის პირველი ტალღის წევრ ქვეყნებში მოიპოვეს წარმატება ანტისაემიგრაციო რიტორიკის ძალებმა, რომლებიც აქცენტს ძირითადად იუნგოსლავიის კონფლიქტისა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების შედეგად, ასევე ყოფილი კოლონიებიდან მომდინარე დევნილთა ტალღაზე სვამდნენ. მათი რიტორიკა მულტიკულტურალიზმის კრიტიკას, ტერორიზმის საფრთხის ზრდასა და ევროკავშირის არადემოკრატიულობას ეფუძნებოდა (Minkenberg, 2013).

2017 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან ავსტრიის მთავრობაში საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი ერთ-ერთმა ყველაზე ძველმა რადიკალურმა ევროპულმა ძალამ, თავისუფლების პარტიამ. პარტიის წევრები ვიცე-კანცლერისა და რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მინისტრის პოსტზე დაინიშნენ. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრიც თავისუფლების პარტიის კვოტით არის წარდგენილი. ქვეყნის უძველესმა ქრისტიან-დემოკრატიულმა ძალამ, სახალხო პარტიამ ვერც ერთ სხვა კონკურენტთან ერთად ვერ მოახერხა სამთავრობო კოალიციის ფორმირება. საარჩევნო შედეგებისა და თავისუფლების პარტიის გავლენის გამო, ტრადიციული პარტიები უკვე იძულებულნი არიან კავშირები შეკრან ანტისისტემურ ძალებთან (Prior, 2017). ავსტრიის მსგავსი ვითარებაა შექმნილ შვედეთსა და დანიაში. პარტია „ალტერნატივა გერმანიისათვის“ აღზევების გამო, პირველად გერმანიის ისტორიაში ფედერაციული რესპუბლიკის

მოქალაქეებმა არჩევნებიდან ერთი კვარტლის შემდეგაც კი არ იციან თუ რომელი ძალები დააკომპლექტებენ მათ მთავრობას (Cieschinger & Gathmann, 2018). ერთ დროს მარგინალური ოპოზიციური პარტიები დღეს სამთავრობო გავლენის მქონე ძალებად გვევლინებიან.

მაშასადამე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისტორიაში რადიკალური მემარჯვენე ძალების განვითარების რამდენიმე ეტაპი შეგვიძლია გამოვყოთ. 1950-იან წლებში ისინი არ აქტიურობდნენ ან დემოკრატიული სისტემის კონსტიტუციური ინსტიტუტების მხრიდან ექმნებოდათ პრობლემები. 1960-იან წლებში ქრისტიან-დემოკრატებზე უფრო მარჯვნივ მდგომმა პოლიტიკურმა ძალებმა საპარლამენტო ბარიერის გადალახვის ამბიციისთვის დაიწყეს მოქმედებები. 1970-90-იან წლებში პოსტმოდერნიზმის რეაქციული ძალები უკვე მყარად დამკვიდრდნენ ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებში. ოცდამეერთე საუკუნეში კი რადიკალური მემარჯვენე პარტიები მთავრობის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედების უნარის მქონე ფაქტორებად იქცნენ და რიგი ევროპული ქვეყნების ცენტრალურ/ფედერალურ ხელისუფლებებშიც დამკვიდრდნენ.

თავი III - რადიკალური მემარჯვენე პარტიების აღმასვლის მიზეზები

რადიკალური მემარჯვენე პარტიების აღზევების, დაწინაურების, საარჩევნო წარმატებების მიზეზთა კვლევა თანამედროვე პარტიული პოლიტიკის სპეციალისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი გახლავთ. პარტიათა კონკრეტული ოჯახის პოზიციათა გაძლიერების ასახსნელად მეცნიერები სხვადასხვა ხედვებს იყენებენ. იენს რიდგრენი (2007) ყურადღებას ამახვილებს მოთხოვნასთან დაკავშირებულ ფაქტორებსა და მიწოდებასთან ასოცირებულ გარემოებებზე (Demend and Supply). მოთხოვნასთან დაკავშირებული ფაქტორები საზოგადოებაში არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარეობენ. მიწოდებასთან ასოცირებული გარემოებები კი პოლიტიკურ და პარტიულ სტრუქტურებს, მათი მუშაობის ლოგიკასა და პრაქტიკას, კონსტიტუციური დიზაინის პარტიულ სისტემაზე ზემოქმედების ხარისხს გულისხმობს (Muis & Immerzeel, 2017). კაი არცჰაიმერი (2017) კი ელექტორალური წარმატების დასასაბუთებლად გამოყოფილ მიზეზებს სამ ჯგუფად ანაწილებს. არცჰაიმერი რადიკალური მემარჯვენე პარტიების დაწინაურების მიკრო, მეზო და მაკრო მიზეზებს განაცალკევებს. მარკო მიზეზები გლობალურ და მასშტაბურ მოვლენებს აერთიანებენ, მეზოფაქტორების სიმრავლეშ საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პარტიათაშორისი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ცვლადები ჯგუფდებიან, მიკრომიზეზები კი ინდივიდუალურ დონეზე გამოვლენილ ხდომილებებთან არიან კავშირში.

რიგი დებულებები ორივე თეორიული ჩარჩოსათვის საერთოა. ჩვენ შევეცდებით, რომ რიდგრენისა და არცჰაიმერის მიერ შემუშავებული ხედვებიდან მემარჯვნე რადიკალური პარტიების აღზევების საერთო, ცენტრალური ფაქტორები გამოვყოთ.

ქრისტიან-დემოკრატიულ პოზიციებზე მარჯვნივ განთესილ პარტიათა აღმასვლის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად გაზრდილი მიგრაცია და უმუშევრობა სახელდება (Arzheimer, 2017). გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ჩატარებული კვლევები, ასევე ჩვენი საუკუნის დასაწყისში მომზადებული სოციოლოგიური გამოკითხვები ადასტურებენ კორელაციას მიგრაციის ზრდასა და მემარჯვენე რადიკალური პარტიების მხარდაჭერის მატებას, უმუშევრობის ზრდასა და მემარჯვენე

რადიკალური პარტიების მხარდაჭერის მატებას შორის (Kniggie, 1998) (Arzheimer & Carter, 2006). მიგრაციის ზრდა მეტნაკლებად დაკავშირებულია სხვა კულტურის წარმომადგენელთა რაოდენობის მატებასთან სხვადასხვა ლოკალურ სივრცეში, რაც ადგილობრივთა შორის შიშს აჩენს. ადამიანებს უჩნდებათ კითხვები თემის უცხო მოქალაქეების ინტეგრაციის პრობლემების შესახებ. ინტეგრაციის პროცესს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება, რაც დამატებით გამოწვევად მიიჩნევა ლოკალურ საზოგადოებებში.

2009 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ უმუშევრობა სამხრეთ ევროპის ქვეყნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა. პრობლემა ყოველთვის იდგა დღის წესრიგში, მაგრამ კრიზისმა მის გამწვავებას შეუწყო ხელი. მიგრანტთათვის თავშესაფრისა და სამუშაოთი უზრუნველყოფის უფლება ზრდის კონკურენციას სერვისის სფეროს დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე (Rydgren, 2007). მიგრანტები თავიანთი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე მზად არიან სამუშაო უფრო იაფად შეასრულონ და განსაკუთრებული შრომითი გარანტიები არ მოითხოვონ. ბუნებრივია, ამგვარი გარემოებები კიდევ უფრო მეტად აძლიერებენ შედარებით ღარიბ მოსახლეობაში მიგრანტთა მიმართ არსებულ წინააღმდეგობებს. შესაბამისად, იზრდება ანტისაემიგრაციო პარტიების მხარდაჭერის მაჩვენებელიც.

რმპ-ის აღმასვლაზე ზეგავლენა აქვს კიდევ ერთ მაკროფაქტორს, კრიმინალს. ბენელუქსის ქვეყნებში ჩატარებული რამდენიმე კვლევა ცხადყოფს პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას კრიმინალისა და რადიკალური პარტიების მხარდაჭერის ზრდას შორის (Arzheimer, 2017). მაგალითად, გასულ ათწლეულებში "ფლამანდრიული ბლოკი" ბელგიის ჩრდილოეთის იმ მუნიციპალიტეტებში ახერხებდა ყველაზე მაღალი მხარდაჭერის მოპოვებას, სადაც მიგრციასთან ერთად კრიმინალის დონეც მაღალი იყო. ევროკავშირის ძველ წევრ ქვეყნებში გავრცელებული სტერეოტიპების მიხედვით კრიმინალის შემთხვევების უმრავლესობა ემიგრანტებთან და მათ საქმიანობასთან არის ასოცირებული. დანაშაულის ზრდის საკითხები ხანდახან დემოკრატიის კრიზისის, დემოკრატიის პირობებში კანონისა და წესრიგის შესუსტების არგუმენტებსაც უკავშირდება. ლიბერალური დემოკრატიისა და მიგრანტთათვის თავშესაფრის უფლებით

სარგებლობის იდეის კრიტიკა კი მემარჯვენე რადიკლათა დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია (Loewy, 2015).

შეგვიძლია ვისაუბროთ მემარჯვენე რადიკალური პარტიების წარმატების საქმეში მედიის წვლილზეც. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ამგვარ პარტიებს ან მათ მხარდამჭერ ძალებს თავიანთი პარტნიორი მედიის საშუალებები ჰყავთ. მაგალითად, პოლონური მემარჯვენე რელიგიური პარტიების მხარდამჭერთა მობილიზების ერთ-ერთ მიზეზად ხშირად რადიო „მარია“ სახელდება, რომელიც რელიგიური ქადაგებების გარდა, კონკრეტული პარტიების მხარდაჭერის მოწოდებებსაც ინტენსიურად ავრცელებდა. ამასთანავე, ყურადღება შეგვიძლია გავამახვილოთ ავსტრიაში გამომავალ „კრონენცეიტუნგზე“, რომელიც თავისუფლების პარტიასთან ასოცირებულ პრესად ითვლება და ა.შ. (Minkenberg, 2013). კონკრეტული მედიის საშუალების გამოყენება პარტიასთან იდენტიფიცირების, მასთან მუდმივი კავშირის დამყარების, კომუნიკაციისა და მობილიზაციის ხერხად იქცა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2010-იან წლებში მსოფლიო და ადგილობრივი მედიის მთავარ თემად მიგრაციის, უმუშებრობისა და კრიმინალის ზრდის საკითხები იქცა. თემებზე მთავარი და ყველაზე აქტიური, სკანდალური და წინააღმდეგობრივი რესპონდენტები კი სწორედ რადიკალთა წარმომადგენლები იყვნენ. შესაბამისად, მათი ხილვადობა მედიაში ძალიან გაიზარდა, რისი საარჩევნო ხმებად კონვერტირებაც ნაწილობრივ მაინც ხერხდება (Arzheimer, 2017).

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ რიგ ევროპულ ქვეყნებში რადიკალური მემარჯვენე პარტიების წარმატებას პოლიტიკური სისტემის თავისებურებებმაც შეუწყვეს ხელი. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში პოპულისტური პარტიების წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოებში მიზერულია, ისინი ფრაქციათა ფორმირებასაც ვერ ახერხებენ. მაჟორიტარული კენჭისყრების პირობებში შესაძლებელი ხდება არარესპუბლიკური ძალების წინააღმდეგ „ისტებლიშმენტური“ პარტიების კონსოლიდაცია. საფრანგეთის მაჟორიტარულ ოლქებში ჩატარებულ მეორე ტურებში ძირითადი პოლიტიკური პარტიების „ნაციონალური ფრონტის“ წინააღმდეგ გაერთიანება აბსოლუტურად ჩვეულებრივ პრეცენდენდენტად, ტრადიციად იქცა. კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებში კი ვითარება განსხვავებულია. პროპორციული

საარჩევნო სისტემისა და დაბალი საარჩევნო ბარიერის პირობებში ახალი მემარჯვენე ძალების საპარლამენტო წარმომადგენლობა გაცილებით მაღალია (Rydgren, 2007). ისინი საპარლამენტო ფრაქციების ჩამოყალიბების მიზანსაც აღწევენ ხოლმე, ოპოზიციასაც უდგანან სათავეში და სახელისუფლებო კოალიციებშიც მონაწილეობენ (Capodici & Lutz, 2017).

პოლიტიკურ სისტემასთან დაკავშირებული ფაქტორიდან შესაძლებელია კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტის გამოყოფა. თანამედროვე ევროპაში ძველი, ტრადიციული სახალხო პარტიები, ყველა კლასზე ორიენტირებული პარტიები კრიზისში არიან. ისინი კარგავენ წევრებსა და სტაბილურ ამომრჩევლებს (გათმანი და ჰენრიქსი, 2016). ყველაზე მკაფიოდ ეს სოციალ-დემოკრატიული პარტიების მაგალითზე ჩანს. განვიხილოთ გერმანიის შემთხვევა: „სამოცდაათიანი წლების დასაწყისამდე ყველაფერი საკმაოდ ნათელი იყო: „მუშები და დასაქმებულები ხმას აძლევდნენ გსდპ-ს, ეკლესიასთან დაკავშირებული კონსერვატორი ამომრჩევლები ქდკ/ქსკ-ს მხარდამჭერებად ითვლებოდნენ, მიუმხრობელ მოქალაქეთა მცირე ჯგუფი კი თავისუფალი დემოკრატების ელექტორატი იყო. ამგვარი დაყოფა დასრულდა კანცლერ ბრანდტის დროს, როდესაც იგი ახალი ცენტრის ფორმირებას შეუდგა. გსდპ-ს უნდა დაერღვია სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული საზღვრები და შეეცვალა გარემო, რათა მუშათა კლასის გარდა მოემხრო სხვა ფენებიც და უმრავლესობის შექმნის შესაძლებლობა მისცემოდა. მაგრამ საარჩევნო ჯგუფებს შორის ურთიერთმიმართების ცვლილებაზე თავისი გავლენა მოახდიანა ტექნოლოგიურმა პროგრესმა, რომელმაც მთლიანად გარდაქმნა შრომის ბაზარი. მოგვიანებით წარმოიქმნა ეკოლოგიური პარტია, რომელიც გსდპ-ს მემარცხენე კონკურენტად იქცა. სოციალური სტრატიფიკაცია, დაყოფა და ჯგუფებს შორის დიფერენცირების პროცესი დღეს კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. გიოტინგნელი პოლიტიკის მეცნიერი ფრანც ვალტერი თავის შრომებში მრავალმხრივ ასაბუთებს იმას, რომ საზოგადოების შემადგენლობის ცვლილებამ ყველაზე მეტად სოციალ-დემოკრატიული პარტია დააზარალა. პარტიამ თავისი მყარი ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა.“ (გათმანი და ჰენრიქსი, 2016). ელექტორატისა და მხარდაჭერის დაკარგვის კვალობაზე, ახალი პარტიების წარმოშობის პირობებში ტრადიციული მემარცხენე-ცენტრისტული და მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიები იძულებულები ხდებიან საერთო კოალიციების შექმნის

საფუძველზე შეინარჩუნონ სამთავრობო კოალიციები (ტრიტინი, 2016). მთელ რიგ შემთხვევებში უკვე ორი უდიდესი პარტიის კოალიციაც კი აღარ არის საკმარისი მთავრობების ჩამოსაყალიბებლად. გერმანიის 16 რეგიონალურ მინისტრთა კაბინეტში ხუთივე ტრადიციული პარტიის კოალიციას შეხვდებით, მათ შორის სამ სუბიექტიან კოალიციებს. რაზე მიანიშნებს აღნიშნული გარემოება? ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე მეტნაკლებად, სხვადასხვა რანგის პასუხისმგებლობას ყველა ტრადიცული პარტია იზიარებს (Die Koalitionen der Bundesländer, Deftz.de 2018). ერთადერთი პარტია, რომელიც არცერთი დონის მთავრობაში არ არის წარმოდგენილი ეს რადიკალური მემარჯვენე „ალტერნატივა გერმანიისთვის“ გახლავთ. შესაბამისად, რადიკალური მემარჯვენე პარტიები საარჩევნო სტრატეგიის წარმოებისას ხშირად იყენებენ შესაბამის დიქოტომიას „ჩვენ და დანარჩენი პარტიები“, აქცენტს სვამენ სიმრავლისგან საკუთარ გამორჩეულობასა და უნიკალურობაზე. მემარჯვენე რადიკალური პარტიები უკმაყოფილო ამომრჩევლის მობილიზებას ცდილობენ იმის მტკიცებით, რომ ისინი შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებელნი არ არიან (Arzheimer, 2017).

ქართულენოვან ლიტერატურაში რადიკალური მემარჯვენე პარტიების გაძლიერების თემაზე ფაქტობრივად ერთადერთი პუბლიკაცია მოიპოვება. პუბლიკაცია სოციოლოგსა და გენდერის მკვლევარს, დოქტორ მაია ბარქაიას ეკუთვნის. დოქტორი ბარქაია თავის ტექსტში ყურადღებას რადიკალური ჯგუფების გაძლიერების მიწოდებასთან დაკავშირებულ ფაქტორებზე (ბარქაია, 2017) ამახვილებს. ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხარდამჭერთა მობილიზების ინტერპრეტაციისა და ახსნისთვის ავტორი რამდენიმე პერსპექტივას აანალიზებს. პერსპექტივების ნაწილი ადამიანებისა და ჯგუფების განწყობების საკითხთან არის დაკავშირებული. ჩვენ ყურადღებას ბარქაიას ესეიში გამოყოფილ სამ პერსპექტივაზე გავამახვილებთ: „1. სოციალური ქსოვილის რღვევის პერსპექტივის თანახმად, იზოლირებული ინდივიდები, რომლებიც ცხოვრობენ ატომიზებულ, არაინტეგრირებულ საზოგადოებაში განსაკუთრებით მიდრეკილნი არიან ულტრამემარჯვენე პარტიების მხარდაჭერისკენ; 2. ფარდობითი დეპრივაციის პერსპექტივის თანახმად, მატერიალური დეპრივაციისგან გამოწვეული ფრუტრაციები ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების აღზევების; 3. მოდერნიზაციის „ლუზერების“/ წაგებულების ხედვა აერთიანებს, როგორც სოციალური ქსოვილის რღვევის, ასევე

ფარდობითი დეპრივაციის თეორიას. ამ თეორიული მიდგომის თანახმად, ულტრამემარჯვენე ჯგუფების აღზევება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც რადიკალური მცდელობა მოდერნიზაციასთან დაკავშირებული სოციალური ცვლილების ანულირების“, რადგან ეს ცვლილებები არ აისახება მათ კეთილდღეობაზე.“ (ბარქაია, 2017). მემარჯვენე რადიკალური პარტიების პროგრამებში ხშირად ვხვდებით ანტიგლობალისტურ და ანტიმონდიალისტურ შეხედულებებს. პოპულისტური ძალები ადამიანების შრომით გაუცხოვებას, გაღარიბებას ეკონომიკური და კულტურული გლობალიზაციის ფაქტორებს უკავშირებენ. ისინი თავს ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად დაზარალებული პირების მხარდამჭერ მთავარ პოლიტიკურ პარტიად აცხადებენ. ამგვარი პოზიციონირება ხდება მიზეზი იმისა, რომ ხშირად სოციალური კაპიტალის დეფიციტის პირობებში მცხოვრები, გაღარიბებული ჯგუფები, დეიდუსტრიალიზაციის შედეგად დაზარალებული დასახლებები არჩევანს მემარცხენე ძალებთან ერთად რმპ-ის სასარგებლოდაც აკეთებენ (Chwala, 2015) (Häusler & Roeser, 2014). დეპრივაციაზე, მოდერნიზაციის შედეგად იზოლირებულ და ხელმოცარულ ფენებზე აქცენტირების გამო ხშირად მემარჯვენე რადიკალურ პოლიტიკურ ორგანიზაციებს „ახალ მუშათა პარტიებადაც“ კი მოიხსენიებენ (Chwala, 2015).

ჩვენი ინტერესის სფეროში მოხვედრილი პარტიული ოჯახის წარმომადგენელთა საარჩევნო წარმატება სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სპეციფიკურ ფაქტორთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებულობით ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები, ყოფილ „სოციალისტურ ბანაკში“ შემავალი სახელმწიფოები ხასიათდებიან. აღმოსავლეთ ევროპელი ხალხების „ერის მშენებლობის“ პროცესები რამდენიმე პოლიტიკურ სისტემაზე გახლდათ განფენილი (მაგალითად, თანამედროვე პოლონეთის ნაწილი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გერმანიის რაიხის შემადგენლობაში შედიოდა, მნიშვნელოვან ნაწილზე კი გავლენა რუსეთის იმპერიას ჰქონდა. იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ ევროპის იმ ერებზეც, რომლებიც სხვა იმპერიების, ავსტრო-უნგრეთის, ოსმალეთის და სხვათა სივრცეებში ყალიბდებოდნენ). სხვა ფაქტორებთან ერთად ამგვარმა განფენამ და ევროპის იმპერიალისტურმა გამოცდილებამ ორ გარემოებას შეუწყო ხელი. კერძოდ, ბევრ აღმოსავლეთევროპულ ქვეყანაში მაღალია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა (მაგალითად, ბოშების, უნგრელების რუმინეთში, თურქების ბულგარეთში და ა.შ.). რადიკალი მემარჯვენე

პარტიების სტრატეგიაც ქვეყნის შიგნით არსებული უმცირესობების წინააღმდეგ არის მიმართული, ასევე ყურადღება მახვილდება „გარე სამშობლოების“, ქვეყნის მიღმა მცხოვრები თანამემამულეების ინტერესების დაცვის აუცილებლობაზე (Minkenberg, 2013).

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ჰეგემონიის პირობებში, სხვადასხვა ტიპის კომუნისტური რეჟიმების რეპრესიული საქმიანობის კვალობაზე, წლების განმავლობაში სისტემის მხრიდან ნაციონალისტური ძალები გარიყულნი და შევიწროვებულნი იყვნენ, მათ არ ჰქონდათ თვითგამოხატვის შესაძლებლობა. „სოციალისტური ბანაკის“ რღვევამ კი ამგვარი ძალების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას შუწყო ხელი. მათი აღმასვლა კი გარკვეულწილად მოწინააღმდეგე, მემარცხენე პოლუსის დისკრედიტირების მაღალმა მაჩვენებელმაც განაპირობა (Bustikova, 2017).

საერთაშორისო მხარდაჭერას ცალკე ფაქტორად არ განიხილავენ, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებასა და რადიკალურ მემარჯვენე ძალებს შორის არსებული კავშირები დადასტურებულია. 2010-იანი წლების დასაწყისში რუსეთის მმართველი პარტიის ორგანიზებით ერთხელ უკვე გაიმართა „რუსეთის ნაციონალური ფორუმი“, რომელსაც ევროპის წამყვანი რადიკალური მემარჯვენე პარტიები ესწრებოდნენ. ხშირია, რუსეთის დუმის მაღალჩინოსნების ვიზიტები ევროპის ანალოგიურ ფორუმებსა და პარტიულ კონგრესებზე, რუსული ელიტები მონაწილეობას იღებენ რმპ-სთვის დაფინანსების მოპოვების კამპანიებშიც. აღსანიშნავია, რომ რუსული საერთაშორისო მაუწყებლები (მაგალითად, Russia Today) ინტენსიურად აშუქებენ პოპულისტებისა და ნაციონალისტების პოლიტიკურ აქტივიზმს. ყირიმში ვიზიტად მყოფი ევროპელი პოლიტიკოსების უმრავლესობაც უკიდურეს მემარჯვენეთა ბანაკს განეკუთვნებიან (Bidder, 2016) (Polyakova, 2014).

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასავლურ ანალიტიკურ მედიაში ვხვდებით რუსეთის „რბილი ძალის“ სისტემატიზაციაზე აქცენტირებულ მოსაზრებებსაც: „რუსეთი კომუნისტური ინტერნაციონალის კონცეფციის მსგავს ახალ სტრუქტურას აშენებს. საბჭოთა დროს კომინტერნის საშულებით მოსკოვი საზღვარგარეთელ კომუნისტებთან კავშირის დამყარებას ცდილობდა, რათა დასავლეთის

სახელმწიფოებთა შიდა პოლიტიკაზე გავლენა მოეპოვებინა და საიდუმლო სამსახურებისათვის დამატებითი რესურსები მოეზიდა. წარსულისგან განსხვავებით კრემლის ახალი ფრონტი მემარცხენე მიმართულების აღარ არის, ამჯერად აქცენტი ექსტრემისტულ მემარჯვენე ტენდენციაზე კეთდება“ (Bidder, 2016). ბუნებრივია, რუსეთის სახელმწიფოს მხარდაჭერა რადიკალური მემარჯვენე ძალების გაძლიერების მეორეხარისხოვან, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მაშასადამე, ჩვენი მსჯელობისას მემარჯვენე რადიკალური პარტიების აღმასვლის მიზეზების ოთხი ჯგუფი გამოვყავით:

1. მაკროფაქტორები: უმუშევრობა, მიგრაცია, კრიმინალი, მედია.
2. პოლიტიკურ და პარტიულ სისტემებთან დაკავშირებული ფაქტორები: საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ბარიერი, სახალხო პარტიათა კრიზისი და პარტიათა ურთიერთმიმართების პრობლემატიკა.
3. მოთხოვნასთან ასოცირებული გარემოებები, რომელებიც საზოგადოებრივი ქსოვილის რღვევასთან, შედარებით დეპრივაციასთან და მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ უკმაყოფილებებთან არიან გადაჯაჭვულნი.
4. ცალკე გამოვყავით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა.
5. მეორეხარისხოვან, სპეციფიკურ ფატორად რუსეთის დახმარების სისტემა განვსაზღვრეთ.

თავი IV - რადიკალური მემარჯვენე პარტიების ტიპოლოგია

რადიკალური მემარჯვენე პარტიების განსაკუთრებული მრავალფეროვნების შესახებ ნაშრომის დასაწყისში ერთხელ უკვე ვისაუბრეთ. გარდა მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობისა, რადიკალურ მემარჯვენე ძალების ქვეჯგუფებს კიდევ ერთი გარემოება ახასიათებთ. ქვეჯგუფებს შორის მკაფიო საზღვრის გავლება ძალიან რთულია. ქვეჯგუფებს შორის არსებული მიჯნები ბუნდოვანებითა და რელატიურობით ხასიათდებიან. აღნიშნული პრობლემის გამოხატულებად ტერმინოლოგიური, დეფინიციასთან დაკავშირებული დავები შეგვიძლია მივიჩნიოთ. სამეცნიერო ლიტერატურასა თუ პრესაში მემარჯვენე რადიკალური პარტიების აღსანიშნავად არაერთ განსაზღვრებას ვხვდებით. 2010-იან წლებში დაწინაურებულ პარტიათა ნაწილს მემარჯვენე-ექსტრემისტებად მოიხსენიებენ, ხშირად საუბრობენ მემარჯვენე-პოპულისტური ჯგუფების არსებობაზე, საკმაოდ პოპულარულია ულტრანაციონალისტურ, ევროსკეპტიკურ გაერთიანებებზე ბჭობა. საბოლოოდ, მედიის წარმომადგენლები ხშირად სვამენ კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ტერმინია უფრო ადეკვატური. დებატები განსაზღვრებების შესახებ დღემდე გრძელდება, საყოველთაო შეთანხმება მეცნიერთა შორის არ არსებობს.

ჩვენ შეცდებით, რომ რამდენიმე აქტუალური დეფინიციის გამოყენებით ერთმანეთისგან განვასხვავოთ მემარჯვენე რადიკალური პარტიების ოჯახში შემავალი რამდენიმე ძირითადი ჯგუფი. ჯგუფებს შორის საზღვრების გავლებისას ევროპის პარლამენტში მათი ფრაქციული მიკუთვნებულობის კრიტერიუმითაც ვიხელმძღვანელებთ. ევროპის პარლამენტი არის ერთადერთი ოფიციალური ინსტიტუტი, სადაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი რადიკალური მემარჯვენე პარტიები ერთად იყრიან თავს და თავიანთი პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით სხვადასხვა ალიანსებში ნაწილდებიან. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ რადიკალური მემარჯვენე პარტიებისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ველის ორ ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილად გაყოფის ტენდენცია („ჩვენ“ და „უცხო“ ჯგუფები). ვფიქრობთ, რომ კლასიფიკაციისათვის გამოსადეგი შეიძლება აღმოჩნდეს „უცხო“ ჯგუფთა ურთიერთგანსხვავებული ინტერპრეტაციის

კრიტერიუმიც. მაშასადამე, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ რა ნიშნით ახდენენ სხვადასხვა მემარჯვენე-რადიკალური ჯგუფები რიგი საზოგადოებრივი ერთობების ექსკლუზიას.

მემარჯვენე რადიკალურ ბანაკში ყველაზე ადვილად აღსაქმელ ჯგუფს მემარჯვენე-ექსრემისტული პარტიები წარმოადგენენ. პიერო იგნაცი მათ ტრადიციულ მემარჯვენე ექსტრემისტულ ძალებს უწოდებს (Ignazi, 1995). აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანებები ევროპის ნაცისტური წარსულის სამართალმემკვიდრე ძალებად მიიჩნევიან. **მემარჯვენე-ექსტრემისტული** ქვეჯგუფის ტიპური წარმომადგენლებად მიიჩნევიან: საბერძნეთის რესპუბლიკაში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაცია „ოქროსფერი განთიადი“, უნგრეთის მთავარი საპარლამენტო ოპოზიციური ძალა „იობიკი“ და გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტია (NPD). აღნიშნული პარტიები ევროპარლამენტის არცერთ ფრაქციაში არ არიან გაერთიანებულნი (Janssen, 2015). ისინი უარს ამბობენ სხვა მემარჯვენე ძალებთან კოლაბორაციაზე, თავად კი ფრაქციის ფორმირებისთვის საჭირო მანდატების მოგროვებას ვერ ახერხებენ. აღნიშნული პარტიების ექსტრემისტთა ქვეჯგუფში განთესვას რამდენიმე კონკრეტული გარემოება განაპირობებს. ექსტრემისტებს არ აქვთ მკაფიოდ გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება ევროპის ნაცისტური და/ან ფაშისტური წარსულის მიმართ, ნაცისტური წარსული გადააზრების არსებული პრაქტიკის რევიზიონიზმის იდეაც მათი განმასხვავებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია. ისინი ხასიათდებიან დემოკრატიული წესრიგის კრიტიკით და მიზნად დემოკრატიის მმართველობის განსხვავებული ფორმით ჩანაცვლებას ისახავენ. მემარჯვენე ექსტრემისტულ წრეებში აქტუალობას არ კარგავს ანტისემიტიზმიც (Häusler & Roeser, 2014). „უცხოს“ გამოყოფის, ექსკლუზიის კრიტერიუმად მემარჯვენე ექსტრემისტული პარტიები დღემდე იყენებენ რასისტულ კატეგორიებსა თუ ბიოლოგიურ არგუმენტებს. მემარჯვენე ექსტრემისტთა კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანი ღია აგრესია და პარტიულ სტრუქტურებში პარამილიტარული, აგრესიული ჯგუფების ინტეგრირება გახლავთ (Charalambous, 2015).

რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკური ორგანიზაციების მეორე ჯგუფად ევროპარლამენტის ყველაზე მცირერიცხვოვან ფრაქციაში („ერებისა და თავისუფლების ევროპა“ Europe of Nations & Freedom) გაერთიანებული და აღნიშნულ ალიანსთან

ასოცირებული ძალები შეგვიძლია მივიჩნიოთ. დასახალებული ფრაქციის წამყვან სუბიექტებს საფრანგეთის ნაციონალური ფრონტი, ავსტრიის თავისუფლების პარტია, ნიდერლანდების თავისუფლების პარტია, იტალიური ჩრდილოეთის ლიგა და ბელგიის ფლამენდრიელი ნაციონალისტები წარმოადგენენ. აღნიშნულ ქვეჯგუფს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ ხოლმე. ვხვდებით ტერმინს „პოსტინდისტრიული მემარჯვენე პარტიები“ (Gunther & Diamond, 2003), უფრო ხშირად კი მათ **მემარჯვენე-პოპულისტებად, ნაციონალისტ პოპულისტებად** მოიხსენიებენ (Häusler & Roeser, 2014).

მემარჯვენე-პოპულისტთა ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური თეზისი ეთნოპლურალიზმი გახლავთ. ეთნოპლურალიზმის კონცეფცია გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მულტიკულტურალიზმის იდეების საპირწონედ შეიმუშავეს. ამასთანავე, ეთნოპლურალისტური კონცეფციის საშუალებით მემარჯვენე-პოპულისტური ძალები ცდილობენ ექსტრემისტებისა და ნეონაცისტებისგან დისტანცირებას. ეთნოპლურალისტური ხედვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახლავთ ის, რომ კონცეფცია რასობრივი ნიშნით არ ყოფს და არ აცალკევებს სხვადასხვა ეთნოსს. ეთნოპლურალიზმის მხარდამჭერები არ ცნობენ კონკრეტული ერების უპირატესობას სხვა ხალხებთან მიმართებით. თუმცა, ისინი მოითხოვენ, რომ ყველა ერმა თავის სახელმწიფოში, ისტორიულად ჩამოყალიბებულ თავის საარსებო სივრცეში იარსებოს (Minkenberg, 2013). ეთნოპლურალიზმის კონცეფცია აღიარებს ერთა მრავალგვარობას დიდ გეოგრაფიულ სივრცეში და არა ერთ კონკრეტულ საზოგადოებაში, მულტიკულტურალისტური საზოგადოების უკონფლიქტო და მდგრადი განვითარება მემარჯვენე-პოპულისტებისათვის არარეალისტური ხედვა გახლავთ. აქედან გამომდინარე, რადიკალ მემარჯვენეთა დასახელებული ჯგუფი კატეგორიულად ეწინააღმდეგება მიგრაციას (Rydgren, 2007).

თუ „უცხოს“ გამოყოფის, ექსკლუზიის კრიტერიუმად ექსტრემისტები ბიოლოგიურ არგუმენტებს იყენებდნენ, მემარჯვენე-პოპულისტებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა კულტურულ სხვაობას ენიჭება. რიდგრენი აღნიშნავს, რომ ეთნოპლურალისტური იდეოლოგიის გამოყენებით რადიკალი მემარჯვენეები თავიანთ მთავარ მიზნად ევროპელი ხალხების კულტურული იდენტობის დაცვას, შენარჩუნებას აცხადებენ (Rydgren, 2007).

აღსანიშნავია ისიც, რომ მემარჯვენე პოპულისტები გლობალური კაპიტალიზმის მოწინააღმდეგე ძალას წარმოადგენენ. ისინი ხშირად გამოდიან ტრანსნაციონალური კორპორაციების წინააღმდეგ, ქადაგებენ ადგილობრივი, „ეროვნული ეკონომიკის“ გადარჩენის აუცილებლობას, აკრიტიკებენ ევროკავშირისა და მისი საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკას, ხშირად მათ ეკონომიკურ პოლიტიკას პროტექციონიზმადაც მოიხსენიებენ.

მესამე ქვეჯგუფი შეგვიძლია დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიასა (UKIP) და იტალიურ მოძრაობა „ხუთ ვარსკვლავთან“ დავაკაშვიროთ. UKIP-სა და „ხუთი ვარსკვლავის“ პარტნიორები ევროპარლამენტის ერთ ფრაციაში არიან გაწევრიანებულნი, ფრაციას „თავისუფლებისა და პირდაპირი დემოკრატიის ევროპა“ ჰქვია. აღნიშნული პარტიები პრაგმატულ კონსერვატიულ პოზიციებსა და ანტიევროპულ პოლიტიკას შორის ლავირებენ. მათი მთავარი სამიზნე მაინც ევროკავშირი და მისი სტრუქტურები არიან. ხშირად, **ევროსკეპტიკოსთა** ქვეჯგუფში შემავალი ძალები ევროკავშირიდან გამოსვილის შესახებ რეფერენდუმების მთავარი ინიციატორები არიან (Janssen, 2015). “ხუთი ვარსკვლავის” მოძრაობა ხშირად პრეტენზიას თანამედროვე ელექტრონული პარტიის სტატუსზეც კი აცხადებს ხოლმე. პარტია ხშირად მართავს ელექტრონულ გამოკითხვებს სხვადასხვა სტრატეგიული საკითხის გადასაწყვეტად (Porcaro, 2015). მემარჯვენე-პოპულისტებიგან და ექსტრემისტული ძალების განსხვავებით დასახელებულ ქვეჯგუფს მიკუთვნებული პარტიები ხასიათდებიან ნაკლებად ინტენსიური კავშირებით ერთმანეთთან, არ აქვთ ხანგრძლივი ისტორია (მათი უდიდესი ნაწილის წარმოშობა მხოლოდ საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ მოხდა). აღნიშნული პარტიების რიტორიკა ევროკავშირის წინააღმდეგ არის მიმართული, მათ პოლიტიკას უფრო ხშირად კონსერვატიულს უწოდებენ და იშვიათად მოიხსენიებენ ნაციონალისტებად (Montgomerie, 2014).

მემარჯვენე-ექსტრმისტების, მემარჯვენე-პოპულისტებისა და ევროპასკეპტიკოსების გარდა, რმპ-თა სისტემაში ხშირად ასევე აქცევენ ევროპარლამენტის **„რეფორმისტებისა და კონსერვატორების ჯგუფს“.** აღნიშნული ჯგუფის მთავარ მამოძრავებელ ძალას დიდი ბრიტანეტის კონსერვატიული პარტიის მემარჯვენე ფრთა და აღმოსავლეთ ევროპის კონსერვატიული, არაქრისტიან-

დემოკრატიული პარტიები წარმომადგენენ. „რეფორმისტებისა და კონსერვატორების ჯგუფის“ ყველა წარმომადგენლის რადიკალურ მემარჯვენე პარტიათა ოჯახში განაწილება არ ხდება, თუმცა, ბევრი მათგანი პირდაპირ იზიარებს ჩვენ მიერ რმპ-სთვის საერთო მახასიათებლებად მიჩნეულ პრინციპებს (Häusler & Roeser, 2014).

„რეფორმისტებისა და კონსერვატორების ჯგუფი“ ტეტჩერიზმის იდეოლოგიის მიმდევარ ალიანსად ითვლება (Janssen, 2015). ერთი მხრივ ისინი მხარს უჭერენ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს, დერეგულირების პოლიტიკას, ეფუძნებიან ადგილობრივ ეკონომიკურ ელიტებს. მეორე მხრივ, კი მხარს უჭერენ სოციალურ ავტორიტარიზმს, უმცირესობების მიმართ არალიბერალურ პოლიტიკას, მკაცრ სისხლის სამართლებრივ რეგულაციებს დანაშაულისა და კრიმინალის წინააღმდეგ, ეკლესიის განსაკუთრებულ მორალურ ავტორიტეტს, კლერიკალიზმს (Veugelers, 1999). დასახელებული ზოგადი პოლიტიკური ღირებულებიდან გამომდინარეობს კონსერვატიული პარტიების დამოკიდებულება „უცხო“ სოციალური ჯგუფებისთვის. პოლონეთის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკლესიასთან დაახლოებული, მის ღირებულებებთან მკაფიოდ ასოცირებული და უმკაცრესი საემიგრაციო პოლიტიკის მომხრე პარტიებისთვის მიუღებელია ლიბერალური საიმიგრაციო წესრიგი, მათ გაღიზიანებას განსაკუთრებით იწვევს არაქრისტიანული მოსახლეობის მიგრაცია. ხშირია კონფლიქტები კონსერვატიულ მთავრობებსა და ფემინისტრურ, ქალთა უფლებების დამცველ ჯგუფებს შორის აბორტის თემასთან დაკავშირებით. პოლონეთის ხელისუფლებას განსაკუთრებით პრობლემური ურთიერთობები აქვს ევროკავშირთან (Adekoya, 2017).

„კონსერვატორებსა და რეფორმისტებს“ სხვა რადიკალურ მემარჯვენე ძალებთან ევროკავშირის საწინააღმდეგო განწყობები, ანტისაემიგრაციო პოლიტიკა და სოციალური ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილება აერთიანებთ. ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი კი მათი სახელისუფლებო შესაძლებლობები გახლავთ. „კონსერვატორები და რეფორმისტები“ ნაციონალურ დონეზე ხშირად დომინირებენ სხვა მემარჯვენე ძალებზე და ეძლევათ შესაძლებლობა სათავეში ჩაუდგნენ სამთავრობო კოალიციებს, რაც მათ ნეიტივიზმს შედარებით პრაგმატულს ხდის (Adekoya, 2017).

მაშასადამე, რადიკალური მემარჯვენე ძალების კლასიფიკაციის მიზნით ჩვენ პარტიულ ოჯახში პოლიტიკურ ორგანიზაციათა ოთხი ძირითადი ქვეკატეგორია გამოვყავით: მემარჯვენე-ექსტრემისტები, მემარჯვენე-პოპულისტები (ნაციონალისტები), ევროპასკეპტიკური ძალები და „რეფორმისტთა და კონსერვატორთა“ ჯგუფი. ჩვენ კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობთ, რომ აღნიშნულ სიმრავლეებს შორის საზღვრები მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი არ არის. ამასთანავე, ხშირია პარტიებისა თუ მათი ცალკეული წარმომადგენლების ქვეჯგუფიდან ქვეჯგფუში გადადინების მაჩვენებელი. ევროპარლამენტში ერთი პარტიული სიით გასული დეპუტატები შეიძლება სხვადასხვა ფრაქციაში იყვენენ გადანაწილებულნი.

თავი V - რადიკალური მემარჯვენე ძალების გაძლიერების ტენდენციები საქართველოში

რადიკალური მემარჯვენე ტენდენციები პოლიტიკურ ველზე სხვადასხვა ფორმით ყალიბდება. მეცნიერები რამდენიმე ძირითად ფორმას გამოყოფენ. დასავლეთ ევროპაში რადიკალურ მემარჯვენე ძალებს შეიძლება კარგად ორგანიზებული, საარჩევნო წარმატების შანსის მქონე პოლიტიკური პარტიის სახე ჰქონდეს. ვხვდებით ანალოგიური პოლიტიკური შინაარსის სამოქალაქო მოძრაობებს, რომელთაც სტრუქტურირებული პოლიტიკური პარტიების მახასიათებლები არ აქვთ და მხოლოდ საპროტესტო აქტივობებით შემოიფარგლებიან, მათი საქმიანობა ღია და საჯაროა. ამასთანავე, შეგვიძლია გამოვყოთ ე.წ. „Groupuscules"-ებიც („ბანდები") - მცირერიცხოვანი, აგრესიულად განწყობილი, პოლიტიკური იდენტობის საფუძველზე შექმნილი სუბკულტურები. სამწუხაროდ, არსებობს შემთხვევები, როდესაც სუბკულტურებს გამოყოფილი ინდივიდები დამოუკიდებელ მოქმედებაზე გადადიან („Lone wolves") და ტერორისტულ აქტების ორგანიზებაშიც ერთვებიან ხოლმე (შეგვიძლია გავიხსენოთ ანდრეს ბრეევიკის შემთხვევა) (Kallis, 2014). რიგ შემთხვევებში, რადიკალი მემარჯვენეები სამოქალაქო ასოციაციებისა და მედიის კონკრეტული საშუალებების ირგვლივ კონცენტრირდებიან.

საქართველოში მოქმედი რადიკალური მემარჯვენე ძალების სისტემური კვლევა და ანალიზი ჯერ არ არსებობს. შესაბამისად, ჩვენი მიმოხილვა სრულყოფილი ვერ იქნება. თუმცა, დოკუმენტების პირველადი ანალიზითაც შესაძლებელია რამდენიმე კონკრეტული დაკვირვების დასაბუთება.

2016 წლის ოქტომბრის არჩევნებში წარმატებას მიაღწია პოლიტიკურმა პარტიამ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" (სპა) . განვიხილოთ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" რადიკალური მემარჯვენე პარტიებისთვის დამახასიათებელი ჩვენ მიერ გამოყოფილი ხუთი ძირითადი ნიშნის მიხედვით.

სპა არ გახლავთ საქართველოს მთავარი ცენტრისტული მემარჯვენე პარტია და არ არის აფელირებული ევროპის უდიდეს ქრისტიან-დემოკრატიულ ალიანსთან, „სახალხო პარტიასთან". პირიქით, საქართველოში სახალხო პარტიის დასაყრდენ ორივე ძირითად პოლიტიკურ ორგანიზაციათან (ენმ და „ევროპული საქართველო - მოძრაობა

თავისუფლებისთვის“) მას განსაკუთრებით რთული ურთიერთობა აქვს. პარტიას დეკლარირებული აქვს, რომ მათთან ნებისმიერი ტიპის თანამშრომლობას გამორიცხავს (Sikharulidze, 2016).

„პატრიოტთა ალიანსი“ კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხს. თუმცა, გამოირჩევა განსაკუთრებული სკეპტიციზმით ქვეყნის „ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში“ გაწევრიანების თემასთან მიმართებით. ამასთანავე, დამკვირვებელთა შეფასებით აღნიშნული პარტიის ნარატივი ხშირად აღბეჭდილია პრო-რუსული სენტიმენტებით, რაც ევროსკეპტიციზმის პირველად ნიშნად შეგვიძლია განვიხილოთ (Rotaru & Troncotă, 2017).

სპა თავის პოლიტიკურ იდეოლოგიად ღიად აცხადებს ნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს. პარტიის დამფუძნებელი და ლიდერი დავით თარხან-მოურავი, პროგრამულ წერილში „რას ნიშნავს ნამდვილი პატრიოტიზმი“ ყურადღებას ამახვილებს ქართველი ხალხის გამორჩეულ მახასიათებლებზე, მათ უპირატესობებზე, ქართველად დაბადების პრივილეგიებსა და თანმხვედრ პასუხისმგებლობებზე. ავითარებს საქართველოში „ქართული პატრიოტული ღირებულებების“ მოწინავეობის იდეას (Leitkultur). თუმცა, დაუშვებლად მიიჩნევს ნაციონალური უმცირესობების დისკრიმინაციასა და გარიყვას. წერილის ერთ-ერთი პასაჟი მთლიანად საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის მეთაურის გამორჩეულ როლსა და ფუნქციას, მის ავტორიტეტს ეძღვნება (Tarkhan-Mouravi, 2016).

„პატრიოტთა ალიანსის“ რიტორიკაში ვხვდებით უცხოსმოშიშეობის, მტრობის ელემენტებსაც. მათი შეტევის მთავარი ობიექტები თურქები არიან. წინასაარჩევნოდ რამდენიმე ტელევიზიამ ქსენოფობიური შინაარსის გამო მათი საარჩევნო კლიპის გაშვებაც კი დაბლოკა. პარტია იძულებული გახდა ეთერში გასაშვებად სხვა ჩანაწერები მოემზადებინა (Sikharulidze, 2016). პარტიასთან ასოცირებული ტელეკომპანია „ობიექტივი“ ჰომოფობიური კონტენტის გამო ხშირად ხვდება ხოლმე მედიამონიტორინგის ფარგლებში ჩატარებულ მიმოხილვებში (Mediacheker, 2016).

შესაჯამებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ჩვენ მიერ გამოყოფილი რადიკალური მემარჯვენეობის კრიტერიუმების ნაწილს სრულად, ნაწილს კი ნაწილობრივ აკმაყოფილებს. სპა არაქრისტიან-დემოკრატიული,

ევროატლანტიკური სკეტიციზმით გამორჩეული, ნაციონალისტური, რიგი უმცირესობების წინააღმდეგ მტრულად განწყობილი პოლიტიკური ძალა გახლავთ, რომელსაც რუსეთისადმი ლოიალური რიტორიკა ახასიათებს. შესაბამისად, კავშირების აღმოჩენა ევროპის რადიკალურ მემარჯვენე ძალებსა და საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მესამე ადგილზე გასულ პარტიას შორის თავისუფლად არის შესაძლებელი.

რადიკალური მემარჯვენე ტენდენციებით დაინტერესებული მკვლევრებისთვის საინტერესო იქნება აღნიშნულ პარტიასა და ნაციონალისტურ მოძრაობებსა თუ სუბკულტურებს შორის არსებული კავშირების ანალიზი, რის დეფიციტსაც ჩვენ სამეცნიერო დისკურსში ვაწყდებით.

დასკვნა

რადიკალური მემარჯვენე პარტიების აღმასვლა თანამედროვე ევროპაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა. მათი ნაწილი უკვე გადამწყვეტ გავლენას ახდეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მთავრობების ფორმირებაზე. აღმასრულებელ ხელისუფლებათა ჩამოყალიბების პროცესის გარდა, რადიკალურ მემარჯვენე ძალებმა თავიანთი მყარი პოზიციები მოიპოვეს ზოგადად პოლიტიკურ დისკურსში. ისინი ევროპული პოლიტიკური ლანდშაფტის ანგარიშგასაწევ ფლანგს წარმოადგენენ.

რადიკალურ მემარჯვენე პარტიათა პოლიტიკური ოჯახის საზღვრების დადგენა საკმაოდ რთულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათ მთავარ მახასიათებელს მემარჯვენე დისკურსში ქრისტიან-დემოკრატიული პარტიებისგან დისტანცირება, ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკა, ორგანზომილებიანი პოპულიზმი, ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების ეჭვქვეშ დაყენება და საზოგადოების შემადგენლობაში მტრული ჯგუფების გამოცალკევება გახლავთ.

მიუხედავად სტრატეგიული პოლიტიკური მიზნების გაზიარებისა, რადიკალურ მემარჯვენე პარტიათა ერთობაში შესაძლებელი სხვადასხვა ქვეჯგუფის გამოყოფა. თანამედროვე ევროპაში საარჩევნო ბრძოლებში ჩართულები არიან ნაცისტური და ფაშისტური გამოცდილების პოზიტიურად გადააზრების მომხრე პოლიტიკური ძალები, რომლებიც ექსტრემისტურლი და ძალადობრივი რიტორიკით გამოდიან. ვხვდებით ნაციონალისტურ ძალებს, რომლებიც თავიანთ დღის წესრიგს დემოკრატიულ პროცედურებს უკავშირებენ, ერებს შორის იერარქიას უარყოფენ, მაგრამ ხალხების განცალკევებით, მულტიკულტურულ საზოგადოებაში ინტეგრირების გარეშე ცხოვრებას უჭერენ მხარს. ისლამოფობიითა და კულტურული ნიშნით ადამიანების გარიყვის გარდა, რადიკალურ მემარჯვენე ძალთა კიდევ ერთ ჯგუფს განსაკუთრებული ევროსკეპტიციზმი ახასიათებთ და პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იდეად თავიანთი სახელმწიფოების ევროკავშირის შემადგენლობიდან გასვლას აცხადებენ. რადიკალ მემარჯვენეთა ბანკში ვაწყდებით დიდ მასობრივ პარტიებსაც, რომლებიც სხვა მონათესავე პოლიტიკური ორგანიზაციებისგან ნაკლები რადიკალიზმითა და მეტი პრაგმატიზმით ხასიათდებიან. თუმცა, ისინიც ეთანხმებიან ანტისაემიგრაციო, ნაციონალისტურ და ლიბერალური დემოკრატიის რევიზიის მოსაზრებებს.

რადიკალური მემარჯვენე პარტიების აღმასვლა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო და განსაკუთრებით ნელი დინამიკით ხასიათდებოდა. თუმცა, საარჩევნო ბარიერის გადალახვის პრობლემის მქონე პარტიები ახალი საუკუნის დასაწყისში მთავრობის ჩამოყალიბების შანსის მქონე ძალებად იქცნენ. მათი დაწინაურება მრავალმა მიზეზმა განაპირობა - ინდივიდუალური და ფსიქოლოგიური გარემოებებიდან დაწყებული მაკროფაქტორებით (კრიმინალი, მიგრაცია, უმუშევრობა) დასრულებული. რმპ-ის წარმატებას კონკურენტების ჰომოგენიზაციის პროცესმა, რესპუბლიკურ პარტიებს შორის იდეათა უნივერსალიზაციის ტენდენციამაც შეუწყო ხელი. ჩვენი ინტერესის სფეროში მოხვედრილი პარტიები განსაკუთრებით ძლიერები არიან საპარლამენტო რესპუბლიკებში, სადაც საკანონმდებლო ორგანოები პროპორციული წესით კომპლექტდება.

აღსანიშნავია, რომ ახალმა ევროპულმა ტენდენციამ საქართველომდეც მოაღწია. ჩვენს ქვეყანაში ნელ-ნელა ძლიერდებიან რუსეთისგან მხარდაჭერილი, ქსენოფობიური და ნაციონალისტური მოძრაობები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ანალოგიური დღის წესრიგის მქონე პარტიებისთვის დასაყრდენი შეიძლება აღმოჩდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

Adekoya, R. (2016 , October 25). Xenophobic, authoritarian – and generous on welfare: how Poland's right rules. *The Guardian*. Retrieved January 31, 2018, from https://www.theguardian.com/commentisfree/2016/oct/25/poland-right-law-justice-party-europe

Afoso, A. (2017). *The rise of far-right parties and the future of the European Union.* European Trade Union Institute.

Arzheimer, & Carter. (2006). Political Opportunity Structures and Right-Wing Extremist Party Success. *European Journal of Political Research* (45), 419-443.

Arzheimer, K. (2017). Explaining Electoral Support for the Radical Right. In J. Rydgren (Ed.). Oxford University Press.

Bidder, B. (2016, February 4). Russlands rechte Freunde. *Der Spiegel*. Retrieved January 31, 2018, from http://www.spiegel.de/politik/ausland/russland-wladimir-putins-rechtsextreme-freunde-in-europa-a-1075461.html

Bustikova, L. (2017). The Radical Right in Eastern Europe. In J. Rydgren (Ed.), *The Oxford Handbook of the Radical Right.* Oxford University Press.

Candeias, M. (Ed.). (2015). *Rechtspopulismus in Europa.* Berlin: Rosa-Luxsemburg-Stiftung.

Capodici, V., & Lutz, M. (2017, December 20). Der abgebremste Vormarsch der Populisten. *Tages-Anzeiger*. Retrieved January 31, 2018, from https://interaktiv.tagesanzeiger.ch/2017/populisten-vormarsch/?openincontroller

Charalambous, G. (2015). *The European Far right: historical and contemporary perspectives.* Friedrich-Ebert-Stiftung.

Chwala, S. (2015). Der Front National in Frankreich – auf dem Weg zur „Neuen Arbeiterpartei"? In M. Candeias (Ed.), *Rechtspopulismus in Europa* (pp. 27-42). Berlin: Rosa-Luxsemburg-Stiftung.

Cieschinger, A., & Gathmann, F. (2018 , January 20). Was passiert, wenn die SPD keine GroKo will? *Der Spiegel*. Retrieved January 31, 2018, from http://www.spiegel.de/politik/deutschland/minderheitsregierung-oder-neuwahlen-wenn-die-spd-keine-groko-will-a-1188804.html

Die Koalitionen der Bundesländer. (2018). Retrieved Janaury 31, 2018, from Deftz: https://deftz.de/Geo/Landtagskoalition

Eatwell, R. (2004). Introduction: the new extreme right challenge. In R. Eatwell, & C. Mudde (Eds.), *Western Democracies and the New Extreme Right Challenge* (pp. 1-15). London: Routledge.

Eller, L. L. (2017). *Explaining the Rise of Far-Right Political Parties in Europe.* University of Tennessee.

Gunther, & Diamond. (2003). *Species Of Political Parties, A New Typology .* Sage.

Halikiopoulou, & Vasilopoulou. (2015). The Rise of the Golden dawn in Greece. In G. Charalambous (Ed.), *The European Far right: historical and contemporary perspectives.*

Häusler, A., & Roeser, R. (2014). *Rechtspopulismus in Europa und die rechtspopulistische Lücke in Deutschland.* Erfurt: Mobit e.V.

Held, J., Hackl, R., & Bröse, J. (2017). *Rechtspopulismus und Rassismus im Kontext der Fluchtbewegung.* Rosa-Luxsemburg-Stiftung.

Ignazi, P. (1995). *The Re-emergence of the Extreme Right in Europe.* Reihe Politikwissenschaft.

Ingelhart, R. (1977). *The Silent Revolution. Changing Values and Political Styles among Western Publics.* Princeton: Princeton University Press.

Janssen, T. (2015). Mistrauenvotum. In M. Candeias (Ed.), *Rechtspopulismus in Europa* (pp. 7-15). Berlin: Rosa-Luxsemburg-Stiftung.

Kallis, A. (2014). *The Radical Right in Contemporary Europe.* Seta.

Kershaw, I. (2011). Ghosts of Fascists Past. *The National Interest*(112), pp. 6-14.

Kitschelt, H. (1995). *The Radical Right in Western Europe. A Comparative Analysis.* Ann Arbor: The University of Michigan Press.

Knigge, P. (1998). The Ecological Correlates of Right-Wing Extremism in Western Europe. *European Journal of Political Research*(34), 249–279.

Ladrech, R. (2006). The European Union and political parties. In R. S. Katz, & W. Crotty (Eds.), *Handbook of Party Politics.* Sage.

Loewy, M. (2015). Zehn Thesen zur radikalen Rechten in Europa. In M. Candeias (Ed.), *Rechtspopulismus in Europa* (pp. 3-7). Berlin: Rosa-Luxsemburg-Stiftung.

Mediachecker. (2017, November 7). *Mediachecker*. Retrieved January 31, 2018, from ჰომოფობია „ობიექტივის“ ეთერში: http://mediachecker.ge/criticnews/detail/426/

Minkenberg, M. (2013). The European Radical Right and Xenophobia in West and East: Trends, Patterns and Challenges. In R. Melzer, & S. Serafin (Eds.), *Right-wing Extremism in Europe.* Friedrich-Ebert-Stiftung.

Montgomerie, T. (2014). Britain's Tea Party. *The National Interest*(133), pp. 30-36.

Mudde, C. (2007). *Populist Radical Right Parties in Europe.* Cambridge: Cambridge University Press.

Muis, J., & Immerzeel, T. (2017). Causes and consequences of the rise of populist radical right parties and movements in Europe. *Current Sociology Review, 65*(6), 909–930.

Müller, & Sieberer. (2006). Party law. In R. S. Katz, & W. Crotty (Eds.), *Handbook of Party Politics.* Sage.

Polyakova, A. (2014). Strange Bedfellows: Putin and Europe's Far Right. *World Affairs, 177*(3), 36-40.

Procaro, M. (2015). Der Movimento 5 Stelle. In M. Candeias (Ed.), *Rechtspopulismus in Europa* (pp. 20-27). Berlin: Rosa-Luxsemburg-Stiftung.

Rotaru, & Troncotă. (2017). *Russia and the Former Soviet Space: Instrumentalizing Security, Legitimizing Intervention.* Cambridge Scholars Publishing.

Rydgren, J. (2007). The Sociology of the Radical Right. *Annual Review of Sociology*(33), 241-262.

Sikharulidze, A. (2016, October 27). *Post-election Georgia: More problems to come?* Retrieved January 31, 2018, from New Eastern Europe: http://neweasterneurope.eu/2016/10/27/post-election-georgia-more-problems-to-come/

Tarkhan-Mouravi, D. (2016). *What does True Patriotism Mean?* Retrieved January 31, 2018, from Alliance of Patriots of Georgia: http://patriots.ge/our-vision-program/

Veugelers, J. W. (1999). A Challenge for political sociology: The rise of far-right parties in contemporary western Europe. *Current Sociology Review, 47*(4).

Wiegel, G. (2015). Europa von rechts. In M. Candeias (Ed.), *Rechtspopulismus in Europa.* Berlin: Rosa-Luxsemburg-Stiftung.

ზარქაია, მ. (2017). პროგრესული ნეოლიბერალიზმი და ულტრამემარჯვენე პოლიტიკა: რატომ უნდა ვეძებოთ ემანსიპაციის და სამართლიანობის სხვა გზა. ლ. ქავთარაძე (რედ.), *ქვიარ პოლიტიკა: ევროპეიზაცია, ლოკალური კონტექსტი და აქტივიზმის გამოწვევები* (გვ. 165-181). თბილისი: EMC.

გათმანი და ჰენრიქსი. (2016). „თბილისის ფაბიანური საზოგადოების“ ანალიტიკური ალმანახი.

ტრიტინი, ი. (2016). პოლიტიკა ტრანსფორმაციისათვის. *მწვანე ანთოლოგია* (გვ. 163-203). კავკასიური სახლი, ჰბფ-ის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა

პირველი სემესტრის დოქტორანტი

მაია შამანაური

სადოქტორო სემინარი

„მასობრივი კომუნიკაციის თეორიები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა მაისაშვილი

თბილისი

2018

თავი 1

მასობრივი კომუნიკაცია - ტერმინის დაბადება და მასთან დაკავშირებული ზოგადი თეორიული ჩარჩოები. რა არის თეორია მედიის შესახებ?

ტერმინი "მასობრივი კომუნიკაცია," მასმედიასთან ერთად, მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ახალი სოციალური ფენომენის აღსაწერად. მეოცე საუკუნის დასაწყისი - ეს იყო დიდი მიგრაციის ხანა: სოფლებიდან ქალაქებში, ერთი ქვეყნიდან მეორეში, ეკონომიკური არასტაბილურობის ხანა, სახელმწიფოებს შორის ღია თუ ფარული ომებისა და ბრძოლების ხანა.

მასმედია (როგორც ინფორმაციის მასობრივად გავრცელების საშუალებათა ერთობლიობა) კომუნიკაციის პროცესს განსაზღვრავდა რამდენიმე განზომილების მიხედვით: თავისი ბუნებით ის იყო ორგანიზებული, ხოლო მისი ეფექტი გათვლილი იყო შორ მანძილსა და მოკლე დროზე.

აი სწორედ ამ გარდამავალ ეპოქაში, ამ ამოცანებიდან გამომდინარე იშვა ტერმინი „მასობრივი კომუნიკაცია“, რომელიც ასახავდა იმდროინდელი საზოგადოებისა და კულტურის ტენდენციებსა და ცვლილებებს, როგორც პიროვნულ, ასევე საზოგადოებისა და "მსოფლიო სისტემის"დონეზე.

მასმედიის ადრეული ფორმები (გაზეთები, ჟურნალები, ფონოგრამა, კინო და რადიო) ძალიან სწრაფად განვითარდნენ, რათა მიეღოთ ის ფორმები, რომლებიც დღეს ფართოდ არის გავრცელებული და აღიარებული. მათ მეოცე საუკუნის შუა ხანებში დაემატა ტელევიზიაც. თუმცა, დღეს უკვე ვთანხდებით, რომ მასმედია ფართო საზოგადოებასთან გლობალური კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება აღარ არის. დროთა განმავლობაში, შემუშავდა ახალი ტექნოლოგიები და ამოქმედდა კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები. მასობრივი კომუნიკაცია, როგორც ფართომასშტაბიანი, საზოგადოებრივი კონტენტის, ინფორმაციის ერთადერთი გამტარი აღარ არის, მართალია, ის არ სუსტდება, მაგრამ ინფორმაციის გადაცემა

მხოლოდ "ტრადიციული" მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აღარ ხდება. მათ დაემატა ახალი მედია, განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტერნეტი და მობილური ტექნოლოგიები, რომელთა საშუალებითაც ახალი ტიპის კონტენტისა და ნაკადის გადაცემა ერთდროულად ხდება. მათი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები ისაა, რომ ისინი უფრო ფართოა, ნაკლებად სტრუქტურირებული, ხშირად ინტერაქტიული და ასევე ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი.

ცვლილებების მიუხედავად, ეჭვგარეშეა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თანამედროვე საზოგადოებაში, პოლიტიკაში, კულტურაში, ყოველდღიურ თუ სოციალურ ცხოვრებასა და ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მასმედია ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის, პოლიტიკოსებისა თუ უბრალო მოქალაქეებისთვის აზრის გამოხატვის, საკუთარი მოსაზრების გავრცელების სივრცედ, ამასთანავე საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მძლავრ იარაღად რჩება. რაც შეეება კულტურის ნაწილს, ამ თვალსაზრისით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უმეტესწილად, სოციალური იდენტობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებას უწყობს ხელს. მედიას გავლენა აქვს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზეც.

რაც უფრო ფართოვდებოდა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები და რაც უფრო იზრდებოდა მათი გავლენა საზოგადოებაზე, მით უფრო ჩნდებოდა ინტერესი მის მიმართ სამეცნიერო წრეებში.

მასობრივი კომუნიკაციური თეორიების შექმნას წინ მრავალი საველე გამოკვლევები უძღოდა, რომლებიც თავდაპირველად სახელმწიფოს მიერაც კი ფინანსდებოდა.

თავდაპირველად, მასობრივ კომუნიკაციას საკუთარი თეორიები არ ჰქონდა. ანუ - არ არსებობდა ისეთი დოქტრინები და თეორიული პლატფორმები, რომლებიც ექსლკუზიურად მედიისა და კომუნიკაციის შესწავლისთვის იქნებოდა შექმნილი. მეცნიერები, რომლებიც მასობრივ კომუნიკაციას შეისწავლიდნენ, იძულებულნი იყვნენ, მომიჯნავე, სხვა დისციპლინების თეორიები გამოეყენებინათ. თუმცა, სანამ

მასობრივი კომუნიკაციის თეორიებსა და მათი ჩამოყალიბების პროცესზე ვისაუბრებდეთ, მანამდე განმავრტოთ, თუ რას ნიშნავს თეორია.

თეორია ბერძნული სიტყვაა (ბერძნ. Θεωρία) და ნიშნავს განხილვას, გამოკვლევას. ის მოძღვრება, იდეებისა და პრინციპების სისტემაა. თეორია გაერთიანებაა განზოგადებული მდგომარეობებისა, რომლებიც ქმნის მეცნიერებას ან მის რომელიმე დარგს ან ქვედარგს. იგი წარმოადგენს სინთეზური ცოდნის ფორმას, რომლის ფარგლებშიც ცალკეული წარმოდგენები, ჰიპოთეზები და კანონები კარგავენ პირვანდელ ავტონომურობას და ხდებიან დიდი, ერთიანი სისტემის ელემენტები. თეორიაში ყოველი დასკვნა გამომდინარეობს სხვა დასკვნებისგან - ლოგიკური აზროვნების წესებზე დაყრდნობით. პროგნოზირების შესაძლებლობა თეორიული კონსტრუქციების შედეგია.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი ცნება თეორიის ოთხ განმარტებას გვთავაზობს: (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=15414)

1. გამოცდილების, საზოგადოებრივი პრაქტიკის ლოგიკური განზოგადება, რომელიც ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას ასახავს;

2. იმ განზოგადებულ დებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან მეცნიერებას ან მის ერთ-ერთ დარგს;

3. იმ წესების, დებულებების ერთობლიობა, რომელთა შესწავლა გვეხმარება ამა თუ იმ დარგის დაუფლებაში;

4. ზოგადი, განყენებული მსჯელობა, შეხედულებანი, პრაქტიკული მოქმედების საპირისპიროდ.

არსებობს რამდენიმე სახის თეორია, მაგრამ ზოგადად თეორია, დაფუძნებულია დაკვირვებისა და ლოგიკური არგუმენტების გზით ობიექტის ფენომენის ახსნა-განმარტებაზე. თეორიის მთავარი მიზანი რეალობის გააზრება და მტკიცებულებების

შეგროვება და შეფასებაა. შესაბამისად, თეორია ცნებაა, ერთ-ერთი იარაღია, რომელსაც შეუძლია წარმოშობილი იდეების ახსნა-განმარტება. თუმცა, თეორიის ყველაზე ზოგადი განსაზღვრებაც კი არ იძლევა ზუსტ პასუხს კითხვაზე, რომელია მასობრივი კომუნიკაციის საყოველთაოდ აღიარებული თეორია, რადგან მასობრივი კომუნიკაცია და მედია რამდენიმე დისციპლინას მოიცავს, შესაბამისად, არსებობს მასობრივი კომუნიკაციის არა ერთი უნივერსალური თეორია, არამედ თეორიები. რომლებიც პერმანენტულად ვითარდება.

თუ თეორიას განვმარტავთ, როგორც იდეების სისტემას, რომელიც ქმნის ფენომენს, ხსნის ქმედებას ან წინასწარ გარემოებას, მაშინ შეიძლება მინიმუმ 5 თეორია დასახელდეს, რომლებიც რელევანტური იქნებიან მასობრივი კომუნიკაციისთვის. მასობრივი კომუნიკაციის თეორიის ტიპების ეს კლასიფიკაცია პარადიგმაში შემდეგ ხუთი ტიპის თეორიას აერთიანებს. ესენია: სოციალურ-სამეცნიერო, კულტურული/კულტურალური, ნორმატიული, ოპერაციული და ყოველდღიური თეორია.

მედიის სოციალურ-სამეცნიერო თეორია გვთავაზობს მასობრივი კომუნიკაციის ბუნების ზოგად ახსნას, აღწერს მის მუშაობასა და ეფექტებს. სოციალურ-მეცნიერული თეორია თავის წიაღში აყალიბებს მასობრივი კომუნიკაციის, მათ შორის მასმედიის, ბუნების, არსის, ფუნქციონირებისა და ეფექტების შესახებ მეცნიერულ საფუძვლებს, რომლებიც ემყარება სისტემატიზებულ და ობიექტურ დაკვირვებას მედიასა და სხვა შესაბამის წყაროებზე. ეს თეორია დიდწილად წარმოდგება სოციოლოგიიდან, ფსიქოლოგიისა და პოლიტიკიდან.

კულტურული თეორია თავისი არსით უფრო მრავალფეროვანია. ზოგჯერ ის თავისი ფორმებით შეფასებითია და ისწრაფვის კულტურული არტეფატქების დიფერენცირებისკენ, ხარისხის ზოგიერთი კრიტერიუმის მიხედვით. ზოგჯერ მისი მიზანი თითქმის საპირისპიროა, ცდილობს იერარქიულ კლასიფიკაცია დაარღვიოს, მიუხედავად იმისა, რომ კულტურული თეორია ითხოვს მკაფიო არგუმენტსა და

არტიკულაციას, თანხმობასა და თანმიმდევრულობას, ხოლო მისი ძირითადი ბირთვი ხშირად წარმოსახვითი და იდეალიზებულია, ის ნაკლებად ემორჩილება რაიმე კანონზომიერების დადგენას, დაწესებას შემოწმებისა და დაკვირვების გზით, ანუ უფრო მეტად ლოგიკურია, ვიდრე ემპირიულ-ლოგიკური.

მესამე სახეობას შეიძლება ნორმატიული ვუწოდოთ. ის ორიენტირებული იმაზე, თუ როგორ უნდა ოპერირებდეს მედია შემოწმებისა და აღწერის საფუძველზე. ის მნიშვნელოვანია, რადგან მედია ინსტიტუციის ლეგიტიმაციისა და ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაშინ როდესაც ნორმატიული თეორია თავის მხრივ არაობიექტურია, მისი შესწავლა სოციალური მეცნიერების ობიექტური მეთოდითაა შესაძლებელი. ნორმატიული თეორია კონცენტრირებულია მედიის კანონებზე, რეგულაციებზე, ეთიკის კოდექსებსა და საჯარო დებატების აუცილებლობაზე. შესაბამისად, ამა თუ იმ საზოგადოების წიაღში შექმნილი ნორმატიული თეორიები შეისწავლიან თავიანთ მედიას კანონმდებლობის, მარეგულირებელი ნორმების, მედიური პოლიტიკის, ეთიკის კოდექსებისა და საჯარო დებატების ჭრილში. ნორმატიული თეორია შეისწავლის მედიისა და მასობრივი კომუნიკაციების სხვა ინსტიტუციების ფუნქციონირების ნორმატიულ და მარეგულირებელ საფუძვლებს განსაზღვრული სოციალური ღირებულებების სისტემაში. ამგვარი თეორიები, როგორც წესი, ეფუძნებიან მოცემული საზოგადოების სოციალურ ფილოსოფიასა თუ იდეოლოგიას. თეორიის ეს ნაირსახეობა, დენის მაქქუეილის აზრით, იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი მონაწილეობს მედიაინსტიტუციების ჩამოყალიბებასა და და ლეგიტიმაციაში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მედიის მიმართ საზოგადოების მოლოდინზე.

მეოთხე ეს არის ოპერაციული თეორია, ოპერაციული თეორია შეისწავლის იმ პრაქტიკულ იდეებს, რომლებსაც მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის ველის პრაქტიკოსები თავიანთი სამუშაოს შესრულებისას იყენებენ. მედიის შემთხვევაში ოპერაციული თეორია ემსახურება გადაწყვეტილებების მიღებას ისეთი

ფუნდამენტური ამოცანების გადაჭრისას, როგორებიც არის: ახალი ამბების შერჩევა, სელექცია, სისტემატიზაცია, რეკლამის ეფექტური დიზაინის შექმნა და ასე შემდეგ. ზოგჯერ ის შესაძლოა ნორმატიულ თეორიასთან გადაიკვეთოს, მაგალითად ისეთ საკითხებში როგორებიცაა: ჟურნალისტური ეთიკა და პრაქტიკული კოდექსები.

და ბოლოს არის ყოველდღიური თეორია, რომელიც დაფუძნებულია ინდივიდების მიერ მედიის ინდივიდუალურ გამოყენების ცოდნაზე, ანუ ყოველდღიური თეორია აღნიშნავს ცოდნას, რომელიც თითოეულმა მედიამომხმარებელმა თავისი პირადი გამოცდილებით შეიძინა. ეს გამოცდილება კი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, აირჩიოს ის მედიუმი, რომელსაც იგი ყოველდღიურად კითხულობს, უსმენს, უყურებს; გაიგოს, როგორ „იკითხება“ რეალურად კონტენტი, როგორ იშიფრება მისი შინაარსი და როგორ ურჩევნია თავად მომხმარებელს, როგორ იღებს მას, რა სხვაობაა მედიის ჟანრებს შორის.

საერთო-შემეცნების თეორიის მუშაობა ჩანს მედიის გამოყენების ნორმებში, რომელსაც ბევრი ადამიანი აღიარებს და მიჰყვება. სოციალური განმარტებები, რომლებსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იყენებენ, არ იქმნება მედიის თეორეტიკოსების ან კანონმდებლების მიერ, ან თუნდაც თავად მედია მწარმოებლების მიერ, არამედ დროთა განმავლობაში აუდიტორიის გამოცდილებასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით წარმოიქმნება. მედიის ისტორია და მისი სამომავლო პერსპექტივები თეორიის ამ გაურკვეველ განშტოებაზე უფრო მეტად დამოკიდებულია, ვიდრე სხვა რამ.

გასაკვირი არაა, რომ მედიის თეორიის სფერო ასევე ხასიათდება განსხვავებული პერსპექტივით. მაგალითად, განსხვავებაა მემარცხენე (პროგრესული ან ლიბერალური) და მემარჯვენე (კონსერვატიული) ტენდენციებს შორის, რომელთა გარჩევაც შესაძლებელია.

მაგალითად მემარცხენე თეორია, სახელმწიფოს ან დიდი გლობალური კორპორაციის მიერ მედიის ფლობის წინააღმდეგია, მაშინ როდესაც კონსერვატული თეორიის მიმდევრები, ახალი ამბების "ლიბერალურ მიკერძოებასა" და მედიის მიერ ტრადიციული ღირებულებებისთვის ზიანის მიყენებაზე მიუთითებენ.

თავი 2

მედიის შესახებ თეორიების ოთხი განზომილება

მაქქუელი, გამოჰყოფს რა მედიის შესახებ თეორიების ტიპებს, იგი ოპერირებს ორი განზომილებით - ერთი განზომილების ორი პოლუსი არის მედია და/ან საზოგადოება, ხოლო მეორე განზომილების პოლუსი არის მატერიალიზმი და/ან კულტურალიზმი.

ეს განზომილებები რომ წარმოვიდგნოთ ორი ურთიერთგადამკვეთი წრფის სახით, შედეგად მივიღებთ ოთხ ველს, რომლებზეც შესაბამისი თეორიები იბადებიან. მედიაცენტრიზმის ქვეგანზომილებები არიან მედიაკულტურალიზმი და მედიამატერიალიზმი, ხოლო სოციოცენტრისტულ განზომილებას თავისი ქვეგანზომილებები აქვს: სოციოკულტურალიზმი და სოციომატერიალიზმი.

მასობრივი კომუნიკაციის მედია-ორიენტირებული მიდგომა ეფუძნება თვალსაზრისს, რომლის მიხედითაც ადამიანი ემორჩილება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ზემოქმედებას და ვერ ეწინააღმდეგება მას. ამ თვალსაზრისს ავითარებს დენის მაქქუეილი. მან პირველმა მიაქცია ყურადღება, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, განსაკუთრებით კი ტელევიზიას, ინფორმაციის შინაარსის მიუხედავად, შეუძლია აზრის ფორმირება. ხოლო ინფორმაციის გადაცემის დროს ტექნიკური საშუალებები არ წარმოადგენს მხოლოდ ნეიტრალურ გადამცემებს, არამედ ის ინფორმაციას ამდიდრებს თავისი თვისებებით.

სოციალურ-ცენტრისტული თეორია მედიას, ძირითადად, განიხილავს როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ძალების ასახვას.

მედია-კულტურალისტული პერსპექტივა - ეს მიდგომა აუდიტორიის კონკრეტული წევრების თვალსაზრისს ეფუძნება, რომელიც მას კონკრეტული ჟანრის ან მედიაკულტურის მიმართ აქვს და განიხილავს მოცემულ კონტექსტში გამოცდილების სუბიექტურ გაგებას.

მედია-მატერიალისტური ხედვა, მიდგომა - მედიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთმიმართებების თეორიების ერთ-ერთი განზომილება და ტიპია. მედიამატერიალისტური მიდგომა აქცენტს აკეთებს მედიის ორგანიზაციულ, ფინანსურ და ტექნოლოგიურ ასპექტებზე.

სოციალ-კულტურალისტური პერსპექტივა - მედიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთმიმართებების თეორიების ერთ-ერთი განზომილება და ტიპია. იგი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს სოციალური ფაქტორების გავლენას მედიაპროდუქტზე, მის აღქმა-მიღებაზე და მედიის ფუნქციებზე სოციალურ ცხოვრებაში. არსებითად ამ თვალსაზრისით მედია და მედიაგამოცდილება უფრო ძლიერ ძალას იყენებს, რაც გავლენას ახდენს საზოგადოებასა და ინდივიდუალიზმზე.

სოციალ-მატერიალისტური პერსპექტივა - მედიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთმიმართებების თეორიების ერთ-ერთი განზომილება და ტიპი. ეს მიდგომა მედიასა და მედიურ შინაარსს განიხილავს უპირველესად როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და მატერიალური ძალებისა და პირობების, გარემოებების რეფლექსიას. ასევე ეს მიდგომა ჩვეულებრივ უკავშირდება კრიტიკას, მედია მფლობელობისა და კონტროლის თვალსაზრისით, რომელიც საბოლოო ჯამში დომინანტ იდეოლოგიას აყალიბებს, რაც გადაიცემა ან მოწონებულია მედიასაშუალების მიერ.

თავი 3

მასობრივი მედიუმები და მათი გავლენა საზოგადოებაზე

სანამ უშუალოდ მასობრივი კომუნიკაციის თეორიებს განვიხილავთ, მანამდე მიმოვიხილოთ, თუ როგორ ჩამოყალიბდა მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება.

ერთ-ერთი პირველი მასობრივი კომუნიკაციის საშუალება იყო წიგნი. წიგნი, რომელიც თავდაპირველად ხელით იწერებოდა და მისი გადაწერა ზოგჯერ რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ქაღალდისა და მოგვიანებით საბეჭდი მანქანის შექმნამ ფართო მასებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა. წიგნი იმდენად გავრცელებული და ყველასთვის ნაცნობი მედიასაშუალებაა, რომ მასმედიის სხვა საშუალებების შექმნისა და განვითარების მიუხედავად, ის მაინც კონკურენტუნარიანია.

მოგვიანებით შეიქმნა გაზეთი. გაზეთის შექმნა და განვითარება ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა. გაზეთის ისტორია უფრო მეტად გუტენბერგის მიერ სტამბის გამოგონებით იწყება. 1500-იან წლებში ვენეციის მმართველები დალმაციაში მიმდინარე ომის თაობაზე მოქალაქეებს ინფორმაციას რეგულარულად აწვდიდნენ, ამ მასალაში კი ადამიანები მონეტას იგივე gazetta-ს უხდიდნენ. სწორედ აქედან წარმოიშვა სიტყვა გაზეთი.

1833 წელს კი ნიუ-იორკში გამოჩნდა ერთპენიანი გაზეთები. კერძოდ, კი ბენჯამენ დეის New York Sun-ი, რომელიც ნაკლებად განათლებულ ადამიანებს ლოკალურ ამბებს აწვდიდა. მოგვიანებით გაზეთების პოპულარობა უფრო გაიზარდა, მზარდი გახდა მოთხოვნაც. გაზეთების პოპულარიზაცია სამმა სხვა ფაქტორმაც განაპირობა. 1. მოსახლეობის სწრაფი ზრდა 2. ტექნოლოგიების განვითარება 3. სამოქალაქო ომი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რის გამოც ახალ ამბებზე მოთხოვნა გაიზარდა.

უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისში კი გაზეთი მასმედიის ერთადერთი საშუალება იყო, საკმაოდ დიდი იყო გაზეთების გამომწერთა რაოდენობაც. თუმცა, მასობრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოჩენამ გაზეთების პოპულარობა შეამცირა, მაგრამ როგორც ვარაუდობდნენ, გაზეთები არ გაქრა და მას თავისი მკითხველი დღემდე ჰყავს.

გაზეთებს მოჰყვა ჟურნალები. ჟურნალის სამშობლოა ლონდონი, სადაც 1704 წელს დაიწყო გამოცემა მცირე პერიოდიკით. თუმცა, მაშინ ჟურნალები, გაზეთებისგან განსხვავებით, მხოლოდ საშინაო საქმეეებსა და პოლიტიკას აშუქებდნენ. შესაბამისად, ის ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთგვარი პოლიტიკური იარაღი იყო და მისი მკითხველი საზოგადოების შეძლებული და განათლებული ფენა იყო.

ჟურნალებისთვის „ოქროს ხანა“ მეოცე საუკუნის დასაწყისში დადგა. ამ დროს პრესტიჟული ჟურნალები კორუფციასა და ადამიანების მძიმე სოციალური მდგომარეობის შესახებ წერდნენ, რაც მათ მზარდ პოპულარობას განაპირობებდა. მართალია მოგვიანებით ტელევიზიის გამოჩენამ ჟურნალებს გარკვეული პრობლემები შეუქმნა, რეკლამების დიდი ნაწილი ტელევიზიაში გადავიდა, მაგრამ ჟურნალების ინდუსტრია გადარჩა. მასობრივი კომუნიკაციის მუდმივ ცვალებად ბუნებასთან შეგუების უნარის გამო, ჟურნალები დღემდე არსებობს. ძირითადად დღეს მედია ბაზარზე ორი კატეგორიის ჟურნალია: ბიზნესჟურნალები და სამომხმარებლო, ამათგან უფრო მოთხოვნადი ეს უკანასკნელია.

ბეჭდური მედიის განვითარებას მოჰყვა კინო. მეცხრამეტე საუკუნეში „სიცოცხლის ბორბალი“ იგივე ფენაკისტოსკოპი გამოიგონეს. მას დიდი დისკი ჰქონდა, რომელზეც განთავსებული იყო ადამიანის ან ცხოველის სხვადასხვა პოზიციებში ნახატების სერია. დისკი ტრიალებდა და ადამიანი მოძრაობას ხედავდა, ხოლო ამ პრინციპს მოგვიანებით ფოტოგრაფია დაუმატეს. ორივეს ერთად გადამუშავების შედეგად მიიღეს ტექნოლოგია, რომელიც კინოს დაედო საფუძვლად.

კინოს რამდენიმე წელი თავდაპირველად ექსპერიმენტებისთვის დასჭირდა. მოგვიანებით, გაიზარდა ფილმების ქრონომეტრაჟიც. კინოს პოპულარობა კი უფრო და უფრო მზარდი იყო.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს შორის უნდა გამოიყოს რადიო. რადიო, რომელმაც ადამიანების ფანტაზია გამოგონების დღიდან დაიპყრო. რადიო ტელეგრაფის გაგრძელებაა, რომლის კონტურებიც 1840 წელს გამოიკვეთა, თანამედროვე რადიოს ფორმირებამდე საკმაოდ ვრცელი გზა იყო. მაგრამ უკვე 1930-იან წლებში მისი ოქროს ხანა იწყება. 1930-1941 წლებში, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში ჩაერთვებოდა, რადიო როგორც ნაციონალური, ასევე მსოფლიო მნიშვნელობის მედიასაშუალება იყო. თუმცა ეს „ოქროს ხანა“ მხოლოდ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გაგრძელდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულებას უკვე მოჰყვა ტელევიზიის შექმნა, რამაც ყველა სხვა მედიასაშუალებას მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწია და პრობლემებიც შეუქმნა. მაგრამ გამოიკვეთა, რომ რადიო, მასმედიის სხვა საშუალებების მსგავსად, გადარჩა. უფრო მეტიც, რადიომ მოახერხა და მსმენელის მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისად „გადაეწყო.“ რადიოს მედიაბაზარზე თავისი ნიშა უკავია.

როგორც უკვე აღინიშნა მედია ბაზარზე ტელევიზიის გამოჩენამ ვითარება შეცვალა. ტელევიზიამ ფესვები გაცილებით ადრე გაიდგა, ვიდრე ეს ოფიციალურადაა ცნობილი. 1884 წელს გერმანელმა ექსპერიმენტატორმა პაულ ნიპკოვამ შექმნა ბრუნავი დისკო, 1920-იან წლებში კი მსხვილმა ამერიკულმა კორპორაციებმა დაიწყეს სატელევიზიო ექსპერიმენტების დაფინანსება. ეს პროცესი მეორე მსოფლიო ომმა შეაფერხა, მაგრამ ომის დასრულებისთანავე ტელევიზია გამოჩნდა.

ტელევიზია და მისი ტექნოლიგია, ისევე როგორც თვითონ ტელევიზორი კიდევ უფრო იხვეწებოდა და ფერადი ხდებოდა, რაც პირდაპირ აისახებოდა მოთხოვნასა და მილიონობით მაყურებლის კიდევ უფრო მზარდ რიცხვზე.

თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ რამდენადაც ტელევიზია მნიშვნელოვანი წარმონაქმნია, იმდენად საზოგადოებისთვის ზიანის მომტანიცაა. თუმცა ამ საკითხის მოგვიანებით უფრო დეტალურად მივუბრუნდებით.

მანამდე განვიხილოთ ახალი მედია. ტექნოლოგიების განვითარება როგორც ვნახეთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მედიის განვითარებისა და მისი ახალი სახეობების ჩამოყალიბების პროცესში. ასე იყო წიგნის, გაზეთის, ჟურნალის, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის შემთხვევაში. დღეს ტრადიციული მედიის ყველა ეს საშუალება გამოწვევის წინაშე დგას, რადგან დღეს ახალი მედიის დროა. ბეჭდვა და ელექტრონული მედია ახალ ციფრულ ტექნოლოგიებში კომპიუტერის სახით ერთიანდება.

1990-იანი წლებიდან ამერიკულმა გაზეთებმა მომხმარებლებისთვის უკვე დაიწყეს ონლაინ ელექტრონული სერვისების მიწოდება. 1997 წელს უკვე არსებობდა ახალი ამბების 10 ძალიან ცნობილი ვებგვერდი.

აღსანიშნავია, რომ ტერმინის „ახალი მედიის“ ზუსტი განმარტება არ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პლატფორმა, ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც ინფორმაციის ინტერაქტიული სახით მიწოდება ხდება. ეს პროცესი კი სოციალური ქსელების შექმნამ კიდევ უფრო ინტერაქტიული გახადა.

მას შემდეგ რაც ერთპენიანი გაზეთები გამოჩნდა, იქვე გაჩნდა მოსაზრება, რომ მედია საზოგადოებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა. მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბებული ეს მოსაზრება მეოცე საუკუნეში კიდევ უფრო აქტუალური გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კინო და სამაუწყებლო მედია შეიქმნა.

მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოჩენასა და განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მედიის გავლენა და ძალაუფლებაც.ამ მზარდი გავლენის ფონზე მკვლევრები და მეცნიერები მედიის როგორც ფენომენის შესწავლით დაინტერესდნენ.

მასობრივი კომუნიკაციის გავლენის ემპირიული კვლევა პრაქტიკულად 1920-იან წლებამდე არ დაწყებულა. პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც მედიის მობილიზება მოხდა, კარგად გამოიკვეთა თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია მედიას მასებზე. ეს მოსაზრება კიდევ უფრო გამყარდა საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიაში, სადაც მედიას მმართველი პარტიის ელიტა პროპაგანდისთვის იყენებდა. ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ მედიას შეუძლია საზოგადოების ქცევა განაპირობოს და მასების აზროვნება სასურველი მიმართულებით შეცვალოს. თუმცა პროპაგანადაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ მანამდე კი, მედიის- ამ მძლავრი იარაღის შესწავლით არა მარტო მეცნიერები, არამედ ხელისუფლებები და მმართველი ელიტებიც დაინტერესდნენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებაზე მედიის გავლენის შესწავლის მიზნით, სახელმწიფომ რამდენიმე კვლევაც დააფინანსა. ამ ფონზე დაიწყო ფართომასშტაბიანი ემპირიული კვლევების ჩატარება. ცხადია, თავდაპირველად ეს კვლევა დაუხვეწავი იყო და თან მეთოდოლოგიაც არ იყო სრულყოფილი. 1920-იან წლებში დაწყებულ ამ პროცესში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფსიქოლოგიის წვლილი, კერძოდ, აღქმის, ქცევის, შეცნობის, მყარი მოდელების ფორმირების თეორიები, რადგან მასობრივ კომუნიკაციას ამ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკუთარი თეორიები.

თავი 4

პირველი თეორიები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერებისა და მკვლევრების ნაწილი მიიჩნევდა, რომ მედია მძლავრი იარაღია და მას საზოგადოებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. აქედან გამომდინარე, შეხედულებების ერთიანობას მასმედიის საზოგადოებაზე ზეგავლენის თაობაზე **ჯადოსნური ტყვიის (მაგიური ტყვიის) თეორია ეწოდება.**

ამ თეორიის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მასმედიის შინაარს, შეტყობინებას ყველა ადამიანი თანაბრად აღიქვამს. ანუ, ჯადოსნური ტყვიის თეორიის მიხედვით, შეტყობინების მიმღები ყველა პირი მიიღებდა რა მედიაგზავნილს, მომენტარულად პირდაპირი და უნიფიცირებული გავლენის ქვეშ ექცეოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ეს თეორია უარყვეს, თუმცა, მის უარყოფამდე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ეს თეორია დომინანტი და ფართოდ გავრცელებული იყო. გარდა ამისა, მეოცე სუკუნის დასაწყისში არსებული მოსაზრებები, მედიისა და საზოგადოების ურთიერთობის შესახებ, სწორედ ამ თეორიაშია სისტემატიზებული და ამ შეხედულებების ძირითადი ბირთვი მისი სახითაა გადმოცემული.

მაგიური ტყვიის თეორიის განმტკიცებას თან ახლდა ისეთი კვლევები, რომლებიც თავდაპირველად კინოს მოიცავდა. კერძოდ, 1929 წელს 40 მილიონი მოზარდი კინოში საშუალოდ კვირაში ერთხელ მაინც დადიოდა. ეს ფაქტი, მშობლების უკმაყოფილებას იწვევდა და ისინი გავლენის საფრთხეებს ხედავდნენ. აქედან გამომდინარე, 1930 წელს ფეინის ფონდის დაფინანსებით, მკვლევრების ჯგუფი შეიკრიბა და ფართომასშტაბიანი კვლევა ჩაატარა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციოლოგი ჰერბერტ ბლუმერი და მის მიერ ჩატარებული ზუსტი მეთოდოლოგიით გამყარებული კვლევა. ბლუმერის მიზანი იყო ეჩვენებინა, თუ როგორი იყო იმ პერიოდის ბავშვების ყოფა, ყოველდღიური ცხოვრება. მისი მეთოლოგია შემდეგში მდგომარეობდა: მოზარდებსა და ახალგაზრდებს დააწერინა მოგონებები ბავშვობაში ნანახი ფილმის შესახებ და ეს ჩანაწერი ავტობიოგრაფიული სახით გააკეთებინა. ჯამში 1200-ზე მეტი მოგონების ანალიზზე დაყრდნობით, მან დაადგინა, რომ ფილმი ბავშვებზე ემოციურ გავლენას ახდენს, ამასთანავე ჩნდება მიბაძვის სურვილი და უნებურად დასწავლის მექანიზმადაც გვევლინება. ამ დასკვნების მიუხედავად, ბლუმერმა ამომწურავი პასუხები მაინც ვერ მოიპოვა. გარდა ამისა, მას სამეცნიერო თვალსაზრისით

უტყუარი ფაქტები და სანდო არგუმენტები აკლდა. ამის მიუხედევად, ფეინის ფონდის კვლევებმა ჯადოსნური ტყვიის თეორია და მშობლების შიში კიდევ უფრო გაამყარა.

მედიაგავლენაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი აუარო 1938 წლის 30 ოქტომბერს მომხდარ ფაქტს. CBS-ის შოუს „მერკურის რადიოთეატრს“ იმ დროისთვის 6 მილიონი მსმენელი ჰყავდა და მათ დრიოს ეთერში გაშვებული ჰ.გ. უელსის ფანტასტიკური ჟანრის პიესა რეალობად აღიქვეს. პიესის მიხედვით კი, პლანეტა მარსიდან ჩამოსულმა საშინელმა არსებებმა ამერიკის შეერთებული შტატები დაიპყრეს და მილიონობით ადამიანი დახოცეს. მოსახლეობა პანიკაში ჩავარდა. ეს ინციდენტი ფსიქოლოგ ჰედლი ქანთრილის კვლევის საბაბად იქცა. მან ის 135 ადამიანი გამოიკვლია, რომლებმაც უცხოპლანეტელების მიერ აშშ-ის დაპყრობა დაიჯერეს. კვლევის შედეგად ქანთრილიმ გამოჰყო ცვლადი „კრიტიკული უნარი“, როგორც ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისება. დაბალი კრიტიკული უნარის მქონე პირებმა პიესა რეალობად უფრო ადვილად აღიქვეს, ვიდრე მათ, ვისაც ამ უნარის მაღალი ზღვარი, ანუ გონივრული გადაწყვეტილების მიღების უნარი ჰქონდათ განვითარებული. ამ კვლევის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან „ჯადოსნური ტყვიის“ თეორია „შეარყია“, კერძოდ, ჰენდლი ქანთრილიმ დაამტკიცა, რომ მედიას მასებზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, მაგრამ ეს გავლენა არ არის უნიფიცირებული, აბსოლუტურად ერთგვაროვანი, ერთნაირი ინტენსივობის და რომ იგი სხვადასხვა ცვლადებზეა დამოკიდებული, ამ შემთხვევაში, მკვლევრის მიერ გამოყოფილ მიზეზობრივ ცვლადზე „კრიტიკული უნარი“.

ჯადოსნური ტყვიის თეორიის მეორე, სუსტი მხარე განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამოიკვეთა. კერძოდ, გენერალმა გ.ს მარშალმა გადაწყვიტა სამხედროებისთვის იმგვარი ფილმების სერია ეჩვენებინა, რომელშიც აღწერილი იყო მტერი და განმატებული იყო ბრძოლის მიზეზი და მიზანი. მაგრამ ამ ექსპერიმენტმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მაგალითად, 1940 წელს ფილმ „ბრიტანეთის

ბრძოლის“ ნახვის შემდეგ ჯარისკაცებმა ინფორმაცია მიიღეს, მაგრამ დამოკიდებულება მტრის მიმართ არ შეცვლილა, ანუ უარყოფითი დამოკიდებულება მტრის მიმართ არ გაზრდილა.

შესაბამისად, ძველი მიდგომა მედიის შეუზღუდავი და უპირობო ზეგავლენის შესახებ არ დადასტურდა. აღმოჩნდა, რომ მაყურებლის განათლების დონე მესიჯის მიღება-არმიღებისა და ადამიანებზე ზემოქმედების ინტენსივობის ხარისხს განსაზღვრავდა.

ამ ექსპერიმენტთან ერთად, ჯადოსნური ტყვიის თეორიის სუსტი მხარეები კარგად გამოჩნდა 1940 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს.

ამ დროს სოციოლოგებმა მედიაინდუსტრიის, სხვადასხვა კერძო და სამთავრობო ფოდნის ფინანსური მხარდაჭერა მიიღეს, რადგან საკუთრივ მედიას ყველაზე მეტად აინტერესებდა საკუთარი ძალაუფლებისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების კვლევა.

ამ პროცესში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პოლ ლაზერსფილდს. ის თეორეტიკოსი არ იყო, მაგრამ მიიჩნევდა, რომ თეორია ემპირიული ფაქტებით გამყარებული უნდა ყოფილიყო. სწორედ ლაზერსფილდის სახელს უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც პასუხობდა კითხვას, თუ რა გავლენას ახდენს მასობრივი კომუნიკაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კერძოდ, ხმის მიცემისას, რაიმე ნივთის ყიდვისას, კინოში წასვლისა და მოსაზრების შეცვლის დროს.

ლაზერსფილდმა და მისმა გუნდმა ოჰაიოში, ერის საგარაფოს ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში 3 ათასამდე ადამიანი გამოიკვლიეს. კვლევის ადგილი შემთხვევითი არ იყო, ეს ლოკაცია აშშ-ის ტიპობრივ ადმინისტრაციულ ერთეულად ითვლებოდა.

კვლევა 1940 წლის მაისში დაიწყო და ნოემბერში დასრულდა, ამ დროს ფრანკლინ რუზველტმა ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში უენდელ უილკი დაამარცხა.

ლაზერსფილდს ძალიან ვრცელი და დაწვრილებითი ანკეტის დახმარებით სურდა იმის გარკვევა, იცნობდნენ თუ არა მაყურებლები მედიის კონკრეტულ შინაარს და ამ შემთხვევაში კანდიდატების გამოსვლები, რამდენად იყო გადამწყვეტი ხმის მიცემის პროცესში.

კვლევამ აჩვენა, რომ ხმის მიცემამდე ზოგი რესპოდენტი უკვე ჩამოყალიბებული იყო, თუ ვის მისცემდა ხმას, ზოგს ამ გადაწყვეტილების მისაღებად დიდი დრო დასჭირდა, ზოგმა მოგვიანებით შეიცვალა აზრი. ამ შედეგებმა მკვლევრების ინტერესი გამოიწვია, კერძოდ, მათ აინტერესებდათ, რამ განაპირობა ეს ცვლილება.

თუმცა, კვლევამ ვერ მოიპოვა საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ მედია მერყევი ამომრჩევლის აზრის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან და გადამწყეტ როლს ასრულებს. თუმცა, დაასკვნა, რომ მედია ამომრჩეველს უკვე გაკეთებული არჩევანის სისწორეში არწმუნებს. უფრო კონკრეტულად, კი მედიას სამი სახის გავლენის მოხდენა შეუძლია. მოტივაციის აღძვრა, ანუ აქტივაცია, განმტკიცება და გარდაქმნა.

მოტივაციის აღძვრა გულისხმობს, რომ როდესაც ამომრჩეველს არჩევანის გაკეთება უჭირს, მაგრამ აქვს გარკვეული მიდრეკილება, ამ დროს მედიის ჩართულობა, სწორედ ამ მიდრეკილებების გააქტიურებაში ეხმარება.

რაც შეეხება აქტივაციას, ის ადამიანში უკვე გაკეთებული არჩევანის ცვლილებას არ იწვევს, თუმცა, საბოლოო შედეგებზე მაინც აისახება და ამ პროცესს თავისი პროცესები აქვს: პირველი პოლიტიკური პროგაპაგანდა, რომელიც მედიაში შუქდებოდა ინტერესს იწვევდა ამომრჩეველში, ხოლო ამ ინტერესის გამო საარჩევნო კამპანიის გავლენა იზრდებოდა. თუმცა, ეს გავლენა არჩევითია, ამიტომ ლაზერსფილდი დაინტერესდა ამ ადამიანების სოციალური მახასიათებლებით,

რელიგიური მრწამსით, საცხოვრებელი ადგილით, პოლიტიკური შეხედულებებით, ფინანსური მდგომარეობით. ბოლოს კი დაასკვნა, რომ თუ ადამიანებს, ამომრჩევლებს „კატეგორიებად“ დაყოფდა, მაშინ მათი ქცევის განსაზღვრა წინასწარ იქნებოდა შესაძლებელი. კერძოდ, მან გამოყო თვალსაზრისის ლიდერები, ანუ ადამიანები, რომლებიც საკუთარ პოზიციას ინფორმირებულობის წყალობით იმყარებდნენ და თვალსაზრისის მიმდევრები, ანუ ადამიანი, ვინც პირველ კატეგორიას რჩევისთვის მიმართავდა. მანვე დაასკვა, რომ თვალსაზრისის ლიდერების გავლენა ვრცელდებოდა საზოგადოების ყველა დონეზე და თანაც უფრო მეტად ჰორიზონტალური მიმართულებით. აქედან გამომდინარე - განმტკიცება ეს სრულად განსხვავებული პროცესია. ამ დროს ამომრჩეველი მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში სწორედ მედიაშეტყობინებების წყალობით რწმუნდება.

რაც შეეხება გარდაქმნას, აღმოჩნდა, რომ მედიის გავლენის წყალობით ადამიანთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იცვლის შეხედულებას, ამ შემთხვევაში - პოლიტიკურს.

საბოლოოდ კვლევის შედეგები ასეთი იყო: გამოკითხულთა 53%-მა საკუთარი არჩევანი საარჩევნო კამპანიის დასაწყისშივე გააკეთა, ანუ საქმე გვქონდა განტკიცებასთან, და არც შეუცვლიათ ეს პოზიცია, 14%-მა წინასწარ მოსალოდნელი არჩევანი გააკეთა ანუ აქტივაცია მოხდა, 8%-ს შეეხო მხოლოდ გარდაქმნა და 16% მედიის გავლენას საერთოდ არ ექვემდებარებოდა.

აქედან გამომდინარე გაირკვა, რომ მედია ნამდვილად იყო და არის პოლიტიკური კამპანიის ნაწილი, მაგრამ ამ კვლევამ აჩვენა, რომ ამ პროცესში საზოგადოებაზე გავლენას ახდენს მთელი სისტემა, მედია კი ამ სისტემის მხოლოდ ერთი ნაწილია. ადამიანებზე მედიასთან ერთად, პიროვნული თვისებები, სოციალური კატეგორიის მაჩვენებლები, ოჯახები, მეგობრები, ახლობლები და თანამშრომლებიც მოქმედებენ.

ამ კვლევის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ლაზერსფილდმა დაასკვნა, რომ მასმედიის ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება ისაა, რომ ადამიანს არჩევანის სისწორეში არწმუნებს.

უკვე 50-იანი წლებისთვის კი ლაზერსფილდის მიერ ჩატარებული კვლევების ციკლმა ცხადყო, რომ მედიას არც ისე დიდი ძალაუფლება აქვს, როგორც ესე მანამდე ეგონათ. შესაბამისად, „ჯადოსნური ტყვიის“ თეორია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

თავი 5

გავლენა როგორც პროპაგანდა

როდესაც მედიის გავლენაზე ვსაუბრობთ, აქ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიყოს **პროპაგანდის თეორია.**

პროპაგანდა (ლათინურად propaganda), ინფორმაციის მიწოდების ფორმაა, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმის ამომწურავ გამოყენებას ადამიანის გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე ზემოქმედების მიზნით. პროპაგანდა პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია და მიზნად ისახავს შექმნას და განამტკიცოს ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ხელსაყრელი იქნება პროპაგანდისტისათვის და ხელს შეუწყობს მისი პოლიტიკის განხორციელებას.

ანალოგიურ განმარტებას იძლევა ჰ. ლასუელი, რომელმაც პროპაგანდა განმარტა, როგორც "მიზანმიმართულად მანიპულირებული კომუნიკაცია" (Lasswell, H. D. (1971) Propaganda Technique in World War I, M.I.T. Press).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროპაგანდა, მისი თვალსაზრისით, დემოკრატიის საყრდენია, თუმცა გამორიცხავს ძალადობას და მასების მხარდაჭერის მოპოვება სწორედ არაძალადობრივი გზით ხდება. თუმცა, მის ამ მოსაზრებას ბევრი ოპონენტი არ იზიარებს. მათ გამოყვეს პროპაგანდის რამდენიმე თვისობრივი მახასიათებელი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის ზემოქმედებას

სწორხაზოვანი მიმართულება აქვს, რა დროსაც კომუნიკატორის ფუნქცია მედიას ან სხვა რომელიმე ორგანიზებულ ინტერესჯგუფს აქვს, ხოლო აუდიტორია მიმღებია. რაც შეეხება მანიპულატორულ და იდეოლოგიურ ზემოქმედებას პირველის შემთხვევაში პროპაგანდა ეყრდნობა ადამიანური აღქმის არა რაციონალურ, არამედ ირაციონალურ თვისებას, მეორე შემთხვევაში კი თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, როგორც წესი, პირდაპირი სწორხაზოვანი პროპაგანდა არაეფექტურია, ამიტომ ხშირად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მიმართავენ შერეულ პროპაგანისტულ მეთოდებს: რეკლამას, პრ –ს და სხვ.

პროპაგანდის ფარგლებში ხელისუფლება, მმართველი ელიტა საკუთარი ინტერესებისა და მისწრაფებების განსახორციელებლად იყენებს პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სხვადასხვა ფორმებს. მედია ემსახურება სახელმწიფო ან კერძო სექტორის მმართველი ელიტის სპეციფიკური ინტერესების მხარდაჭერას და მობილიზებას, რის შედეგადაც აღწევს საზოგადოებრივ თანხმობას.

ასე მოხდა პირველი მსოფლიო ომის დროს. პროპაგანდა ფართოდ სწორედ პირველი მსოფლიო ომის დროს გამოიყენეს. მეოცე სუკუნის დასაწყისში ომის წარმატებით დასრულებისთვის აუცილებელი იყო, ყველა სამრეწველო სიმძლავრის მობილიზება, სადაც სამოქალაქო მოსახლეობას ნებაყოფლობით და მთელი ძალისხმევით გამარჯვებისთვის უნდა ემუშავა. თუმცა, გამოიკვეთა, რომ ინდივიდების წინააღმდეგობრივი პოზიციის გამო, ეს პროცესი არც ისე წარმატებით მიმდინარეობდა. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ადამიანების მოტივაციის ამაღლება, მტრის მიმართ სიძულვილის გაღვივება, სულიერი სიმტკიცის გაძლიერება და საერთო მიზნის- სამშობლოს გადარჩენის იდეაზე ფიქრი. ამ მიზნების მიღწევაში კი პროპაგანდა ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება იყო.

ახალი ამბები, ფოტოსურათები, კინოფილმები, გრამფირფიტები, წიგნები, ქადაგებები, პლაკატები,, რადიოსიგნალები, სარეკლამო ბანერები და

პროპაგანდისტული ფურცლები - ყველა ეს საშუალება პროპაგანდისტულ კამპანიაში აქტიურად გამოიყენებოდა.

გამონაკლისი არც მეორე მსოფლიო ომი იყო. მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან კი სოციალური მეცნიერების მკვლევრები მივიდნენ საბოლოო დასკვნამდე, რომ მედიის საშუალებები და განსაკუთრებით ტელევიზია, თავისი ბუნებით პროპაგანდისტული ფუნქციის მქონეა და წარმოადგენს ტრიბუნას ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. მედია ასახავს არა მხოლოდ მოვლენებს, არამედ ახდენს მის ინტერპრეტირებას და ამით ზემოქმედებს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ამასთანავე, ტელევიზიის პროპაგანდისტული მრავალფეროვნების თვისება იმაშიც ვლინდება, რომ მან, ერთი მხრივ, გასართობი და შემეცნებითი გადაცემებით უნდა უზრუნველყოს აუდიტორიის ყურადღების გადატანა ისეთი საკითხებიდან, რომლებიც ქმნიან საზოგადოებრივ პოლიტიკას, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა უზრუნველყოს პირდაპირი პროპაგანდისტული მიმართულება. ამიტომ ხშირად არსებობენ ისეთი მედიასაშუალებები, რომლებიც პირდაპირ პროპაგანდას აწვდიან აუდიტორიას, რითაც ემსახურებიან მმართველი კლასის ინტერესებისა და იდეოლოგიის განმტკიცებას.

იმდენად რამდენადაც ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქცია არის გაბატონებული იდეოლოგიის პროპაგანდა, სატელევიზიო ეთერში არ შუქდება არც ერთი სიუჟეტი თუ ინფორმაცია, რომელიც ეწინააღდეგება არსებულ სისტემას. ამიტომ, განსხვავებით ტოტალიტარული სახელმწიფოებისგან, რომლებიც ფიზიკურ ძალადობაზეა აგებული, თანამედროვე "დემოკრატიული" ტოტალიტარული მსოფლმხედველობა სიტყვის თავისუფლებისა და აზრთა პლურალიზმის არსებობის პირობებში უზრუნველყოფილია მასობრივი ინფორმაციის მიერ გავრცელებული პროპაგანდით.

მედია, როგორც პოლიტიკური პროცესების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ის ერწყმის სწორედ

პოლიტიკურ სფეროს. სწორედ ამიტომ თანამედროვე პოლიტოლოგიაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მოიხსენიებენ როგორც "დიდ არბიტრს", "მეოთხე ხელისუფლებას" და სხვა. რწმენა ტელევიზიის ყოვლისშემძლეობისა კი იმდენად დიდია, რომ პოლიტიკის სფეროს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ის ვინც აკონტროლებს ტელემედიას, ის აკონტროლებს მთელ ქვეყანას.

თავი 6

პრესის ოთხი თეორია

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების შექმნისა და მედიისა და საზოგადოების ურთიერთგავლენის შესახებ პირველი კვლევითი მცდელობების შემდეგ - არსებული კვლევების შედეგებსა და დაგროვილ ცოდნაზე დაყრდნობით, - ფრედერიკ სიბერტმა, თეოდორ პიტერსონმა და უილბრემ შრამმა სცადეს მედიის შესახებ თეორიული ცოდნა სისტემაში მოეყვანათ. შესაბამისად, 1956 წელს მათ პრესის 4 ძირითადი თეორია ჩამოაყალიბეს, რომელიც დღემდე ყველაზე სრულყოფილად ითვლება. მათგან ორი დემოკრატიულია, დანარჩენი ორი კი - ავტორიტარული. მკვლევრების მიერ დადგენილი კლასიფიკაცია ამგვარია: ავტორიტარული, კომუნისტური; ლიბერალური (ლიბერტარიანული) და სოციალური პასუხისმგებლობის მოდელი. ამათგან ავტორიტარული და კომუნისტური მოდელები არადემოკრატიულია. (Siebert, F., Peterson, T. & Schramm, W. (1956). "Four theories of the press." Urbana, IL: University of Illinois Press.)

პირველი ავტორიტარული სახის რეჟიმი აბსოლუტური მონარქიის ეპოქაში ყველაზე მეტად მე-19 საუკუნის ბოლომდე იყო გავრცელებული, მეოცე საუკუნეში კი უკვე ფაშისტური რეჟიმი იყენებდა მას. ავტორიტარული მოდელის მიხედვით, მედია კერძო ბიზნესია, რომელიც მართულია და კონკრეტული ელიტური ჯგუფის ინტერესებს ემსახურება. ასეთ დროს ქვეყანაში აკრძალულია და იდევნება როგორც ოპოზიური მედია, ისე საჯარო დებატები.

რაც შეეხება მეორე- კომუნისტურ მოდელს, მედია ამ დროს სხვა ინსტიტუციებთან ერთად შთანთქმულია და ერთი მთლიანი სისტემის შემადგენელი მცირედი რგოლია. მას ძირითადად, პროპაგანდისთვის იყენებდნენ, რათა არსებული რეჟიმის განმტკიცებისთვის შეეწყო ხელი. (ბერტრანი, კ. ჟ. (1997) მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები, პარიზი).

მაქქუეელი მიიჩნევდა, რომ საბჭოთა მედიების თეორიაში რამდენადაც სოციალისტურ წყობაში „ძალაუფლება“ მუშათა კლასს ეკუთვნის, მნიშვნელვანია მუშათა კონტროლი, რათა სისტემა შენარჩუნდეს. ამ დროს აკრძალულია მედიაში პოლიტიკური საკითხების განხილვა, მსჯელობა და დებატები, თუმცა, დაშვებულია აზრთასხვადასხვაობა სოციალურ საკითხებზე. მაგრამ აქვე ეს აზრთასხვადასხვაობა ანარქისტული, რეგრესიული და დესტრუქციული არ უნდა იყოს. კომუნისტურ მოდელში მედიას მამობილიზებელი ფუნქცია აქვს და პროპაგანდის წყალობით საზოგადოების ერთიანობს, გამთლიანობას უწყობს ხელს.

ავტორიტარულ და საბჭოთა მოდელებს შორის მსგავსება არის, როდესაც საქმე ეხება სწორედ მამობილიზებელ ფუნქციას და არსებული საზოგადოებრივი წყობის მიმართ მხარდაჭერის აქცენტირებას. თუმცა არის სხვაობაც.

საბჭოთა თეორიის მიხედვით, მედია არ წარმოადგენს ნებისმიერი ჩარევის ობიექტს, არამედ მუშაობს ცნობილი ნებაყოფლობით დადგენილი ჩარჩოების ფარგლებში და ემსახურება აუდიტორიას.

პრესის ლიბერალური, ან ლიბერტარიანული რეჟიმი, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის (1948) მე-19 მუხლის წყალობით, საერთაშორისო ნორმად იქცა. ის თავისი ფესვებით შუა საუკუნეების ევროპამდე მიდის და ავტორიტარული თეორიის საპირწონედ წარმოიქმნა, რომელიც მმართველი ელიტის ან ხელისუფლების მიერ მედიის კონტროლს ამართლებდა. ევროპაში, განმანათლებლობის ხანაში წარმოქმნილ დოქტრინას, რომლის თანახმად,

ყველა მოვლენასა და მოსაზრებას აქვს ,, იდეათა თავისუფალ ბაზარზე "არსებობის უფლება. იგი ადამიანებს ჭეშმარიტების დადგენისა და შესაბამისად, საკუთარი ქმედების განსაზღვრის შესაძლებლობას აძლევს. ერთადერთი სირთულე შესაძლოა, სახელმწიფოს ჩარევამ წარმოქმნას. ამ მშვენიერმა ილუზიამ ხელი ვერ შეუშალა მე -20 საუკუნეში დაწყებულ პრესის მზარდი კომერციალიზაციის პროცესს. იმ ხანად ყველაფერი მომგებიანი საუკეთესოდ ითვლებოდა. უფრო მეტიც, კორპორაციების ბუნებრივი მიდრეკილება კონცენტრაციისაკენ წარმოქმნიდა საშიშროებას, რომ ინფორმირების ბერკეტი, ისევე როგორც საერთო ეროვნული დისკუსიისათვის პრიორიტეტული თემატიკის შერჩევის პრივილეგია შესაძლოა, რამოდენიმე უპასუხისმგებლო მედია საშუალების მფლობელის ხელში აღმოჩენილიყო, რაც დამახასიათებელი იყო კიდეც გასული საუკუნის დასასრულისათვის. (Hallin, D., Manchini, P., (2004) Comparing Media Systems. Three Models of Media and Politics, University of California).

რაც შეეხება მეოთხეს - სოციალური პასუხისმგებლობის მოდელს, ის XX საუკუნეში, მასმედიის არასასურველი მდგომარეობის გამო საზოგადოებასა და ჟურნალისტთა წრეებში დაგროვილი უკმაყოფილების პასუხად, წარმოიშვა. მას ხშირად სოციალური პასუხისმგებლობის ანგლო-ამერიკულ თეორიასაც უწოდებენ. ამ მოდელში აისახა მასმედიის საქმიანობის ახალი მიზნის ძიება. იმ დროისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკვე წარმოადგენდნენ ინდუსტრიებს, აწარმოებდნენ და ავრცელებდნენ საინფორმაციო მასალებს. მედია იქცა ისეთ ყოვლისმომცველ შუამავლად, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების მხოლოდ მცირე წევრთათვის, ძირითადად მფლობელებისა და ჟურნალისტებისთვის, განუსაზღვრელ ძალაუფლებას, რომელიც მიმართული იყო არა საზოგადოების, არამედ საკუთარი კეთილდღეობისკენ. საზოგადოების მხრიდან მედიის მიმართ წარმოიშვა მთელი რიგი უკმაყოფილებები (არ დგას "დემოკრატიის სადარაჯოზე" და არ იცავს პრინციპს - ინფორმაცია ყველას და ა.შ.). უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პრეტენზია დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

ფაქტობრივად, სოციალური პასუხისმგებლობის თეორია იმეორებს მთელ რიგ პრინციპებს, რომლებიც სხვა მოდელებში უკვე გვხვდება. მაგალითად, მასში პრესის თავისუფლებაზეა საუბარი, თუმცა ამ მოდელში სიახლეც იყო. ამ მოდელის მიხედვით, მედია არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ინტერესების გამტარი უნდა იყოს, არამედ „სახალხო“. აქედან გამომდინარე მედია მფლობელებს არა მარტო სრულ დამოუკიდებლობას სთხოვს, არამედ მოვალეობებსაც აკისრებს.

ამ თეორიის ძირითადი დებულებებია, რომ მედია საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მან გარკვეული ფუქციების შესრულების ვალდებულება უნდა აიღოს თავის თავზე განსაკუთრებით ინფორმაციის სფეროში და უზრუნველყოს სხვადასხვა თვალსაზრისის გამოხატვა. მედია მუშაობისას უნდა დაეყრდნოს სტანდარტებს, ეს ერთგვარი მცდელობა იყო, მომხდარიყო პირადი არჩევანის, მედიის თავისუფლებისა და საზოგადოების წინაშე მედიის ვალდებულების მორიგება. ამისთვის გამოსავალსაც გვთავაზობს, საზოგადოებრივი მაუწყებლის სახით.

თავის მხრივ მაქქუელი სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს შემდეგნაირად აყალიბებს.

1) მედიამ თავის თავზე უნდა აიღოს საზოგადოების წინაშე ვალდებულებების შესრულება

2) ეს ვალდებულებები პროფესიული სტანდარტების დაცვით უნდა შესრულდეს

3) მედია ამ მოვალეობების შესრულება კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა მოახერხოს

4) მედიამ არ უნდა დაუშვას რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა

5) მედიამ უნდა დაიცვას პლურალიზმი

6)პირველის პრინციპის დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას ისახავს მიზნად.

7) ჟურნალისტები და მედიაში მომუშავე პირები ანგარიშვალდებულები არიან დამსაქმებლების, საზოგადოების და ბაზრის წინაშე.

აღსანიშნავია, რომ ამ პრინციპებიდან განსაკუთრებით აქტუალური პლურალიზმის ნაწილი აღმოჩნდა, რომელსაც თანამედროვე მედია აქტიურად იყენებს. თუმცა, მაინც საინტერესოა, რამდენად მოქმედებს მედია სწორედ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

მოგვიანებით, ამ სისტემას დაემატა კიდევ ორი თეორია: განვითარების პერიოდის მედიის თეორია და დემოკრატიული მონაწილეობის (ჩართულობის) თეორია.

განვითარების პერიოდის მედიის თეორიას მეცნიერთა ნაწილი განვითარებადი ქვეყნებისთვის განკუთვნილ მიდგომად მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც მედიამ მთავრობის კრიტიკისგან თავი უნდა შეიკავოს, სანამ ქვეყანა განვითარებადია და ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მაღალ დონეს არ მიაღწევს.

ზოგჯერ ამ თეორიას მესამე მსოფლიო ომის ქვეყნების თეორიას უწოდებენ, რომლებიც განვითარების დონით პირველი მსოფლიო ომის ქვეყნებს უნდა დაეწიონ ანუ მოხდეს ვესტერნიზაცია.

თუმცა, ამ ფონზე გაძლიერებულია ეროვნული იდენტობისა და ნაციონალური ღირებულებების მხარდაჭერა მედიის მიერ. ამ დროს წინა პლანზე კოლექტიური და არა ინდივიდუალური მიზნებია წამოწეული.

რაც შეეხება დემოკრატიული მონაწილეობის თეორიას ის ცალკე განხილვას იმსახურებს, რადგან მედიაინსტიტუტების ახალ ფორმების გვთავაზობს. ის განვითარებულ და ლიბერალურ საზოგადოებაში მოქმედებს. ის ემხრობა მრავალფეროვნებას, ლოკალურობას, დეინსტიტუციონალიზმს, ინფორმაციის მიმღებისა და გადამცემის როლების ცვლას. საზოგადოების ყველა დონეზე ჰორიზონტალურ კავშირს. აქ გაერთიანებულია ლიბერტარიანულობა, უტოპია, სოციალიზმი, გათანაბრება, გარემოს დაცვის მოძრაობა და ლოკალიზმი. ამ მოდელის

მიხედვით, უმცირესობებისთვის მედია ხელმისაწვდომი უნდა იყოს და უნდა იყენებდნენ მას კულტურის განვითარებისთვის. თუნდაც, მცირე ეთნიკური ჯგუფების ენაზე მაუწყებლობის გზით. ამის მაგალითი კი ნაწილობრივ საქართველოშიც არის (აფხაზურ და ოსურ ენებზე საინფორმაციო გამოშვებები).

თავი 7

მედია და საზოგადოება

ამ ფონზე, როდესაც ემპირიული დაკვირვებისა, თუ სხვადასხვა კვლევების გზით, გროვდებოდა ცოდნა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების შესახებ და იქმნებოდა საკუთრივ მასობრივი კომუნიკაციის თეორიები, მთავარ საკითხად მაინც მედიისა და საზოგადოების ურთიერთობა რჩებოდა. მიუხედავადა იმისა, რომ გარკვეულმა კვლევებმა საზოგადოებაზე მედიის შეზღუდული ზეგავლენა ცხადყო, აღმოჩნდა, რომ მედია საზოგადოების მთელ რიგ პროცესებსა და ტენდენციებზე, ასევე მის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს. ეს კი ორი გზით ხდება: პირველი - მედია ამა თუ იმ თემას პერმანენტულად აშუქებს და მეორე - აუდიტორია ტექნოლოგიების ახალ ფორმებს თანდათან ითვისებს.

ახლა დეტალურად განვიხილოთ, რას გულისხმობს ეს ორი გზა. ზოგჯერ მედია საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში აშუქებს და, როგორც წესი, მედიის პოზიცია ამა თუ იმ საკითხის მიმართ ცალსახაა. შესაბამისად, ამ თემის ინტერპრეტირება ხდება და გრძელვადიან პერიოდში საზოგადოებაში დამოკიდებულება იცვლება ისე, როგორც ეს მედიას სურდა. მაგალითად, გარემოს დაბინძურების თემა, ღვედები, ოჯახში ძალადობა, ნარკოტიკები, შიდსით დაავადებული ადამიანების სტიგმატიზაცია და სხვა. ამ მოსაზრების გასამყარებლად მოვიხმობთ **მცირე გავლენის აკუმულირების თეორიას.** ამ თეორიის მიხედვით, ნებისმიერი გზავნილი ადამიანზე მცირე გავლენას ახდენს, ხანგრძლივი დროის შემდეგ კი ეს გავლენა „გროვდება“ და ცვლილებას იწვევს.

როდესაც მასობრივი კომუნიკაციის რომელიმე საშუალება იწყებს თემის გაშუქებას, აუცილებელია ის ხშირად და ერთსა და იმავე კონტექსტში გააშუქოს, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ თემასთან მიმართებაში მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალებას ერთი პოზიცია და დამოკიდებულება ჰქონდეს, როდესაც ასეთი ჯაჭვი იქმნება, მაშინ საზოგადოებაზე გავლენის შანსიც დიდია. ასე, რომ საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი საკითხების მიმართ დამოკიდებულებისა და განწყობის ჩამოყალიბებაში მედია დიდ როლს თამაშობს. აკუმულირების თეორია კი ცდილობს ახსნას ეს პროცესი და შედეგებიც. იმ შემთხვევაში, თუ ტელევიზიაში, გაზეთსა და რადიოში ურთიერთგამომრიცხავი მასალა ვრცელდებდა, მაშინ საზოგადოების აზრი პოლარიზებული რჩება.

აკუმულირების პროცესის ერთ-ერთი ფორმაა ტექნოლოგიური ინოვაციების ათვისებაც. მანამდე ხდება რაიმე სიახლის გამოგონება, შემდეგ ადამიანები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან, მიიღონ თუ არა ეს კონკრეტული გამოგონება, იყიდონ თუ არა ის. საყოფაცხოვრებო ნივთები, ტექნიკა, სამოსი, ყველაფერი, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ და რაც გამოგონების მომენტში სიახლე იყო, ამიტომ მათი დამკვიდრებისა და ძველის ჩანაცვლების პროცესში, თუ ეს ძველი არსებობდა, მედია აქტიური მედიატორია. მეცნიერები ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ მედიას შეუძლია საზოგადოებაში ახალი იდეების, ქცევის ნორმებისა და პროდუქტების დამკვიდრება. სოციოლოგებმა 1950-იან წლებში დაასკვნეს, რომ სიახლეს საზოგადოების ყველაზე ინოვაციური წევრები პირველები და ადვილად იღებენ, შემდეგ კი ნელ-ნელა ხდება გავრცელება. ამ პროცესში კი მედია მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების ფუნქციით შემოიფარგლება, რითაც სოციალურ ცვლილებებს ბიძგს აძლევს. ახლა ეს ფუნქცია რეკლამას აქვს შეთვისებული, თუმცა რეკლამის გავრცელების საშუალება ისევ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებია. როდესაც მედიისა და საზოგადოების ურთიერთობასა და საზოგადოებაზე მედიის გავლენაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით სოციალიზაციას, რომელიც საკმაოდ რთული და მრავალმხრივი ფენომენია.

ადამიანი დაბადებიდან გარდაცვალებამდე ცხოვრების ყველა ეტაპზე რაღაცას სწავლობს და ითვისებს. იწყებს საკუთარი თავის შეცნობას, შესწავლას, შემდეგ გარემოცვაზე დაკვირვებას და ასე ყალიბდება ინდივიდი, რომელიც თავისი სოციუმის წევრი ხდება. ამ პროცესზე გავლენას მედიაც ახდენს. ეს კი ორი ასპექტით აიხსნება.

პირველი - **მოდელირების თეორია** და მეორე - **სოციალური მოლოდინის თეორია.** დაკვირვების მეშვეობით სწავლების პირველი ყველაზე სერიოზული კვლევა 1940-იან წლებში ჩატარდა, მაშინ ფსიქოლოგებმა შენიშნეს, რომ ადამიანი, რასაც ნახავდ,ა შემდეგ ან ნანახის გამეორებას ცდილობდა. ეს კი სავსებით შესაძლებელი იყო ქცევის ნორმად ჩამოყალიბებულიყო. ასეთ დროს საქმე გვაქვს **სოციალურ სწავლებასთან, იგივე სოციალურ დასწავლასთან,** თუმცა ეს მხოლოდ ინდივიდის დონეზეა. მაყურებლები ხშირად ბაძავენ ტელევიზიასა თუ ფილმში ნანახ გმირებს. შესაბამისად, მათი ქცევების და აღწერილი სიტუაციის ადაპტირება, ხშირად სოციალიზაციის გარკვეული ფორმაც კი არის. ინდივიდები ქცევის ახალ მოდელებს ტელეკრანებზე შესაბამისი რეპრეზენტაციის უბრალოდ ყურებით სწავლობენ, თუ ეკრანზე ნანახი გმირი რაიმეს კრძალავს ან პირიქით ახალისებს, შესაძლოა მაყურებელმა რეალურ ცხოვრებაში იგივე პოზიცია გაიზიაროს. ფსიქოლოგ ალბერტ ბადურას მოდელირების თეორია ხსნის, თუ რატომ და როგორ აიგივებს ადამიანი საკუთარ თავს პერსონაჟთან, ან ბაძავს ტელესახეს, ტელეგმირს, კინოგმირს; როგორ იმეორებს ეკრანზე ნანახ ქცევას რეალურ ცხოვრებაში. ეს თეორია ინდივიდების ქცევაზე მედიის გავლენის საკითხში წამყვანი თეორია გახდა. მედია მთავარი წყაროა, საიდანაც ინფორმაციის ნაკადი მოდის, ამიტომ მედია ათვისების არასკმარისი, მაგრამ აუცილებელი პირობაა. ამ შემთხვევაში საქმე ინდივიდს ეხება და მისი ქცევის მოდელის ჩამოყალიბებას მედიის გავლენით. თუმცა, არსებობს გუნდური პრინციპით კოორდინირებული ქცევის წესებიც, რასაც ზოგჯერ ჯგუფის სოციალურ ორგანიზაციასაც უწოდებენ.

ყველა ჯგუფს - იქნება ეს რომელიმე ეთნოსი, ერი, ოჯახი თუ სამსახურებრივი/პროფესიული კოლექტივი, - ქცევის გარკვეული წესები აქვს, სხვადასხვა ჯგუფში სხვადასხვა წესი მოქმედებს, იქნებიან ესენი სასულიერო წრის, თუ სამხედრო სფეროს წარმომადგენლები. ამ ჯგუფის ყველა წევრი ვალდებულია, დადგენილი წესები დაიცვას. ამ წესების დაცვა კი ამ კონკრეტულ ჯგუფებში სანქციებისა და წახალისების გზით ხდება. გადაცდომისას ინდივიდს, შესაძლოა, სიტყვიერი გაფრთხილება ან ფინანსური სანქცია დააკისრონ, საპირისპირო შემთხვევაში კი შესაძლოა ფინანსურად წახალისდეს, ჯილდო ან მადლობა დაიმსახუროს. ამ ჯგუფების და მათი წესების შესახებ წარმოდგენას ადამიანები სწორედ მედიის საშუალებით იქმნიან, რაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ეხმარება. შესაბამისად, მედია ამ შემთხვევაშიც ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას ასრულებს. ჯერ კიდევ 1930-40 იან წლებში შეამჩინეს, რომ ინდივიდუალური სხვაობა და სოციალური დიფერენციაცია გავლენას ახდენდა მასობრივ კომუნიკაციასთან დაკავშირებულ ქცევაზე. ამიტომ კვლევის ობიექტებად საპნის ოპერები, კინო, პოპულარული კულტურა, წიგნები და გაზეთები იქცნენ. მკვლევრებს აინტერესებდათ, რატომ იყენებდა ადამიანი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, რა ჯილდოს იღებდა სანაცვლოდ. **სარგებლობისა და დაკმაყოფილების თეორიის** ავტორად მიჩნეულია ჰერტა ჰერცოგი, რომელმაც 1944 წელს გამოცემულ ნაშრომში „ყოველდღიური სერიალების მსმენელთა დაკმაყოფილებისა და მოტივაციის ტიპები“, მასმედიის გამოყენებით მიღებული კმაყოფილების სიღრმისეული ანალიზი შემოგვთავაზა. (Herzog, H. (1944), "What do we really know about daytime serial listeners?, As quoted in P. F. Lazarsfeld and F. Stanton, eds., Radio Research. New York: Duell, Sloan and Pearce, As appeared in Blumler and Katz.)

მოგვიანებით, კი უილბერ შრამმა დაასკვნა, რომ მაყურებელი ელოდება ჯილდოს, ანუ დაკმაყოფილებას. თუმცა, ამისთვის აუცილებელია ადამიანმა მედია მოიხმაროს, გაეცნოს მის შინაარს. თუ რა სარგებლობა მოაქვს მედიას ადამიანებისთვის, ამის დასადგენად რამდენიმე კვლევა ჩატარდა, დადგინდა, რომ მედია ადამიანებს

ეხმარება მიიღონ ინფორმაცია, დაიკმაყოფილონ ცნობისმოყვარეობა, ეხმარება თვითგანათლებაში, თვითანალიზში, პიროვნული იდენტობის შექმნაში, შენარჩუნებასა და დაშლაში, გართობასა და მოდუნებაში. ამიტომ ადამიანებს მოსწონთ საინფორმაციო გამოშვების ყურება და ლოკალური თუ მსოფლიო ახალი ამბების გაცნობა, სიამოვნებით უყურებენ გადაცემებს მოდის ახალი ტენდენციების შესახებ ან ეცნობიან კულტურის, სპორტისა და მედიცინის სიახლეებს. (Schramm, W. (Ed.). (1949). Mass communications. Urbana, IL: University of Illinois Press.)

ზოგჯერ ადამიანი მედიაზე ძალიან ხდება დამოკიდებული და მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სწორედ მედიის საშუალებით ხდება, ამას **მედიადამოკიდებულების თეორია** ეწოდება. რაც უფრო მეტი ადამიანია მედიაზე დამოკიდებული, მით უფრო დიდი მისი გავლენის არეალი. მედია ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ზოგჯერ კონკრეტული სახით მოქმედებს. გარდა ამისა, აუდიტორიაზე მედიის გავლენა მისი გამოყენების სიხშირეზეა დამოკიდებული, გამოყენების სიხშირე კი ინდუსტრიული საზოგადოებაში უფრო დიდია; ის, ვინც უფრო ხშირად მოიხმარს მედიას, ის უფრო მეტად არის დამოკიდებული მასზე, თუმცა, ამ თეორიას ოპონენტები დღემდე ჰყავს.

როდესაც მედიის გავლენაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი აუარო საზოგადოების განვითარებას კულტურული თვალსაზრისით, ამ პროცესში კი მედიის გავლენას. **მედიის და კულტურის ურთიერთობა** მეცნიერთა კვლევის ობიექტად ძირითადად მეოცე საუკუნის 70-იან წლებში იქცა. ამ პერიოდში უკვე არსებობდა თეორიული ცოდნა, რომ მედია ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ახალი ტენდენციების დამკვიდრებას უწყობს ხელს. 1970-იანი წლებიდან კი უკვე კომუნიკაციების მკვლევრებმა დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ როგორ ახერხებენ სხვადასხვა კულტურები თვითორგანიზებას და როგორ ყალიბდება ცნებები. აქედან გამომდინარე, მკვლევრები, რომელთაც მასმედიისა და კულტურის ურთიერთობა აინტერესებდათ ორი ძირითადი მიდგომა

გამოყვეს: კულტუროლოგიური და კრიტიკული. მკვლევრები თანხმდებიან, რომ მედია კულტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ხოლო კულტურა კი - საზოგადოების ფორმირებაში. კულტუროლოგიური ანალიზი თავის მხრივ აპოლიტიკურია, თუმცა კულტურის კრიტიკული კვლევები - პოლიტიზირებული. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კულტუროლოგიური ანალიზი და კრიტიკული კვლევები ხარისხობრივ კვლევას იყენებენ, ხოლო თავად კულტუროლოგიურ თეორიას ისინი ეყრდობიან, ვისაც სჯერა, რომ მედიას საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის უნარი აქვს. მაგალითად: მარკეტოლოგები, რეკლამის სფეროსი წარმომადგენლები, სოციოლოგიები. მასობრივი კომუნიკაცია შეიძლება მივიჩნიოთ როგორ სოციალურ (საზოგადოებრივ), ისე კულტურულ ფენომენადაც. მასმედიის ინსტიტუტი არის საზოგადოების სტრუქტურის ნაწილი, ხოლო მისი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა კი ეკონომიკური და ძალაუფლების ბაზის ნაწილია, მაშინ როდესაც მედიის მიერ შექმნილი იდეები და გამოსახულებები ჩვენი კულტურის მნიშვნელოვანი ასპექტია. ამ საკითხის განხილვისას როზენგრენმა შემოგვთავაზა მარტივი ტიპოლოგია, რომელიც ორი საწინააღმდეგო განსაზღვრებისგან შედგება: სოციალური სტრუქტურა კულტურაზე ახდენს გავლენას და პირიქით, - კულტურა ახდენს გავლენას სოციალურ სტრუქტურაზე. მისივე თქმით, მედიას შეუძლია როგორც ზეწოლა, ასევე თავისუფლების მინიჭება, როგორც საზოგადოების გაერთიანება, ასევე ფრაგმენტაცია, დაშლა, როგორც პროგრესის ხელშეწყობა, ასევე ცვლილებების შეჩერება. ამიტომ მკვლევრები მედიას განიხილავენ ხან როგორც პროგრესულს, ხან კი როგორც რეაქციულს, ამის მიუხედავად, მედია საზოგადოების სარკეა, რომელიც საზოგადოების შესახებ ინფორმაციას შეიცავს. ზოგჯერ კი მედია, გარკვეული ფაქტების, მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყაროა, რომელიც ინახავს არა მარტო წარსულის ცოდნას, გვაცნობს აწყმოს, არამედ მომავლის ტენდენციებსაც გვკარნახობს. შესაბამისად, მედია და კულტურა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. კულტუროლოგიური ანალიზი იმ ზოგადი ვარაუდიდან გამოდის, რომ

ინდივიდებისთვის რეალობის გამოცდილება ეს მათ მიერ განხორციელებული სოციალური კონსტრუირების უწყვეტი პროცესია და არა უბრალოდ ის, რასაც ვითომ გამოუცდელ აუდიტორიას ხელისუფლება ან ელიტა ახვევს. ეს მიდგომა განსხვავებულია მასობრივი საზოგადოებისა და შეზღუდული ეფექტების თეორიების დებულებებისგან. მასობრივი საზოგადოება შედგება ატომიზებული ადამიანებისაგან. ამ ტიპის ადამიანები ემოციურად ძნელად ეგუებიან ნებისმიერი შუალედური ჯგუფის არსებობას, რომელიც შეიძლება ჩადგეს მათსა და სახელმწიფო ძალაუფლებას შორის. ამ თვალსაზრისით, მასობრივი საზოგადოება ტოტალიტარიზმის რელევანტურია, როგორიც იყო, მაგ., გერმანული ფაშიზმი ან საბჭოთა ბოლშევიზმი. თუმცა, ეს ცნება, ზოგადად, გამოიყენება თანამედროვე, ინდუსტრიული საზოგადოების აღსაწერად, რომელმაც დაკარგა წარსული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ინტიმურობა და აუთენტურობა. ის ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: იგი გამოირჩევა არადიფერენცირებულობის მაღალი ხარისხით; მისი შემადგენელი ინდივიდების უმრავლესობა ერთმანეთის მსგავსია, მათ დაკარგული აქვთ ინდივიდუალობა და მათი ქმედებები რუტინულია; აღარ არსებობს საყოველთაო მორალური ღირებულებები და, ამის მიუხედავად, მასა მიდრეკილია იდეოლოგიური ფანატიზმისაკენ; ინდივიდები გამოირჩევიან პოლიტიკური აპათიურობით, მათ შორის კავშირები შესუსტებულია და, ამდენად, იოლად ემორჩილებიან მანიპულირებას დიქტატურისა და ბიუროკრატიის მხრიდან; ლოკალური ტრადიციები და კულტურა გადაფარა მასმედიის გავლენამ, კულტურა (ხელოვნება, ლიტერატურა, ფილოსოფია და მეცნიერება) გადაიქცა მასობრივ, დაბალი გემოვნების კულტურად.

ხოლო მასობრივი საზოგადოების თეორიის ამოსავალ წერტილად ცნება "მასა" აიღება და მისი ძირითადი პრინციპებიც სწორედ "მასის" ნიშან–თვისებებს ეფუძნება. თეორია ყურადღებას ამახვილებს ძალაუფლების მქონე ინსტიტუციებისა და სოციალური ძალაუფლების წყაროებში მედიის ინტეგრაციის ხარისხის ურთიერთდამოკიდებულებაზე. მედიური შინაარსი ემსახურება პოლიტიკური და

ეკონომიკური ძალაუფლების მპყრობელთა ინტერესებს; მედიას არ შეიძლება გააჩნდეს სამყაროს ალტერნატიული ხედვა. **მასობრივი საზოგადოების თეორიის** ძირითადი ნიშან–თვისებებია:

1) ფართომასშტაბიანი საზოგადოება;

2) ატომიზებული პუბლიკა;

3) ცენტრალიზებული მედია;

4) ცალმხრივი ტრანსმისია ინფორმაციის, (შეტყობინების ცალმხრივი გადაცემა);

5)ადამიანების ძლიერი დამოკიდებულება მედიაზე იდენტობის შექმნა–შენარჩუნების მხრივ და

6) მედიის გამოყენება მანიპულაციისა და კონტროლის მიზნით.

ამ თეორიის ერთ–ერთი განმავითარებელია სი რაით მილსი (Mills, C. W. (1951). White Collar: The American Middle Classes, Oxford University Press). ხოლო შეზრუდული ეფექტების შესწავლამ კი დომინირებული წყაროებისგან პასიურ მიმღებებამდე იდეებისა და ინფორმაციიას ეფექტურ გადაცემაზე გაამახვილა ყურადღება.

მასობრივ საზოგადოებაში რეალობის სოციალური კონსტრუირება გულისხმობს, რომ აუდიტორია პასიურად კი არ იღებს ინფორმაციას, არამედ გადაამუშავებს მას, საბოლოოდ კი იმას იმახსოვრებს, რაც მის კულტურასთან არის ახლოს. ალფრედ შიუტცის მიხედვით, ადამიანებს ცოდნა დაუგროვდათ, რომლის საშუალებითაც ტიპიზაცია ხდება. ტიპიზაციის დროს ადამიანი სწრაფად ახერხებს კლასიფიცირებას და ქცევას განსაზღვრავს, თუმცა, ტიპიზაციის კონცეფცია სიმბოლოების და ინფორმაციის გადამუშავების სქემების მსგავსია და მათში უარყოფით მომენტებს ხედავს. შიუტცის ფენომენოლოგიური სოციოლოგია **რეალობის სოციალური კონსტრუირების თეორიას** დაედო საფუძვლად. (Schutz, A. (1967) The Phenomenology of the Social World, Northwestern UP. Paperwork.)

ახლა რაც შეეხება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ე.წ. კრიტიკულ კვლევებს, **კრიტიკული თეორიების მიხედვით,** სოციალური თეორია უნდა ემყარებოდეს ღირებულებების ნაკრებს, რომელიც საფუძველი იქნება სოციალური ინსტიტუტების და სოციალური წესრიგის კრიტიკისა, ხოლო კრიტიკული თეორიის მიზანია ამ ინსტიტუტების გარდაქმნა, და ბოლოს, კრიტიკული თეორიები ჯერ პრობლემას სწავლობენ, შემდეგ კი მათი გადაჭრის გზებსაც გვთავაზობენ. უფრო მეტიც, კრიტიკული მიდგომის მომხრეები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულნი და ხშირად თეორიების რეალურ ცხოვრებაში განხორციელებას ცდილობენ. სწორედ ამიტომ მასმედია და მასკულტურა, ხშირად მეცნიერ-კრიტიკოსთა ობიექტია. თუ მედია კონკრეტული პრობლემის წყარო არ არის, მაშინ მას აკრიტიკებენ, რადგან პრობლემის გადაჭრის გზებს არ სთავაზობს საზოგადოებას, ხშირად ხელს უშლის კიდეც. მაგალითად, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული გამოსვლების გაუშუქებლობით. ამ ფონზე ელიტა დადებითად არის წარმოჩენილი, ხოლო საზოგადოებრივი მოძრაობის წარმომადგენლები - ნეგატიურად. 1970-იან წლებში ისტორიულ კონტექსტში კულტურაზე ელიტის გავლენის შესწავლით კუთხით **ბრიტანული სკოლა** დაწინაურდა. კერძოდ, ბირმინჰემის თანამედროვე კულტურის ცენტრში მთელი რიგი კვლევები ჩატარდა. ამ კვლევების მიზანი იმის ჩვენება იყო, რომ პრივილეგირებული ელიტა უმცირესობასა და სუბკულტურაზე ძალადობდა, განსკუთრებით მწვავე კრიტიკას იმსახურებდა ელიტის მიერ მასკულტურის დაცინვა. ამ სკოლას უკავშირდება სტიუარტ ჰოლის სახელი, რომელმაც მასმედიის შემდეგნაირი გაგება შემოგვთავაზა: მასმედია სახალხო ფორუმია, რომლისკენაც მრავალი ძალა, ადამიანებისთვის სოციალურ სინამდვილეზე საკუთარი წარმოდგენების შთაგონებისკენ მიისწრაფვის, გარდა ამისა, სოციალურ სამყაროში სადემარკაციო ხაზს ავლებს. ამ ფორუმში კი სხვადასხვა ძალებს შორის სერიოზული ბრძოლა და დაპირისპირებაა. (Hall, S. ([1973] 1980): 'Encoding/decoding'. In Centre for Contemporary Cultural Studies (Ed.): Culture, Media, Language: Working Papers in Cultural Studies, London: Hutchinson.)

1970-იან წლებში, დასავლეთში მარქსისტულ იდეებზე დაფუძნებული თეორიები პოპულარული გახდა. ცხადია, ამ ტენდენციამ ასახვა მედიაშიც ჰპოვა და **მარქსიზმი,** როგორც მედია–საზოგადოების თეორიის ნაირსახეობა ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მარქსიზმს მკვლევრებისა და მეცნიერების დიდი უმრავლესობა წარუმატებელ საშუალებად მიიჩნევს პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების მისაღწევად, მედიის მარქსისტული ანალიზის ტრადიცია თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც ინარჩუნებს აქტუალურობას. მარქსიზმის იდეოლოგიის მიხედვით, მედია წარმოების საშუალებებია, რომელიც შეესაბამება კაპიტალისტური მრეწველობას ყველაზე ზოგადი სახით საწარმოო ძალებითა და საწარმოო ურთიერთობებით. ამ მიდგომით მედის ელიტის ინტერესებს ემსახურება მომხმარებელთა და მუშაკთა ექსპლუატაციის ხარჯზე. მარქსიზმის ერთ–ერთ "შვილობილ" თეორიად განიხილება მასზე უფრო თანამედროვე "კრიტიკული პოლიტიკური ეკონომიის თეორია". კომუნიკაციათმცოდნე დენის მაქქუეილის აზრით, მედიის მარქსისტული ინტერპრეტაციისთვის უმნიშნელოვანესია ძალაუფლების საკითხი, მარქსიზმი ავლენს პირდაპირ კავშირს ეკონომიკურ სტრუქტურებსა (მედიის მესაკუთრეობა) და მედიური შეტყობინების შექმნა–გავრცელებას შორის, რომლებიც ადასტურებს კლასობრივი საზოგადოების ლეგიტიმურობასა და მის ღირებულებებს. კაპიტალისტური მედიის მარქსისტული თეორია ემყარება შემდეგ პოსტულატებს:

1) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საკუთრებაში ბურჟუაზიული კლასი ფლობს;

2) მედია მოქმედებს თავისი კლასობრივი ინტერესების შესაბამისად;

3) მედია ხელს უწყობს მუშათა კლასის მცდარი ცნობიერების ჩამოყალიბებას;

4) მედია ავრცელებს დამკვიდრებული წყობის მხარდამჭერ იდეოლოგიას;

5) პოლიტიკური ოპოზიციისთვის მედია ხელმიუწვდომელია.

მეოცე საუკუნეში განვითარდა მაქრსისტული თეორიის რევიზიონისტული ვერსიები, რომლებიც მეტ ყურადღებას იდეებს აპყრობს, ვიდრე მატერიალურ სტრუქტურებს.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველა მარქსისტული იდეა თანხვედრაშია, მათ შორის ბევრი წინააღმდეგობრივი მიდგომაა - დაწყებული კვლევის მეთოდოლოგიით დამთავრებული სხვა თეორიული საკითხებით. იმისთვის, რომ კონსესუსს მიაღწიონ, აუცილებელია, შეთანხმდნენ, რომ კულტურისა და მედიის ინდუსტრიას ერთმანეთზე გავლენის მოხდენა შეუძლია.

მედიის პოლიტეკონომიური თეორია, მეცნიერებაში იმ მიდგომის აღსაწერად გამოიყენება, რომლის კვლევის ობიექტია ეკონომიკური სტრუქტურა და არა კონტენტი/შინაარსი. ამ მიდგომის მიხედვით, მედია ეკონომიკური სისტემის ნაწილია, რომელიც პოლიტიკურ სისტემასთანაა დაკავშირებული. გრეჰემ მერდოკისა და პიტერ გოლდინგის აზრით, ამ ფონზე „ის ხმები, რომელთაც ეკონომიკური ძალა ან რესურსები არ აქვთ“ მედიაბაზარს ეთიშებიან. ამ მიდგომის უპირატესობად მაქქუელი იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ, შესაძლოა, საბაზრო დეტერმინანტების ისეთი ვარაუდების წამოყენება, რომელთა შემოწმება ემპირიული გზით ხდება. თუმცა, მედიის პოლიტეკონომიური თეორიას ნაკლიც აქვს, კერძოდ, მედიის თავისუფალი ბარზის ტერმინოლოგია რელევანტური არ არის კონტროლქვეშ მყოფი მედიის აღსაწერად. მედიის პოლიტეკონომიური თეორიის თანახმად, მედია პროდუქტის მწარმოებელი, ხოლო მედიის მიერ წარმოებულ პროდუქტად მის მიერ შექმნილი და გავრცელებული შინაარსი განიხილება. თუმცა არსებობს საკმაოდ რაციონალური და ლოგიკური მოსაზრებაც, რომ მედიის პროდუქტი აუდიტორიაა, სმიტის მიხედვით, მედია რეკლამის დამკვეთებისთვის აუდიტორიას უზრუნველყოფს და ხშირად მათ ქცევასაც განსაზღვრავს.

მარქსის მიხედვით, მმართველი კლასის იდეები ყველა ეპოქაში მმართველ იდეებს წარმოადგენენ; ანუ კლასი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების მატერიალურ

მმართველ ძალას ამავე დროს არის მმართველი ინტელექტუალური ძალა. კლასი, რომელიც ფლობს მატერიალური წარმოების საშუალებებს, ასევე ფლობს მენტალური წარმოების საშუალებებსაც. მმართველი იდეები წარმოადგენენ დომინანტური მატერიალური ურთიერთობების იდეალურ გამოხატულებას და აღიქმებიან როგორც იდეები საიდანაც გამომდინარეობს ურთიერთობები, რომლებიც კლასს მმართველ კლასად აქცევენ. მმართველი კლასი კი, თავის მხრივ, დომინანტური იდეების მატარებელი ხდება(Marx K. and Engels F. (1970). Ruling class and ruling ideas).

ანტონიო გრამშის **ჰეგემონიის თეორია** ასახავს თუ როგორ ხდება დომინანტობის შენარჩუნება განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებებში. (Gramsci, A. (1971) Prison Notebooks of Antonio Gramsci, New York, International Publishers.)

ჰეგემონიის ცნება შეეხება ისეთ სიტუაციას, რომელშიც სოციალური ჯგუფების გარკვეული კავშირის შედეგად ხდება ტოტალური სოციალური ძალაუფლების განხორციელება სხვა დაქვემდებარებულ ჯგუფებზე, არა მხოლოდ იძულების ან მმართველი იდეების პირდაპირი თავსმოხვევის გზით, არამედ თანხმობის მოპოვებისა და საერთო შეხედულებების ფორმირების საშუალებით, ისე რომ დომინანტური ჯგუფების ძალაუფლებას ლეგიტიმური და ბუნებრივი სახე ეძლევა.

ჰეგემონიის შენარჩუნება შეიძლება იქამდე, ვიდრე დომინანტი კლასები წარმატებით ახერხებენ ძირითადი მნიშვნელობების განსაზღვრას ერთი მოცემული ჩარჩოს ფარგლებში, ისე რომ დაქვემდებარებული ჯგუფები თუ არ კონტროლდებიან, მაშინ ერთ იდეოლოგიურ სივრცეში მაინც არიან მოქცეული. ეს იდეოლოგიური სივრცე არ უნდა ჩანდეს როგორც მკვეთრად იდეოლოგიური, არამედ ჰქონდეს მუდმივობისა და ბუნებრიობის სახე, იყოს ისტორიის გარეთ და კონკრეტული ინტერესების მიღმა. ბარტის მიხედვით, მითოლოგია ასრულებს ნატურალიზაციისა და ნორმალიზაციის ვიტალურ ფუნქციას. გრამში მნიშვნელოვან დეტალს ამატებს: მისი აზრით, ჰეგემონიის ძალა, სწორედ იმიტომ რომ მას სჭირდება დაქვემდებარებული უმვრავლესობის თანხმობა არასდროს განხორციელდება ერთსა და იმავე ადამიანთა

ჯგუფის მიერ. ჰეგემონია არ არის უნივერსალური და წინასწარ მოცემული კონკრეტული კლასისთვის, რომ მათ მართონ; არამედ ჰეგემონია, პირველ რიგში, უნდა მოიპოვონ, ექვემდებარებოდეს კვლავ წარმოებას და ჰეგემონიის შენარჩუნებისთვის მმართველი ჯგუფი უნდა იღვწოდეს. ჰეგემონია წარმოადგენს "მოძრავ წონასწორობას", რომელიც მოიცავს ძალების ურთიერთქმედებას, რომლებიც ან კეთილად არიან განწყობილი ამა თუ იმ ტენდენციის მიმართ, ან არა.

აქედან გამომდინარე, ფორმები არ შეიძლება პერმანენტულად ნორმალიზებული იყოს. მათი დეკონსტრუირება და დემისტიფიკაცია ყოველთვის არის შესაძლებელი; მაგალითად, ისეთი „მითოლოგის" მიერ, როგორიც არის როლანდ ბარტი. უფრო მეტიც, საგნების თავიდან მოპოვება ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველთვის არის შესაძლებელი; მათ ხშირად წინააღმდეგობრივი მნიშვნელობები ენიჭებათ იმავე ჯგუფების მიერ, რომლებმაც საგნები შექმნეს. სიმბიოზი, რომელშიც იდეოლოგია და სოციალური წესრიგი, წარმოება და კვლავ წარმოება ერთმანეთს უკავშირდება, არ არის სტაბილური და არც გარანტირებული. ის ღიაა ცვლილებებისთვის. ლეფებრეს მიხედვით, ჩვენ ვცხოვრობთ იმ საზოგადოებაში სადაც მეორადი ბუნება პირველადის ადგილს იკავებს - აღქმადი რეალობის თავდაპირველ ფენას. ყოველთვის არის წინააღმდეგობები და დაპირისპირებები, რომლებიც ნიშანსა და საგანს შორის, წარმოებასა და კვლავწარმოებას შორის ნაპრალის ამოვსებას უშლიან ხელს. (Lefebvre, H. (1971) Everyday life in the modern world, PARIS)

ბრძოლა სხვადასხვა დისკურსს, სხვადასხვა დეფინიციასა და მნიშვნელობას შორის იდეოლოგიის ფარგლებში, ყოველთვის ატარებს სიგნიფიკაციის სფეროში არსებული უთანხმოების ხასიათს: ეს არის ბრძოლა ნიშნის კვლავ მოპოვებისთვის, რომელიც ვრცელდება ყოველდღიურობის ყველაზე ყოველდღიურ სფეროებზეც კი.

კლასიკური მარქსიზმის და პოლიტეკონომიური თეორიისგან ამ თვალსაზრიის შემდეგი რამ განასხვავებს- ეკონომიკური ბაზისისგან მეტ დამუკიდებლობას აღიარებს.

მარქსიზმის თეორიის შემდეგ აუცილებლად უნდა შევეხოთ **ნეომარქსისტულ** მოძღვრებას, რომელიც თვალსაჩინო წარმომადგენელია **ფრანკფურტის სკოლის.** ამ სკოლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები კი მაქს ჰორკჰაიმერი და ტეოდორ ადორნო არიან, თუმცა ლეო ლოვენტალმა, ჰერბერტ მარკუსმა და ვოლტერ ბენიამინმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. ამ თეორიის მიზანი მარქსიზმის მარცხის მიზეზების ახსნა იყო. გარდა ამისა, ნეომარქსიზმის უფრო გვიანდელი ფორმებისგან განსხვავებით, ფრანკფურტის სკოლა კრიტიკულ თეორიას კულტურულ პრობლემატიკასთან ათავსებდა. კულტუროლოგიური მიდგომისას ფრანკფურტის სკოლა სოციალური ურთიერთობების განმსაზღვრელ ფაქტორად ისტორიულ მიდგომას ირჩევს, ხოლო მედიაში გაბატონებული კლასის იდეოლოგიის გაბატონებაში მედიას ადანაშაულებს.

ტეოდორ ადორნო ამტკიცებდა, რომ პიროვნებაზე მედიას გამანადგურებელი გავლენა ჰქონდა, რაც მასკულტურის გზით ხდებოდა და ინდივიდუალური თავისებურებების უნიფიკაციას იწვევდა. თუმცა, ამ თეორიის გადაჭარბებული ელიტარულობისა და პატერნალიზმის იმავე საზოგადოების სოციალურად ნაკლებად დაცულ ნაწილზე ზრუნვის გამო აკრიტიკებდნენ.

უნდა ითქვას ისიც, რომ ფრაკფურტის სკოლა გარკვეულწილად თანხვედრაში იყო მასობრივი საზოგადოების თეორიასთან, რადგან ორივე მიდგომის აზრით, მედია არსებული წერსიგის შენარჩუნებას უფრო ცდილობს, ვიდრე შეცვლას. 1970-იან წლებში ფრანკფურტის სკოლა დაიშალა. სანამ თეორიებზე ვსაუბრობთ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ მედია ცალკე, განყენებული და დამოუკიდებელი ორგანიზმი არაა. მას კონკრეტული მფლობელები ჰყავს და მედიაპოლიტიკასაც ისინი განსაზღვრავენ, ამიტომ ხშირად მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები არა საზოგადოების, არამედ კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს ემსახურებიან. ვესტლი და მაკლინი გვთავაზობენ ჩარჩოებს/ფრეიმებს, რომელსაც ესა თუ ის ჯგუფი მედიის საშუალებით საზოგადოებაში შესახაბამის განწყობისა და მოსაზრების შესაქმნელად

იყენებს. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ **მედიური ფრეიმები** კონცენტრირებულია პოლიტიკურ საკითხებზე, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო პროცესებზე. ზოგიერთი მეცნიერის მიხედვით, ფრეიმინგი, როგორც პროცესი ორი ნაწილისგან შედგება: ჩარჩოს „აგება“ და ჩარჩოს „შედგენა“, რომელშიც იგულისხმება თუ როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან მედიის მიერ შექმნილი ფრეიმები და საზოგადოების წარმოდგენები. აქედან გამომდინარე ხშირად მედიაში დღის წესრიგს არა მაყურებელი, არამედ „დამკვეთი“ ქმნის. რაკი ფრეიმინგს შევეხეთ ანუ საკითხს, როდესაც ახალ ამბავს ქმნის რომელიმე ელიტური დაინტერესებული ფენა, აქვე ვისაბროთ იმის შესახებ, თუ რა არის ახალი ამბები. უოლტერ ლიპმანის განმარტებით, ახალი ამბები-ეს საზოგადოების სარკე კი არაა, არამედ ინფორმაცია მისი ამა თუ იმ ასპექტის შესახებ. აქედან გამომდინარე ახალი ამბები საზოგადოების სხვადასხვა ასპექტის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. რობერტ პარკმა კი ახალი ამბების არსის გასარკვევად შედარებითი მეთოდი გამოიყენა და ახალი ამბები ისტორიას დაუპირისპირა. ისტორია წარსულის შესახებ არსებული ცოდნაა, ახალი ამბები კი აწმყოში ხდება.

გარდა ამისა, პარკმა ახალი ამბები რამდენიმე მახასიათებლითაც გამოარჩია. ის ოპერატიულია, აქტუალობას მალევე კარგავს ანუ მალფუჭადია, ახალი ამბები სისტემური არაა, ამბები უნდა იყოს მოულოდნელი და უჩვეულო, ახალი ამბები გამოიყენება ყურადღების მაჩვენებლად. (Park R. E. (1940) News as a Form of Knowledge: A Chapter in the Sociology of Knowledge,., American Journal of Sociology.)

ახალი ამბების არსის გადმოსაცემად უამრავი პულიკაცია შეიქმნა, შესაბამისად განმარტებაც მრავალფეროვანია. თუმცა, ყველა თანხმდება რომ ახალ ამბავს სიახლე და ინფორმაციული ღირებულება უნდა ჰქონდეს.

მასობრივი კომუნაკაციის საშუალებების ჩამოყალიბების პარალელურად, მედიაში ინფორმაციის მიწოდებისა და ახალი ამბის თხრობის სხვადასხვა ფორმა ჩამოყალიბდა, რომელსაც ჟანრები ეწოდა. თითოეულ მედია ჟანრს აქვს თხრობისა და

ქმედებების თანმიმდევრობის სტანდარტული სტრუქტურა. ჟანრთა თეორია მუდმივად ვითარდება.

ახალი ამბები გახდა რა მკვლევრების კვლევის ობიექტი, უკვე 1970-80 იან წლებში გამოიკვეთა, რომ ახალი ამბების შინაარსით მანიპულირებაა შესაძლებელი, ეს კი 4 ხერხით ხდება: პერსონოფიკაცია, დრამატიზაცია, ფრაგმენტაცია, ნორმალიზაცია. ამ ოთხმა ხერხმა კი ასახვა **მედიაჩარევის თეორიაში** ჰპოვა.

მედიაჩარევის თეორიის მიხედვით, პოლიტიკური ახალი ამბები ზედმეტად პერსონიფიცირებულია, დრამატიზებული და ფრაგმენტული. ასეთ დროს ადამიანი ახალი ამბის შესახებ სრულყოფილ დეტალურ ინფორმაცის ვერ იღებს. მედიაჩარევის თეორია მთლიანად ახალი ამბების წარმოების კვლევებზეა აგებული. როდესაც მანიპულაციაზე ვსაუბრობთ აქვე უნდა ვახსენოთ მედიის დიდი წვლილი სტერეოტიპების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესში, ამ პროცესში კი გადამწყვეტ მნიშვნელობას სიტყვა-კომუნიკაციის მთავარი იარაღი ასრულებს.

1989 წელს ვან დეიკმა ახალი მიდგომა წამოაყენა. კერძოდ, მან მკვლევრებს შესთავაზა მასმედიის ტექსტები შეესწავლათ - ანუ ახალი ამბები, როგორც დისკურსი. ვან დეიკის აზრით, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ტექსტები და განსაკუთრებით ახალი ამბები ტექსტები უნდა შეისწავლებოდეს სპეციფიკური სოციოკულტურული მოღვაწეობის კონტექსტში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ საზოგადოება კონკრეტული გარემოს, ფაქტების, მოვლენების შესახებ ინფორმაციას მედიის საშუალებით იღებს და აღქმაც მისით ხდება. სიტყვათა მნიშვნელობების აგების თეორიის მიხედვით, ადამიანები სიტყვებს სწორედ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიერ დამკვიდრებულ მნიშვნელობებს უკავშირებენ. ასე რომ მედიას ცვლილებები შეაქვს ენაში, ხელს უწყობაში სტერეოტიპების შექმნას და პირიქით მსხვრევას. არსებობს სტერეოტიპების თეორია, რომელიც უმცირესობების ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიებას და ამ სტერეოტიპის გამყარებას უწყობს ხელს. ამ დროს

აქტუალურია სიტყვებისა და მათი ურთიერთმიმართებათა თეორიის გამოყენება, რომელიც სტერეოტიპების ანალიზისას გამოიყენება.

სიტყვის მნიშვნელობასა და ძალაზე წერდა ჰაროლდ ინისიც. ნაშრომებში „ იმპერია და კომუნიკაცია“ და „მიკერძოება კომუნიკაციაში“ ინისმა დაწერა, რომ ძველ ეგვიპტეში, ანტიკურ საბერძნეთსა და რომის იმპერიაში მმართველი ელიტა კონტროლს სწორედ წერილობითი სიტყვის საშუალებით ინარჩუნებდა. ამისთვის კი მან ეს იმპერიები უფრო ძველ იმპერიებს დაუპირისპირა, თუმცა, მაშინ წერილობითი სიტყვის ნაცვლად, მხოლოდ ზეპირი სიტყვა არსებობდა. ინისის აზრით, იმპერიები ძალაუფლებას მედიაშეტყობინების დაგზავნით გეოგრაფიულად ფართო არეალზე ინარჩუნებდნენ. ამ პროცესის გამყარებას კი ხელი საწერი საშუალებისა და ქაღალდის გამოგონებას შეუწყო. მოგვიანებით კი ტელეფონი და ტელეფრამი გამოჩნდა, ანუ წაიშალა დროისა და სივრცის კვალი.

ინისი გახდა პირველი მეცნიერი, რომელიც მედიასა და სოციალური კულტურის სხვადასხვა სახეებს შორის კავშირს იკვლევდა. ჰაროლდ ინისი **ტორონტოს სკოლის** ფუძემდებლად ითვლება. ეს სკოლა დაინტერებული იყო შეესწავლა მედია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. (Innis, H. (1950), Empire and Communications (1950), (1951). The Bias of Communication, Toronto: University of Toronto Press.)

როგორც ზემოთ აღინიშნა ტექნოლოგიების განვითარება ცენტრალურ ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა დიდი გეოგრაფიული არეალი ემართა. სწორედ ტექნოლოგიურ განვითარებაზეა დაფუძნებული ინფორმაციული საზოგადოების კონცეფცია. ფერგუსონმა შემოგვთავაზა ნეოტექნოლოგიური დეტერმინიზმი, როგორც შეხედულებების სისტემა, რომელიც დამოუკიდებელი თვითმოქმედებისკენ ისწრაფვოდა.

ტერმინი "საკომუნიკაციო რევოლუცია“ ტერმინი „ინფორმაციული საზოგადოება ", ~ მიღებულია, როგორც ობიექტური აღწერა ჩვენი დროისა და იმ ტიპის საზოგადოების, რომელიც წარმოიქმნება.

ტერმინი "საინფორმაციო საზოგადოება", როგორც ჩანს, იაპონიაში წარმოიშვა 1960-იან წლებში. გენეალოგიის მიუხედავად, ის მაინც პოსტინდუსტრიალ ეპოქის საზოგადოებას ასახავს. ინფორმაციული საზოგადოებას- ეს არის სოციოლოგიური და ფუტუროლოგიური კონცეფცია, რომელიც საზოგადოების მთავარ ფაქტორად სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაციიას წარმოებას და გამოყენებას. ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას უკავშირებენ ეკონომიკის მეოთხე ინფორმაციულ სექტორს, უფრო კონკრეტრულად, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და მომსახურების ეკონომიკის შემდგომ პერიოდს.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ერის ჩამოყალიბებამ უზრუნველყო ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობის წარმოების, დამუშავებისა და გადაცემის შესაძლებლობა. თანამედროვე წამყვანი სოციოლოგები დ. ბელი, ო. ტოფლერი, ე. კასტელზი და სხვ. მიუთითებენ, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოება, თავისი არსით, კომუნიკაციური თუ ინფორმაციული საზოგადოებაა. ბელის მტკიცებით, თუ ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი რესურსი კაპიტალი იყო, პოსტინდუსტრიული საზოგადოების სტრატეგიული რესურსებია ინფორმაცია და თეორიული ცოდნა. მეცნიერება კი გადაიქცა ძირითად საწარმოო ძალად. ახალი ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის შესაძლებლობანი გრანდიოზული გახადა.

როგორც დენის მაქქუელი აღნიშნავს, ინფორმაციული საზოგადოებაა ესაა საზოგადოებას, რომლისთვისაც ყველაზე ფასეული ინფორმაციაა. მეცნიერები, რომლებიც ინფორმაციული საზოგადოების განსაზღვრებას ცდილობენ ყოველთვის წერენ საინფორმაციო საზოგადოების გამორჩეულობაზე, განსაკუთრებულობაზე, თუმცა მათი ოპერაციული კრიტერიუმები გაურკვეველი რჩება. ცდილობენ რა

გააცნობიერონ ცვლილებათა მნიშვნელობა ინფორმაციაში, ისინი ცდილობენ, განსზღვრონ ეს ცვლილებები ეკონომიკური წარმოების განსხვავებული ფორმების ტერმინებში, სოციალური ზემოქმედების ახალ ფორმებში, წარმოების ინოვაციურ პროცესებში და ა.შ. თუმცა მათ ვერ ძალუძთ დაადგინონ როგორ დაიკავა დღეს ინფორმაციამ ცენტრალური ადგილი საზოგადოებაში ისე რომ იგი იქცა ახლი ტიპის საზოგადოებას ჩამოყალიბების ფაქტორად. მაინც რა არის ინფორმაცია? რატომ თვლის მეცნიერთა ნაწილი რომ ინფორმაცია წარმოადგენს ჩვენი დროის მთავარ პრობლემას.

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ **ინფორმაციული საზოგადოების** ხუთი განსაზღვრება:

ტექნოლოგიური

ეკონომიური

დასაქმების სფეროსთან დაკავშირებული

სივრცული

კულტურული

თუმცა, ამ დეფინიციის საფუძველს წარმოადგენს მტკიცება იმის შესახებ, რომ რაოდენობრივმა ცვლილებებმა ინფორმაციულ სფეროში მოგვიყვანა თვისებრივად ახალი ტიპის სოციალური მოწყობის აღმოცენებასთან, რასაც უკვე ინფორმაციული საზოგადოება ეწოდა. თუმცა, ზოგი მკვლევარი ამ ტერმინს არ ეთანხმება და ინფორმაციული საზოგადოების ნაცვლად ტერმინის „NETWORK SOCIETY“ იყენებს, რადგან ინფორმაციულ საზოგადოებას უფრო მეტად კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარებას უკავშირებენ.

ტექნოლოგიურ რევოლუციას, რომელსაც არა ლოკალურ-ტერიტორიული, არამედ სივრცითი-დროითი ხასიათი აქვს, განსაკუთრებული მოლოდონით მიესალმებოდა გამოჩენილი ფუტუროლოგი ელვინ ტოფლერი. თავისი აზრი მან გამოხატა ნაშრომში

„მესამე ტალღა.“ მისი აზრით, სამყარო მუდმივად განიცდის ფორმირებას ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციის სამი ტალღის მეშვეობით, რომელთა შეჩერებაც, როგორც დიდი მოქცევისა შეუძლებელია. პირველი იყო – სასოფლო სამეურნეო რევოლუცია, მეორე – სამრეწველო რევოლუცია, ახლა დგება მესამე ტალღის დრო – ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც მოასწავებს ცხოვრების ახალ წესს. მანვე შენიშნა, რომ ინფორმაციის მზარდმა ნაკადმა ახალი კულტურა წარმოქმნა. რაც გულისმობს, რომ ხდება ინფორმაციის სტანდარტიზაცია და კლასიფიკაცია. (Toffler, A. (1980) Third Wave, Bantam Books (USA).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. McQuail, D. (2011). McQuail's Mass Communication Theory, 6th (sixth) Edition.
2. Siebert, F., Peterson, T. & Schramm, W. (1956). "Four theories of the press." Urbana, IL: University of Illinois Press.
3. Lasswell, H. D. (1971). Propaganda Technique in World War I, M.I.T. Press
4. Hallin, D., Manchini, P. (2004). Comparing Media Systems. Three Models of Media and Politics, University of California.
5. Herzog, H. (1944). "What do we really know about daytime serial listeners?, As quoted in P. F. Lazarsfeld and F. Stanton, eds., Radio Research. New York: Duell, Sloan and Pearce, As appeared in Blumler and Katz.
6. Schramm, W. (Ed.). (1949). Mass communications. Urbana, IL: University of Illinois Press.
7. Mills, C. W. (1951). White Collar: The American Middle Classes, Oxford University Press.
8. Schutz, A. (1967). The Phenomenology of the Social World, Northwestern UP. Paperwork.
9. Hall, S. ([1973] 1980). 'Encoding/decoding'. In Centre for Contemporary Cultural Studies (Ed.): Culture, Media, Language: Working Papers in Cultural Studies, London: Hutchinson.
10. Marx, K. and Engels, F. (1970). Ruling class and ruling ideas.
11. Gramsci, A. (1971) Prison Notebooks of Antonio Gramsci, New York, International Publishers.
12. Lefebvre, H. (1971). Everyday life in the modern world, PARIS.
13. Park, R. E. (1940). News as a Form of Knowledge: A Chapter in the Sociology of Knowledge, American Journal of Sociology.
14. Innis, H. (1950). Empire and Communications, Toronto: University of Toronto Press.
15. Innis, H. (1951). The Bias of Communication, Toronto: University of Toronto Press.

16. Toffler, A. (1980). Third Wave, Bantam Books USA.

17. ბერტრანი, კ.ჟ. (1997). მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები, პარიზი.

18. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=15414

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დემოგრაფია - სადოქტორო პროგრამა

I სემესტრის დოქტორანტი

თინათინ კაპანაძე

სადოქტორო სემინარი

„ქორწინება, როგორც ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი- ვაჟა ლორთქიფანიძე

თბილისი 2018

სარჩევი

შესავალი 3

ლიტერატურის მიმოხილვა ..... **Error! Bookmark not defined.**

თავი 1. საკითხისაღწერა ..... **Error! Bookmark not defined.**

ქორწინება როგორც სოციალური ინსტიტუტი 4

განსხვავება ქორწინებით სტრუქტურასა და ოჯახის სტრუქტურას შორის 8

თავი 2. ქორწინებითი სტრუქტურის ანალიზი 10

თავი 3. ქორწინება და მისი იტორიული მიმოხილვა ..... **Error! Bookmark not defined.**

ქორწინების ჩამოყალიბება ..... **Error! Bookmark not defined.**

. ქორწინებითი მდგომარეობის სურათი 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ..... **Error! Bookmark not defined.**

ქორწინებითი მდგომარეობის სურათი 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით 15

თავი 4. საქართველოს მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურა რეგიონების მიხედვით 28

დასკვნა 38

გამოყენებული ლიტერატურა 41

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ- პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში უდიდესი ადგილი განეკუთვნება მასში მიმდინარე დემოგრაფიულ მოვლენებსა და ფაქტორებს. ჩემი სემინარის თემად ავიღე „ქორწინება“, ვინაიდან იგი, უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული მოვლენაა. ქორწინების ფენომენი ჩვენი კულტურისა და ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მას განსაკუთრებული ისტორიული როლი აქვს შესრულებული ქართული საზოგადოების განვითარებაში.

ეს თემა უაღრესად აქტუალურია დღესაც, რადგან მსოფლიოს მოსახლეობის კატასტროფულად ზრდის ფონზე, სამწუხაროდ, მკვეთრად კლებულობს საქართველოს მოსახლეობა, ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაციასა და ზრდაში ,საყოველთაო აღიარებით, უდიდესი როლი ეკისრება ქორწინების ინსტიტუტს. კერძოდ, მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ტენდენციის გამომწვევ ფაქტორთა შორის , ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქორწინებითი სტრუქტურის დეფორმაცია.

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოს ქორწინებითი სტრუქტურის ევოლუციას. მასში განხილულია როგორც მსოფლიოში ქორწინებითი ინსტიტუტის აღმოცენება, მისი ევოლუცია, ასევე საქართველოში ქორწინებასთან დაკავშირებული ისტორიულად არსებული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები.

ნაშრომის მიზანი და ამოცანაა იმ უმნიშვნელოვანესი საკითხის შესწავლა, რომელიც ძალზედ დიდ როლს თამაშობს როგორც ჩვენი სოციუმის, ისე ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ჩამოყალიბებაში. თემის სიღრმისეული ანალიზი კი საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ გარკვეულ მიმართებებს სხვა დემოგრაფიულ მოვლენებთან, გავავლოთ პარალელები და სათანადო მონაცემების ანალიზის საფუძველზე გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები.

წინამდებარე ნაშრომი შერულებაში დიდი დახმარება გაგვიწია ისეთ მეცნიერების ნაშრომებმა, როგორებიც არიან: მ.ბექაია, ანზორ სახვაძე, ს.ჯორბენაძე, ვ.ბორისოვი და სხვები. ასევე საქსტატის მასალებმა. ჩვენს ნაშრომში მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ წყაროებს დავეყრდენით. გარდა ამისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ელექტრონული მასალები, გავაანალიზეთ ინტერნეტ საიტებში ირსებული ინფორმაცია აღნიშნულ თემაზე. თითოეული წყარო, რომელიც გამოყენებულ იქნა ჩვენ მიერ, მითითებულია გამოყენებული ლიტერატურის სიაში.

თავი პირველი. 1.ქორწინება- როგორც სოციალური ინსტიტუტი

ქორწინების ინსტიტუტის ზოგადი არსი.

ქორწინება არის სოციალური მოვლენა, რომელიც წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით ურთიერთობას ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული კანონების ან წეს-

ჩვეულებებისა და ტრადიციების მიხედვით, ქორწინება არის ოჯახის შექმნის ძირითადი, თუმცა არაერთადერთი საფუძველი. ოჯახი შეიძლება წარმოიშვას დაუოჯახებელი ქალის მიერ შვილის დაბადების, შვილად აყვანის და კანონით გათვალისწინებული სხვა იურიდიული ფაქტორების არსებობის შემთხვევაშიც. იმისათვის, რომ ქორწინებას მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, მისი დარეგისტრირება უნდა მოხდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში დასაქორწინებელ პირთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. დასაქორწინებელი პირები ერთობლივი განცხადებით მიმართავენ სამოქალაქო რეესტრს დაქორწინების მოთხოვნით. დაქორწინება ხდება იმ შემთხვევაში თუ დასაქორწინებელმაპირებმამიაღწიეს მინიმალურ საქორწინო ასაკს - 18 წელს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ქორწინების მსურველი პირი არის 16 წლის, საჭირო ხდება მშობლების წერილობითი თანხმობა. აღსანიშნავია, რომ ამ პირობის დაუცველობის შემთხვევაში ქორწინება ბათილად მიიჩნევა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს გამონაკლისი შემთხვევებიც. საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად არასაქორწინო ასაკში მყოფი წყვილის ქორწინება არ ჩაითვლება ბათილად იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში ქორწინების ბათილად ცნობამდე წყვილი მიაღწევს საქორწინო ასაკს; თუ ქორწინებას მოჰყვა ქალის დაორსულება ან შვილის გაჩენა და თუ ცოლქმრულმა ურთიერთობამ გამოიწვია ერთ-ერთი მეუღლის შრომის უნარის დაკარგვა ან დაავადმყოფება.

ქორწინება შეიძლება შეწყდეს სიცოცხლეშივე ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით. ამას განწორწინება ეწოდება. ქორწინების შეწყვეტა ხდება განქორწინების საფუძველზე, ასევე ერთ-ერთი წყვილის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცდახების საფუძველზე.

ქორწინების რეგისტრაციისშემოღების მიზანი იყო და არის, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები, ასევე მეუღლეთა და შვილთა პირადი და ქონებრივი ინტერესებისა და უფლებების დაცვა. თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში ქორწინების რეგისტრაცია უდიდეს მადისციპლინებელ როლს ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ საქორწინო სამართლის ურყევი პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: „მეუღლეები ოჯახში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი შვილების მიმართ“.[12]

უძველეს დროში ქალებსა და კაცებს ჰქონდათ გაურკვეველი სახის, მოუწესრიგებელი ურთიერთობა. პირველყოფილი საზოგადოებრივი წყობილებების შემდგომ სტადიებში კი უკვე ვხვდებით ქორწინებას, როგორც სოციალურ მოვლენას, თუმცა ეს პერიოდი ხასიათდება ჯგუფური ქორწინების ტიპით (როდესაც ერთი ჯგუფის ქალები ეკუთნოდნენ ამავე ჯგუფის მამაკაცებს და, პირიქით). წყვილად ქორწინებას პირველად პირველყოფილი საზოგადოების წყობილების ბოლო სტადიაში ვხვდებით. სწორედ ამ დროს იწყება გარკვეული ოჯახური ურთიერთობის ნორმების ჩამოყალიბება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდის მამაკაცები კვლავ ირთავდნენ მრავალ ცოლს, თუმცა მათ ჰყავდათ ერთი - „მთავარი“ ცოლი.

დროთა განმავლობაში გაფართოვდა ქორწინების არეალი და ოჯახური ურთიერთობის ნორმები. ამასთან, აიკრძალა ქორწინება სისხლით ნათესავებს შორის.

საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე ოჯახის უფროსად მიიჩნეოდა ქალი, თუმცა შემდგომში,სოციალური პირობების შეცვლასთან ერთად, მატრიარქატი ჩაანაცვლა პატრიარქატმა და მამაკაცმა დაიკავა ოჯახში მთავარი ადგილი. პროცესი მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლისა კერძო საკუთრების განვითარებასთანაა დაკავშრებული. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ბატონობის მთელი პერიოდის განმავლობაში, მონოგამიურ ქორწინებას თან სდევდა და სდევს ანგარება. ქორწინების მონოგამიური ფორმა, კანონიერ სახეს ღებულობს ცივილიზაციის ეპოქაში. მონოგამიური ტიპის ქორწინების ჩამოყალიბებაში ასევე დიდი როლი ითამაშა ქალის

[1]ჯორბენაძე ს., ქორწინება და განქორწინება, თბ., 1970
[2]http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2496

მისწრაფებამაცრათა შემცირებულიყო იმ მამაკაცების წრე, რომლებსაც მასთან ექნებოდათ სქესობრივი კავშირის უფლება. ისიც უნდა ითქვას, რომ პატრიარქალური ოჯახი ცალკეულ შემთხვევებში უშვებდა ქორწინების პოლიგინიურ (მრავალცოლიანობა) და პოლიანდრიულ (მრავალქმრიანობა) ფორმებსაც.

მონოგამიური ქორწინების კონკრეტულად კი მისი პატრიარქალური ფორმის განმტკიცებას ხელი შეუწყო კლასიკური რელიგიების ჩამოყალიბებამ, განსაკუთრებით კი - ქრისტიანობამ. სწორედ ქრისტიანობამ შემოიღო ჯვრისწერა და ქორწინება გამოაცხადა რელიგიურ საიდუმლოებად, აქტად. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ქრისტიანობის მიერ აკრძალული იყო განქორწინება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდისთვის განსაკუთრებით ძლიერი იყო რელიგიის გავლენა სამართალზე.

ახალი ისტორიის პერიოდიდან მონოგამიურმა ოჯახმა ერთგვარი ცვლილება განიცადა. კაპიტალისტური წყობის სახელმწიფოებშიკავშირი ოჯახსა და წარმოებას შორის მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ახალგაზრდა ვაჟებს მიეცათ საშუალება დამოუკიდებლად ერჩინათ ცოლ-შვილი და, შესაბამისად, ყოველივემ გამოიწვია დიდი ოჯახების დაშლა და ჩამოყალიბდა ნუკლეარული ტიპის ოჯახები, რომლებშიც მოიაზრებოდნენ მხოლოდ მშობლები და შვილები. შემდგომში, ოჯახის პატრიარქალურ სტრუქტურას ენაცვლება ეგალიტარული ანუ თანასწორუფლებიანთა ტიპის ოჯახი, რაშიც დიდი როლი მიუძღვის ქალის საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმას, მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას. ეს უკანასკნელი კი ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან სწორედ ქალის როლის ზრდა, მისი დამოუკიდებლობა, სამოქალაქო უფლებების მოპოვება წარმოშობს განქორწინების უფლების მოპოვებასაც. ქალმა უფლება მიიღო ისეთივე სქესობრივ ნორმებზე (ქორწინებამდეც და მის შემდეგაც), რაც მამაკაცებს ყოველთვის ჰქონდათ. ამ მდგომარეობამ გამოიწვია „სექსუალური რევოლუცია“, გაიზარდა ქორწინების გარეშე სქესობრივი ურთიერთობის თავისუფლება და შესუსტდა ქორწინების როლი სქესობრივი ურთიერთობის რეგულირებაში.

განსხვავება ქორწინებით სტრუქტურასა და ოჯახის სტრუქტურას შორის

ძალზედ მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ტერმინები ქორწინება და ოჯახი. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ამ ორი სოციალური მოვლენის გაიგივება ხდება, თუმცა დემოგრაფებს კარგად მოეხსენებათ მათ შორის სხვაობა. უპრიანი იქნება განიმარტოს თითოეული.

ქორწინება ეს არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი, რეგისტრირებული კავშირი, რომლისთვისაც აუცილებელია დასაქორწინებელ წყვილთა თანხმობა და მინიმალური საქორწინო ასაკის ქონა. წყვილს შორის ქორწინება უმთავრესად სწორედ ოჯახის შექმნის მიზნით ხდება, თუმცა ეს უკანასკნელი არ არის მისი ერთადერთი საფუძველი.

ოჯახის ეს არის „ქორწინების თუ ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრებიც დაკავშირებულნი არიან ერთმნეთთან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთმხარდაჭერით და მორალური პასუხისმგებლობით და რომლის სოციალურ აუცილებლობასაც განაპირობებს საზოგადოების მოთხოვნილება მოსახლეობის ფიზიკური თუ სულიერი განახლებისთვის“ (სოციოლოგი ა.გ. ხარჩევი).

შესაბამისად, ქორწინება ხშირ შემთხვევაში საფუძვლად უდევს ოჯახის შექმნას, თუმცა ოჯახად შეიძლება მოიაზრებოდეს არა მხოლოდ ქორწინებაში მყოფი წყვილი, არამედ ადამიანთა ის ერთიანობაც რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სხვადასხვაგვარიურთიერთკავშირებით, იქნებიან ესენი მარტოხელა მშობელი შვილით, ერთად მცხოვრები დები, ნათესავები თუ სხვანი, რომლებიც ერთად უძღვებიან საერთო მეურნეობას და რომელთაც აქვთ საერთო ბიუჯეტი. აღსანიშავია, რომ ოჯახი, როგორც

სოციალური ინსტიტუტი უდიდეს როლს ასრულებს, როგორც ცალკეული ინდივიდების, ასევე მთელი საზოგადოების ცხოვრებაში.[3][4]

მიუხედავად ქორწინებისა და ოჯახის კატეგორიებს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთკავშირის, ეს ორი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-დემოგრაფიული მოვლენა თავიანთი შინაგანი სტრუქტურით ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. კერძოდ, ადამიანები ამ სოციალურ ინსტიტუტებთან მიმართებაში შეიძლება იყვნენ: ქორწინებასთან დამოკიდებულების მიხედვით - დაქორწინებულები (ე.ი. ქორწინებაში მყოფები) ან დაუქორწინებლები (ე.ი. ქორწინებაში არ მყოფები). ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შეიძლება იყოფოდნენ როგორც ქორწინებაში არასდროს მყოფები, ქვრივები ან განქორწინებულები (გაშორებულები). ხოლო ოჯახთან მიმართებით კი ადამიანები იყოფიან - ოჯახში მცხოვრებ და ოჯახის გარეთ, ანუ ცალკე მცხოვრებ ადამიანებად.

ჩვენი კვლევის საგნიდან გამომდინარე ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული სწორედ მოყვანილი ქორწინებითი სტრუქტურის ანალიზზე, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურისგან და რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების შესწავლის თვალსაზრისით.

---

[3]საოჯახო სამართალი, „ქორწინება, განქორწინება, ალიმენტი, შვილად აყვანა, მშობლის უფლება-მოვალეობები, მამობის დადგენა.“

[4]ჯორბენაძე ს., „ქორწინება და განქორწინება“, თბ., 1970.

თავი 2. ქორწინებითი სტრუქტურის ანალიზი

მოსახლეობის გამრავლების პროცესი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ქორწინებით სტრუქტურაზე, რომელიც თავის მხრივ სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:



სახვაძე ა., ქვრივები საქართველოში, თბ., 2014

ქორწინებაში მყოფები

ქორწინებაში მყოფად ითვლება ადამიანი, რომელმაც მიაღწია რა საქორწინო ასაკს, ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია, მის მიერ შერჩეულ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან.

ქორწინებაში არ მყოფები

ქორწინებაში არ მყოფები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად. ესენია არინ:

- ქორწინებაში არასდროს მყოფები - ანუ ადამიანები, რომლებმაც მიაღწიეს რა საქორწინო ასაკს, მიუხედავად ამისა ცხოვრების განმავლობაში არასდროს ყოფილან რეგისტრირებულ ქორწინებაში;
- განქორწინებულები - ანუ ადამიანები, რომლებიც იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო მოხდა ქორწინების შეწყვეტა კანონიერი გზით;
- ქვრივები - არიან ადამიანები, რომლებიც იმყოფებოდნენ რა რეგისტრირებულ ქორწინებაში, ერთი-ერთი მეუღლის გარდაცვალების გამო წყდება მათი ქორწინება და ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ეწოდება ქვრივი. ქვრივობა კი არის უშუალოდ მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ადამიანი, რომელმაც დაკარგა მეუღლე.

რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინება

ქორწინების რეგისტრირებულ ფორმაზე უკვე ბევრი ვისაუბრეთ, თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებობს არარეგისტრირებული ქორწინებაც. იგი, როგორც სოციალური მოვლენა, ცალკე გამოყოფას საჭიროებს. არარეგისტრირებულად ითვლება

ქორწინების ის ტიპი, რომელიც არ იქნა დარეგისტრირებული კანონიერი გზით. არარეგისტრირებულ ქორწინებას მიეკუთვნება საეკლესიო ქორწინებაც - ჯვრისწერაც.[5]

[5]სახვაძე ა., ქვრივები საქართველოში, თბ., 2014

საქართველოში ქორწინების ტრადიციის მიმოხილვა

საქართველოში ქორწინების ტრადიციას დიდი და ძალზედ საინტერესო ისტორია აქვს.

აღიარებულად ითვლება, რომ საქართველოს ყველა კუთხეში მოქმედებდა ეგზოგამიის წესი, რაც გულისხმობს იმას, რომ საქორწინო პარტნიორები სხვადასხვა გვარს უნდა ეკუთნოდნენ. ნათესავთა შეუღლება იკრძალებოდა, რადგან ხალხური გადმოცემის მიხედვით, მას მოსდევდა ცუდი,მახინჯი შთამომავლობა. თუმცა, ფეოდალური საქართველოს წარჩინებულ ფენებშიც კი შეინიშნებოდა გვარსშიდა ქორწინების ფაქტები, ხოლო მუსლიმური რელიგიის გავლენით წინა საუკუნეების აჭარაში მოსახლეობის დაბალ ფენებშიც გვხვდებოდა მსგავსი ფაქტები.

როგორც ზოგადად, ისე საქართველოშიც, ქორწინებიაში ბარიერებს ქმნიდა რელიგია, სოციალური მდგომარეობა და ეთნიკური კუთვნილება. ძალზედ არასასურველად მიიჩნეოდა არაქრისტიან ადამიანთან, სხვა ეროვნებისა და სოციალური ფენის წარმომადგენელთან ქორწინება.

რაც შეეხება საქორწინო ასაკს, საქართველოში წინათ იგი საკმაოდ დაბალი იყო. გასათხოვრად ითვლებოდა 12-14 წლის გოგონა, ხოლო ვაჟი - 15-16 წლიდან. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქორწინო ასაკი არ იყო ერთნაირი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. იგი საკმაოდ მაღალი იყო ხევსურეთში და სამცხე-ჯავახეთში, ვაჟის საქორწინო ასაკი 22-28 წელსაც კი აღწევდა.

აღსანიშნავია, რომ დაქორწინებას წინ ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი უსწრებდა, რომელიც მოიცავდა შემდეგ საფეხურებს: სარძლოს შერჩევა, დანიშვნა, დასამოყვრებელი ოჯახების ურთიერთობა ნიშნობიდან ქორწილამდე და ქორწილი.

ცალკე უნდა გამოიყოს ნიშნობა, როგორც სოციალური მოვლენა. როგორც აღვნიშნეთ, ხშირ შემთხვევაში, იგი წინ უსწრებს ქორწინებას. პროფესორი გიორგი

ნადარეიშვილი აღნიშნავს, რომ უწინ, ისევე როგორც ბიზანტიაში, საქართველოშიც ქორწინებას წინ უძღოდა ნიშნობა, რომელიც სრულდებოდა საეკლესიო წესით და წარმოადგენდა ერთგვარ თანხმობას მხარეებსა და მშობლებს შორის მომავალი ქორწინების შესახებ. ნიშნობის ინსტიტუტს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძველ საქართველოში. მეტიც, სხვადასხვა ხალხების კანონმდებლობა ნიშნობას და ქორწინებას ერთ სიბრტყეზეც კი განიხილავდა, ხოლო ქრისტიანული საეკლესიო კანონმდებლობა ნიშნობას და ქორწინებას მათი მნიშვნელობებით უთანაბრებდა ერთმანეთს.

ცალკე უნდა გამოიყოს მოტაცების ფენომენიც, რომელიც აქტიურ სახეს ატარებდა ძველი საქართველოს ისტორიაში. მოტაცება ხდებოდა მაშინ, როდესაც ვაჟი ვერ აღწევდა შეთანხმებას ქალთან, ვერ იყოლიებდა მას ქორწინებაზე. მოტაცებულ ქალს, უმეტეს შემთხვევაში, მისი სურვილის მიუხედავად, უწევდა მომტაცებლის ქმრად გამოცხადება, ვინაიდან უკვე ნამუსახდილი გოგონა აღარ მიიჩნეოდა სასურველ სარძლოდ და მას გაუჭირდებოდა გათხოვება მომავალში. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში თავად გოგონას ოჯახიც უარყოფდა ქალწულობადაკარგულ შვილს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველად საქართველოში განქორწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა თუ ქალი უშვილო ან ქმარი ცვედანი იყო, ხოლო განქორწინებულთა მეორედ ქორწინება ხდებოდა, როგორც ნიშნობის, ისე ყოველგვარი სადღესასწაულო აღნიშვნის გარეშე.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში ნათელი გახდა ქორწინებასთან დაკავშირებული უამრავი წეს-ჩვეულების მავნე ხასიათი და მათი შეუფერებლობა თანამედროვე ცხოვრებისათვის, ამიტომ იმ პერიოდის პუბლიცისტიკა აქტიურად ებრძოდა აღნიშნულ წესებსა და რიტუალებს.

მეოცე საუკინიდან საქართველოში სულ უფრო იცვლება ქორწინება და მისი ისტორიული წეს-ჩვეულებები დავიწყებას განიცდის. [67]

---

[6]ზექაია მ., ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური საკითხები, თბ., 1988.

ქორწინებითი მდგომარეობის სურათი 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით

2002 წელს დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარდა პირველი მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. მოსახლეობის რიცხოვნობა ქორწინების მდგომარეობის მიხედვით ამ წლისათვის გამოიყურებოდა შემდეგნაირად - საქართველოს მოსახლეობის 15 წლისა და უფროსი ასაკის 3 455 591 ადამიანიდან ქორწინებაში იმყოფებოდა 2 087 980, ქორწინებაში არასდროს ყოფილა 882 199 პირი, დაქვრივებული იყო - 379 580, განქორწინებული და გაშორებული - 103 373, ხოლო ინფორმაცია არ მოიპოვება 2 459 პირზე.

რაც შეეხება ამ ადამიანების განაწილებას სქესისა და დასახლების ტიპის მიხედვით, სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: იმ 3 455 591 ადამიანიდან, რომლებიც იმყოფებიან აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში, 1 591 032 მამაკაცია, მათგან ქორწინებაში იმყოფებოდა 1 028247, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 477 552 პირი, ქვრივი იყო 56 823, განქორწინებული და გაშორებული კი ჯამში 226 921 ადამიანი, ხოლო 1 489 პირზე არ იყო მითითებული ქორწინებითი მდგომარეობა.

15 წლისა და უფროსი ასაკის 3 455 591 ადამიანიდან 1 864 559 ქალია, რომელთაგანაც ქორწინებაში იმყოფება 1 059 733, ქორწინებაში არასდროს ყოფილა 4 04 647, ქვრივია 322 757, განქორწინებულთა და გაშორებულთა ჯგუფში ერთიანდება 76 452, ხოლო 970 მათგანზე არ არის მითითებული ინფორმაცია ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ.

მოცემულ მონაცემების დასახლების ტიპის მიხედვით განხილვის შემთხვევაში ვნახავთ, რომ 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის მამაკაცთა ჯგუფიდან, რომელთა რაოდენობაც როგორც უკვე აღვნიშნეთ შეადგენდა 1 591 032 ადამიანს, საქალაქო ტიპის დასახლებაში ცხოვრობს 812 911, ხოლო სასოფლოში - 778 121. იმ 812 911 მამაკაცში,

[7]ბექაია მ., საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, თბ., 1981.

რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ქალაქებში ქორწინებაში იმყოფება 515 299, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 254 280, ქვრივია 26 143, ხოლო განქორწინებული და გაშორებული კი - 16 012. რაც შეეხება აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის სოფელში მაცხოვრებელ მამაკაცთა რაოდენობას იგი ჯამში 772 121-ს შეადგენს, მათგან 512 948 იმყოფება ქორწინებაში, 223 272 არასდროს ყოფილა დაქორწინებული, ქვრივია 30680, ხოლო განქორწინებული - 10 909.

15 წლისა და უფროსი ასაკის ქალთა საერთო რაოდენობიდან, რომელიც შეადგენს 1 864 559-ს, საქალაქო ტიპის დასახლებაში ცხოვრობს 1 010 281, ხოლო 854 278 კი - სასოფლოში. იმ 1 010 281 ქალიდან, რომელიც საქართველოს ქალაქებშია განაწილებული, ქორწინებაში იმყოფება 542 805, არასდროს ყოფილა დაქორწინებული - 243 244 ქალი, ქვრივია 166 149, ხოლო განქორწინებულ-გაშორებული კი - 57 254. რაც შეეხება სასოფლო დასახლებაში მცხოვრებ ქალებს, მათი საერთო რაოდენობიდან, რომელიც 854 278-ს შეადგენს დაქორწინებულია 516 928, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 161 403 ქალი, ქვრივია - 166 149, ხოლო განქორწინებულთა და გაშორებულთა კატეგორიაშია 57 254 მათგანი (იხ. დანართი N 2).

განვიხილოთ საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. 2002 წელს 15 წლისა და უფროს ასაკში მყოფი მოსახლეობის ჯამური რაოდენობაა 3 455 591, მათ შორის 15-19 წლისა 357 145 ადამიანია, 20-29 ასაკისაა 638 647, 624 085 ადამიანი იმყოფოფება 30-39 წლის, 50-59 წლის ასაკში იმყოფება 396 258, 60-69 წლის ასაკობრივ ჯგუფშია 460 184.თუ 2002 წლის მონაცემებს შევადარებთ 1989 წლისას ვნახავთ, რომ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა 2002 წელს შემცირებულია თითქმის ნახევარი მილიონით.

2002 წელს ჯამში 881 199 ადამიანი იყო ისეთი, რომელიც არასდროს ყოფილა ქორწინებაში. რომელთაგანაც 15-19 წლის ასაკში იმყოფებოდა 329 832 ადამიანი, 20-29 წლის იყო 333 281 პირი, 30-39 წლის ასაკში იყო 110 459, 40-49 ასაკობრივ ჯგუფში ერთიანდებოდა 50 223 ადამიანი, ხოლო 60-69 წლის ასაკში იმყოფებოდა 20 204 პირი.

დაქორწინებულთა რაოდენობა ნაწილდება შემდეგნაირად: 2002 წელს ქორწინებაში იმყოფებოდა ჯამში 2 087 980 ადამიანი, რომელთაგანაც მხოლოდ 25 464 ადამიანი იმყოფებოდა 15-19 წლის ასაკში, ეს მონაცემი გაცილებით ნაკლებია 1989 წლის მონაცემთან შედარებით, რაც მიგვანიშნებს ქორწინების ასაკის გაზრდაზე. 20-29 ასაკობრივ ჯგუფში ქორწინებაში იმყოფება 287 616 ადამიანი, 30-39 მყოფთაგან კი - 473 976 პირი იყო დაქორწინებული, 40-49 ასაკობრივ ჯგუფში - 513 175, 50-59 წლის ადამიანთაგან 313 515 პირი იმყოფებოდა ქორწინებაში, ხოლო 60-69 წლის ადამიანებში კი - 318 767.

ქვრივთა ჯამური რაოდენობა 2002 წლისთვის შეადგენდა 379 580 ადამიანს, რომელთაგანაც 165 ადამიანი იყო 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში, 20-29 წლის 3 649 ადამიანი იმყოფებოდა დაქვრივებული, 30-39 ასაკობრივ ჯგუფში - 13 700, 40-49 წლის ადამიანთაგან 31 310-ია ქვრივი, 45-59 ასაკის წარმომადგენლებიდან 44 624 ადამიანმა დაკარგა მეორე ნახევარი, ხოლო 60-69 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან კი - 108 744-მა.

განქორწინებულთა და გაშორებულთა საერთო რაოდენობა 2002 წელს შეადგენდა 103 373-ს. მათგან 15-19 წლის ასაკში იმყოფებოდა 654 ადამიანი, 20-29 ასაკობრივ ჯგუფში იყო - 13 998. 30-39 წლის ასაკის ადამიანთაგან განქორწინებული იყო 25 881, 40-49 ასაკობრივ ჯგუფში - 28 339, 50-59 წლის ადამიანთაგან 15 684,ხოლო 50-69 წლის ასაკობრივი ჯგუფში კი 12 422 ადამიანი იყო გაშორებული ან განქორწინებული.

უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წლის აღწერის მონაცემები გვაწვდის დიდი მოცულობით მასალას. ნაშრომში მონაცემების მთლიანად მოტანა შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ დანართის სახით გთავაზობთ ცხრილს, რომელიც ასევე გვაძლევს ინფორმაციას მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობაზე ასაკისა და სქესის მიხედვით. ცხრილში 2002 წლის მონაცემები შედარებულია 1989 წლის აღწერის მონაცემებთანაც (იხ. დანართი N3).

არსებული მონაცემები გვაძლევს გარკვეული შედარებებისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას. ასე მაგალითად, როგორც ვხედავთ 15 წლის და უფრომაღალ ასაკობრივ ჯგუფში ქალთა საერთო რაოდენობა თითქმის 300 000-ით აჭარბებს მამაკაცთა რაოდენობას, რაც ბუნებრივია, რადგან, როგორც ჩვენთვის ცნობილია,მეორეული

თანაფარდობისას მამრობითი სქესი ჭარბობს მდედრობითს, ხოლო მესამეული თანაფარდობისას კი ქალთა რაოდენობა აჭარბებს მამაკაცთა რაოდენობას (იხ. დანართი N 3).[89]

როგორც ვხედავთ, მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში მამაკაცთა თითქმის 65%, ხოლო ქალთა - 57% იმყოფება ქორწინებაში, რაც უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს გამომდინარე იქიდან, რომ ქალები უფრო ადრეულ ასაკში ქმნიან ოჯახებს, თუმცა მიმაჩნია, რომ აღნიშნულ მდგომარეობაზე დიდწილად გავლენას ახდენს შემდეგი გარემოებები: განქორწინებულ ქალთა დიდი ნაწილი არ შესულა მეორედ ქორწინებაში, ქალთა შორის ქვრივთა წილი არის მაღალი და იგი შეადგენს 17%-ს, მაშინ როდესაც მამაკაცთა შორის ქვრივთა რაოდენობა ჯამში 3%-ია, სავარაუდოა, რომ ქვრივ ქალთა ძალიან დიდი ნაწილი აღარ დაქორწინებულა მეორედ.

რაც შეეხება განქორწინებათა რაოდენობას, აღსანიშნავია, რომ 2002 წლისთვის ქალთა და მამაკაცთა შორის განქორწინებულთა მონაცემებს შორისაც დიდი სხვაობაა, მაშინ როდესაც მამაკაცთა 14%-ზე მეტი იმყოფება განქორწინებულ და გაშორებული, ქალთა მხოლოდ - 4%-ს ატარებს იგივე სტატუსს, როგორც ვხედავთ ქვეყანაში 2002 წელს ჯერ კიდევ დაბალია განქორწინების შემთხვევები ქალთა შორის, რასაც განაპირობებს არაერთი ფაქტორი, მათ შორის კი მთავარია - ქალთა სხვადასხვა ტიპით, უმეტესად კი ეკონომიკური თვალსაზრისით, დამოკიდებულება - მიჯაჭვულობა მამაკაცზე, როგორც ოჯახის უფროსზე.

2002 წლისთვის ქორწინების სტრუქტურის სქესისა და დასახლების ტიპის მიხედვით განაწილების მონაცემებიდან ჩანს, რომ იმ 3 455 591 ადამიანიდან, რომელიც იმყოფება 15 და უფროს ასაკობრივ ჯგუფში სოფლად ცხოვრობს 47%, ხოლო საქალაქო ტიპის დასახლებებში კი - 53%. რაც მიუთითებს, რომ 2002 წლამდე საქალაქო და სასოფლო

---

[8]საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი I, თბ., 2003

[9]საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობა, სტატისტიკური კრებული, თბ., 2003

ტიპის დასახლებებში თითქმის თანაბრად იყო მოსახლეობა განაწილებული. შეინიშნება ფაქტი, რომ ქალაქად გაცილებით მეტი ქალი ცხოვრობს ვიდრე მამაკაცი, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქალაქად მცხოვრებთაგან ქორწინებაში მყოფ და ქორწინებაში არასდროს მყოფ ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა თითქმის თანაბარია. როგორც ზოგადად, ისე საქალაქო დასახლებებში მაცხოვრებელთა შორისაც ქვრივ ქალთა რაოდენობა მკვეთრად აჭარბებს მამაკაცთა შორის დაქვრივებულთა რაოდენობას, ხოლო განქორწინებულ და გაშორებულთა შორის ქალაქებში მაცხოვრებელ ქალთა რაოდენობა სჭარბობს მამაკაცებისას.

სოფელში მაცხოვრებელ მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა მცირედით განსხვავდება, თითქმის თანაბარია ქორწინებაში მყოფთა რიცხვიც... საკმაოდ დიდი განსხვავებაა ქვრივთა და განქორწინებულთა რაოდენობებს შორის და როგორც ქალაქის შემთხვევაში, ისე სასოფლო დასახლების მაცხოვრებელთა შორისაც ქალთა შორის ქვრივთა და განქორწინებულთა რაოდენობა გაცილებით აჭარბებს მამაკაცთა მონაცემებს.

რაც შეეხება მოცემულ მონაცემებს მოსახლეობის ქორწინებით მდგომარეობაზე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ვფიქრობ, დემოგრაფებისათვის არც თუ იმედის მომცემად გამოიყურება მონაცემი ქორწინებაში არასდროს მყოფთა შესახებ, ვინაიდან 15-19 წლისდა და 20-29 წლის ასაკობრივ ჯგუფებში ქორწინებაში არასდროს მყოფთა რაოდენობა თითქმის ერთნაირია, რაც მიუთითებს ქორწინების ასაკის ზრდაზე, რაც ასევე უარყოფითი შედეგის მომცემია ბუნებრივი მატების თვალსაზრისით, ყოველივე კი მტკიცდება საქართველოს დღევანდელი დემოგრაფიული სურათით.

ქორწინებაში მყოფთა და ქვრივთა რაოდენობების განსხვავება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გადანაწილება ვფიქრობ, საკმაოდ ლოგიკურია, ვინაიდან ყოველ მომდევნო ასაკობრივ ჯგუფში ქორწინებაში მყოფთა და ქვრივთა რაოდენობა განიცდის მატებას.

ქორწინებითი მდგომარეობის სურათი 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით

საქართველოს ქორწინებით სტრუქტურაზე უახლეს ინფორმაციას გვაწვდის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც 2014 წელს ჩატარდა. 2015 წელს ფიქსირდება 29 157 ქორწინებათა რიცხვი, შესაბამისი კოეფიციენტით 7,8 (ყოველ 1000 კაცზე), რაც ნაკლებია წინა წელთან შედარებით, როდესაც იგი აღწევდა 32 526-ს (კოეფიციენტი - 8,5), ეს უკანასკნელი კი ასევე ნაკლებია 2013 წლის მონაცემთან შედარებით, როდესაც იგი 34 693-ს შეადგენდა (კოეფიციენტია 7,7). აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქორწინებათა რიცხვი 2002 წლიდან 2010 წლამდე ზრდადი იყო. თუ 2001 წელს იგი შეადგენდა 13 336-ს 2010 წელს უკვე თითქმის 2,6 ჯერ არის გაზრდილი. 2010 წლიდან უკვე შეინიშნება საგრძნობიკლება, თუმცა 2013 წელს ქორწინებათა რიცხვის ნიშნული კვლავ უბრუნდება 2010 წლის მაჩვენებელს, რის შემდეგაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ შეიმჩნევაკლების ტენდენცია (იხ. დანართი N 4).

რაც შეეხება განქორწინების მაჩვენებელს იგი 2001-დან 2004 წლამდე, მცირედით, თუმცა კლებადი იყო, ხოლო 2005 წლიდან ყოველწლიურად ზრდას განიცდის. 2001 წელს განქორწინებათა რიცხვი შეადგენდა 1 987-ს (შესაბამისი კოეფიციენტით 0,5), ხოლო 2015 წელს 9 112-ს (კოეფიციენტი 2,5).მაშასადამე, მაჩვენებელი თითქმის 9-ჯერ არის გაზრდილი 15 წლის განმავლობაში (იხ. დანართი N 5).

ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით რეგისტრირებულ განქორწინებათა რიცხვის მონაცემები ნაწილდება შემდეგნაირად - 0-4 წლამდე ფიქსირდება ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - თითქმის 3 000, ამის შემდგომი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 20 და მეტი წლის რეგისტრირებულ ქორწინებათა შორის, რომელიც 2 000 აჭარბებს, მესამე ადგილზეა 5-9 წლიანი ქორწინება და იგი დაახლოებით2000 აღწევს და თითქმის თანაბარი მონაცემი ფიქსირდება 10-14 და 15-19 წლიან ქორწინებათა შორის და ისინი 1000 მდე მერყეობენ (იხ. დანართი N 6).

თუ ავიღებთ მონაცემებს რეგისტრირებულ განქორწინებათა შესახებ, ვნახავთ, რომ 2006 წლიდან იგი მუდმივად იზრდება სწრაფი ტემპით - თუ 2006 წელს მონაცემი აღწევდა 2 060-ს შემდგომი სამი წლის განმავლობაში იგი გაორმაგდა და 2009 წლისთვის გაუტოლდა 4 030-ს. ამის შემდგომაც რეგისტრირებულ განქორწინებათა მაჩვენებლის ზრდა გრძელდება უკვე 2013 წელს გაორმაგდა 2009 წლის მონაცემიც და იგი შეადგენდა 8 089-ს. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს უმნიშვნელო კლება შეინიშნებოდა წინა წელთან შედარებით და განქორწინებათა რაოდენობა აღწევდა 9 112-ს (იხ. დანართიN 6).

გავიხილოთ 2014 წლის აღწერის მონაცემებით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ასაკისა და ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით. მაშ ასე, აღნიშნულ ასაბრივ კატეგორიაში ჯამში იმყოფება 3 002 475 ადამიანი (1 409 438 მამაკაცი და 1 613 037 ქალი), მათგან ქორწინებაში არასდროს ყოფილა 614 357 პირი (348 662 მამაკაცი და 165 695 ქალი), ქორწინებაში იმყოფება 1 872 398 მოქალაქე (927 873 მამაკაცი და 944 525 ქალი), ქვრივია - 343 512 ადამიანი (48 215 მამაკაცი და 295 298 ქალი), განქორწინებული და გაშორებულია 101 047 ადამიანი (32 228 კაცი და 68 819 ქალი), ხოლო აღნიშნული ინფორმაცია არ მოიპოვება 91 160 პირზე (52 460 მამაკაცი და 38 700 ქალი).

2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით 15-19 წლის 226 022 ადამიანიდან (118 877 კაცი და 107 145 ქალი) ქორწინებაში იმყოფება 15 144 (2 999 მამაკაცი და 12 145 ქალი), ქორწინებაში არასდროს ყოფილა 165 752 პირი (90 073 მამაკაცი და 75 679 ქალი), ქვრივია 308 ადამიანი (171 მამაკაცი და137 ქალი), ხოლო განქორწინებულთა საერთო რაოდენობაა 488 (80 კაცი და 408 ქალი).

20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის 266 125 ადამიანიდან (135 305 მამაკაცი და 130 820 ქალი), ქორწინებაში იმყოფება 92 836 პირი (31 111 კაცი და 6 725 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 155 895 ადამიანი (94 573 კაცი და 61 322 ქალი), დაქვრივებულთა რაოდენობა შეადგენს 493-ს (124 კაცი და 369 ქალი), ხოლო განქორწინებულთა და გაშორებულთა რაოდენობაა 3 790 (826 კაცი და 2 964 ქალი).

შემდეგი ასაკობრივი ჯგუფია 25-29 წელი, რომელშიც იმყოფება 278 662 ადამიანი (139 945 კაცი და 138 717 ქალი), მათგან ქორწინებაშია 170 978 პირი (72 261 მამაკაცი და 98 717 ქალი), ქორწინებაში არასდროს ყოფილა 90 535 მოქალაქე (59 885 კაცი და 30 650 ქალი), დაქვრივებულია 990 პირი (160 მამაკაცი და 830 კაცი), ხოლო განქორწინებულ ან გაშორებულ მდგომარეობაშია 8 588 ადამიანი (2 445 ქალი დ ა6 143კაცი).

30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფშია 262 060 ადამიანი (129 921 კაცი და 132 139 ქალი), რომელთაგანაც ქორწინებაში იმყოფება 191 736 პირი (88 528 კაცი და 103 208 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 52 266 ადამიანი (34 556 მამაკაცი და 17 710 ქალი), დაქვრივებულია 1 977 მოსახლე (190 მამაკაცი და 1 787 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია - 11 116 (3 385 კაცი და 7 731 ქალი).

35-39 ასაკში მყოფ 248 549 ადამიანთაგან (121 943 მამაკაცი და 126 606 ქალი), ქორწინებაში იმყოფება 192 559 პირი (92 379 კაცი და 100 180 ქალი), დაქორწინებული არასდროს ყოფილა 35 633 ადამიანი (22 811 კაცი და 12 822 ქალი), ქვრივია - 3 833 პირი (329 კაცი და 3 504 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 12 849 ადამიანი (4 127 მამაკაცი და 8 722 ქალი).

შემდეგი ასაკობრივი ჯგუფია 40-44 წელი, რომელშიც ჯამში 243 281 ადამიანია (118 318 კაცი და 124 963 კაცი), მათგან 193 021 ადამიანი (95 334 კაცი და 97 687 ქალი) იმყოფება ქორწინებაში, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 27 142 პირი (16 047 კაცი და 11 095 ქალი), დაქვრივებულია 6 654 ადამიანი (517 კაცი და 6 137 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია - 13 459 (4 658 მამაკაცი და 8 801 ქალი).

45-49 წლის 239 407 ადამიანიდან (114 036 კაცი და 125 371 ქალი), ქორწინებაში იმყოფება 192 399 (96 599 კაცი და 95 800 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 21 002 ადამიანი (10 767 მამაკაცი და 10 235 ქალი), დაქვრივებულია 11 426 პირი (932 კაცი და 10 494 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 12 146 ადამიანი (4 440 კაცი და 7 706 ქალი). უნდა ითქვას, რომ აღწერის მონაცემები გვაძლევს ინფორმაციას ასაკობრივ ჯგუფებზე 100 და უფრო მაღალ ასაკში მყოფი ადამიანების ქორწინებით მდგომარეობაზეც,

თუმცა ინფორმაციის სიუხვის გამო აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის მონაცემებს გთავაზობთ დანართის სახით.

რაც შეეხება ქორწინებით მდგომარეობას სოფლად და ქალაქად, 15 და მაღალი ასაკის 3 022 475 ადამიანიდან საქალაქო ტიპის დასახლებაში ცხოვრობს 1 711 269 ადამიანი (767 015 მამაკაცი და 944 254 ქალი), ხოლო სასოფლოში - 1 311 206 (642 423 კაცი და 668 783 ქალი).

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მათი რაოდენობა ნაწილდება შემდეგნაირად. საქალაქო ტიპის დასახლებაში 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში იმყოფება 130 446 ადამიანი (66 924 კაცი და 63 522 ქალი), რომელთაგანაც დაქორწინებულია 6 525 პირი (1 479 კაცი და 5 046 ქალი), ქორწინებაში არასდროს ყოფილა 101 330 პირი (52 612 კაცი დ ა48 718 ქალი), ქვრივია - 193 ადამიანი (102 კაცი და 91 ქალი), ხოლო განქორწინებულია 264 (42 კაცი და 222 ქალი).

20-24 წლის ასაკის 162 336 ადამიანიდან (79 100 კაცი და 83 236 ქალი), ქორწინებაში იმყოფება 51 154 პირი (33 551 ქალი და 17 603 მამაკაცი), არასოდეს ყოფილა დაქორწინებული 101 218 ადამიანი (56 477 კაცი და 44 741 ქალი), ქვრივია - 284 (72 კაცი და 212 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 2 557 პირი (530 მამაკაცი და 2 027 ქალი).

25-29 წლის 168 601 ადამიანთაგან (80 608 კაცი და 87 993 ქალი), ქორწინებაში იმყოფება 101 769 პირი (42 769 კაცი და 59 385 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული - 55 986 (34 012 კაცი და 21 974 ქალი), ქვრივია 573 (82 კაცი და 491 კაცი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 6 294 ადამიანი (1 619 კაცი და 4 675 ქალი).

30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფის 160 622 პირიდან (76 264 კაცი და 84 358 ქალი), ქორწინებაში იმყოფება 116 634 (53 210 კაცი და 63 424 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 31 693 ადამიანი (19 085 კაცი და 12 608 ქალი), ქვრივია - 1 173 (90 კაცი და

1 083 ქალი), ხოლო განქორწინებულ ან გაშორებულ ადამიანთა რაოდენობაა 8 292 (2 195 კაცი და 6 097 ქალი).

შემდეგი ასაკობრივი ჯგუფია 35-39 წელი, რომელშიც იმყოფება 150 707 ადამიანი (71 177 კაცი და 79 530 ქალი), მათგან დაქორწინებულია - 115 374 (55 137 კაცი და 60 237 ქალი), არასდროს ყოფილა ქორწინებაში 21 061 ადამიანი (12 023 კაცი და 9 038 ქალი), ქვრივია - 2 350 (164 კაცი და 2 186 კაცი, ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 9 699 პირი, რომელთაგანაც 2 586-ია მამაკაცი, 7 113 კი - ქალი.

40-44 ასაკობრივი ჯგუფის 143 846 პირიდან (67 326 კაცი და 76 520 ქალი) ქორწინებაში იმყოფება - 112 029 (55 178 კაცი და 56 851 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 15 820 ადამიანი (8 103კაცი და 7 717 ქალი), დაქვრივებულია 4 128 მოქალაქე (269 კაცი და 3 859 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 10 029 ადამიანი, რომელთაგანაც კაცია 2 804, ქალი კი - 7 225.

45-49 ასაკის 133 670 ადამიანიდან (60 443 კაცი და73 227 ქალი), ქორწინებაში იმყოფება - 104 597 (51 574 კაცი და 53 023 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 11 979 ადამიანი (5 088 კაცი და 6 891 ქალი), დაქვრივებულ მდგომარეობაში იმყოფება 6 785 პირი (476 კაცი და 6 309 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 8 746 ადამიანი - 2 539 მამაკაცი და 6 207 ქალი. 50 წლის და მაღალი ასაკობრივ ჯგუფებზე ინფორმაციით დაინტერესების შემთხვევაში ასევე გთავაზობთ დანართს.

რაც შეეხება სასოფლო ტიპის დასახლებაში მცხოვრებ 15 და მაღალი ასაკის წარმომადგენლების ქორწინებით განაწილებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფლად ცხოვრობს 1 311 206 ადამიანი (642 423 კაცი და 668 783 ქალი), რომელთაგანაც 844 877 იმყოფება ქორწინებაში (425 855 კაცი და 419 022 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 235 309 ადამიანი (151 593 კაცი და 83 716 ქალი), ქვრივია 162 414 პირი (26 868 კაცი და 135 546 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 26 915 ადამიანი (12 783 კაცი და 14 132 ქალი).

სასოფლო ტიპის დასახლებაში მცხოვრები 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის 95 576 ადამიანიდან (51 953 კაცი და 43 623 ქალი) ქორწინებაში იმყოფება - 8 619 (1 520 კაცი და 7 099 ქალი), ქორწინებაში არასდროს ყოფილა 64 422 ადამიანი (37 461 კაცი და 26 961 ქალი), დაქვრივებულ მდგომარეობაშია 115 პირი (69 კაცი და 46 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია - 224, რომელთაგანაც 38 მამაკაცია 186 კი - ქალი.

შემდგომი ასაკობრივი ჯგუფია 20-24 წელი, რომელშიც სულ 103 789 ადამიანია (56 205 კაცი და 47 584 ქალი), მათგან ქორწინებაში იმყოფება - 41 682 (13 508 კაცი დ ა28 174 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 54 677 პირი (38 096 კაცი და 16 581 ქალი), ქვრივია - 209 (52 კაცი და 157 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 1 233 ადამიანი, რომელთაგანაც კაცთა რაოდენობაა 296, ხოლო ქალთა - 937.

25-29 წლის 110 061 ადამიანთაგან (59 337 კაცი და 50 724 ქალი), 69 209 იმყოფება ქორწინებაში (29 877 კაცი და 39 332 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 34 549 პირი (25 873 კაცი და 8 676 ქალი), ქვრივია - 417 (78 კაცი და 339 ქალი), ხოლო განქორწინებულ-გაშორებლია 2 294 ადამიანი, რომელთაგანაც 826 მამაკაცია, ხოლო 1 468 კი - ქალი.

30-34 ასაკობრივი ჯგუფის 101 438 ადამიანიდან (53 657 კაცი და 47 781 ქალი) ქორწინებაში იმყოფება - 75 102 (35 318 კაცი და 39 784 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 20 573 პირი (15 471 კაცი და 5 102 ქალი), ქვრივია 804 ადამიანი (100 მამაკაცი და 704 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია - 2 824 (1 190 კაცი და 1 634 ქალი).

35-39 წლის ასაკობრივ ჯგუფშია 97 842 ადამიანი (50 766 კაცი და 47 076 ქალი), რომელთაგანაც ქორწინებაში იმყოფება - 77 185 (37 242 კაცი და 39 943 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 14 572 პირი (10 788 კაცი და 3 784 ქალი), დაქვრივებულ მდგომარეობაშია 1 483 ადამიანი (165 კაცი და 1 318 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 3 150 მოქალაქე, რომელთაგანაც 1 541-ია მამაკაცი, ხოლო 1 609 კი - ქალი.

40-44 წლის ასაკის 99 435 ადამიანიდან (50 992 კაცი და 48 443 ქალი), ქორწინებაში იმყოფება 80 992 პირი (40 156 კაცი და 40 836 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 11 322 მოქალაქე (7 944 კაცი და 3 378 ქალი), ქვრივია - 2 526 (248 კაცი და 2 278 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 3 430 ადამიანი, რომელთაგანაც 1 854 მამაკაცია, 1 576 კი - ქალი.

ბოლო ასაკობრივი ჯგუფი, რომელსაც განვიხილავთ არის 45-49 წელი, მასში სულ 105 737 ადამიანია (53 593 კაცი და 52 144 ქალი). ქორწინებაში იმყოფება 87 802 პირი (45 025 კაცი და 42 777 ქალი), არასდროს ყოფილა დაქორწინებული 9 023 ადამიანი (5 679 კაცი და 3 344 ქალი), დაქვრივებულ მდგომარეობაშია - 4 641 (456 კაცი და 4 185 ქალი), ხოლო განქორწინებული ან გაშორებულია 3 400 მოქალაქე, რომელთაგანაც 1 901 არის მამაკაცი, 1 499 კი - ქალი. როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში გთავაზობთ სასოფლო დასახლების ტიპის 50 და მაღალის ასაკის მქონე მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობის ამსახველ ცხრილს, იხილეთ დანართი N 7.[10]

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ქორწინებითი მდგომარეობის სურათზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ძალზედ საინტერესო დემოგრაფიული ტენდენცები, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს საქართველოში არსებულ მძიმე დემოგრაფიულ სურათს და ამტკიცებს, რომ საქმე სერიოზულად მისახედია.

მიმდინარე აღრიცხვის ბოლო ცნობების თანახმად საქართველოში დაქორწინებათა რიცხვი წინა წლებთან შედარებით კლებულობს.კერძოდ, 2015 წელს სულდაფიქსირდა 29 157 ქორწინება 2013-ში კი 34 693 იყო, სწორედ 2013 წლიდან იწყება კლება. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 2001-დან 2010-მდე იზრდებოდა ქორწინებათა რიცხვი. რაც შეეხება განქორწინების მაჩვენებლებს 2001-დან 2004-მდე აღინიშნებოდა კლება. 2009-დან კი ზრდა იწყო. თუკი 2001-ში - 1987 იყო, 2015 წლისთვის თითქმის 9-ჯერ გაიზარდა და მიაღწია

[10]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, თბ., 2015

9112-ს. ასევე, აღსანიშნავი ფაქტია რეგისტრირებულ ქორწინებათა და განქორწინებათა ზრდის ტენდენცია.

ბოლო აღწერის მიხედვით ქვეყანაში 15 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა ჯამში 3 002 475 ათასი ადამიანია. ამ ასაკობრივ ჯგუფებში ქალები კაცებს დაახლოებით 200 000-ით სჭარბობენ. ძალზედ სავალალოა ქორწინებაში არასდროს მყოფთა რიცხვი, რომელიც 614 357 ადამიანს შეადგენს, აქ რაც არ უნდა გასაკვირი იყოს დაახლოებით 200 000-ით მეტი მამაკაცია, ვიდრე ქალი. ბოლო აღწერის შედეგად ქვრივების რაოდენობაში დაახლოებით 200 000 -ით სჭარბობენ ქალები, რაც ზოგადი ტენდენციაა დემოგრაფიაში, რადგან, როგორც ვიცით, ქალები გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მამაკაცები, რადგან ნაკლებად მიდრეკილნი არიან გულსისხლძარღვთა დაავადებებისკენ, თუმცა ქორწინებაში მყოფ ახალგაზრდა მამაკაცების სიკვდილიანობის ზრდაც აღსანისნავია, რისი მთავარი მიზეზებიც არის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, მოხშირებული ავტოკატასტროფების რიცხვი, ასევე ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების ჭარბი დოზა.

საინტერესოა, ქორწინების მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. აღწერის შედეგად აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნებში ქორწინებაში იმყოფება ჯამში 226 022 ადამიანია. ასევე, გამოიკვეთა გვიანი ქორწინების ტენდენცია, რაც კიდევ ერთი დარტყმაა დაბერებისკენ მიმავალი ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. კერძოდ ქორწინებათა რიცხვი ასაკობრივი ბიჯების მიხედვით შემდეგია, 25-29 - 278 662, 30-34 - 262 060; 35-39-248 549, 40-44- 243 281 და 45-49 - 239 407. აღსანიშნავია, რომ დაქორწინებულ ადამიანთა რიცხვი სჭარობს ქალაქად, რაც ლოგიკურია, რადგან საქართველოში ქალაქად მცხოვრებთა წილი აღემატება სოფლისას, თუმცა გასაკვირია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნებში ქორწინებაც ქალაქად უფრო მეტია, ვიდრე სოფლად, რადგან როგორც ცნობილია, ტრადიციულად ადრეული ქორწინება სასოფლო დასახლებებს უფრო მეტად ახასიათებდათ, განსაკუთრებით კი მთიან ზონებში და მუსლიმურ დასახლებებში. ქალაქად 130 446, ხოლო სოფლად 95 576. განქორწინების მიხედვით ქალაქი ლიდერობს,

ხოლო ასაკობრივ ჯგუფებში ის ყველაზე მაღალი არის 40-44 წლის ასაკის მოსახლეობაში, როგორც ქალაქად ისე სოფლად.

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო ბოლო აღწერის შედეგად დიდი დემოგრაფიული პრობლემების წინაშე დგას, რადგან როგორც მონაცემებითაც დასტურდება კვლავაც მაღალია არასრულწლოვანთა და გვიან ქორწინების მაჩვნეებლები და ზოგადად ქორწინების კლების ტენდენცია გვაქვს სახეზე.

თავი 4. საქართველოს მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურა რეგიონების მიხედვით

საინტერესოა თუ როგორ გამოიყურება ქორწინებითი სტრუქტურა საქართველოს რეგიონებში. სამწუხაროდ მსგავსი დაყოფით ამომწურავი ინფორმაციის მიღება მხოლოდ თითოეულ რეგიონში ჩასვლითა და მდგომარეობის ადგილზე შესწავლითაა შესაძლებელი, სწორედ ამიტომ გვიწევს ვისაუბროთ მხოლოდ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული მონაცემები საკმაოდ ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის ბოლო პერიოდის ქორწინებით სტრუქტურაზე.



განვიხილოთ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით სხვადასხვა რეგიონსა და დედაქალაქში. 2014 წლის აღწერის მონაცემებით ჯამში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 3 022 475 ადამიანს, რომელთაგანაც ქორწინებაში არასდროს ყოფილა 614 357 პირი, ქორწინებაში იმყოფება 1 872 398, ქვრივია 343 513, განქორწინებული - 101 047, ხოლო 91 160 ადამიანზე არ არის მითითებული აღნიშნული ინფორმაცია. რაც შეეხება ამ ადამიანთა რეგიონების მიხედვით განაწილებას, აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფიდან 896 769 ადამიანი - აბსოლუტური უმრავლესობა მოდის საქართველოს დედალაქზე, მათგან ქორწინებაში იმყოფება 514 851, არასოდეს ყოფილა დაქორწინებული 224 034, ქვრივია 88 092 ადამიანი, განქორწინებული კი - 45 526.

თბილისის შემდეგ, როგორც ზოგადად, ისე 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა ყველაზე დიდი რაოდენობით თავმოყრილია იმერეთის რეგიონში და შეადგენს 440 987

ადამიანს, მათგან 82 638 არასდროს ყოფილა დაქორწინებული, ქორწინებაში იმყოფება 278 777, ქვრივია 59 445, ხოლო განქორწინებული 9 454.

იმერეთს მოსდევს ქვემო ქართლი, სადაც აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში იმყოფება 334 417 ადამიანი, რომელთაგანაც 57 890 არასდროს ყოფილა დაქორწინებული, ქორწინებაში იმყოფება - 221 455, ქვრივია 31 222, ხოლო განქორწინებული - 10 224.

შემდგომი დიდი რეგიონია აჭარა, სადაც 268 270 ადამიანი არის 15 წლის და მეტის ასაკის კატეგორიაში, მათგან 175 342 იმყოფება ქორწინებაში, 49 596 არასდროს ყოფილა დაქორწინებული, ქვრივია 24 452, ხოლო განქორწინებული - 6 003 ადამიანი.

სამეგრელო-ზემო სვანეთი 274 946 ადამიანს შეუსრულდა 15 ან მეტი წელი, მათგან 165 654 იმყოფება ქორწინებაში, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 57 631 ადამინი, ქვრივია 37 709, ხოლო განქორწინებული 6 220.

შემდეგი რეგიონია კახეთი, სადაც აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში იმყოფება 261 879 ადამიანი, რომელთაგანაც დაქორწინებულია 168 840, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 42 838, ქვრივია 34 650, ხოლო განქორწინებულია 8 457 პირი.

შიდა ქართლში 214 832 ადამიანი იმყოფება მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში, მათგან 137 179 დაქორწინებულია, არასდროს ყოფილა ქორწინებაში 40 284, ქვრივია 26 017, ხოლო განქორწინებული კი - 6 998.

სამცხე-ჯავახეთში 128 788 ადამიანი იმყოფება 15 წლის და მეტის ასაკობრივ კატეგორიაში, რომელთაგანაც დაქორწინებულია 86 798, არასდროს ყოფილა ქორწინებაში 21 418, ქვრივია 14 014 ადამიანი, ხოლო განქორწინებული - 2 571.

გურიის რეგიონში 94 871 ადამიანია აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში, რომელთაგანაც 47 057 იმყოფება ქორწინებაში, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 15 272, ქვირივია 13 177, ხოლო განქორწინებულია 2 247 ადამიანი.

მცხეთა-მთიანეთში 78 508 მოვემულ ასაკობრივ ჯგუფში, მათგან ნახევარზე მეტი - 47 057 დაქორწინებულია, არასდროს ყოფილა ქორწინებაში 17 298, ქვრივია 9 659, ხოლო განქორწინებულია 2 841 ადამიანი.

ბოლო რეგიონია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი სადაც ჯამში 28 208 ადამიანი იმყოფება 15 წლის და მეტის ასაკობრივ ჯგუფში, მათგან 16 331 არის დაქორწინებული, განქორწინებულია 5 458, ქვრივია 5 076, 2 841 ადამიანი კი იმყოფება განქორწინებულ-გაშორებული.

საინტერესოა ქორწინებითი სტრუქტურის ანალიზი საქალაქო და სასოფლო დასახელების ტიპების მიხედვითაც. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები გვაძლევს მისი ანალიზის საშუალებასაც. მაშ ასე, საქართველოს ქორწინებითი სტრუქურა საქალაქო დასახლების ტიპის მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:



2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით საქალაქო დასახლების ტიპში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა შეადგენს 1 711 269 ადამიანს, რომელთაგანაც ქორწინებაში იმყოფება 1 027 521 პირი, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 379 048, ქვრივია 181 099, განქორწინებული 74 132, ხოლო ინფორმაცია არ მოგვეპოვება 48 469 ადამიანზე.

რეგიონების მიხედვით საქალაქო დასახლების ტიპში საქორწინო ასაკის მოსახლეობის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება - დედაქალაქში აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში თავმოყრილია 872 538 ადამიანი, რომელთაგანაც ქორწინებაში იმყოფება 499 541 პირი, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 219 031, ქვრივია 85 770, ხოლო განქორწინებულია 44 746 ადამიანი.

იმერეთში, საქალაქო დასახლებაში,აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 207 403 ადამიანს, რომელთაგანაც ქორწინებაში იმყოფება 131 415, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 39 380, ქვრივია 25 747, ხოლო 5 611 ადამიანი არის განქორწინებული.

საქალაქო დასახლებებში 15 და მაღალი ასაკობრივი ჯგუფი შემდეგნაირად გამოიყურება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში: ჯამში აღირიცხა 147 651 ადამიანი, რომელთაგანაც დაქორწინებულია 95 243, არასდროს ყოფილა დაქორწინებული 27 601, ქვრივია 13 337, ხოლო განქორწინებული - 4 576.

საქალაქო დასახლებებში აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის დიდი ჯგუფით გამოირჩევა ქვემო ქართლიც, სადაც 142 009 ადამიანი იმყოფება 15 და მეტ ასაკში, მათგან 88 798 ადამიანია დაქორწინებული, 28 661 არასდროს ყოფილა ქორწინებაში, ქვრივია 12 818 პირი, ხოლო განქორწინებულთა რაოდენობაა 6 545.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საქალაქო დასახლებებში აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეობის რაოდენობაა 106 108 ადამიანი, რომელთაგანაც 64

435 იმყოფება ქორწინებაში, 21 059 არასდროს ყოფილა დაქორწინებული, ქვრივია 14 575, ხოლო განქორწინებულთა რაოდენობა შეადგენს 3 289 ადამიანს.

შიდა ქართლის საქალაქო დასახლებებში მოცემული ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების რაოდენობაა 83 995, მათგან 53 125 იმყოფება ქორწინებაში, 16 002 არასდროს ყოფილა დაქორწინებული, 9 603 ადამიანი არის დაქვრივებული, ხოლო 3 504 კი განქორწინებულია.

კახეთის საქალაქო დასახლებებშიაღნიშნულ ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობაა 58 593, მათგან 36 313 ადამიანი იმყოფება ქორწინებაში, 10 383 არასდროსყოფილა დაქორწინებული, ქვრივია 7 838 ადამიანი, ხოლო განქორწინებულთა რაოდენობაა 2 749.

სამცხე-ჯავახეთის საქალაქო დასახლებებში 43 602 ადამიანი იმყოფება 15 წელსა და უფრო მაღალ ასაკში, მათგან დაქორწინებულთა რაოდენობაა 28 322, ქორწინებაში არასდროს ყოფილა 7 596 ადამიანი, ქვრივთა რაოდენობაა 4 902, ხოლო განქორწინებულია 1 394 პირი.

გურიის საქალაქო დასახლებებში 26 142 ადამიანი იმყოფება 15 და ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში, რომელთაგანაც 16 727 ადამიანი არის დაქორწინებული, 4 150 არასდროს ყოფილა ქორწინებაში, 3 416 პირია დაქვრივებული, ხოლო 817 ადამიანი არის განქორწინებული.

მცხეთა-მთიანეთის საქალაქო დასახლებებშისულ 17 419 ადამიანია მოცემულ ასაკობრივ კატეგორიაში მყოფი, მათგან 10 129 არის დაქორწინებული, 4 096 არასდროს ყოფილა დაქორწინებული, 2 183 ადამიანი არის დაქვრივებული, ხოლო 748 პირი განქორწინებულია.

ბოლო და ყველაზე დაბალი მონაცემი გვხვდება რაჭა-ლეჩხუმსა დაქვემო სვანეთში, სადაც აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფშიიმყოფებოდა საქალაქო დასახლებებში მცხოვრები 5 809 ადამიანი, მათგან დაქორწინებულია 3 473, ქორწინებაში არასდროს ყოფილა 1 069, ქვრივია 910, ხოლო განქორწინებულია 153 პირი.

საინტერესოა როგორ ნაწილდება ქორწინებითი სტრუქტურა სასოფლო დასახლებაშიც. მთლიანობაში, მთელი საქართველოს ტერიტორიის მასშტაბით სასოფლო დასახლებებში 15 წლისა და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის 1 311 206 ადამიანი აღიწერა, რომელთაგანაც 844 877 იმყოფება ქორწინებაში, 235 309 არასდროს ყოფილა დაქორწინებული, 162 414 ადამიანი არის დაქვრივებული, 26 915 განქორწინებული, ხოლო 41 691 ადამიანზე არ მოიპოვება ინფორმაცია.



საქართველოს დედაქალაქში სასოფლო დასახლებაში საქორწინო ასაკში მყოფთა რაოდენობა შეადგენს 24 231 ადამიანს, რომელთაგანაც 15 310 პირი იმყოფება ქორწინებაში, 5 003 ადამიანი არასდროს ყოფილა დაქორწინებული, ქვრივია 2 322, ხოლო განქორწინებულთა რაოდენობაა 780.

იმერეთის რეგიონის სასოფლო დასახლებებში15 წლის და უფროს ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 233 584 ადამიანს, რომელთაგანაც 147 362 იმყოფება

ქორწინებაში, 43 258 არასდროს ყოფილა დაქორწინებული, ქვრივია 33 698 პირი, ხოლო განქორწინებულთა საერთო რაოდენობა კი შეადენს 3 843 ადამიანს.

კახეთის სასოფლო დასახლებებში საქორწინო ასაკში მყოფ მოსახლეთა რაოდენობა შეადგენს 203 286 ადამიანს, რომელთაგანაც 13 202 არასდროს ყოფილა ქორწინებაში, დაქორწინებულია 132 527 პირი, დაქვრივებულ მდგომარეობაში იმყოფება 26 812 ადამიანი, ხოლო განქორწინებულთა რაოდენობა შეადგენს 5 708-ს.

ქვემო ქართლის სასოფლო დასახლებებში 192 408 ადამიანი იმყოფება საქორწინო ასაკში, რომელთაგანაც 132 657 არის დაქორწინებული, 29 229 არასდროს ყოფილა ქორწინებაში, 18 404 არის დაქვრივებული, ხოლო 3 679 ადამიანი კი - განქორწინებულია (იხ. დანართი N)

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სასოფლო დასახლებებში 168 838 ადამიანი იმყოფება საქორწინო ასაკში, რომელთაგანაც 101 219 პირია დაქორწინებული, 36 572 არასდროს ყოფილა ქორწინებაში, ქვრივთა რაოდენობა შეადგენს 23 134 ადამიანს, ხოლო განქორწინებულთა საერთო ჯამია 2 931.

შიდა ქართლის სასოფლო დასახლებებში საქორწინო ასაკში მყოფთა ჯამური რიცხვია 130 837, მათგან 84 054 იმყოფება ქორწინებაში, 24 262 ადამიანი არასდროს ყოფილა დაქორწინებული, 16 414 არის დაქვრივებული, ხოლო 3 494 კი - განქორწინებულია.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო დასახლებებში ქორწინებით ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობაა 120 616, რომელთაგანც ქორწინებაში არასდროს ყოფილა 21 995 ადამიანი, დაქორწინებულია 80 099, ქვრივთა რაოდენობა შეადგენს 11 115, ხოლო განქორწინებულთა კი - 1 427 ადამიანს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 85 186 ადამიანია 15 და ზევით ასაკობრივ კატეგორიაში, მათგან 58 476 პირი იმყოფება ქორწინებაში, 13 822 ადამიანი არასდროს

ყოფილა დაქორწინებული, განქორწინებულია 1 177, ხოლო ქვრივთა რაოდენობა შეადგენს 9 112-ს.

გურიის სასოფლო დასახლებებში 15 და მაღლა ასაკობრივ კატეგორიაში გვხვდება 68 729 ადამიანი, რომელთაგანაც 43 387 იმყოფება ქორწინებაში, 11 122 პირი არასდროს ყოფილა დაქორწინებული, 9 761 მოსახლე არის დაქვრივებული, ხოლო 1 430 კი - განქორწინებულია.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საქორწინო ასაკში მყოფთა რაოდენობაა 61 089, რომელთაგანაც დაქორწინებულია 36 928 ადამიანი, არასდროს ყოფილა ქორწინებაში 13 202 პირი, განქორწინებულთა რაოდენობაა 2 093, ხოლო ქვრივთა ჯამი შეადგენს 7 476 ადამიანს.

რაჭა-ლეჩუმსა დაქვემო სვანეთში სასოფლო დასახლებებში ქორწინებით ასაკში მყოფი მოსახლეობის საერთო რაოდენობაა 22 399, რომელთაგანაც ქორწინებაში იმყოფება 12 858, 7 389 ადამიანი არასდროს ყოფილა დაქორწინებული, 4 166 არის დაქვრივებული, ხოლო 353 ადამიანია განქორწინებული (იხ. დანართი N7). [11]

ბოლო წლებში ურბანიზაციის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, ალბათ, გასაკვირი არავისთვისაა, რომ როგორც მთლიანი, ისე 15 წლის და მაღალი ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეობის უმეტესობა სწორედ თბილისშია თავმოყრილი. აღსანიშნავია, რომ თბილისში ქორწინებაში არასდროს მყოფთა რაოდენობასთან შედარებით ქორწინებაში მყოფნი 2-ჯერ მეტნი არიან. დედაქალაქში ძალზედ მაღალია განქორწინებულთა რაოდენობაც და იგი თითქმის 5-ჯერ აჭარბებს იმერეთის მაჩვენებელს. განქორწინების დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება მთიან რეგიონებში, რაც ვფიქრობ ლოგიკურია.

[11]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, თბ., 2015

აღსანიშნავია, რომ ქორწინებითი სტრუქტურის განაწილება თითოეულ რეგიონში განსხვავდება სასოფლო და საქალაქო ტიპის დასახლებების მიხედვით. პირველი განსხვავება, რომელიც პირველივე შეხედვით ჩანს, არის ის, რომ ძალზედ დიდია სხვაობა განქორწინებულთა რაოდენობებს შორის ქალაქად და სოფლად, პირველ მათგანში იგი გაცილებით მაღალ ნიშნულს აღწევს. შემდგომი დიდი განსხვავება კი, არის ის,რომ ქორიწენებაში მყოფთა ხვედრითი წილი მაღალია სასოფლო დასახლებებში, ხოლო ქორწინებაში არასდროს მყოფთა წილი კი გაცილებით სჭარბობს საქალაქო ტიპის დასახლებებში.

მთლიანობაში, 2014 წლის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქორწინებითი მდგომარეობა სოფლად და ქალაქად ძალზედ განსხვავებულია ერთმანეთისაგან. საინტერესო იქნებოდა 2002 და 2014 წლის მონაცემების შედარებითი ანალიზი, რასაც დასკვნით ნაწილში წარმოგიდგენთ დეტალურად.

დასკვნა

მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების ანალიზმა ნათლად გვაჩვენა, რომ დღევანდელი საქართველოს ქორწინებითი სტრუქტურას დემოგრაფიული თვალსაზრისით უარყოფითისაკენ შეცვლის ტენდენცია ახასიათებს.

მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1979 წლამდე ქორწინებაში მყოფ ქალთა და ვაჟთა ხვედრითი წილის ზრდის მაჩვენებელი საგრძნობლად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რაც გამოწვეული იყოიმდროინდელი პოლიტიკური ვითარებისაგან. ომის შემდგომ,განქორწინების კოეფიციენტი ძალიან დაბალი იყო ვაჟებში, ხოლო ზრდადი - ქალებში. აღსანიშნავია, რომმონაცემების შეცვლას განაპირობებდა სქესთა თანაფარდობის გაუმჯობესება.

ძალზედ მნიშვნელოვანია ერთმანეთს შევადაროთ 2002 და 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცმები, რადგან სწორედ ეს ორი აღწერა გვაწვდის ინფორმაციას დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის ქორწინებით სტრუქტურაზე-შემადგენლობაზე. პირველი დიდი განსხვავება, რომელიც თვალნათლივ ჩანს არის ის, რომ 2002 წლის აღწერის შედეგად, 15 წლის და მაღალ ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირებულია 453 116-ით მეტი ადამიანი 2014 წელთან შედარებით. შესაბამისად, თითოეულ ჯგუფში მყოფ ადამიანთა რაოდენობა 2002 წელს მეტია 2014 წელზე. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი ჯგუფი, რომელშიც რაოდენობრივად 2014 წლის მონაცემები უფრო მაღალია არის იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელთა ქორწინებით მდგომარეობაზეც ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

მათი რაოდენობა 37-ჯერ აჭარბებს 2002 წლის მონაცემებს, რაც ძალზე მაღალი მაჩვენებელია. ვფიქრობ, ამ ადამიანთა შესახებ მონაცემების არსებობას შესაძლოა შეეცვალა ზოგადი სურათი და რომელიმე კონკრეტულ დანაყოფში მყოფ ადამიანთა რაოდენობა დაფიქსირებულიყო უფრო მაღალი 2014 წელს.

ძალზედ მნიშნელოვანია ჩვენ მიერ წარმოდგენილი დანართი N6, რომელიც გვიჩვენებს 2006-დან 2015 წლის ჩათვლით რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობებს. როგორც ვხედავთ, განქორწინებათა რაოდენობას 2006 წლიდან სულ უფრო მზარდი ხასიათი აქვს და პიკს აღწევს 2014 წლისათვის, რის შემდეგაც შეინიშნება მცირედი კლება. საინტერესოა შემდეგი ფაქტიც, რომ ბოლო აღწერის მონაცემებით განქორწინებათა რიცხვი ყველაზე მაღალია 0-4 წლამდე ქორწინების ხანგრძლივობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ხდება ახლადშექმნილი ოჯახების ნგრევა. უნდა ითქვას, რომ დემოგრაფიული თვალსაზრისით აღნიშნული სურათი საკმაოდ შემაშფოთებელია, ვინაიდან ქორწინება დაკავშირებულია გამრავლებასთან, ხოლო მისი შეწყვეტით პოტენციურად გავლენას ვახდენთ შობადობაზეც. აღსანიშნავია ფაქტი, რომ განქორწინებათა მაღალი - მზარდი მაჩვენებელი ძირითადად თბილისსა და საქართველოს სხვა დიდი ქალაქებში ფიქსირდება, ხოლო რეგიონებში მისი მაჩვენებელი არ ატარებს საგანგაშოდ მზარდ ხასიათს.

რაც შეეხება ქორწინებითი სტრუქტურის განაწილებას რეგიონების მიხედვით, უნდა ითქვას, რომ იგი ძალზედ განსხვავებულია როგორც დიდ ქალაქებს შორის, ასევე ქალაქებსა და რეგიონებს შორის. როგორც ვხედავთ, სასოფლო ტიპის დასახლებების 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში უფრო მაღალია ქორწინებაში მყოფთა პროცენტული მაჩვენებელი და იგი 4%-ით აჭარბებს საქალაქო დასახლებების მაჩვენებელს, თუმცა ამ უკანასკნელში ასევე 4%-ით მაღალია ქორწინებაში არასდროს მყოფთა, ხოლო 2%-ით - განქორწინებულთა მაჩვენებლები.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს ქორწინებითი სტრუქტურის ანალიზმა გვიჩვენა ბევრი მნიშვნელოვანი და საყურადღებო მიმართება. ვფიქრობ,

მონაცემების ანალიზის მეშვეობით შვძელით ჩვენება ისეთი ყურადსაღები ტენდენციებისა როგორებიცაა, ქვეყანაში გაზრდილი განქორწინების მაჩვენებელი, ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით სხვაობა სასოფლო და საქალაქო ტიპის დასახლებებსა და დიდ და პატარა ქალაქებს შორის, ქორწინებითი სტრუქტურის სახეცვლა წლების განმავლობაში და სხვ. ვიმედოვნებ, რომ მომავლისათვის გავაცნობიერებთ რა ქორწინებითი სტრუქტურის შესწავლისა და ანალიზის მნიშვნელობას, იგი მიიპყრობს მეტი მეცნიერის ყურადღებას და, შესაბამისად, არაერთი ახალი, საინტერესო და მრავლისმომცემი სამეცნიერო კვლევა და ნაშრომი დაეთმობა აღნიშნულ საკითხს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯორბენაძე ს., ქორწინება და განქორწინება, თბ., 1970
2. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2496
3. საოჯახო სამართალი, „ქორწინება, განქორწინება, ალიმენტი, შვილად აყვანა, მშობლის უფლება-მოვალეობები, მამობის დადგენა.“
4. ჯორბენაძე ს., „ქორწინება და განქორწინება“, თბ., 1970.
5. სახვაძე ა., ქვრივები საქართველოში, თბ., 2014
6. ბექაია მ., ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური საკითხები, თბ., 1988.
7. ბექაია მ., საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, თბ., 1981.
8. ბორისოვი ვ.ა. დემოგრაფია, თბ., 2001.
9. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი I, თბ., 2003
10. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობა, სტატისტიკური კრებული, თბ., 2003
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, თბ., 2015
12. **დანართი N1**

მოსახლეობის	ქორწინებაში	ქორწინებაში	ქვრივები	განქორწინებულები

აღწერის წლები	მყოფები	არასდროს არ მყოფები		და გაშორებულები
ვაჟები				
1959	957	43		
1970	955	45		
1979	951	21	11	17
1989	923	34	14	29
ქალები				
1959	632	368		
1970	756	244		
1979	794	59	89	58
1989	780	60	94	66

წყარო: ბორისოვი ვ. ა., დემოგრაფია, თბ., 1999, გვ. 174.

წელი	მამაკაცები				
	სულ	დაუქორწინებელი	ქვრივი	განქორწინებული	უცნობია
1990	36812	32680	825	3290	17

	100%	88,8%	2,2%	8,9%	0,0
1991	38070 100%	34663 91,1%	648 1,7%	2741 7,2%	18 0,0
1992	26878 100%	24763 92,1%	412 1,5%	1690 6,3%	13 0,0
1993	24105 100%	22489 93,3%	340 1,4%	1276 5,3%	-
1994	21908 100%	20752 94,7%	274 1,3%	882 4,0%	-
1995	21481 100%	20374 94,8%%	304 1,4%	803 3,7%	-
1996	19253 100%	18454 95,8%	228 1,2%	571 3,0%	-
1997	17099 100%	16588 97,0%	169 1,0%	310 1,8%	32 0,2
1998	15343 100%	14961 97,5%	125 0,8%	239 1,6%	18 0,1
1999	13845 100%	13472 97,3%	132 1,0%	237 1,7%	4 0,0

2000	12870 100%	12561 97,6%	103 0,8%	199 1,5%	7 0,1
2001	13336 100%	13044 97,8%	103 0,8%	185 1,4%	4 0,0
2002	12535 100%	12313 98,2	94 0,7%	120 1,0%	8 0,1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობა, სტატისტიკური კრებული, თბ., 2003

წელი	ქალები				
	სულ	დაუქორწინებელი	ქვრივი	განქორწინებული	უცნობია
1990	36812	34111	542	2133	26

	100,0				
1991	38070 100,0	35835	433	1774	28
1992	26878 100,0	25465	266,0	1130	17
1993	24105 100,0	23025	207,0	873	-
1994	21908 100,0	21135	151	622	-
1995	21481 100,0	20670	177	634	-
1996	19253 100,0	18758	93	402	-
1997	17099 100,0	16796	62	218	23
1998	15343 100,0	15077	71	180	15
1999	13845 100,0	13545	94	200	6

2000	12870 100,0	12654	66	145	5
2001	13336 100,0	13125	45	156	10
2002	12535 100,0	12383	44	105	3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობა, სტატისტიკური კრებული, თბ., 2003

დანართი N 2

მოსახლეობის რიცხოვნობა ქორწინების მდგომარეობის მიხედვით
(მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით)

(კაცი)

	მამაკაცები			ქალები		
	სულ	მათ შორის:		სულ	მათ შორის:	
		ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა		ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
მოსახლეობა 15 წლისა და უფროსი ასაკის	1591032	812911	778121	1864559	1010281	854278
მათ შორის:						
დაქორწინებული	1028247	515299	512948	1059733	542805	516928
არასოდეს ყოფილა დაქორწინებული	477552	254280	223272	404647	243244	161403
ქვრივი	56823	26143	30680	322757	166149	156608
განშორებული, განქორწინებული	26921	16012	10909	76452	57254	19198
არა აქვს მითითებული ქორწინების მდგომარეობა	1489	1177	312	970	829	141

<u>წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი I, თბ., 2003</u>

დანართი N 3

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა ქორწინების მდგომარეობისა და ასაკის მიხედვით

(კაცი)

	სულ მოსახლეობა 15 წ. და უფროს ასაკში		მათ შორის:									
			არასოდეს ყოფილა დაქორწინებული		დაქორწინებული		ქვრივი		განშორებული, განქორწინებული		არაა მითითებული ქორწინების შესახებ	
	2002	1989	2002	1989	2002	1989	2002	1989	2002	1989	2002	1989
სულ მოსახლეობა	**3455591**	**4062367**	**882199**	**913295**	**2087980**	**2589765**	**379580**	**408175**	**103373**	**115901**	**2459**	**35231**
მათ შორის ასაკში, წლის: 15-19	357145	419267	329832	380614	25464	32972	165	491	654	702	1030	4488
20-29	638647	881369	333281	357038	287616	489697	3649	3953	13998	17284	103	13397
30-39	624085	779233	110459	90795	473976	639118	13700	12347	25881	31743	69	5230
40-49	623094	557602	50223	30644	513175	472799	31310	25696	28339	25686	47	2777
50-59	396258	649492	22403	25454	313515	530150	44624	66617	15684	24230	32	3041
60-69	460184	458049	20204	18470	318767	307547	108744	115805	12422	12578	47	3649
70 და უფროსი	353856	317355	15498	10280	154668	117482	177301	183266	6366	3678	23	2649
ასაკი არაა მითითებული	2322	-	299	-	799	-	87	-	29	-	1108	-
სულ მამაკაცი	**1591032**	**1879713**	**477552**	**498941**	**1028247**	**1284391**	**56823**	**51013**	**26921**	**27618**	**1489**	**17750**
მათ შორის ასაკში, წლის: 15-19	179794	217727	175014	209247	3996	6087	34	94	83	89	667	2210
20-29	314314	429544	202052	221058	108749	196560	374	563	3068	3856	71	7507
30-39	296688	375796	64016	46883	223803	316839	1329	1332	7503	7965	37	2777
40-49	291816	263661	22377	11203	258521	241587	3245	2851	7645	6552	28	1468
50-59	181563	304670	7377	6201	164866	282447	4963	8699	4340	5838	17	1485
60-69	198553	187846	4633	2790	174286	166615	16506	14402	3101	2512	27	1527
70 და უფროსი	127068	100469	1934	1559	93610	74256	30348	23072	1170	806	6	776

	სულ მოსახლეობა 15 წ. და უფროს ასაკში		მათ შორის:									
			არასოდეს ყოფილა დაქორწინებული		დაქორწინებული		ქვრივი		განშორებული, განქორწინებული		არაა მითითებული ქორწინების შესახებ	
	2002	1989	2002	1989	2002	1989	2002	1989	2002	1989	2002	1989
ასაკი არაა მითითებული	1236	-	149	-	416	-	24	-	11	-	636	-
სულ ქალი	**1864559**	**2182654**	**404647**	**414354**	**1059733**	**1305374**	**322757**	**357162**	**76452**	**88283**	**970**	**17481**
მათ შორის ასაკში, წლის: 15-19	177351	201540	154818	171367	21468	26885	131	397	571	613	363	2278
20-29	324333	451825	131229	135980	178867	293137	3275	3390	10930	13428	32	5890
30-39	327397	403437	46443	43912	250173	322279	12371	11015	18378	23778	32	2453
40-49	331278	293941	27846	19441	254654	231212	28065	22845	20694	19134	19	1309
50-59	214695	344822	15026	19253	148649	247703	39661	57918	11344	18392	15	1556
60-69	261631	270203	15571	15680	144481	140932	92238	101403	9321	10066	20	2122
70 და უფროსი	226788	216886	13564	8721	61058	43226	146953	160194	5196	2872	17	1873
ასაკი არაა მითითებული	1086	-	150	-	383	-	63	-	18	-	472	-

დანართი N 4

წელი	ქორწინებათა რიცხვი	ქორწინების კოეფიციენტი (1000 კაცზე)
2001	13 336	3.0
2002	12 535	2.9
2003	12 696	2.9
2004	14 866	3.4
2005	18 012	4.1
2006	21 845	5.0
2007	24 891	5.7
2008	31 414	7.2
2009	31 752	7.2
2010	34 675	7.8
2011	30 863	6.9
2012	30 412	6.8
2013	34 693	7.7
2014	31 526	8.5
2015	29 157	7.8

დანართი 5

განქორწინება

წელი	განქორწინებათა რიცხვი	განქორწინების კოეფიციენტი (1000 კაცზე)
2001	1 987	0.5
2002	1 836	0.4
2003	1 825	0.4
2004	1 793	0.4
2005	1 928	0.4
2006	2 060	0.5
2007	2 325	0.5
2008	3 189	0.7
2009	4 030	0.9
2010	4 726	1.1
2011	5 850	1.3
2012	7 136	1.6
2013	8 089	1.8
2014	9 119	2.4
2015	9 112	2.5

დანართი N 6





<u>წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, თბ., 2015</u>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა

პირველი სემესტრის დოქტორანტი

გვანცა სალუქვაძე

სადოქტორო სემინარი

თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამები და მათი გამოყენება ქართულ რეალობაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფ. დოქ. ნინო პავლიაშვილი

თბილისი
2018

სარჩევი

აბსტრაქტი 3

შესავალი 4

თავი 1. მონაცემთა ანალიზის როლი თვისებრივ კვლევაში 7

თავი 2. თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამების განვითარების ისტორიული დისკურსი 9

თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა 11

3.1 CAQDAS და საზოგადოება 11

3.2 დაფუძნებული თეორიის როლი CAQDAS პროგრამების შექმნაში 17

თავი 4. CAQDAS პროგრამები 19

4.1 თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამების გამოყენების უპირატესობები 19

4.2 ყველაზე გავრცელებული CAQDAS პროგრამების აღწერა 21

თავი 5. კვლევის მეთოდოლოგია 24

5.1 კვლევის დიზაინი 24

5.2 შერჩეული დოკუმენტების აღწერა 24

5.3 მონაცემთა ანალიზი 25

5.4 მონაცემთა ანალიზის შედეგები 26

5.5 ძირითადი მიგნებები 26

თავი 6. დასკვნა 28

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 30

დანართი 34

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამების გამოყენების ტენდენცია Scopus ბაზაში არსებულ სტატიებში (2004-2017) 34

დიაგრამა 2. CAQDAS გამოყენების მაჩვენებელი სხვადასხვა დისციპლინებში 35

MAXQDA გრაფიკების ჩამონათვალი

MAXQDA გრაფიკი 1. გაანალიზებული დოკუმენტების ჩამონათვალი 36

MAXQDA გრაფიკი 2. კომპიუტერული ანალიზის პროგრამების გამოყენება 37

MAXQDA გრაფიკი 3. გამოყენებული CAQDAS პროგრამები 38

MAXQDA გრაფიკი 4. კვლევაში გამოყენებული ანალიზის მეთოდის შემთხვევაში ანალიზის პროცედურების აღწერა 39

MAXQDA გრაფიკი 5. ემპირიული მონაცემების მოპოვების ტექნიკები 40

აბსტრაქტი

დღესდღეობით კომპიუტერს ცენტრალური ადგილი უჭირავს კვლევების განხორციელებაში, როგორც მარტივი ისე რთული ამოცანების გადაჭრის კუთხით. მართალია, საერთაშორისო ასპარეზზე მონაცემთა ანალიზის პროგრამების ფართო არჩევანია, თუმცა თვისებრივ ინფორმაციას მკვლევართა ნაწილი ჯერ კიდევ ტრადიციული მეთოდებით ამუშავებს. აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული მსგავსი პროგრამული უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე, ხოლო ზოგიერთი არ ფლობს საკმარის ცოდნას იმისათვის, რომ გამოიყენოს თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამები პირველად 25 წლის წინ გამოჩნდა, თავისი ინოვაციური და ეფექტური ფუნქციებით უფროდაუფრო მეტი მკვლევარი დააინტერესა. შედეგად, მათი მოხმარება საგრძნობლად გაიზარდა, რამაც მათი მუდმივი განახლებისა და სრულყოფის საჭიროებას შეუწყო ხელი.

ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნული პროგრამების განვითარების ისტორიული დისკურსი და დეტალურად არის წარმოდგენილი მიმდინარე პერიოდში მათი გამოყენების ტენდენციები. ინფორმაციის სრულყოფის მიზნით, ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა კვლევა, რომლის მთავარი მიზანი იყო გამოევლინა ამ კუთხით საქართველოში არსებული ვითარება, რათა მეტ-ნაკლები სიზუსტით, აღნიშნული პროგრამების განვითარებისა და დანერგვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით მომხდარიყო სამომავლო პროგნოზების გაკეთება.

ჩატარებული კვლევის ძირითადი მიგნებები ეხება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების მეთოდოლოგიაში მითითებული მონაცემთა ანალიზის მეთოდების, ინფორმაციის შეგროვების ტექნიკებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემთხვევაში გამოყენებული პროგრამების იდენტიფიცირებასა და ანალიზს. აღნიშნული მოკვლევა განხორციელდა თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამის, კერძოდ MAXQDA2018-ის მეშვეობით.

შესავალი

<u>საკითხის აქტუალობა და პრობლემის ფორმულირება.</u> ბოლო ათწლეულების განმავლობაში თვისებრივმა კვლევამ საგრძნობი ცვლილებები და ფართო გავრცელება განიცადა. პირველ რიგში, ის დამკვიდრდა ისეთი დისციპლინების ფართო სპექტრში, რომლებიც არ მოიცავს მხოლოდ სოციოლოგიას, ანთროპოლოგიასა და განათლებას. დღესდღეობით თვისებრივი კვლევა აქტიურად ხორციელდება ისეთ დარგებში, როგორებიცაა სოციალური მეცნიერებები, მედიცინა, სოციალური მუშაობა, ფსიქოლოგია, ინფორმაციული მეცნიერებები, პოლიტიკური მეცნიერებები და სხვა მსგავსნი.

თვისებრივი მეთოდების გამოყენების მზარდი ტენდენციის კვალდაკვალ გაჩნდა ახალი საინტერესო გამოწვევა, რომელმაც ხელი შეუწყო მონაცემთა ანალიზის მეთოდებისა და მიდგომების სრულიად ახალი სპექტრის ჩამოყალიბებას. აღნიშნულის დიაპაზონი ვრცელდება კონტენტ ანალიზიდან დიალოგების ანალიზამდე (conversation analysis), დაფუძნებული თეორიიდან ფენომენოლოგიურ ანალიზამდე, ნარატივებიდან ვიდეო ანალიზამდე, ვიზუალური მონაცემების ანალიზიდან კი ელექტრონული მონაცემების ანალიზამდე (Flick, 2009, გვ.4)

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ თვისებრივი კვლევისა და მისი მეთოდების გამოყენება სტაბილურად მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს და უფროდაუფრო მეტ დისციპლინაში წარმატებით იმკვიდრებს თავს, ბოლო 30 წლის განმავლობაში მეტად აქტუალური ხასიათი შეიძინა თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამების განვითარებამ და გამოყენებამ მთელ მსოფლიოში (Rodik & Primorac, 2015, გვ.1).

მეტი სიზუსტისათვის, 1980-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა მონაცემთა ანალიზის ტექნოლოგიებმა და სწორედ მაშინ მოხდა ყველაზე მასშტაბური გავრცელება კომპიუტერული პროგრამების თვისებრივ კვლევაში. დღესდღეობით, მრავალი სხვადასხვა პროგრამა არის ხელმისაწვდომი, იმისათვის რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოხდეს თვისებრივი მონაცემების დამუშავება და ანალიზი (Flick, 2009, გვ.359). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თვისებრივი ინფორმაციის ანალიზის

კომპიუტერულ პროგრამების გამოყენებას საკმაოდ ბევრი უპირატესობა აქვს, ტრადიციული მეთოდებისაგან განსხვავებით. კერძოდ, აღნიშნული პროგრამების ფუნქციები მეტ ინოვაციურ გადაწყვეტას, ახალი მიდგომებისა და მეთოდოლოგიური საფუძვლების განვითარებას ხდიან შესაძლებელს.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მკვლევარების დამოკიდებულება კომპიუტერული პროგრამების დახმარებით თვისებრივი მონაცემების ანალიზთან მიმართებით, მათი განვითარების დღიდან არაერთგვაროვანია. თუმცა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით თვისებრივი მონაცემების ანალიზი სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგიის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ დარგად არის მიჩნეული (Kuckartz, 2014, გვ.122). მიმდინარე და მოსალოდნელი ტენდენცია ნათლად გვიჩვენებს პროგრამების რაოდენობისა და მათი მომხმარებლების მკვეთრ ზრდას (Woods, Paulus, Atkins, & Macklin, 2016, გვ.597). ამასთან, სწრაფი ტემპით მატულობს მათი გამოყენებით დაინტერესებული ადამიანების რაოდენობა, რაც ნათლად მიუთითებს აღნიშნული მიმართულების პროგრესულ ხასიათსა და იმაზე, რომ მკვლევართა საზოგადოების ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

<u>ნაშრომის მიზანი და ამოცანები</u>. წარმოდგენილ ნაშრომს ორმხრივი მიზანი აქვს: მიმოიხილოს თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამების განვითარების უწყვეტი ჯაჭვი საერთაშორისო ასპარეზზე და ასევე, თვისებრივი კვლევის განხორციელების მეშვეობით, აღნიშნული პროგრამების გამოყენებისა და განვითარების პოტენციალი შეაფასოს საქართველოს რეალობაში.

ნაშრომის ფარგლებში დასახული მიზნის მისაღწევად მოხდა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- თვისებრივი მონაცემების ანალიზის როლისა და მნიშვნელობის შესწავლა თვისებრივ კვლევაში
- თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამების 25 წლიანი განვითარების ისტორიის მიმოხილვა საერთაშორისო დონეზე
- პროგრამების გამოყენებასთან დაკავშირებული მკვლევარების არაერთგვაროვანი დამოკიდებულებებისა და მოლოდინების ანალიზი, შეჯამება

- საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებულ თვისებრივ კვლევებში მონაცემთა ანალიზის წარმართვის სტრატეგიების შესწავლა და მათში პროგრამული უზრუნველყოფის როლის კვლევა

<u>ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი.</u> წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ლიტერატურის მიმოხილვის მეთოდზე დაყრდნობით, საქართველოში თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამების გამოყენების შემთხვევების იდენტიფიცირება, შეგროვება და ანალიზი.

<u>კვლევის სიახლე.</u> საყურადღებოა, რომ ნაშრომი ცდილობს გამოავლინოს აღნიშნული მიმართულების განვითარების დონე და იმსჯელოს მისი წინსვლის პოტენციალზე საქართველოს რეალობაში. ამასთან, ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა პირველად იქნება ჩატარებული საქართველოს მაგალითზე, რაც მკითხველებს ამ კუთხით არსებული მდგომარეობის გაანალიზების შესაძლებლობას მისცემს და ასევე, ხელს შეუწყობს მათი დაინტერესების გაზრდას.

<u>ნაშრომის მოსალოდნელი შედეგები.</u> წარმოდგენილი საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თვისებრივი მონაცემების ანალიზისათვის შექმნილი პროგრამების როლის, უპირატესობების, გამოწვევებისა და შეზღუდვების სიღრმისეული მიმოხილვა. შესაბამისად, ნაშრომის შექმნა ამ მიმართულებით ბიძგს მისცემს თანამედროვეობისათვის მეტად პროგრესირებად თემაზე დისკუსიას. უფრო მეტიც, ნაშრომში მიმოხილულია პროგრამების შექმნის დღიდან არსებული ლიტერატურა საერთაშორისო გამოცდილებისა და მკვლევარების მოლოდინებისა თუ შეფასებების გარშემო.

თავი 1. მონაცემთა ანალიზის როლი თვისებრივ კვლევაში

თვისებრივი კვლევა მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის ადამიანური ელემენტების შესწავლას, ხოლო სპეციფიკური მეთოდები კი იკვლევენ იმას თუ როგორ აღიქვამს და რა დამოკიდებულება აქვს ინდივიდს შესასწავლი საკითხის მიმართ. თვისებრივი მიდგომა როგორც წესი გამოიყენება ახალი ფენომენის შესწავლისა და მის მიმართ ინდივიდის დამოკიდებულების, გრძნობის, აზრის ან მნიშვნელობის კვლევას. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა, რომ მკვლევარმა მოახდინოს საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლა ინფორმანტის პერსპექტივიდან, ჰქონდეს სიახლოვე ემპირიულ მონაცემებთან და ასევე, შეძლოს თეორიის კონსტრუირება და ინტერპრეტაცია ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

„ინტერვიუერი: რა ფერის არის თოვლი?

რესპონდენტი: თეთრი“

უმეტესობა ჩვენგანისთვის პასუხი ‘თეთრი’ სავსებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა ესკიმოსისთვის მსგავსი რამ ხუმრობა იქნებოდა, რადგან ისინი გამოარჩევენ ‘თეთრი’ ფერის ფართო სპექტრს ვინაირად უნდა შეძლონ გარჩევა ყინულისა და თოვლის პირობების შემთხვევაში (Dey, 2005, გვ.1). სწორედ ასე ხდება თვისებრივი მონაცემების ანალიზში, ერთ-ერთი მომიხილვაში ტეში (1990) გამოყოფს 40-მდე ტიპის თვისებრივ კვლევას. ისევე, როგორც ესკიმოსები განასხვავებენ მრავალ სხვადასხვა ‘თეთრ’ ფერს, ასევე მკვლევარები გამოყოფენ თვისებრივი ანალიზის ტექნიკების ფართო სპექტს. არ არსებობს ერთი სახის თვისებრივი მონაცემების ანალიზი, მეტიც არის ბევრი სხვადასხვა მიდგომა, რომლებიც სათითაოდ უკავშირდებიან მკვლევარების სხვადასხვა პერსპექტივებსა და მიზნებს (Dey, 2005, გვ.1). აგრეთვე, თვისებრივი კვლევა მრავალ სხვადასხვა სახის ტექნიკას აერთიანებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ემპირიული მონაცემების მოპოვება, მათ შორის ინტერვიუები (სტრუქტურირებული, ნახევრად სტრუქტურირებული, არასტრუქტურირებული), ფოკუს ჯგუფები, დაკვირვება და ა.შ.

კვლევის პროცესში, რომელიც სხვადასხვა ეტაპებისგან შედგება, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაცემთა ანალიზია. ის წარმოადგენს კვლევის ცენტრალურ ნაწილს, რომელსაც ყველა სხვა საფეხური ექვემდებარება. მისი დრო სწორედ მაშინ

დგება, როდესაც შერჩევა გაკეთებულია, საველე სამუშაო ჩატარებული, მონაცემები შეგროვებული და გაშინაარსებული (ტრანსკრიპტირება). შესაბამისად, აღიშნული სამუშაოების დასრულების შემდგომ, როდესაც მოპოვებული მონაცემები შეგროვებული და გამზადებულია, შესაძლებელია რომ მკვლევარმა მონაცემთა ინტენსიური ანალიზი დაიწყოს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არის ასევე შემთხვევები, როდესაც მონაცემთა ანალიზი ხდება ინფორმაციის შეგროვების პარალელურად (Dey, 2005). დეის (Dey, 2005, გვ.1) მიხედვით, აღნიშნული მიდგომა ძირითადად გამოიყენება, როგორც საშუალება რომ მონაცემთა შეგროვების შემდგომ მოხდეს საკვლევი ფენომენის ანალიზისათვის უფრო მეტად განვითარება და საჭირო ემპირიული მონაცემების მასთან დაკავშირება. სხვა გადაწყვეტილებები კვლევის პროცესში არის წარმართული მონაცემთა ანალიზის მდგომარეობით. მონაცემთა ანალიზის ამგვარი მიდგომის ცნობილი და ნათელი მაგალითია დაფუძნებული თეორია (მეტი ინფორმაციისთვის იხ. დაფუძნებული თეორიის თავი, გვ. 17), სადაც შერჩევის გადაწყვეტა, ზოგჯერ მონაცემთა შეგროვების მეთოდისაც და ა.შ. მოტივირებულია მონაცემთა ანალიზის დროს.

თავი 2. თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამების განვითარების ისტორიული დისკურსი

1980-იანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებულმა კომპიუტერიზაციის პროცესმა თვისებრივ კვლევაში მონაცემების ანალიზის კუთხით ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია (Flick, 2009, გვ.359). ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა მკვლევარებისათვის, რომ ისარგებლონ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ახალი მიდგომებით. სახელდობრ, მონაცემთა შეგროვება აღარ არის შეზღუდული და არ შემოიფარგლება მხოლოდ კალმისა და ფურცლის გამოყენებით (Cope, 2014, გვ.1). ჯონსის (2007, გვ.2). მიხედვით, იმ დროს, როდესაც რაოდენობრივი ანალიზის პროგრამა SPSS-მა (სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის) დროის მცირე მონაკვეთში მოახერხა დიდი პოპულარობის მოპოვება მკვლევარებს შორის, თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერულ პროგრამებს ბევრად მეტი დრო დასჭირდათ აუდიტორიის შესაძენად და ადგილის დასამკვიდრებლად. მსგავსი ტიპის პროგრამები ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც თვისებრივი მონაცემების ანალიზის (Qualitative Data Analysis - QDA), ხოლო ზოგ შემთხვევაში თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამები (Computer-Aided Qualitative Data Analysis Software - CAQDAS) (Flick, 2009).

თავდაპირველად კომპიუტერის დახმარებით დაწყებული თვისებრივი ანალიზი საკმაოდ შეზღუდული იყო შესაძლებლობებით დღევანდელ ფუნქციებთან შედარებით და მოიცავდა მხოლოდ ტექსტის გარკვეული სეგმენტების მოძიებას სიტყვების დამუშავების ფორმით (word processors), რაც მკვლევარს აძლევდა შესაძლებლობას რომ მოეძიებინა კატეგორიები და მარტივი ამოცანების გადაჭრით ემუშავა ტექსტთან (აღნიშვნა ძირითადი ნაწილების, ედიტირება) (Richards, 2002, გვ.199-200). მსგავსი პროგრამების პირველი თაობა, როგორებიცაა MAX, Nudist, Atlas.ti, the Etnograph და ა.შ. მხოლოდ მკვლევართა მცირე ნაწილისთვის იყო თავიდან ცნობილი (Kuckartz, 2010; Lewins & Silver, 2007; Tesch, 1990; Weitzman & Miles, 1995).

აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზზე საგრძნობლად დაწინაურნენ თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზის პროგრამები და 1990-იანი

წლებიდან უკვე ერთმანეთთან მოხდა მათი მომხმარებელთა საზოგადოების დაკავშირება. 2000-იანი წლებიდან განსაკუთრებულად იმატა პროგრამების რაოდენობამ და ასევე, თითოეულის უწყვეტი განვითარების ტენდენციამ. ამჟამად, საკმაოდ ფართო არჩევანია მსგავსი პროგრამების და უამრავი სხვადასხვა ტექნიკაა ხელმისაწვდომი ინტერნეტისა და ელექტრონული რესურსების წყალობით (Cope, 2014, გვ.1).

დღეისათვის, მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამების გამოყენება საკმაოდ სტანდარტულია თვისებრივ კვლევაში (Kuckartz, 2014) და მათი განვითარების ტემპები ფუნქციების სრულყოფის მიზნით, შესამჩნევად სწრაფი ტემპებით ხასიათდება. ამასთან, შესამჩნევია აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მკვლევარების რაოდენობის ზრდა (სასწავლო კურსები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები) (Rodik & Primorac, 2015), რაც თავის მხრივ, თვისებრივი ანალიზის პროგრამული მეთოდების პოპულარიზაციასა და დანერგვას აქტიურად უწყობს ხელს, სამეცნიერო, საჯარო თუ კერძო სივრცეში.

აგრეთვე, ნაშრომის ფარგლებში, მოხდა სამეცნიერო პუბლიკაციების პორტალზე, კერძოდ, Scopus-ზე იმ პუბლიკაციების მოძიება, სადაც თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამების შექმნიდან დღემდე მოხდა მათი გამოყენება. შედეგად, გამოიკვეთა, რომ სტატიებში მსგავსი პროგრამული უზრუნველყოფით შესრულებული კვლევების რაოდენობა საგრძნობად გაიზარდა მთელი 25 წლის განმავლობაშ, თუმცა უმეტესი პროგრამების მოხმარების განსაკუთრებული ზრდის ტენდენცია შეინიშნება 2004 წლიდან 2017 წლის ჩათვლით (იხ. დანართი, დიაგრამა. 1) . მნიშვნელოვანია, ასევე აღინიშნოს, რომ დარგობრივი კუთხით, სამედიცინო და სოციალურ მეცნიერებათა სფეროები უპირობო ლიდერები არიან განხორციელებულ კვლევებში პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით (იხ. დანართი, დიაგრამა. 2).

თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა

3.1 CAQDAS და საზოგადოება

საწყისი ეტაპიდან მოყოლებული დღემდე კომპიუტერიზაციიის პროცესის თვისებრივ კვლევაში ინტეგრირების იდეის მიმართ მკვლევართა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ამ პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული პროგრამების მუდმივად განახლების ფონზე, ბევრი სხვადასხვა სახის მოსაზრება და შეხედულება დაფიქსირდა ფართო აუდიტორიის მხრიდან. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნაწილი პროგრამას მისი შემქმნელების პერსპექტივიდან განიხილავს, ზოგიერთი მომხმარებლების გადმოსახედიდან ან მათი გამოცდილებიდან გამომდინარე აკეთებს დასკვნებს.

ბასიტის (2003, გვ.143) მიხედვით, მკვლევართა საზოგადოების დამოკიდებულება და მოლოდინები მკვეთრად გაიყო ციფრული ჩარევის სარგებელსა და ეფექტებთან დაკავშირებით. შემფასებელთა უმეტესობა, დიდ იმედებს ამყარებდა პროგრამული უზრუნველყოფის უსაზღვრო შესაძლებლობებზე და ამ პროცესს თვისებრივ კვლევაში ახალი პერიოდის დასაწყისად მიიჩნევდა (Flick, 2009; Jones, 2007; Kuckartz, 2014; Tom Richards, 2002; Silver & Lewins, 2014), მაშინ როდესაც დანარჩენები წუხდნენ იმაზე, თუ როგორ შეცვლიდა ან 'გაამრუდებდა' მოპოვებულ ტექსტურ ინფორმაციას კომპიუტერული ჩარევა (Duff & Séror, 2005; Flick, 2009; Roberts & Wilson, 2002).

სამეცნიერო წრეში არაერთი მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული მსჯელობისა თუ დისკუსიის ფარგლებში, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკამათო საკითხი, რის გამოც მკვლევართა ნაწილი თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამების დანერგვას სკეპტიკურად აღიქვამს.

დეის (2005, გვ.5) მიხედვით, პროგრამების განვითარების ერთ-ერთ პოტენციურ ზიანად მეცნიერების ნაწილმა ის გარდამტეხი ცვლილებები მიიჩნია, რასაც ახალი ტექნოლოგიური მიდგომა გამოიწვევდა ანალიზის ტრადიციულ მეთოდებთან მიმართებაში. თავად მსგავსი მონაცემთა ანალიზის პროგრამების შემქმნელებიც აღიარებდნენ იმ მოსალოდნელ საფრთხეს, რასაც მათი შექმნილი პროგრამა მონაცემთა ანალიზში მექანიკური მიდგომით ტრადიციული ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩანაცვლება გამოიწვევდა. მსგავსი სახის, თუმცა ბევრად დაუსაბუთებელი და რეალობას

მოკლებული შეშფოთების დიდი ტალღა უკავშირდებოდა ძირითადად მცირე პრაქტიკული ცოდნის, გამოუცდელი, ახალბედა მკვლევართა მხრიდან გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ მსგავსი პროგრამები თავად წარმართავენ მონაცემთა ანალიზის პროცესს. სახელდობრ, ოდენას (2013, გვ.358) მიხედვით, ზოგიერთი მათგანი მიიჩნევდა, რომ კომპიუტერს შეუძლია განსაზღვროს თუ რომელი სეგმენტებია ტექსტიდან კვლევისათვის მნიშვნელოვანი, მოახდინოს იდეების გენერირება მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით და მიიღოს გადაწყვეტილებები.

მსგავსი მოსაზრებების საპასუხოდ, დეი (2005, გვ.57) დასძენდა, რომ რა თქმა უნდა კომპიუტერებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ის რაც ადამიანებს - აზროვნება. კომპიუტერი გვეხმარება რომ გავაანალიზოთ მონაცემები, მაგრამ მას არ შეუძლია თავად გაანალიზოს ის. ახალი ტექნოლოგია მხოლოდ და მხოლოდ ხელს უწყობს წერისა და ანალიზის ახალი მიმართულებების განვითარებას. კომპიუტერს არ შეუძლია რომ თავად იფიქროს, მაგრამ მას შეუძლია რომ დაგვეხმაროს აზროვნებაში და მეტიც, დაგვეხმაროს რომ დავიწყოთ განსხვავებული აზროვნება მისი ფუნქციების მეშვეობით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომპიუტერმა შესაძლოა დაგვიზოგოს დრო ტექსტის ანალიზის პროცესში, მაგრამ კვლევის შედეგებს რელევანტურობა მკვლევარის კომპეტენციით ენიჭება (Odena, 2013, გვ.358). შესაბამისად, ბოურდონი (2002) აკეთებდა მკვეთრ აქცენტებს და აღნიშნავდა, რომ აუცილებელია, მოხდეს მაღალ დონეზე განვითარებული პროგრამების ფუნქციების სიღრმისეული გაცნობა მკვლევართა მხრიდან, იმისათვის რომ არ დაიკარგოს პროგრამების მთავარი არსი და ის მოტივაცია, რის გამოც მოხდა მათი შექმნა და ინტეგრირება თვისებრივი ინფორმაციის ანალიზის პროცესთან.

ამასთან, საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ თვისებრივი ინფორმაციის ანალიზის პროცესში მკვლევარისა და კომპიუტერის ურთიერთკავშირს. მეცნიერთა ნაწილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ შეუძლებელია ამ პროცესში კომპიუტერი ასრულებდეს შუამავლის როლს და ეს 'თანამშრომლობა' დასრულდეს წარმატებით (Bringer, Johnston, & Brackenridge, 2004, გვ.250). არსებობდა დაფარული ვარაუდი, რომ მონაცემთა ურთიერთქმედება უფრო მეტად "ბუნებრივია", როდესაც ქაღალდი და ფანქარი გამოიყენება. თუმცა, ფაქტია, რომ კომპიუტერულ შუამავლობას ადგილი აქვს მაშინაც კი, როდესაც უბრალოდ ხდება სიტყვის დამუშავების პროგრამების გამოყენება, რაც

დღეისათვის მონაცემებთან 'ურთიერთობის' გარდაუვალი ნაწილია (Friese, 2010; Gibbs, Friese, & Mangabeira, 2002). აგრეთვე, მიჩნეული იყო, რომ აღნიშნული პროგრამები შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო, როგორც წმინდა რიტორიკული იარაღი იმისათვის, რომ მომხდარიყო მკითხველების დარწმუნება რომელიმე კვლევის სამეცნიერო ხასიათში (Kelle, 1995, გვ.46). მაგალითისათვის, მხოლოდ ხსენება რომ კვლევაში გამოყენებულია რომელიმე სახის პროგრამა, შეიძლება გამოდგეს კარგი გარანტია იმისათვის, რომ პროცესი გამჭირვალედ და წესების დაცვით განხორციელდა. თუმცა მხოლოდ მითითება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მკითხველი დარწმუნდეს მის ჭეშმარიტად გამოყენებასა და პროცესის წარმართვის სისწორეში. არადა სწორედ ეს არის ამ პროგრამების მთავარი არსი, პროცესის გამჭირვალედ წარმართვა და ხელმისაწვდომობა ანალიზის პროცესთან კვლევის სხვა შიდა თუ გარეშე პირებისათვის. აღნიშნული პროგრამები წარმატებით უზრუნველყოფენ სურვილის შემთხვევაში და საჭიროც არის რომ მოხდეს გაწეული სამუშაოს მაღალ დონეზე დოკუმენტირება (Odena, 2013; Pekka, 2001). ამ შემთხვევაშიც ნათლად იკვეთება მკვლევარის როლი და პასუხისმგებლობა პროცედურული ეტაპების დაცვასა და ანალიზის ეფექტურად წარმართვის კუთხით.

იმ ფაქტს, რომ წლების განმავლობაში ერთგვარი დაბნეულობა არსებობდა ანალიზის პროცესთან და მკვლევარის როლთან დაკავშირებით, ადასტურებს ფლიკის (2009) მიერ გაკეთებული ვრცელი ჩანართი თავის საავტორო წიგნში. იგი აღნიშნავს, რომ აუცილებელია გამოიკვეთოს ის განსხვავება, რაც რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამებს შორის არსებობს. მაგალითისათვის, რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის პროგრამა - SPSS-ის მეშვეობით შესაძლებელია, რომ მოხდეს მოპოვებული მონაცემების სტატისტიკური ან ფაქტორული ანალიზი. თუმცა, თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამის გამოყენების მთავარი შედეგები ვერ იქნება ინფორმაციის ანალიზი. მისი მეშვეობით მკვლევარს შესაძლებლობა ეძლევა, რომ გამოიყენოს პროგრამის ინოვაციური ფუნქციები, რომელთა დახმარებითაც მოახდენს საჭირო ტექსტური ნაწილების კოდირებას. კერძოდ, მსგავსი პროგრამები არ იქმნება იმისათვის, რომ ავტომატურ რეჟიმში შეასრულოს საქმიანობა, როგორც რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისას ხდება, არამედ შეამსუბუქოს ტექსტური ინფორმაციის დამუშავება, რათა მკვლევარმა შედარებით მარტივად მოახდინოს საკვლევი საკითხის

შესწავლა. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში მთავარი აქტორი მკვლევარია, რომელიც ასრულების კოდირებას და არა პროგრამა.

მილსი (2000) ეხმაურება პროგრამების უსაზღვრო ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მათ სწორად გამოყენებაში მკვლევართა დიდ როლს. მისი თქმით, მეთოდის სწორად გამოყენება სოციოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, აღნიშნული პროგრამები იძლევიან საშუალებას რომ არამარტო გამოვიყენოთ ყველა არსებული მეთოდოლოგიური მიდგომა, არამედ შევქმნათ ახალი და ყოველღიურად ვიზრუნოთ არსებული მეთოდოლოგიური სიცარიელის ამოვსებაზე, რაც პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია (Bourdon, 2002, p.30). პროგრამებმა შესაძლებელი გახადა ახალი, ადრე ხელმიუწვდომელი თვისებრივი ტექნიკების გამოყენება. თუმცა, რამდენიმე მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელიც კომპიუტერების ჩართულობამდე იყო გამოყენებული არ იქნა წახალისებული ამ პროგრამებით, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით და შესაბამისად, კომპიუტერიზაციამ წაახალისა მცირე მიკერძოებულობა თვისებრივი ტექნიკების გამოყენების პროცესში (Tom Richards, 2002).

წლების განმავლობაში, ოპონენტები ასევე აქტიურად მიუთითებდნენ იმ მეთოდოლოგიურ 'ჭუჭყზე', რაც შეიძლება, რომ მონაცემების ციფრულ გარემოში გადატანისა და პროგრამული მანიპულაციების შედეგად, სრული აბსტრაქციის სახით მივიღოთ. თუმცა აქვე თავად აღნიშნავენ, რომ მსგავსი რამის მოხდენის ალბათობა უფრო მაღალია, როდესაც შეხება გვაქვს მარტივ ტექსტურ პროგრამებთან, სადაც გამოხატულება და აქცენტები შეიძლება დაკარგოს, თუმცა იმ შემთხვევაში თუ პროგრამა დატვირთული იქნება ეფექტური და განვითარებული ფუნქციებით, აღნიშნული დეფიციტის აღმოფხვრა მარტივად მოხდება (Bourdon, 2002).

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების სრულყოფის კუთხით ბევრმა სიახლემ და წინსვლამ მოიყარა თავი ამ პერიოდის განმავლობაში, რობერტსი და ვილსონი (2002) ამტკიცებენ, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები პოზიტივისტურ მიდგომას ბუნებრივ სამყაროსთან მიმართებით ხედავს იმგვარად, რომ ის შედგება ისეთი ობიექტებისაგან, რომელთა შესწავლაც, გაგება და მანიპულირება შეუძლია ადამიანს. თუმცა, თვისებრივი კვლევის მიზანი სულ სხვა რამაა, კერძოდ, თვისებრივი მკვლევარი ადამიანების პერსპექტივიდან უნდა ხედავდეს საგნებს. აქედან გამომდინარე, ძირითადი შეშფოთების

მიზეზი პროგრამული ანალიზის კუთხით არის სწორედ ის რომ პროგრამების სტრუქტურა ხელს შეუშლის თვისებრივი მონაცემების დამუშავების პროცესს და შედეგად, დაიკარგება ან დაიჩრდილება ის მნიშვნელობები და ინტერპრეტაციები, რასაც ტექსტური ინფორმაცია მოიტანს. ამის საპირისპიროდ, სილვერი და ლევინსი (2014, გვ.11) აზუსტებენ ანალიზის პროგრამების შექმნის მთავარ მოტივაციას და ხაზს უსვამენ იმას, რომ არ არის განსაზღვრული იმისათვის, რომ მკვლევარმა 'მკაცრი' ანალიზი განახორციელოს ინფორმაციის. მისი გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არის რომ მოახდინოს მონაცემთა ანალიზის პროცესის გამჭირვალედ წარმართვა და შესაძლებლობა მისცეს ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს, რომ ნახოს თუ როგორ მივიდა მკვლევარი ამა თუ იმ მიგნებამდე/დასკვნამდე. შესაბამისად, ანალიზის პროცესში ამოცანების შესრულების პროცესი, მათი თანმიმდევრობა და როლი ბევრად მარტივად და მაღალ დონეზე იქნება დოკუმენტირებული/ილუსტრირებული, ვიდრე მოხდება ეს ხელით მუშაობის დროს.

ოდენა (2013, გვ.357) აღნიშნავს, რომ მიუხედავად, ინდუქციური/დედუქციური პროცესის ხარისხისა, თვისებრივი მონაცემებს ანალიზი პროგრამით თუ მისი დახმარების გარეშე, მაინც ყოველთვის დასჭირდებოდა რომ გაევლო კითხვის, კატეგორიზაციის, ტესტირებისა და გასუფთავების პროცესი, რომელიც გრძელდება მანამ სანამ მკვლევარი ყველა კატეგორიას რესპონდენტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს არ შეადარებს, დაუკავშირებს, ხოლო ანალიზის ვალიდურობა არ დადასტურდება სხვა მკვლევარებთან ერთად. თუმცა, CAQDAS მოიცავს ბევრად მეტ თვალსაჩინო პრაქტიკულ უპირატესობას, ვიდრე ტრადიციული მეთოდები, რომლის დროსაც ტექსტიდან მნიშვნელოვანი ციტატების ამოჭრა და მათი სხვადასხვა ყუთებში დახარისხება ხდება. ტექსტთან მსგავსი მუშაობა ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს მხოლოდ 10 გვერდთან, მაგრამ როდესაც მკვლევარის წინაშე არის გასაანალიზებელი 100-მდე გვერდი, მაშინ მას აუცილებლად დასჭირდება პროგრამული დახმარება იმისათვის, რომ მოახდინოს კატეგორიების შექმნა, კოდების ერთმანეთთან დაკავშირება, ისე რომ ყოველ ჯერზე ხელახლა არ წაიკითხოს ტრანსკრიპტი (Odena, 2013, გვ.357). მკვლევარები, რომლებიც პროგრამების დახმარებით აანალიზებენ მონაცემების დიდ რაოდენობას, ხშირად გამოხატავენ გაოცებას, რომ ასობით ფურცლის ანალიზი ხელით განხორციელებულა (Basit, 2003, გვ.145). თუმცა ამ შემთხვევაში საყურადღებოა,

რომ არანაკლებ დროს მოითხოვს იმის სწორად განსაზღვრა თუ რომელი პროგრამა გჭირდება მოცემული კვლევის მონაცემებისათვის და ასევე, მისი საფუძვლიანი შესწავლა, იმისათვის რომ სრული პოტენციალის ათვისებით მოხდეს ინფორმაციის ანალიზი. შესაბამისად, რეალური მიზანი რომ მოიგო დრო მხოლოდ მაშინ ღირს ამ ფასად, როდესაც პროგრამას იყენებ დიდი რაოდენობის თვისებრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისათვის (Flick, 2009, გვ.361).

დღესდღეობით, ზოგადად მეთოდოლოგიურ წიგნებშიც შეგვიძლია რომ ვნახოთ ცალკე გამოყოფილი თავები/სექციები თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერულ პროგრამებზე (Dey, 2005; Flick, 2009). ასევე, აღსანიშნავია მკვეთრი მატება სასწავლო სახელმძღვანელოების და სტატიების, რომლებიც ეძღვნება სხვადასხვა თვისებრივი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების ძირითად პრინციპებს, პროცედურებსა და საფეხურებს, რათა უფრო დიდი აუდიტორიისთვის გახდეს ხელმისაწვდომი თვისებრივი მეთოდების გამოყენება (Boeije, 2009; Jones, 2007; Kuckartz, 2014; Miles, Huberman, & Saldaña, 2013; Odena, 2013; Roberts & Wilson, 2002; Silver & Lewins, 2014; Woolf & Silver, 2017). აღსანიშნავია, რომ 21-ე საუკუნეში ფართო არჩევანია მსგავსი პროგრამების, თითოეულ მათგანს აქვს მეტ-ნაკლებად მსგავსი ხარისხი, მათი ფუნქციები ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს, ხოლო ნაწილობრივ კი აქვთ მოიცავენ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ და ინოვაციურ პროგრამულ შესაძლებლობებს (PETERS & WESTER, 2007, გვ.636).

ბოლო წლების ტენდენციებისა და შეძენილი პრაქტიკული გამოცდილების შედეგად, შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ ორივე ზემოთ აღნიშნული მხარის პოზიცია თავის მხრივ მართალი იყო, თუმცა საბოლოოდ, დასტურდება მხოლოდ ერთი რამ - მათი დიდი მოლოდინებიც და შიშიც ფანტაზიაა (Flick, 2009). აღნიშნული პროგრამების განვითარების ტალღა იმდენად სწრაფი და მზარდია, რომ დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში საკმაოდ ხშირად ხდება ახალი გაუმჯობესებული ვერსიების გავრცელება, ფუნქციების გაუმჯობესება და ასევე, ახალი პროგრამების წარდგენა. შესამაბისად, მსგავსი შინაარსის შეხედულებების გავრცელება ხშირ შემთხვევაში მათი გამოქვეყნების პერიოდში უკვე ნაწილობრივ მოძველებულიც არის ხოლმე, რადგან პროგრამების შემქმნელები ცდილობენ დროს ხშირად გაუსწრონ (Flick, 2009).

3.2 დაფუძნებული თეორიის როლი CAQDAS პროგრამების შექმნაში

თავდაპირველად შექმნილი კომპიუტერული პროგრამების საფუძველს წარმოადგენდა 'დაფუძნებული თეორია". მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მისი შექმნა შტრაუსისა და გლასერის სახელს უკავშირდება (Kuckartz, 2014, გვ. 21). აღნიშნულმა მიდგომამ მსოფლიო მასშტაბით დიდი ინტერესი დაიმსახურა. დღესდღეობით დაფუძნებული თეორიის მეთოდი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი და პოპულარული თვისებრივი კვლევის მეთოდია სხვადასხვა დისციპლინებში (Bryant & Charmaz, 2010). განსხვავებულ სახელმძღვანელოებში შტრაუსმა, გლასტერმა, მოგვიანებით კი კორბინმა, ჩარმაზმა და კლარკმა განავითარეს დაფუძნებული თეორიის მეთოდი, რომელშიც გადამწყვეტ როლს კატეგორიების ჩამოყალიბება (categories) და კოდირება (coding) ასრულებს (Kuckartz, 2014, გვ. 22). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კოდირება არ არის მხოლოდ პერიფრაზირება. დაფუძნებული თეორიის ფარგლებში დამკვიდრებული და ფართოდ გამოყენებადი ტერმინი კოდირება (coding) გულისხმობს პროცესს, სახელდობრ, ნედლი თვისებრივი ინფორმაციის კონცეპტუალიზაციას. კოდირების შედეგად მიღებული კოდი (code) არის კონცეპტისთვის მინიჭებული სახელი (Corbin & Strauss, 2014). დაფუძნებული თეორიის მიდგომის მთავარი მიზანია, რომ განავითაროს სპეციფიკური, სიტუაციაზე მორგებული თეორია, რომელიც დაფუძნებული იქნება ინფორმანტის გამოცდილების შესახებ ნარატივების კონსტრუირებასა და ინტერპრეტირებაზე, რაც მონაცემთა ანალიზის კომპიუტერული მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდება. აღნიშნული მიდგომის განხორციელების ფარგლებში ინფორმანტი კვლევის მთავარი აქტორია. ინდუქციური წესით ფორმულირებული თეორია, რაოდენობრივი კვლევის, პოზიტივიზმის მიმართ კრიტიკაზე (სოციალური ფენომენის შესახებ არ უზრუნველყოფს სიღრმისეულ გაგებას) რეაქციას წარმოადგენს (Junek & Killion, 2012). ინდუქციური მეთოდის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ შექმნას ახალი თეორია/განმარტება (explanation), ნაცვლად იმისა, რომ შეამოწმოს უკვე არსებული. განხორციელების პროცესში ორიენტაცია მიმართულია არსებული რეალობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე, რომელიც თეორიის/ახსნის ჩამოყალიბების ძირითადი წყაროა. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის შეგროვების პროცესი ინდუქციური მეთოდის გამოყენების დროს დედუქციურ მიდგომასთან შედარებით უფრო ადრე იწყება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული

ორივე მიდგომის პროცესში ინფორმაციის შეგროვების მიზანი განსხვავებულია (Bob Brotherton, 2015). ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნული თეორიის გამოყენების მთავარი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარი მონაცემთა ანალიზს იწყებს ისე რომ არ აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი თუ რას აღმოაჩენს.

თვისებრივი მონაცემების კომპიუტერული პროგრამების შექმნისა და განვითარების პერიოდში, არსებობდა მოსაზრება, რომ მხოლოდ ის მკვლევარები იყენებდნენ ამ პროგრამებს, ვინც დაფუძნებულ თეორიაზე დაყრდნობით აწარმოებდა კვლევას (Coffey, 1996). თუმცა (Fielding & Lee, 1998) მალევე ჩაატარეს ემპირიული კვლევა კომპიუტერული პროგრამების გამოყენებაზე მკვლევარების მიერ და აღმოჩნდა, რომ მათი რესპონდენტების ორი-მესამედი არ იყენებდა თეორიულ საფუძვლად დაფუძნებული თეორიის მიდგომას, თუმცა მოპოვებულ ემპირიულ ინფორმაციას კომპიუტერული პროგრამების დახმარებით აანალიზებდნენ. ეს ფაქტი ნათლად აჩვენებს, რომ მართალია პროგრამების შექმნის ფუნდამენტი წარმოდგენილმა თეორიამ შეადგინა, მაგრამ არა იმიტომ რომ მისი გამოყენება მხოლოდ იმ მცირე ნაწილისათვის ყოფილიყო შესაძლებელი, ვინც აღნიშნულ თეორიას იყენებს თვისებრივ კვლევაში. არამედ ამ თეორიულ კონსტრუქციაზე დაფუძნებულმა პროგრამებმა მკვლევარებს იმაზე მეტი თავისუფლება მისცა მონაცემების ანალიზის პროცესში, ვიდრე ამის რეალური მოლოდინი არსებობდა.

თავი 4. CAQDAS პროგრამები

4.1 თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამების გამოყენების უპირატესობები

ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილი სკეპტიკური მოლოდინები ანალიზის პროცესში მკვლევარის როლზე, ტრადიციული მეთოდების ჩანაცვლებასა და პროგრამების დამოუკიდებელი ანალიზის შესაძლებლობებზე, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიღებული გამოცდილებით, გამოქვეყნებული წიგნების/სტატიების მეშვეობით ნელ-ნელა მცირდება. შესაბამისად, წინა პერიოდთან შედარებით, დღესდღეობით ბევრად მეტი მკვლევარი საუბრობს აღნიშნული პროგრამების საჭიროებასა და უნიკალურ შესაძლებლობებზე, რაც ხელს უწყობს მათ პოპულარიზაციას.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ პროგრამას თავისი დამახასიათებელი ინოვაციური ფუნქციები აქვს, რის გამოც მკვლევარები წყვეტენ თუ რომელი მათგანი გამოიყენონ. თუმცა, არსებობს ისეთი საერთო სახის პროგრამული უპირატესობები, რომლებსაც მომხმარებლები ცალსახად გამოარჩევენ და აღნიშნავენ.

პირველ რიგში, ყურადღება მნიშვნელოვნად არის გამახვილებული კომპიუტერის როლზე თვისებრივ კვლევაში, რომელიც დეის (2005) მიხედვით, არის უნიკალური გამტარი იმისათვის, რომ მოხდეს მოპოვებული ინფორმაციის ერთ სივრცეში თავმოყრა და შენახვა. იქედან გამომდინარე, რომ თვისებრივი მონაცემები საკმაოდ მოცულობითია, მსგავსი კონტრიბუცია მნიშვნელოვანია მონაცემთა ეფექტური მართვისათვის. ამასთან, არანაკლები გამოხმაურება აქვს იმ ფაქტს, რომ კომპიუტერების გამოყენების უპირატესობაა მკვლევარის სიახლოვე ემპირიულ მონაცემებთან, ინფორმაციის შეგროვებისა და მისი ანალიზის პროცესში (Dwyer, Gill, & Seetaram, 2012). ამასთან, მისი მეშვეობით შესაძლებელია ტექსტური მონაცემების ანალიზის სისტემატიზაცია და ინფორმაციის ანალიზის პროცესის დეტალურად აღწერა (Odena, 2013, გვ.366). მონაცემთა კარგი დოკუმენტირება და კონტროლი, იწვევს სამეცნიერო საზოგადოებაში კვლევის რეპუტაციის გაზრდას (Kuckartz, 2014). აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ტექსტის ანალიზის დროს, ისევე როგორც ნებისმიერი სახის თვისებრივი მონაცემის ანალიზისას არსებობს მრავალი სახის საფეხური, რომ განხორციელდეს ანალიზის პროცესი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. ეს უკანასკნელი შესაძლებელს ხდის, რომ მოხდეს საკვლევი

საკითხის შესწავლა ინფორმანტის პერსპექტივიდან და ამასთან, თეორიის კონსტრუირება და ინტერპრეტაცია ემპირიულ (არაფორმალური ინტერვიუ, დაკვირვება) მონაცემებზე დაყრდნობით (Junek & Killion, 2012, გვ.331). აღნიშნული ფაქტი გულისხმობს დიდი რაოდენობის არასტრუქტურირებული ინფორმაციის ანალიზს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რისი მიღწევაც კომპიუტერული მეთოდის გამოყენების გარეშე შეუძლებელია.

თვისებრივი მონაცემების ანალიზის ძირითადი ნაწილი ეთმობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებას. კერძოდ, უნდა მოხდეს მცირე რაოდენობის მონაცემების შერჩევა და მათთვის შესაბამისი კატეგორიების მინიჭება. ამ პროცესს მონაცემთა 'კოდირება' ჰქვია, ხოლო კოდი თვისებრივ კვლევაში ყველაზე ხშირად სიტყვის ან მოკლე ფრაზის სახით გვხვდება, რომლის საშუალებითაც ხდება კვლევასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვეთა. კოდირებისათვის მოპოვებული მონაცემები შესაძლოა მოიცავდეს ინტერვიუების ტრანსკრიპტებს, ჩართული დაკვირვების დროს ველზე გაკეთებულ ჩანაწერებს და ა.შ. (Saldana, 2013).

ინფორმაციის პროგრამული კოდირების პროცესში, შესაძლებელია ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებული კოდების დაჯგუფება, რასაც კომპიუტერის დახმარებით მკვლევარები ბევრად მოკლე დროში და მაღალი ხარისხით ასრულებენ. უმეტესი ასეთი პროგრამა მაქსიმალურად მორგებულია კოდირების პროცედურების გამარტივებულ გზებზე, რომ სწრაფად და მოქნილად მოხდეს ამ პროცესის წარმართვა (Dey, 2005, გვ. 59). მაგალითისათვის, მკვლევარებს აღარ სჭირდებათ რომ ინტერვიების ტრანსკრიპტები იმდენჯერ ამობეჭდონ თავიდან, რამდენჯერაც არსებით ცვლილებას შეიტანენ კატეგორიზაციაში. შესაძლებელია რელევანტური ამონარიდების/ტექსტის სეგმენტების გამოვლენა ეკრანზე და შემდგომ, მათი კოდირება. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბებული იდეები უფრო გასაგები და ნათელი გახდება, მთელი კატეგორიები, რომლებიც მოიცავს ათობით ტექსტის სეგმენტს, შეიძლება მარტივად გაერთიანებდეს ან სახელი შეეცვალოს. ასევე, მკვლევარებს პროგრამების მეშვეობით შეუძლიათ რომ ანალიზის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინონ ანგარიშის წარმოება. რა თქმა უნდა პროგრამის შესაბამისი ფუნქციების დახმარებით (Odena, 2013, გვ.357-358).

აშკარა უპირატესობაა ასევე ის ფაქტი, რომ ერთი მკვლევარის მიერ შესრულებული კოდირება, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია და არასწორი ინტერპრეტირების ალბათობაც დიდია, შესაძლებელია რომ მკვლევართა გუნდის სხვა წევრების მიერ მარტივად გადამოწმდეს. გუნდური მუშაობის კუთხით, პროგრამები ხელსაყრელია მკვლევართა ჯგუფებისათვის და მათ აძლევს საშუალებას, რომ გაცვალონ მონაცემთა ბაზები, თან ისე, რომ ერთმანეთის მიერ შესრულებულ სამუშაოზე შეეძლოთ თვალყურის დევნება. აღნიშნული პროცედურების დაცვა მუშაობის პროცესს უფრო გამჭირვალეს ხდის, მიღებულ შედეგებს კი ვალიდურებას და სანდოობას ანიჭებს. კვლევის ვალიდურობის საკითხები, კერძოდ, აღწერის, ინტერპრეტირებისა და სოციალური ფენომენის ახსნის პროცესში, ბევრად უფრო მოქნილად ხდება კვლევითი გუნდის მიერ, ვიდრე ცალკე ერთი, დამოუკიდებელი მკვლევარის მიერ (Maxwell, 1992). საბოლოოდ, ვიღებთ მონაცემთა ანალიზის მთელი პროცესის გამჭირვალობის მაღალ დონეს და ასევე კვლევის გუნდის წევრებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას (Flick, 2009, გვ. 361). თუმცა რა თქმა უნდა პროცედურულად მეტად კომპლექსურ ასახსნელად რჩება პროგრამაში დამუშავებული და გაანალიზებული ინფორმაცია (Odena, 2013, გვ.365).

4.2 ყველაზე გავრცელებული CAQDAS პროგრამების აღწერა

ATLAS. Ti:

ATLAS. Ti-ის შექმნა მურის (1991) სახელს უკავშირდება, რომელმაც ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩაუყარა აღნიშნულ პროგრამას საფუძველი. ის ეყრდნობა დაფუძნებული თეორიისა და კოდირების მიდგომებს შტრაუსის აღწერის მიხედვით (Corbin & Strauss, 2015). პროგრამის ძირითადი მიზანი არის თეორიის კონსტრუირება აღმოჩენის/საძიებო მიდგომის (explorative approach) გამოყენებით.

ATLAS. Ti გამოიყენება სხვადასხვა სახის ტექსტურ დოკუმენტზე სამუშაოდ და აქვს პირდაპირი წვდომა ვორდის ფაილებზე. დროთა განმავლობაში მან განავითარა ფუნქციები და ახლა უკვე შესაძლებელია მასში გაანალიზდეს არამხოლოდ ტექსტური ინფორმაცია, არამედ სურათები, გრაფიკები და აუდიო ჩანაწერები. პროგრამა უზრუნველყოფს, რომ ეკრანზე მკვლევარმა შეძლოს ტექსტის მთავარი სეგმენტების

კოდებისა და მიმაგრებული კომენტარების ნახვა სხვადასხვა სპეციალურ ფანჯარაში. ასევე, უზრუნველყოფილია ტექსტის იმ პასაჟთან დაკავშირება, რომელთანაც არის დაკავშირებული კატეგორიები და სუპერკატეგორიები. კოდები შეიძლება რომ სურვილისამებრ ჩამონათვალის სახით გამოისახოს ეკრანზე, ან ამოიბეჭდოს (Flick, 2009, გვ.366). ATLAS. Ti- ში მკვლევარს შეუძლია აწარმოოს სხვადასხვა სახის 'რუკები', რომლებიც შემდგარი იქნება ყუთებისა და დამაკავშირებელი ხაზებისაგან, რაც მთლიანობაში აღწერს კონფეცფიებს შორის ურთიერთკავშირს. ასევე, მემოს ჩანაწერების გაკეთება არის შესაძლებელი ანალიზის ნებისმიერ ეტაპზე (Muhr, 1991, გვ.349). პროგრამა ინტეგრირებულია SPSS-სთან და სხვა მსგავს ანალიზის პროგრამებთან. უფრო მეტიც, შესაძლებელია სხვადასხვა ავტორებმა ერთსა და იმავე ტექსტზე იმუშაონ სხვადასხვა კომპიუტერიდან, დისტანციურ რეჟიმში. პროგრამას ჰყავს საკმაოდ აქტიური მომხმარებლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულად ახორციელებენ დამწყებ მკვლევართა დაკვალიანებას (Flick, 2009, გვ.366).

MAXQDA:

თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამა - MAXQDA წარმოადგენს winMAX-ის 'შთამომავლობას', რომელიც 1898 წლებიდან გავრცელდა მკვლევართა საზოგადოებაში. მისი განვითარება უკავშირდება კუცარტის (2014) სახელს და დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ და ინოვაციური ფუნქციების მქონე პროგრამას წარმოადგენს.

თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზისათვის პროგრამა MAXQDA-ის გამოყენებას მრავალი უპირატესობა აქვს. აღნიშნული პროგრამა მკვლევრებს ტექსტური და მულტიმედიური ანალიზის გაკეთების საშუალებას აძლევს. სახელდობრ, შესაძლებელია რომ წარმოდგენილ პროგრამაში მოხდეს ისეთი სახის მონაცემთა იმპორტი, როგორიცაა ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, სურათი, ვიდეო.მკვლევარს შესაძლებლობა აქვს მოპოვებული ემპირიული მონაცემებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია სხვადასხვა ფუნქციების საშუალებით გამოკვეთოს. კერძოდ, მსგავსი მონაცემებისათვის მოხდეს სასურველი ფერის მინიჭება, სხვადასხვა სახის ფერადი სიმბოლოებსა თუ „emoticons"- ის გამოყენება (MAXQDA, 2015). პროგრამა MAXQDA-ში შესაძლებელია შეიქმნას, წაიშალოს, გაერთიანდეს და გადაადგილდეს კოდები, რომლებიც ტექსტშიც შესაბამისად აისახება

და შეიცვლება. აღსანიშნავია, რომ მკვლევარს ნებისმიერ დროს აქვს საშუალება, რომ ეკრანზე გამოაჩინოს კოდირებული ტექსტი და აგრეთვე, შეცვალოს აღნიშნული კოდი ან მისი კონტექსტი. ასევე, შესაძლებელია მკვლევრის მიერ შექმნილი კოდების იერარქიულად დალაგება და ასევე მათი შექმნა, წაშლა, გადაადგილება, სახელის შეცვლა და გაერთიანება. წაშლის გარდა, სხვა ნებისმიერ შემთხვევაში შექმნილი კოდები რჩება დაკავშირებული იმ ტექსტის ნაწილთან, რომელსაც მიენიჭა აღნიშნული კოდი. როგორც ზემოთ აღინიშნა ანალიზის პროცესის დროს ასევე შესაძლებელია კოდების გადაადგილება და ამ შემთხვევაშიც, ის რჩება დაკავშირებული ტექსტის იმ პასაჟთან, რომელსაც ეხება (Kuckartz, 2014, გვ. 133).

წარმოდგენილი კვლევის მონაცემთა კოდირების დროს, საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია მემოების შექმნა კოდების, სუბ-კოდებისა და კატეგორიებისათვის. აღსანიშნავია, რომ მემოები გვაძლევს საშუალებას, რომ მოხდეს მოპოვებული მონაცემების შესახებ დეტალური აღწერის დატანა. MAXQDA – გააჩნია ბევრი თვალსაჩინო ვიზუალური ეფექტი, იმისათვის, რომ მონაცემების ანალიზი წარმოადგინოს სხვადასხვა სახის ფერადი, გრაფიკული და ეფექტური საშუალებით. მაგალითად, Tag clouds, document portrait, code matrix browser, document comparison chart, etc.

NUD*IST/Nvivo:

ტომას და ლინ რიჩარდებმა (1998) შექმნეს და განავითარეს კომპიუტერული პროგრამა NUD*IST, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ Mac სისტემისათვის იყო განკუთვნილი, თუმცა შემდგომში გაფართოვდა და სხვა სისტემებსაც დაუკავშირდა. ამჟამად, აღნიშნული პროგრამა ყველანაირ კომპიუტერულ სისტემაზე მუშაობს. პროგრამის ბოლო ვერსია ჩაანაცვლა NVivo-მ, რომელიც მხოლოდ ხელმისაწვდომია ვინდოუსის სისტემაზე. ეს პროგრამა წარმოდგენილია ვაიტსმანის (Weitzman, 2000, გვ. 809) მიერ, როგორც კოდებზე დაფუძნებული თეორიის შემქმნელი.

აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა და განვითარდა პროგრამის ფუნქციები, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა კვლევითი პროექტების ანალიტიკური დოკუმენტების გაერთიანება და მათზე ერთობლივად მუშაობა. NVivo მოიცავს ბევრ ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც მკვლევარი შეძლებს

მოპოვებული ემპირიული ინფორმაციის კოდირებას, მემოების დამატებას, იერარქიული ხის სტრუქტურით სარგებლობას და ა.შ. რათა წარმატებით განახორციელოს თვისებრივი ინფორმაციის კომპიუტერული ანალიზი (Flick, 2009, გვ.366).

თავი 5. კვლევის მეთოდოლოგია

5.1 კვლევის დიზაინი

წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა თვისებრივი კვლევა, რათა მომხდარიყო ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული კვლევების ფარგლებში ტექსტური ინფორმაციის ანალიზის კომპიუტერული მეთოდის გამოყენების პრეცენდენტების იდენტიფიცირება. ლიტერატურის მიმოხილვის მეთოდი გამოყენებული იყო, როგორც მონაცემთა შეგროვების ტექნიკა, რათა მომხდარიყო საკვლევ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტების მოპოვება. აღნიშნულის საფუძველზე მოხდა 26 განსხვავებული ტიპის დოკუმენტის შერჩევა, რომელთა დამუშავება და ანალიზი განხორციელდა თემატური ანალიზის გამოყენებით.

5.2 შერჩეული დოკუმენტების აღწერა

აღსანიშნავია, რომ კვლევაში ძირითად მეთოდად გამოყენებულია მიზნობრივი შერჩევა, რომლის ფარგლებშიც მოხდა დოკუმენტების შერჩევა შემდეგი წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით:

- გეოგრაფიული არეალი (საქართველო)
- კვლევის მეთოდი (თვისებრივი)
- დოკუმენტის ტიპი (კვლევის ანგარიში, სამეცნიერო ნაშრომი, სტრატეგიული განვითარების გეგმა)
- გამოქვეყნების წელი (ბოლო 10 წელი)

შედეგად, გამოვლინდა, რომ 26 შერჩეული დოკუმენტიდან - 23 წარმოადგენდა კერძო ან საჯარო დაწესებულებების კვლევის ანგარიშს, ორი - დისერტაცია, ხოლო ერთი კი, საჯარო უწყების სტრატეგიული განვითარების გეგმა. აღსანიშნავია, რომ შერჩეული დოკუმენტები 2010-დან 2017 წლის ჩათვლით არის გამოქვეყნებული (იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 1.).

5.3 მონაცემთა ანალიზი

კვლევის ფარგლებში შერჩეული დოკუმენტების ანალიზი მოხდა თემატური ანალიზის საფუძველზე, თვისებრივი მონაცემების კომპიუტერული პროგრამა MAXQDA-ის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდისა და ტექსტური ინფორმაციის ანალიზის კომპიუტერული პროგრამის ინტეგრირებამ შესაძლებელი გახადა კოდირების, როგორც ძირითადი პროცესის გამოყენება კვლევის ამოცანებთან თემატური კატეგორიების შექმნისა და დაკავშირების.

სახელდობრ, ანალიზის პროცედურის საწყის ეტაპზე მოხდა დოკუმენტების შეტანა MAXQDA-ის პროგრამის დოკუმენტების სისტემაში. შემდგომ, დოკუმენტებში ასახული თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის ტექსტის სეგმენტებზე დაყრდნობით გამოიყო კოდური სისტემის შვიდი მთავარი და რამდენიმე სუბ-კატეგორია.

კატეგორიები:

- ✓ ემპირიული მონაცემების შეგროვების ტექნიკები
- ✓ მითითებულია მხოლოდ მონაცემთა ანალიზის მეთოდი
- ✓ მითითებულია მხოლოდ ტრანკრიპტის შექმნა
- ✓ მითითებულია მხოლოდ რომ მონაცემები დამუშავდა
- ✓ მითითებულია რომ კომპიუტერული პროგრამა გამოიყენეს
- ✓ გამოყენებული პროგრამა
- ✓ დეტალურად არის აღწერილი ანალიზის პროცესი

თვისებრივ მონაცემებზე დაყრდნობით, დოკუმენტების ტექსტების დაკავშირება მოხდა MAXQDA-ში შექმნილ, კოდებთან და სუბ-კოდებთან. რამდენიმე ძირითადი კოდი ლიტერატურის ანალიზამდე, ხოლო დანარჩენი არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიქმნა. წარმოდგენილი კვლევის მონაცემთა კოდირების დროს, საჭიროებიდან გამომდინარე იქმნებოდა მემოები კოდების, სუბ-კოდებისა და კატეგორიებისათვის. აგრეთვე, მეტი თვალსაჩინოებისათვის აღწერილი მეთოდოლოგიური მიდგომების ის ნაწილები, რომლებიც საკვლევი საკითხისათვის დანარჩენ ტექსტურ მასალასთან შედარებით უფრო მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდა, პროგრამის სპეციალური ფუნქციის დახმარებით სხვადასხვა ფერი მიენიჭა.

5.4 მონაცემთა ანალიზის შედეგები

აღსანიშნავია, რომ 26 შერჩეული დოკუმენტიდან 16-ში არის მითითებული, რომ მონაცემთა ანალიზი განხორციელდა, თუმცა აქედან მხოლოდ 8 მათგანში არის აღნიშნული, რომ ამისათვის პროგრამა გამოიყენეს. ხოლო მათგან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გამოიყენეს კომპიუტერული პროგრამა ანალიზისათვის, მხოლოდ ორ ნაშრომშია მოცემული მათი ანალიზის ეტაპების ზედაპირული აღწერა (იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 2.).

უმეტესობამ თვისებრივი მონაცემების ანალიზისათვის გამოიყენა პროგრამა - NVivo (6), ხოლო დანარჩენებმა MAXQDA (1) და ATLAS.ti (1) (იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 3.).

შერჩეული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია, რომ ძირითადად 2014-დან 2017 წლის ჩათვლით მოხდა ნაშრომებში პროგრამების გამოყენება, აქედან უმეტესად კვლევის ანგარიშებში (6).

მიუხედავად იმისა, რომ 16 დოკუმენტშია მითითებული ინფორმაცია თვისებრივი მონაცემების ანალიზთან დაკავშირებით, ხოლო მათგან 8-ში კი უშუალოდ პროგრამის დახმარებით, მონაცემთა ანალიზის მეთოდი, რის მიხედვითაც მოხდა გაანალიზება მხოლოდ 4 დოკუმენტშია ასახული. მათგან ანალიზის ძირითად მეთოდად უმეტესობას გამოყენებული აქვს თემატური ანალიზის მეთოდი (იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 4.).

ემპირიული მონაცემების შეგროვების ტექნიკად უმეტეს დოკუმენტში (19) დასახელებულია - ფოკუს ჯგუფი, რომელთაგან 16-ში მხოლოდ ის არის მითითებული, რომ მონაცემები დამუშავდა და საუბარი საერთოდ არ შეეხება ანალიზის პროცედურულ მხარეს (პროგრამით, პროგრამის გარეშე) (იხ. დანართი, MAXQDA გრაფიკი 5.).

5.5 ძირითადი მიგნებები

იმ შემთხვევებში, როდესაც განხორციელდა როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევა, მონაცემთა ანალიზის კუთხით, თვისებრივისაგან განსხვავებით დეტალურად არის აღწერილი ანალიზის ეტაპები, მეთოდი, პროგრამული უზრუნველყოფა. ამის მიუხედავად, თითოეულ შერჩეულ დოკუმენტში თვისებრივი კვლევის ანალიზის პროგრამის გამოყენებისა თუ გამოუყენებლობის შემთხვევაში, რაოდენობრივის მსგავსად დიდი ნაწილი ეთმობა თვისებრივი ტექნიკების გამოყენებით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაკეთებულ დასკვნებს.

შერჩეულ დოკუმენტებში ასახული რეალობიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ძირითადად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაფიქსირდა თვისებრივი ინფორმაციის ანალიზის კომპიუტერული პროგრამების გამოყენება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შერჩეულ დოკუმენტებში არსებულ ორივე დისერტაციაში გამოყენებული იყო პროგრამული უზრუნველყოფა. ერთში მეტ-ნაკლებად აღწერილი ანალიზის პროცედურებით, ხოლო მეორეში მხოლოდ მოხსენიებული სახით. თუმცა, ფაქტია, რომ ორივე ახალგაზრდა მკვლევარის მხრიდან დაფიქსირდა ინფორმაციის მოწოდება თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ინფორმაციის ანალიზმა ცხადყო, რომ ნაშრომებში იშვიათად არის ნახსენები მონაცემთა ანალიზის მეთოდების გამოყენების საკითხი. შესაბამისად, შესაძლებელია მკვლევართა მხრიდან არ ხდება იმ სახის მიდგომების გამოყენება, რისი განხორციელებაც პროგრამული ჩარევით არის საჭირო.

საყურადღებოა, რომ იმ ნაშრომებიდან სადაც მითითებულია, რომ მოხდა პროგრამული პროცედურების მიხედვით თვისებრივი ინფორმაციის ანალიზი, თუ არ ჩავთვლით ორ დოკუმენტში, მეტ-ნაკლებად აღწერილ ანალიზის ეტაპებს, ფაქტიურად არ არის ინფორმაცია მოწოდებული თუ როგორ მივიდა მკვლევარი ამა თუ იმ დასკვნამდე. არსებობს პრეცენდენტები, რომ პროგრამების სახელწოდებებისა და მათი გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება იმიტომ ხდება, რომ ნაშრომს დამატებითი სარგებელი შესძინოს, ხოლო მიღებული შედეგების სანდოობა კი აამაღლოს. თუმცა იმისათვის, რომ პროგრამის გამოყენება დადასტურდეს, საჭიროა მთელი ანალიზის პროცესის აღწერა და ასევე, დამადასტურებელი ვიზუალური მასალის წარმოდგენა ანალიზის პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

თავი 6. დასკვნა

ნაშრომში მიმოხილულია თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამების განვითარების ისტორია. დეტალურად არის წარმოჩენილი მათი შექმნის, გავრცელებისა და წინსვლის ფონზე მათ გამოყენებასთან დაკავშირებით მკვლევარების დამოკიდებულებები და მოლოდინები საერთაშორისო დონეზე. ამის მისაღწევად, მოხდა მრავალი სხვადასხვა წიგნის, წიგნის თავის, სამეცნიერო ნაშრომის, სტატიისა თუ სახელმძღვანელოს მიმოხილვა.

აგრეთვე, ნაშრომის ფარგლებში, სამეცნიერო პუბლიკაციების პორტალზე, კერძოდ, Scopus-ზე განთავსებულ პუბლიკაციებში მოხდა ანალიზის პროგრამების გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება. აღნიშნული მონაცემების თანახმად, თვისებრივი ინფორმაციის ანალიზის კომპიუტერული პროგრამების შექმნიდან დღემდე საგრძნობად გაიზარდა მათი მოხმარება. თუმცა, შესამჩნევია განსაკუთრებული ზრდის ტენდენციები 2004 წლიდან 2017 წლის ჩათვლით. მონაცემებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროგრამების მოხმარების კუთხით ლიდერობენ სამედინო და სოციალურ მეცნიერებათა სფეროები.

ნაშრომი მოიცავს ინფორმაციას ტექსტურ მონაცემთა როლზე თვისებრივ კვლევაში და ასევე, მათი ანალიზის მეთოდის გამოკვეთის მნიშვნელობაზე. აღნიშნულის მიხედვით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი ანალიზის მეთოდის შერჩევას, იმისათვის რომ მოხდეს თვისებრივი ინფორმაციის ანალიზის ეტაპების განსაზღვრა და რაც მთავარია, საბოლოო შედეგები ვალიდური იყოს. სწორედ ამ პროცესში, წარმოჩენილია ანალიზის კომპიუტერული პროგრამების უპირობო უპირატესობები, რომლებიც მკვლევარებს აძლევს საშუალებას საფუძვლიანად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოახდინოს მითითებული ანალიზის მეთოდით ინფორმაციის დამუშავების პროცედურების შესრულება. ამასთან, მისი გამოყენების შემთხვევაში, ანალიზის ნებისმიერ ეტაპზე არის შესაძლებელი ანგარიშისა და ვიზუალური მასალის წარმოება მიმდინარე პროცესის წარმოსაჩენად.

ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ შეინიშნება ტენდენცია იმისა, რომ აქტიურად იყენებდნენ აღნიშნულ პროგრამებს. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში

შექმნილ დოკუმენტებში გამოჩნდა კომპიუტერული ანალიზის პროგრამების დასახელებები. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ნაშრომების ავტორების მცირე ნაწილს ჰქონდა აღწერილი პროგრამის მეშვეობით განხორციელებული ანალიზის ეტაპები, პროგრამების შესახებ ინფორმაციის ფლობა და მათი გამოყენების პრეცენდენტები კვლევებში წინა წლებთან შედარებით შეინიშნება. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი სადისერტაციო ნაშრომებში, ახალგაზრდა მკვლევარების მიერ მათი გამოყენებაა. შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვისებრივი მონაცემების კომპიუტერული პროგრამების დამკვიდრებისა და განვითარების პოტენციალი ქართულ რეალობაში ნამდვილად არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

Basit, T. (2003). Manual or electronic? The role of coding in qualitative data analysis. *Educational Research*, *45*(2), 143–154. https://doi.org/10.1080/0013188032000133548

Bob Brotherton. (2015). *Researching Hospitality and Tourism | SAGE Publications Ltd*. Sage.

Boeije, H. R. (2009). *Analysis in Qualitative Research* (1 edition). Los Angeles: SAGE Publications Ltd.

Bourdon, S. (2002). The Integration of Qualitative Data Analysis Software in Research Strategies: Resistances and Possibilities. *Forum Qualitative Sozialforschung / Forum: Qualitative Social Research*, *3*(2).

Bringer, J. D., Johnston, L. H., & Brackenridge, C. H. (2004). Maximizing Transparency in a Doctoral Thesis1: The Complexities of Writing About the Use of QSR*NVIVO Within a Grounded Theory Study. *Qualitative Research*, *4*(2), 247–265. https://doi.org/10.1177/1468794104044434

Bryant, A., & Charmaz, K. (2010). *Handbook of Grounded Theory: Paperback Edition*. Los Angeles: SAGE.

Coffey, A. H. (1996, March 29). Qualitative Data Analysis: Technologies and Representations [Text.Article].

Cope, D. G. (2014). Computer-Assisted Qualitative Data Analysis Software. *Oncology Nursing Forum*, *41*(3), 322–323. https://doi.org/10.1188/14.ONF.322-323

Corbin, J., & Strauss, A. (2014). *Basics of Qualitative Research: Techniques and Procedures for Developing Grounded Theory*. SAGE Publications.

Corbin, J., & Strauss, A. (2015). *Basics of Qualitative Research*. Los Angeles: SAGE. Retrieved from https://uk.sagepub.com/en-gb/eur/basics-of-qualitative-research/book235578

Dey, I. (2005). *Qualitative Data Analysis: A user-friendly guide for social scientists*. Taylor & Francis e-Library.

Duff, P. A., & Séror, J. (2005). Computers and Qualitative Data Analysis: Paper, Pens, and Highlighters vs. Screen, Mouse, and Keyboard. *TESOL Quarterly*, *39*(2), 321–328. https://doi.org/10.2307/3588315

Dwyer, L., Gill, A., & Seetaram, N. (2012). *Handbook of research methods in tourism: Quantitative and qualitative approaches*. USA: Edward Elgar Publishing.

Fielding, N. G., & Lee, R. (1998). *Computer analysis and qualitative research*. London: Sage.

Flick, U. (2009). *An Introduction to Qualitative Research* (4th ed.). SAGE Publications.

Friese, S. (2010). *Enhancing the quality of qualitative research using software*. Presented at the Presentation at the 3rd Annual European Workshop on Computer-Aided Qualitative Research 2010, Lisbon.

Gibbs, G. R., Friese, S., & Mangabeira, W. C. (2002). The Use of New Technology in Qualitative Research. Introduction to Issue 3(2) of FQS. *Forum Qualitative Sozialforschung / Forum: Qualitative Social Research*, *3*(2). https://doi.org/10.17169/fqs-3.2.847

Jones, M. L. (2007). Using Software to Analyse Qualitative Data. *Malaysian Journal of Qualitative Research*, *1*(1), 64–76.

Junek, O., & Killion, L. (2012). Grounded Theory. In *Handbook of research methods in tourism: Quantitative and qualitative approaches*. USA: Edward Elgar Publishing.

Kelle, U. (1995). *Computer-Aided Qualitative Data Analysis: Theory, Methods and Practice*. SAGE Publications.

Kuckartz, U. (2010). Typenbildung. In *Handbuch Qualitative Forschung in der Psychologie* (pp. 553–568). VS Verlag für Sozialwissenschaften. https://doi.org/10.1007/978-3-531-92052-8_39

Kuckartz, U. (2014). *Qualitative Text Analysis: A Guide to Methods, Practice and Using Software*. Great Britain: Sage.

Lewins, A., & Silver, C. (2007). *Using Software in Qualitative Research: A Step-by-Step Guide*. Los Angeles ; London: SAGE Publications Ltd.

MAXQDA. (2015). MAXQDA - QDA software for Win & Mac OS X.

Maxwell, J. (1992). Understanding and Validity in Qualitative Research. *Harvard Educational Review*. https://doi.org/10.17763/haer.62.3.8323320856251826

Miles, M. B., Huberman, A. M., & Saldaña, J. (2013). *Qualitative Data Analysis: A Methods Sourcebook* (3 edition). Thousand Oaks, Califorinia: SAGE Publications, Inc.

Mills, C. W. (2000). *The Sociological Imagination*. Oxford University Press.

Muhr, T. (1991). ATLAS/ti — A prototype for the support of text interpretation. *Qualitative Sociology*, *14*(4), 349–371. https://doi.org/10.1007/BF00989645

Odena, O. (2013). Using software to tell a trustworthy, convincing and useful story. *International Journal of Social Research Methodology*, *16*(5), 355–372.

Pekka, R. (2001). Computer assistance and the evolution of qualitative data analysis. *Finnish Yearbook of Population Research*, 63–82.

PETERS, V., & WESTER, F. (2007). How Qualitative Data Analysis Software may Support the Qualitative Analysis Process. *Springer*, *41*, 635–659.

Richards, Thomas, & Richards, L. (1998). Using Computers in Qualitative Research. In *Methods of Collecting and Analyzing Empirical Materials* (pp. 445–462). SAGE Publications.

Richards, Tom. (2002). An intellectual history of NUD*IST and NVivo. *International Journal of Social Research Methodology*, *5*(3), 199–214. https://doi.org/10.1080/13645570210146267

Roberts, K. A., & Wilson, R. W. (2002). ICT and the Research Process: Issues Around the Compatibility of Technology with Qualitative Data Analysis. *Forum Qualitative Sozialforschung / Forum: Qualitative Social Research*, *3*(2). https://doi.org/10.17169/fqs-3.2.862

Rodik, P., & Primorac, J. (2015). To Use or Not to Use: Computer-Assisted Qualitative Data Analysis Software Usage among Early-Career Sociologists in Croatia. *Forum Qualitative Sozialforschung / Forum: Qualitative Social Research*, *16*(1).

Saldana, J. (2013). An Introduction to Codes and Coding. In *The Coding Manual for Qualitative Researchers* (pp. 118–122). Los Angeles: SAGE.

Silver, C., & Lewins, A. (2014). *Using Software in Qualitative Research*. SAGE Publications.

Tesch, R. (1990). *Qualitative Research: Analysis Types and Software* (1 edition). New York: Routledge.

Weitzman, E. (2000). METHODS OF COLLECTING AND ANALYZING EMPIRICAL MATERIALS. In *Software and Qualitative Research* (pp. 803–820). SAGE Publications.

Weitzman, E., & Miles, M. B. (1995). *Computer Programs for Qualitative Data Analysis*. SAGE Publications.

Woods, M., Paulus, T., Atkins, D. P., & Macklin, R. (2016). Advancing Qualitative Research Using Qualitative Data Analysis Software (QDAS)? Reviewing Potential Versus Practice in Published Studies using ATLAS.ti and NVivo, 1994–2013. *Social Science Computer Review*, *34*(5), 597–617.

Woolf, N. H., & Silver, C. (2017). *Qualitative Analysis Using NVivo: The Five-Level QDA® Method* (1 edition). New York: Routledge.

დანართი

დიაგრამა 1. თვისებრივი მონაცემების ანალიზის პროგრამების გამოყენების ტენდენცია Scopus ბაზაში არსებულ სტატიებში (2004-2017)



წყარო: სამეცნიერო პუბლიკაციების პორტალი (Scopus)

https://www.scopus.com/home.uri

დიაგრამა 2. CAQDAS გამოყენების მაჩვენებელი სხვადასხვა დისციპლინებში



წყარო: სამეცნიერო პუბლიკაციების პორტალი (Scopus)

https://www.scopus.com/home.uri

MAXQDA გრაფიკი 1. გაანალიზებული დოკუმენტების ჩამონათვალი

Document Variables

Data editor - All documents

Document name	დოკუმენტის ტიპი	წელი
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტის შესრულ...	საჯარო უწყება - კვლევის ანგარიში	2017
საჯარო მმართველობის კულტურა საქართველოში	კვლევის ანგარიში	2017
თბილისის მოსახლეობის საჭიროებების შეფასება	კვლევითი კომპანია-კვლევის ანგარიში	2017
ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევა მართლმსაჯულების, სას...	კვლევის ანგარიში	2017
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	განათლება -სტრატეგიული განვითარების გეგმა	2016
თაობა გარდამავალ პერიოდში ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართვ...	კვლევის ანგარიში	2016
პანსკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდების განწყობებისა და საჭი...	კვლევითი კომპანია-კვლევის ანგარიში	2016
ექსპერტული კვლევა და საჭიროებების მონაწილეობითი ანალიზი სოცი...	კვლევის ანგარიში	2016
ურბანული კონფლიქტების ირგვლივ ადამიანთა მობილიზაცია	კვლევის ანგარიში	2016
საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების...	კვლევის ანგარიში	2016
„ჯანმრთელობის ხელშეწყობის" 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის კო...	კვლევითი კომპანია-კვლევის ანგარიში	2016
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომე...	კვლევის ანგარიში	2015
შრომითი მიგრაციის ტენდენციების შესწავლა მიგრაციის პოტენციური ...	კვლევის ანგარიში	2015
პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება ქართულ კონტექსტში - რაოდე...	განათლება-დისერტაცია	2015
ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს ...	კვლევის ანგარიში	2014
საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური ...	კერძო ანალიტიკური ცენტრი პოლიტიკის დოკუმენტი - კვლევის ანგარიში	2014
ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის მ...	კვლევის ანგარიში	2014
უმაღლესი განათლებით სტუდენტთა კმაყოფილების	განათლება-კვლევის ანგარიში	2014
საქართველოს მოსახლეობის ელექტორალური ქცევის გეოგრაფიული ...	განათლება-დისერტაცია	2014
საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პო...	კვლევის ანგარიში	2013
ქალების საჭიროებების და პრიორიტეტების კვლევა საქართველოს მაღ...	კვლევითი კომპანია-კვლევის ანგარიში	2013
მკითხველთა კვლევა საქართველოში	კვლევითი კომპანია-კვლევის ანგარიში	2013
ნალოქსონი	კვლევის ანგარიში	2012
პროფესიული განვითარების სქემისადმი მასწავლებლების დამოკიდე...	კვლევითი კომპანია-კვლევის ანგარიში	2012
ტურისტების კვლევა აჭარაში	კვლევითი კომპანია-კვლევის ანგარიში	2011
ქართულ ფილმებში პროდუქციის\მომსახურების განთავსების პრაქტი...	კვლევითი კომპანია-კვლევის ანგარიში	2010

MAXQDA გრაფიკი 2. კომპიუტერული ანალიზის პროგრამების გამოყენება



MAXQDA გრაფიკი 3. გამოყენებული CAQDAS პროგრამები



MAXQDA გრაფიკი 4. კვლევაში გამოყენებული ანალიზის მეთოდის შემთხვევაში ანალიზის პროცედურების აღწერა



MAXQDA გრაფიკი 5. ემპირიული მონაცემების მოპოვების ტექნიკები



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კონფლიქტების ანალიზი და მართვის სადოქტორო პროგრამა

პირველი სემესტრის დოქტორანტი

როსტომი ლეჟავა

სადოქტორო სემინარი

კვიპროსის 2004 წლის რეფერენდუმი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ოპტიმისტური სცენარი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გუგული მაღრაძე

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადოქტორო სემინარის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

როსტომი ლეჟავა

თბილისი, იანვარი, 2018

აბსტრაქტი

სასემინარო ნაშრომი ეხება საქართველოს დაკარგულ ტერიტორიებს (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) და მათი დაბრუნების სამომავლო პერსპექტივებს. დღესდღეობით აღნიშნული ტერიტორიები რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. შევეცდები ავხნა, თუ რა სტრატეგიული ინტერესები აქვს რუსეთს ოკუპაციის პროცესებში და ზოგადად განვიხილავ მის გავლენებს კავკასიის რეგიონზე.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე საინტერესოა კვიპროსის 2004 წლის რეფერენდუმის (ანანის გეგმა) განხილვა. ყურადღებას გავამახვილებ იმ გარემოებებზე, რამაც რეფერენდუმის ჩატარება განაპირობა და შემდგომში გავავლებ პარალელებს საქართველოს რეალობასთან.

ნაშრომში ხშირად იქნება ნახსენები „კვიპროსული სცენარი“, რაც 2004 წლის კვიპროსის გაერთიანების შესახებ რეფერენდუმს გულისხმობს. აღნიშნული რეფერენდუმი წარმატებულად არ დამთავრდა, კვიპროსმა უარი თქვა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის მიერთებაზე. კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია არა რეფერენდუმის შედეგები არამედ ის პროცესები, რამაც კვიპროსი ამ რეფერენდუმამდე მიიყვანა, შესაბამისად რეფერენდუმის მარცხი „კვიპროსული სცენარის“ - მნიშვნელობას არ აკნინებს და ის ჩემ მიერ ცალსახად პოზიტიურ კონტექსტში იქნება განხილული.

ნაშრომის მთავარ ფილოსოფიურ - თეორიულ საფუძვლად აღებულია ჯონ ნიუმანის „თამაშის თეორია“ , რაც რაციონალურ აქტორებს შორის კონფლიქტის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის მათემატიკური ჩარჩოა, აქვე ვისაუბრებ სტრატეგიული მოთმინების მნიშვნელობაზე საქართველოს ტერიტორიული პრობლემების გადაჭრის ურთულეს პროცესებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები : **„კვიპროსული სცენარი“, „ოკუპაცია“**

Abstract

This seminary research is about occupied regions of Georgia (Abkhazia, Tskhinvali region) and perspectives of its reunion. It is well known, that those territories are occupied by the Republic of Russia. I will discuss what the strategic interests of Russia are in the occupation process and discuss its interests over Caucasus region.

For my inquiry purposes, it is very important to consider Cyprus referendum 2004 (Annan Plan). I will highlight the circumstances that determined referendum and make some important parallels.

In my inquiry, I will often mention the term "Cyprus scenario", that means Cyprus 2004 referendum. This referendum was not successful, Cypriots voted against the reunion with Turkish Republic of North Cyprus. For my inquiry, the result of this referendum is less important, our object of observation are the processes that led to it. Failure of this referendum doesn't underestimate its importance. For my research purposes, it will be considered only in a positive context.

Philosophic proof of this research is the Game Theory created by John Neumann. That is a mathematical frame of conflict resolution and conflictology. I will consider the role of strategic patience in the way of solving Georgia's most problematic issues such as territorial reunion and integrity.

Key words : "Cyprus Scenario", "Occupation"

სარჩევი

შესავალი 1

1. რუსული პოლიტიკა კავკასიის რეგიონში 9

1.1 რუსეთის ინტერესი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციაში 10

1.1 რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები კავკასიის რეგიონში 11

1.2 ბორდერიზაციის პროცესები 13

2. კვიპროსის 2004 წლის რეფერენდუმი - როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ოპტიმისტური სცენარი 16

2.1 კვიპროსის გაყოფა 16

2.2 კვიპროსის რეფერენდუმის ჩავარდნა 18

2.2 „კვიპროსული სცენარის“ პერსპექტივები საქართველოში 20

3. მიზნობრივი სეგმენტის გამოკითხვა 23

დასკვნა 27

რეკომენდაციები 29

ბიბლიოგრაფია 31

შესავალი

საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. თანამედროვე რუსეთს აგრესოსრისა და ოკუპანტის სტატუსი 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდგომ მიენიჭა, ეს იყო გარდამტეხი მომენტი, როდესაც რუსეთმა საკუთარი რეალური მისწრაფებები გაამჟღავნა. აღნიშნულმა პროცესებმა შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი და დასაბამი დაუდო თანამედროვე შეკავების პოლიტიკას. შეკავების პოლიტიკა გამოიხატება რუსეთის მიმართ გამოცხადებულ სანქციებში, რუსეთის მოსაზღვრე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სამხედრო მზაობის ამაღლებასა და სხვადასხვა ქმედებებში, რომელთა ერთ-ერთი უპირველესი დანიშნულება - რუსული საფრთხეების განეიტრალებაა. შეერთებული შტატების 2018 წლის თავდაცვის დოკუმენტში[1] ერთ-ერთ მთავარ საგარეო საფრთხედ სწორედ რუსეთია მიჩნეული.

აქვე უნდა ითქვას, რომ ყირიმის ანექსიამდე იყო 2008 წლის აგვისტოს ომი, ომი რომელმაც პირველი სიგნალი მისცა მსოფლიოს რუსეთის აგრესორული ხასიათისა და ქმედებების შესახებ, თუმცა სამწუხაროდ ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხრიდან ეს მოვლენა ვერ იქნა შესაბამისად შეფასებული, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მივიღებდით იმ სურათს, რაც დღეს ხდება უკრაინაში.

რუსეთის დღევანდელი საგარეო პოლიტიკური კურსი, მისი დამოკიდებულება საქართველოსა თუ სხვა მეზობელი ქვეყნების მიმართ არ გვაძლევს რაიმე სასიკეთო ცვლილებების პროგნოზირების შესაძლებლობას. დღევანდელი რუსეთი არის პოლიტიკური სუბიექტი, რომლიც არ ერიდება საერთაშორისო ხელშეკრულებების უხეშ დარღვევას, რომელიც არ ითვალისწინებს სხვა მოთამაშეების ინტერესებსა და

[1] Summary of the 2018 National Defense Strategy of The United States of America

საჭიროებებს. ის აწარმოებს ყოველგვარი კონტექსტიდან ამოვარდნილ, თვითნებურ, აგრესორულ პოლიტიკას.

ზემოაღნიშნული ფაქტორები და მოვლენები პესიმისტებსა და ნიჰილისტებს აფიქრებინებს, რომ საქართველოს როგორც მცირე ქვეყანას არ გააჩნია არანაირი ბერკეტი და შესაძლებლობა დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნელად, რუსეთი არ აპირებს რაიმე კომპრომისზე წამოსვლას და შესაბამისად ჩვენი ყოველი მცდელობა არსებული მძიმე რეალობის შესაცვლელად ჩანასახშივე განწირულია. უნდა ითქვას, რომ ეს მსჯელობა თავისთავად არ არის მართებული, ამ პოზიციას კატეგორიულად არ ვიზიარებ და ვფიქრობ, რომ საქართველომ აუცილებლად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი და საშუალება რუსული ოკუპაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ, რაზეც ნაშრომში უფრო დაწვრილებით ვისაუბრებ.

მიმაჩნია, რომ რუსეთის სახელმწიფოს დასუსტებისა და საქართველოს სწორი განვითარების პირობებში საქართველოს აუცილებლად მიეცემა ისტორიული შანსი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად . ჩემი მსჯელობის თვალსაჩინოებისათვის კვლევაში განვიხილავ კვიპროსის 2004 წლის რეფერენდუმს, რაც თავისმხრივ გაამყარებს ჩემს ოპტიმისტურ პოზიციას.

კვლევის საგანი და საკითხის აქტუალურობა

აღნიშნული კვლევის საგანი რუსეთის მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიები და მათი დაბრუნების ოპტიმისტური (კვიპროსის სცენარი) სცენარის განხილვაა. რუსეთი ნათელია არ აპირებს რეგიონში მისი აგრესორული პოლიტიკის გადახედვას, მისი გადადგმული ნაბიჯები უფრო და უფრო ხისტი და რადიკალურია. რუსეთის ანტი-ქართული პოლიტიკა საუკუნეებს ითვლის, ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს იმ ქმედებებზე რასაც რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ იყენებს დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობისა. ამის უტყუარი მტკიცებულებაა რუსეთის მიერ სეპარატიზმის წახალისება, პირდაპირი აგრესია - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში, 2008 წლის

აგვისტოს ომი, ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება, შიდა ქართლში მიმდინარე „ბორდერიზაცია“, საქართველოს ნატოსთან, ევროკავშირთან თანამშრომლობის ღია და აგრესიული დაგმობა და სხვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები იმგვარი პრობლემაა, რომელზეც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მკვეთრი და ჩამოყალიბებული პოზიცია გააჩნია, ამასვე გვიდასტურებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც ნათქვამია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საქართველოს ხელისუფლების უპირველესი ამოცანა და პრიორიტეტია. 2017 წლის NDI-ის კვლევებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება საზოგადოების 23%- ის აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხია.[2]

ყოველი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი და ამის შესაძლო სცენარების (მოცემულ შემთხვევაში კვიპროსული სცენარის) განხილვა ვერ დაკარგავს აქტუალურობას, საქართველოს საბოლოო გაერთიანებამდე.

კვლევის მიზანი და ამოცანა

კვლევის მიზანია ვისაუბროთ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე საქართველოსა და კავკასიის რეგიონში. დავადგინოთ იკვეთება თუ არა იმგვარი გარემოებები, რამაც შესაძლოა მოგვცეს ისტორიული შესაძლებლობა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ამის საილუსტრაციოდ პარალელებს გავავლებ კვიპროსის 2004 წლის რეფერენდუმთან. კვლევა დაგვანახებს რამდენად არის შესაძლებელი საქართველოში მოვლენების კვიპროსული სცენარით განვითარება, რა შეიძლება იყოს რუსეთისათვის იმგვარი ინტერესი, რაც საქართველოს მომართ მისი პოლიტიკის ცვლილებას განაპირობებს.

კვლევის ამოცანას - წარმოადგენს ის გზები და ხერხები, რაც მიგვიყვანს საკვლევ

[2] საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2017 წლის აპრილის კვლევის შედეგები ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ

მიზნამდე და მოგვცემს შესაძლებლობას დავამტკიცოთ ან უარვყოთ კვლევაში მოცემული ჰიპოთეზა. შესაბამისად კვლევის ამოცანა შემდეგში მდგომარეობს :

- მიმოვიხილოთ რუსეთის ინტერესები საქართველოსა და კავკასიის რეგიონში;
- განვიხილოთ 2004 წლის კვიპროსის რეფერენდუმი და გავავლოთ პარალელები საქართველოსთან;

საკვლევი კითხვა. რამდენად არის შესაძლებელი საქართველოს დაკარგული ტერიტორიების „კვიპროსული“ სცენარით დაბრუნება?

ნაშრომის ჰიპოთეზა გამომდინარე მთავარი საკვლევი კითხვიდან ყალიბდება შემდეგი ფორმულირებით: რუსეთის დასუსტების გარდაუვალი პროცესების პარალელურად საქართველოს მდგრადი და დემოკრატიული განვითარება, აუცილებლად მისცემს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის „კვიპროსული სცენარით“ აღდგენის ისტორიულ შესაძლებლობას.

კვლევის მეთოდოლოგია

სასემინარო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდის რამოდენიმე მიდგომა. თვისებრივი კვლევის უპირატესობად მიმაჩნია, რომ ის ნაკლებადაა ფორმალიზებული და მეტწილად საკუთარ გამოცდილებაზე, შეხედულებებზეა დამყარებული, ეს მკვლევარს აძლევს საშუალებას იყოს ბევრად უფრო ჩართული და გახსნილი კვლევის პროცესებში. ეს მიდგომა თავისთავად გარკვეულ რისკებსაც შეეიცავს, მკვლევარი ზედმეტი თავისუფლების პირობებში შესაძლოა გასცდეს აკადემიური საქმიანობის ჩარჩოებს, რაც დიდი სიფრთხილით არის გათვალისწინებული აღნიშნულ კვლევაში.

ცნობილია, რომ კვლევის თვისებრივი მიდგომები სოციალურ მეცნიერებებში, რაოდენობრივ კვლევებზე ადრე დამკვიდრდა, ნიშანდობლივია ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლების - უილიამ თომასისა და ფლორიან ზნანეცკის ყველაზე ცნობილი გამოკვლევა „პოლონელი გლეხი ევროპასა და

ამერიკაში“, რაც პირადი მიმოწერის ანალიზს ეყრდნობა.[3] მიმაჩნია, რომ მსგავსი ტიპის მიმოწერების, საჯარო ინფორმაციების, კანონმდებლობების ანალიზი ყოველთვის იძლევა სიტუაციის შეფასების საუკეთესო საშუალებას. ამგვარ მეთოდს მიმართავენ ყველაზე ძლიერი ანალიტიკოსები ყოველდღირ საქმიანობაში, მათი მიზანი ხომ მოზღვავებული ინფორმაციების ანალიტიკა და შემდგომი რეკომენდაციების გაცემაა. ჩემ მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენს და შესაბამისად ზემოაღნიშნული უპირატესობებისდან გამომდინარე ურო მეტ მნიშვნელობას კვლევის თვისებრივ მეთოდს ვანიჭებ. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის შემდეგი მიდგომები :

- ✓ სიღრმისეული ინტერვიუები;
- ✓ ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი;
- ✓ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ანალიზი

ვრცლად ვისაუბრე ჩემს ნაშრომში თვისებრივი კვლევის უპირატესობებზე, თუმცა ეს როდი აკნინებს რაოდენობრივი კვლევის მნიშვნელობას. რაოდენობრივი კვლევის მნიშვნელობაზე სერიოზული მსჯელობა ამერიკაში 1930-იანი წლების პერიოდს უკავშირდება, ამგვარი კვლევების განხორციელებაში უდიდესი დაინტერესება ჰქონდათ იმდროინდელ საგაზეთო გამომცემლობებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს[4].

რაოდენობრივი კვლევის განხორციელება მისი სპეციფიურობით ხასიათზება, არსებობს რისკები, რამაც შესაძლოა ჩვენი კვლევა არავალიდურად აქციოს, მაგალითად მიზნობრივი სეგმენტის არასწორი შერჩევა, (ეკონომიკური სახის საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ კვლევის ჩასატარებლად, ზოოლოგების გამოკითხვა) გამოკითხულთა უმნიშვნელო რაოდენობაზე დაყრდნობით გლობალური, მასშტაბური ანალიზისა და დასკვნების გაკეთება და სხვა.

---

[3] თინათინ ზურაბიშვილი, “თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ თბილისი 2006
[4] თინათინ ზურაბიშვილი, “თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ თბილისი 2006

მოცემულ კვლევაში არსებულ რაოდენობრივ ანალიზს არ აქვს პრეტენზია მასშტაბურობაზე, თუმცა ამით მისი მნიშვნელობა არ კნინდება, რადგან იძლევა საკმაოდ კარგი და მკაფიო ანალიზის საშუალებას. გამოკითხვა კვლევაში ილუსტრირებული სახით არის მოცემული

თეორიული ჩარჩო

როგორც უკვე ავღნიშნე ნაშრომის მთავარ ფილოსოფიურ - თეორიულ საფუძვლად აღებულია ჯონ ნიუმანის „თამაშის თეორია“ , რაც რაციონალურ აქტორებს შორის კონფლიქტის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის მათემატიკური ჩარჩოა[5]. აღნიშნულ თეორიაში გავლებულია ნათელი პარალელები საბავშვო თამაშებსა და ცხოვრებისეულ გამოწვევებს შორის, სადაც სუბიექტები იმარჯვებენ სწორი სტრატეგიის შერჩევის პირობებში.

მეტად საინტერესოა ამ თეორიის კონტექსტში რუსეთის ქმედებების განხილვა და შეფასება. საინტერესოა რამდენად არის რუსეთის ინტერესებში მეზობელი სახელმწიფოების ჩაგვრა, საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში უმდობლობით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის პროვოკაციების მოწყობა და შემდგომში მისით მანიპულირება. ეს ყოველივე არამგონია აძლიერებდეს რუსეთს ეკონომიკურად ან რაიმე სხვა კუთხით. როგორც მკვლევარს მიჩნდება სრულიად ლეგიტიმური შეკითხვა, ხომ არ არის ეს მომაკვდავი რუსეთის კულმინაციური „ფანდები“ რითაც ის კვებავს საკუთარ მოსახლეობას. მაქვს გონივრული ეჭვი, რომ რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს მოსახლეობაში გააღვიძოს რადიკალური ნაციონალიზმი, სამწუხაროდ ამას „მტრის ხატის“ შექმნითა და გამძაფრებული პროპაგანდის შედეგად ნამდვილად ახერხებს, რუსეთის ხელისუფალს ამით მეორე პლანზე გადააქვს რეალური პრობლემები, რაც რუსეთში ნამდვილად არსებობს და ყოველთვის იარსებებს მისი გაუმართავი, არადემოკრატიული, ჩამორჩენილი მმართველობითი სტილიდან გამომდინარე.

[5] Theodore L. Turocy, Bernhard von Stengel, *Game Theory, CDAM Research Report LSE-CDAM-2001-09 October 8, 2001*

ამავე თეორიის პირობებში საინტერესოა ქართული პოლიტიკის გააზრება. საქართველო იმყოფება მეტად არასახარბიელო მოცემულობაში, ჩრდილოეთით გვესაზღვრება უდიდესი და სახიფათო მოთამაშე, რომლის ძირითადი ინტერესი ჩვენი დასუსტება და დაქვემდებარებაა.
საინტერესოა გავიაზროთ, თუ რომელი სტრატეგია გაამარჯვებინებს მცირე და შედარებუთ სუსტ მოთამაშეს, რა მნიშვნელობა აქვს სტრატეგიულ თმენას მის პოლიტიკაში, არის თუ არა შეუქცევადი განვითარების, ნატოსა და ევროკავშირისაკენ სწრაფვის პროცესები საქართველოს საბოლოო გამარჯვების საწინდარი? რამდენად რეალისტურია ტერიტორიული მთლიანობის „კვიპროსული სცენარით“ აღდგენა?

მოცემული კვლევა ამ ლეგიტიმურ შეკითხვებს, პასუხგაუცემელს ნამდვილად არ დატოვებს.

ლიტერატურის მიმოხილვა.

კვლევაში გამოყენებულია როგორც ქართული, ასევე უცხოური ლიტერატურა, რაც შესაბამისი წესების დაცვით მითითებულია ბიბლიოგრაფიაში. მნიშვნელოვანია ჯონ ნიუმანის “თამაშის თეორიის“ გააზრება, Theodore L. Turocy და Bernhard von Stengel-ის თანაავტორობით.

ნაშრომში მიმოვიხილე კვიპროსის 2004 წლის რეფერენდუმი, ის გზა რაც კვიპროსმა ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნიდან დღემდე განვლო, რაშიც Deniz Sonalp-ის ნაშრომი დამეხმარა.

მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2015 წლის ანგარიშის გაცნობა, სადაც კარგად არის გააზრებული რუსეთიდან მომავალი საფრთხეები და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები.

საკვლევი მიზნებიდან გამომდინარე კვიპროსის რეფერენდუმის გააზრებაში, მოვიშველიე რაციონალური არჩევანის თეორია Jonathan Levin და Paul Milgrom-ის რედაქციით.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, 5 ქვეთავის, დასკვნის, რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან.

პირველ თავში განხილულია რუსული პოლიტიკა საქართველოსა და კავკასიის რეგიონში.

მეორე თავი ეთმობა კვიპროსის 2004 წლის რეფერენდუმის განხილვას და გავლებულია პარალელები საქართველოსთან.

მესამე თავში მოცემულია რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიზანია დავინახოთ, თუ რამდენად მძლავრობს რუსული პროპაგანდის ზეგავლენა ახალგაზრდების შეხედულებებზე.

1. რუსული პოლიტიკა კავკასიის რეგიონში

ყველაზე ლოგიკურია, სასემინარო ნაშრომის საწყის ეტაპზე მიმოვიხილო რუსეთის პოლიტიკა კავკასიის რეგიონსა და საქართველოში. ეს უკეთ წარმოგვიჩენს, თუ რა ზეგავლენა აქვს რუსეთის სახელმწიფოს, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, რა საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე ვდგავართ დღეს, რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას რუსეთისათვის. ამ საკითხების უკეთ გასააზრებლად ჩავწერე სიღრმისეული ინტერვიუ ბატონ ირაკლი მენაღარიშვილთან, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველო მისი დამოუკიდებლობის პირველ დღეებს ითვლიდა, როცა ქვეყანაში იყო უდიდესი ენთუზიაზმი რომელსაც თან ახლადა გამოცდილების ნაკლებობა რაც საკმაოდ აფერხება რეფორმების მიმდინარეობას. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია ბატონი ირაკლის გამოცდილება და მისი მოსაზრებების გაზიარება იმ პროცესებთან დაკავშირებით, რაც დღეს მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს.

ასევე ინტერვიუ ავიღე დავით სიხარულიძისგან, რომელიც 2008-2009 წლებში იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრი, მანამდე ის იკავებდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოზიციას ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექსიკასა და კანადაში. მისი სამსახურებრივი გამოცდილება საინტერესო და ანგარიშგასაწევია, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მოვახდენ აღნიშნული პირებისგან აღებული ინტერვიუს გარკვეული ეპიზოდების ციტირებას შემდგომი ანალიზისათვის.

1.1 რუსეთის ინტერესი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციაში

პირველი საკითხი, რაზეც ბატონ ირაკლისთან ვისაუბრე შეეხება რუსეთის უშუალო დაინტერესებას, რომ საქართველოში სიტუაცია იყოს დაძაბული. ბატონი ირაკლი მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტებია რუსეთისათვის საქართველოს დასასუსტებლად და მას რაიმე სხვა მნიშვნელობა არ გააჩნია

„აფზახეთსა და ცხინვალის რეგიონი რუსეთისთვის ეს არის ინსტრუმენტები რეგიონის და კონკრეტულად საქართველოზე კონტროლისათვის. უშუალოდ ტერიტორია რაიმე განზომილებით იქნება ეს ბუნებრივი რესურსი, განსაკუთრებული კლიმატური პირობები, რაც განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს მათთვის საინტერესო არ არის, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთს მართლაც აქვს შავი ზღვის რეგიონში ფანტასტიური სარეკრიაციო რესურსები. ფაქტია, რომ რუსეთის ელიტის გარკვეული ნაწილი ფიქრობს იქ წარმატებით დამკვიდრებას და მის მისაკუთრებას, თუმცა ეს მცდელობები ჯერჯერობით შედარებით მორიდებულ ხასიათს ატარებს. სამხრეთ ოსეთში არ არის ნამდვილად რაიმე განსაკუთრებული ბუნებრივი ღირებულების მქონე რუსეთისთვის. ეს არის მათთვის ორი რეგიონი კავკასიის ქედის გადმოღმა , სადაც მათ ტერიტორიები ძალისმიერი მეთოდებით მიისაკუთრეს“

როგორც ჩემი წინა რესპოდენტი ასევე ბატონი დავით სიხარულიძე მიიჩნევს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს რუსეთისათვის რაიმე სასიცოცხლო მნიშვნელობა არ გააჩნია და მისი უმთავრესი მიზანი საქართველოს დასუსტებაა, რაც შინაარსობრივად მოიაზრებს პრო-დასავლურ კურსზე უარის თქმასა და რუსეთის მფარველობის მიღებას.

„სტრატეგიული მნიშვნელობა მათთვის აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონზე კონტროლის იმდენად დიდი არ არის, კონკრეტულად მხოლოდ ამ ტერიტორიების კონტროლის მნიშვნელობა არ აქვს, ეს ყოველთვის იყო 2008 წლის ომამდეც და ომის შემდეგაც ის ბერკეტი, რომ პრაქტიკულად ხელი შეეშალათ საქართველოს

განვითარებისათვის მისი ინსტიტუციური აღმშენებლობისთვის, ეკონომიკური განვითარებისთვის და ზოგადად საქართველოს დასავლური მისწრაფებებისათვის“

ბატონი დავითი აღნიშნავს, რომ მეზობლების დასუსტების პოლიტიკა, რუსეთის ძირითადი სტრატეგიაა და მას ამგვარი პარტნიორობა მიაჩნია ურთიერთობის საუკეთესო მოდელად.

„სტრატეგიული ხედვაა რუსეთის, რომ მას ურჩევნია მისი მეზობელი სახელმწიფოები არ ჩამოყალიბდეს დემოკრატიულ სახელმწიფოებად, არ მოხდეს მათი ეკონომიკური განვითარება, ის თვლის რომ ამითი ის უზრუვნელყოფს საკუთარი კგავლენის გავრცელებას და უკეთესად მოხარეხებს ამ ქვეყნების კონტროლს თუ ისინი სუსტები იქნებიან. თუ მუდმივად პრობლემების წინაშე იქნებიან. საქართველოს შემთხვევაში - ოკუპაციის პრობლემა, ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის, აქ უნდა ვახსენოთ უკრაინა, მოლდოვა, ამიტომ მისი ძირითადი ამოცანა არა ამ ტერიტორიების კონტროლია, არამედ ამ ქვეყნების დასუსტებაა როგორც ჩანს“

1.1 რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები კავკასიის რეგიონში

საინტერესო და ყურადსაღებია ბატონი ირაკლის შეხედულებები რუსეთის სამხედრო ინტერესებსა და მისწრაფებებზე კავკასიის რეგიონში, რაც უდიდეს საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს ასევე ზოგადად კავკასიის რეგიონის სტაბილურობას.

„მათ ამ ოკუპირებულ რეგიონებში (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) შექმნეს სამხედრო ინფრასტრუქტურა, ორივეგან ყავთ საკმაოდ ძლიერი სამხედრო დაჯგუფებები, როგორც ცნობილია არსებობს გეგმები ამის შემდგომი გაძლიერების, აქ იგულისხმება უფრო თანამედროვე ტექნიკის განლაგება. აფხაზეთში მათ უკვე აქვთ S-300 ტიპის რაკეტები, როგორც სხვადასხვა წყარო იტყობინება გეგმავენ ონიქსის ტიპის სანაპირო დაცვის დანადგარების შემოტანასაც. ამ სამხედრო აპარატურით რუსეთს შეუძლია დიდი მანძილის დაფარვა, რომლითაც შეძლებს მათ

როგორც სახმელეთო, ასევე სხვა ობიექტების წინააღმდეგ გამოყენებას. რუსეთის სახელმწიფო, როგორც ჩანს ფიქრობს საერთო, მკაცრად კონტროლირებადი სივრცის ჩამოყალიბებას, რაც მათი სტრატეგიული დაგეგმარების ყველაზე თანამედროვე კომპონენტია. ანალოგიური დაცვითი სისტემები ჩამოაყალიბეს ყირიმში, რითაც ხელი მიუწვდებათ მთელს შავიზღვისპირეთზე. მეტად სტრატეგიული მნიშვნელობისაა მათთვის ბოსფორის სრუტის კონტროლი, რაც ნამდვილად ხელეწიფებათ“

მნიშვნელოვანია, ბატონი ირაკლის დამოკიდებულება აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაციის შეფასებაში, სადაც ის განასხვავებს რუსეთის ინტერესებს. მისი მოსაზრებით, ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია უშუალოდ საქართველოს დასასუსტებლად არის მიმართული, ხოლო აფხაზეთს სხვა სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებაც გააჩნია.

„ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით მათი ძირითადი მიზანია საქართველოს დასუსტება, ის ფაქტიურად საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრში მდებარეობს და მათ ამ ოკუპაციით შეუძლიათ საქართველოს ერთგვარი კონტროლი. რუსეთისათვის კატეგორიულად მიუღებელია და მათ დღემდე ვერ მოინელეს რომ 1999-ში დათანხმდნენ შეიარაღებული ძალების საქართველოდან გაყვანას. ცხინვალის რეგიონის ოკუპაციით რუსეთმა ფაქტობრივად აღადგინა კონტროლი კავკასიის რეგიონზე.“

როგორც ვიცით რუსული ინტერესები კავკასიის რეგიონში არ შემოიფარგლება საქართველოთი, ცნობილია, რომ რუსეთს მოქმედი სამხედრო ბაზები აქვთ განლაგებული სომხეთში, რომელსაც საკმაოდ დიდი სამხედრო პოტენციალი გააჩნია. აგრეთვე ნიშანდობლივია რუსული სამხედრო ბაზები კასპიაში, რაც საკმაო სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე.

„მეორე მათი დიდი დაჯგუფება სამხრეთ კავკასიაში - არის სომხეთის გიმრის ბაზა, გარდა ამისა მათ ყავთ საავიაციო ბაზა ერევანთან , სადაც განლაგებულია სარაკეტო

დანადგარები, ამით ისინი სტრატეგიული სარაკეტო დაფარვის ზონას ქმნიან. იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც რუსეთმა გამოაჩინა სირიის ომის დროს კარიბის ტიპის ფრთოსანი რაკეტების სახით, რომლებიც განლაგებული აქვთ კასპიაში მათ საზღვაო ხომალდებზე, შეგვძლია ვთქვათ რომ ისინი უზარმაზარ სივრცეს აკონტროლებენ. ორივე სტრატეგიული მოთამაშე, როგორც აშშ ასევე რუსეთი შეთანხმების საფუძველზე მოქმედებენ, რომელის თანახმადაც სახმელეთო, საშუალო და მცრირე მანძილზე გათვლილი, ბირთული იარაღისა და სარაკეტო სისტემების საბრძოლო გამოყენება შეზღუდულია. ამ შეზღუდვების დაძლევას ისინი სწორად საზღვაო ძალების გამოყენებით ახერხებენ. რუსეთი საზღვაო სარაკეტო საშუალებების კასპიის ზღვაში განლაგებით ახდენს სამხრეთ კავკასიის საკმაოდ დიდი სივრცის კონტროლს.“

როგორც ბატონი ირაკლი აღნიშნავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე დაძაბულობა პირდაპირ არის მიმართული საქართველოს პრო-დასავლური, ევროატლანტიკური მიმართულებების წინააღმდეგ. რუსეთი ვერ ეგუება საქართველოს განვითარებას და მასზე კონტროლის მექანიზმების დაკარგვას.

„აფხაზეთსა და ცხივნალის რეგიონზე სამხედრო კონტროლი ეს მათთვის არის სტრატეგიული ამოცანის - რეგიონზე კონტროლის განხორციელების ინსტრუმენტი. აქ კიდევ ერთი პოლიტიკური საკითხია, საქართველოს დასავლური მიმართულებები ანუ ევროპული და ევროატლანტიკური პროცესების შეზღუდვის ამოცანა.“

1.2 ბორდერიზაციის პროცესები და მიერთების პოლიტიკა

მეტად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხის გააზრება, რაც დღესდღეობით მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს, ეს არის „ბორდერიზაციის“ პროცესები. თუ კარგად დავაკვირდებით „ბორდერიზაციის” დაფარვა დროში პირდაპირ ემთხვევა საქართველოს გააქტიურების მომენტებს დასავლური მიმართულებებით, ესაა მათგან პირდაპირი სიგნალი, რომ აკვირდებიან და ნეგატიურად აღიქვამენ იმ პროცესებს

რაც ჩვენთან მიმდინარეობს[6]. ფაქტია, რომ რუსეთისათვის არ არის ძირითადი ინტერესი მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო კონტროლი. სამხედრო კონტროლი თავის თავში მოიაზრებს კონტროლის სხვადასხვა სახეებს, როგორებიცაა: სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის კონტროლი.

ბატონმა ირაკლიმ ინტერვიუს დროს წამოჭრა კიდევ ერთი ძალიან მტკივნეული საკითხი, რასაც რუსეთი დღესდღეობით საკუთარი პოლიტიკის განსახორციელებლად მიმართავს ოკუპირებულ რეგიონებში და ეს არის „დაქვემდებარების“ „მიერთების“ პოლიტიკა. რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაიქვემდებაროს აფხაზეთისა და ოსეთის არაღიარებული „რესპუბლიკები“.

„სამხედრო კონტროლი მათ აქციეს სამხედრო და ძალისმიერი სტრუქტურების ინტეგრაციის გზად რუსულ სტრუქტურებთან, იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გააფორმეს მათ ამ რეგიონებთან. როგორც ცნობილია დადებული შეთანხმების საფუძველზე მათ ფაქტობრივად არაღიარებული „რესპუბლიკების“ ძალოვანი უწყებები დაიქვემდებარეს. რუსეთი ამ მეთოდებით პრაქტიკულად მთლიანად აკონტროლებს არაღიარებული „რესპუბლიკების“ საშინაო პოლიტიკას“

სამწუხაროა, რომ რუსეთის მამოძრავებელი ინტერესი არ არის კავკასიის რეგიონის ჯანსაღი, სტაბილური და დემოკრატიული განვითარება, რუსეთი ცდილობს ჩვენს რიგებში მისი „ბნელი“ პოლიტიკის ტირაჟირებას, რაც საკმაოდ აზარალებს მის სამიზნე ობიექტებს. მიმაჩნია, რომ ეს პოლიტიკა ასევე წამგებიანია რუსეთისთვისაც, სწორედ ამ პოლიტიკის შედეგებია რუსეთის მიმართ საერთაშორისო უნდობლობა, სანქციები და სხვა. ამავე პოზიციას იზიარებს ბატონი ირაკლი მისი მსჯელობისას.

„თუ ვისაუბრებთ კეთილგონიერების პრინციპებით რუსეთს არ უნდა აწყობდეს ეს სიტუაცია რადგან რუსეთს ეს უზარმაზარი თანხა უჯდება, ეს რეგიონები ეკონომიკურად სერიოზულად ჩამორჩენილია, თუმცა რუსეთი ამგვარი ჯანსაღი

[6] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.08.2015-31.12.2015

კატეგორიებით არ აზრობნებს მათთვის მნიშვნელოვანია სტრატეგიული სივრეცეების ძალისმიერი კონტროლი. თუ ამ მოვლენებს რუსული კონცეფტუალური ხედვით დავინახავთ ისინი ამ რეგიონების კონტროლით პასუხობენ მათ სტრატეგიულ ინტერესებს რაც შორსაა ჯანსაღი დამოკიდებულებისაგან“.

2. კვიპროსის 2004 წლის რეფერენდუმი - როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ოპტიმისტური სცენარი

ნაშრომის ამ ნაწილის სათაური ზედმიწევნით ემთხვევა ჩემი სასემინარო კვლევის სახელწოდებას. შეუძლებელი იქნებიდა „კვიპროსული“ სცენარის კარგად გააზრება წინა თავში რომ არ გვესაუბრა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე კავკასიის რეგიონსა და საქართველოში.

„კვიპროსული“ სცენარის - როგორც უშუალოდ ტერმინის მნიშვნელობაზე ნაშრომის შესავალ ნაწილში ვისაუბრე, ამ ეტაპზე კი განვიხილავ მის შინაარსობრივ მახასიათებლებს.

კვიპროსული სცენარის განხილვაში, მისი მნიშვნელობის გააზრებასა და ანალიზში კვლავ მოვიშველიებ ჩემს წინა რესპოდენტებს, მანამდე კი მცირეოდენით მიმოვიხილავ კვიპროსის კონფლიქტის ისტორიულ ასპექტებს.

2.1 კვიპროსის გაყოფა

კვიპროსის კონფლიქტის შესაფასებლად აუცილებელია განვსაზღვროთ კონფლიქტში მონაწილე საგარეო ფაქტორები, რომლებსაც საკმაოდ დიდი ზეგავლენები გააჩნდათ აღნიშნულ რეგიონზე. ესენია: - საბერძნეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, გაერო, ევროკავშირი. სამწუხაროდ კვიპროსის კონფლიქტში ყველა ზემოხსენებული სუბიექტი საკუთარი თამაშის წესებით მოქმედებდა, რაც ნეგატიურად აისახებოდა სამშვიდობო პროცესებზე. საბერძნეთი და თურქეთი გვევლინება, როგორც რეგიონალური მოთამაშეები, რომლებიც საკუთარი ძალის დემონსტრაციას კუნძულზე ზეგავლენის გაზრდით ახდენდენ. დიდი ბრიტანეთი ნაკლებად იყო ჩართული ამ კონფლიქტში, თუმცა მას მაინც ეკავა და უჭირავს მნიშვენოლავი ადგილი კვიპროსში მიმდინარე პროცესებში, მისი ისტორიული დომინანტობიდან

გამომდინარე, სწორედ ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა კვიპროსი 1878-1960 წლებში, რაც ამყარებს ჩემს მსჯელობას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იყო ერთ-ერთი უპირველესი სუბიექტი, რომელიც კვიპროსის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა, რაც შეეხება ევროკავშირს მისი მოქმედებები აქტიურ ფაზაში 2004 წლიდან გადავიდა, თუმცა როგორც ცნობილია საბოლოო შედეგი - კვიპროსის გაერთიანება დღემდე არ დამდგარა.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ინტერესებს, ფაქტია რომ კვიპროსი მისი მდებარეობით ხმელთა შუა ზღვაში საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, აქედან თავისუფლად არის შესაძლებელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე კონტროლის განხორციელება, თუმცა ამერიკა დღემდე თავს იკავებს კვიპროსის კონფლიქტში ჩარევისგან, რადგან აქ წინააღმდეგობრივია საბერძნეთისა და თურქეთის ინტერესები რაც მისთვის ნამდვილად არ არის ხელსაყრელი.

თავად კვიპროსის სახელმწიფო, დამოუკიდებლობის ათწლეულებს ითვლის. კვიპროსის რესპუბლიკა 1960 წელს დაარსდა, ის ეთნიკურად ორი დომინანტი ჯგუფისგან - ეთნიკურად ბერძენი და თურქი კვიპროსელებისგან შედგებოდა. დღიდან დამოუკიდებლობისა კვიპროსში სიტუაცია იყო მეტად დაძაბული, რაზეც ჩემ მიერ ზემოთ ნახსენები საგარეო ფაქტორები საკმაოდ მოქმედებდნენ. ეს პროცესები დროში ემთხვევა კარიბის კრიზისს, ცივი ომის პერიოდს, პერიოდს როდესაც საბჭოთა კავშირი აქტიურად მუშაობდა მისი იდეოლოგიისა და ზეგავლენის გასაფართოვებლად. რუსეთიდან მომავალი საფრთხეები კიდევ უფრო ზრდიდა კვიპროსის თემატიკის აქტუალობას, რაც მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურ როლს თამაშობდა კვიპროსის საშინაო პროცესებში.

ფაქტია, რომ 1963-74 წლებში თანამეგობრობა აკეთებდა ყველაფერს რომ არ მომხდარიყო კვიპროსში ომი, თუმცა არაფერს - მშვიდობის შესანარჩუნებლად[7]

კონფლიქტის საბოლოო ესკალაცია 1974 წლით თარიღდება, როდესაც კუნძულოვანი სახელმწიფოს ბერძნულმა ნაწილმა საბერძნეთთან მიერთება მოითხოვა. ამას თურქეთმა ასიმეტრიული სამხედრო ძალა დაუპირისპირა, რის შედეგადაც კვიპროსი ორ ნაწილად გაიყო. (კვიპროსის რესპუბლიკა, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკა) ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, როგორც სახელმწიფოს დღემდე თურქეთის გარდა არავინ აღიარებს, ამან განაპირობა მისი ჩამორჩენა და გაღარიბება. ამის საპირისპიროდ კვიპროსი 2004 წელს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო გახდა, რითაც გამოიწვია ჩრდილოეთ კვიპროსის უდიდესი დაინტერესება. სწორედ ეს არის მომენტი, როდესაც ჩაეყარა რეალური საფუძველი ორად გახლეჩილი კუნძულოვანი სახელმწიფოს გაერთიანების იდეას.

2.2 კვიპროსის რეფერენდუმის ჩავარდნა

როგორც უკვე ავღნიშნე ჩემი კვლევის მიზანია დავადგინო კავშირები კვიპროსის 2004 წლის რეფერენდუმსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამომავლო პერსპექტივებს შორის. კვიპროსულ თემატიკაზე ვრცლად ვესაუბრე ჩემს წინა რესპოდენტებს ბატონ ირაკლი მენაღარიშვილსა და ბატონ დავით სიხარულიძეს. შევეცდები მოვახდინო მათი ინტერვიუს გარკვეული ნაწილების ციტირება და ამაზე დაყრდნობით გავაკეთო შემდგომი ანალიზი.

კვლევამ მიმიყვანა ლოგიკურ დასკვნამდე, რომ თურქეთი, კვიპროსი, ასევე ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა რეფერენდუმის პროცესებში იყვნენ სუპერ-რაციონალურები. თურქეთმა ევროკავშირში გაწევრიანების სურვილიდან

[7] Deniz Sonalp *CYPRUS CONFLICT: NONCOMPLIANCE WITH THE 1960 CONSTITUTION AND TREATIES, POLITICAL DISAGREEMENTS* 20-07-2009

გამომდინარე უარი თქვა ჩრდილოეთ კვიპროსზე და ნება დართო გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჩაეტარებინა რეფერენდუმი. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულმა რესპუბლიკამ რეფერენდუმისას არჩევანის გაკეთებისას დაივიწყდა დამოუკიდებლობის ეროვნული იდეა და არჩევანი განვითარებულ კვიპროსთან მიერთების სასიკეთოდ გააკეთა. რაც შეეხება კვიპროსის რესპუბლიკას, მას ერთი მხრივ სურდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, თუმცა მეორე მხრივ არ უნდოდა კვიპროსის განუვითარებელი ნაწილის მიერთება, რაც მისთვის საკმაოდ ბევრ პრობლემას მოიტანდა. როგორც ჩანს კვიპროსის ბერძნულმა ნაწილმა ამ უკანასკნელი კრიტერიუმით იხელმძღვანელა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას და უარი თქვა გაერთიანების ისტორიულ მისწრაფებებზე. ამ არჩევანმა ყველა გააკვირვა, თუმცა მისი ისევე როგორც სხვა აქტორების მიერ მიღებული გადაწყვეტილება რაციონალური არჩევანის თეორიით აიხსნება - ამ თეორიის ფარგლებში სუბიექტი გადაწყვეტილებას ღებულობს ცივი გონებით, ინტერესთა რაციონალური შეფასების პრინციპებით, სადაც ემოცია მეორეხარისხოვანია, ხოლო ეგზოგენური წნეხების ზეგავლენა მინიმალიზებული.[8]

ამ პროცესებთან დაკავშირებით ანალოგიურია ბატონი ირაკლის პოზიციაც.

„ნამდვილად გაეროს გეგმით კვიპროსის გაერთიანების თაობაზე ჩატარდა რეფერენდუმი, ეს იყო განპირობებული თურქეთის დაინტერესებით ევროკავშირში გაწევრიანებასთან მიმართებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთი იქნებოდა დესტრუქციული ძალა ამ პროცესებში, მან პირიქით ამ შემთხვევაში მხარი დაუჭირა რეფერენდუმის ჩატარებას, თუმცა შედეგები იყო საკმაოდ მოულოდნელი როცა ბერძნულმა მხარემ თქვა უარი. ბერძნულმა მხარემ დაინახა, რომ პროცესების მართვის რეალური ბერკეტები მათ ხელში გადავიდა. თურქულ ნაწილს თავისმხრივ გაუჩნდა სურვილი შეერთებოდა უფრო განვითარებულ და ცივილიზებულ ორგანიზებულ ნაწილს, რითაც მათ ისარგებლეს და დაიწყეს ფსონის გზარდაზე

[8] Jonathan Levin and Paul Milgrom, *introduction to choice theory September 2004*

მუშაობა, შესაბამისად მოითხოვეს მათთვის ბევრად უფრო საინტერესო პირობები თურქული მხარისგან. ასეთი პოლიტიკური ვაჭრობა მიმდინარეობდა, რადგან ამ პროცესებში თურქული ნაწილი დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენდა. გაერთიანებით ის მიიღებდა იმ სიკეთეებს, რითაც ბერძნული მხარე სარგებლობდა, რაც ზრდიდა მათ მოტივაციას .“

2.2 „კვიპროსული სცენარის“ პერსპექტივები საქართველოში

ბატონი დავით სიხარულიძე ერიდება პირდაპირი პარალელების გავლებას კვიპროსულ სცენარსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შორის , თუმცა არ გამორიცხავს ამგვარი სცენარის განვითარებას, ამასთან აღნიშნავს, რომ რუსული აგრესია 2008 წელს არ დაწყებულა. ის მიიჩნევს, რომ რუსულ აგრესიასთან ბრძოლის საუკეთესო მექანიზმი საქართველოს განვითარება, მისი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში, ევროკავშირში გაწევრიანებაა.

„პირდაპირი პარალელები ბუნებაში არ არსებობს არც ისტორიული და არც რაიმე სხვა, მე მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და ეფექტური პოლიტიკა რეინტეგრაციისა და დეოკუპაციის სწრაფად მისაღწევად არის : საქართველოს დემოკრატიული განვითარება, ეკონომიკური მიღწევები, მისი ინტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირში. ესაა ყველაზე სწრაფი გზა, რომ საბოლოო ჯამში ამ რეგიონებში დაიწყოს პროცესები რეინტეგრაციისა და დეოკუპაციის. არ მიმაჩნია რომ ეს რეგიონები არის ფუნდამენტური წინააღმდეგობა საქართველოს ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანების, ამის ბევრი მაგალითი არასებობს, როდესაც ყოფილა ტერიტორიული პრობლემა, მაგალითად გერმანია გაწევრიანდა ნატოში მაშინ, როდესაც მისი ერთი მესამედი იყო ოკუპირებული. ჩემი აზრით ჯერ იქნება საქართველოს გაწევრიანება ამ დასავლურ ინსტიტუტებში და შემდგომ ეს გარკვეულად უფრო წაახალისებს დეოკუპაციისა და ამ ტერიტორიების

რეინტეგრაციის პროცესებს. სამწუხაროდ ეს ოკუპაცია არ დაწყებულა 2008 წელს და მას მრავალწლიანი ისტორია გააჩნია.“

კვლევა მიმყარებს პოზიციას, რომ როგორც თურქეთმა თქვა უარი კვიპროსზე - იმავე სცენარით რუსეთი საქართველოზე აუცილებლად დათმობს მის ინტერესებს, თუმცა ის პროცესები, რამაც შესაძლოა რუსეთის დღევანდელი დამოკიდებულების ცვლილება განაპირობოს მეტად ბუნდოვანია.

ჩემი აზრით იმისათვის, რომ რუსეთი ამდაგვარ სცენარზე დათანხმდეს აუცილებლად მოუხდება საერთაშორისო თანამეგობრობას გარკვეული ფასის გადახდა, საუბარია ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო ფასზე, რათა რუსეთი არ წავიდეს ჩვენი რეინტეგრაციის წინააღმდეგი იმ შემთხვევაში, თუ ქართველები და აფხაზები, ქართველები და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა გამოვნახავთ საერთო ენას. თუ როგორი ინსტრუმენტების გამოყენება დაჭირდება თანამეგობრობას, ეს მხოლოდ მსჯელობის საგანია. ეს შესაძლოა იყოს სანქციების მოხსნა ან სხვა რაიმე დაინტერესება. ამჟამად მკაფიო, გამოკვეთილი ფაქტორი, რომელიც რუსეთის ოკუპაციურ მისწრაფებებს გააჩერებს, როგორიც მაგალითად თურქეთის შემთხვევაში ევროკავშირში შესვლა იყო, არ არსებობს. ნამდვილად მძიმე სათქმელია თუ რა მეთოდი იმუშავებს, სავარაუდოა, რომ ამ მეთოდზე კონკრეტულად არავინ ფიქრობს. თავის მხრივ არც რუსეთი ფიქრობს ამ საკითხზე ვაჭრობას, მათ ამჟამად სავაჭრო აქვთ ერთი - საქართველოს პრო-დასავლური კურსი, რისი ცვლილების შემთხვევაშიც მათ შესაძლოა ისაუბრონ გარკვეულ დათმობებზე, თუმცა პირდაპირი შეთავაზება დღემდე არ ყოფილა. წასულან ქართული არასამთავრობო დელეგაციები რუსეთში, მაგრამ ფაქტია, რომ არც მათ ჩამოუტანიათ კონკრეტული სცენარები. ეს მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ სტატუს-კვოს შეცვლა ამ ეტაპზე რუსეთის მხრიდან არ განიხილება.

ბატონი ირაკლი კიდევ ერთ საინტერესო თემას შეეხო და განმარტა, რომ რუსეთისათვის სეპარატისტების მფარველობა ფუფუნების საგანია და საკმაო

ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს მას. ეს სავარაუდოდ განაპირობებს „კვიპროსული სცენარის“ შემოთავაზებას საქართველოს მიმართ, თუმცა საფიქრალია, თუ რამდენად არის საქართველო მზად ამგვარ გამოწვევასთან შესაჭიდებლად.

„რუსეთი რომ უარს იტყვის აღნიშნული სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე ეჭვგარეშეა, რადგან ის ტვირთი, რაც მის მიმართ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან მომდინარეობს უფრო და უფრო დამძიმდება და შეუთავსებელი იქნება, ამიტომ მათ მოუწევთ საბოლოო შემოთავაზების განხორციელება. მთავარია შესძლებს კი საქართველო ითამაშოს კვიპროსის ბერძნული ნაწილის ფუნქცია და ისეთივე მიმზიდველი გავხდეთ აფხაზი, ოსი მოსახლეობისათვის როგორი იყო სამხრეთ კვიპროსი კვიპროსის თურქი მოსახლეობის შემთხვევაში. ეს ჩვენი გასაკეთებელია, დაწყებული დემოკრატიული, სოციალური, განვითარებით დასრულებული ჩვენი დასავლეთთან ინტეგრაციით. ეს არ არის უპერსპექტივო თუმცა ნამდვილად არც მარტივი გზა არ გახლავთ“

3. მიზნობრივი სეგმენტის გამოკითხვა

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოვიყენე კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, კერძოდ ჩავატარე მიზნობრივი სეგმენტის გამოკითხვა. აღნიშნული გამოკითხვის მიზანია დავადგინო, რამდენად მძლავრობს რუსული პროპაგანდა საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებზე.

მიუხედავად გამოკითხული პირების მოკრძალებული რაოდენობისა გამოკითხვამ საკმაოდ საინტერესო შედეგი მოგვცა, რომელსაც წარმოგიდგენთ ილუსტრირებული სახით და მოვახდენ მის შემდგომ ანალიზს.
გამოკითხული პირები არიან სოციალურ ქსელში ჩემი მეგობრები, შესაბამისად ჩემი დასკვნებიც ამ სეგმენტთან მიმართებაში არის გამოტანილი და მას გლობალურ მასშტაბებზე პრეტენზია არ გააჩნია.

პირველი შეკითხვა ჩემი რესპოდენტების მიმართ იყო ჩემთვის ყველაზე მეტად პრინციპული მნიშვნელობის. არის საკითხები, რაზეც საზოგადოების სხვადასხვა ფენებში სხვადასხვა აზრი დომინირებს, რაც მისასალმებელი და ჯანსარი პროცესია, თუმცა როდესაც საქმე სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან და პრინციპულ საკითხებს ეხება, მიმაჩნია, რომ ერი უნდა იყოს ერთსულოვანი და ჩამოყალიბებული. სწორედ ამგვარი საკითხია საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხი.



როგორც აღმოჩნდა ჩემ მიერ გამოკითხული ახალგაზრდების სრული უმრავლესობა ფიქრობს, რომ რუსეთი ოკუპანტია. ამ პასუხში ერთი მხრივ არაფერია უცნაური, თუმცა უნდა ითქვას, რომ რუსული მძლავრი პროპაგანდა ყველაფერს აკეთებს საზოგადოების განწყობაზე მანკიერი ზეგავლენის მოსახდენად, რაც საბედნიეროდ ახალგაზრდებზე ნაკლებად ზემოქმედებს.

ჩემი შემდგომი შეკითხვა მიმართულია იმის დასადგენად, თუ რამდენად სჯერა ახალგაზრდობას ქვეყნის ეროვნული იდეის განხორციელების - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის. რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მიმართულება საქართველოს გაერთიანების მისწრაფებების დემონიზებაა.



გამოკითხულთა დიდი ნაწილი ოპტიმისტურად არის განწყობილი, რაც იმედისმომცემია.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია დავადგინოთ, აღნიშნული 73%-დან, რომელთაც სჯერათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, რა ხერხებს და მეთოდებს მიიჩნევენ ყველაზე ეფექტიანად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესებში.



ამ უკანასკნელი გამოკითხვის შედეგები საკმაოდ იმედისმომცემია. გამოკითხულთა ურავლესობას მიაჩნია, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება შესაძლებელია ნატოში შესვლით, ევროკავშირში გაწევრიანებით, აფზახ და ოს ძმებთან მუდმივი დიალოგით - რაც ნამდვილად უალტერნატივოა.

რაოდენობრივმა კვლევამ მოგვცა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი ოპტიმისტურად არის განწყობილი, მათ სჯერათ საქართველოს გაერთიანების ეროვნული იდეის რეალიზების, ნაკლებად ექცევიან რუსული პროპაგანდის გავლენის ქვეშ და ფიქრობენ, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის აუცილებელია ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან მუდმივი თანამშრომლობა, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაცია.

დასკვნა

სასემინარო კვლევის ფარგლებში, მიმოვიხილე რუსეთის პოლიტიკა საქართველოსა და კავკასიის რეგიონში, ვისაუბრე კვიპროსის 2004 წლის რეფერენდუმზე და გავავლე პარალელები საქართველოსთან, ჩავატარე მიზნობრივი სეგმენტის გამოკითხვა, რამაც გაამყარა ჩემ მიერ შემოთავაზებული ჰიპოთეზა - „რუსეთის დასუსტების გარდაუვალი პროცესების პარალელურად საქართველოს მდგრადი და დემოკრატიული განვითარება, აუცილებლად მისცემს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის „კვიპროსული სცენარით“ აღდგენის ისტორიულ შესაძლებლობას“.

კვლევაში ძირითადად ვისაუბრე იმ საფრთხეებზე და პრობლემებზე, რაც საქართველოს უშლის ხელს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესებში, აფხაზ და ოს ძმებთან ურთიერთობაში, თუმცა იკვეთება გარკვეული ტიპის სასიკეთო ცვლილებებიც. კერძოდ შენგენის წევრ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმით მიმოსვლამ, საქართველოს სხვადასხვა თვალსაჩინო მიღწევებმა, არაერთი თანამედროვე, ახალგაზრდა აფხაზი თუ ოსი თანამოქალაქე ჩააფიქრა. ისინი ხედავენ რომ საქართველოში სხვა ტიპის სამყარო იქმნება და უჩნდებათ მეტი საფუძველი და გარანტია იმისა, რომ ჩვენ მათთან შეიარაღებულ დაპირისპირებას არ ვაპირებთ, მათთვის ეს სივრცე ხდება უფრო კეთილგანწყობილი და სასურველი. ნამდვილად, საქართველო ერთადერთი ადგილია, სადაც აფხაზები და ოსები იქნებიან ბედნიერები, იცხოვრებენ ღირსეულად და შეინარჩუნებენ მათ იდენტურობას.

ფაქტია, რომ მარტივად არ მოხდება წარსულის უარყოფა და სისხლის დაღვრის ფაქტორის მივიწყება, ანუ დასაძლევი ჯერ კიდევ ბევრია, თუმცა არსებული ტენდენციები გვიჩვენებს რომ ეს ყველაფერი დაძლევადია.

როგორც კვლევამ გვიჩვენა რუსეთის დასუსტების ტენდენციები აშკარაა. რუსეთის მიმართ მიმართული სანქციები, უნდობლობის პოლიტიკა, ასუსტებს როგორც მის ეკონომიკას ასევე ეროვნულ პრესტიჟს. ამის ფონზე საქართველოს მდგრადი, დემოკრატიული განვითარება, ევროკავშირთან და ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავება, აუცილებლად მოგვცემს ტერიტორიული მთლიანობის ოპტომისტური - „კვიპროსული“ სცენარით დაბრუნების შესაძლებლობას. ამ ეტაპზე უცნობია, თუ რის სანაცვლოდ დათმობს რუსეთი მის იმპერიულ ინტერესებს საქართველოს ტერიტორიებზე, თუმცა ამგვარი სცენარი სავსებისთ რეალისტურია. 2004 წლის კვიპროსის რეფერენდუმი ყველაზე კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება დათმოს დიდმა სახელმწიფომ მისი გავლენები მცირე ქვექანაზე სხვა სიკეთეების სანაცვლოდ, რაც იმ კონკრეტულ შემთხვევაში იყო ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი.

ჩვენთვის მთავარია, რომ საქართველო იყოს მზად ამ ისტორიული შესაძლებლობის გამოსაყენებლად, რაც მხოლოდ და მხოლოდ სწორი, გააზრებული, მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში არის შესაძლებელი.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებმა კიდევ უფრო მეტად განამტკიცა ჩემი ხედვები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის „კვიპროსულ“ სცენართან დაკავშირებით. იმისათვის რომ საქართველომ შეძლოს მისი ისტორიული შანსის გამოყენება აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას მეტი ყურადღება დაეთმოს გარკვეულ საკითხებს, რაც რეკომენდაციების სახით არის მოცემული ჩემს ნაშრომში.

- სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება

სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება განაპირობებს ქვეყანაში მეტ სტაბილურობას, რაც უფრო მიმზიდველს გახდის აფხაზი და ოსი ძმებისათვის ჩვენთან თანაცხოვრებას.

- ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი

როგორც ნაშრომიდან გაირკვა, ევროკავშირთან ინტეგრაცია იყო გარდამტეხი მომენტი ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკისათვის რეფერენდუმზე გადაწყვეტილების მიღებისას. მათ სწორედაც რომ ევროპული ღირებულენბების და ევროპული ეკონომიკის მხარეს გააკეთეს არჩევანი, როდესაც კვიპროსთან შეერთებას დაუჭირეს მხარი. ანალოგიურად აფხაზებმა და ოსებმა უნდა დაინახონ, რომ საქართველო არის ადგილი, სადაც მათ შეუნარჩუნდებათ იდენტურობა და ექნებათ ღირსეულად ცხოვრებისა და განვითარების საუკეთესო საშუალება.

- ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან თანამშრომლობა

ნატოში ინტეგრაცია არის პროცესი, რომელიც საქართველოს უსაფრთხოების ერთადერთი მყარი გარანტიაა, რაც უპირველესი ბერკეტია რუსეთის იმპერიულ მისწრაფებებთან საბრძოლველად.

- საგარეო ასპარეზზე რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის თემატიკის წინა პლანზე წამოწევა

დღევანდელ მსოფლიოში, მრავალ მწვავე მოვლენასა და პროცესებს ვადევნებთ თვალყურს, მათ გადაფარეს ქართული თემატიკის აქტუალურობა, რაც კატეგორიულად მიუღებელია. ჩვენთვის, როგორც მცირე ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რომ საქართველოს საკითხი მუდამ იყოს პოლიტიკურ დღის წესრიგში, უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიების რუსეთის მიერ ოკუპაცია, უნდა განიხილებოდეს ერთ კონტექსტში.

- რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლა

რუსეთი გამუდმებით ებრძვის საქართველოს მისი მძლავრი პროპაგანდით, რომლის მსხვერპლიც არაერთი ჩვენი მოქალაქეა. აუცილებელია ამ პროპაგანდას დავუპირისპიროთ სიმართლე, რაც ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

ბიბლიოგრაფია

1) თინათინ ზურაბიშვილი „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში“ თბილისი 2006
http://old.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlevebshi.pdf
06.01.18. 15:30.

2) Theodore L. Turocy, Bernhard von Stengel, *Game Theory, CDAM Research Report LSE-CDAM-2001-09 October 8, 2001* *http://www.cdam.lse.ac.uk/Reports/Files/cdam-2001-09.pdf*
08.01.18. 17:25.

3) Deniz Sonalp *CYPRUS CONFLICT: NONCOMPLIANCE WITH THE 1960 CONSTITUTION AND TREATIES, POLITICAL DISAGREEMENTS* 20-07-2009 http://www.atlantic-community.org/app/webroot/files/articlepdf/Cyprus[1].pdf
10.01.18. 19:50

4) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.08.2015-31.12.2015
http://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/SSSG%20REPORT.pdf
12.01.18. 20:30

5) Jonathan Levin and Paul Milgrom, *introduction to choice theory September 2004*

https://web.stanford.edu/~jdlevin/Econ%20202/Choice%20Theory.pdf

14.01.18. 11:30

6) საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2017 წლის აპრილის კვლევის შედეგები

ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ

https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_April%202017_foreign%20affairs_GEO_VF.pdf
17.01.18. 19:50

7) Summary of the 2018 National Defense Strategy of The United States of America
https://www.defense.gov/Portals/1/Documents/pubs/2018-National-Defense-Strategy-Summary.pdf
19.01.18. 20:35

ნორმატიული მასალა

1) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

თამარ დვალაძე

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

სემინარი

კატალონიის დამოუკიდებლობა:
კონფლიქტის ისტორიული წინამძღვრები

29 იანვარი, 2018

კატალონიის დამოუკიდებლობა: კონფლიქტის ისტორიული წინამძღვრები

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ კატალონია 3 საუკუნეზე მეტია, რაც ესპანეთის ნაწილია, ამ ფაქტის მიღება კატალონიელთა უმრავლესობას კატეგორიულად არ სურს. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები სწორედ ამაზე მეტყველებს. 2017 წლის 27 ოქტომბერს რეგიონმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც კონფლიქტის მთავარ მიზეზად იქცა კატალონიასა და მადრიდს შორის. დღეისათვის კატალონიის დამოუკიდებლობის აქტი მხოლოდ ცალმხრივი დეკლარაციაა, რომელიც პოლიტიკური დაპირისპირებისა და კონსტიტუციური დავის საგანი გახდა ესპანეთის სამეფოსა და კატალონიის ჟენერალიტეტს (კატალონიის ნაციონალური მთავრობა) შორის, რადგან ესპანეთის კონსტიტუციის თანახმად, კატალონიის ავტონომიური გაერთიანება განიხილება მხოლოდ ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში.

კატალონიზმის ნაციონალური (ნაციონალისტური) იდეა ისტორიულად მძლავრია. თავისი ისტორიის მანძილზე კატალონია მუდმივად ცდილობდა ყოფილიყო დამოუკიდებელი, თუმცა, როგორც დავინახავთ, მან ამის რეალიზება ვერ შეძლო. ტრადიციულ დაპირისპირებას მადრიდთან ის ან სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დაღმავლობის გზაზე მიჰყავდა, ან სხვა ქვეყნის პროტექტორატის ქვეშ ექცეოდა.

უნდა ითქვას, რომ კატალონიას წარსულში არასოდეს მიუღია ესპანეთის მხრიდან ისეთი დიდი ავტონომიური უფლებები, რაც მას დღეის მდგომარეობით აქვს. არცერთ მსგავს ავტონომიურ წარმონაქმნს ევროპაში ასეთი პრივილეგიები და უფლებები არ გააჩნია, თუმცა ესპანეთმა ამის შედეგად მიიღო ის, რომ „კატალონიზმი“ (კატალონური ნაციონალიზმი) კიდევ უფრო მეტად სეპარატისტული გახდა. კონსერვატორული „სახალხო პარტია“, ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრია მარიანო

რახოის მეთაურობით, რომელიც აქტიურად ეწინააღმდეგება რეგიონის თავისუფლებისთვის მოძრაობის იდეას, კატალონიაში სიდიდით მხოლოდ მეხუთე პარტიაა. კატალონიის მთავრობის თავმჯდომარეს კარლეს პუჩდემონს მხარდაჭერა ძირითადად ნაციონალური ძალების კოალიციის მხრიდან აქვს[1].

კატალონიის ნაციონალისტურ წრეებში სერიოზულად საუბრობენ ავტონომიური რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქცევაზე. ეს არა მარტო თვითმყოფად კულტურასა და ენას[2], არამედ დიდწილად რეგიონის ეკონომიკას უკავშირდება. ეს ფაქტორი განსაკუთებით თვალსაჩინო გახდა ესპანეთში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის დროს (2010-იან წლებში). კატალონია უკმაყოფილოა სისტემატური გადასახადებით. იმის ნაცვლად, რომ შემოსავლები რეგიონში რჩებოდეს, მიდის ცენტრში და ამგვარად მდიდარი კატალონია ინახავს ესპანეთის ღარიბ რეგიონებს - ეს მათი არგუმენტია. ბევრი ექსპერტის აზრით, სწორედ რეგიონის ეკონომიკური აღმავლობა გახდა ის მიზეზი, რამაც ბოლო პერიოდში დააჩქარა კატალონიის ნაბიჯები დამოუკიდებლობის გზაზე.

რეგიონის ეკონომიკა წამყვანია ესპანეთში. ტრადიციულად კატალონია ქვეყნის სამრეწველო ცენტს წარმოადგენს. მისი გეოგრაფიული მდებარეობა ისტორიულად ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. დღეისათვის კი მის ეკონომიკურ პრიორიტეტებს შორის სახელდება ფინანსები, ტურიზმი, მომსახურება და მაღალტექნოგიური კომპანიები. კატალონიაზე მოდის ესპანეთის მშპ-ის 19%, (შედარებისთვის: ესპანეთის ეკონომიკაში კატალონიის შენატანი 2-ჯერ მეტია, ვიდრე შოტლანდიის - დიდ ბრიტანეთში). სხვადასხვა ეკონომიკური გათვლებით, თუკი მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მნიშვნელოვნად გაიზრდება, რისი

[1] კოალიცია შედგება კონსერვატორული პარტიის CDC-სა და მემარცხენე Esquerra Republicana de Catalunya (ERC) პარტიებისგან, CUP რადიკალურ მემარცხენე ფრთასთან ერთად ქმნიან უმრავლესობას რეგიონულ პარლამენტში

[2] ავტონომიურ გაერთიანებაში კატალონიურ ენას ოფიციალური ენის სტატუსი აქვს მინიჭებული ესპანეთში (გალისიურ და ბასკურ ენებთან ერთად)

წინაპირობაც ამ დრომდე არსებობდა კატალონიაში, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით ის თვით ევროპის ზოგიერთ წამყვან ქვეყანასაც კი გაასწრებდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით.

კატალონიელები ამაყობენ თავისი ნაციონალური კერძებით და მსოფლიოში სახელგანთქმული შეფ-მზარეულებით. და რაც მთავარია, ამაყობენ საფეხბურთო კლუბით „ბარსელონა“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარულია მთელს მსოფლიოში. ბარსელონას თამაშების დროს, ხშირად კატალონიელები პოლიტიკური სეპარატული ლოზუნგებითაც კი გამოდიან, ხოლო მადრიდთან დაპირისპირება განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა „ბარსელონა“ - მადრიდის „რეალის“ მატჩების დროს, ასეთ მატჩებს „ელ კლასიკოს“ უწოდებენ.

კატალონიზმი დღეისათვის ყველაზე დიდი სეპარატისტული მოძრაობაა ევროპაში. ის რომ დღეს კატალონია სრულ დამოუკიდებლობას ითხოვს ესპანეთისგან, ამის ერთ-ერთი მიზეზი მის ისტორიული წარსულია, რომელზეც ხშირად აპელირებენ, ხოლო სეპარატიზმის მომხრეები ამტკიცებენ, რომ კატალონიას სახელმწიფოებრიობის დიდი ისტორია აქვს. არის თუ არა ასე? არის თუ არა დღევანდელი კონფლიქტი ისტორიულად ტრადიციული? შევეცდებით რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენის გახსენებით ერთგვარი გზამკვლევი წარმოგიდგინოთ კატალონიის ისტორიიდან.

გეოგრაფია, წარმომავლობა, ენა

კატალონია: რეგიონი პირენეის ნახევარკუნძულის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ავტონომიური გაერთიანება (კატალონურად: Comunitat Autònoma de Catalunya) ესპანეთის სამეფოს შიგნით[3], რომელსაც ავტონომიურ სტატუსთან ერთად მიკუთვნებული აქვს *„ეროვნულობა“*(nacionalidad). კატალონიის რეგიონში ამჟამად 4 პროვინცია შედის: ბარსელონა, ხერონა, ლერიდა და ტარაგონა. ყველაზე დიდი ქალაქი და ავტონომიის დედაქალაქია ბარსელონა. კატალონიის სახელწოდება და

[3] ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაშია 17 ავტონომიური გაერთიანებაა

მდებარეობა მომდინარეობს „კატალონიელთა ქვეყნიდან“[4], და მისი დღევანდელი საზღვრებია: ჩრდილოეთით - საფრანგეთი და ანდორა, აღმოსავლეთით - ხმელთაშუა ზღვა, და დასავლეთითა და სამხრეთით - ესპანეთის ორი ავტონომიური გაერთიანება: არაგონი და ვალენსია.

კატალონიის ფართობია 32 108 კმ², მოსახლეობა 7, 52 მილიონი ადამიანია. მოსახლეობის 65%-ს ეთნიკური კატალონიელები შეადგენენ. დანარჩენი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ ესპანელები, ასევე მრავლადაა უცხოელი. კატალონიაში მოსახლეობის სიმჭიდროვე ყველაზე მაღალია ესპანეთის მასშტაბით.

კატალონური, ესპანურთან ერთად, ოფიციალური ენაა ავტონომიურ გაერთიანებაში. სკოლებსა და უნივერსიტეტებში სწავლება კატალონურ ენაზე მიმდინარეობს, დასახლებული პუნქტების სახელწოდებებიც უმთავრესად კატალონურია. კატალონური - ეს არის დამოუკიდებელი ენა, რომელიც, ისევე როგორც ესპანური, რომანული ენების ჯგუფს მიეკუთვნება, მას ბევრი საერთო აქვს კასტილიურ, ანუ ესპანურ ენასთან, მაგრამ მისი მონათესავე უფრო სამხრეთ საფრანგეთის პროვანსის ენაა. პირველი კატალონური დოკუმენტები მეთორმეტე საუკუნეს მიეკუთვნება, ამ ენაზე საუბრობენ ბალეარის კუნძულების ვალენსიის ავტონომიური რესპუბლიკის (აქ მას ვალენსიურს ეძახიან) და სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ პერპინიანის მოსახლეობა, ასევე სარდინიის კუნძულებზე იტალიის ქალაქ ალგეროს მაცხოვრებლები.

რადიკალი კატალონიელი პოლიტიკოსების პროპაგანდას წარმოადგენს ტერმინი „კატალონია“ გამოიყენონ „კატალონიურ მიწებთან“ (კატ: Països Catalans)[5] მიმართებაში. ეს არის ხმელთაშუაზღვისპირეთის ტერიტორიები, რომლებიც

---

[4] Principat de Catalunya, მოიცავდა აგრეთვე ალგეროს (სარდინიაში), ანდორას, ჩრდილოეთ კატალონიას ანუ აღმოსავლეთ პირენეების ფრანგულ რეგიონს, ბალეარის კუნძულებს, ვალენსიის რეგიონს

[5] კატალონიური მიწები - ტერიტორა, სადაც ვრცელდება კატალონიური ენა, მიწები, რომელიც ისტორიულად შედიოდა, ან ესაზღვრებოდა კატალონიას: ტერიტორია ესპანეთის ჩრდილოეთაღმოსავლეთით: კატალონია, ბალეარის კუნძულები, ვალენსია, ფრანჟა (არაგონის კატალონიუენოვანი ტერიტორიები), ელ-კარჩე; ტერიტორია ანდორაში; საფრანგეთის აღმოსავლეთ პრენეის დეპარტამენტი (*Pyrénées-Orientales*); ტერიტორია იტალიის კუნძულ სარდინიაზე.

შუასაუკუნეებში არაგონის სამეფოს შემადგენლობაში მდებარეობდა, და რომელთა მოსახლეობის თუნდაც ერთი ნაწილი კატალონიურ ენაზე საუბრობს. გარდა ამისა, კატალონიელები თავის ისტორიულ ტერიტორიად მიიჩნევენ საფრანგეთის მიმდებარე ტერიტორიებს, ე.წ. ჩრდილოეთ კატალონიას (ფრ. Catalogne Nord).

სახელწოდება „კატალონიის“ წარმომავლობაზე ბოლომდე შეჯერებულები არ არიან ისტორიკოსები. არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაცია, რაც გამოწვეულია დამადასტურებელი ფაქტების ნაკლებობის გამო. ამ ვერსიათა შორის ყველაზე მეტად სარწმუნოდ შემდეგი ვერსიები მოიაზრება: რეგიონის დასახელება წარმოსდგება გოთ-ალანებისგან, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ხალხთა დიდი გადასახლების შედეგად დამკვიდრდნენ (გოთ-ალანების მიწა - გოთლანდია- გოთალანია - კათალანია - კატალონია); რომ დასახელება მომდინარეობს ფრანგი რაინდის ოთგერ კატალონის-გან, რომელიც არაბების წინააღმდეგ იბრძოდა და წაართვა მის მიერვე ადრე დაპყრობილი და მოპოვებული ტერიტორია; და მეტნაკლებად სარწმუნოდ გამოიყურება ის თეორია, რომ სახელწოდება წარმოსდგება სიტყვიდან castlà, იგივე castlan შუასაუკუნეების ტერმინია და აღნიშნავს ციხესიმაგრის (კატ. castell) მფლობელს, გამგებელს. ეს ამ თეორიის შემთხვევაში ეტიმოლოგია მომდინარეობს სიტყვიდან - Catalunya, და რომლის მიხედვითაც რეგიონებს კატალონიასა და კასტილიას საერთო ფესვები აქვს; მეხუთე საუკუნეში ჩრდილოეთ ესპანეთის ვესტგოთების მიერ დაპყრობის შედეგად, ბარსელონა „გატალონიის“ დედაქალაქი ხდება, მრავალი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ კატალონიის სახელწოდებაც სწორედ აქედან წარმოდგება.

რომანული ხანა და შუასაუკუნეები

დღევანდელი კატალონიის პირველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ იბერები, რომლებიც წარმოშობით ჩრდილოეთ აფრიკულ ტომებად მიიჩნევიან და რომლებიც დღევანდელი ბარსელონასა და მატაროს ტერიტორიებზე დასახლდნენ.

პირენეის ნახევარკუნძულზე, დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე, დასახლებების ისტორია რამდენიმე ათეულ საუკუნეს მოითვლის, უძველესი ალტამირას

გამოქვაბულში შემორჩენილი ნახატები, რომელიც ზედა პალეოლითის ხანას განეკუთვნება, ერთ-ერთი უძველესია მთელი ევროპის ტერიტორიაზე, ძვ. წ. VII საუკუნიდან დაიწყო ტერიტორიის კოლონიზაცია ფინიკიელთა და ბერძენთა მიერ, დაარსდა მათი კოლონიები, ამ პერიოდიდან ყალიბდება იბერთა კულტურაც, რომელიც უპირატესად ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე გავრცელდა. ძვ. წ. 5-3 სს-ში პირენეის ნახევარკუნძულზე დასახლდნენ კელტები, რომლებიც ადგილობრივ ტომებში აირივნენ და კელტ-იბერების ტომობრივი ჯგუფი შექმნეს. ძვ. წ. III საუკუნეში ესპანეთის ტერიტორია, მათ შორის კატალონია, კართაგენმა დაიმორჩილა, პირველი პუნიკური ომის შემდგომ კი ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში რომაელები შევიდნენ, ძვ. წ. 197 წელს კართაგენმა სამშვიდობო ზავის თანახმად დათმო თავისი ტერიტორიები, რომმა ახლად დაპყრობილი ტერიტორია თავის სამფლობელოდ გამოაცხადა და ორ ნაწილად გაყო - ახლო ესპანეთი (Hispania Citerior) და შორეული ესპანეთი (Hispania Ulterior), ჩრდილოეთი ნაწილი ახლო ესპანეთის პროვინციაში მოექცა, რომლის დედაქალაქი გახდა ტარაკო (თანამედროვე ქ. ტარაგონა), ეს იყო რომის იმპერიაში მნიშვნელობით მეორე პროვინცია გახდა რომის შემდგომ. განსაკუთრებით აღმავლობას განიცდიდნენ ქალაქები ტარაკო და ბარსელონა.

V საუკუნის დასაწყისში დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდგომ ნახევარკუნძულს ბარბაროსთა ტომები აწყდებიან, რომელთა შორის უპირატესობას ვესტგუთები იკავებენ და ალანებისა და ვანდალების განდევნის შედეგად ქმნიან სამეფოს სახელწოდებით გატალონია, რომლის დედაქალაქი ხდება ბარსელონა. უნდა ითქვას, რომ ვესტგუთების პირენეის ნახევარკუნძულის მოსახლეობის მხოლოდ 4%-ს შეადგენდნენ, თუმცა მათ მოახერხეს და თითქმის მთელი ნახევარკუნძული დაიპყრეს V საუკუნის მეორე ნახევარში. VI საუკუნის შუა წლებში, გალიის დიდი ნაწილის დაკარგვის შემდგომ, ვესტგუთებმა სამეფოს დედაქალაქი ტოლედოში გადაიტანეს. ამ ტერიტორიის, როგორც ვესტგოთების სამეფოს ნაწილის არსებობა, ორნახევარი საუკუნის მანძილზე გაგრძელდა.

711 წელს ესპანეთის ტერიტორიას მავრები იკავებენ [6] . 711 წელს მავრებმა გიბრალტარის სრუტე გადაკვეთეს, 717 წელს კი დაიპყრეს ბარსელონა. ამის შემდგომ რეგიონი მუსლიმთა გავლენის ქვეშ მოექცა. არაბების მიერ პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ ეს ტერიტორია სამხედრო გარნიზონების მეშვეობით იმართებოდა.

კარლოს დიდი მიერ 801 წელს ბარსელონას დაპყრობის შემდგომ ეს ტერიტორია ფრანკთა იმპერიის კონტროლის ქვეშ მოექცა, ხოლო არაბებისათვის ჩამორთმეულ ტერიტორიებს ეწოდა **ესპანური მარკა** (სასაზღვრო ტერიტორია ფრანკებსა და არაბებს შორის, რომელშიც შედიოდა დღევანდელი კატალონია, ნავარა, არაგონი და რომელიც 9 საგრაფოსაგან შედგებოდა). ზოგიერთ დოკუმენტებში მათ კატალონიური საგრაფოების სახელით მოიხსენიებენ, რადგან მათ შორის წამყვან როლს **ბარსელონას საგრაფო** ასრულებდა. ეს იყო ნახევრად მილიტარიზებული საგრაფოთა გაერთინება, რომელიც ქმნიდა ე.წ. ბუფერულ ზონას კაროლინგების იმპერიის სამხრეთით და წარმოადგენდა „სამხედრო საზღვარს“ კაროლინგების იმპერიისთვის პირენეის აღმოსავლეთ ნაწილში. ესპანურ მარკას ფართო უფლებები ჰქონდა მინიჭებული, რადგან მისი მთავარი მოვალეობა იყო საპასუხო დარტყმის მიყენება არაბებისთვის, შესაძლო შემოსევის შემთხვევაში.

კონფლიქტი ბარსელონას საგრაფოსა და კორდოვას სახალიფოს შორის

კატალონიისთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა გრაფის **გუიფრ ბორელ მეორეს** მმართველობის პერიოდი (947-992 წწ., ბარსელონას, ჟერონისა და ოსონის გრაფი). ის იყო პირველი, ვინც უარი თქვა ფრანკთა იმპერიის მეფეების გავლენაზე, რომელთანაც გრაფი იყო ვასალურ დამოკიდებულებაში. ბუნებით დიპლომატი მმართველი, ის ლავირებას აკეთებდა კაროლინგების სამეფოსა და თანამედროვე ცენტრალური ესპანეთის ტერიტორიაზე, პირენეის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბებულ **კორდოვას სახალიფოს** შორის. თავის მმართველობის პირველ პერიოდში ბორელ მეორე ორივესთან ინარჩუნებდა მეგობრულ, ასევე კარგ სავაჭრო-ეკონომიკურ

[6] ვესტგუთების ერთმა სეპარატისტულმა დაჯგუფებამ და ტოლედოს არქიეპისკოპოსმა დახმარება სთხოვა ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრებ არაბებსა და ბერბერებს - სწორედ მათ უწოდებდნენ მავრებს

ურთიერობებს, მნიშვნელოვანია მისი ურთიერთობა რომთან, მისი წარმატებული ვიზიტი რომის პაპის (იოანე XIII) კარზე, რის შედეგადაც შეძლო ტარაგონას არქიეპარქიის აღდგენა. ბორელ მეორეს მიზანი იყო განემტკიცებინა თავისი საგრაფოს დამოუკიდებლობა ეკლესიის საშუალებით და ამასთან საეკლესიო ინსტიტუტების გაძლიერებით გაეზარდა გავლენა ბარსელონას საგრაფოს სასაზღვრო ტერიტორიებზე, რომელიც მუსულმანური კორდოვას სახალიფოს ემიჯნებოდა. და მართლაც რომის პაპმა დააკმაყოფილა გრაფის თხოვნა და ბარსელონას, ურხელის, ჟერონასა და ვიკის ეპარქიები ტარაგონას არქიეპისკოპოსის იურისდიქციის ქვეშ მოექცა.

პირველი სამხედრო კონფლიქტი კორდოვას სახალიფოსთან 962 წელს უკავშირდება, როდესაც **ბარსელონას გრაფმა მავრების წინააღმდეგ კავშირი შეკრა ნავარასა და ლეონის მეფეებთან და კასტილიის გრაფთან.** ეს პირველი შემთხვევა იყო ბარსელონას საგრაფოს ისტორიაში, როდესაც მან სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო ესპანეთის სხვა ქრისტიან მმართველებთან მუსლიმების წინააღმდეგ. ამის სანაცვლოდ ხალიფამ რამდენიმე სამხედრო მსვლელობა მოაწყო მოკავშირეთა მიწებზე, რის შემდეგაც ქრისტიანი მმართველები იძულებული გახდნენ სახალიფოსთან დაედოთ სამშვიდობო ხელშეკრულება, ბორელ მეორემ კი სახალიფოსთან აღადგინა სავაჭრო ურთიერთობები და ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებები გააფორმა.

მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც კორდოვას სათავეში ალ მანსური მოვიდა, რომელიც ცნობილი იყო ქრისტიანების მიმართ შეუწყნარებლობით. მისი ლაშქრობები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ნავარას შემდეგ მავრების არმიამ კატალონიურ ციხესიმაგრეებს შეუტია, ხოლო 984 წელს ბარსელონას მთელს საგრაფოს. 985 წელს თავად ალ მანსურის ხელმძღვანელობით მავრების 50 ათასიანმა არმიამ აიღო ქალაქი ბარსელონა. ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს სიკვდილით გაუსწორდნენ, ნაწილი კი ტყვედ იქნა წაყვანილი კორდოვაში, რომელთა შორის უმეტესობა იყო წარჩინებული ოჯახებიდან. ბორელ მეორე, ქალაქიდან გაქცევით გადაურჩა სიკვდილს და მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა ბარსელონაში, რაც მავრების ჯარებმა საგრაფო დატოვა. მან დაიწყო ქალაქის აღდგენა. ხოლო მას შემდეგ,

რაც ბორელმა ფრანკთა მეფისგან - მისი სიუზერენისგან ვერ მიიღო დახმარება, იგი იძულებული გახდა კორდოვას ხალიფის ვასალი გამხდარიყო.

ბორელის მმართველობის ბოლო წლებში ვითარება ისე წარიმართა, რომ ბარსელონას საგრაფომ თანდათანობით მეტი დამოუკიდებლობა მიიღო ფრანკთა სახელმწიფოსგან და საბოლოოდ სრულიად განერიდა მას. ბარსელონას არავითარი სამხედრო მხარდაჭერა არ მიუღია ფრანკებისგან, რადგან გრაფი ბორელ მეორეს თხოვნა ფრანკებმა უპასუხოდ დატოვეს. **988 წელს** ნახევრადდანგრეული ბარსელონა ბორელმა გაათავისუფლა მავრებისგან და თავისი საგრაფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა[7]. დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროს დღეს კატალონიელები „კატალონიის სახელმწიფოდ“ მოიხსენებენ, ხოლო 988 წელს კატალონიის დაბადების წლად მიიჩნევენ.

არაგონის სამეფო

შემდეგმა ორმა საუკუნემ ტერიტორიების დაცვა-განმტკიცებასა და შემდგომ მავრების სამხრეთით, მდინარე ებროსკენ განდევნაში განვლო. კატალონიის ისტორიის შემდგომი პერიოდი **არაგონის სამეფოს** უკავშირდება. ესპანეთის ტერიტორიაზე იმ პერიოდში ჩამოყალიბდა ორი დიდი სახელმწიფო გაერთიანება - კასტილიისა (სამხრეთით) და არაგონის (ჩრდილოეთით) სამეფოები. კონფედერაციული სახის კავშირს - არაგონის სამეფოს, კატალონიის საგრაფო მას შემდეგ შეუერთდა, რაც **1137 წელს** ბარსელონას დინასტიის გრაფმა (რამონ ბერენგერ IV) ცოლად შეირთო არაგონის მეფის ასული ინფანტი (პეტრონილია), ხოლო მათი შვილი ალფონს I არაგონის სამეფოს მმართველი გახდა.

არაგონის სამეფო სამხრეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო, უდიდესი საზღვაო და სავაჭრო პოტენციალით[8]. რამონ ბერენგერ IV-მ გამოიყენა

---

[7] ეს დამოუკიდებლობა არ იქნა აღიარებული ფრანკების მიერ1258 წლამდე

[8] არაგონის სამეფო (1035-1707) ძირითადად მოიცავდა: არაგონის სამეფოს, კატალონიის საგრაფოს, ვალენსიის სამეფოს, მალიორკას სამეფოს, სიცილიას, მალტასა და სარდინიას, ასევე გარკვეულ პერიოდში: საფრანგეთის პროვანსს, ნეაპოლიტანურ სამეფოს, ათენის საჰერცოგოს, ნეოპატრიის საჰერცოგოს

ზუსტად „არაგონი“ იმისათვის, რომ თავისი ტიტული განესაზღვრა, რადგან არაგონის მეფედ ყოფნა ბევრად უფრო პრესტიჟული იყო, ვიდრე ბარსელონას გრაფობა. 1150 წლიდან ბარსელონას საგრაფო ხაზი ოფიციალურად წყვეტს არსებობას, ხოლო გრაფის შვილი კი იწოდებოდა არაგონის მეფედ და არა კატალონიის გრაფად. ამის მიუხედავად, ამ გაერთიანებით კატალონიამ ყველა არსებული უფლება შეინარჩუნა. უფრო მეტიც, 1289 წელს, სწორედ კატალონიაში შეიკრიბა ევროპაში ერთ-ერთი პირველი **პარლამენტი (კორტეს კატალანას** - Cortes Catalanas). თავდაპირველად ეს იყო წარმომადგენლობითი ორგანო, სადაც სამი კლასის - წარჩინებულთა, სასულიერო პირთა და ქალაქის ბურჟუაზიის წარმომადგენლები შედიოდნენ. კატალონიის პარლამენტი ოფიციალურ ორგანოდ 1359 წელს იქნა აღიარებული.

მე-12 საუკუნის ბოლოს არაგონისა და კასტილიის სამეფოებს შორის დადებული იქნა რამდენიმე ხელშეკრულება, რომლითაც მუსლიმური მიწების გაყოფა მოხდა ამ ორ სამეფოს შორის, და ამით მათი ქრისტიანულ სამყაროში დაბრუნება მოხდა (რეკონკისტა), რომლის ყველაზე დიდი გამარჯვებად მიიჩნევა 1212 წელს **ლეონის, კასტილიის, არაგონისა და ნავარის გაერთიანებული ძალებით** ალმოჰადების დამარცხება.

შემდეგი ასწლეულების განმავლობაში კატალონია ევროპის ერთ-ერთი მთავარი რეგიონი ხდება ხმელთაშუაზღვისპირეთში. შეიძლება ითქვას რომ ეს ნამდვილი ოქროს ხანაა კატალონიისთვის. მნიშვნელოვანი ორგანო, რომელიც ამ პერიოდში შეიქმნა კატალონიაში, იყო Diputació del General, რომელიც თავდაპირველად გადასახადების აკრეფის ორგანოს წარმოადგენდა, შემდგომში კი მან საფუძველი დაუდო ჟენერალიტეტს - კატალონიის მთავრობას.

მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც არაგონის მეფე მარტი ჰუმანური მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა, რის შემდეგაც არაგონულ-კატალონური გაერთიანების მეფე კასტილიის მეფის ხუან პირველის მეორე შვილი ფერნანდო დე ანტეკუერა ხდება. მან და მისმა მემკვიდრეებმა ძალიან ცოტა რამ იცოდნენ კატალონიის შესახებ, და საერთოდაც, იშვიათად ინტერესდებოდნენ ამ რეგიონით, რამაც სამოქალაქო დაპირისპირებაც კი გამოიწვია იმ პერიოდში.

ესპანეთის პოლიტიკური გაერთიანების დასაწყისი

1469 წელი უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა ესპანეთის ისტორიაში. არაგონის მეფე ფერდინანდ II-ისა და კასტილიის დედოფლის იზაბელის ქორწინებით დამყარდა არაგონისა და კასტილიის დინასტიური კავშირი და ეს მოვლენა გახდა საწინდარი ესპანეთის პოლიტიკური გაერთიანებისთვის, რომელიც თითქმის დასრულდა მე-15 საუკუნის ბოლოსთვის. ორი სამეფო ფორმალურად გაერთიანდა ერთიან ესპანეთის სამეფოში, თუმცა ორივე მათგანი კვლავაც ინარჩუნებდა თავის პოლიტიკურ ინსტიტუტებს, სასამართლოს, კანონებს, ბეჭდავდა ფულს.

ეს პერიოდი ასევე ცნობილია ინკვიზიციით ებრაელების, მუსლიმთა და პროტესტანტების წინააღმდეგ, იმავე პერიოდში მოხდა გლეხთა რამდენიმე აჯანყებაც.

უკვე ერთიანი ესპანური სამეფოსთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა. წარმატებული ექსპედიციის შედეგად მოხდა ევროპული ეკონომიკის ატლანტიკაში გადასროლა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა კატალონიისა და გაზარდა ვალენსიის ეკონომიკური მნიშვნელობა, ქალაქი ვალენსია კი მე-16 საუკუნიდან ეკონომიკის თვალსაზრისით პირველი ქალაქი გახდა არაგონის სამეფოში. გარდა ამისა, ძალიან გახშირდა პირატული თავდასხმები კატალონიის სანაპირო ზოლში და ბანდიტიზმი ხმელეთზე. ეს პერიოდი კატალონიის კულტურის, ენისა და ეკონომიკის დასუსტების პერიოდია.

მეფე ფილიპე II-ს მმართველობის პერიოდიდან (მეფე ფილიპე IV-ს მმართველობამდე) რთული ვითარება შეიქმნა მთლიანად ესპანეთში, მთელი საუკუნის განმავლობაში ეს სირთულე აისახებოდა როგორც ესპანეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე საგარეო პოლიტიკაზე. მე-16-17 საუკუნეებში ესპანეთი თანდათან კარგავს კოლონიურ ტერიტორიებს, ის იძულებულია ცნოს ჰოლანდიისა და პორტუგალიის დამოუკიდებლობა, ინგლისთან ომების შედეგად ესპანეთმა საზღვაო უპირატესობაც დაკარგა. ომებმა ხაზინა გააღატაკა და ესპანეთის მეფეები გენუელი და გერმანელი ბანკირების მევალეები გახდნენ, ფილიპე მეორემ ორჯერ გამოაცხადა ბანკროტობა. ესპანეთის იმპერია ნელ-ნელა სუსტებოდა და ამას ხელს ინკვიზიციაც უწყობდა.

დაპირისპირება მონარქიასა და კატალონიას შორის

ურთიერთობა მონარქიასა და კატალონიელებს შორის დაიძაბა ფილიპე II-ს პერიოდში, როდესაც ამოწურა რა კასტილიამ ეკონომიკური რესურსი, მეფემ კატალონიის სიმდიდრის ათვისება განიზრახა, თუმცა კატალონიის მმართველი ინსტიტუტები დაცული იყო არაგონისა და კასტილიის ხელშეკრულების პირობებით და მის შესრულებაზე კატალონიის არისტოკრატია ზრუნავდა. გადასახადების ზრდა, კატალონიელების ძალდატანებითი გაწვევა იტალიაში მყოფ ესპანურ არმიაში, კატალონიის ტერიტორიაზე ესპანური საჯარისო ფორმირებების განთავსება (მას შემდეგ რაც საფრანგეთი ჩაერთო ოცდაათწლიან ომში), რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას უნდა შეენახა და სხვა საფუძვლად დაედო **აჯანყებას კატალონიაში, 1640 წელს** რომელიც **"სეგადორების ომის"** სახელით არის ცნობილი (**სეგადორების აჯანყება,** *მომკელთა ომი* (კატ. Guerra dels Segadors).

ფილიპე IV-ს მეფობის დროს ესპანეთი ევროპის პირველ ყველაზე მასშტაბურ - ოცდაათწლიან ომში იყო ჩართული. 1635 წელს, საფრანგეთის წინააღმდეგ ომისთვის ავტოკრატი გრაფი - ჰერცოგის ოლივარესის გავლენით, მეფემ კატალონიას დიდძალი თანხა და მეომრები მოსთხოვა და ვინაიდან, კონსტიტუციის თანახმად, კატალონიას მხოლოდ ის გადასახადები უნდა გადაეხადა, რომელიც მისი მთავრობის მიერ იყო დამტკიცებული, პასუხად მიიღო მტკიცე უარი. ოლივარესმა გადაწყვიტა დაესაჯა ურჩი რეგიონი. მან ჯერ სიკვდილით დასაჯა ის 10 ათასი ადამიანი, რომლებიც კატალონიიდან შეკრიბა მათი ნების საწინააღმდეგოდ, ამის შემდგომ კი კასტილიის ჯარებით შეიჭრა კატალონიაში და გაძარცვა რეგიონი. სიტუაციამ კულმინაციას 1640 წლის ზაფხულში მიაღწია, როდესაც რამდენიმე ათასი შეიარაღებული გლეხი (მომკელები) ბარსელონაში შეიჭრა, მათ გადაწვეს სამთავრობო შენობები და მოკლეს ფილიპე IV-ს წარმომადგენელი (მეფის მოადგილე). მალე აჯანყება მთელ კატალონიას მოედო.

ადგილობრივებმა გამოფინეს ლოზუნგები ესპანეთის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. აჯანყება მიმართული იყო კასტილიის დომინირების წინააღმდეგ და კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

კატალონია საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ

კატალონიელებმა დახმარებისა და პროტექტორატის თხოვნით მიმართეს საფრანგეთს, რის შემდეგაც კატალონიის მთავრობის პრეზიდენტმა პაუ კლარისმა გამოაცხადა კატალონიის რესპუბლიკა საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ (1640 წლის 10 სექტემბერს). აჯანყებულებმა **მუდმივი კავშირის ხელშეკრულება** (1640 წლის დეკემბერი) დადეს საფრანგეთთან. 1640 წლის დამლევს საფრანგეთის ჯარები კატალონიაში შევიდნენ. 1641 წლის იანვარში კატალონიის კორტესმა უარყო ესპანეთის მეფე ფილიპე IV და საფრანგეთის მეფე (ლუი XIII) ბარსელონის გრაფად გამოაცხადა.

საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ კატალონიელებმა შეძლეს ესპანეთისგან თავდაცვა 10 წლის განმავლობაში, 1651 წლამდე, როდესაც ესპანეთის მონარქიამ შეძლო კონცენტრირება მოეხდინა კატალონიის სეპარატიზმთან საბრძოლველად. თავის მხრივ, საფრანგეთში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა შესაძლებლობა არ მისცა საფრანგეთს კატალონიის მხარდაჭერისთვის. 1651 წელს ესპანეთის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ბარსელონას. 1652 წლის ოქტომბერში ბარსელონამ კაპიტულაცია გამოაცხადა. მალევე კატალონიამ მიიღო ფილიპე IV-ს პირობა, რომ ძველი პრივილეგიები შენარჩუნდებოდა, რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

1659 წელს საფრანგეთმა ესპანეთთან დადო **პირენეის სამშვიდობო ხელშეკრულება,** რომლის მიხედვითაც ლუი XIV უარს ამბობდა ბარსელონაზე სხვა კატალონიური მიწის - რუსილიონის სანაცვლოდ. ამდენად, კატალონიის საგრაფოს ტერიტორიის ნაწილი (რუსილიონი, კოფლანი, ვალიესპირი, კაპსირი, აგრეთვე სარდანიის საგრაფოს ჩრდილოეთ ნაწილი) საფრანგეთმა მიიერთა და ის დღემდე საფრანგეთის

შემადგენლობაშია [9] , აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტში (ფრ. Pyrénées-Orientales)[10].

გარდა იმისა, რომ პირენეის ზავით ჩრდილოეთ კატალონიის ტერიტორიები საფრანგეთს გადაეცა, ამ ტერიტორიებზე სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში მოხდა ყველა ტრადიციული კატალონიური ინსტიტუტის გაუქმება (მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმების თანახმად აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ საფრანგეთთან მიერთებით ეს რაიონები თვითმმართველობას შეინარჩუნებდნენ). მოგვიანებით კი ლუი XIV-ის ბრძანებით ყოფილი კატალონიის ტერიტორიებზე ყველა სახელმწიფო დაწესებულებისთვის სავალდებულო გახდა მხოლოდ ფრანგული ენის გამოყენება.

1793 წლის აპრილში ესპანეთმა სცადა რეგიონის დაბრუნება, რამაც გამოიწვია პირენესის ომი. ომი ბაზელის ზავით და საფრანგეთის გამარჯვებით დასრულდა.

ომი ესპანური მემკვიდრეობისათვის

კატალონია-არაგონის გვირგვინის დამოუკიდებლობა 1714 წლამდე გაგრძელდა, და მისი დასასრული **ესპანური მემკვიდრეობისთვის ომს** (1701-1714წწ) უკავშირდება, რომელიც კატალონიისთვის პრივილეგიებისა და ავტონომიური უფლებების გაუქმებით დასრულდა. ამის შემდგომ ესპანეთის მმართველები ყოველმხრივ ცდილობდნენ კატალონიური იდენტობის მოშლას, შემდეგი 2,5 საუკუნე აკრძალული იყო კატალონიური ენა, რომლის გავრცელების არეალიც არსებითად შეიზღუდა.

---

[9] პირენეის ზავის დადებამდე, დღევანდელი საფრანგეთის აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტის უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა კატალონიის სამთავროს ნაწილს და შედიოდა ესპანეთის შემადგენლობაში. ისტორიული წარსულიდან გამომდინარე დეპარტამენტში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი საუბრობს კატალონიურად და ხანდახან მას ჩრდილოეთ კატალონიასაც კი უწოდებენ

[10] აღმოსავლეთი პირინეის დეპარტამენტი შეიქმნა საფრანგეთის რევოლუციის დროს, 1790 წელს. ის ფაქტობრივად იმეორებს რევოლუციამდელი პროვინციის რუსილონის საზღვრებს და დამატებით მოიცავს ფენოლედას, რომელიც მანამდე ლანგედოკის ნაწილი იყო.

ესპანური მემკვიდრეობისთვის ომმა, რომელშიც დასავლეთ ევროპის ყველა დიდი სახელმწიფო იყო ჩართული, საბოლოოდ გადაწყვიტა კატალონიის ტერიტორიის ბედი. ომის მიზეზი იყო ის, რომ ესპანეთის (კასტილიის) მეფის კარლოს მეორის გარდაცვალების შემდეგ (1700), სამეფო ტახტი მემკვიდრის გარეშე დარჩა. გაჩნდა ორი პრეტენდენტი - ფილიპე ანჟუელი, ლუი XIV-ის შვილიშვილი, ესპანეთის სამეფო დინასტიების მონათესავე მონარქი, რომელმაც კარლ II-ს ანდერძით ესპანეთის ტახტი დაიკავა ფილიპე V-ს სახელით. ხოლო საღვთო რომის იმპერიის იმპერატორმა ლეოპოლდ I ჰაბსბურგმა ესპანეთის ტახტის კანდიდატად თავისი შვილი ავსტრიის ერცჰერცოგი კარლი წამოაყენა.

ინგლისი და ჰოლანდია ცდილობდნენ ხელი შეეშალათ როგორც ბურბონთა, ისე ჰაბსბურგთა გაძლიერებისათვის. ისინი მოითხოვდნენ ესპანური სამფლობელოების გაყოფას, მაგრამ მათ საფრანგეთის წინააღმდეგ კავშირი დადეს საღვთო რომის იმპერიის იმპერატორთან (ე. წ. დიდი ალიანსი). მოგვიანებით ანტიფრანგულ კოალიციას შეუერთდნენ: ბრანდენბურგი და გერმანიის სხვა სამთავროები, აგრეთვე დანია და პორტუგალია. ამრიგად საფრანგეთი ომში თითქმის სრულიად მარტო აღმოჩნდა.

ბრიტანეთის ფლოტი კატალონიაში 1705 წლის სექტემბერში გამოჩნდა და შეტევა განახორციელა ბარსელონაზე. 1705-1706 წლებში ალიანსის ჯარების დახმარებით[11] კარლ ჰაბსბურგის ჯარმა აიღო ბარსელონა და დაიკავა კატალონიის სხვა ქალაქები, კარლ ჰაბსბურგი ბარსელონაში დიდი პატივით მიიღეს, როგორც მეფე და მას მხარს უჭერდა კატალონია, არაგონი და ვალენსია. მაგრამ მალევე ესპანეთის ჯარმა შეუტია და დაიკავა ბარსელონა. კატალონიელთა უმეტესობა მადრიდის სიძულვილით კარლ ჰაბსბურგის მხარეს გადავიდა. ფილიპ V ანჟუელს კი ამ დროს ეკავა მადრიდი და ცენტრალური პროვინციები, მისი გარნიზონები განთავსებული იყო გამაგრებულ პუნქტებში, განსაკუთრებით პორტუგალიის საზღვართან.

[11] პორტუგალია და ინგლის-ჰოლანდიის დამხმარე ჯარები

1706 წელს ფრანგებმა განიზრახეს გადაედგათ გადამწყვეტი ნაბიჯები. ამ მიზნით ისინი პირველ რიგში კატალონიაში შეიჭრნენ, თუმცა ვერ შეძლეს იმ დროს ბარსელონას აღება. ამჯერად ბარსელონა ისევ მოკავშირეთა ხელში დარჩა, ამის შემდგომ რამდენიმე პერიოდი და კარლ II-ს არმიამ რამდენიმე წარმატებული ბრძოლა განახორციელა იქამდე, რომ 1706 წლის ივნისში მადრიდიც აიღო და ფილიპი იძულებული იქნა საფრანგეთში გადასულიყო. მაგრამ კარლის წარმატება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. კასტილიაში ფილიპეს ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა და როდესაც საფრანგეთის არმია ესპანეთში შეიჭრა, კასტილია აჯანყდა, კარლ მესამე კი იძულებული გახდა კატალონიაში დაბრუნებულიყო. ფილიპ მეხუთემ ოქტომბერში დაიკავა მადრიდი, და შემდგომ ესპანეთის მთელი ტერიტორია, გარდა კატალონიისა. 1707 წლის დასაწყისში ერცჰერცოგს ჯერ კიდევ ეჭირა კატალონია, არაგონი და ვალენსია. გაზაფხულზე მოკავშირეებმა უკვე ვალენსიის მხრიდან სცადეს მადრიდის დაკავება, მაგრამ მან სრული მარცხი განიცადა[12], ამის შემდგომ გამყარდა ფილიპის პოზიციები. ვალენსიამ კარი გაუღო გამარჯვებულებს, შემდგომ მათ დაემორჩილა არაგონი და მთელი ესპანეთი, გარდა კატალონიისა.

1708 წლის დასაწყისში მოკავშირეთა ძალები დაცალკევებული იყო, რადგანაც მათი სამხედრო შენაერთების ერთი ნაწილის ბაზა იყო პორტუგალია, ხოლო მეორე ნაწილის - ერცჰერცოგი კარლის მეთაურობით - კატალონიაში (ბარსელონას შემოგარენში, სხვადასხვა ციხესიმაგრეებში). ფილიპი შეეცადა პირენეიდან სამუდამოდ გაეძევებინა მოკავშირეები, მაგრამ უშედეგოდ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები. თავის მხრივ, მოკავშირეები ცდილობდნენ პოზიციის გამაგრებას მთელს ესპანეთში და მთავარი ქალაქის - მადრიდის დაკავებას, რაც კიდეც შეძლეს 1710 წელს. თუმცა ჰაბსბურგის პოზიციები იყო არამყარი, თავადაზნაურთა აბსოლუტური უმრავლესობა და ხალხი ფილიპის მხარეს იყო. იმის გამო, რომ კარლს არ ქონდა მხარდაჭერა მოსახლეობის მხრიდან და არმიისთვის სურსათის შეგროვებასაც ვერ ახერხებდა, იგი იძულებული იყო დაეტოვებინა მადრიდი. ასეთი არმიის ძლევა რთული არ აღმოჩნდა ფრანგებისთვის და ფილიპმაც მალევე დაიბრუნა თავისი პოზიციები. ამის შემდგომ

[12] ალმანსას ბრძოლა, 25 აპრილი, 1707წ

მთელი ესპანეთი, ქალაქების - ბარსელონასა და ტორტოსას, ასევე კატალონიის ნაწილის გარდა, მისი ხელისუფლების ხელში აღმოჩნდა. ალიანსი დასუსტდა და დაშლა დაიწყო. ამის მიუხედავად ბრძოლები გრძელდებოდა მონაცვლეობითი უპირატესობებით, სანამ საბოლოოდ აშკარა არ გახდა ფრანგულ-ესპანური კოალიციის სრული უპირატესობა. დარჩენილი იყო ბარსელონა, რომელმაც ჯერ კიდევ 1705 წელს განაცხადა თავის მხარდაჭერა ერცჰერცოგი კარლის მიმართ. ქალაქს ფილიპის 40 ათასიანმა არმიამ მარშლ ბერვიკის მეთაურობით 1714 წლის 12 ივლისს შეუტია. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ბარსელონელები იძულებული გახდნენ 11 სექტემბერს ჩაებარებინათ ქალაქი ბერვიკისთვის[13]. კატალონიელი სეპარატისტების ლიდერები რეპრესირებული იქნენ, რამდენიმე ადამიანი კოცონზე დაწვეს. ბარსელონას აღება გახდა ბოლო წერტილი ესპანური მემკვიდრეობისთვის ომში[14].

ნუევა-პლანტას დეკრეტი

ამ ომის შედეგები დამანგრეველი იყო როგორც კატალონიისთვის, ისე მთლიანად არაგონის სამეფოსთვის. 1710 წელს ვალენსიისა და არაგონის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურები მოშლილი იქნა, არაგონის სამეფოს ტიტულატურა ესპანეთის მეფეების მიერ, სხვა ტიტულებს შორის ფიგურირებდა 1479 წლიდან, როდესაც დინასტიური კავშირით გაერთიანდა არაგონისა და კასტილიის სამეფოები, 1716 წლამდე, როდესაც ის საბოლოოდ გაუქმდა ნუევა-პლანტას დეკრეტით[15], მას

[13] 11 სექტემბერი - ბარსელონას კაპიტულაციის დღე აღინიშნება, როგორც კატალონიის ნაციონალური დღესასწაული.

[14] ომი ესპანური მემკვიდრეობისათვის დამთავრდა უტრეხტის ზავით (1713) და რაშტატის ზავით (1714). ფილიპ V ბურბონს დარჩა ესპანეთის ტახტი და კოლონიები იმ პირობით, რომ მის მემკვიდრეებს უარი უნდა ეთქვათ საფრანგეთის ტახტზე. ავსტრიის ჰაბსბურგებმა მიიღეს ესპანეთის სამფლობელოები ნიდერლანდში (ბელგია) და იტალიაში (მილანის საჰერცოგო, ნეაპოლის სამეფო და სხვ.), ინგლისმა გიბრალტარი და კ. მენორკა, ტერიტორიები ჩრდილოეთ ამერიკაში და ესპანეთის ამერიკულ კოლონიებში აფრიკელ ზანგ მონათა ვაჭრობის მონოპოლიის უფლება.

[15] არაგონის სამეფოს ტიტულატურის გაუქმება მოხდა თანდათანობით, ნუევა-პლანტას დეკრეტის ძალით: 1707 წლის 29 ივნისის დეკრეტი შეეხებოდა ვალენსიისა და არაგონის სამეფოებს, 1715 წლის 28 ნოემბრის დეკრეტი - მალიორკასა და პიტიუსის კუნძულებს, 1716 წლის 16 იანვრის დეკრეტი - კატალონიის საგრაფოს

შემდეგ რაც ესპანური მემკვიდრეობისთვის ომში დამარცხდა პრეტენდენტი, რომელსაც მხარს უჭერდნენ არაგონის სამეფოში შემავალი სამეფოები და საგრაფოები. ამ დეკრეტების (ბრძანებულებების) ხელმოწერა ომის შემდგომ მოხდა და შეეხებოდა ტერიტორიებს, რომლებიც ომის დროს კარლ ჰაბსბურგს უჭერდნენ მხარს. ეს იყო ნამდვილი შურისძიება ამ რეგიონების მიმართ[16].

დეკრეტების ძალით ლიკვიდირებული იქნა ყველა ადგილობრივი პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც განსხვავდებოდნენ კასტილიის ცენტრალიზებული მოდელისაგან. ცენტრალიზებული მოდელი კი, „საერთო სუვერენიტეტის სისტემა“, დაფუძნებული იქნა საფრანგეთის მაგალითზე, საიდანაც წარმოშობით იყო ბურბონთა დინასტია. კატალონიასა და ვალენსიაში დაიშალა ადგილობრივი პარლამენტები - კორტესები, კატალონურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობას აღარ ჰქონდა უფლება განეხორციელებინა ეკონომიკური, ფინანსური თუ იურიდიული კონტროლი, აგრეთვე თავისი ფული დაებეჭდა. კატალონიის საგრაფო დაიყო პროვინციებად, რომლებსაც მართავდნენ მადრიდიდან დანიშნული გუბერნატორები.

ბარსელონას დაცემის შემდგომ გაუქმდა კატალონიის კონსტიტუცია, დაიშლა ჟენერალიტეტი, დაიკეტა კატალონიის ყველა უნივერსიტეტი და შეწყდა კატალონიურ ენაზე საქმის წარმოება, ენის სწავლება აიკრძალა სკოლებში. კატალონიურ ენაზე საუბარი, წერა ან კითხვა სისხლის სამართლებრივ დანაშაულად ითვლებოდა. კატალონიის, როგორც სუვერენული საგრაფოს არსებობა შეწყდა.

კატალონია ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში

უნდა ითქვას, რომ ყველაფრის მიუხედავად მე-18 საუკუნეში კატალონიის ეკონომიკა ვითარდებოდა, და ეს მას შემდეგ, რაც როგორც ესპანეთის ნაწილს, მას უფლება და შესაძლებლობა მიეცა ამერიკის ესპანურ კოლონიებთან ეწარმოებინა ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობა. განვითარდა ინდუსტრია, გაჩნდა ბევრი კერძო საწარმო.

[16] რეგიონებს, რომლებიც ფილიპეს უჭერდნენ მხარს, შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთ უფლებები, მაგალითად მეფის კარზე შეიქმნა კასტილიის საბჭო (ესპ. Consejo de Castilla), სადაც არაგონის სამეფოს ყოფილი სამეფო-სამთავროებიდან ყველაზე ნაკლები წარმომადგნელები იყვნენ, მიუხედავად ამ რეგიონის უფრო დიდი მნიშვნელობისა, მაგალითად ნავარას, გალისიას ან ასტურიასთან შედარებით

მთელს ესპანეთში და მის საზღვრებს გარეთ გაიზარდა კატალონიურ პროდუქციაზე მოთხოვნა - ბამბეული, ქსოვილები და საფეიქრო წარმოება, სოფლის მეურნეობა. ეს იყო ნადვილი ეკონომიკური ბუმი - კატალონიის ესპანეთის შემადგენლობაში ყოფნის დადებითი შედეგი სწორედ მის ეკონომიკური წინსვლაში აისახა.

მე-19 საუკუნეში კატალონიამ განიცადა ნაპოლეონის არმიის შემოტევა [17]. ომის დასაწყისშივე, 1808 წელს ნაპოლეონის გენერალმა დიუემმა დაიკავა ქალაქები ფიგერასი და ბარსელონა. ესპანეთის წინააღმდეგობა პირენეის ომში საერთო ესპანური ომში გადაიზარდა დამოუკიდებლობისთვის, ეს წინააღმდეგობა ასევე დიდი იყო კატალონიაშიც. 1812 წელს კატალონია ანექსირებული გახდა საფრანგეთის მიერ და მისი ტერიტორია ჯერ ოთხ, შემდგომში ორ ფრანგულ დეპარტამენტად დაიყო. ფრანგების დომინირება 1814 წლამდე გაგრძელდა, როდესაც გაუქმდა ფრანგული დეპარტამენტები, მაგრამ რეგიონი ჯერ კიდევ საფრანგეთის კონტროლის ქვეშ რჩებოდა.

ამის შემდგომ იწყება პერიოდი, როდესაც ქვეყნის შიგნით ვითარება იძაბება, რაც გამოწვეულია ე.წ. კარლისტური ომებით 1834-1840 წლებში (მეფე ფერდინანდ VII-ს გარდაცვალების შემდგომ ქვეყნის შიგნით კონფლიქტი წარმოიშვა ინფანტ დონ კარლოსისა (აბსოლუტიზმის მომხრეები) და მეფის მემკვიდრე იზაბელ II-ს მომხრეებს, (ლიბერალებს) შორის. ამ ომში კატალონიელებმა და ბასკებმა კარლოსის მხარე დაიჭირეს, არა იმიტომ რომ აბსოლუტურ მონარქიას უჭერდნენ მხარს, არამედ იმიტომ, რომ ისინი იმედოვნებდნენ რომ ძველი რეჟიმს რესტავრაცია მათი პრივილეგიებისა და რეგიონული ავტონომიის დაბრუნებას გულისხმობდა. ამასთან, ბასკებისა და კატალონიელებისთვის კარლოსის მხარდაჭერა ტრადიციული კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერას ნიშნავდა. არაგონი და კატალონია იმედოვნებდნენ, რომ კარლოსის გამარჯვებით დაიბრუნებდნენ უფლებებს, რომელიც

[17] პირენეის ნახევარკუნძულის ომი, რომელშიც ნაპოლეონის იმპერია იბრძოდა ესპანეთის, პორტუგალიისა და ინგლისის წინააღმდეგ. ესპანეთში ომი დაიწყო 1808 წლის 2 მაისს მადრიდის აჯანყებით, რომელიც საფრანგეთის არმიამ სასტიკად ჩაახშო, ომი სხვადასხვა ინტენსივობით გაგრძელდა 1814 წლამდე, ნაპოლეონის კუნძულ ელბაზე გადასახლებამდე.

მათ ესპანური მემკვიდრეობისთვის ომში დაკარგეს, თუმცა კარლოსს ამის შესახებ მათთვის არანაირი დაპირება არ მიუცია.

ლიბერალების გამარჯვებამ საბოლოოდ გამოიწვია ბურჟუაზიული რევოლუცია იზაბელ მეორეს მეფობის დროს, რაც გამოწვეული იყო არაეფექტური მმართველობის სტილით, კორუფციით, ცენტრალიზაციის გაძლიერებითა და პოლიტიკურ-სოციალური დაძაბულობით. კატალონიაში დაიწყო რესპუბლიკური მოძრაობა, ამას გარდა დაიწყო გამოსვლები ფედერაციული ესპანეთის მოთხოვნით.

სუვერენიტეტისთვის ბრძოლის დასაწყისი, კატალონიზმი

მიუხედავად კატალონიის წინააღმდეგ გატარებული რეპრესიებისა, კატალონიელებმა შეინარჩუნეს ნაციონალური თვითმყოფადობა, ისინი არ ივიწყებდნენ ენას, საიდუმლოდ საუბრობდნენ მასზე და დაიწყეს ბრძოლა თავიანთი უფლებების აღდგენისთვის. ჯერ კიდევ მე-18 საკუნეში გამოიცა ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაწარმოები: „გამოსავალი მიძინებულთათვის“ (კატ. Via fora els adormits, 1734წ.), ფრანგულ ენაზე ნათარგმნი, რომელშიც ევროპის დიდ ქვეყნებს მიმართავენ, რომ ან შეიქმნას თავისუფალი კატალონიის რესპუბლიკა, ან აღდგეს დამოუკიდებელი არაგონის სამეფო და პოლიტიკური ტრაქტატი „ალიანსზე მის უმაღლესობა ჯორჯ ავგუსტთან, ბრიტანეთის მეფესთან“ (კატ. Record de l'Aliança fet el Sereníssim Jordi Augusto Rey de la Gran Bretanya, 1736წ.), სადაც ბრიტანეთს შეახსენებენ ჟენევის შეთანხმებასა (1705წ). და თავისუფალი კატალონიური რესპუბლიკის შექმნის პირობაზე[18].

მე-19 საუკუნეში კატალონია ესპანეთის ინდუსტრიულ ცენტრად იქცა. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იწყება კატალონიური კულტურის რენესანსი (კატ. Renaixença)- მოძრაობა კატალონიური ენისა და კულტურის განვითარებისთვის. უდიდესმა ეკონომიკურმა მიღწევებმა მეტი თავდაჯერებულობა შემატა კატალონიელ

[18] ამ ტრაქტატში ნახსენებ სიტყვებს „22 წელი ჩვენი მონობის“ (კატ. “*any 22 de nostra esclavitud”*) ხშირად ციტირებენ

ხალხს. აკრძალული კატალონიური ენა მიწისქვეშეთიდან გამოდის და ღიად იწყება მასზე ლაპარაკი. კატალონიზმმა აშკარად იჩინა თავი მე-19 საუკუნეში.

1833 წელს გარდამტეხი მომენტი დგება, როდესაც ბონავენტურა კარლეს ალიბაუმ, მადრიდის ბანკის თანამშრომელმა, კატალონურ ენაზე გამოაქვეყნა თავისი ლექსი სახელწოდებით 'Oda a la PÁ tria' (ოდა სამშობლოზე) - დიდი პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული, ნოსტალგიური ხასიათის ლექსი, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურული ღირებულებით არ გამოირჩეოდა, იმდენად პოპულარული გახდა კატალონიაში, რომ მალე მისი გავლენითა და სულისკვეთებით დაიწერა მრავალი ნაწარმოებები, იდგმებოდა სპექტაკლები. ეს იყო ახალი კატალონიური თვითგამორკვევის დასაწყისი.

კატალონიელები თვლიდნენ, რომ კასტილიელებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. თუმცა შემდეგი ნაბიჯი ზუსტად კასტილიისგან უნდა წამოსულიყო და ასეც მოხდა. ესპანეთის ძალიან ცუდი მმართველობის შედეგად, კატალონიას ბევრი განიხილავდა, როგორც მაგალითს მიბაძვისთვის, პირველი ესპანური რესპუბლიკის გამოცხადების შემდგომ[19] აზრის თავისუფალი გამოხატვა შესაძლებელი გახდა. გარდა ამისა, უკვე ხმამაღლა დაიწყო საუბარი **ესპანეთის ფედერალიზმზე.** ფედერალიზმის იდეის სათავეში იყო ფრანციკო პი-ი მარგალი, კატალონიის მკვიდრი, რომელიც შემდგომ ესპანეთის პირველი რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა.

1880 წელს ჩატარდა **კატალონიელთა პირველი კონგრესი.** მასში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკური ძალები, აპოლიტიკური ადამიანები, გაზეთ „ლა რენეშანსას" გამომცემლები. კონგრესზე უფრო აქტიურად გამოიყურებოდნენ მემარცხენე ორგანიზაციები. კონგრესის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო ერთიანი კატალონიური ცენტრი, შექმნილიყო კატალონიური ენის აკადემია, მომზადებულიყო დოკუმენტი კატალონიური ენის დასაცავად. მეორე კონგრესის გადაწყვეტილებით გაცხადებული იქნა, რომ აღიარებულიყო კატალონია, როგორც რეალური ფაქტი, თავისი ენით და

[19] პირველი რესპუბლიკა გამოცხადდა 1873 წელს და მან მხოლოდ ერთი წელი იარსება

თვითმყოფადობით, შექმნილიყო პოლიტიკური პარტიები მხოლოდ კატალონიის შიგნით.

ავტონომიის ოფიციალური სტატუსი

ესპანეთის პირველი რესპუბლიკა 1875 წელს მონარქიამ შეცვალა. კატალონიზმის იდეები არ გამქრალა მონარქიის აღდგენის შემდგომაც და კიდევ უფრო გამოიკვეთა შემდეგი ათწლეულების განმავლობაში. კატალონიური ნაციონალური იდენტობის პირველი თანამედროვე თეორია ჩამოყალიბა ვალენტი ალმირალის (კატ.Valentí Almirall) მიერ 1901 წელს, ის იყო ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და გამორჩეული ფიგურა. ალმირალი მომავალ კატალონიას ნახევრად დამოუკიდებელს ხედავდა, რომელიც პირენეის კუნძულის სხვა ხალხებთან ერთად სახელმწიფოთა გაერთიანებაში უნდა შესულიყო (არაგონის სამეფოს მოდელი). ხოლო ახალგაზრდებმა - ენრი პრატ და ლიბრამ და ფრანჩესკო კამბობ ჩამოაყალიბეს პარტია, რეგიონული ლიგა - Catalanist, Lliga Regionalista, რომელიც კატალონიური სოლიდარობის წამყვანი ძალა გახდა.

ამავე პერიოდში, 1885 წელს იწერება „შუამდგომლობა კატალონიელების მორალური და მატერიალური ინტერესების დასაცავად“ (კატ. Memorial de Greuges) - ინტელიგენციის მიმართვა ესპანეთის მეფის ალფონსო 12-სადმი, ითვლება, რომ ეს შუამდგომლობა, წარმოდგენილი მწერლის, ჟუაკიმ რუბი იოს-ის მიერ, ნაციონალიზმის პირველი გამოვლინებაა ესპანეთის სამართლებრივ სივრცეში. მისი შინაარსი საბაზისო იყო 1892 წელს მიღებული „მანრეზას პრინციპები“-სა[20], რომლითაც წარმოდგენილი იყო პრინციპები რეგიონული კატალონიური კონსტიტუციისთვის. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მომავალში საფუძვლად დაედო ავტონომიის წესდებას.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ესპანეთი გაყოფილი იყო რესპუბლიკელებად და მონარქისტებად, კატალონია რადიკალური მშრომელთა მოძრაობის ცენტრი გახდა, რაც გამოიხატა მრავალრიცხოვანი გაფიცვებით და ტერორისტული აქტებით, დაიძაბა

[20] მიღებული იქნა ქ. მანრეზაში, მრავალრიცხოვანი ორგანიზაციებიდან ერთ-ერთის „კატალონური კავშირის“ მიერ ჩატარებულ ასამბლეაზე

ურთიერთობა მშრომელებსა და ბურჟუაზიას შორის, საჭირო გახდა ამ დაძაბულობის შენელება. 1906 წელს რეგიონულმა ლიგამ მიიღო რესპუბლიკელების სოციალისტებისა და კარლისტების მხარდაჭერა, როგორც საიმედო ჯგუფმა, რომელსაც შეეძლო მონარქისტებსა და ანარქისტებს შეწინააღმდეგებოდა. 1914 წელს მადრიდი გარკვეულ დათმობებზე წავიდა და შეიქმნა **კატალონიური თანამეგობრობა (Mancomunitat de Catalunya)**[21] - რეგიონული ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ფინანსდებოდა ადგილობრივი გადასახადებით და მის პრეზიდენტად არჩეული იქნა პრატ და ლიბრა. მანკომუნიტატი განთავსებული იყო ყოფილი ჟენერალიტეტის შენობაში ბარსელონაში, და ეს იყო ჟენერალიტეტის აღდგენის პირველი მცდელობა.

1923 წელს მიგელ პრიმო დე რივერამ მოახდინა სამხედრო გადატრიალება და თავი ესპანეთის დიქტატორად გამოაცხადა, მან დაშალა მანკომუნიტატი და არაკანონიერად გამოაცხადა კატალონიური ენა. მისი დიქტატურა 1930 წლამდე გაგრძელდა.

პრიმა დე რივერას რეჟიმის დასასრულის შემდგომ კატალონიის მემარცხენე ძალებმა დიდი ძალისხმევით შექმნეს ერთიანი ფრონტი (კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკელები - Esquerra Republicana de Catalunya) **ფრანცესკ მასიას** ხელმძღვანელობით. 1931 წლის 12 აპრილის მუნიციპალურ არჩევნებზე, მემარცხენე ძალებმა, რომელთა მთავარი გზავნილი იყო სოციალიზმი, რესპუბლიკანიზმი და კატალონიის თვითგამორკვევა, გამარჯვება დიდი უპირატესობით მოიპოვეს. 2 დღის შემდგომ კი - 14 აპრილს ესპანეთის მეორე რესპუბლიკა გამოცხადდა. აპრილშივე მასიას მიერ კატალონიის რესპუბლიკად გამოცხადებას მოჰყვა ჟენერალიტეტის, ავტონომიის მთავრობის აღდგენა, ხოლო ერთი წლის შემდგომ **1932 წლის სექტემბერში** კი კატალონიამ **ავტონომიის სტატუსი** მიიღო[22].

მაგრამ ორი წლის შემდგომ, მადრიდის მემარჯვენე მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაშალა ჟენერალიტეტი, 1934 წელს ისევ იყო ავტონომიის აღდგენის

[21] ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელიც მოქმედებდა 1914-1925 წლებში და აერთიანებდა კატალონიის 4 პროვინციას: ბარსელონას, ჟირონას, ტარაგონასა და ლიედას.

[22] ავტონომიის სტატუსი გულისხმობდა არა აბსოლუტურ, მაგრამ ძლიერ თვითმმართველობას. რამდენიმე წლის შემდგომ მსგავსი სტატუსი მიიღო ბასკეთის ქვეყანამაც.

მცდელობა, მაგრამ ეს მცდელობა მარცხითა და კატალონიის მთავრობის წევრთა დაპატიმრებით დასრულდა.

1936 წლის თებერვალში ესპანეთის საყოველთაო არჩევნებში გაიმარჯვა მემარცხენე კოალიციამ - სახალხო ფრონტმა, პარალელურად კი კატალონიაში ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვეს მემარცხენე რესპუბლიკელებმა, რომელთა ლიდერები პატიმრობაში იმყოფებოდნენ. ისინი მალევე გაათავისუფლეს და ესპანეთის პრეზიდენტმა მანუელ ასანიამ აღადგინა ჟენერალიტეტი და ავტონომია 1932 წესდების საფუძველზე. მაგრამ არც ამჟამად გასტანა დიდხანს ავტონომიის არსებობამ. იმავე წლის ივლისში გენერალმა ფრანკომ სამხედრო გადატრიალებით დაამხო დემოკრატიულად არჩეული ესპანეთის ხელისუფლება, რასაც სამოქალაქო ომი მოჰყვა.

კატალონიის ნაციონალური ხელისუფლება აჯანყების შემდგომ განცდილი მარცხის გამო იძულებითი გახდა ცენტრალურ რესპუბლიკურ პარტიასთან გაერთიანებულიყო ფრანცისკო ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ. რეპრესიებმა კატალონიელების მიმართ ფრანკოს რეჟიმის დროს კიდევ უფრო გააძლიერეს კატალონიის სეპარატისტული მოძრაობა.

ფრანკოს დიქტატურა (1939 – 1975)

ჟენერალიტეტი ფაქტიურად გახდა ცენტრი კატალონიური ძალებისთვის, რომელთა შორის იყვნენ მშრომელთა პარტიებით იყო დაკომპლექტებული სამხედრო შენაერთები. ჟენერალიტეტის სამხედრო შენაერთები ორ ფრონტზე იქნა მობილიზებული: არაგოსა და მალიორკაში. ომის დასაწყისშივე ესპანეთის მთავრობა გაიქცა მადრიდიდან ჯერ ვალენსიაში, შემდგომ კი ბარსელონაში. ფრანკოს ჯარებმა მოახერხეს კატალონიის იზოლირება დანარჩენი ტერიტორიისგან. ამდენად კატალონიის დედაქალაქი ესპანეთის რესპუბლიკური ძალების დედაქალაქად იქცა. 1938 წელს კატალონია სრულიად მარტო იბრძოდა ებროს ბრძოლაში ნაციონალური არმიის წინააღმდეგ. ფაშისტი მოკავშირეების - იტალიისა და გერმანიის დახმარებით რამდენიმე თვის ბრძოლის შემდგომ ბარსელონა დაეცა, რის შემდეგაც სამოქალაქო

ომიც ოფიციალურად დამთავრდა 1939 წლის 28 მარტს და ფრანკომ „მშვიდობა“ გამოაცხადა ესპანეთში[23].

ფრანკოს რეჟიმმა განსაკუთრებული მკაცრი ზომები მიიღო კატალონიის წინააღმდეგ. გაუქმდა ავტონომია, დაიწყო ინტელიგენციის შევიწროება. კატალონიამ გადაიტანა პოლიტიკური, ლინგვისტური, კულტურული რეპრესიები. ისევე როგორც მთელს ესპანეთში, შეიზღუდა სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, დაწესდა ცენზურა, ავტონომიის გაუქმებას კატალონიური სტრუქტურებისა და კატალონიურ ენაზე გაზეთების დახურვა მოჰყვა. პოლიტიკური მოტივით, განსაკუთრებით დიქტატურის პირველ წლებში, დაკავებული იქნა უამრავი ადამიანი, ბევრიც კი ემიგრაციაში წავიდა. 1938-1953 წლებში სიკვდილით იქნა დასჯილი 4 ათასამდე კატალონიელი, რომელთა შორის იყო ჟენერალიტეტის პრეზიდენტი ლუის კომპანისი.

და მიუხედავად ამ ყველაფრისა, 1950-იან წლებში კატალონისტებმა დაიწყეს მიწისქვეშა წინააღმდეგობის მოძრაობების შექმნა, კატალონიის პოლიტიკურ გააქტიურებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ 1960-იან წლებში სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის მოდერნიზების შედეგად ბარსელონამ კვლავ აღმავლობა დაიწყო, მომრავლდნენ ტურისტები, კატალონიაში უამრავი მიგრანტი ჩავიდა ესპანეთის სხვა რეგიონებიდან. 1974 წელს კატალონიის დემოკრატიული ძალები ფარულად, ფრანკოს რეჟიმს დასასრულის მოლოდინში, გაერთიანდნენ „კატალონიის ასამბლეა“-ში და შემდგომ უკვე საჯაროდ გამოვიდნენ ასპარეზზე ლოზუნგით „თავისუფლება, ამნისტია, ავტონომიის წესდება“.

კატალონიას ავტონომიის ახალი სტატუსი

ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ (1975წ) დაიწყო დემოკრატიისკენ გარდამავალი პერიოდი, (ესპ. La Transición, 1975-1982წწ), დემოკრატიულმა რეფორმებმა განაპირობა სიტყვის თავისუფლება, ესპანეთის ახალი კონსტიტუციის (1978წ) შესაბამისად მოხდა

[23] ჯორჯ ორუელი, ცნობილი მწერალი იბრძოდა კატალონიაში 1936-37 წლებში, ამის შესახებ მან დაწერა „კატალონიის პატივსაცემად“ – 1938წ. ეს არის ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები

მრავალრიცხოვანი ნაციონალური თემების აღიარება ესპანეთის სახელმწიფოს ფარგლებში. კონსტიტუციის ძალით ქვეყანა გაიყო ავტონომიურ ოლქებად, კატალონიისთვის ეს ნიშნავდა ორმოცი წლის შემდეგ მისი ავტონომიური უფლებების აღდგენას.

კატალონიას ავტონომიის სტატუსი განესაზღვრა 1977 წელს. კატალონიაში დაბრუნდა დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი ჟოზეფ ტერედელასი და იმავე წელს აღდგა ჟენერალიტეტიც, რომელსაც ის სათავეში ჩაუდგა არჩევნების შედეგად. ერთი წლის შემდეგ კი მიღებული იქნა ავტონომიის წესდება. 1932 წელთან შედარებით, ახალი წესდების მიხედვით თვითმმართველობას ბევრად მეტი უფლებები მიეცა, მართლმსაჯულებას და საკანონმდებლო კონტროლს კი ნაკლები.

1979 წელს კატალონიამ ავტონომიის სტატუსი მიიღო. ავტონომიის წესდებით განისაზღვრა კატალონიელთა „ეროვნულობა“, კატალონურ ენას კი რეგიონში, ესპანურთან ერთად, ოფიციალური სტატუსი მიეცა[24]. ამ დროიდან კატალონიას ოფიციალურად ჰყავს მთავრობა (ჟენერალიტეტი), რომელიც შედის ესპანეთის სახელმწიფოს კონსტიტუციური მონარქიის სისტემაში.

კატალონიაში თვლიან რომ ეს მთავრობა, რეზიდენციით ბარსელონაში არის უფლებამონაცვლე მე-14 საუკუნეში, 1359 წლიდან არსებული კორტესების მთავრობისა (ადრინდელი ჟენერალიტეტი, რომელშიც შედიოდნენ რეგიონის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები), კატალონიას ჰყავს პარლამენტი 135 წევრით და აღმასრულებელი საბჭო. ავტონომიის ჟენერალიტეტის თავმჯდომარე (პრეზიდენტი) ირჩევა პარლამენტის მიერ 4 წლის ვადით.

1980-90-იანი წლები ავტონომიური გაერთიანებებისთვის ზოგადად, და კატალონიისთვისაც იყო ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი, რასაც ხელს უწყობდა ესპანეთის პოლიტიკური სტაბილურობა. კატალონიის ავტონომიისა და

[24] ავტონომიისა და თვითმართველობის საფუძვლები დაფიქსირებულია „ავტონომიის მდგომარეობაში“

ჟენერალიტეტის სათავეში იყო ჯორდი პუიოლი (El Grand President), რომლის წვლილიც ძალიან დიდია რეგიონის განვითარებაში.

1990-იან წლებში განსაკუთრებით გამოიკვეთა ავტონომიების გაძლიერების პოლიტიკა, რასაც ხელს უწყობდა პოლიტიკური კრიზისი ცენტრალურ ხელისუფლებაში და პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობის ვერ შეკრება წლების განმავლობაში. ესპანეთის ხელისუფლება დამოკიდებული გახდა ავტონომიების (კატალონიის, ბასკეთის, კანარის კუნძულების) ნაციონალისტურ პარტიებზე, რამაც ხელი შეუწყო ავტონომიათა გაძლიერებას[25].

კატალონიის ავტონომიის გაძლიერებისთვის ბევრი რამ გაკეთდა. შეიქმნა ავტონომიური პოლიცია, საოლქო ადმინისტრაციები და უმაღლესი სასამართლო - იუსტიციის უმაღლესი ტრიბუნალის სახით, განვითარდა კატალონური ენა და კულტურა, ადგილობრივი პრესა, ენისა და კულტურის პროპაგანდისთვის დაიწყო ფილმების გადაღება კატალონურ ენაზე, ხოლო უცხოურ ფილმებს დაედო კატალონიური სუბტიტრები.

1985 წელს ბარსელონამ მოიპოვა უფლება ემასპინძლა ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის 1992 წელს. ბარსელონას ოლიმპიადა იყო ძალიან დიდი წარმატება, რამაც მსოფლიო ყურადღება მიიპყრო, 90-იან წლებში ესპანეთში და კერძოდ კატალონიაში დიდი მიგრაციაა პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, რაც თავისთავად იაფი მუშახელის მოზიდვას და ეკონომიკურ ზრდას განაპირობებდა.

21-ე საუკუნის პოლიტიკური კრიზისი

2003 წლის ჟენერალიტეტის არჩევნების შედეგად გაიმარჯვა კოალიციამ „კონვერგენცია და კავშირი“[26], ხოლო პუიოლის ადგილი პრეზიდენტმა მარაგალმა

[25] ავტონომიების გაძლიერების პოლიტიკა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ესპანეთის პრემიერ-მინისტრების ფილიპე გონსალეს მარკესისა და ხოსე მარია ასნას ლოპესის მმართველობის დროს (1993 – 2000 წლებში)

[26] კონვერგენცია და კავშირი (კატ. *Convergència i Unió*, *CiU*) - მემარჯვენეც ცენტრისტული ალიანსი კატალონიაში (1980 – 2015 წწ). ფაქტობრივად, ეს არის ორი პარტიის გაერთიანება: მრავალრიცხოვანი კატალონიის დემოკრატიული კონვერგენციის და (კონვერგენცია) და მცირერიცხოვანი კატალონიის

(2003-2006) დაიკავა. ეს მთავრობა არამდგრადი აღმოჩნდა, განსაკუთრებით პრობლემური იყო მისთვის კატალონიის ავტონომიის წესდების გადასინჯვის საკითხი[27]. 2006 წლის შემოდგომაზე კატალონიაში ჩატარდა ვადამდელი არჩევნები, სადაც ხმათა უმრავლესობა კვლავ კოალიციამ „კონვერგენცია და კავშირი“ დააგროვა და მოახდინა კოალიციური მთავრობის ფორმირება. კატალონიის ჟენერალიტეტის პრეზიდენტი გახდა ხოსე მონტილია აგილერა.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კატალონიური პოლიტიკური ელიტა ორ ნაწილად გაიყო: ერთნი, ვინც ითხოვდნენ ავტონომიის შენარჩუნებას და მეორენი ვინც ითხოვდნენ მეტ დამოუკიდებლობას თვით სახელმწიფოებრივ თვითგამორკვევამდე. ამ უკანასკნელთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ასევე გაიზარდა იმ რადიკალთა რაოდენობა, რომელთა სურვილია კატალონიის სახელმწიფოს შემადგენლობაში დაბრუნდეს კატალონიური მიწებიც.

2006 წლის 18 ივნისს კატალონიაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც 74%-მა მოთხოვა ავტონომიის გაფართოება და კატალონიელების, როგორც ერის, აღიარება. ამის შედეგად ავტონომიამ მიიღო მეტი უფლებები, რაც ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდაში გამოიხატა. მათ შორის საგადასახადო სისტემასა და მიგრაციის პოლიტიკაში. მადრიდის სასამართლოს მიერ 2010 წელს ამ უფლებათაგან ამოღებული იქნა კატალონიის, როგორც ერის განსაზღვრება ესპანეთის ფარგლებში, იმ მოტივით, რომ ამისთვის არანაირი ლეგალური საფუძველი არ არსებობდა.

2009-2010 წლებში არაოფიციალური გამოკითხვა-რეფერენდუმების შედეგად აბსოლუტური უმრავლესობა (90%) მხარი დაუჭირეს დამოუკიდებლობას. 2012 წლის სექტემბერში დიდი გამოხმაურება მოყვა მასობრივ მანიფესტაციას - „დამოუკიდებლობის მარში“, მთავარი ლოზუნგით „კატალონია - ევროპის ახალი სახელმწიფო“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1,5 მლნ-მა ადამიანმა.

დემოკრატიული კავშირის (კავშირი). ეს ძალა ზომიერი ნაციონალურ ძალად მიიჩნევა. ალიანსს თავმჯდომარეობდა კონვერგენციის ლიდერი არტურ მასი, კატალონიის მთავრობის თავმჯდომარე.

[27] ავტონომიის ახალი წესდება მიღებული იქნა 2006 წელს

2012 წლის არჩევნების შემდგომ აქტიურად ერთვება კატალონიის პარლამენტი, რომლის წევრთა უმრავლესობასაც სწორედ კატალონიის სახელმწიფოებრიობის მომხრე დეპუტატები შეადგენდნენ.

2013 წლის 23 იანვარს პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ (კატალონია - როგორც სუვერენული და სამართლებრივი სუბიექტი ესპანეთის შემადგენლობაში).

კატალონიის მთავრობის გადაწყვეტილებით 2014 წლის 9 ნოემბერს უნდა გამართულიყო რეფერენდუმი თვითგამორკვევის შესახებ, შეკითხვით „უნდა იყოს თუ არა კატალონია სახელმწიფო?“ რომლის ჩატარებაც ფაქტიურად ჩაშალა ცენტრალურმა ხელისუფლებამ და მის ნაცვლად იმავე დღეს ჩატარდა გამოკითხვა კატალონიის პოლიტიკური მომავლის შესახებ, რომელსაც იურიდიული ძალა არ ჰქონდა, მიუხედავად ამისა, 80%-მა მომავლის კატალონია განსაზღვრა როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

2015 წლის 9 ნოემბერს კატალონიის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შესახებ, რომლის თანახმადაც 18 თვის განმავლობაში უნდა მომხდარიყო სხვადასხვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფორმირება და მომზადებულიყო ახალი კონსტიტუცია, მაგრამ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ესპანეთის მთავრობის საჩივრის განხილვის შედეგად, რომლის მიხედვითაც მიღებული რეზოლუცია, როგორც სეპარატისტული მოძრაობის აქტი, არალეგიტიმურად იყო მიჩნეული, გააუქმა რეზოლუცია და არაკანონიერად ცნო ის.

2017 წლის რეფერენდუმი

2017 წლის 9 ივნისს ცნობილი გახდა, რომ კატალონიის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი მაინც ჩატარდებოდა, რეფერენდუმის თარიღად განისაზღვრა 1 ოქტომბერი. სექტემბერში ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია ამ რეფერენდუმის ჩატარება. ესპანეთის ხელისუფლება ყოველმხრივ შეეცადა არ ჩატარებულიყო ეს რეფერენდუმი, ხოლო დანიშნულ დღეს - 1 ოქტომბერს ყველა

საშუალებით ცდილობდა ხელის შეშლას საარჩევნო ოლქებზე და ხმის დათვლის პროცესში. თუმცა რეფერენდუმი მაინც ჩატარებულად გამოცხადდა (2.26 მილიონი მოქალაქის მონაწილეობით). შეკითხვაზე „გსურთ თუ არა კატალონია იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, მმართველობის ფორმით - რესპუბლიკა“? 90%-მა დადებითად უპასუხა.

10 ოქტომბერს კატალონიის ჟენერალიტეტის პრეზიდენტმა კარლეს პუჩდემონმა[28] პარლამენტში სიტყვიერად გამოაცხადა დამოუკიდებლობა და შემდგომ ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს, ხოლო 27 ოქტომბერს რეგიონის პარლამენტმა კატალონიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

კატალონიის სეპარატიზმის წინააღმდეგ იურიდიული მექანიზმი აამოქმედა ესპანეთის ხელისუფლებამ პრემიერ-მინისტრის მარიანო რახოის მეთაურებით. სენატის გადაწყვეტილებით, ესპანეთის ხელისუფლებამ აამოქმედა კონსტიტუციის 155 მუხლი[29], რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, შეაჩერა ავტონომიის სტატუსი და ცენტრალურ, პირდაპირ მმართველობას დაუქვემდებარა კატალონია[30].

ესპანეთის პროკურატურის მიერ სეპარატული ხელისუფლების ლიდერების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ყველა ლიდერი დაპატიმრებული იქნა, მათ შორის დაუმორჩილებლობის და ამბოხების მოწყობის ბრალდებით. კარლეს პუჩდემონმა გაქცევა მოახერხა და ბრიუსელს შეაფარა თავი, სადაც ის დღემდე იმყოფება.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით კატალონიაში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა. 21 დეკემბერს ჩატარებულ არჩევნებში, მოლოდინების საწინააღმდეგოდ, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა რეგიონის დამოუკიდებლობის

---

[28] კარლეს პუჩდემონი (Carles Puigdemont), ჟენერალიტეტის პრეზიდენტია 2016 წლიდან (პოლიტიკური ალიანსიდან - ერთად „დიახ“)

[29] http://cryptus.world/2017/10/27/doslovno-statya-155-konstitutsii-ispanii-o-chem-ona.html

[30] ხელისუფლებამ ზუსტად დაიცვა ყველა პროცედურა, რომელიც ამ მუხლის ამოქმედების საწინდარი გახდა.

მხარდამჭერმა ბლოკმა [31] . კატალონიის ჟენერალიტეტის პრეზიდენტმა კარლეს პუჩდემონმა [32] არჩევნების შედეგები შეაფასა, როგორც კატალონიის რესპუბლიკის გამარჯვება. ესპანეთი და ევროპა იმედოვნებდნენ, რომ ეს არჩევნები პოლიტიკურ კრიზისს დაასრულებდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, კრიზისი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

შესაძლო შედეგები

ექსპერტების ვარაუდით, შექმნილი კრიზისული ვითარება გავლენას იქონიებს რეგიონის ფინანსებზე, ტურიზმზე, ინვესტიციებზე. ეკონომიკური კავშირების, ორმხრივი ურთიერთობების გაწყვეტა, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან, რეგიონს მნიშვნელოვნად დააზარალებს. კატალონიის რეფერენდუმის შემდგომ მსხვილმა ესპანურმა კომპანიებმა გადაწვეტილება მიიღეს ან გადაეტანათ თავისი შტაბბინები სხვა რეგიონში, ან სრულიად შეეჩერებინათ ბიზნესი კატალონიის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, საგრძნობლად შემცირდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზრდა კატალონიის ეკონომიკაში, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები კი თავის კლიენტებს კატალონიაში ინვესტირების რისკების შესახებ აფრთხილებენ. ესპანეთისგან გამოყოფა კატალონიისთვის ევროკავშირიდან და ევროს მოქმედების ზონიდან გასვლას ნიშნავს, რაც უკიდურესად ნეგატიურ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე. ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა კი კატალონიას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, პერსპექტივაში არ ექნება და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ვითარება შეიცვალოს, რადგან კატალონიას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფო წარმონაქმნს, ევროკავშირი არ აღიარებს, და ასეც რომ იყოს, ევროკავშირის წევრობისთვის მთელი რიგი პროცედურებია, რომელთა გავლაც მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოებსაც კი ურთულდებათ.

---

[31] (47,5%, 135 საპარლამენტო ადგილიდან - 70, მეორე ადგილზე გავიდა პარტია „მოქალაქეები“, რომელიც წინააღმდეგია კატალონიის ესპანეთისგან გამოყოფის, მან მიიღო 37 ადგილი)

[32] კარლეს პუჩდემონი (Carles Puigdemont), ჟენერალიტეტის პრეზიდენტია 2016 წლიდან (პოლიტიკური ალიანსიდან - ერთად „დიახ“)

ამჟამად დამოუკიდებლობის აქტის მოქმედებაც შეჩერებულია. კატალონიის დამოუკიდებლობას არა მარტო ევროკავშირი, არამედ სრულიად საერთაშორისო თანამეგობრობა - არცერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და სახელმწიფო არ აღიარებს. ესპანეთში მიმდინარე პროცესები იმთავითვე მნიშვნელოვანი და საყურადღებო იყო ევროპის ყველა ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც საკუთარ საზღვრებში სეპარატისტული მოწოდებები არაერთხელ მოუსმენია. ბევრი ევროპელი ლიდერი შიშით უყურებს პროცესს, რომელმაც შესაძლოა მათ ქვეყნებზეც იქონიოს გავლენა და არასასურველი პროცესები გააქტიუროს.

დღეს უკვე აქტიურად საუბრობენ, რომ კატალონიელებმა ბევრი რამ ვერ გათვალეს - ვერც ეკონომიკური შედეგები, ვერც დასავლეთისა და ევროკავშირის პოზიცია. დამოუკიდებლობისაკენ მათი სწრაფვა, რასაც კონტინენტზე სხვა სეპარატისტული და ნაციონალისტური მოძრაობების წახალისება შეეძლო, თავის მხრივ, დამყარებულ ევროპულ წესრიგს ძირს გამოუთხრიდა. სწორედ ამიტომ, ლოგიკურია, რომ რეფერენდუმის შემდეგ, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, კატალონიაში თანდათან იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც სეპარატიზმს ღიად აპროტესტებს. რეგიონის ოპოზიციურმა ძალებმა ჯერ კიდევ პარლამენტში კენჭისყრის დროს გამოხატა თავისი ნეგატიური პოზიცია. რაც შეეხება მოსახლეობას, ბარსელონას ქუჩებში მრავალათასიანი მსვლელობები იმართება მოწოდებით: „საკმარისია! დავუბრუნდეთ საღ გონებას!"

კატალონია, როგორც ერი, ნაცია და დღეს უკვე როგორც სუვერენული და სამართლებრივი სუბიექტი სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ცდილობს მოიპოვოს დამოუკიდებლობა და დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში, მაგრამ როგორც ვნახეთ, ყველა ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და დიდწილად საბედისწეროც, რადგან ყოველი მცდელობისას კატალონია კარგავდა არა მარტო ადამიანურ ან ფინანსურ რესურსს, არამედ რაც ყველაზე დამღუპველი იყო, არამედ კარგავდა ტერიტორიებსაც. ისტორიის მანძილზე, თითქოს მას თვითგამორკვევისთვის სათანადო პირობები შეექმნა, მაგრამ ისტორიამ მას შანსი არ მისცა რეალური დამოუკიდებლობისთვის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ

დღევანდელი შექმნილი ვითარებით კატალონიელი ხალხმა გამარჯვებას მიაღწიოს. შეიძლება პირიქითაც მოხდეს და ავტონომიას არსებული პრივილეგიები შეეზღუდოს. დღეის ვითარება ამაზე მეტყველებს. დიახ, ჯერ არ დამდგარა ის „სათანადო პირობები“, რომელიც კატალონიის თვითგამორკვევასა და დამოუკიდებლობას მოასწავებს.

გამოყენებული მასალა:

http://thisisspain.info/catalonia/history-of-catalonia/;

http://lectures49.over-blog.com/2015/10/histoire-de-la-catalogne.html;

http://lectures49.over-blog.com/2015/07/la-guerre-civile-d-espagne-1936-1369.html;

http://theses.enc.sorbonne.fr/2005/oury;

https://sites.google.com/site/nepriznannye/;

https://mediterranees.net/vagabondages/divers/catalogne.html;

http://www.covadonga.narod.ru/Karolingi.html;

http://www.telegraph.co.uk/news/0/does-catalonia-want-independence-spain/;

https://eudocs.lib.byu.edu/index.php/Main_Page;

https://www.infoplease.com/country/spain;

http://libro.uca.edu/payne1/payne9.htm;

https://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/1289924/18861;

https://www.britannica.com/event/War-of-the-Spanish-Succession;

https://www.britannica.com/biography/Buenaventura-Carles-Aribau#ref287461;

http://www.histoire-empire.org/departements/france_modifications.htm;

http://www.telegraph.co.uk/news/0/does-catalonia-want-independence-spain;

http://www.basesdemanresa.cat/category/les-bases-de-manresa;

https://www.les-pyrenees-orientales.com/Decouvrir/Histoire.php;

http://cryptus.world/2017/10/27/doslovno-statya-155-konstitutsii-ispanii-o-chem-ona.html

https://elpais.com/elpais/2017/11/08/opinion/1510164777_139698.html;

https://elpais.com/elpais/2018/01/29/inenglish/1517218578_494297.html;

https://www.fisherinvestments.com/en-us/marketminder/the-latest-in-catalonias-separatist-saga;

https://web.archive.org/web/20080528011550/http:/www.gencat.cat/generalitat/eng/estatut/titol_preliminar.htm;

http://www.bbc.com/news/world-europe-41780116;

http://www.bbc.com/news/world-europe-41474674;

https://www.efe.com/efe/english/world/rajoy-won-t-ignore-disobedience-against-suspension-of-catalonian-independence/50000262-2762492;

https://www.revolvy.com/main/index.php?s=Catalonia&uid=1575;

https://www.pimido.com/histoire-et-geographie/geographie-monde/dissertation/catalogne-territoire-identite-132249.html;